გია ფოცხვერია

მოთხრობები

ეგონა, რომ იდგა

(რომანი)

ვ ა ლ ე რ ი ა

ვაგონში აუტანელი სუნი იდგა, სუნი, რომელიც ყველას უგრძვნია პლაცკარტით მგზავრობისას: ოფლის, ღვინის, არყის, ჭუჭყის _ ყველაფრის, რაც ადამიანს გააჩნია და თან დაატარებს. პლაცკარტი ხომ მსოფლიოს პატარა მოდელია ხალხის სიჭრელით და ინტელექტის სხვადასხვაობით, თავისი ავკარგით, არეულობით, აგრესიულობით თუ სიდინჯით, ბოროტებით და სიკეთით.

კახა გასასვლელში სიგარეტს ეწეოდა. დაღლილმა აქ მოარიდა თავი სუნსა და საერთო აურზაურს. გარშემო თითქმის ვერაფერს ამჩნევდა, თუ ვინმე სიგარეტს ან ასანთს სთხოვდა, დაუფიქრებლად აწვდიდა და ასევე დაუფიქრებლად პასუხობდა _ არაფერსო...

ქუთაისი... რამდენი რამ აკავშირებდა ამ ქალაქთან: ბავშვობის ერთი წელი, მეგობრები, ამხანაგები, ნათესავები... დღეს როგორღაც მოღუშული ეჩვენა. რატომღაც ვერ შეამჩნია ქუთაისის განუმეორებელი, ცინცხალი ბუნება.

დაღვრემილი, ნაწვიმარი ქუჩები, ატალახებული ეზოები... უცხოდ მოეჩვენა ქუთაისი, ალბათ იმიტომ, რომ დღეს სულ სხვა ქალაქი დახვდა, მისთვიc უცნობი, მრავალსართულიანი, ერთსახიანი სახლებით, ჭუჭყიანი ავტოქარხანა, უამრავი ერთმანეთის მსგავსი სატვირთო ავტომობილი... ხალხი, სულ სხვა ხალხი. გულღია, მომღიმარი ქუთაისლების ნაცვლად, უჩვეულო მონოტონურ, საქმიან ნერვიულ სახეებს შეეფეთა.

ავტოქარხანაში წინასადიპლომო პრაქტიკას გადიოდა. დაგვიანებით ჩავიდა, ხელმძღვანელთან რაღაც მოიმიზეზა. მანაც, ვითომდა დიდად აღელვებსო, სერიოზული სახით მოუსმინა და... «გააფრთხილა», _ სერიოზული მუშაობა გმართებსო.

ბიჭებმა «დაამშვიდეს»... არაფერია, მთავარია დიპლომისთვის ნახაზები იშოვოო... გასწავლით, როგორ, ვისთან... ანგარიშს ზაზა დაწერს და გადავწერთ... შემდეგ «აუხსნეს», რომ ფაქტიურად არაფერს არ აკეთებდნენ. დილით ერთი_ ორი კაცი მოვა ქარხანაში, გადახედავს იქაურობას და მორჩა... ზოგი თბილისშიც კი წასულა, რა თქმა უნდა, «ხელმძღვანელის ნებართვით».

კახასთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, ხვდებოდა, საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც ჯგუფი მიამაგრეს, მათი დარდი არავის ჰქონდა. ჯერ ერთი, ახალი დირექტორი იყო დანიშნული. მეორეც, ერთი თვეა ტელევიზორში გაიძახოდნენ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ახალი მარკის ავტომობილის გამოშვებას იწყებსო. ჰოდა, აბა მათთვის ვის ეცალა, რა უნდა ესწავლებინათ... ამას არც აუღელვებია, მით უმეტეს, რომ მომავალი პროფესია გულზე არ ეხატა. რატომ ჩააბარა აქ, ზუსტად ვერც იტყოდა, ალბათ, ოჯახის სურვილით... მეტი არაფერი... მეხუთე წელია იძულებით ათრევდა ამ ტვირთს. ჯგუფში, რა თქმა უნდა, ყველა სხვადასხვანაირად სწავლობდა, სხვადასხვა ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ მეტნაკლებად მაინც აინტერესებდათ ავტოსაქმე, ხშირად საუბრობდნენ ავტომობილებზე, ნაწილებზე... კახა იდგა, უსმენდა და თითქოს შურდა. არა, კი არ შურდა, უფრო სწორედ, ნანობდა, რომ თავისი ადგილი ვერ იპოვა.

ნახაზები იმ დღესვე იშოვა. არც არავის გაჰკვირვებია. ყველაფრის მიუხედავად, ერთი თვისება გააჩნდა. შეეძლო დაძაბულ რიტმს უცბად მორგებოდა. სესიების მოახლოვებისთანავე გამცდენი, ზარმაცი სტუდენტებისაგან «ბეჯითად» იქცეოდა, დარბოდა ლაბორატორიების, მოცემულობების, კონსპექტების საშოვნელად. ბიჭებს ახსნევინებდა პროექტებს, ლექციებს, ერთ-ორ კვირაში ხაზავდა და წერდა მთელი სემესტრის მასალას, მაგრამ ვერავინ ხვდებოდა, რომ ყველაფერ ამას სიძულვილი და უნებისყოფობა აკეთებინებდა. სიძულვილი აიძულებდა, რაც შეიძლება მალე მოეცილებინა თავიდან «საყვარელი» საგნები. უნებისყოფობა კი მშობლებთან კონფლიქტს არიდებდა. კი არ ეშინოდა, ეზარებოდა მათთან ჭიდილი და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.

რამდენიმე კაბინეტი შემოირბინა, ზოგს სთხოვა, ზოგს შეუბღვირა, ზოგსაც, უბრალოდ, ატყუებდა, მავანმა და მავანმა გამომგზავნა ამა და ამ ნახაზებისთვისო. ალბათ, დღის ბოლოს მაინც კარგ გუნებაზე დადგებოდა, მაგრამ ნერვები იმან მოუშალა, რომ იგრძნო, ბევრს მათ შორის, არა მარტო თანამდებობის პირებს, «სტარანაჩალნიკური» ჩვევები გააჩნდა. ასეთი ხალხი, როგორც კი იგრძნობს, რომ მასზე ხარ დამოკიდებული, იბღინძება, ზემოდან დაგყურებს, შეიძლება დაგეხმაროს კიდეც, მაგრამ გაგაწვალებს, რამე ფორმალური, უაზრო პირობის შესრულებას მოგთხოვს. თან ერთი გასაკვირი რამ ხდება. ისინი მუდამ საქმიანი არიან, შენზე დახარჯული დროის ასანაზღაურებლად შეიძლება შესვენებისას იმუშაოს, სამუშაო საათების შემდეგაც დარჩეს, მაგრამ...

კახასთვის სრულიად გაუგებარი იყო, საიდან უჩნდება ხალხს ასეთი უაზრო ძალაუფლების სურვილი; ზოგს იგი კარგი ცხოვრებისათვის უნდა, ზოგს საქმის საკეთებლად... ამათ კი ძალაუფლება, თუნდაც წვრილმანი, იმისთვის სურთ, რომ დაგამცირონ, დაგცინონ და ამით ფასი მოიმატონ საკუთარი თავის წინაშე. ალბათ, ესეც ამბიციონიზმია, მაგრამ სულელური, არაფრის მომცემი... ძნელია, მათ ებრძოლო. ეს ხომ შიშველი ბოროტება არ არის...

...მათი უმეტესობა ბავშვობიდან რაღაც საშუალო მასას ქმნის. ისინი არც საცოდავები არიან და არც ლიდერის მოუსვენარი ცხოვრება იტაცებთ. უბრალოდ, უნდა ცოტა ხნით გაეხვიონ დიდების ტყავში, თუნდაც ილუზიურად, და შემდეგ თქვან: «მე რომ მოვინდომო»... უმეტესად ასეთ ხალხთან ჰქონდა მთელი დღე საქმე და ნერვებიც ამან დააწყვიტა.

თვალები აეწვა, სათვალე მოიხსნა. გასასვლელში მარტოკა იყო შემორჩენილი... ცაზე აქა_ იქ ვარსკვლავები ბჟუტავდა... სიჩუმეს ბორბლების მონოტონური რახრახი არღვევდა...

...მამა უკვე ერთი წელია ქუთაისში მუშაობდა. თვითონ, თბილისშივე აღჭურვეს საჭირო ანეკდოტებით, ისტორიებით და წამოვიდა მისთვის უცხო ქალაქში. თავიდანვე გადაწყვიტა «ავტორიტეტის მოპოვება», რაც შეიძლება მედიდურად ეკავა თავი, თავისდაუნებლიედ წარბაწეული იჯდა პირველ გაკვეთილზე, მეორეზე მასწავლებელმა გამოიძახა «შესამოწმებლად». ხმა ამოიღო თუ არა, ფხუკუნი მოესმა, ტანზე დაიხედა, რაიმე ხომ არ მომაკრესო, ამან უფრო დიდი გამოცოცხლება გამოიწვია, რომ ვერაფერი შეამჩნია, განაგრძო _ ისევ სიცილი... მერე მიხვდა, მისი თბილისური ტონი აცინებდათ თანაკლასელებს.

თავიდანვე სამ ბიჭს დაუახლოვდა: ვახოიას, შაქროიას და ვალერიას. ვახოია ხუთოსანი იყო და გაკვეთილებზე სანიმუშოდ იქცეოდა. ოთხოსანი შაქროია, გვარიანი ცინიკოსი, აფორიზმებითა და ანდაზებით ესაუბრებოდა მასწავლებლებს. ვალერია სუფთა ოროსანი, ძირითადად ფანჯრების ლეწვით იყო დაკავებული. ვახოიას თუ ყოველთვის დადგენილი წესით, სუფთად და კოხტად ეცვა, შაქროია ჯინსებით და ფერადი პერანგით ცხადდებოდა სკოლაში, ვალერია კი სულაც ფიზკულტურის შარვლით მოვიდოდა და თანაც აუცილებლად «ველოსიპედით»... ვახოია ყველაზე მაღალი იყო კლასში, შაქროიასაც არ ეთქმოდა დაბალი, ვალერია კი ძლივს აჩნდა დედამიწას.

კლასი ზედ სამასწავლებლოს თავზე იყო და იქნებ სწორედ ამის გამო ხშირად ხდებოდა სხვადასხვა «ინციდენტი». ბავშვებისათვის გართობის ხუთი საშუალება არსებობდა:

I _ ბუფეტი

II _ ეზო

III _ _ «აგრესორების გაძევება» _ ვალერიას ერთი წლით უფროსი ძმა ჰყავდა (სულ სამნი იყვნენ) შემოვარდებოდა თავის ძმაკაცებთან ერთად და სწორედ აქ იწყებოდა «აგრესორების გაძევება».

IV _ კლასი იყოფოდა ორად და ატყდებოდა «კრწანისის ბრძოლა».

V _ იკეტებოდა კარი, ირთვებოდა სახლიდან ჩუმად წამოღებული მაგნიტაფონი და იწყებოდა «კონცერტი». ამაღლებულ ადგილას იდგა სახაზავებით და ჯოხებით შეიარაღებული «ანსამლი», ხოლო ქცევით «თაყვანისმცემელთა ჯგრო...»

კახა მისვლის მესამე კვირას «მოინათლა», კობაიასთან ჩხუბში გაუტყდა ცხვირი. ასე რომ «ავტორიტეტის მოპოვება» დაუჯდა ერთი ცხვირი და...

გაუხარდათ ბიჭებს, კახაიას არ დაუბეზღებია, კობაიამ თვითონ სცნო «თავი დამნაშავედ» მასწავლებელთა «საგამომძიებლო კომისიის» წინაშე. მეორე დღეს მთელმა კლასმა ინახულა ცხვირგატეხილი «ლომი». კობაიაც მოვიდა. იქვე შერიგდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბავშვები იყვნენ, მეორეც იმიტომ რომ კლასმა აღნიშნა ნათლობა. მესამეც, იმიტომ რომ კობაია და კახა ერთმანეთის «ჩერეზ ძმაკაცები» იყვნენ. თითქოს ყველაფერი მოგვარდა და...

არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან სურთ ყველას დაანახონ თავიანთი «მუშაობა», რასაც ხშირად დიდი ზიანი მოაქვს...

შერიგების მეორე დღეს დირექტორთან გამოიძახეს ვახოია და, როგორც მისგანვე შეიტყვეს, ჩხუბში ჩაქეზებისთვის «ტყავი გააძვრეს»... «გაფილტრეს». ეჭვი კახაზე მიიტანეს, თუმცა უბრალო ლოგიკაც კმაროდა ამ ეჭვის უსაფუძვლობის დასადგენად, მაგრამ ვისზე უნდა ეფიქრათ მაშინ... ისე, ვახოიამ აიკვიატა ეს აზრი თავიდანვე, მის ავტორიტეტს პატივს სცემდნენ კლასში და...

თავიდან კახა ვერაფერს ხვდებოდა, არაფერს აგრძნობინებდნენ. პირველი დემონსტრაციული ნაბიჯი შაქროიამ გადადგა: «ატაშოლი» მისცა. კახას არ უკითხავს რისთვის, რა გინდა, ნუ გინდაო. მეორე «ატაშოლი» ვალერიამ მისცა. კახა დაიბნა. დასვენებაზე ვალერიამ გაიყვანა განზე, ყველაფერი მოუყვა. ისიც დაუმატა, «ატაშოლი» ვახოიას სანახავად მოგეციო. მე მჯერა, შენ არ იტყოდიო. ერთს გთხოვ, ვახოიას ამაზე

ნურაფერს ეტყვიო, მე ვიცი, ვინ «ჩაუშვა» და დავამტკიცებო. თან ბოდიშიც მოიხადა, და თუ შენ გინდა...

ბოლობოლო, ერთი თვის შემდეგ, მშვიდობიანად დამთავრდა ყველაფერი, ვალერიამ აღმოაჩინა «ინფორმაციის წყარო», _ გემოზე დაბეგვეს კიდეც...

რიგრიგობით ეახლნენ ვახოია და შაქროია, ბოდიში მოუხადეს; თუ ვახოიას სურს... ერთადერთი, ვისთანაც უხაროდა შეხვედრა ამ ერთი თვის განმავლობაში, ვალერია იყო _ «ველიკების» და ფანჯრების მეფე, მაზუთში ამოსვრილი, მუდამ გულღიად, ხმამაღლა მოცინარი. ვალერია რომ არ ყოფილიყო... ან მის ადგილზე სხვა?!

... სიგარეტი გაუთავდა, ვაგონში შევიდა, ყველას ეძინა. უფრო საშინელი სუნი ტრიალებდა, მყრალი და ბინძური... ციოდა. მოსასხამი ჩაიცვა, სიგარეტი აიღო და ისევ გავიდა...

... მოწევაც იქ დაიწყო. ბიჭებმა შესთავაზეს, იუარა, მარტო «მარლბოროს» ვეწევიო. ვალერიას უფროსი ძმა ციხეში იჯდა, მისი ძმაკაცებისაგან ყოველდღე შოულობდა «მარლბოროს».

ბიჭები ხშირად იპარებოდნენ გაკვეთილებიდან. ჩვეულებრივი მარშრუტი ჰქონდათ: ცნობილი «ბიკენტიას საქაბაბე», კინო «კომუნა» და ბაღი. მეორე დღე, როგორც წესი, დირექტორის კაბინეტით იწყებოდა. დააყენებდნენ და სამგაკვეთილიან ლექციებს უტარებდნენ. ამაზე დიდი გასართობი თითქმის არსად იყო. ერთ-ერთ ასეთ დღეს დირექტორი მარტო თვითონ გაესაუბრა ბიჭებს. პირველი გაკვეთილის განმავლობაში თაროებში იქექებოდა, მეორესი _ კარადაში, ბოლოს, მესამე გაკვეთილის დასაწყისში, რაღაც დიდი წიგნი ჩამოათრია; საწერ მაგიდასთან მივიდა, გაიკეთა სათვალე, მოირგო და თქვა: აი, რას წერდა თქვენისთანებზე მაკარენკო...

ერთ დღეს ვალერია და კახა ისევ წავიდნენ «შატალოზე»: ახალი ამბავი გავარდა ქუთაისში _ თეატრის მოედანზე ლაღიძის წყლები გახსნესო. მათაც გადაუხვიეს ჩვეულ მარშრუტს, მოედანზე გაისეირნეს, ერთ-ერთ მაღაზიასთან ცალფეხა, ძალიან გამხდარი, სანდომიანი სახის, ძაძებში გამოხვეული მოხუცი მათხოვარი იჯდა, გვერდით ყავარჯნები ეწყო. ხელი საცოდავად ოდნავ ჰქონდა გამოწეული, თითქოს რცხვენიაო.

ვალერიამ შეამჩნია თუ არა, უცებ გაშეშდა, მიაშტერდა, სახე დაეღრიჯა, თვალები ცრემლით აევსო... არასდროს, არასდროს არ უნახავს და ვერც წარმოედგინა კახას სევდიანი მეგობარი... უხმოდ ისე, რომ ერთმანეთისათვის არც შეუხედავთ, მოხუცთან მივიდნენ, ჯიბეები ამოიფხიკეს და მორიდებით ჩაუყარეს ხელში ხურდა.

როგორც ვალერიამ მოჰყვა, ამ ქალს შვილიც ჰყოლია და შვილიშვილიც. რძალს გამოუგდია სახლიდან, შემდეგ შვილი რუსეთში გადასახლებულა და დედა საბოლოოდ მიუტოვებია. ავტოავარიაში მოყოლილა და ფეხი მოუხერხიათ, მაშინ ვერც მოიფიქრა ეკითხა, სხვა ვინმე ნათესავი ან გულშემატკივარი მაინც როგორ არ გააჩნდა საწყალს...

... მთელი ღამე სიზმარში მოხუცი მათხოვრის შვილს, რძალს და შვილიშვილს ურტყამდა. დაუნდობლად სცემდა ჯოხით, ხელებით... აჭრიდა ყურებს, ცხვირს... აწიწკნიდა თმებს... შიშველი გამოჰყავდა ტელევიზორში და დაატარებდა ქალაქში... ყიდულობდა ნაირნაირ საჭმელებს, სასახლეებს, მანქანებს, ქირაობდა მძღოლებს, მოხუცი დაჰყავდა უცხო ქვეყნებში... ყველა ხედავდა კახას კარგ ბიჭობას, ვაჟკაცობას, სიკეთეს, აღფრთოვანებული იყვნენ მისი საქციელით...

მეორე დღეს ფულის გროვება დაიწყეს. ვალერიას მამა არ ჰყავდა, უფროსი ძმაც ციხეში იყო და ოჯახს უჭირდა. კახას კი ყოველდღე მოქონდა «კინოში კოლექტიური წასვლის», «საწევროების», «ფარდების» ფული. მშობლები ენდობოდნენ, იცოდნენ, რომ არასდროს დამალავდა ხურდას, არ მოითხოვდა საჭიროზე მეტს... ენდობოდნენ და მანაც ისარგებლა, პირველად ისარგებლა... ამას ემატებოდა ვითომდა საქაბაბისათვის, კინოსათვის თუ კარუსელისთვის «დადებული მაყუთი». ვალერიამ კიდევ ერთი წყარო გამონახა. თამაში დაიწყო «სეკა», «დურაკა», ჭადრაკი, ნარდი, დომინო, ფეხბურთი, «ველიკებით» შეჯიბრი, «მინუს_ პიატი». არაფერზე უარს არ ამბობდა, ყველა გააკვირვა, აქამდე ვალერიას ლიმონათზე თუ ჰქონდა ნათამაშები...

დათქმული დღეც დადგა. გადაწყდა, გაკვეთილების მერე მიეტანათ ფული. კახას ოცდაათი მანეთი ჰქონდა, ვალერიას კი... სამოცი... საიდან? რანაირად?..

ვალერიას ერთ-ერთმა პარალელურკურსელმა ას მანეთზე «მინუსპიატის» თამაში შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. შემდეგ დასვენებაზე კახამ ნახა... თამაში მინუს ოცდაათამდე უნდა გაგრძელებულიყო, ჩაბარება _ გაკვეთილების შემდეგ.

კახას არასდროს უთამაშია ფულზე, არც გაუფიქრია, მითუმეტეს, «მინუსპიატის», კარგი მიზანი არ ჰქონდა.

... წაგების შემთხვევალი ფული ვალერიასთვის უნდა გამოერთმია, «თუმანსაც» სადმე იშოვიდა... თავიდან აგებდა. მინუს ათს იყო უკვე, მოწინააღმდეგე _ ნოლს. აზარტმა მოიცვა, ნერვები დაეძაბა, ოფლად იღვრებოდა, წელზემოთ გაიხადა... უნდა მოიგოს, უნდა მოიგოს, აუცილებლად. წაგების შემთხვევაში... არა. მოგება, მოგება. თავმოყვარეობა ახრჩობდა, აწამებდა, მისთვის აღარ არსებობდა ცალფეხა, საწყალი მოხუცი მათხოვარი, ის თამაშობდა... როგორმე უნდა შეეძლოს...

გამარჯვებული იერით გაუწოდა ფული ვალერიას, შენ მიეციო, უთხრა. ვალერიამ შენ შენი მიეციო, თქვა და შემობრუნდა, თავჩაღუნული გაუყვა ქუჩას. კახა გაწითლდა, ახლაღა მიხვდა, რისთვის ითამაშა, რისთვის ჩაადო საფრთხეში ამდენ ხანს ნაგროვები ფული... ვალერიას ეჯიბრებოდა, ვალერიას... მოხუცზე კი... უზომოდ შერცხვა, ცრემლები მოადგა... რითი, რითი იყო უკეთესი მოხუცი მათხოვრის შვილზე, რითი...

არაკაცურად მოიქცა, არაკაცურად! თანაც, ვალერიასთან მოინდომა «მარკის აწევა», ვალერიასთან, ყველაზე მძიმე წუთებში რომ ამოუდგა მხარში...

თავი შეზიზღდა, გული აერია...

თამაში... ვალერიამაც ითამაშა, მაგრამ... ის მოხუცისთვის თამაშობდა... თვითონ კი... სიკეთე ჩუმად კეთდება, ჩუმად... ისე, როგორც ვალერია აკეთებს და არა სხვის დასანახად, კარგი ბიჭობისათვის, მაშინ ხომ სულ ფეხებზე ეკიდა მათხოვარი...

ძლივს მოეგო გონს, თავს ძალა დაატანა და მოედნისაკენ გაეშურა. შესახვევთან ვალერია უცდიდა. მხიარული, მომღიმარი, ლაღი ვალერია...

ერთად მივიდნენ მოხუცთან და ფული ხელში შეაჩეჩეს. თან აქეთ_ იქით იყურებოდნენ, თითქოს რაღაცის ეშინიათო, რცხვენიათო.

მოხუცმა გაკვირვებით ამოიხედა. უცებ ტირილი აუვარდა. ბიჭებს ხელებში ჩააფრინდა და კოცნა დაუწყო. დაიბნენ, შეცბნენ, თავი სასწრაფოდ გაინთავისუფლეს და უკან დაიხიეს. მოხუცმა რაღაც ქაღალდი ამოიღო უბიდან, გახსნა და ბიჭებს გაუწოდა. შიგნით სამი მოძველებული კამფეტი იდო... თან ტიროდა, საბრალოდ ტიროდა, მოთქვამდა...

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ კახას მამა კვლავ თბილისში გადაიყვანეს. ბავშვების უმეტესობა დასასვენებლად იყო წასული. სადგურზე ვალერიამ გააცილა. მოფარებულ ადგილას მოწიეს «პრიმა», სუნის გასაქრობად კამფეტი შეჭამეს, ფოთოლი დაღეჭეს და დაემშვიდობნენ. ვალერია შეპირდა, ერთ კვირაში ჩამოვალო, მაგრამ... თბილისში ალბათ, ჩამოდიოდა, კახასთვის კი არასდროს მიუკითხავს. თვითონ რამდენჯერაც იყო იმის შემდეგ ქუთაისში, მართალია, ყოველთვის გავლით, აუცილებლად ნახულობდა, უსაყვედურებდა, რატომ არ მნახულობო, ისიც ჰპირდებოდა და... კახამ იცოდა, ის ამბავი არაფერ შუაში იყო: ვალერიამ იმ დღესვე აპატია. უბრალოდ, ძალიან მორცხვი იყო. თბილისში კი არადა, ქუთაისშიც არასდროს მიუკითხია სახლში, სულ რაღაცას იმიზეზებდა... დღესაც გაუარა, უთხრეს, ერთი თვით მოსკოვშიაო წასული.

ასე აღმოჩნდა ამ დახუთულ, ბინძურ, მყრალ ვაგონში.

თბილისში ჩასვლისთანავე ნახაზები სანაგვე ყუთში მოისროლა...

1985 წ. მარტი. თბილისი.

ორჯერ გავარტყი...

ჩემს ცხოვრებაში ორჯერ გავარტყი ქალს ხელი. საერთოდ ვფიქრობ, რომ როდესაც ქალი ამას დაიმსახურებს, მასთან შეხვედრა აღარც უნდა ინდომო... რა თქმა უნდა მხედველობაში მყავს ადამიანი, რომელსაც ეჯავრება სუსტი სქესის მიმართ ფიზიკური ძალადობა და საერთოდ ძალადობა.

ჩემს ცხოვრებაში ორჯერ გავარტყი ქალს ხელი... პირველად, პირველად ვთვლი, რომ ცოდვა არ ჩამდენია, უფრო სწორედ მის მიმართ სწორედ მოვიქეცი. მეორედ, ყველას აქვს ისეთი წუთები მოსაგონრად, რომელიც უნდა დაივიწყოს. რცხვენია, იმიტომ რომ გააკეთა ის, რაც თვითონ ეზიზღება... მეორედ ავყევი აზარტს, შევიჭერი როლში, რომელსაც იქვე ვთხზავდი და ვასრულები, როლს ეჭვიანი შეყვარებულის. ვინმეს თვალებში რომ ჩაეხედა, ალბათ შეამჩნევდა ცივ, აუღელვებელ გამოხედვას, მოქმედება კი... ხოლო გარტყმის შემდეგ სცენა მოგაგონებდათ ტრაგიკული, კარგად დადგმული სპექტაკლის ფინალ _ მანდილოსნის ვედრებით და ვაჟის «უზომოდ ტრაგიკული» უარით. ხშირად მიფიქრია, მე ვიყავი ის მსახიობი თუ...

... არა, დღეს მინდა გესაუბროთ იმ პირველ შემთხვევაზე. ამ განწყობილებას მიქმნის სიმარტოვე, ამ წუთებში რატომღაც უზომოდ ნათელი სული და სევდა. ალბათ ასეთი განწყობილება მონატრებამ იცის, მონატრებამ მშობლის, დედმამიშვილის, მეგობრების, ახლობლების...

ამ ისტორიაში თითქოს არაფერია აღმაფრენელი, ბევრი რამის ბანალურად ახსნაც შეიძლება, მაგრამ ჩემზე ყველაფერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და როდესაც ვიხსენებ, წარმომიდგება ისე, როგორც მაშინ წარმომედგინა და განვიცდი თითქოს ისე, როგორც მაშინ...

მეხუთე კლასში გადავდიოდი. დასასვენებლად წყნეთში დავიქირავეთ ოთახი. ეძვირათ მშობლებს მაგრამ...

... საერთოდ, როგორც მეუბნებიან, დაბადებიდან დილით მიყვარდა ძილი, ღამე კი ვფხიზლობდი. ეხლაც ყოველთვის ერთი და იგივე მესმის: «ჩააქრე სინათლე, დაიძინე!..»

... ეძვირებოდათ, მაგრამ ასე იაფად, ასეთ ნათელ და კარგ ადგილას განლაგებულ ოთახს ვერსად ვიშოვიდით. ჩემთვის მაშინ სულერთი იყო სამზარეულოს სიშორე, წყლის უქონლობა... საერთოდ ეს ყველაფერი არ მაღელვებდა, მე არ ვრეცხავდი სარეცხს, თეფშებს, არ ვამზადებდი საჭმელს... ჩემს მოვალეობას შეადგენდა მხოლოდ ძმის ძიძაობა და თავისუფალ დროს თამაში. დანარჩენს ვიღებდი როგორც ჩვეულებრივს, კუთვნილს, ვიწექი და იმაზე ვფიქრობდი, რომ უცებ არ შემოსულიყვნენ არ შეემჩნიათ ფხიზელი თვალები. იმაზეც ვფიქრობდი, იქნება თუ არა ვინმე ჩემხელა, ვისთანაც ვითამაშებდი, გავატარებდი თავისუფალ დროს.

ასე თუ ისე მე და ჩემმა ძამიკომ წყნეთში დავიდეთ ბინა. მე და ჩემმა ძმამ_ მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ დედ_ მამა მეგონა ყოველთვის ჩემთან მყოფელი, განუყრელი, საყვარელი «საგანივით». არავის ეგონოს, თითქოს არ მიყვარდნენ. როგორ არა, უბრალოდ, ბავშვს მშობლების ეშინია, აქვს ხათრი, უყვარს, მაგრამ ყველა ამ გრძნობას არ უფიქრდება, იღებს ინსტინქტურად და ოდნავ მაინც ვერ გრძნობს მათ. მხოლოდ ასაკში შესვლისას ან ექსტრემალურ პირობებში შინაგანად ხვდება ყველაფერს.

ძმა... ძმა კი ჩემთვის სულ სხვა რამ გახლდათ, იგი წარმოადგენდა პირველ ადამიანს ვინც მებარა, ვისაც ვუვლიდი, ვპატრონობდი, მიყვარდა უზომოდ და ვისზედაც ამაგი მქონდა.

ჩასვლისთანავე ყველაფრის შესწავლა დავიწე. პირველი რაც ჯერ კიდევ გზაში დავადგინე, ეს იყო «ჩვენი სახლის» ზემო წყნეთში არსებობა. ჩვენთან რომ მოვხვედრილიყავი ერთი ეზო უნდა გაგვევლო, რომელიც სახლის პატრონის ძმას ეკუთვნოდა. თავიდან მომეწონა ეს ამბავი. მიხაროდა, რომ მათაც ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც მე და ჩემს ძმას. ერთმა რამემ გამიელვა მხოლოდ: «რატომ ჰყოფს ეზოებს ვიწრო არხისებრი თხრილი»... უბრალოდ გამიელვა... ისიც მეხამუშა, რომ დედამ გამაფრთხილა: «თუ გკითხა ვინმემ რამდენს აძლევთო, უთხარი დღეში მანეთს_ თქო». მხოლოდ შემდგომში გავიგე შინაარსი, როდესაც სახლის პატრონს ფინანსინსპექტორი «დაადგა თავზე».

მე ჩემთვის, ჩვეულებისამებრ მივადექი განმარტოებულ ადგილს და დავიწყე გარემოს თვალიერება. ხეხილი, მანქანის სადგომი, ორი სახლი, მამაჩემთან მოსაუბრე ორი ძმა, მათთან მოპირდაპირე მდგომი; თანაბარ მანძილით დაშორებული, ფანელის ჭრელ მოსასხამებში «გამოწყობილი» ქალები, მოფუსფუსე დედაჩემი და...

I. რას დგახარ გამოშტერებული, არ უნდა მიხედო ბავშვს?..

II საერთო ძახილი: შეეშვი, ნუ პუტავ ქათამს, ნახე რა მოგცე...

III. დედიკო, დღეს მე გავაკეთებ საჭმელს... ვა�ა, ااا, გა_ მიიშშვიიიი, აღარ გავაკეთებ_ ბ_ ბ, გამიშვი არ მინდა ძილი_ ი_ ი_ ი, ااا_ ა_ ა, და...

IV. სასოწარკვეთილად წარმოთქმული ჩემი სახელი.

საღამოს სახლის პატრონის ძმისშვილები გავიცანი: ჩემზე ორი წლით უფროსი სოსო და ასევე ჩემზე ერთი წლით უფროსი ნინო. ჩვენს «ხაზეიკას» და «ხაზეინს» შვილები არ ჰყავდათ, რადგანაც როგორც მეზობელი ლოთისაგან «გავიგე», «ხაზეინი» ახალგაზრდობაში ბევრს გრიალებდა და ბევრი რამეც ჰქონდა გადატანილი»...

სოსოს და ნინოს გაცნობამ თავიდან გამახარა, მეგონა მეგობრები შევიძინე, შემდგომმა გამოცდილებამ დამარწმუნა რომ ვცდებოდი. სოსო ყოველდღე «მატყუებდა», მაგალითად ცხენის ნალში გამიცვალა უბადრუკი, დაჩუტული ბურთი და თან ისე უნამუსოდ და სწრაფად ჩამოთვალა «ბურთის» უპირატესობა, ისეთი «ენერგიული ზემოქმედება» მოახდინა ჩემზე, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი.

მეორე მიზეზი ჩემი ანტიპატიისა გახლდათ მასში ხეპრე თვითსიყვარულის, თვითაღფრთოვანების და ძალისადმი თაყვანისცემა. იმ დროს ზედმეტად მშვიდი ხასიათი მქონდა, ძალიან უნდა გავებრაზებინე ვინმეს, ან ჩემი ძმა უნდა დაეჩაგრა, რომ ხელი ამეწია. ისიც სარგებლობდა, ხან «მატყუებდა», ხან დამცინოდა, ხანაც ვითომაც ვერ მამჩნევდა... ნინოც ძმის ორეული, თვითდაჯერებული, ხეპრე, უზრდელი და უტაქტო გახლდათ. თანაც, ორივეს ერთი «საზარელი» თვისება გააჩნდა _ არასოდეს არ მეხმარებოდნენ ძმის მოვლაში...

ასეთ «ეპითეტებს» რომ ვხმარობ მათ შესამკობად, შეიძლება იფიქროთ, მეხუთეკლასელ ბავშვს საიდან ჰქონდა ამის აღქმის უნარიო, ან კი შეიძლება ბავშვს უწოდო ხეპრე, თვითაღფრთოვანებული, უტაქტო... /?/ ალბათ ამ სიტყვებით მინდა გამოვხატო ჩემი მაშინდელი გრძნობები, გრძნობა სირცხვილისა მათი საქციელის მიმართ. რატომღაც ისეთი მგონია, თითქოს სრულიად ჩამოყალიბებულ პიროვნებებს აღვწერდე... ანდა შეიძლება დღემდე ვერ მიპატიებია მათთვის და ჩემი თავისთვის...

... გადიოდა დღეები, ნელ_ ნელა შევეჩვიე გარემოს, თანდათან გავიჩინე ახალ_ ახალი ნაცნობები, ამხანაგები, მამა კვირაში სამჯერ_ ოთხჯერ გვნახულობდა. როდესაც მივლინებაში აგზავნიდნენ, მაშინ დედას ამოჰქონდა თბილისიდან სანოვაგე. ასეთ შემთხვევაში ძმის ერთადერთი და სრულუფლებიანი პატრონი მე ვიყავი. ვაჭმევდი საჭმელს, ვდურთავდი ლოგინში და სასტიკად ვუკრძალავდი ადგომას. მეგონა დაიძინებს და სათამაშოდ წავალ_ მეთქი, მაგრამ მატყუებდა. გავიდოდი თუ არა სახლიდან ისიც დგებოდა, დარცხვენილი სახით მომაკითხავდა და ხალხში აცხადებდა: «გია, ჩქარა მიშველე...» ვერაფრით ვერ ვისწავლე ჭკუა...

ერთ-ერთ ასეთ დღეს დედაჩემი ავარიაში მოჰყვა. ტაქსს რომელშიც იგი იჯდა, ჟიგულმა დაარტყა უკნიდან. საშინლად დაშავდა და საავადმყოფოში მოთავსეს, როდესაც შემატყობინეს, ვერ აღვიქვი, ვერ წარმოვიდგინე... გადიოდა დღეები, დედა არ ჩამოდიოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გრიპი აქვს და ამიტომ არ გვნახულობს, რომ არ გადაგვდოსო... ჩემი ძმა ყოველ დილა_ საღამოს მოკლე კონცერტებს მართავდა. ტიროდა, ეძახოდა, მაგრამ მე და სოფლიდან სასწრაფოდ ჩამოსული ბებიაჩემი მალე ვამშვიდებდით და მხიარულ განწყობილებაზე ვაყენებდით. მთელი შეგრძნებით მინდოდა გამერკვია, აღმექვა, რა მოუვიდა დედას. «მძიმედაა საწყალი... უბედური დედამისი, საწყალი არც იმჩნევს... ბავშვებს უფთხილდება... ღამით ტირის ხოლმე... დაობლდნენ ბავშვები»... _ ეს ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა...

ერთ საღამოს თბილისში ჩამიყვანეს, ჩამაცვეს გამოსასვლელი ტანსაცმელი, დამვარცხნეს გულმოდგინედ თმები... ბებია რაღაც საზარელი ხმით მოთქვამდა, გაშტერებული ვაცეცებდი დაბნეულ თვალებს...

პალატაში რომ შემიყვანეს, დავიწყე ავადმყოფთა თვალიერება. ვეძებდი დედას... ვიცოდი დედა უნდა მენახა! ფანჯარასთან მისი თვალები შევამჩნიე. მთელი ტანი და

სახე ახვეული ჰქონდა... არც კი ვიცოდი თუ ასე კარგად ვიცნობდი დედის თვალებს, ან შეიძლება ინსტინქტმა მიკარნახა... დედა არ წამოდგა, არ გაინძრა, არ მომეფერა... მხოლოდ თვალები, თვალები დაახამხამა. ვიყურებოდი საწოლისაკენ, ეს იყო დედაჩემი, მოხდენილი, ულამაზესი, უსათნოესი... ეს იყო დედაჩემი?! ახლო მისვლის მეშინოდა, მაკანკალებდა, პირველად ვგრძნობდი დაკარგვის საშიშროებას, ტანი მიხურდა, ფეხები გამიბუჟდა, ხმას ვეღარ ვიღებდი... როგორც იქნა მივაღწიე საწოლს. მიყურებდა, თვალს არ მაცილებდა და... თვალები... თვალები... ასეთი შეწუხებული, შიშნარევი, თბილი და ხარბი გამოხედვა აღარსად მინახავს...

მთელი ღამე ვტიროდი. წამოვდექი და გარეთ გავედი. არაფერი ჩამიცვია, მაგრამ წყნეთის ღამის სუსხი ვერც ვიგრძენი. ვიდექი ჩემთვის ტრიალ მინდორზე და ვტიროდი, ვტიროდი, ვტიროდი... აღარავის ძილის მოფრთხილება აღარ იყო საჭირო... ვტიროდი... ვტიროდი... არც კი ვიცი, როგორ დავბრუნდი სახლში და დავიძინე. არ მციოდა_ მეთქი რომ ვთქვა, ალბათ მაინც ვიგრძენი... ალბათ...

მესამე დღეს გავიგე, უფრო სწორედ მივხვდი, რომ დედა გადარჩებოდა. უფროსები უფრო ფუსფუსა და ენერგიული გახდნენ, თითქოს ყველაფერი ნელ_ ნელა იცვლებოდა. ასეთმა ატმოსფერომ ერთი კვირა გასტანა. მამაჩემს ისევ დაუნაღვლიანდა თვალები. ბებიას უთხრა: «ბევრს ვცდილობდი მაგრამ... ვეღარ ადგება, მიეჯაჭვება ლოგინს»... ისევ ჩამაცვეს გამოსასვლელი ტანსაცმელი, ისევ გულმოდგინედ დამვარცხნეს თმები, ისევ ჩამიყვანეს თბილისში... პალატაში შესვლისთანავე მივიჭერი საწოლთან, უკვე აღარ მეშინოდა, ვიცოდი იცოცხლებს, იცოცხლებს!.. დედამ ჯერ ისევ თვალები შემაგება, მერე ძლივს წამოიწია ცოტათი, ხელი და ხელზე დამადო.... მეორე დღეს დედა წამოჯდა. შემდეგ წამოდგა, ნაბიჯი გადადგა... ყოველ საღამოს ველოდი ახალ ამბებს... ერთი, ორი, სამი, ხუთი, ექვსი, შვიდი, ვითვლიდი და ვოცნებობდი ახალ ნაბიჯებზე, იმ დღეზე, როდესაც გაიღება კარები და თავისუფლად შემოაბიჯებს, მოვა ჩემს საწოლთან და მომეფერება.

თანდათან ვცოცხლდებოდი, ისევ ვამჩნევდი გარემოს, ბუნებას... ისევ გამოჩნდნენ ბნელიდან ამხანაგები, ნაცნობები, ისევ ვამჩნევდი სოსოს, ნინოს, კვლავ მწყინდა მათი უკუდო ამპარტავნობა, უზრდელობა, მაგრამ ყველაფერ ამას უფრო ადვილად ვიტანდი.

ერთ დილას ვაშლი მოვწყვიტე სოსოს და ნინოს ეზოში. ნინომ დამინახა და დედა შემაგინა... შემაგინა... აქამდე არავის არ შეუგინებია დედა... არავის... არავის... თანაც დედა... ძლივს რომ გადარჩა, სიარულს რომ სწავლობდა... არ მოვიტყუები და იმ წამს ნამდვილად არ მახსოვს ჩემი გრძნობები, ფიქრები... გამოვეკიდე. თავის დასაცავად სახლში შევარდა. მაგიდასთან მშობლები და სოსო ისხდნენ, ჩაის მიირთმევდნენ. ყურადღება არც მიმიქცევია. შეშინებული საწოლზე დაწვა და ხელ_ ფეხის ქნევა დაიწყო. ვეცი სოსოს, გამოვგლიჯე ხელში გაშეშებული რკინის ჭიქა, ნინოს მივვარდი და მთელი ძალით ჩავცხე თავში., ბედად აცურდა და ხელიდან გამისხლტა, იქვე ცოცხლს დავწვდი, ავუწიე კაბა და უმოწყალოდ დავუწყე ცემა... არავის გავუჩერებივარ, ხმაც არ ამოუღიათ... ულმობლად ვურტყამდი, უკვე ჩემთვის სულერთი იყო სად ხვდებოდა, თან თმებშიც ჩავაფრინდი და ვწიწკნიდი... გაგიკვირდებათ., მაგრამ მახსოვს ჩემი არაადამიანური სისასტიკე... სადიზმი, ნინოს თევზივით ფართხალი...

არავის არაფერი უთქვამს, არ ვიცი თვითონ მოუყვა მშობლებს ყველაფერი და... ან უბრალოდ შეიძლება შერცხვათ, რომ არ გამაჩერეს... ან კიდევ შეიძლება შემიცოდეს და არც სჯეროდათ დედაჩემის...

როგორ გავატარე დარჩენილი დრო წყნეთში აღარ მახსოვს. მეხსიერებაში მხოლოდ წასვლის მომენტი დამრჩა... უფრო სწორედ, ის რომ, ნინო დავინახე, კარებთან იდგა, სახე ზოგ ადგილას დალურჯებული ჰქონდა, ფეხებზე და ხელებზე ძნელად შესამჩნევი ზოლები ეტყობოდა...

ჩემს ცხოვრებაში ორჯერ გავარტყი ქალს ხელი. საერთოდ ვფიქრობ...

P. S. ერთი რამე უნდა დავამატო, როდესაც დედაჩემი თავისი დამტვრევის ამბავს იხსენებს, ამბობს: «რომ მახსენდება ვგიჟდები, ესენი უპატრონოდ მიყრილი»...

1985 წ. მარტი. ქუთაისი.

<u>ა ღ ს ა რ ე ბ ა</u>

ცხოვრებაში ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანი პასუხს არ აგებს მოქმედებებზე. ხანდახან ამის მიზეზია ფსიქიკური შეშლილობა, შიზოფრენია. ხანდახან ნარკომანია, ალკოჰოლი, აფექტი, სულიერი სიცარიელე. თუმცა ეს ყველაფერი, არავითარ შემთხვევაში არ გიხსნის პასუხისმგებლობას როგორც საზოგადოების, ასევე საკუთარი სინდისის წინაშე. ბოლო სამ მიზეზს შეიძლება მივაწეროთ ჩემი მოქმედება. ვიცი, რომ იურიდიულად ამით თავის მართლება ძნელია მაგრამ, ამ მიზნით სულაც არ მინდა გესაუბროთ. უბრალოდ, ვიღაცას უნდა გავანდო ყველაფერი ის, რაც გულში მიდევს და ამდენი ხანია გამოსავალს ეძებს, რაც მიცამტვერებს და მიცარიელებს სულს.

ბავშვობა ჩვეულებრივი მქონდა, არც ძალიან განებივრებული და არც მძიმე. ვუყვარდი და მიყვარდნენ მშობლები, ბებიები, ბაბუები, ნათესავები, მეგობრები. მქონდა ბავშვური სიხარულიც და წყენაც, რომელიც მალე, რამდენიმე წუთში მავიწყდებოდა. არასდროს ვიდებდი გულში ბოროტებას, არ გამჩენია სამაგიეროს გადახდის სურვილი. ყველაფერს ლაღი, გულუბრყვილო თვალებით ვუცქეროდი.

ზაფხულს ყოველთვის სოფელში ვატარებდი, მოუთმენლად ველოდი ამ დროს. მიყვარდა ჩვენი სახლი, ეზო, ხეხილის ბაღი, მოშრიალე ყანა, დარბაისელი, სათნო ვაზი, სხვადასხვა ბავშვური თამაშობები, მდინარეში ჭყუმპალაობა, ჩრდილში ჭილოფზე წამოწოლა, მუსაიფი ქვეყნის თუ სოფლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, ხილის მოპარვა... თანაც სასაცილოა, თუ ჩემს ეზოს ავირჩევდით, გემოს ვერ ვატანდი. ასეთივე დღეში იყო ყოველთვის სხვა «მასპინძელიც». შევესეოდით ხან ატმის, ხან თუთის, ლეღვის, ბლის, ვაშლის, ალუჩის, ტყემლის, კაკლის, მეტადრე კი თხილის ხეებს და ისეთ ბრდღვნას ვუშვებოდით, რომ წამლად ერთ ნაყოფსაც ვერ ვიპოვიდი. ყოველდღე ისმოდა უფროსების ჯაჯღანი, ყვირილი, წყევლა_ კრულვა, მუქარაც მაგრამ, არავინ გულით არ გვიწყრებოდა, უბრალო პროფილაქტიკას გვიტარებდნენ, თავს ვერ გაართმევდნენ. წყლის «მოზიდვაც» მეკისრებოდა. დავიკავებდი პატარა თიხის დოქს და ჩაფით ხელში მომარჯვებულ ბაბაუაჩემის გვერდით, ამაყად მივაბიჯებდი სოფლის

ბოლოში კამკამა, ცივ წყაროზე. ასეთ განცხრომაში და «შრომაში» მიდიოდა იმ ზაფხულის დღეებიც...

ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ისტორია, რომელმაც სხვაგვარად დამანახა ყველაფერი, ბევრი რამ შემიცვალა ცხოვრებაში...

ჩვენს კარის მეზობელს, რაც თავი მახსოვდა, ერთი მეძებარი ძაღლი ჰყავდა, იშვიათი, შავი ფერის ირლანდიური სეტერი, სახელად შარიკა.

ალბათ ცოტათი მაინც წარმოგიდგენიათ იმერული სოფელი, თითქმის ყველა უბნებადაა დაყოფილი, რომელთა მაცხოვრებლებიც ნათესავები არიან. თვითონ უბნებშიც გამოყოფილია, შეჯგუფებულია რამდენიმე სამოსახლო. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ყველას უნდა ვინმე მეზობელიც ჰყავდეს ახლოს და თან სახნავ_ სათესი მიწების ნაწილი მაინც სახლის გვერდით იყოს განლაგებული. ჩვენს უბანში ვცხოვრობდით ბაბუაჩემის, მისი ბიძაშვილის, შარიკას პატრონის და მისი ძმის ოჯახები. კარგი მეზობლობა გვქონდა. ჭირში, ლხინში თუ ჯაფაში ერთად ვიყავით. რა თქმა უნდა, უფროსებს არც ჩვეულებრივი კინკლაობა აკლდათ. ხან რომელიმეს ღორმა ბოსტანი გააჩანაგა, ხან ვინმეს თხამ ვენახში ჩაიტკბარუნა პირი, ხან კიდევ რა! მაგრამ, ყველაფერს მალე ივიწყებდნენ და მუდამ მზად იყვნენ დახმარების ხელი გამოეღოთ ან ლხინი გაეზიარებინათ.

შარიკა უზომოდ უყვარდა პატრონს. ჯარში ძაღლის მომთვინიერებელი იყო და როდესაც თავისუფალ დროს გამონახავდა, სულ მის წვრთნას უნდებოდა. ასწავლიდა სხვადასხვა ბრძანების დამორჩილებას, ნადირობას, ჩხუბში გამოსაყენებელ ილეთებს, სიმაღლეზე ხტომას, კოტრიალს და სხვა საცირკო ნომრებს. შარიკა ტყუილუბრალოდ არავის დაუყეფავდა. ბავშვებისათვის ერთხელაც არ შეუღრენია. პატარაობისას ხშირად მომინდომებია მასზე ამხედრება, გაწბილებულს ფეხიც კი ჩამირტყამს, მაგრამ, საცოდავს, წკმუტუნის მეტი არაფერი აღმოხდებოდა, პატრონივით მეერთგულებოდა, მეფერებოდა, მეთამაშებოდა, ერთხელ ხიფათსაც გადამარჩინა. საბანაოდ მივდიოდი მდინარეზე, უეცრად, სოფლის ბოლოში, ერთ-ერთი მეზობლის გერმანული «ავჩარკა» გამომიხტა ყეფით და ღრენით. შურდულივით გამოექანა ჩემსკენ. დამფრთხალი, სასოწარკვეთილი ვიდექი, ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი, არ ვიცოდი რა მექნა, სად გავქცეულიყავი. თავზე რაღაც გადამევლო. ამან უფრო შემაშინა და ღრიალი მოვრთე. ცოტა აზრზე რომ მოვედი, დავინახე, ჩემს ტირილზე გამოსულმა მეზობელმა, «ავჩარკა» ძლივს გამოჰგლიჯა შარიკას კბილებიდან. საცოდავად გამოიყურებოდა ჩემი შემშინებელი უკუდო და უყურო, დასისხლიანებული პირისახით.

ამ ამბავმა უფრო დაგვამეგობრა. აღარასოდეს ვაწვალებდი. პატრონის მოცლამდე სულ ჩემთან ერთად დაყიალობდა. მოვალეობაც ეკისრა: ბაღში ხილის მოსაპარად გადამძვრალებს, ყოველთვის ყეფით გვატყობინებდა უფროსების გამოჩენას.

მხოლოდ იმ ზაფხულს რაღაცნაირად შეიცვალა, ნაკლებად მოძრაობდა, იშვიათად ტოვებდა ეზოს. ვეღარც საცირკო წარმოდგენებს მართავდა და აღარც სანადიროდ დაჰყავდათ. მოხუცდა, დანაღვლიანდა შარიკა. თუ ადრე, მითუმეტეს, ჩემი გადარჩენის შემდეგ, ყველა აღფრთოვანებული იყო მისი ერთგულებით, ჭკუით, ყნოსვის უნარით, სიმარდით, ძალით, ეხლა უკვე ხშირად მესმოდა სახლშიც და მეზობლებშიც, რომ ეს ძაღლი ავადაა, მუნი სჭირს, საშიშია ბავშვებისათვის, გადასაგდებია ან მოსაკლავი. აღარავის ახსოვდა საცირკო წარმოდგენები, ბავშვების სიყვარული, ჩემი ხსნა... ყველაზე

მეტად ბაბუაჩემი და პატრონის ძმა აქტიურობდნენ. ყველაფერი მესმოდა, ვხედავდი მაგრამ ვერ აღვიქვამდი. ვერ დამეჯერებინა, რომ შარიკა აღარ იქნება. მჯეროდა ხალხის სიკეთისა, გონიერების, მადლიერების, ბაბუაჩემის... მეგონა, უბრალოდ იმუქრებოდნენ, როგორც ხეხილის მოპარვისას...

დიდი ვაივაგლახის შემდეგ ვეტერინართან წაიყვანეს. როცა მოვიკითხე, ამიხსნეს ძაღლების საავადმყოფოშია და მალე გამოვაო. მხოლოდ შემდგომ გავიგე და მივხვდი, რომ პატრონი შარიკას უკან აღარ ჩამოიყვანდა, ანდა ექიმები აღარ გამოუშვებდნენ საშიშროების გამო. ერთი კვირის თავზე, კვლავ გავიგონე ნაცნობი ხმა, თითქოს დაბრუნება შემატყობინა, რამდენიმეჯერ მძლავრად დაიყეფა, თავის საყვარელ ადგილას, კაკლის ძირში იყო წამოგორებული. უცებ გამიარა ბუნდოვანმა ეჭვმა, დაკარგვის შიშმა, გავვარდი და მოვეფერეთ ერთმანეთს.

ორი დღის შემდეგ ავად გავხდით მე, შარიკას პატრონის შვილი და ძმისშვილი; მაღალი სიცხეები მოგვცა, ტანზე წითლად დაგვაყარა. იმ საღამოს საშინელი რამ მოხდა... ძილბურანში ჩხუბის ხმა და ძაღლის წკმუტუნი ჩამესმა. ოთახში არავინ იყო. ბებია ვახშამს ამზადებდა. ფანჯარასთან მივედი და დავინახე შარიკას გარშემო შეჯგუფებული ბაბუაჩემი და მეზობლები. ყველა რაღაცას გაჰყვიროდა. შარიკას პატრონმა ხელი ჩაიქნია და სადღაც წავიდა. მისი ძმა კი სახლში შევარდა, თოფი გამოიტანა, ვაზნების ჩალაგება დაიწყო, თან ხმამაღლა ილანძღებოდა ვიღაცის მისამართით. ვერ მივხვდი რას აპირებდა... არც არავის გაუჩერებია... პირიქით, ყველა თავს აქნევდა. ბაბუაჩემიც... კაცი, რომლის სიკეთეში, გულისხმიერებაში, ლმობიერებაში ეჭვიც არ მეპარებოდა... სროლის ხმა გაისმა, შარიკამ საშინლად ამოიოხრა... თურმე ძაღლებსაც შეუძლიათ წყევლა...

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიდექი გაშტერებული და ენადაბმული. მერე უეცრად მომეხსნა ავადმყოფობის სისუსტე, კარები გავაღე და ეზოში გავვარდი, ვეცი შარიკას...

არ მჯეროდა... მინდოდა სიცოცხლის ნიშანი შემემჩნია... ყელი გამიშრა... მომცვივდნენ, გაყვანა დამიპირეს. თავი გავინთავისუფლე და ავდექი. თვალებს ვეძებდი, მინდოდა ჩამეხედა და მათში სინანული ამომეკითხა... გულისდაწყვეტა მეგრძნო... ამის მაგივრად დავინახე უბრალო სირცხვილი, ცუდ საქმეზე რომ წაგასწრებენ და... მხოლოდ სროლის ხმაზე მოვარდნილი, შარიკას პატრონი იყურებოდა... ბოროტად! მის გამოხედვაში ამოიკითხებოდა ზიზღი... მე და_ ძმა არ მყავს და ყოველთვის მშურდა მათი ვისაც ეს ბედნიერება არგუნა ღმერთმა. იმ დღეს კ... იდგა ორი ძმა... ერთმანეთის მტრები... თითქოს მკვლელს ჰქონდა გასასამართლებელი საბუთი, ბავშვები... მაგრამ პატრონიც ხომ ორი შვილის მამა იყო...

მეორე დღეს ექიმი ჩამოვიდა რაიონიდან და გაგვსინჯა. აღმოჩნდა რომ გაურეცხავი მკვახე ხილით მოვიწამლეთ... შარიკა კი... გესმით? შარიკა კი მოჰკლეს... სამ დღეში მოვჯობინდი და იმდენი ვქენი, თბილისწი წამიყვანეს. იმ ამბის შემდეგ სოფელში მხოლოდ ორჯერღა ჩავედი. ბებიას და ბაბუას დაკრძალვაზე.

ამ ისტორიამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. პირველად განვიცადე საყვარელი არსების სიკვდილი. თანაც ძალადობით, ჩემს თვალწინ... პირველად აღვიქვი, ადამიანებში ბოროტი საწყისი, ულმობლობა, სისასტიკე, უმადურობა. შევიცვალე, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებდი, დავკარგე პატიების გრძნობა, აღარ მჯეროდა უანგარო სიკეთის ან უნებლიე დანაშაულის, ყველას ვებრძოდი, ყველაში პოტენციურ მტერს ვხედავდი,

ბოროტს, დაუნდობელს და თვალთმაქცს, მთელს ქვეყანას ომი გამოვუცხადე, მშობლებსაც კი...

მარტო მეგობრების იმედიღა მქონდა, იმიტომ რომ ისინი ჩემთან ერთად იზრდებოდნენ, ჩემნაირი ჭრილობები ტკიოდათ. ჩემნაირად ცხოვრობდნენ... შემდგომში მივხვდი, რომ აქაც ხშირად ვტყუოდი, ბევრი ჩვენგანის გზა გაიყო, ბედმა მოგვისროლა სხვადასხვა მხარეს... თუმცა გულიდან არაფერი იშლება...

... ბავშვური გულუბრყვილობა, სიხალისე და სიცოცხლის სიყვარული დავკარგე გავხდი გულჩათხრობილი, ეჭვიანი, უცხოსთან კონტაქტში ადვილად ვეღარ შევდიოდი. ადვილად კი არა და... ჩხუბს, წყენას დიდი ხნით ვიმახსოვრებდი. დაუნდობლად ვუსწორდებოდი მოწინააღმდეგეს, თითქოს შარიკას ჯავრი მინდოდა ამომეყარა.

დიდი ჯაფა დაადგათ მშობლებს ჩემს დასაწყნარებლად. ნელ_ ნელა სიჭაბუკე შემომეპარა, ჩავები ცხოვრებაში, გამიჩნდა ახალ_ ახალი ინტერესები, პრობლემები, ოცნებები: ატესტატი, ინსტიტუტი, ცოლის მოყვანა...

ერთი ბავშვობის მეგობარი მყავს. პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ. საწყალი, დაბადებიდან კუზიანია. გულით კი კეთილი, უბოროტო, თავდადებული. ერთხელ, რაღაც დააშავა. დირექტორმა, მათემატიკას მასწავლიდა, კლასიდან გააგდო, გასვლისას გადმოგვხედა და გაგვიღიმა. დირექტორი უეცრად ადგილიდან წამოიჭრა და ყვირილი დაუწყო: «შე მახინჯო, დისტროფიკო... გაეთრიე შე რახიტიანო».

მეათე კლასში ვიყავით, გვეშინოდა ატესტატის გაფუჭების. დირექტორს ვერ ვიტანდით მაგრამ, ვცდილობდით თავი მოგვეწონებინა, არ გაგვებრაზებინა, ხმა იმიტომაც არ ამოვიღეთ. თავი ჩავქინდრე მეც, თითქოს ვერც ყვირილი და ვერც მეგობრის პასუხი გავიგე: «მახინჯო!» ჰმ... «ვზიატოჩნიკ!»...

სასწავლო წელი ახალდაწყებული იყო და ადვილად გადავიდა სხვა სკოლაში. შემდგომში ხშირად მოდიოდა სანახავად, ჩვენსკენ მოუწევდა გული. ეხლაც უახლოესი მეგობრობა გვაკავშირებს...

იმდენად შემრცხვა ჩემი საქციელის, იმდენად განვიცადე, რომ პირობა დავდე, დირექტორს სისხლს გავუშრობ_ მეთქი...

ყოველდღე ახალ_ ახალ ხრიკებს ვიგონებდი. ვეჩხუბებოდი მასწავლებლებს, ბავშვების თანდასწრებით ვამცირებდი, ვაგინებდი... ერთხელ მანქანა დაგინაღმე_ მეთქი, ვუთხარი. გაკვეთილების შემდეგ ეზოში დავიმალეთ მე და ჩემი რამდენიმე თავქარიანი მეგობარი. შესულა სამხედრო ოთახში, «მინაისკატელი» გამოიტანა და მანქანის გასინჯვა დაიწყო. არც კი იცოდა ყველა ლითონზე რომ რეაგირებს. უეცრად წამოვადექით თავზე ფოტოაპარატით, სურათი გადავუღეთ და ხარხარი ავტეხეთ. საცოდავად გამოიყურებოდა საწყალი, იცოდა, მთელს სკოლას მოვდებდით მისი გაბრიყვების ამბავს.

იმ დღესვე, დიდ ფორმატზე დავბეჭდეთ ფოტო. სახაზავ ფურცელზე გვირგვინის მაგვარი რაღაც დავხატე, ქვემოთ წავაწერე: ჩვენს საყვარელ «საპიორს» _ ამფეთქებლებისაგან. მეორე დილას მერხს პლასტიკატი ავაძრეთ, ზედ დავდეთ ფიზკულტურის შარვლის და სასკოლო ფორმის პიჯაკისაგან გაკეთებული ფიტული. თავის ადგილას გახეთქილი, ჩაჩუტული ბურთი მოვათავსეთ და სამგლოვიარო პროცესზე ნებით თუ ძალით, მთელი კლასი გამოვიყვანე. წინ მე მოვუძღვებოდი სურათით ხელში, შემდეგ ჩემი ერთ-ერთი მეგობარი მოდიოდა «ვენოკით», მის ზურგს

უკან კი ცხედარს მოასვენებდნენ, თან სამგლოვიარო მუსიკაც დავცხეთ... კინაღამ გადაირია, ორი კვირა სამსახურში აღარც გამოსულა, გულის შეტევა დაემართა.

რა არ იღონა, რეკავდა მშობლებთან, ცდილობდა მათი საშუალებით დავეწყნარებინე, მილიციის ინსპექტორიც მომამაგრა, რამაც უფრო გამაცოფა, სასტიკად მოვიშხამე, უკვე ყველაფერს მოწმეების გარეშე ჩავდიოდი, ესე იგი, მხოლოდ ბავშვების თანდასწრებით. ისინი კი... შევპირდი, თუ არ ჩამომაცილებ, ჩუმად სადმე დაგხვდები და... იმ ზომამდე მივიდა, თვითონ დამიდგა თავდებად, აღრიცხვიდან მომხსნეს, გამოსწორდაო _ უთხრა. ინსპექტორი დაარწმუნა, აღარ გაეკარო, დაჭკვიანდა, შენი გამოჩენა, მეთვალყურეობა აღიზიანებსო. მეორე დღეს ყველას თვალწინ მოვუთათუნე ხელი, გამოსწორების გზაზე დგახართ_ მეთქი, საჩუქრად თავისი «პანაშვიდის» სურათი ვუბოძე.

ასე მოვუშხამე სიცოცხლე. ბოლო ზარის დღეს, როგორც ჩაფიქრებული მქონდე, ავუხსენი ყველაფერი. თუმცა რა აზრი ჰქონდა...

დაპირება კი შევასრულე, მაგრამ მეც ბევრი რამ დავკარგე. პირველყოვლისა სიყვარული. ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული დირექტორის ნათესავი იყო... ულმობლად მოვიქეცი, სასტიკად... არ დამიკლია არც ლანძღვა, არც დამცირება, დაცინვა. უჩუმრად იტანდა ყველაფერს. ერთი წლის წინათ შემხვდა, გათხოვილა. ბავშვთან ერთად იყო. ჩემი სახელი დაურქმევია... ადამიანი ბუნებით უგოისტია, ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ჩემს პატივსაცემად... იმის გარდა არავინ არასდროს მყვარებია, არც ვინმესთან მქონდა დიდი ხნის კავშირი... შეხვედრისას მივხვდი, ქვეცნობიერად, თუმცა ამაზე არ ვფიქრობდი... გვიანია, გვიანია ამაზე წუხილი, დარდი... გათხოვება მოუხდა, იცით... რა აზრი აქვს...

სტუდენტობამ კვლავ გამომაფხიზლა, თითქოს დამიწყნარა გული. ვცდილობდი კონფლიქტები თავიდან ამეცილებინა, გავრიდებულიყავი...

გამიჩნდნენ ინსტიტუტის მეგობრებიც. ბედად ჩემი ძველი და ახალი წრე ადვილად შეერწყნენ ერთმანეთს. ვსწავლობდით, ვსეირნობდით, ვფლირტაობდით, ვქეიფობდით, დღე_ ღამე ჭირში თუ ლხინში ერთად ვიყავით.

სმა ხშირად გვიწევს. ლოთები არ გვეთქმის, მაგრამ კვირაში ორი_ სამი დღე ისე მაინც არ გავიდოდა პატარა, ღარიბი, ტკბილი სუფრა რომ არ გაგვეშალა. გვიყვარს ერთმანეთთან ჩაჯდომა, გულისგახსნა, მოფერება. ამ დროს ღვინო და არყის სმა კი არ გვიტაცებს, ისინი უბრალოდ კატალიზატორებივით არიან, ჩაბუჟბუჟებული უფრო გამოხატავს გრძნობებს... დიდ წვეულებებს, ქორწილებს და რესტორნებს კი ვერ ვიტან. საშინლად მეცვლება სიმთვრალე... ისე არ გამიგოთ, თითქოს თავის გასასამართლებლად ვამბობ. უბრალოდ, მინდა მიმიხვდეთ...

შეიძლება გეგონოთ თითქოს ამ წლებში გაჭირვება და სულის ტკივილი არ განმიცდია.

ნარკომანია ყოველთვის მეჯავრებოდა, რაღაც შიში გამაჩნდა, წინათგრძნობა მაწუხებდა. ამიტომაც იყო, ჩემთან ამ თემაზე ლაპარაკსაც კი ერიდებიან, უეცრად მიფუჭდება ხასიათი, აგრესიული ვხდები, მეჩვენება, თითქოს ყველას უნდა ამ ობობის ქსელში გახვევა... ადრეც ვთქვი, ბევრ მეგობარს დამაცილა ბედმა_ მეთქი. არ ვიცი, ვინც ცოცხადია, ჩვენი გაყრა მხოლოდ ფიზიკურად მოხდა თუ სულიერადაც. ამაზე პასუხს ეხლა ვერ გაგცემთ. შეიძლება, თუ ოდესმე კვლავ შევხვდით... ჩემი ოთხი მეგობარი ლენინგრადში იყო დასასვენებლად. ეხლა ვხვდები რატომაც არ წამიყვანეს და გამეპარნენ. ერთ-ერთი «კაიფში» გაიპარა. დანარჩენი სამი კი დააპატიმრეს, ბიჭებს

შეეძლოთ პატიმრობა თავიდან აეცილებინათ, ალბათ ერთმანეთის სიყვარულმა, კაცობამ არ მისცა ამის გაკეთების უფლება. როცა შეატყვეს, თვითონ ვეღარაფრით უშველიდნენ, სასტუმროს ადმინისტრატორს შეატყობინეს და სასწრაფო გამოიძახეს. სიჩქარეში ამპულების და შპრიცის გადაყრაც კი არ მოაფიქრდათ, ანდა შეიძლება არც მოისურვეს... სასამართლოზე ვერ მივედი. მთელი დღე სასაფლაოზე გავატარე. დიდხანს შევცქეროდი უდროოდ, უმიზეზოდ დაღუპული მეგობრის უსიცოცხლო, ქვაზე გამოხატულ სურათს. რისი გულისთვის, რა ნახა, რა გააკეთა ცხოვრებაში, რა მოასწრო... რისთვის...

ამ ამბის გარდა კიდევ სამი რამ დამამახსოვრდა, _ ჩამრჩა მეხსიერებაში, გამიცამტვერა სული და სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი გავლენა იქონია ჩემს ჩამოყალიბებაში.

ერთ ჩემს მეგობარს რაიონელი გოგონა უყვარდა. გვიხაროდა იქ ჩასვლა, ყველამ იცოდა მათი ამბავი. გადაწყვეტილად თვლიდნენ... გაზაფხულის სესიების შემდეგ უნდა ჩასულიყო მშობლებთან ერთად და ოფიციალურად ეთხოვა ხელი. ორი დღით ადრე გათხოვდა... უფრო სწორედ... რომელიღაც წვეულებაზე გამოთვრა სკოლა ახალდამთავრებული ლაწირაკი და ვიღაცას ჩაუგორდა ლოგინში, იცით ჩვენი წესები, _ იმ წუთში მოაწერეს ხელი.

ჩემი მეგობარი ჩასვლას აპირებდა, გიჟს დაემსგავსა, რამდენი ვიბრძოლე, რომ გადამეფიქრებინა. მივაღწიე მაგრამ, მე თვითონ ხშირად გამჩენია სურვილი ჩავსულიყავი და სასტიკი სამაგიერო გადამეხადა, ერთხელ სადგურიდანაც დავბრუნდი, ჭკუამ გაჭრა. მოვერიდე კონფლიქტს, უფრო სწორად აღარ მინდოდა ძველებურად გამეფრინა... კარგიც არის. ცოდვები ამცდა, რაღა აზრი აქვს... გეღიმებათ, ალბათ არ განგიცდიათ ასეთი შეურაცხყოფა.

ორი წლის წინ მეგობრის ძმა ჩუმად დაქორწინდა. იცოდა გოგოს მშობლები უარს ეტყოდნენ, ერთი კვირით ნათესავებთან წავიყვანე რაიონში. იქ მყავდნენ დამალულები, ადვილად წარმოიდგენთ რა ამბავი დატრიალდა ჩვენს არყოფნაში. მილიციაშიც კი განაცხადეს, _ მოიტაცაო ძალით, ჩამოვედით თუ არა მოცვივდნენ, ლანძღვა_ გინებით აიკლეს იქაურობა, შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი ვინც იყვნენ. ფულით, ზედმეტი ფულით თავში ავარდნილი ხალხი. ხომ გაგიგიათ, «უნახავმა რა ნახაო». ამ გაღლეტილს თუ გაჰყვები, კაპიკსაც არ გაღირსებთ, მშიერი ამოგძვრება სული, მათხოვარს დაემსგავსები, ჩვენი დახმარების იმედი ნუღარ გექნებაო. წამოდი, გაპატიებთ, საქმრომაც იცის ყველაფერი, მაგრამ უყვარხარ, ერთ თვეში მეფურ ქორწილს გადაგიხდითო. ადვილად წარმოვიდგინე «საქმრო» ასეთივე უნახავი, ფულში მოცურავე, მყიდველი სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების. ელდასავით გვეცა... ვიღაც გაქონილი, ღორი ამჯობინა შეყვარებულს...

იმ საბედისწერო დღემდე, ერთი თვით ადრე, ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად. ჩასვლისთანავე ერთი გოგონა გავიცანი. ადვილად დავიყოლიე, დაყოლიება თუ ეთქმის... ერთად ვატარებდით დროს. ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც ხდება ხოლმე... ძალიან ლამაზი იყო. ბევრი შენატროდა და შურით მიცქეროდა.

ერთხელ სამწვადეში შევედით, ბუზების კორიანტელი იდგა. ყველაფერი თითქოს სუფთად იყო მაგრამ, ასეთ დაწესებულებაში მუდამ სპეციფიკური სუნი დგას. მყრალი კი არა, დახუთული, მახრჩობელა. რა გვექნა, ყველგან კილომეტრიანი რიგი იდგა, რესტორანიც არ მუშაობდა. თანაც, ყველა უარყოფითთან ერთად, აქ ერთი დადებითი ის აქვთ, შედარებით გემრიელად ამზადებენ საჭმელს.

მხოლოდ ერთი მაგიდა იყო დაკავებული, ასე ორმოცდახუთი_ ორმოცდაათი წლის ჩასუქებული მამაკაცები ისხდნენ. ოფიციანტების საუბარი გავიგე. ვაჟკაცობას, დროსტარების სიყვარულს, ფულის უზომო ფლანგვას უქებდნენ, თან ვჭამდი, თან მოქეიფეებს ვუსმენდი. ცოტახანში ბოდიში თქვენთან, გული ამერია, კინაღამ ვაღებინე... ლილიპუტების ცირკი იყო ჩამოსული. ერთ-ერთი ამტკიცებდა, რომ ორმოცდაათ მანეთად დაიქირავა ლილიპუტა ქალი და... საზიზღარ ფაქტებს ჰყვებოდა. როგორ გახადა, როგორ აიყვანა, მჩატე ყოფილანო ძალიან... ბოლოს დასძინა, ჩემს შვილიშვილზე დიდი კი არ იყო სიმაღლით, ენაცვალოს იმას ბაბუაო...

ერთ-ერთი შემოტრიალდა, შეგვათვალიერა, ჩემი გოგონა რომ დაინახა თვალები გაუნათდა. წამოდგა, მზარეულს ორი ბოთლი შამპანური გამოართვა. მაგიდაზე დაგვიდგა, ბოდიში მოიხადა და გოგონას გავიყვანო მთხოვა. ცხადია უარი ვუთხარი. გოგონამ იცნო, ცახცახი დააწყებინა, ძალიან შემეცოდა...

ამისათვის ყველაფერი მაქვს გაკეთებული, მეორე დღეს მაჭამა, აღარ მოვიდა «სტრელკაზე». უფროსი კაცი ვარ, დამიხერე, ამათთან კარგი მოქცევა არ შეიძლება, ამ ბოზის გულისთვის ნუ მაწყენინებ, კი არ წაგართმევ, ერთი წუთით გავიყვან, გავულაწუნებ და დაგიბრუნებ, ნუ გეშინიაო. ყველა აყვა, მამად გეკუთვნის, შენზე დიდი შვილები ჰყავს, ნუ აწყენინებო...

ყველაფერი ამერია. გამახსენდა შარიკას სიკვდილი, დირექტორი, დაღუპული და დაპატიმრებული მეგობრები, მეგობრის საცოლის გათხოვება, უნახავი ღორების ოჯახი, ლილიპუტების ისტორია... გავცოფდი, ვწვდი ბოთლებს და ორივე თავზე გადავამსხვრიე. არ ვიცი, იმის გამო რომ კარატეში ვვარჯიშობდი, თუ არ ელოდნენ ასეთ რამეს, ადვილად ჩავქოლე ყველანი «ვაჟკაცებიც», ოფიციანტებიც და მზარეულიც, ირგვლივ ყველაფერი დავლეწე და დავამსხვრიე...

გოგონა დროზე მოეგო გონს. ხელი ჩამავლო, სირბილით ბინისაკენ გამაქანა. ჩაალაგა ჩანთები და პირველ ავტობუსს გამოვყევით. კარგა ხანი გავიდა სანამ აზრზე მოვედი. ყველაფერი კვლავ გამახსენდა, ისევ გავცოფდი და ავენთე, ჩასვლას ვაპირებდი, მონახვას, თუ ცოცხალნი გადამირჩნენ მოკლავს, მაგრამ არ გამიშვა, ტირილი მორთო, მეფერა, მეხვეწა, ისტერიკა დაემართა, ხალხის ყურადღება მივიქციეთ, შემრცხვა და დავწყნარდი.

... იმ საუბედურო დღეს, მეგობარმა წამიყვანა ბიძაშვილის ქორწილში. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ღვინო იმდენად არ მეკიდებოდა მაგრამ, როდესაც მეჯვარემ, პატარძალი გამოიწვია საცეკვაოდ, აი აქედან დაიწყო ყველაფერი... ვიღაცამ გოგოს მხრიდან შენიშვნა მისცა, ცოტა ფული რატომ მიეციო მუსიკოსებს. ჰმ, ცოტა... ორმოცდაათი მანეთი... ჯიბე მოჩხრიკა, საცოდავად გამოიყურებოდა, სიძეც ჭარხალივით გაწითლდა, ჩუმად ჩაუდო მეგობარს ასმანეთიანი...

შემდეგ, პატარა ბავშვი აცეკვეს. შენიშვნის მიმცემიც შევიდა წრეში. ხელში ასმანეთიანები ეკავა, ხან ბავშვს აჩეჩებდა, ხანაც ჭმუჭნიდა და მუსიკოსებს უგდებდა. უცებ ავიმღვერი. კვლავ გამახსენდა შარიკა, დირექტორი გათხოვილი გომბიო, უნახავი ღორები, ღიპიანი «ვაჟკაცები», მათი ბინძური ისტორიები. ყველა ერთ სახეში გაერთიანდა, კონტროლი დავკარგე, ტორტის საჭრელ დანას დავავლე ხელი და შიგ გულში ვაძგერე, სისხლი თქეშივით შემომესხა...

ის პირველი დღეები დაძრომას რომ ვაპირებდი, შიშის ბრალი იყო. თანაც არ მჯეროდა, ყველაფერი... გათელილი ფრაზაა მაგრამ, ყველაფერი სიზმარი მეგონა. შემდგომში თქვენ თვითონ დარწმუნდით, დღევანდელ დღეს თუ არ ჩამითვლით თავის მართლებად, არასდროს მიცდია დანაშაულის შერბილება. გუშინწინ, სანამ თქვენს კაბინეტში შემომიყვანდნენ, მოკლულის ცოლ_ შვილი დავინახე, უფრო მწვავედ განვიცადე ყველაფერი. ყავშვების ცრემლიან ზიზღნარევ თვალებს რომ შევხედე, მივხვდი, მათ გულში ბოროტება დავთესე და სად, როდის გადმოანთხევენ, ღმერთმა უწყის...

ვიგრძენი ბოროტებას არ შეიძლება იგივეთო უპასუხო, უნდა ეცადო ყოველ შემთხვევაში. მე ეს ვერ შევძელი... მხოლოდ შარიკას სიკვდილის დროს ვიყავი მართალი, კეთილი ადამიანი და თუ იმ «ვაჟკაცებთან» მაინც მომიწევდა ჩხუბი, სხვა შემთხვევაში, რაც მოგიყევით ან რაც არ მახსოვს, მე თვითონ მითესია ის, რაც მძულდა, რასაც ვებრძოდი...

რითი ვარ შარიკას მკვლელზე უკეთესი. ბავშვების, ხალხის თვალწინ ადამიანი სიცოცხლეს გამოვასალმე. თანაც სასტიკად, ელვისებურად... ან იმ «ვაჟკაცებზე». გოგონა კი დავიცავი, მაგრამ მე თვითონ მასთან ხორციელ, ცხოველურ ვნებებს ვიოკებდი _ ყოველგვარი სულიერი სიახლოვის გარეშე. მგელიც კი არ იქცევა ასე... თანაც, ამის გარდა, ჩემივე სიყვარული გავთელე, სიცოცხლე მოვუწამლე, ბინძურად ვაგინე და ვუგინე ოჯახი... ან დირექტორი. როგორ სასოწარკვეთილებამდე მივიყვანე. კაჟივით ჯანმრთელი კაცი გულით დაავადმყოფდა...

... ჰმ... ისე, პროსპერ მერიმეს მოთხრობას მაგონებს ჩემი აღსარება, ისტორიით კი არა, ხოსემ სიყვარული მოასწრო. კარმენთან ტკბობისა და გაწბილების წუთებიც გაიარა. იცხოვრა, იწვალა და მოკვდა სიყვარულისთვის. მე კი ეს ვერ მოვასწარი. თანაც სახრჩობელა არ მელის... ორივეს ერთი გვაქვს საერთო. ცოდვილები ვართ. დიდი ცოდვილები თუმცა... მე უფრო მეტი რამ მაწევს სინდისზე... მოთხრობას კი, თვით აღსარების ფაქტი მაგონებს, ერთი დეტალის განსხვავებით, თქვენ გამომძიებელი ხართ, მან კი...

კვლავ გთხოვთ, თავის მართლებად ნუ ჩამითვლით. დაკითხვის ოქმსაც იმიტომ არ გაწერინებთ. არც სასამართლოზე ვიტყვი ამას. დამცველსაც კი არ მოვუყვები. ეხლა უბრძანეთ გამიყვანონ, მარტო მინდა დარჩენა...

1986 წ. აპრილი. თბილისი.

«მეფე ლირი»

როგორც ყოველთვის, სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, მთავარ შესასვლელში მოხუცი მსახიობი გამოჩნდა, ზრდილობიანად მიესალმა კარებში მდგომ შვეიცარ ქალებს და დარბაზისკენ გაეშურა. მისი ადრე მოსვლა არავის გაჰკვირვებია, ყველა შეჩვეული იყო ამ ამბავს. ქალებმა მხოლოდ წამიერად, ირონიული ღიმილით გახედეს და კვლავ გაცხოველებული საუბარი განაგრძეს.

მოხუცს ეცვა ძველმოდური, სუფთა, საგულდაგულოდ გაწმენდილი, კარგად მოვლილი შავი ფერის პიჯაკი და ჟილეტი, თეთრი ქათქათა პერანგი, შავი თეთრზოლებიანი ჰალსტუხი, ასევე შავი კარგად გაწმენდილი ყელიანი ფეხსაცმელი.

ჟილეტზე, ჯიბის საათის ოქროსფერი ძეწკვი უბრწყინავდა, ხოლო ხელში, ასევე ძველებური, შავი ფერის ჯოხი ეკავა. მიდიოდა დინჯი აუჩქარებელი ნაბიჯით. ერთი სიტყვით, შეხედავდით თუ არა, მასში შეიცნობდით ამ ქალაქის ტიპიურ, მოხუც ინტელიგენტს, ასე ცოტანი რომ შემორჩნენ და რომელთა დანახვაც ყოველთვის ირონიულ კეთილ ღიმილს იწვევს ხოლმე.

მოხუცმა დარბაზის კარები შეაღო, ცოტა ხნით გაჩერდა, გაიხედ_ გამოიხედა და კვლავ განაგრძო სვლა. ავიდა სცენაზე, შევიდე კულისებში, გამოიტანა ძველი ხის სავარძელი, დადგა სცენის შუაგულში; მიაყუდა ჯოხი, დაჯდა და თვალები დახუჭა.

უკვე ორმოცი წელია ასე იქცეოდა მოხუცი მსახიობი. მოდიოდა ერთი საათით ადრე, არა სპექტაკლის დაწყებამდე, არამედ იმ დრომდე სანამ თეატრი ცხოვრებას იწყებს, სანამ მოვლენ რეჟისორი, მსახიობები, სცენის და სინათლის მუშები, გრიმიორები, ყველა ვინც იმ დღეს დაკავებულია. ასე მოიქცა ეხლაც. თითქმის არაფერი იყო მის საქციელში განსაკუთრებული, მაგრამ დღეს მოხუცი ზომაზე მეტად ღელავდა, მას უნდა ეთამაშა ბოლო როლი დიდ სცენაზე და გამოთხოვებოდა თეატრს, მაყურებელს...

მოხუცმა ნელ-ნელა დაიოკა მოზღვავებული გრძნობა და ფიქრებს მიჰყვა.

«რამდენჯერ მოვსულვარ ასე თეატრში, რამდენჯერ ვესაუბრე საკუთარ თავს. ვუსმენ სიჩუმეს, სამარადისო სიჩუმეს. ვუყურებ და ვტკბები წყვდიადით, სიჩუმესაც აქვს თავისი ხმა, განუმეორებელი, მშვიდი. მხოლოდ, მოსმენა უნდა იცოდე. სიბნელის აღქმაც ყველას არ შეუძლია, უნდა გაგაჩნდეს განსაკუთრებული ნიჭი. დახატვაც კი ძნელია. რამდენი მხატვრის ნამუშევარში მინახია წყვდიადი, შავი ტონი, სიბნელეში გამოხატული საგნები თუ ადამიანები, მაგრამ იშვიათის, ძალიან იშვიათის მომწონებია. ძნელია სიბნელის აღქმა, გაგება. თავიდან ვერაფერს ხედავ, თითქოს ბრმავდები, ხოლო როდესაც თვალი გეჩვევა, გეუფლება რაღაცნაირი სიხარულის, თან სევდის გრძნობა ნელ_ ნელა არჩევ გარშემო მყოფ საგნებს, ხალხს. ტკბები სილუეტებით, ჩრდილის თამაშით, სიბნელეში უნდა შეგეძლოს დაინახო ჩრდილი, როდესაც ხედავ საგნის სილუეტს, კარგად არჩევ მხოლოდ მის ნაწილს, დანარჩენი კი დაჩრდილულია, გრძნობ, რომ ცხოვრებაში მარტო ის კი არ არის მთავარი რაც მოსჩანს, არამედ ისიც რასაც ვერ ვხედავთ, დაფარულია თვალისათვის. რაღაცნაირად შეიგრძნობ, რომ სიმართლეს სხვადასხვა მხარე აქვს, არ არსებობს ადამიანებს შორის დამოკიდებულებაში ერთი სიმართლე, ყველა თავისებურად მართალია, ყველას თავისი გასასამართლებელი გააჩნია. ოღონდ ერთია, კაცმა უნდა ეცადოს, დაინახოს სიმართლის ყველა მხარე და რადგანაც ადამიანს არ შესწევს ძალა ისეთი როგორიც ღმერთს, თავისი მოქმედება უნდა მიმართოს კონკრეტული სიკეთის საკეთებლად, თანაც ამას გული უნდა მოახმაროს, მასში გამოხატოს. შეცდომებიც ბევრია ამ გზაზე. ხშირად გგონია, რომ ხედავ სიმართლეს, აღიქვამ მას, სინამდვილეში კი რაღაც გამოგრჩება... გულის ტკენასაც და დამარცხებასაც ბევრჯერ განიცდი, მაგრამ განა სიკეთე პირადი გამარჯვებისათვის კეთიდება?! განა სიკეთეს არ მოაქვს სულში სათნოება, სიფაქიზე, სისუფთავე, სიყვარული, ყველაფერი ის, რასაც ადამიანურობას ვეძახით...

როდესაც ამ ბნელ დარბაზში ვზივართ, მგონია რომ სამყაროს უსასრულობაში ვხვდები. გარშემო ყველაფერი ისეთივე წყვდიადითაა მოცული, როგორც იქ წარმომიდგენია. რიგში ჩამდგარი სკამები ნელ-ნელა ქრებიან, როგორც ცაზე მოკამკამე

ვარსკვლავების შუქი და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს, ბნელში რასაც ვერ ვხედავ, შორეული გალაქტიკებია.

მალე მოვლენ თეატრის სხვა მუშაკები, მაყურებლები და ყველაფერი გამოცოცხლდება. თითქოს, ჩემს თვალწინ, რომელიმე პლანეტაზე ატმოსფერო შეიქმნა და სიცოცხლე ჩაისახაო, ხოლო როდესაც დაიწყება სპექტაკლი, მსახიობები შედიან როლში და ორ_ სამ საათში წარმოადგენენ მთელ სიცოცხლეს, და ბოლოს, როდესაც ოვაციების გუგუნი ისმის, ახლად დაბადებული პლანეტა აყვავდება და გაიფურჩქნება. მოსჩანს ყველას, დარბაზში მსხდომთა თუ სცენაზე მდგომის, სულის ის ნაწილი, რასაც სიკეთე, სითბო ჰქვია.

შემდეგ კი ყველაფერი თანდათან წყნარდება და კვლავ წყვდიადში გადადის. თითქოს პლანეტაზე სიცოცხლე შეწყდაო და მისი მასაზრდოვებელი მზე, ვარსკვლავი ჩაქრაო... და კვლავ, კვლავ თავიდან იწყება ყველაფერი, მეორდება, ვითარდება ან უკან იხევს, მაგრამ თავიდან, ისევ თავიდან... ყველაფერი ეს ძალიან გავს ფიზიკის კანონს: ბუნებაში არავითარი ენერგია არ იკარგება, უბრალოდ იგი ერთი სახიდან მეორეში გადადის. ან კიდევ, მის შესაფერის სიცოცხლის კანონს: ბუნებაში ცოცხალი არსებები გარკვეული ხნის შემდეგ წყვეტენ თავიანთ არსებობას მაგრამ, თავის მაგივრად ქმნიან ახალ ცოცხალ არსებას... ყოველ შემთხვევაში ადამიანის მთელი ყოფის მანძილზე ასე იყო და...

რამდენიმეჯერ სპექტაკლის დამთავრების შემდეგაც დავრჩი მარტო ბნელ დარბაზში, მაგრამ ვერ გავძელი, რაღაცნაირმა შიშმა შემიპყრო, შიშმა იმისა რომ თითქოს ყველაფერი დამთავრდა და აღარ განმეორდება; სიბნელე და წყვდიადი რაღაცნაირად შეიცვალაგ გაქრა მიმზიდველობა, გამოცოცხლების მოლოდინი... ვერასდროს წარმომიდგენია ამ მოლოდინის დაკარგვა, ვერასდროს, მაგრამ... სხვებისთვის მაინც... მომავლისთვის»...

ერთხელ, ორმოცი წლის უკვე ცნობილი მსახიობი იყო, რაღაც საქმის გამო შემთხვევით სპექტაკლის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე მოვიდა თეატრში, უფრო სწორად გამოიარა, დარჩენას არ აპირებდა, სამსახურებრივი შესასვლელი დაკეტილი დახვდა და მთავრიდან მოუწია შესვლა, არც საგრიმიოროსაკენ გასასვლელი დახვდა ღია. დარბაზში შევიდა, კულისებიდან აპირებდა თავის ოთახში მოხვედრას. სცენას რომ მიუახლოვდა, ვიღაცა შეამჩნია.

შუაგულში დასის ყველაზე მხცოვანი მსახიობი იჯდა. სახის ნაკვთები ძალიან ძნელად შესამჩნევი შტრიხებით ეცვლებოდა, ხან უნათდებოდა, ხან უსევდიანდებოდა, ხანაც რაღაცნაირი უსიცოცხლო გამომეტყველებას იღებდა. მოხუცი დროდადრო აღებდა და ხუჭავდა თვალებს, იყურებოდა გარშემო, ტკბებოდა სიჩუმით და სიბნელით. ერთი ხანი ცოტათი დააყოვნა თვალების გაღება, მანაც იფიქრა სძინავსო და ჩუმად მოინდომა კულისებში გაძრომა. მოხუცმა შეამჩნია და დაუძახა. იმ დღიდან მოყოლებული რაღაც შეიცვალა, უფრო საღი თვალებით დაუწყო ცხოვრებას ყურება, უფრო განიცდიდა ყველაფერს.

ნამდვილი გაკვეთილი ჩამიტარა, თავიდან მეგონა დამცინის, მოხუცებულობის შური ალაპარაკებს, ყველაფერი წინ რომ მაქვს და ჩემი ვარსკვლავი რომ ბრწყინავს_ მეთქი. შემდგომმა საუბარმა თითქმის ყველაფერი შეცვალა. მივხვდი, რომ აქამდე რასაც ვაკეთებდი, ყველაფერში სიცრუე მეპარებოდა, ვხურდავდებოდი, ხშირად ვთამაშობდი

ისეთ პიესებში, ისეთ რეჟისორებთან, უნიჭოდ რომ ვთვლიდი, ანდა ჩემს პრინციპებს რომ არ შეესაბამებოდნენ. აყოლილი ვიყავი ამპარტავნობას, წარმატება თავში ამივარდა.

იმასაც ვერ ვიტყვი, ყველაფერს განცდის გარეშე ვასრულებდი-მეთქი, უბრალოდ, გრძნობა რაღაცნაირი ზედაპირული იყო. პიესით არ ვცოვრობდი, დამთავრდებოდა თუ არა წარმოდგენა, მივიღებდი თუ არა ოვაციებს, მავიწყდებოდა ყველაფერი, ვთვლიდი რომ ტაში მარტო მე მეკუთვნის, მე ამოვქაჩე სპექტაკლი.

იმ დღეს მეფე ლირი უნდა გვეთამაშა. მე გრაფ კენტის როლში ვიყავი დაკავებული, მოხუც ლირს ასრულებდა. უკვე რამდენჯერ გვქონდა ერთად ნათამაშები შექსპირის ამ უკვდავ ტრაგედიაში, მაგრამ იმ დღეს სულ სხვანაირი უხილავი სულიერი ძაფი გაევლო ჩემსა და მას შორის. როგორ თამაშობდა, რა სულიერი დაძაბვით... როდესაც ჩემი გამოსვლა არ იყო, ვიდექი კულისებში და ვტკბებოდი, თან მასთან ერთად განვიცდიდი, ვტიროდი, ვიცინოდი, მეც ვიყავი ლირი...

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მქუხარე ოვაციები აღარ მიმიღია მარტო ჩემთვის. ისინი უფრო მეტად მოხუც მსახიობს და შექსპირს ეკუთვნოდნენ. მეამაყებოდა, რომ მეც ვიყავი მათ გვერდით, მეც მეკუთვნოდა რაღაც პატარა წვლილი... მოხუცს ცრემლები წასკდა. ადრც შემიმჩნევია, მაგრამ მაშინ სულ სხვანაირად აღვიქვი _ ეს იყო შექსპირის ცრემლები...

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მოხუცმა გადამკოცნა და მადლობა მითხრა. იმ დღიდან კიდევ ორი წელი იცოცხლა. მაგრამ ლირის როლი აღარ უთამაშია, მეც მოვინდომე სპექტაკლიდან გამოსვლა. დამარიგა, ეს ჩემი ბოლო გაელვება იყო, შენთვის კი გზის დასაწყისი, შემრცხვა, მივხვდი ამპარტავნობა და ყეყეჩობა ჯერ კიდევ არ გამქრალა ჩემში. მივხვდი, რომ ჯერ კიდევ ბევრი სულიერი ენერგიის დახარჯვა მომიწევდა მასთან მიახლოვებას.

ორი წლის განმავლობაში ერთად ვიჯექით ბნელ დარბაზში, ერთად შევიგრძნობდით სამყაროს ჩვენებურად, ცალ_ ცალკე მაგრამ ერთად... დროდადრო ვსაუბრობდით, ვკამათობდით... და აი, დღეს მე უნდა დავიკავო მისი ადგილი, მე უნდა გავხდე ლირი. ადრეც შემოუთავაზებიათ, მაგრამ მზად არ ვიყავი. საერთოდ, იმ დღის შემდეგ აღარ ვხურდავდებოდი, უფრო რეალურად ვაფასებდი ძალებს.

შევასრულებ და ჩამოვშორდები სცენას, იმან ეს ვერ შეძლო, მე კი... როგორც არ უნდა გამომივიდეს, მაინც უნდა წავიდე, მეტის გაღება ხალხის და თეატრისათვის აღარ შემიძლია...

მოხუცი წამოდგა და კულისებისაკენ გაეშურა. ცოტა ხანში თეატრი გამოცოცხლდა, სუნთქვა დაიწყო, შემდეგ აყვავდა, გაიფურჩქნა, მოხუც მსახიობს და შექსპირს საბოლოო ოვაციები მიუძღვნა. ამ დღიდან ვეღარ შეხვდებოდნენ ისინი სცენაზე ერთმანეთს, მორჩა, გათავდა...

მოხუცი თვალცრემლიანი იდგა და ყურებში ესმოდა მასწავლებლის ხმა... ფიზიკის კანონი... სიცოცხლის კანონი... შექსპირი... დარჩებიან გაგრძელდება... გაგრძელდება...

1985 წ. მაისი. თბილისი.

ავადმყოფი

ჩვენს საავადმყოფოებს, რაც არ უნდა სუფთად და კარგად მოვლილი არ უნდა იყვნენ, ერთი საერთო სენი აქვთ, _ ძალიან «ასკეტური», მოღუშული, პირქუში გაფორმება. მოხვდები თუ არა შიგნით, ჯანმრთელი ადამიანიც კი მწარე ფიქრებს მიეცემა, ეკარგება ცხოვრების ხალისი, უფუჭდება ხასიათი და ყველაფერი ასეთივე პირქუში და უნიათო ეჩვენება.

მიხეილ დგებუაძე ცალკე, ერთკაციან პალატაში იწვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გულით მძიმე ავადმყოფი იყო, მეორეც იმიტომ რომ ცნობილი, სახელმოხვეჭილი ჟურნალისტი გახლდათ. საერთოდ, ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი ასეთ «პრესტიჟულ» საავადმყოფოში მოხვედრას. და მესამეც, განყოფილების უფროსად, მისი ბავშვობის მეგობარი ვარლამ ნიქაბაძე მუშაობდა.

ცხოვრებაში, ორმოცდახუთი წლის კაცს პირველად დასჭირდა მიხეილს «ვარლამ ვარიანიჩის», როგორც თანამშრომლები უწოდებდნენ, მისთვის კი ვამიკოს, დახმარება. აქამდე პირიქით ხდებოდა. ახსოვს ორივეს, თუ როგორ აიმაღლა ხმა ახალგაზრდა ექიმის დასაცავად, ჯერ კიდევ სრულიად უცნობმა ჟურნალისტმა. ისიც კარგად ახსოვთ რა დაუჯდა ამის გაკეთება. მოწინააღმდეგე ცნობილი «მეცნიერი», აკადემიკოსი, დიდი მფარველების პატრონი გახლდათ. მიუხედავად სიმართლის გარკვევისა, «მეტრის» «დასჯისა» არასწორი დიაგნოზისთვის და ვამიკოს ზუსტი, სწორი მომქედებების დამტკიცებისა, მიხეილი აიძულეს გაზეთი დაეტოვებინა. ცოლშვილიანი კაცი უმუშევარი დადიოდა კარგა ხნის მანძილზე. შემდგომში ვამიკოს ცოტა რეკლამაც დასჭირდა, სახელი, ასე ვთქვათ. აქაც მიხამ, როგორც მას მეგობრები უძახიან, გააკვარახჭინა საქმე. რამდენიმე გაზეთმა ერთდროულად დაბეჭდა ვარლამ ნიქაბაძის ახალი მეთოდისადმი მიძღვნილი სტატია.

გამჭრიახი კაცია მიხეილი. ოპონენტებიც თვითონ ჩარია. სჯეროდა მეგობრის ნიჭის, სისწორის. ესმოდა, ვერაფერს დააკლებდნენ დღესავით ნათელ ფაქტებს. კამათისას თავიდან ვითომდა დაიხია. ძველმა ნაცნობმა «მეტრმა» გაიფიქრა: დაღუპულია მათი საქმეო. მოისურვა, ჩასაქოლი ბოლო ქვის სროლა ვარლამის მხარეს, ავი, უტაქტო, თანაც ძალიან უნიჭო წერილი გამოაქვეყნა. აქ კი იხელთა დრო მიხეილმა. წერილის შინაარსი ყველაზე ცნობილ ექიმებს, ავტორიტეტებს გააცნო. იცოდა კიდეც, არცერთ მათგანს არ უყვარდა დილეტანტი, შემთხვევით აღზევებული უვიცი აკადემიკოსი. მიაღწია, რომ პასუხი საკავშირო პრესის საშუალებით გასცეს, გააცამტვერეს «მეტრი». ამით ორი კურდღელი მოკლა ერთდროულად. ჯერ ერთი, პოლემიკამ და ესეთმა გამარჯვებამ ვარლამს დიდი სახელი მოუტანა. მეორეც, ოპონენტის პრესტიჟი, აქციები საგრძნობლად დაეცა, და სამუდამოდ ჩამოაცილა მეგობარს როგორც მოწინააღმდეგე.

ბევრი ასეთი საქმე აქვს გაჩარხული მიხეილს. სკანდალური, ძალიან ჭკვიანი ჟურნალისტის რეპუტაცია მოიხვეჭა. ხშირად ამბობენ: მტერი ჩავარდა მის ხელში, მიზანში თუ ამოგიღო, წაგლეკავსო.

არც ფრთიანი ანგელოზია. თუმცა, ცდილობს მართალი კაცი არასდროს დაჩაგროს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მისთვის არასიმპატიური პიროვნება, ისეთი,

პრინციპში არაფერს რომ არ ერჩის, შეიძლება შეიწიროს. ამას მხოლოდ რაიმე «დიდი საქმისთვის», თავისი, ან მეგობრების პოზიციის გასამაგრებლად აკეთებს.

ხანდახან ვინმე «საჭირო კაცს», ან დიდი თანამდებობის პირსაც მოეფერება, შეაქებს თავის სტატიებში. ესეთი რამ იშვიათად ხდება, ძალიან ძვირად ფასობს ამის გაკეთება. ან მართლა ეროვნული საქმისთვის, ანდა... სჭირდება თვითონ, მის მეგობრებს და ბოლომდე გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას. მოტყუებით კი... ვერ გაბედავ, მიხეილისნაირ ხალხზე ამბობენ: არავითარი თანამდებობა არ უკავია, მაგრამ რესპუბლიკის შიგნით, პოლიტიკაში ერევაო. თუ ბიჭი ხარ წინ დაუდექი, არ დაუბეჭდო რამე, კრიჭაში ჩაუდექი. ძალიან დიდი კავშირი აქვს საკავშირო პრესაში, ყველა ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი მისი ახლობელია. ძნელია ასეთ კაცთან ჭიდილი, პატარ_ პატარა კბენების არ ეშინია. თანამდებობა, ჩინ_ მედლები არა აქვს დასაკარგი, ჯინში ჩადგომით, კრიტიკით, გინებით, პირიქით, ავტორიტეტი ეწევა და საჭირო მომენტში ისეთ დარტყმას მოგაყენებს, რომ შეიძლება «პოლიტიკურ მუმიად» გაქციოს.

დილით ოჯახი ესტუმრა, ინფარქტის შემდეგ პირველად შემოუშვეს პალატაში. აქამდე ვარლამი არავის აკარებდა, სიმყუდროვეა საჭიროო. რეანიმაციიდან დღეს გადაიყვანეს და იძულებული შეიქნა დანებებოდა, დაეთმო «მიხას» ოჯახისთვის.

მეუღლე ძალიან მოტეხილი მოეჩვენა. ჩამოუჯდა საწოლზე და ახალ_ ახალი ამბები მოუყვა. რამდენი ჭირი გამოიარეს ერთად. ეხლა კი, ეტყობოდა, ეამაყება ქმარი, ეამაყება თავისი საქციელი, ერთგულება. მიხეილიც არ უკარგავდა ამას. მისდა გასახარებლად, ვიწრო ოჯახურ, თუ მეგობრულ წრეში, ხშირად აღნიშნავდა მეუღლის დამსახურებას.

ქმრის ავადმყოფობა რომ არა, შეიძლება ითქვას, ყველაზე ბედნიერი ხანა ჰქონდა ცხოვრების, გაჭირვებამ ჩაიარა, ოჯახი დალაგდა, გამაგრდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, სიმპათიური გარეგნობის, მოწოდებით დედა, ბებიობისთვის ემზადებოდა. უმცროსი, მიხეილის საყვარელი გოგონა, ასე ადრე, _ თვრამეტი წლის გათხოვილი, ორსულად იყო. უფროსიც აპირებდა ცოლის მოყვანას. ხარობდა ქალი, ხარობდა «მიხეილის თეონა», ეს დაწყევლილი ინფარქტი რომ არა...

დაიბნა, თითქოს ნიადაგი გამოაცალეს. მატერიალური სახსრების დაკარგვაზე არც ფიქრობდა, უცხო ენების სპეციალისტმა, ხუთი ენა ბრწყინვალედ იცოდა, ცოტა_ ცოტას თარგმნიდა. ერთი_ ორი მოსწავლე ყოველთვის ჰყავდა, ფინანსური გაჭირვების ჟამი მის კისერზე გადავიდა, თუ საჭირო იქნებოდა, მეტსაც შეძლებდა, მაგრამ თავისი ვაჟკაცი ქმრის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, არ შეეძლო.

დაელაპარაკა და ცოტათი დაწყნარდა, იმედი მიეცა. უძილობისგან, ნერვიულობისგან ჩაშავებული თვალის გუგები გამოუკეთდა. ვამიკომ უთხრა, სანამ კრიზისმა არ გაგიარა, შენი ცოლი ვერ მოვიცილე, პალატაში მოსვენებაც შევთავაზე, არაფრით არ დამთანხმდა მხოლოდ რეანიმაციიდან როცა დავაპირეთ გადმოყვანა და შევპირდით განახებდით, მაშინ წავიდა სახლში. «ალბათ იქაც ვერ მოისვენებდა», _ გაიფიქრა მიხეილმა და ხელზე მოეფერა, ახლა, ამ მომენტში რაღაც უფრო სხვანაირად, მწვავედ აღიქვა ეს ცხოვრება, ყველა ახლობლის, საერთოდ ადამიანის სიყვარული, ბუნება, კაცობრიობა. «ღმერთო, რა ლამაზები, კარგები არიან, როგორ მიყვანს ყველა», _ უტრიალებდა თავში. დანარჩენი ფუჭად მოეჩვენა. «რატომ არ შეგვიძლია ადამიანებს, ბედნიერები ვიყოთ, რა გვიშლის, რა აზრთა ჭიდილი, პრობლემები... თვითონ ვქმნით ბარიერებს ერთმანეთთან, კამათი...

კამათიც არ ვიცით. სანამ მოწინააღმდეგეს არ ჩავქოლავთ, ვერ ვისვენებთ... მეც არ ვარ გამონაკლისი... ღმერთო, რამდენი ცოდვა გვაწევს»...

უფროს შვილს, ბიჭს გადახედა. ქალიშვილი დასასვენებლად იყო წასული. არ შეატყობინეს, რაიმე არ დაემართოს ნერვიულობისგანო.

«რა ლამაზი, ვაჟკაცური შესახედაობა აქვს მაიმუნს, რამხელა გაიზარდა... ემოციურია ძალიან, ემოციური... გაუჭირდება ცხოვრება, თუმცა შეეგუება... მალე დაჭკვიანდება... ნიჭიერია, ბუნებამ პოეტის ტალანტით დააჯილდოვა. ძალიან მიამიტი, მაგრამ ფაქიზი, ნაზი ლექსები აქვს... შრომა, უნდა იშრომოს ბევრი. არაფერია, თვითონ მიხვდება მალე ყველაფერს. რაც ვერ შევძელი, ამან უნდა გააკეთოს... მე ოჯახს ვერ ვუღალატე, მიჭირდა, მოთხრობების და რომანების წერის მაგივრად, პუბლიცისტიკას და ჟურნალისტიკას გავყევი... ესეც არ არის დასაძრახი, რა თქმა უნდა, ოღონდ, უნდა გინდოდეს... მე კი, სულ სხვა რამ მსურდა... ვერ შევძელი, ათასი საქმე გამოჩნდა, ხან ეს ხან ის... ყველა გზა თვითონ უნდა გამევლო, ფეხზე უნდა დავმდგარიყავი, მაგ საქმეს კი, თავის შეწირვა სჭირდება. არც ოჯახზე უნდა იფიქრო და არც... მამა ბავშვობისას გარდამეცვალა... ამას ჰყავს... მე ვყავარ»!...

შვილმა ახალი ანეკდოტების მოყოლა დაიწყო. მამის გამხიარულება სურდა. მიხეილს გულიანად ეცინებოდა, მაგრამ უჭირდა, ბებიამ დაუცაცხანა შვილიშვილს, პალატიდან დაუწყო გაგდება. ბიჭი ვითომ ეწინააღმდეგებოდა, აშაყირებდა, ეფერებოდა, კოცნიდა, «ეჭიდავებოდა». ბოლო_ ბოლო დაჰყვა ბებიის სურვილს, მამა გადაკოცნა, ხვალ დილით ადრე დაგადგები, ხაშს მოგიტანო და გაიქცა. ეს კი, ცუდად ენიშნა მიხეილის დედას და მეუღლეს. მიხვდნენ, ქეიფს რომ აპირებდა გახურებულ გულზე. გამოუდგნენ, ადრე მოდი სახლში, ნუ დალევ, ნუ გადაათენებ, ნულს ნუ გაგვიხეთქავ. სხვა სანერვიულოც გვეყოფაო. პასუხად, გემრიელი სიცილი მიიღეს და საპირისპირო პირობა, მალე მეუღლეც წავიდა, მოსწავლე უნდა მოსვლოდა სახლში. დარჩნენ მარტო მიხეილი და დედამისი, გვერდით ჩამოუსკუპდა შვილს, ჩაეხვია.

«მაინც რა ტაქტის პატრონი ქალია... მოშორებით იდგა, ჩრდილში თითქოს... რძალს აცალა ქმრის მოფერება, დააწყნარა. არა, ასეთი ხალხი აღარ იბადება... როგორ მოხუცდა. ვერასდროს წარმომედგინა, თუ მოხუცდებოდა... სახე და ხელები როგორ დაუნაოჭდა... ჩემმა ავადმყოფობამ სულ გატეხა... ისე კი, ცდილობს მხნედ ეკავოს თავი... ჩემი დედიკო, ჩემი საყვარელი, ლამაზი დედიკო... ყველაზე ლამაზი და თბილი»...

ბავშვობა გაახსენდა. ერთხელ, ფანჯარასთან იჯდა, მშობლებს ელოდა. როგორც იქნა გამოჩნდნენ, ბაზრიდან მოდიოდნენ დატვირთულები. შემდეგ გაიგო, ხურდა ფული არ შერჩენიათ, ავტობუსით რომ წამოსულიყვნენ.

მიხეილის ბაბუა ოცდაათიანის რეპრესიებს გადაჰყვა, როგორც «ნაციონალისტური» ელემენტი; არგენტინის, ბრაზილიის, ინგლისის, ჩან_ კაიშის და ეთიოპიის «აგენტი». ომი ახალი დამთავრებული იყო, უჭირდა ყველას, მითუმეტეს უმამო კაცს. ერთადერთი პიჯაკი ჰქონდა, დედამისს კი ასევე ერთადერთი გამოსასვლელი კაბა, ქმრის ჩამოტანილი ნაჭერი, თავისივე ხელით მოხლაფორთებული _ ლამაზი, მოხდენილი, თუმცა რატომღაც, ბევრს შურდა, მითუმეტეს ასეთი ბიოგრაფიის ოჯახს, ამის გამო არ დასწამეს «გავინეაბისაუს» აგენტობა, ან მეწშევიკობა და სტალინის, მოლოტოვის და ვოროშილოვის მკვლელობის მცდელობა.

წვიმიანი ამინდი იდგა, ტალახიანი. უცებ, დიდი სიჩქარით «ნკვდ»_ ს «ემკამ» ჩაიქროლა და ტალახში ამოგანგლა მიხეილის მშობლები. მანქანაში ვიღაც მხიარული ოფიცერი და მანდილოსანი ისხდნენ. არც კი გამოუხედავთ. ახსოვს მიხეილს, თითქოს გაქვავდნენ მშობლები. მამამისმა პიჯაკზე დაიხედა, მეუღლესაც გადახედა, მისი დასვრილი, ტალახით მოთხვრილი სახე რომ დაინახა, სიმწრისგან იკივლა, ხელჩანთები მოისროლა, კედელს მიეყუდა და აქვითინდა. დედამისი ქმარს მივარდა, დაწყნარება დაუწყო. ეშინოდა, ეშინოდა არაფერი «ისეთი» არ წამოსცდენოდა. შემდეგ... არა, არ დავიწყებია მიხეილს, როგორ დაიხარა დედამისი და ტალახში გადაყრილ, მიმოფანტულ კარტოფილს, მწვანილს, კიტრს როგორ აგროვებდა დაჩოქილი... დედოფლის სადარი დედა... ამის დავიწყება არ შეუძლია... 1949 წლის 16 აპრილი სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში.

... ისიც ახსოვს, როგორ მოატყუეს უბედურებადამტყდარ ოჯახს, ვიღაც სამმა ვიგინდარამ...

ორმოცდაათში მიხეილის მამა, პროფესიით არქიტექტორი, ციმბირში, მაგადანში გაუშვეს სამუშაოდ, ოჯახის თან წაიყვანა. სამსახურში გასვლის პირველი დღიდანვე მოტყდა კაცი. სულ იმას გაიძახოდა ვისაც ჩემს მასწავლებლად ვთვლი, კორიფეებად მესახებიან, ჩემთან ბრიგადირებად და მუშებად მუშაობდნენო.

ხელფასის მეორე დღეს, «გასუქებული» გადიოდა სახლიდან. სიგარეტს, ჩაის, შაქარს მალავდა შინელის შიგნით. საღამოს კი, უფრო მოტეხილი და დაღლილი ბრუნდებოდა ნერვიული დაძაბულობისგან, _ ვინმეს რომ დაენახა, გამოეჭირა...

მიხეილის გონებაში, იმდროინდელი კიდევ ერთი ეპიზოდი ჩარჩა. ერთხელ, ქუჩაში მიდიოდა, ქართული ღიღინი მოესმა, ვიღაც დედამისის საყვარელი სიმღერის მოტივს ამღერებდა. გაიხედ_ გამოიხედა. გამვლელებში ვერავინ იცნო თანამემამულედ. მაშინ დაიძაბა: ვინ არის ქართველიო. პატიმრებს ერეკებოდნენ მეავტომატეები. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა. სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა საწყალი. ისე გამოიწია მიხეილისკენ, თითქოს შვილი ყოფილიყო, მონატრებული შვილი... არ დაავიწყდება სასოწარკვეთილი ძახილი _ «მე ვარ ბიჭო, მე... გესმის ბიჭო?!» _ არ გამოატარეს. მეავტომატემ დაფლეთქილ ჩექმიან ფეხში ჩაარტყა ფეხი და კონდახით უჯიკავა. არც მიხეილი გაუშვეს, მასაც უხეშად ჰკრეს ხელი...

_ ვინ ხარ შვილო, საიდან...

_ თბილისიდან ბიძია...

_ როგორ არის ბიძია საქმეები... რას შვება იქაურობა...

_ კარგად ბიძია, ყველა კარგადაა... რაიმე ხომ არ გინდათ, ვინმეს გადავცე...

_ არა!.. აღარავინ მყავს... ყველა აქითაა... წადი ბიძია, თორემ შეიძლება... წადი!..

მიხეილი მაინც არ სცილდებოდა პატიმრების კოლონას. ხუთ კილომეტრამდე გაიარა მათთან ერთად. მეავტომატეებიც დაწყნარდნენ, რატომღაც აღარ აგდებდნენ, თუმცა არც თანამემამულეს აკარებდნენ ახლო.

_ ბიძია... რაზე...

_ ტყვედ ვიყავი შვილო...

_ დანებდი?!

_ დავნებდით... აზრი აღარ ჰქონდა... ალყაში მოვექეცით, სულ ხუთიღა ვიყავით...

_ გამყიდ...

_ არა ბიძია, არ ვარ გამყიდველი!!! ტყვიებიც აღარ გვქონდა... აზრიც არ... მე არავინ გამიყიდია, ჩვენიანისთვის არ მისვრია, პოლიციელი არ ვიყავი... კონცლაგერში ვეგდე... მოხალისედ წავედი ომში...

_ მაშინ რატომ?!

_ ესეთი კანონია...

_ ცუდი...

_ გაჩუმდი ბიძია... ნუ იტყვი მაგას... წადი დროზე... წადი გესმის?! წადი მეთქი!!! _ ტირილი აუვარდა ტუსაღს. მეავტომატეები ანერვიულდნენ, ერთი უთავაზეს მასაც და მიხეილს ისე მაგრა ჰკრეს ხელი, რომ მიწაზე გაიშხლართა.

მამამ ვერ გაუძლო ამდენ ნერვიულობას, დაუძლურდა. ძველი, ომში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა ორმოცდაცამეტში, ყოველ შემთხვევაში ასე უთხრეს, სამსახურიდან გამოსული, სახლთან ერთ კილომეტრში იპოვეს. ყუმბარის ნატეხი ჰქონდა ჩარჩენილი, დაიძრა და გული გაუნგრიაო, სამედიცინო დასკვნაშიც _ იგივე ეწერა.

გამოსვენების უფლება არ მისცეს რატომღაც, უცებ ახალეს. ისე არც მოუთხოვიათ. ან სად ჰქონდათ დედამისს და მიხეილს ამის თავი. იქვე დამარხეს, გამოიტირეს და წამოვიდნენ სამშობლოსკენ ორი გაუბედურებული ადამიანი.

საკვირველია, ალბათ გამორჩათ და მამამისის პასპორტი არ ჩამოართვეს გზად, რომელიღაც მდინარე გემით უნდა გამოევლოთ. ვიღაც სამი თანამემამულე გაიცნეს. ერთ-ერთს საბუთები არ გააჩნდა. დაკარგვა მოიმიზეზა. დედამ იფიქრა: ალბათ ახალი გამოშვებულიაო. ასეთ ხალხს პასპორტს არ აძლევდნენ, მდინარის იქით გადასვლა აკრძალული ჰქონდათ.

გემიდან ჩამოსვლისას საბუთებს ამოწმებდნენ, დედამ მეუღლის პასპორტი მისცა, რაიმეში შეიძლება გამოგადგეთო. მიხეილის თვალწინ ჩააკრა უცნობმა თავისი სურათი. რაღაცნაირად ბეჭედის მიხატვაც შეძლო.

ტრაპთან ბევრი ხალხი შეიკრიბა. უცნობებმა ბარგის გადატანაში დაგეხმარებითო, ჩემოდანს, ფული სადაც ედოთ, დაავლეს ხელი და წინ გაიწიეს. დედა და მიხეილი ჩამორჩნენ, ჯგრო ვერ გაარღვიეს. უცნობებმა თავისუფლად გაიარეს კონტროლი. ერთი დაეღრიჯნენ გემზე მდგარ მხსნელებს, ხელი დაუქნიეს და გაუჩინარდნენ ჩემოდანთან ერთად...

ვერ აპატიებს ვერასდროს... არ დაავიწყდება... სამივეს სახე კარგად ახსოვს... ეძებს, რამდენი ხანია ეძებს. და... ცუდად რომ გახდა, იმ დღეს იპოვა ერთ-ერთი... ოცდაცამეტი წელი გავიდა. ჩასუქებულა, მოხუცდა, მაგრამ იცნო ღორიშვილი...

თავი გაახსენა, ვიგინდარას არც დაუწყია მართლება, ცოტა კი შეცბა. დაუსჯელად ჰგონია შერჩა, ქვეყანა ჩალით ჰგონია დაფარული, ფული იშოვა ნაგავმა და... «მერსედესით» დაგრიალებს... როგორ იყიდეთ მატარებლის ბილეთებიო, _ ცინიკურად იკითხა. ალბათ კიდევ ბევრი გქონდათ შემონახული, მამიკო ისე არ მოკვდებოდაო, _ ჩაიხითხითა.

არაფერი უპასუხა მიხეილმა, ძალიან უნდოდა რაიმე გადაელეწა, მაგრამ თავი შეიკავა, იოლად გამოსვლა იქნებოდა მისთვის.

ადგა და ჩუმად გამოვიდა. უკვე იცოდა როგორ დასჯის, სამაგიეროს როგორ გადაუხდის, არა, არ მოჰკლავს, თავს არ დაიღუპავს თვითონაც, ოჯახს, რეპუტაციას არ გასწირავს. გააწამებს, მუხლებში ჩაიგდებს, არაფრით არ აპატიებს...

დედამისმა, დედოფლის სადარმა დედამისმა მრეცხავად, დამლაგებლად დაიწყო მუშაობა რომელიღაც უღხო, უცნობ ქალაქში... როგორ შეარჩენს... როგორ?! სისხლს... ვიღაც იდიოტი, ლოთი მილიციელი აეკიდა დედამისს... არ დაავიწყდება, გაგაციმბირებთ თუ არა... ძლივს დააღწიეს თავი... ამისგან შეშინებული მიხეილი, მშიერ_ მწყურვალი, დაფლეთქილი ტანისამოსით, თვალცრემლიანი შევიდა, უფრო სწორედ, როგორც იქნა გაძვრა სადგურის უფროსის კაბინეტში, ყველაფერი მოუყვა. ბავშვს ბევრი რამ არ ესმოდა და არც პასპორტის, არც მილიციელის ამბავი არ დაუმალია.

სადგურის უფროსმა ბილეთები მისცა საქართველომდე, ფული არ ჰყოფნიდათ, მაგრამ თვითონ გადაუხადა, სამასი მანეთი სახარჯოდაც ასესხა და გამოუშვა. არც ამ კაცის მადლი დაავიწყდება. ჩასული იყო, გარდაცვლილა საუბედუროდ, მისთვისაც ძველ ჭრილობებს გაუხსენებია თავი.

... ოჰ, რას უზამს... რას უზამს იმ დროს... მილიციონერს... ის ხისთავა იმდენად არ ეჯავრება, ნაფრონტალი, ნერვებდაწყვეტილი, გალოთებული სუბიექტი იყო... ძალაუფლებამ რომ უეცრად დაარტყა თავში... არა, იმის ბრალია, იმ ღორისშვილის...

სახლში მივიდა მიხეილი. კაბინეტში ჩაიკეტა. სტატიების დაწერა უნდოდა, პირველი ქვა უნდა დაედო მეხინკლის საფლავისთვის. ზუსტად მაშინ გახდა ცუდად, ძლივს მოასწრო კარის გაღება და დაძახება, გრძნობა დაჰკარგა.

გონზე რომ მოვიდა, ვერაფრით გაიხსენა რა დროს, სად დაემართა ინფარქტი, რაზე ინერვიულა. გადაწყვიტა, ალბათ გადავიღალეო.

ეხლა კი, ამ წუთში დედიკო როდესაც მოეფერა, აღუდგა მეხსიერება. სიამოვნება იგრძნო, მეხინკლის სახე რომ წარმოიდგინა, გაეღიმა და თბილად აკოცა, ეამბორა დედოფლის სადარ დედას.

ვარლამი შემოვიდა. დროა მოისვენოს, სახლში გაგიყვანთ მარიამ დეიდა, მეც ერთ_ ორ საათში მოვალ, ცოტას წავუძინებ, მძიმე ავადმყოფი მყავს, ისევ აქ უნდა გავათენოო, _ თქვა. ექთანი გამოიძახა, გააფრთხილა, მარტო არ დაეტოვებინათ.

მიხეილმა ვერ მოისვენა, ფიქრებთან მარტო უნდოდა დარჩენა. ნუ მოიწყენთ, გადით, ორი საათის შემდეგ მოვა და მაშინ შემოხვალთო, _ ეხვეწებოდა ექთანს. ძლივს დაეთანხმა, გასვლისას ძალიან მხნედ მოაჩვენა თავი. ღმერთი არ გაუწყრეს, ხშირად შემოსვლით არ გამაგიჟოსო.

ფიქრი ძალაუნებურად იმ ვიგინდარისკენ მიდიოდა. ბევრი ეცადა დაწყნარებულიყო. ოთახს დაუწყო თვალიერება, შეისწავლა.

«თეთრი ქათქათა კედლები, თეთრი ფანჯრის რაფები, თეთრი «ტუმბოჩკა», თეთრი საწოლი, კარები. რა ერთფეროვანი და პირქუშია ყველაფერი. ჩემი ნება იყოს აუცილებლად რაიმეს მოვიფიქრებდი. რაიმეთი უნდა მოიყვანო ხასიათზე ავადმყოფი. ყვავილი ან... თუგინდ, რაიმე მხიარული, იუმორისტული ფოტო, ნახატი უნდა ჩამოკიდო... ერთი ფერის აბა... აუცილებლად დავწერ ამას»..

უეცრად ამოიკვნესა, გულში საშინელი, მწვავე ტკივილი იგრძნო. ღილაკის დაჭერა მოინდომა, ვერ შეძლო. საწყალ ექთანს ჩემი გულისთვის ტყავს გააძრობენო, _ გაიფიქრა,

ძლივს ასწია მარჯვენა ხელი, როგორც იქნა ღილაკს დააჭირა, კარგა ხანს ეკავა და მოხსნა თუ არა, გრძნობა დაკარგა.

ნაწყვეტები ავადმყოფის სამედიცინო ისტორიიდან

ავადმყოფი დგებუაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე 45 წლის შემოვიდა N საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ა.წ. 16.X. 14.00 მძიმე მდგომარეობაში სასწრაფო დახმარების მანქანით, დიაგნოზი _ მიოკარდიუმის ინფარქტი, კარდიოგენული შოკი.

შემოსვლისას მდგომარეობა უმძიმესი, კონტაქტში შესვლა შეუძლებელია. კანი დაფარულია ოფლით. პულსის დათვლა შეუძლებელია, წნევა არ ისინჯება. გულის ზონები ძლიერ მოყრუებული. სასწრაფო დახმარების ექიმის მიერ გაკეთებული აქვს ნარკოტიკული საშუალება, ჩაუტარდა შოკის საწინააღმდეგო თერაპია.

(14.00 ავადმყოფს დაეწყო შოკის საწინააღმდეგო ინტენსიური თერაპია, უკეთდება ნარკოტიკული საშუალებები გეგმიურად.

14.30 ავადმყოფი კითხვებზე პასუხობს მოგვიანებით.

15.00 ავადმყოფს სძინავს. მდგომარეობა მძიმეა.

17.00 გამოიყო 150 მლ. შარდი მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

18.00 ავადმყოფი გამოყვანილია შოკური მდგომარეობიდან. უგრძელდება დანიშნული მკურნალობა.

20.00 ავადმყოფს სძინავს, მდგომარეობა დინამიკაში გაუმჯობესებულია. უტარდება დანიშნული მკურნალობა, გამოიყო 300 მლ. შარდი.

ღამით ავადმყოფს ეძინა მშვიდად. 03.00 აღინიშნა ტენდენცია წნევის დაქვეითკებისაკენ.

03.50 მდგომარეობა გაუმჯობესდა. დილამდე ეძინა მშვიდად. დღის განმავლობაში გადაესხა 1800 მლ. სითხე, გამოიყო 800 მლ. შარდი.

17.X ავადმყოფს უტარდება დანიშნული ინტენსიური თერაპია. მდგომარეობა დინამიკაში გაუმჯობესებულია. ტკივილები არა აქვს.

26.X ავადმყოფი გადაყვანილია განყოფილებაში. 10.XI_ მდე ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, დაიწყო სიარული. 10.XI უეცრად მდგომარეობა დამძიმდა, დაეწყო ძლიერი ტკივილი მკერდის ძვლის უკან, განვითარდა კარდიოგენული შოკის სურათი, ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობაში გადაყვანილ იქნა რეანიმაციის განყოფილებაში. დაეწყო ინტენსიური თერაპია.

12.30 გაჩერდა გული. დაეწყო გულის არაპირდაპირი მასაჟი, გაუკეთდა დეკიბრილაცია. 13.10 აღდგა გულის მუშაობა დაედგა წვეთოვანი, 13.20 _ 70/20 პულსი, 14.10_ რ_ 160, მოციმციმე არითმიის ტიპის არტ. წნევა ტა_ 80/40, ჩატარებული ინტენსიური თერაპიის ფონზე, ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

27.XI ავადმყოფი გადაყვანილ იქნა განყოფილებაში.

29.XII_ ს ავადმყოფი გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა ბინაზე.

საბოლოო დიაგნოზი: ძგიდისა და მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ტრანსმურალური ინფარქტი.

გართულება: კლინიკური სიკვდილი.

1986 წ. აგვისტო. მოსკოვი.

<u>დღეს ლევანმა ბეჭედი დაკარგა...</u>

«მოეშვი მრისხანებას და მიატოვე გულისწყრომა; ნუ გამძვინვარდები, რათა არ გაბოროტდე».

ლევანმა ბეჭედი დაკარგა, ბებამისის ნაჩუქარი ბეჭედი, უფრო ზუსტად, ნაქონი; მასთან კი, რაღაც უცნაურად მოხვდა.

ოთხშაბათობით, ლექციები ადრე ეწყებოდა. მამამისმა გააღვიძა, პირი დაიბანა, ჩაიდანი აავსო, ქურაზე დადგა, ჩაიცვა და ისევ სამზარეულოში გავიდა.

წინა დღის გაზეთი ნახა მაგიდაზე, სკამზე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო. ტელეპატიის არასდროს სჯეროდა, არც ღმერთის სწამდა, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი ისე აეწყო, თითქოს რაღაც ზებუნებრივმა ძალებმა იმოქმედაო.

თავი არაფრის ჰქონდა, ყურადღება ეფანტებოდა. რატომღაც ბებია გაახსენდა, ექვსი წლის წინ გარდაცვლილი ბებია, _ მამის დედა, ძველი სურათებიდან ჩანდა, რომ ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი ყოფილა. სუფთა ქართული, არისტოკრატული, ამაყი სახე ჰქონდა. ეს არასდროს გაჰკვირვებია, თავადის ქალი იყო ბებია, რევოლუციამდე ატარებდა ამ წოდებას, გვარად ჩიქოვანი, სახელად მარიამ.

ბებიას ბავშვობასა და ყმაწვილქალობაში შესაფერისად ზრდიდნენ, საჭირო მანერებსა და შესაბამის თავდაჭერას ასწავლიდნენ. რევოლუციამ პანსიონში სწავლისას მოუსწრო. გასაბჭოებას არც გაქცევიან, იმიტომ რომ მარიამ ჩიქოვანის ერთადერთი ძმა, ოჯახის უფროსი შვილი, ბოლშევიკი, პროფესიონალ_ რევოლუციონერი იყო. მომავალში, აჭარის «ჩეკას» ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. ბებია ხშირად იხსენებდა ძმას, მასთან დაკავშირებულ ამბებს. წლებმა ვერ შეანელეს დედმამიშვილური სიყვარულიო.

ძალიან ახოვანი, ლამაზი ყოფილა შესახედავად, კარგი მსროლელი, მოფარიკავე და ცხენოსანი. გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან გამოურიცხავთ და დაუპატიმრებიათ. ამიტომაც, სწავლა ვერ დაუსრულებია, მაგრამ თვითგანათლება მიუღია ძალიან დიდი. რევოლუციამდე გადასახლებაში ყოფილა. ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან იმ პერიოდში ვიღაც უცხო პირები, მე როგორ ყველაზე პატარას, თუ სახლში ვიყავი, ძალიან დიდი გულმოდგინებით მაფრთხილებდნენ, არ წამომცდენოდა «სტუმრების» შესახებ არაფერიო, _ იხსენებდა ბებია.

გასაბჭოებამდე ერთი წლით ადრე, ჩუმად დაბრუნებულა სახლში, ჭლექით დაავადებული. ასევე ჩუმად გამქრალა რამდენიმე თვეში, სანამ წითელი ჯარის ნაწილები არ შემოსულან ზუგდიდში.

ოცდაოთხში მოუკლავს თავი. ჯერ სახლში ჩამოსულა, ოჯახი მოუნახულებია. მაშინ, იმდენად ყურადღება არ მიგვიქცევია, ძალიან დაღონებული, ჩაფიქრებული და ზედმეტად ალერსიანი იყო ყველასთანო. ის ბეჭედიც წასვლისას უჩუქებია უმცროსი დისთვის. დიდ მატერიალურ ღირებულებას არ წარმოადგენდა, დაბალი ხარისხის

ოქროს, ციმბირიდან ჩამოიტანა, მუდამ ხელზე ეკეთა, არავის ეუბნებოდა ვინ აჩუქა, ან სად იყიდაო.

წასვლიდან ერთი კვირის შემდეგ, შეგვატყობინეს: თავი მოიკლაო. ამ უბედურების გაგებიდან მეორე დღეს, დაიწყო ცნობილი ამბები საქართველოშიო.

ლევანის დიდი ბაბუა ბათუმში წასულა ცხედრის ჩამოსასვენებლად, იქაური ნათესავიც გამოჰყოლია და დახმარებია. გზაში პატივისცემით ეპყრობოდნენ აჯანყებულებიც და ბოლშევიკებიც, როცა გაიგებდნენ ვისი ცხედარი ესვენა ურემზეო... არავის დაუყოვნებია, პირიქით, ხელს უწყობდნენ, ეხმარებოდნენ თურმე. საფიქრელია, ორივე მხრიდან დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ცხონებულს. ანდა, შეიძლება არავის ეცალა... თუმცა, ის თარიღიც მისანიშნებელია სიცოცხლის გამოსასალმებლად რომ აირჩია. ალბათ ბევრი განიცადა იმ დღეებში. შეიძლება, რაღაც ინფორმაცია ჰქონდა მოახლოებულ ქარიშხალზე, ვიღაც ვერ გათქვა, იდეასაც ვერ უღალატა და აღარც მოისურვა ძმათაშორის სისხლისღვრაში მონაწილეობა. ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი უბრალო დამთხვევაა, შეიძლება სულ სხვა რამემ უბიძგა ხელი ასეთ საშინელ რამეზე.

ლევანი შეეცადა, ყურადღება გაზეთზე გადაეტანა, არაფერი გამოუვიდა. ისევ ბებია წარმოუდგა თვალწინ. ახალგაზრდობის სურათზე აღბეჭდილი და ისეთიც როგორიც ახსოვდა. შედარება დაიწყო. მაღალი, ერთ დროს აშოლტილი, ჩამოსხმული ქალი, გაჭირვებამ, ავადმყოფობამ (მარილების დაგროვება აწუხებდა), სიბერემ მოხარა და მოკუნტა. ხელები, სახე დანაოჭებული, მაგრამ ძველებურად დარბაისლური ჰქონდა. მხოლოდ ერთ ადგილზე გაჩერებისას, ან ვინმესთან საუბრისას სწორდებოდა წელში. მოსაუბრეს აუცილებლად თვალებს უსწორებდა, პირდაპირ უყურებდა, რაღაცნაირი, ძნელად შესამჩნევი სიამაყით, სხვის დასამცირებლად კი არა, საკუთარი მეობის, თავმოყვარეობის გამოსახატავად. ერთხელ პატარაობისას ლევანმა ჰკითხა კიდეც, რატომ იღებ ასეთ გადაწყვეტილებას, ვინმე რომ გელაპარაკებაო. ეწყინა. მისთვის ხომ ეს ჩვეულებრივი, სისხლში გამჯდარი რამ იყო, ახსნა_ განმარტებას, გაშიფვრას რომ არ საჭიროებს. «ყველას უნდა ეამაყებოდეს თავისი ნამუსის, სინდისის, და სიმართლის» _ უთხრა გაბრაზებულმა.

შვილიშვილსაც ამას ასწავლიდა, მაგრამ ბავშვი, «ბოროტად» იყენებდა ბებიამისის «სუსტ წერტილს». ხშირად აჯავრებდა, აშაყირებდა, დასცინოდა და ნერვებს უშლიდა. ისიც «პატარა ბავშვივით», როგორც ლევანი, მაშინ ფიქრობდა, იბუტებოდა. რაც ოთახიდან წარბაწეულ გასვლაში გამოიხატებოდა, თან აყოლებდა: _ «ჰმ... კინტო!».

ვაჭრები არ უყვარდა. ისე კი, ომში ქმრის წასვლის და დაღუპვის შემდეგ, პროფესისა და შესაფერისი სამსახურის უქონლობის გამო, პურის გამყიდველად მუშაობდა. ალბათ ამანაც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. არ სიამოვნებდა ამ ამბის გახსენება. თუმცა ეტყობოდა, არც ძალიან ეთაკილებოდა, შვილი ჰყავდა სარჩენი, თანაც ხურდაში მოტყუება კი არა, რომც დაგეტოვებინა, არ აიღებდა, ეწყინებოდა.

ცოტა ხანში, ლევანი შევიდოდა ბებიის «თავშესაფარში». თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე მოეფერებოდა, გულში ჩაიხუტებდა შვილიშვილს, რაც სხვა ოჯახის წევრისათვის, ასეთივე შემთხვევაში, ძნელად მისაღწევი იყო. მამამისს ეცინებოდა, როგორ ჰყავს ამ ლაწირაკს დედაჩემი ხელში აყვანილიო. ბავშვობისასო, იხსენებდა, _ ღამე გვიანობამდე არ ვიძინებდი, თავს მოვიმძინარებდი, საბანს ვიხდიდი, მოვიდოდა, დამახურავდა და მხოლოდ მაშინ მეფერებოდა, _ ყველაზე ბედნიერი ადამიანი მეგონა

თავიო. როცა ეუბნებოდნენ, ასე მკაცრად რატომ ზრდიო, ამბობდა თურმე: _ «ყმაწვილკაცს დედისგან დიდი ხვევნა_ კოცნა და ალერსი არ უხდება, აფუჭებს». შვილიშვილმა დაურღვია ეს წესი, მხოლოდ მასთან იყო უსუსური და «გამოჭერილი».

ბებიის მცირე პენსია, თითქოს სულ ლევანის განკარგულებაში იყო. ყოველდღიურად ორმოცდაათ კაპიკს აძლევდა. ზედმეტზეც არასდროს უთქვამს უარი. არც ეკითხებოდა რაში სჭირდებოდა. უმეტესად, თვითონ ლევანი ეუბნებოდა. როგორ შეაჩვია ამას, თვითონაც ვერ ხვდებოდა.

ერთხელ, დედამ უთხრა, ნუ აფუჭებ ფულით, თუ აძლევთ, ჰკითხეთ მაინც რაში სჭირდებაო. პასუხი შესაფერი გასცა ბებიამ:

_ უნდა მიაჩვიო თვითონ გითხრას, არა და, ესე იგი საჭიროდ არ თვლის. კაცს, თუგინდ ბავშვს, უნდა ენდო. ცუდ საქმეში გამოყენება კი... მაშინ, ჩვენ ვერ გვისწავლებია საკუთარი მაგალითით, ვერ აგვიღზრდია ვაჟკაცად. თუ ყოველთვის ჩააცივდი, მიზანი გამოჰკითხე, შეიძლება შეშინდეს, არ მომცემენო იფიქროს. ამის გამო, ტყუილსაც იკადრებს. აი, მაშინ გაფუჭდება, შეუყვარდება ფული, მისი მონა გახდება. არა ყადრიანი მხარჯველი, არამედ მონა, ფულის მონა!.. ყოველდღიურად კი, შეძლებისდამიხედვით, წლოვანების გათვალისწინებით უნდა მისცე, რომ არ დაიჩაგროს, ესენი ყველაფერს საზღვრავენ, ხედავენ, ზოგს მეტს აძლევენ, ზოგს ნაკლებს. ხვდებიან ყველა ერთნაირად არ ცხოვრობს, ყველას ერთი შესაძლებლობა არ გააჩნია. თუ დაინახეს შეგიძლია, მაგრამ არ აძლევ, იფიქრებს რომ გენანება. აი, მაშინ შეუყვარდება ფული. ჩათვლის, თითქოს მისი ქონა, შენახვაა მთავარი. გახდება ფულის მონა, ყურმოჭრილი მონა, არაკაცი, ძუნწი!..

ბებია მორჩა მონოლოგს და გაეღიმა. მიხვდა, ძალიან კაცრად გამოუვიდა რძალთან საუბარი და რბილად დაუმატა:

_ ისე კი, კონტროლი მართლაც საჭიროა, სწორი ხარ. თვითონ მეუბნება, ნუ გეშინია... ზედმეტსაც არ ვაძლევ, ან სად მაქვს... არ გეწყინოს...

ლევანს ფიქრი მამამ გააწყვეტინა. უცებ, გიჟივით გამოვარდა სააბაზანო ოთახიდან ნახევრადგაპარსული. სასწრაფოდ წაიძრო თითიდან ბეჭედი და ხელში მიაჩეჩა, შ_ შენ გქონდესო. ლევანმა დაბნეულად შეხედა, ძლივს ამოღერღა: _ «რატომ?!» _ რაღაცნაირი გაურკვეველი, არადამაჯერებელი პასუხი მიიღო.

ახალგაზრდა ხარ, მე რაღაში მჭირდება, შენ ატარე... უპასუხა მამამ და როგორც უეცრად გამოჩნდა, ასევე სწრაფად გაუჩინარდა.

ლევანი დაბნეული იჯდა. ვერ აეხსნა მომხდარი ფაქტი, მამის ესეთი საქციელი. ბეჭედი თითზე წამოიცვა, წამოდგა, თავის ოთახში შავიდა, ლოგინზე წამოწვა და ისევ ბებიაზე გააგრძელა ფიქრი.

სიცოცხლის ბოლო წელს ბებიას სამჯერ დაემართა ფილტვების ანთება. ისე მოხდა, რომ ორჯერ მარტონი იყვნენ სახლში. მშობლები, პირველად უცხოეთში მოგზაურობდნენ, მეორედ _ რაღაც საქმეზე მოსკოვშიმ. ისე, დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა ამას. ლევანის გარდა ვერავინ უვლიდა, არავის უჯერებდა. გამოკეთდებოდა თუ არა ცოტათი, უცებ იცოდა ადგომა. ალბათ მოწყენილობის გამო ფანჯარასთან შეუყვარდა ბოლო ხანებში ჯდომა, სულ იქით მიიწევდა. ანდა, ჩაიცმევდა ტანსაცმელს და გადაუფარებლად წამოწვებოდა. სულ ჩხუბი და დავიდარაბა ჰქონდათ ამის გამო. დიდი ვაივაგლახის შემდეგ, გაბრაზებული, კინტო_ კინტოს ძახილით ბუზღუნით

ნებდებოდა ბებია და ჩაწვებოდა საწოლში. წამლის მიღებაც პრობლემა იყო, არ უყვარდა, სულ რაღაცას იმიზეზებდა, ეს მჟავეა, ეს მწარეა, ამისგან ალერგია მაქვს და ასე შემდეგ.

ერთ გამონაკლისს უშვებდა მარტო, «ციტრამონს» სცემდა ძალიან დიდ პატივს. სულ ჯიბით დაატარებდა, დღეში ალბათ ათ ცალს ყლაპავდა, სახლიდან ყველა გამსვლელს მის მოტანას აბარებდა.

ერთხელ, კუჭის მოქმედება დაერღვა. რა თქმა უნდა არავის გაუმხილა, მაგრამ შეატყვეს. როგორც ყოველთვის, დილით, შვილს ციტრამონი დააბარა. საღამოს, ლევანის მამამ მინის პატარა ქილით, «ციტრამონის» მსგავსი რაღაც ტაბლეტები მოუტანა. არ იყო ქარხნის და აფთიაქში დავამზადებინე, მეტი არ მომცესო. ლევანს კი გაანდო, ბებიაშენის კუჭს ეშველება, სუსტი გამხსნელია, სულ ათ ცალს დალევს და მოეშვებაო. მართლაც, მეორე საღამოს, მთელმა ოჯახმა კიდევ ერთხელ მოისმინა «ქება_ დიდება ციტრამონისაო». სიცილი ძლივს შეიკავეს, ლევანის დედა საერთოდ მეორე ოთახში გავიდა, მამა ფანჯარას ეცა, ვითომ გარეთ ვიღაცას ათვალიერებდა, თვითონ ლევანი კი, გვერდულად დაჯდა, თვალების სრესვა დაიწყო, ვითომდა ეძინებოდა.

ლევანი ისე დარწმუნდა ბებიამისის გამძლეობაში, მის მარადიულობაში, რომ აღარც შეშინებია, როდესაც მესამედ დაემართა ანთება. მშობლებიც სახლში იყვნენ და იმდენი ყურადღება არ დასჭირვებია. ერთ დღეს ბიჭებმა მოაკითხეს. ჯერ კარტი ითამაშეს, შემდეგ ატყდნენ, რესტორანში წავიდეთო. დედა სადღაც იყო გასული, თორემ რომ გაეგო, ერთ ამბავს შექმნიდა. ფულის სესხებაზე ვიღაცას ტელეფონით შეუთანხმდნენ. გასვლისას ბებიასთან შევიდა. კარგად, მომჯობინებული გამოიყურებოდა, მოეფერა შვილიშვილს, შეატყო სადაც მიდიოდა და ნასვამი არ მოხვიდეო შეეხვეწა. ლევანის გაეცინა, სწორედ დღეს ვაპირებო, გააფრთხილა. შეიძლება დამაგვიანდეს, ვინმესთან გავაგრძელოთო, დაუმატა, აკოცა ბებიას და გაიქცა.

მართლაც, ერთ-ერთ მეგობართან გადაწყვიტეს ქეიფის გაგრძელება გათენებამდე. ექვსნი იყვნენ. ორი ტაქსი დაიქირავეს. ლევანი და მისი ერთ-ერთი ძმაკაცი ერთად ჩასხდნენ. გზად, სახლთან ახლოს უნდა გაევლოთ, თითქოს რაღაც იგრძნო, შევიაროთო სთხოვა მეგობარს. ოჯახში სიტუაცია უნდოდა გაერკვია, ესე იგი, როგორია მოლოდინი «შვილისა შინა»... კარები არავინ გაუღო. გასაღები ამოიღო და ფეხაკრეფით შევიდა. მეზობლები ბებიის საწოლთან დახვდნენ. მშობლები სადღაც წვეულებაზე წასულან, რაკი ავადმყოფი კარგად გრძნობდა თავს; თან მეზობლებიც გაუფრთხილებიათ ყურადღება რომ მიექციათ.

_ ერთად ვუყურებდით ტელევიზორს, სულ თხუთმეტი წუთით გავედი, შემოვედი და... _ აღარ დაამთავრა მეზობელმა, ხელები გაშალა და მძიმედ ამოისუნთქა.

ლევანი უცებ გამოფხიზლდა, საწოლს ეცა, არაადამიანურად ხრიალებდა, გაყვიროდა რაღაცას, ბებია ჯერ კიდევ თბილი იყო, თვალები ღია ჰქონდა. სიცოცხლის ნიშანწყალი მოეჩვენა ლევანს მათში. გულის ვარჯიში დაუწყო და მეგობარს დაუძახეთ, ტაქსშიაო, _ იკივლა. ერთ-ერთი მეზობელი მიეშველა. ლევანი ჰაერს ბერავდა ბებიას, ის კი გულს ამუშავებდა. მალე მეგობარიც ამოვიდა და მეზობელი შეცვალა. გაშმაგებული მოქმედებდნენ ორივე. მეგობარი ოფლად იღვრებოდა, ლევანს ბებიის პირიდან ამოსული ნერწყვით მოეფინა სახე. არც შეუმჩნევია, არც შეჯავრებია... მხოლოდ ეშინოდა, ბებიის დაკარგვის ეშინოდა.

ალბათ საათი_ საათნახევარი იწვალეს. ოთახში მეზობლები ჩუმად იდგნენ. ერთ-ერთმა ძლივს წაილუღლუღა: აღარაა ცოცხალი, არაფერი უშველისო. ლევანიმ ბილწად შეიგინა. არ სჯეროდა... თვალებს დააკვირდა ისევ. გაყინულ მზერაში სიცოცხლე მაინც მოეჩვენა, მისთვის ეს თვალები არ შეიძლებოდა ცოცხალი, ამაყი არ ყოფილიყვნენ, თანაც... თავისივე ჩასუნთქული ჰაერის ამოსვლისას, ბებია რაღაცნაირი ხრიალის ხმას გამოსცემდა. შეხედეთ ცოცხალია, ცოცხალიაო, _ გაჰყვიროდა ლევანი.

სასწრაფო, როგორც ყოველთვის «დროზე», ორი საათის შემდეგ მოვიდა, მაშინღა მოსცილდა ლევანი ბებიას. თეთრხალათიანებს ენდო, იმედის თვალით შეხედა. შუშაბანდში გაიყვანეს. ექიმიც მალე გამოვიდა და... ახალგაზრდა, ასე ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, _ აღარ არისო, წაილუღლუღა. ცოტა ხნის შემდეგ, რაღაც საბუთებზე, თუ გაკვეთაზე წაღების შესახებ დაუწყო საუბარი. აღარ ახსოვს, არ უსმენდა, გაოგნებული, გაშტერებული იდგა, თითქოს, ცრემლი აქამდე ღაპა_ ღუპით რომ მოსდიოდა, გამოუშრა. ექიმმა შეანჯღრია და კვლავ უთხრა რაღაც, ისევ არ ახსოვს რა, მაგრამ ახსოვს, ეწყინა. უცებ იფეთქა დარდმა, წუხილმა, ბოღმამ გამოსავალი ნახა, ყელში სწვდა და დახრჩობა მოუნდომა. ხელიდან ვერ გამოაცალეს, ეგონათ შემოაკვდებოდა, მაგრამ უცებ, თვითონვე მოეშვა. თავი გაინთავისუფლა გამშველებლებისაგან, თვალებში ცრემლი მოადგა და ბებიის ოთახში შევიდა. მეგობარი და კარის მეზობელი შეჰყვა. მარტო დამტოვეთო. _ სთხოვა. რაღაც უთხრეს, არც მოუსმენია.

ბებია საწოლში გაასწორა, ბალიში მორგებულად დაუდო, საბანი გადააფარა, ეხლაღა შეამჩნია, ექიმს მიცვალებულისათვის თვალები არც დაუხუჭავს. ისევ დააკვირდა, სიცოცხლე მართლა გამქრალიყო მათში. ეხლაღა მიხვდა, დარწმუნდა, ბებია აღარ იყო, გარდაიცვალა, დატოვა ოჯახი, შვილი, შვილიშვილი... მზერა აღარ ჰქონდა ამაყი, დარბაისლური... აკოცა, მოეფერა ჯერ კიდევ თბილ ცხედარს და გამოვიდა.

მშობლების მოსვლა, შემდგომი დღეები აღარც ახსოვს წესიერად, ამოეშალა თავიდან. ალბათ გაოგნებული დადიოდა და მექანიკურად აკეთებდა ყველაფერს...

ლევანის ჩაეძინა. არაფერი დასიზმრებია. სამი საათი თითქოს უსულოდ იდო. უცებ, ვითომცდა ვიღაცამ შეანჯღრიაო, სასწრაფოდ გაახილა თვალები. მალე გონს მოვიდა, აღიდგინა ყველაფერი. გაახსენდა როგორ ადგა, გაზეთის კითხვა, მამამისის მოქმედება და ისევ ბებიაზე დაიწყო ფიქრი:

ერთხელ ბებიას მეორედ რომ ჰქონდა ანთება, გვიანი ღამე იყო, ბებიას ეძინა, ლევანი შუშაბანდში იჯდა და რაღაცას წერდა. უცებ ბებიას ხმა შემოესმა, ეძახდა. ლევანი შევიდა. _ ჩემს უჯრაში საეკლესიო სანთელი დევს, ამოიღეო, _ სთხოვა. შემდეგ პური და ასანთი მოატანინა. სინათლე ჩააქრობინა, სანთელი დაანთო, პურში ჩაარჭო და ხელში დააკავებინა. ლევანს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბებიას რომ შეხედა, შეცბა. ესეთი თვინიერი, მინდობილი, სიამაყის ნიშანწყლის გარეშე მისი სახე არასდროს ენახა. ღმერთს, უფალს იყო მინდობილი, რაღაცას თხოვდა მხოლოდ პირველი წინადადება გაარჩია: «უფალო, შენ შეუნდე ჩემს შვილს, მის ოჯახს, ნაშიერს, ჩემს შვილიშვილს»... შემდეგ რაღაც ლოცვას მოჰყვა. იბუტბუტა ათი_ თხუთმეტი წუთი, სანთლის თითქმის ბოლომდე ჩაწვამდე. შემდეგ ცოტა ხანი ჩუმად იწვა თვალებდახუჭული. უცებ, თითქოს გონს მოეგო. გვერდით, მაგიდაზე დადე პური და გადიო, _ უთხრა. თან ხელზე აკოცა შვილიშვილს, მაგრამ თავისთან არ მიუშვა, არაფერი გადაგედოსო.

ლევანი წამოდგა, წიგნების კარადაში, საიდანღაც ბებიამისის მოტანილ, უცხოეთში დაბეჭდილ «ახალ აღთქმას და ფსალმუნს» _ დაუწყო ძებნა. დიდი, მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. ბაბუამსის წიგნები არ შერჩათ ბევრი, ომის დროს, ზოგი სათბობად იქნა გამოყენებული, ზოგიც გაიყიდა, მაგრამ მამამისიც გაიტაცა ამ საქმემ და მანაც მდიდარი ბიბლიოთეკა შეაგროვა, უმეტესად მხატვრული, მემუარული და პოლიტიკური ლიტერატურა. თუმცა ყველაფერი ერთმანეთში იყო არეულ_ დარეული, ძნელად იპოვიდი რამეს. წიგნი მოტანისთანავე იკითხებოდა, შემდეგ თითქოსდა ქრებოდა.

საოცრად ადვილად იპოვა, გადაშალა და ალაგ_ ალაგ დაიწყო კითხვა.

ფსალმუნი 144(145) «ხოტბა დავითისა»

«აღგამაღლებ შენ, ღმერთო ჩემო, მეუფეო, და ვაკურთხებ შენს სახელს უკუნითი უკუნისამდე»...

«დიდია უფალი და ქებულია ფრიად და მისი სიდიადე მიუწვდომელია.

თაობა თაობას უქებს შენს საქმეებს და შენს სიძლიერეზე მოუთხრობენ».

«კარგია უფალი ყველას მიმართ და მისი წყალობაა ყველა მის ნამოქმედარზე»...

«ხოტბას უფლისას ილაპარაკებს პირი ჩემი და აქებს ყოველი ხორციელი მის წმინდა სახელს უკუნითი უკუნისამდე».

ფსალმუნი 145 (146) «ადიდეთ უფალი»

«უფალი თვალს უხელს ბრმებს, უფალი მართავს წელმოდრეკილებს, უფალს უყვარს მართალნი. უფალი იცავს შემოხიზნულებს, ობოლსა და ქვრივს გაამხნევებს და ბოროტთა გზას გაამრუდებს».

ლევანი საწოლზე წამოწვა, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. ამ დღის შემდეგ გაჩნდა მასში რაღაც მისტიკური, ღმერთის იწამა. რამ იმოქმედა არ უფიქრია, ალბათ მთელი დღე მისთვის გამორჩეული, არაჩვეულებრივი იყო.

ხვდებოდა, ხშირად ხვდებოდა, რომ ცოდვებს ჩადიოდა ღმერთის წინაშე, ბებიამისის ღმერთის წინაშე, მაგრამ მაინც აკეთებდა იმას, რასაც რჯული უკრძალავდა. ხშირად ავიწყდებოდა კიდეც რომ მორწმუნეა, როდესაც დაფიქრდებოდა ამაზე, თავი ეზიზღებოდა და ბუტბუტებდა:

შემიწყალე ღმერთო, შემიწყალე,

რამეთუ შენ მიგენდო ჩემი სული...

ბეჭედს მუდამ თან დაატარებდა. თავიდან ხელზე ეკეთა, მაგრამ ყველა ნაცნობის მისდამი ინტერესი მობეზრდა. სუყველა ერთი და იგივეს ეკითხებოდა: «ცოლი ხომ არ მოგიყვანიაო?» ბოლო_ ბოლო მოიძრო და ჯიბეში ჩაიდო ან თუ რაიმე ხელჩანთა ეკავა, იმით დაჰქონდა. ერთხელ, რაღაც უსიამოვნება შეემთხვა. რატომღაც ბეჭედს დაუწყო ძებნა. სახლში დარჩენოდა. ამის შემდეგ თილისმად, მფარველად შერაცხა, აღარასდროს იშორებდა.

... და აი, ბეჭედი დაიკარგა. თავის თავზე გაბრაზდა. რატომ წაიძრო თითიდან, რა ენაღვლებოდა ვინ რას იფიქრებდა, რა აზრი აქვს, ცოლიანი თუ უცოლო ეგონებოდათ.

ბეჭედი პატარა ხელჩანთის ჯიბეში ედო. შინ რომ მივიდა, დაიძინა. დილამდე არ გაუღვიძია. დილით დასარეკი ჰქონდა, ჩანთა გახსნა უბის წიგნაკის ამოსაღებად. სიგარეტის კოლოფი გახეულიყო და ღერები ამოცვენილიყო. აივანზე გავიდა თამბაქოს

ამოსაფერთხად, ჩანთა გადმოაპირქვავა და უცებ, წკარუნის ხმა მოესმა. ბეჭედი აივნის ქვაფენილზე დავარდა და გადავარდა. გიჟივით ჩაირბინა ეზოში, დიდი ხანი ეძება, ყველა კუთხე_ კუნჭული გადაქექა, ვერსად იპოვა. შინ დედა მიუხვდა, რაღაც რომ მოუხდა. ჩააცივდა, რა მოგივიდაო, ბოლო_ ბოლო ათქმევინა, ამან უფრო აუშალა ნერვები, ტირილის ხასიათზე დააყენა, ძლივს შეიკავა თავი. დედამ დაამშვიდა შეიძლება რომელიმე მეზობლის აივანზე ჩავარდაო. ეს შესაძლებელიც იყო, რადგან თვითონ მეხუთე სართულზე ცხოვრობდნენ, მაგრამ არცერთი მეზობელი სახლში არ დახვდათ. ყოველ შემთხვევაში, რაღაც იმედი მაინც დარჩა, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც...

ჩაიცვა და შინიდან გამოვიდა, სადარბაზოში ანი შეეჩეხა. სულ დავიწყებული ჰქონდა, რომ უნდა შეხვედროდა. რაღაც საქმე მოიმიზეზა. ანი მიუხვდა. ალბათ ეწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ბევრი ასეთი რამ მოუთმენია მისგან.

ცოტაა ანისნაირი გოგონები, უფრო სწორედ, თითქმის აღარ არიან, მითუმეტეს ლამაზი გარეგნობის, საყვარელი ადამიანისგან არაფერს არ მოითხოვენ. უბრალოდ უყვართ და ესეც საკმარისია მათთვის. ყოველ შემთხვევაში, თუ ასე არ არის, გულის სიღრმეში ყველას აქვს რაღაცის იმედი, ბოლომდე ეპოტინებიან გრძნობებს და საჭიროების შემთხვევაში, თავშეწირვის უნარიც გააჩნიათ.

ანის თვალში ლევანი პატიოსანი, კეთილი, თბილი, ნიჭიერი, მაგრამ გამოუცნობი, ძალიან რთული ხასიათის ბიჭია. ცნობისმოყვარეობა ხშირად აღვივებს გრძნობებს. იცის, რომ ლევანსაც უყვარს, ოღონდ თავისებურად. იმასაც ხვდება, ესეთ ხალხს არ შეუძლიათ «მყარი ბედნიერების» მოტანა, სულ შფოთავენ, რაღაცას ეძებენ, ეწამებიან. ხანდახან თვითონაც არ იციან კონკრეტულად რა აწუხებთ, რა სტკივათ, რა აბობოქრებს და მოსვენებას არ აძლევს სულს.

ლევანმა დიდხანს გაბრუებულმა იბორიალა ქალაქში. მიდიოდა უმიზნოდ, არსად. ზედმეტი განცდებისგან ნაბახუსები, ვერავის ამჩნევდა, არავინ აინტერესებდა. ნელ_ ნელა გონს მოეგო. ზოგი ფუქსავატურად მიიზლაზნება. მისი აზრით არავინ, არსად არ იცის ესე ლამაზი «არაფრისკეთება», ხეტიალი, როგორც მის ქალაქში, მისი სულით და სისხლით შერწყმულ, საყვარელ ქალაქში.

ვიღაცამ დაუძახა. თვალებდასიებული, ნამთვარევი გოგი მოექანებოდა მისკენ.

_ ფ-ფული გაქვს?

_ არა...

_ შენც მაგარ პახმელიაზე ხარ გეტყობა...

_ ...

_ გუშინ გირეკე, ვერ დაგიჭირე, კარგი «პონტი გაიჩითა». ვაჟამ «მერსისთან» აგვათრია... ეე... არყები ვსვით... წამო, ინსტიტუტში გამომყევი, ჯგუფელებს გამოვართმევ, «პივა» მაინც დავლიოთ, ხინკალიც «გაასწორებდა».

_ სჯობია ლექ_ ცი_ ებ_ ზე შეხვიდე... ჰმ... კიდევ გამოგრიცხავენ...

_ წადი შენი... შენ მაკლიხარ... მეზარება!.. «სპილოც» შეიძლება გამოვიდეს ჩემს კორპუსთან... გუშინ ტრაბახობდა: ნატური ღვინო მაქვსო...

ლევანმა რაღაც მოიმიზეზა. გოგიც მიხვდა, რომ თავი აარიდა. თხუთმეტი წელია ერთმანეთს იცნობენ, იცის მეგობრის უცნაური ხასიათი. დაგირეკავ, ან დარეკე ხვალისთვის, დღეს ალბათ დავიკარგებითო და წავიდა «ორგანიზმის დასამშვიებლად» საშუალების, «ფარის» საშოვნელად.

«ბეჭედი!» _ ისევ ზარივით გაუელვა თავში. ბეჭედი დაკარგა. წარმოიდგინა, როგორ ჩუქნის ოცდაათი წლის ახალგაზრდა, ლამაზი, განწირული ძმა ბებიამისს ამ ბოლო სახსოვარს. თვითონ კი... მობეზრდა კითხვები!.. ჯიბით ატარებდა! ჩანთაში ჰქონდა ჩალაგებული! ნეტავი, ღმერთო, მეზობლის აივანზე იყოს, დედამისმა იპოვოს... ჯიბეები მოიჩხრიკა, ორკაპიკიანი ამოიღო, ტელეფონ_ ავტომატით შინ დარეკა. ყურმილს არავინ იღებდა, თვალებში ცრემლი მოადგა, კბილი კბილს დააჭირა, ქვითინი რომ არ დაეწყო. უეცრად დალევა მოუნდა, განტვირთვა, ყველაფრის დავიწყება. გოგი საითაც წავიდა, იქითკენ გაიქცა. ვერ იპოვა, გაასწრო ალბათ. ნაცნობი გოგონები შენიშნა. მივიდა, ნაუცბათევად მიესალმა და ფული ხომ არ გაქვთ რაიმე, მასესხეთო. რომელიღაცას ასი მანეთი აღმოაჩნდა, სულ გამოართვა, მადლობა უთხრა და გოგის სანახავად, ინსტიტუტისკენ გაუყვა გზას. კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი როცა გაჩერდა. რატომღაც მარტო მოუნდა დალევა, თანაც იქ, იმ რესტორანში, ბებიამისის გარდაცვალების დღეს რომ იყო.

დარბაზი ცარიელი დახვდა. რამდენიმე ფუქსავატი, უსაქმური ოფიციანტის გარდა არავინ ჩანდა. თვალებით იმ ადგილს დაუწყო ძებნა, სადაც მაშინ იჯდნენ. სხვანაირად დაულაგებიათ მაგიდები. რამდენი ხანია აქ არ ყოფილა.

კუთხეში ჩამოჯდა. ოფიციანტი ზოზინით მივიდა. რას მიირთმევთო, ჩამოთვლა უნდოდა რაც «მენიუში» ჰქონდათ. ლევანმა ხმა არ ამოაღებინა.

_ შემწვარი კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, ყველი და არაყი, ხუთასი გრამი!.. ძალიან აგრესიული, უარის გამომრიცხველი ტონით მიმართა.

_ კარტოფილი არ...

_ არ ვიცი, იშოვი! _ ახლა უფრო აუწია ხმას და ოფიციანტი ჩქარი ნაბიჯებით გაუყვა სამზარეულოსაკენ.

ასეთმა აგრესიულობამ გასჭრა, შეკვეთა სასწრაფოდ მოუტანეს, არ ალოდინეს საათობით. რამდენიმე ჭიქა მიყოლებით ჩაცალა.

ისევ ბეჭედი გაახსენდა. ნეტავი თუ იპოვის დედამისი?! არა, ნამდვილად დამნაშავეა, ცოდვილი, ღმერთის იწამა და არაფერს აკეთებს განსაწმენდად, არაფერს!.. უფრო მეტი ცოდვილია, ადრე არ იცოდა რასაც ჩადიოდა... არ ესმოდა, ეხლა კი... ისევ გადაკრა რამდენიმე ჭიქა ზედიზედ.

ვერც შეამჩნია, გვერდით მაგიდასთან ვიღაცეები დამსხდარან. თვრამეტი_ ოცი წლის ჭაბუკები იქნებოდნენ, ეტყობოდათ, აქაურობის ხშირი სტუმრები. სამი ოფიციანტი წინ და უკან დარბოდა. ღიმილით, ლაქუცით შესციცინებდნენ თვალებში. სუფრა უმალ გაუწყვეს, თუ ხშირი სტუმრები არ არიან, შეიძლება ვინმე «შიშკას» შვილი იცნეს ერთ-ერთში, _ გაიფიქრა ლევანმა.

ოფიციანტები მაგიდას როგორც იქნა მოსცილდნენ. რაიმე თუ დაგჭირდებათ დაგვიძახეთო _ წინდაწინ გააფრთხილეს ბიჭები და ისევ ლაქუცით გაუღიმეს. ოჰ, როგორ ვერ იტანს ასეთ რამეს. ვიგინდარები, ფულის გულისთვის ფეხქვეშ გაეგებიან კაცს, საკუთარ სხეულზე შეგაწმენდინებენ ჭუჭყს.

ბიჭებმა რაღაცაზე დაიწყეს გაცხოველებული კამათი. ვიღაცას ამტყუნებდნენ.

«ნუთუ მართლა სიმართლეს ლაპარაკობთ, მოსამართლენო? სისწორით სჯით, ადამიანის შვილნო?»... _ გაუელვა თავში უკვე მთვრალ ლევანს, გაეცინა, რა ვიცი რაზე ლაპარაკობენ, რა შუაში იყო ესო. არეულმა აზრებმა დაუწყეს ტრიალი. ერთი რამიდან

მეორეზე ხტებოდა. მეზობლის საყვარელიც გაახსენდა. რა კარგია, სადმე უნდა გამოვიჭიროო იფიქრა. უცებ, თითქოს დატუქსა საკუთარი თავი, ენაარეულად წაიბუტბუტა: «ნუ მიბაძავ ბოროტმოქმედთ, ნუ გშურს მათი, ვინც უკანონობას სჩადის.

ამაზე ხარხარი აუტყდა. თავს აქიცინებდა. ეტყობოდა სულ აერია გონება. ბოლო ჭიქა გამოწრუპა, ბოთლი მოისროლა. მოეჩვენა, რომ ბიჭები ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობენ და იღრიალა: _ ვერ ხედავთ ფიქრში მიშლით ხელს.

რაღაც უპასუხეს. მწარედ შეიგინა და წამოდგა. ოფიციანტები მიცვივდნენ. ბიჭებმა მოაშორეს, თქვენი საქმე არ არისო. რომელიღაც მათგანი მივიდა, წყნარად რაღაც უთხრა. ლევანიმ ისევ მწარედ შეიგინა. ბიჭი გაბრაზდა, ქეჩოში სწვდა და გარეთ გათრევა მოინდომა. ლევანმა თავი გაინთავისუფლა, გიჟივით გადაიხარხარა და გაჰყვა. გზად გაჰყვიროდა:

«ღმერთზე ვარ მინდობილი არ მეშინია, რას მიზამს ხორციელი»?

უეცრად გონს მოეგო. თავისივე სიტყვებმა გამოაფხიზლეს, ძალიან უადგილო იყო მათი აქ მოყვანა. მისთვის, მორწმუნე კაცისთვის იყო უადგილო და ცოდვა. ბოდიშს მოვუხდიო გარეთ _ გაიაზრა. რომელიღაცის ხელში, ჩამალული, გახსნილი დანა შეამჩნია. არ შეშინებია, ვერ მოასწრო, ისევ დაკარგულ ბეჭედზე დაიწყო ფიქრი: «დედა უკვე მივიდოდა, მეზობლებიც სახლში იქნებიან, ნეტავი იპოვოს, ღმერთო... ნეტავი იპოვოს»...

გარეთ გავიდნენ, მოფარებული ადგილისკენ მიანიშნეს, დანა გაახსენდა, მაგრამ ისევ ბეჭედზე გადაერთო: «ბოდიშს მოვუხდი, არაფერია... ნეტავი თუ იპოვა?! ბეჭედის დაკარგვა, თილისმის, სახსოვარის დაკარგვა ნიშანი იყო, ღმერთის ნიშანი, აზრზე რომ მოვეყვანე. მე კი... რაიმე თუ დამემართება ახია... ნეტავი თუ იპოვა?! ღმერთო დიდებულო, გთხოვთ, აპოვნინე...

1987 იანვარი. მოსკოვი.

ქოლგიანი კაცი

(ნიღაბი)

მოსკოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს შესასვლელიდან გამოვიდა ვიღაც ლამაზი, ელეგანტური, კავკასიური გარეგნობის კაცი. ძალიან ცუდი ამინდი იდგა, ორი დღე გაუთავებლად წვიმდა, უფრო სწორედ ცრიდა. კაცს ხელში დიდი, შავი ქოლგა ეჭირა. შავი, დათბილული საწვიმარი, რუხი კოსტიუმი და შავი მოდური ფეხსაცმელი ეცვა.

ნოემბრის შუა რიცხვები საშინელი დროა მოსკოვისთვის, ყველაზე მოლეშილი და მოღუშული. მითუმეტეს, თუ თოვლი მოვიდა, უეცრად დნება და ატალახებს ქუჩებს ზამთრის ეს პირველი მერცხალი. ამასთან, ყველაფერ სიკეთეს წვიმაც ემატება და ქალაქი ბინჟურ, მივარდნილ პროვინციას მოგაგონებთ. რაც არ უნდა წმინდო, გამოსავალი არ ჩანს. თუმცა, საუბედუროდ, თავსაც არავინ იკლავს დასუფთავებით.

ხეებიც ობლად, გაძარცული გამოიყურებიან. წვიმის წვეთები თითქოს ატირებს, გულს უხრუკავს მათ. მარადმწვანე ნაძვებიც, თუმცა რა არის მარადიული ამ ქვეყანაზე, ვითომცდა კუთხეში დაუყენებიათო დასხილი, თავდახრილი მოსწავლესავით, მაგრამ მათი შემხედვარე, მაინც გესახება გულში იმედი. მალე, მალე დადგება ზამთარი და მოვა

დრო, როდესაც წიწვოვნები გალამაზდებიან, გაბრწყინდებიან, თეთრ სამოსელში გამოწყობილნი, ამაყად გადმოხედავენ მარილმოყრილ, ალესილ ქუჩებს.

ეს ყველაფერი მალე მოხდება, მაგრამ ეხლა ნოემბერია, შუა ნოემბერი, უღმერთოდ ცრის და მოსკოვის ერთ-ერთ ფართო ქუჩაზე, მოზომილი, აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯებით სადღაც მიდის შავქოლგიანი, ელეგანტური, გულგრილი, კავკასიური, ლამაზი, არისტოკრატული სახის მამაკაცი. მისი დიდრონი შავი თვალები, თითქოს არაფერს გამოხატავენ, უმიზნოდ გასცქერიან ჰორიზონტს, თითქოს ფეხებით ასევე უმიზნოდ, თუმცა ყველა გუბის ავლით, მოიწევენ წინ. უცნობი გადივლის ერთ ქუჩას, მეორეს და ყველას ბოლომდე მიუყვება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არსაიდანაა წამოსული და არსად მიდისო.

ამ ქალაქში არავის აინტერესებს იგი. ყველა საქმიანია, ყველა გარბის და თუ რიტმს, ამ ჩქარ ტემპს ვერ აჰყევი, ვერ აეწყვე, შეიძლება გაგთელონ, გადაგირბინონ კიდეც. გასაკვირია, რომ ქოლგიანი კაცი არავის ეჯახება, გზაზე არავის უდგას, ოსტატურად მოძრაობს, მისი ყველა მოქმედება რაღაცნაირად დარბაისლური, მაგრამ ფენომენალურად მექანიკური, ანგარიშიანი მოეჩვენება მოთვალთვალეს. გულგრილი სახე, გაყინული, როგორც ვთქვით საოცრად გულგრილი, გამოუცნობი ფორმულა, ყველა გამვლელისათვის. უფრო სწორედ იმათთვის, ვინც ამ სწრაფი, მომართული მექანიზმიდან, იშვიათად მაინც ამოერთვება და ამჩნევს გარემოს, საერთო მასად არ აღიქვამს ყველას.

თუმცა რა, აქ კი არადა თავის საკუთარ მშობლიურ ქალაქშიც, დიდი ხანია შეეჩვივნენ ქოლგიანი კაცის «გულგრილობას», ამოუცნობრობას. უმრავლესობას აღარც ახსოვთ მისი გახსნილი, გაფურჩქნული, მიამიტი გამომეტყველება, ძალიან მხიარული, მშფოთვარე, ენერგიული მანერები, გულღია, ხმამაღალი სიცილი. ათი წელია ქოლგიანი კაცის ხარხარი არავის გაუგია. მხოლოდ ღიმილი თუ მოეფინება ხოლმე ლამაზ სახეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თვალები, ისევ და ისევ ამოუცნობი რჩება. რამდენიმე მეგობარმა თუ იცის რა იმალება უკან, რა გული, რა ცხოვრება, ჭირი და ვარამი, ნიჭი, გამჭრიახობა, ინტელექტი, თავმოყვარეობა, როდის აიფარა ნიღაბი, როდის შეითვისა და როგორი აქტიორული სრულყოფით ასრულებს ქოლგიანი კაცი ამ როლს. მაგრამ ისინიც ვერასდროს გაიგებენ, თუ რა დაუჯდა ეს ყველაფერი, რა ნერვები, ენერგია, გამძლეობა, ნებისყოფა. მითუმეტეს, ის ყოველთვის ერთნაირია, ყველგან და ყველასთან. მარტოდ დარჩენილიც, ძილშიც კი არ აძლევს საკუთარ თავს უფლებას მოშვების, განტვირთვის, დასვენების. იმიტომ რომ ეშინია, ეშინია «დეპრესია» არ დაემართოს, უცებ არ გატყდეს.

ოცი წლისას მშობლები ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ძალიან განიცადა, ემოციურად. სმა დაიწყო, ლოთობდა. არცაა გასაკვირი, უცებ ვერ შეითვისა, ვერ აღიქვა თავისი ახალი მდგომარეობა, არც უნდოდა, არც სურდა შეგნება. მეგობრებმა ივაჟკაცეს, გონზე მოიყვანეს, მიახვედრეს, რომ არა მარტო თავი, არამედ ძმაც დარჩა საპატრონო.

უბედურების მიუხედავად, ისევ ისეთი გულღია და გახსნილი ხასიათი დარჩა. მაგრამ მშობლები რომ გაახსენდებოდა, ჩვეული ემოციებით აქვითინდებოდა ხოლმე.

ნათესავები, ოჯახის მეგობრები თავს დასტრიალებდნენ, ყველა აკითხავდა, ყურადღება არ აკლდა, არც მატერიალური დახმარება. შემდეგ და შემდეგ კი იშვიათად ჩნდებოდნენ ჰორიზონტზე. ყველას თავისი საქმე და პრობლემები აწუხებდა, აღარ ეცალათ... შემდგომში მიხვდა, როდესაც მშობლები ცოცხლები იყვნენ, მათი ოჯახი

რაღაც უხილავი ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლი იყო ჭირსა თუ ლხინში. გარდაცვალების შემდეგ კი... ყურადღება მხოლოდ მოვალეობას, ან ადამიანური გრძნობების გამოხატვას წარმოადგენს, მთავარი დაიკარგა, ფუნქცია აღარ არსებობს.

ახლა კი ყველანი მოითხოვდნენ მონახულებას, პრობლემის, გასაჭირის «მოხსენებას». დაკავებული ვართ და შენ კი არა, თავი აღარ გვახსოვსო. ყოველ შეხვედრაზე ფულს აჩეჩებდნენ, ალბათ სითბოს კომპენსაციისათვის. ზოგიერთი ამასაც აღარ აკეთებდა, დაივიწყეს «კუბოსფიცრამდე მეგობრობაზე» ათასჯერ წარმოთქმული ფიცი.

მალე იგრძნო თავი ჯერ უხერხულად, შემდეგ შეურაცხყოფილად. ვერ აეხსნა, წარმოედგინა ესეთი სიტუაცია. მისი მსოფლმხედველობით, არ შეიძლებოდა სიყვარულის, მეგობრობის, ძმობის დავიწყება. ცხოვრება კი სულ სხვანაირი, მწარე აღმოჩნდა. მიხვდა, მაგრად უნდა იდგეს ფეხზე, უნდა გაძლიერდეს, ფუნქცია აღიდგინოს.

მხოლოდ ერთადერთი ადამიანი არ ცილდებოდა გვერდიდან. მუდამ დაკავებული, ათასი ვინმეს ჭირით, თუ ლხინით შეწუხებული, როგორც ახლობლებში ეძახდნენ _ მთავარი «ჩალიჩმეისტერი» _ ნათლია. როგორც ადრე, ხშირად შემოირბენდა ერთი_ ორი წუთით, გადახედავდა, შეამოწმებდა, რაღაცას ჩაინიშნავდა თავისთვის და უცებ გაქრებოდა. წლების განმავლობაში არ იცვლებოდა ეს კაცი, მუდამ ენერგიული, გულჩვილი და ავკარგიანი. შემდეგ მოსვლაზე მოიტანდა ჩანიშნულიდან რაიმეს, ანდა მოიყვანდა ვინმე ხელოსანს, შეაკეთებდა გაფუჭებულს. ისევ დაყნოსავდა იქაურობას, თუ კვლავ აღმოაჩენდა რაიმეს, ამასაც მოევლებაო, _ იტყოდა და ისევ გაქრებოდა.

მალე ესეც მობეზრდა ქოლგიან კაცს, აქაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. თუმცა, ნათლიას არაფერი აგრძნობინა. უბრალოდ, თვითონაც ამოუდგა მხარში, როგორც თანასწორი «პარტნიორი». შეურბენს სახლში, ნახავს, «მის ცოლს» _ ოჯახისთვის ვერ მოიცალა, სულ სხვის საქმეზე დარბისო, _ რომ ბუზღუნებს. მიიღებს ინფორმაციას და... მართალია, ნათლია ვერ ხვდება, თუ რაიმე შეიცვალა მის ოჯახში, გატეხილი ფანჯარა თუ გამთელდა, ან კარი თუ გამოუცვალეს, ან ბაზარში ვინ იყო.

ბოლო წლებში მოუკლო ბუზღუნს «ნათლიის ცოლმა», ისიც შეაშინა ამ ცივმა, ყინულმა სახემ. კინაღამ თქვენობით დაიწყო საუბარი.დაიმორცხვებს ხოლმე მისი გამოჩენისას. ნათლია კი, მირონით რომ აკურთხა, მაინც ვერ ხვდება ნათლულში ცვლილებებს, ისევ ძველებურად ექცევა, აკონტროლებს, ყურადღებას აქცევს, როგორც ბავშვს, პატარას ისე ეპყრობა.

საკვირველია, ნიღაბმა უცებ მოუტანა ის, რაც სურდა _ პატივისცემა. შეიძლება შიშნარევი, მაგრამ... უცებ აეწყო ყველაფერი. ჩვენში ცოტა არქიტექტორი, მითუმეტეს ასეთი ახალგაზრდა, თუ დაიკვეხნის საკუთარი პროექტების განხორციელებას. რამდენიმე ნამუშევარი უცხოეთშიც განახორციელა, თანაც, აღარავინ ეტმასნებოდა, «თანაავტორობის» სურვილი უცებ დაკარგეს «ღვაწლმოსილმა დამრიგებლებმა». ახსოვს, პირველ საერთაშორისო კონკურსზე როცა გადაწყვიტეს მისი წარგზავნა, სახელოსნოს ხელმძღვანელმა, როგორც ადრე, მაინც წაიკნავლა, _ უფროსობასთან და კავშირში უნდა შეთანხმდეს, ეს კი ძალიან ძნელია, დიდი ჯაფა დამჭირდებაო. მაგრამ ცივი თვალების მზერა რომ იგრძნო, ხმააკანკალებულმა დაუწყო მტკიცება, მხარში ამოგიდგებიო.

მარტო ნიღაბი ვერაფერს უშველიდა, მოწინააღმდეგეთა მიმართ ჭკვიანურად, ზუსტად და დაუნდობლად რომ არ ემოქმედა. იგივე სახელოსნოს უფროსს, ისეთ დროს,

ისეთი მხრიდან მიაყენა დარტყმა, საერთოდ რომ ვერ წარმოიდგენდა. თავისივე მაღალთანამდებობიდან «მეგობრებს» გაანადგურებინა. ისე, დიდად არც ხიბლავდა, მისი ადგილი, არც შურისგების ბოღმა აწუხებდა ნამეტანი, მაგრამ ამით სხვებს დაანახა: არაფერს ივიწყებს, არავის აპატიებს შეურაცხყოფას, ბოროტებას, გზაზე გადადგომას, როგორც ყოველთვის ამ ბოლო ათწლეულში, სწორედ გამოიანგარიშა, ყველამ უცებ გაიხსენა ძველი ისტორია, თუ როგორ მიითვისა «ღვაწლმოსილმა დამრიგებელმა» ახალგაზრდა «შეგირდის» პროექტი. თანაც მაშინ, როდესაც ძალიან უჭირდა ქოლგიან კაცს, მშობლების დაღუპვიდან რამდენიმე თვე იყო გასული.

ეხლა, ესეთ რაღაცას ვერვინ გაუბედავს. თვითონ შეუძლია ბევრი ვინმესთვის ფეხის დადება, განადგურება, ოღონდ არასდროს უმიზეზოდ. საკმარისია არაფრად ჩააგდო, მედიდურად შეხედო, თავში აგივარდეს, უცებ მოგიშორებს, უკანდასახევ გზას მოგიჭრის და გაგთელავს. ამის გამოცაა უნერვებო, ცივსისხლიანი კაცის სახელი რომ გაუვარდა. ათასი ხმები დადის. ზოგი «მაფიოზადაც» თვლის. ამას «ბოხოლას» ისტორიამაც შეუწყო ხელი, მაგრამ ესეთ ხალხზე ჭორები ჩურჩულით ვრცელდება, რაც დიდი რიდის, შიშის ნიშანია. ამიტომაც არ ანაღვლებს, აწყობს კიდეც ქოლგიან კაცს მოპოვებული რეპუტაცია, ხელს არ უშლის ჭორების გავრცელებას.

ნიღაბმა ძმასთან სულიერად დააშორა, თუმცა ურთიერთობა კი მოუწესრიგა, წარსულს ჩაბარდა გახსნილი, ღია დამოკიდებულება, აღარ იყო საჭირო ერთი და იგივეს ათასჯერ გამეორება, ჩიჩინი. ძმის გული ამ ცივ თვალებში აღიქვამდა მისდამი სითბოს, სიყვარულს. ასეთი ცვლილება, მეტამორფოზა კი ვერ აეხსნა. სხვებთან მხიარული, ლაღი ქოლგიანი კაცის წინაშე რაღაცნაირად იწურებოდა, იბნეოდა, უხერხულად გრძნობდა თავს, და ამის გამო ბრმად მიჰყვებოდა მის მიერ მინიშნებულ გზას.

მეგობრებთანაც იგივე მოხდა. უცხო თვალი ვერ ამჩნევდა, მაგრამ დისტანცია გაუჩნდა მათთანაც. ერიდებოდნენ წყენინებას. საზომ ერთეულად გაიხადეს. ცდილობდნენ, ისე ემოქმედათ, როგორც ქოლგიანი კაცი მოქმედებდა. მაგრამ ყველა მიბაძვა, მეტად თუ ნაკლებად, ყალბია, თუნდაც იმიტომ რომ არავის სურდა ესეთი გულჩათხრობა, არავის ეპიტნავებოდა გულგრილი, უნერვებო, ცივი კაცის ნიღბის აფარება. არავის აწყობდა მასავით დაძაბული, ნერვებდაჭიმული და ამის შედეგად, გაუხარებელი ცხოვრება.

დროთა განმავლობაში, შეეჩვივნენ მეგობრის ახალ როლს. შეხვედრისას, თითქოს ვერც ამჩნევდნენ მის ყოფნას, გაქრა ის პირვანდელი უხერხულობა და მორიდება. ესეც ქოლგიანი კაცის დამსახურებაა. დროზე შეაფასა სიტუაცია, რომ არ გაზრდილიყო დისტანცია, რომ არ დაეკარგა ბავშვობიდან შეზრდილი, საყვარელი ხალხი, თმობდა ხოლმე ლიდერის პოზიციას, განზე დგებოდა და შორიდან უთვალთვალებდა იმას, რაც თვითონ დაკარგა, აკლდა, გასაჭირში კი პირიქით, მოთოკავს, ხელში აიყვანს ხოლმე ყველას, მოქმედების ცენტრში ექცევა და მანამდე არ უშვებს სადავეებს, სანამ ყველაფერი არ ჩაივლის და შესაფერისად არ დაგვირგვინდება საქმე. ანდა მარტო მოქმედებს, ყველას დააწყნარებს, დიდი ავტორიტეტის წყალობით, «თამაშგარე მდგომარეობაში» დააყენებს, არც არაფერს აუხსნის, ისე მოათავსებს ყველაფერს. მხოლოდ შედეგს აჩვენებს ხოლმე.

ერთადერთი ვისაც ვერაფერი «მოუხერხა», «ბოხოლაა». ჩანჩურა, უგემოვნებოდ ჩაცმული, სასაცილო იერის, მხიარული, მიუხედავად დიდი ნიჭისა და განათლების, უიღბლო, პუტკუნა «ბოხოლა». სულ მუდამ არარეალური, ფანტასტიკური გეგმების პატრონი, ორი წყება ცოლშვილგამოცვლილი, ორჯერ ნასამართლევი ხულიგნობისთვის,

მაგრამ გულღია, თბილიც და მიამიტი, ენერგიული და გულგაუტეხელი. ალბათ რომ არა ქოლგიანი კაცი, კიდევ ათას შარში გაეხვეოდა. ბევრს უკვირს კიდეც მათი ესეთი მეგობრობა. თითქოს რადიკალურად შეუთავსებელი პიროვნებები არიან, სინამდვილეში კი ვერცერთმა მეგობარმა ვერ შესძლო ის, რაც «ბოხოლამ», _ ნიღაბმა, ჩვევების, მანერების, ხასიათის შეცვლამ არ შექმნა მათ შორის დისტანცია, ქოლგიან კაცთან ისევ ისეთია, როგორც ადრე, ბავშვობაში, მხოლოდ»ბოხოლა» ხვდება, ვითომდა გულგრილობა, სინამდვილეში ცხოვრების სიმწარისგან დასაცავი იარაღია. მხოლოლ «ბოხოლამ» იცის, ქოლგიანი კაცი მასთან ისვენებს, ნაწილობრივ იშუშებს სიმარტოვის ჭრილობებს, გარიყულად არ გრძნობს თავს.

ყველაფერი რისი შეძენა, არ დაკარგვა შეიძლებოდა, თითქოს მიიღო... ნიღაბმა სძლია მოზღვავებულ გრძნობას. კვლავ გულგრილი, ცივი გამომეტყველებით აგრძელებდა გზას. ირგვლივ მიმოიხედა, რა უნდობელი, გაბრაზებული სახეები აქვთო ამ ხალხს, გაიფიქრა. მეტროსთან, რამდენიმე, გოგონებს აკიდებული თანამემამულე შეამჩნია. ადრეც ხშირად უნახავს ასეთი სიტუაცია. მისი ახლობლებიც და მეგობრებიც არ თაკილობენ ამას, მაგრამ ეხლა რატომღაც ამაზრზენად მოეჩვენა. წამიერად ყველა შეზიზღდა, ყველა გამვლელი, თანამემამულე თუ უცხო, დიდი თუ პატარა. «რატომ!.. რატომ!.. რატომ!» _ ზარივით გაუარა თავში. უცებ მოთოკა ნერვები, გონება მიხვდა, რომ არავინაა დამნაშავე, თუმცა, გულს მაინც სძაგდა ყველა. კვლავ დიდი ნებისყოფა დასჭირდა, სახეზე რომ არაფერი გამოხატოდა. ერთი კუნთიც არ შერხეოდა. გული კინაღამ ამოუვარდა ძალდატანებისგან. კარგა ხანია ამნაირად არ გასჭირვებია გრძნობების დამალვა, უფრო ზუსტად არასდროს გასჭირვებია ასე.

ნაცნობი ხმა მოესმა. დინჯად შემოტრიალდა და თავისი ყოფილი შეყვარებულის დაქალი დაინახა, გაბადრული სახით რომ მიიწევდა მისკენ. ცივად გაუღიმა და გადაკონა. მექანიკურად მოიკითხა ყველა საერთო ნაცნობი. იცი? მაია გათხოვდაო, _ «ახარა» შეყვარებულის დაქალმა. ნერვები კვლავ უეცრად დაეჭიმა, მაგრამ ჩვეული «სიმშვიდით», გულგრილად ჰკითხა «სიძის» ვინაობა, მაიას დაქალს სახეზე გაკვირვებამ გადაურბინა, მართლა გულქვააო, გაიფიქრა, სასტუმროს ხომ ვერ მაშოვნინებო, წაიწუწუნა. ქოლგიანმა კაცმა თავი გააქნია, ცივად გაუღიმა, გაყინული ტუჩებით, «მეგობრულად» გადაკოცნა, შემოტრიალდა და ისევ გზას გაუყვა.

«მაია გათხოვდა. ჰმ... გათხოვდებოდა, აბა რა იქნებოდა; ცხრა წელი გავიდა... ძალიან მიყვარდა... ნიღბის აფარების შემდეგ, ერთ წელიწადში დავცილდით... სულ იმას მეუბნებოდა, აღარ გიყვარვარო. ჩემს გამომეტყველებას, მანერებს უჯერებდა, სიტყვებს არა... მაგრამ გუმანი, ქულის გუმანი... არ ვუყვარდი და იმიტომ უმტყუნა... რა შუაშია გუმანი, სიყვარული, ძნელია ასეთი კაცის გვერდით ყოფნა. ყველას ვერ მოსთხოვ გამძლეობას, გმირულ თავგანწირვას... ვიცოდი, რაზეც მივდიოდი, ვიცოდი, რომ რამეს დავკარგავდი, თუმცა, ამდენს მაინც...

ირგვლივ მიმოიხედა. კვლავ შეზიზღდა ყველა. მთელი მსოფლიო, სამყარო შეზიზღდა. მიხვდა, რომ სახემ დამანჭვა დაუწყო. მთელი ენერგია მოიკრიბა ამის ასაცილებლად. სუნთქვა შეეკრა, კედელს მიეყრდნო, ათი წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა სახეზე შეზრდილ ნიღაბსა და გრძნობებს შორის. ბოლო_

ბოლო გულმა ვეღარ გაუძლო და გასკდა, შუაზე გადაიხლიჩა. ქოლგა გაუვარდა ხელიდან, ზიზღნარევი გამომეტყველებით, მოცელილივით ჩაიკეცა...

მაინც იმარჯვეს გრძნობებმა, რამდენი ხანია ამ სახეზე არაფრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. უდიდესი ნებისყოფის მქონე ადამიანი გახლდათ ქოლგიანი კაცი, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ გულმა უმტყუნა, ვეღარ გაუძლო და... თვალები, მისი უსიცოცხლო თვალები, აღარ გამოიყურებოდნენ ცივად. ისინი, თითქოს ფოტოგრაფის მიერ დაფიქსირებულ ზიზღს, შურისგების ცეცხლიან ელვარებას გამოხატავდნენ.

რამდენიმე ხანში, მილიციის მანქანა გაჩერდა იქვე ახლოს, ვიღაც ზორბა სერჟანტი გადმოვიდა, ფეხი მოარტყა ქოლგიანი კაცის გვამს, მთვრალი ეგონა. ცოტა ხანი დააკვირდა, შემდეგ პულსი გაუსინჯა, დაბრუნდა მანქანასთან და «რაციით» რაღაც გადასცა. ნახევარ საათში სასწრაფო დახმარების მანქანა და გამომძიებელი მოიჭრა. სურათი გადაუღეს, ვიღაც_ ვიღაცეები დაკითხეს, გამომძიებელმა ერთი გემრიელად შეაკურთხა ქოლგიან კაცს საბუთების უქონლობის გამო და მალე წაიღეთ მორგშიო _ გასცა განკარგულება.

«ბოხოლა»

მოსკოვის ერთ-ერთი მილიციის რაიგანყოფილებიდან გამოვიდა უგემოვნებოდ ჩაცმული, თვალცრემლიანი, ჩანჩურა, «ბოხოლა». ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. ცხოვრებაში პირველად, ურიგოდ მიიჭრა ტაქსთან, ხალხი აყაყანდა, მაგრამ სახეზე რომ დააკვირდნენ, ყველა უეცრად გაჩუმდა.

ძლივს ამოღერღა სასტუმროს სახელი. მძღოლი განცვიფრებული უთვალთვალებდა სარკიდან პუტკუნა, ჩანჩურა კაცს, ცრემლიან სახეს და ცხვირს პიჯაკის სახელოებით რომ იწმენდდა. ჰკითხა კიდეც, რა მოგივიდაო, მაგრამ «ბოხოლას» არც გაუგონია.

შვეიცარმა და სართულის მორიგებმაც გაოგნებული შეხედეს. ორი თვეა რაც იქ ცხოვრობდა, სულ მხიარული და გაბადრული სახე ჰქონდა. დღეს კი, მათდა გასაკვირად, ტიროდა.

ტიროდა «ბოხოლა», არავისი რცხვენოდა, არავინ აინტერესებდა. კონიაკი გამოიღო და მაგიდაზე დააწყო რამდენიმე ბოთლი. ღორივით უნდა დათვრეს დღეს, აუცილებლად... საღი თვალით არ შეუძლია... ბოთლი გახსნა და ბოლომდე ჩაიცვალა სულმოუთქმელად.

იცოდა დათოს ხასიათი. გაქრა, გაქრა... ალბათ საჭიროა გაიფიქრებდა სხვა დროს... ეხლა კი რაღაც გულმა უგრძნო, ვერ მოისვენა, მეორე დღესვე მილიციაში განაცხადა. თავიდან გამოპანღურება მოუნდომეს, მაგრამ კონიაკმა გასჭრა და აი, ორი დღის შემდეგ მორგში მიიყვანეს აქ რა მინდაო, იუარა «ბოხოლამ», მაინც შევიდა. დათო... გაშავებული, ჭუჭყიანი, ტალახიანი დათო ესვენა... არ გავგიჟდეო, გაიფიქრა და ბოთლი მოიყუდა...

ასე თერთმეტი-თორმეტი წლის იქნებოდნენ, ერთმანეთი რომ გაიცნეს და დამეგობრდნენ. პარალელურ კლასებში სწავლობდნენ, რაღაცაზე იჩხუბეს და მაგრად დაალურჯეს ერთმანეთი. მეორე დღეს შერიგდნენ და მომავალში რაიმე სერიოზული კონფლიქტი აღარც მოსვლიათ.

ორნაირი დათო ახსოვს: ერთი ბავშვობაში, მეორე _ ნიღბიანი. ეჭვიც არ ეპარება «ბოხოლას», რომ მეორე დათოს ნიღაბი ეკეთა, გუმანით ალღოთი გრძნობდა.

რა მხიარული იყო ბავშვობა. დათო და «ბოხოლა» ყველაზე დიდი გამომგონებლები» გახლდნენ. არასდროს დაავიწყდებათ მათ მასწავლებლებს, ფიზკულტურის დარბაზში, «პინპონკის» ბურთებისგან გაკეთებული «დიმუშკებისგან» გამოწვეული კვამლისთვის სახანძრო მანქანები რომ გამოიძახეს. ძალიან გაუბრაზდნენ მაშინ მშობლები, ერთი თვე ეზოში არ უშვებდნენ. ანდა... ეჰ, რამდენი «ანდა» ახსოვს «ბოხოლას». პირველად «ჩასვეს», ჩხუბისთვის, ერთი წლით. ვიღაცამ რესტორანში დედა შეაგინა «ბოხოლას» პირველ ცოლს. მეორედ _ სამსახურში ხელქვეითი გალახა.

კეთილი, ალალი გული აქვს, არავისთან თაკილობს სიახლოვეს. სუფრაზე დაჯდომას., უყვარს კიდევ სმა. ერთხელ, სამსახურის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტეს ექეიფათ. ცოტა შეთვრნენ და ვიღაც გაბღენძილმა «დეპუტატმა» მუშამ, სულ კრებებზე, თათბირებზე რომ «შრომობენ», საკუთარ სამსახურს ძლივსღა რომ აგნებენ, «ბოხოლასთვის» საპატივცემულო ხალხზე თქვა: დასახვრეტები იყვნენ და დახვრიტეს, სტალინს ვენაცვალე, იმათი საფლავები რომ ვიცოდე, დიდი სიამოვნებით... ალბათ ყველა მიხვდება, გამონათქვამის ფორმას. ჰოდა, ვეღარ მოითმინა «ბოხოლამ», ბოთლი უთავაზა ქაჩალ თავზე.

აი, მეორე გამოსვლის შემდეგ დახვდა დათო შეცვლილი. თავიდან ეგონა, უხალისოდ არისო. შემდგომში მიხვდა ყველაფერს და ცდილობდა მარტოობა შეემსუბუქებინა მისთვის.

კიდევ ბევრ შარში გაეხვეოდა და ციხეშიც მოხვდებოდა. დათო რომ არა სამსახურის შემდეგ., ზუსტად იმ დროს მიაკითხავდა ვიღაც ვიგინდარებთან, «ხათრის გულისთვის» როცა შეუდგებოდა სმას. დათოს ვიდრე გაიცნობდნენ, მოდი ძმაკაც შენც დაგვილიეო, _ ეტყოდნენ ხოლმე, მაგრამ მიიღებდნენ თუ არა ცივი თვალების მზერას, უმალ ხმას იკმინდავდნენ.

ამ ათ წელიწადში ათი სამსახური გამოიცვალა «ბოხოლამ». არსად არ უმართლებდა. ნიჭიერი, მცოდნე, შრომისმოყვარე, მუდამ ჩრდილში იდგა. «დელცობაც» მოინდომა. აქაც არაფერი გამოუვიდა. პირველ შემთხვევაში, კინაღამ დაიჭირეს. დათოს ავტორიტეტმა იხსნა. მეორედ ვიღაცამ «აჭამა» და დიდძალი ვალი დაედო. თავიდან ვერც მიხვდა, რომ მოატყუეს. დათომ «გაარკვია». უცებ აფეთქდა «ბოხოლა», სეირს ვაჩვენებო, მაგრამ...

მეორე დღეს ავიდნენ, დათომ გააფრთხილა, უჩემოდ ხმას ნუ ამოიღებო. დინჯად მოსთხოვეს ფული. «ბოხოლამ» იცოდა მისი «მჭმეველი» ცნობილი «მაფიოზი» იყო. ამიტომაც იფიქრაკ ეს ასე რისი მომცემიაო.

მართლაც, დათქმულ დროს ვიღაცამ დარეკა, მაგრად, ბილწად შეუკურთხა და საიქიოში გაგზავნასაც შეპირდა. დათომ კი ყველაფერი, როგორც ყოველთვის, დინჯად მიიღო ხვალ მოცუნცულდებიან და მოიტანენო, თქვა.

მეორე დღეს, «მაფიოზი» და შემკურთხებელი აკანკალებული მივიდნენ ორი იმდენი თანხით, რაც «ბოხოლამ» ზარალი ნახა. ნამუსიანი კაცია, ერთი_ ორი გაულაწუნა ორივეს და მხოლოდ კუთვნილი გამოართვა. შემდეგ გაიგო: დათოს «მაფიოზი» სახლში გამოუჭერია, თავისივე «ლუსტრაზე» ფეხებით დაუკიდია, სადღაც ნაშოვნი, ნაყიდი იარაღი საფეთქელზე მიუდევს, სულს გაგაძრობინებთ, შენ და შენი ნაბიჭვარი «პადდელნიკი» ხვალ, მუხლისჩოქებით თუ არ ესტუმრეთ «ბოხოლას», თქვენს მოკვლაზე უკვე გადახდილია და ეცადეთ, გაპატიოთ, თორემ ათი იმდენი თანხაც რომ ჩაყაროთ, ან

შეგვაძლიოთ, ვერ გადარჩებითო., ამის შემდეგ გავარდა ათასი ხმა დათოზე, მაგრამ ყველა «ჩუმად ჭორაობდა», ეშინოდათ, არაფერი გაიგოსო.

მესამეჯერ, თითქმის იგივე განმეორდა. კვლავ აჭამეს «ბოხოლას». ოღონდ, ახლა დათოს ერთმა დარეკვამაც იკმარა. ფული იმ დღესვე მოუცუნცულეს. ამის შემდეგ, მოაშორეს «დელცობას» მეგობრებმა. საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს უკვე სამი წელია. ნიჭის და დათოს შემწეობით ვერავინ ჩაგრავს, გამოგონებებს, კუთვნიოლ გასამრჯელოს ვერავინ ართმევს. არადა, გული სჭირდება, ორი წყება გაცილებული ცოლ_ შვილი, მოხუცი დედ_ მამა ჰყავს სარჩენი. ეჰ... უბედურია «ბოხოლა», უბედური... მორჩა, გათავდა ტკბილი ცხოვრება! მოგონებებიღა შერჩა...

მესამე ბოთლი ჩაცალა და ისევ აქვითინდა. დღეს შეუძლია იტიროს. მოვალეცაა. ხვალ ბიჭები ჩამოფრინდებიან, მილიციის განყოფილებიდან გადაურეკა, გაასვენებენ დათოს, «ბოხოლა» კი აქ რჩება, ვერ გააცილებს მეგობარს ბოლო გზაზე. ისტერიკული ბღავილი აუვარდა, ძლივს გახსნა მეოთხე ბოთლი, ცოტა მოსვა და იქვე, იატაკზე გაიშხლართა. თან, ბუტბუტებდა, ტიროდა, იცინოდა, კვლავ ტიროდა... ბავშვობა დაესიზმრა, გარდაცვლილი მეგობარი, მასთან ერთად გატარებული დღეები და... პანაშვიდი, დათოს პანაშვიდი...

მეორე დილას ადრე გამოიღვიძა. საშინლად ხურდა. აბაზანა მიიღო, ცოტა უშველა. «ბორჯომი» დააყოლა, თავბრუ დაეხვა, მაგრამ მალე გაუარა და გამოკეთდა.

ჩვეულებისამებრ, ჩანჩურად და უგემოვნებოდ ჩაიცვა. გასვლისას კარებთან გაჩერდა, დაბრუნდა და ისე გამოეწყო, დათოს რომ მოსწონდა. საათს დახედა, ჯერ კიდევ ადრეაო და ტაქსი გამოიძახა საჭირო დროისთვის, მეგობრებს უნბა დახვედროდა აეროპორტში.

სარკეში ჩაიხედა, სახეს დააკვირდა, შეეშინდა, სარკიდან იყურებოდა ცივი, გაყინული, გულგრილი გამომეტყველების «ბოხოლა». ადრე ეგონა, დათომ მარტო თავმოყვარეობის გამო აიფარა ნიღაბი, სინამდვილეში, სხვა გამოსავალი არ ჰქონია. «ბოხოლამაც» უნებლიედ გააკეთა არჩევანი, მეგობრის გზას გაჰყვა, მისი ადგილი დაიკავა, მისი ფუნქცია უნდა შეასრულოს. სარკემ მიახვედრა ყველაფერ ამას, მან დაანახა მომავალი, მხოლოდ ამაშია მათ შორის განსხვავება. დათომ ჯერ გაიაზრა, შემდეგ აირჩია. «ბოხოლამ» კი პირიქით, უნებლიედ, ისე რომ არც იცოდა, ვერც ხვდებოდა თავის სულში ძვრებს, დაიწყო მეგობრისნაირად ცხოვრება, მოქმედება და ყველაფერი ეს სარკეში ჩახედვის შემდეგ აღიქვა, გააანალიზა. ამის გარდა, უფრო გაუჭირდება, მას ხომ არ ეყოლება თავისი «ბოხოლა»...

<u>საუბარი მოხუც გენერალთან</u>

სიმარტოვე, ფიზიკური თუ სულიერი, ყველაზე საშინელი მდგომარეობაა ადამიანისთვის. მაგრამ ზოგჯერ ისიც საჭიროა, რათა ჩასწვდე შენს თავს, შეისწავლო იგი. ყველას არ გააჩნია ამის უნარი, და თუ არ შეგწევს აღიქვა სიმარტოვე, სამყაროსაც ვერ გაიგებ, ვერ გაანალიზებ.

ბევრს განუცდია: ხარ ხალხში, ახლობლებში, მეგობრებში, ქეიფობ, დროს ატარებ, მაგრამ უცებ მოგაწვება სიმარტოვე, იგრძნობ სულის გარშემო სიცარიელეს. ზოგჯერ

რომც დაუკვირდე, ვერ მიხვდები რატომ დაგეუფლა ეს გრძნობა. თითქოს სულ ერთი წამის წინ ხუმრობდი, იცინოდი, გსიამოვნებდა ყველაფერი, უცებ კი...

ასეთ ხასიათზე იყო კახა სპორტის სასახლიდან რომ გამოვიდა. იქვე სკამზე ჩამოჯდა, თამაშის დამთავრების და მეგობრების გამოსვლამდე, მოსაცდელად.

მთელი დღე ელოდა კალათბურთს. რაღაცნაირი, მხიარული, აღგზნებული განწყობილება ჰქონდა. თამაშის დროსაც ძალიან დიდი აზარტით გულშემატკივრობდა საყვარელ გუნდს. მეგობრები და მათთან ყველა შორიახლო მჯდომიც აიყოლია. სახეზე ალმური ჰქონდა მოკიდებული, სულ გაოფლიანდა, ყელის ჩახლეჩვამდე ღრიალებდა, უსტვენდა, დროშას აფრიალებდა და უცებ... გაჩუმდა, ხალხს გადაავლო თვალი. უფორმო, ადუღებულ მასად წარმოუდგა მთლიანობაში. ქაოსი, მაგრამ ერთი მისწრაფება, ერთი სურვილი, ცხოველური ჟინი გამარჯვების... რაღაცნაირად. განუდგა ყველას, დაკარგა ინტერესი.

ცოტახანს კიდევ უყურა თამაშს. ისე, ყოველგვარი სურვილის გარეშე. ბოლო_ ბოლო ვეღარ მოისვენა და გამოვიდა. არავის არც შეუმჩნევია, გართული იყვნენ.

ჰოდა, იჯდა ესე და რაღაცაზე ფიქრობდა. უფრო სწორედ, რომც გეკითხათ რაზე, ვერ გიპასუხებდათ. თვითონვე უკვირდა თავისი საქციელი, მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო და ამიტომ ვერ აეხსნა, რომ უბრალოდ, იმ წუთში, აღარ მოუნდა აღელვებული მასის ნაწილად დარჩენა, მის წიაღში ყოფნა, ინდივიდუალიზმმა გადასძლია.

ვიღაც მიუახლოვდა, თავი ასწია. გენერლის ფორმაში გამოწყობილი ჭაღარა, ძალიან სიმპათიური, მაღალი, ხმელი, ასე სამოცი წლის მამაკაცი დაინახა. საწვიმარ მოსასხამზე ორი დიდი ვარსკვლავი უბრწყინავდა. გამომეტყველება ჩაფიქრებული, ნაღვლიანი ჰქონდა უცნობს, ეტყობოდა განცდებში იყო. მის მიხვრა_ მოხვრაში, სიარულში, შემდგომ საუბარშიც საერთოდ არ იგრძნობოდა «სალდაფონური» მანერები. უფრო აკადემიკოსს, ინტელიგენტს, მეცნიერს მოგაგონებდათ.

_ ცუდი თამაშია თუ უღმერთოდ აგებენ ჩვენები? _ გამოეპასუხა გენერალი კახას და ინტერესით მიაპყრო თაფლისფერი, ჭკვიანი, სევდიანი თვალები. ეს კითხვა ამ საკითხისადმი ინტერესს კი არა, საუბრის დასაწყის მიზეზს უფრო ჰგავდა. თან, გენერალი დინჯად ჩამოჯდა კახას გვერდით.

_ არა, კარგი თამაშია.

_ მაშინ რატომ გამოხვედით? მოგბეზრდათ...

_ არ ვიცი... რატომღაც აღარ მაინტერესებს...

_ მოგბეზრდა... არადა კაცმა რომ შეგხედოთ, ეგრევე მიხვდება, რომ ძალიან გულშემატკივრობთ.

კახამ თავი დააქნია. უცებ დაიხედა ტანისამოსზე. პერანგი ამოჩაჩვოდა და ორი ღილიც მოგლეჯოდა, შარვლის უბეც გახსნია. დარცხვენილად გაიღიმა, შეიშმუშნა და თავის წესრიგში მოყვანა დაიწყო.

_ არ გეგონოთ, თითქოს შენიშვნას გაძლევდეთ _ უხერხულად წაილაპარაკა გენერალმა.

_ არა, არა როგორ გეკადრებათ... თქვენი სახელი თუ შეიძლება.

_ გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი... _ ცოტა ირონიით წარმოსთქვა გენერალმა. კახას შემდგომში აღარ დაამახსოვრდა მისი სახელი და გვარი, ამიტომაც ჩვენც შავიკავოთ თავი, პირობითი არ მოვიგონოთ.

_ კახა...

გენერალს საოცრად არაჯარისკაცული, რბილი, ნაზი ხელი აღმოაჩნდა. ამან და როგორც ვთქვით, სხვა «არასალდაფონურმა» მანერებმა, გარეგნულმა შესახედავობამ, კახაში მისდამი ინტერესი გამოიწვია.

_ თქვენც მოგწყინდათ იქ?

გენერალმა თავი დააქნია. კახას გაეცინა. _ თქვენ გეტყობათ ჩემნაირად, ხმუარიანად არ იქცეოდით...

_ სადაც მე ვზივარ ხოლმე, ყველა ჩუმადაა. არავინ გაჰყვირის, თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაულაპარაკებენ ერთმანეთს, სახეც უმეტესად სერიოზული აქვთ, ან და... სიცილიც თავდაჭერილი იციან, ერთმანეთს აკვირდებიან, საერთო რეაქციას ელიან... არ არის რა საინტერესო ესეთ ხალხში?!

_ რა ვიცი, რადგან სხვაგან არ ჯდებით, ესე იგი გირჩევნიათ...

გენერალმა თავი გააქნია _ სიმარტოვის ბრალია, არავინ მყავს რომ... იქ კი ჩემთვის გამოსალაპარაკებლად, აუცილებლად არ არის ვინმეს იცნობდე, ფორმა ჭრის, ჰმ... თუმცა, არც სხვაგან არის აუცილებელი... ალბათ შევეჩვიე... თითო_ ოროლა ნაცნობსაც ვნახულობ.

კახამ ეხლაღა აღიქვა, თუ როგორ უხდებოდა უცნობს ფორმა, მარტო კარგი შეკერვის ან ფიზიკურ აღნაგობასთან შეხამების გამო არა, ტანისამოსის მორგება, კოხტა ტარება უნდა იცოდეს კაცმა. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად, მაინც წარმოუდგენელი იყო ეს პიროვნება სამხედროდ.

_ ვინმე ქვეშევრდომთან ერთად... _ უებ მიხვდა, რომ უტაქტობა ჩაიდინა.

გენერალს სახე უფრო დაუნაღვლიანდა. ეტყობა... კი არ ეწყინა, არამედ, მტკივნეულ ადგილას მოხვდა.

_ არც ეს არის საინტერესო. მათში არავინ «დინამოს» არ გულშემატკივრობს. ხოლო თუ ჩემს გამო გააკეთებს ამას, შეიძლება წარმოდგენა დავკარგო, შემეზიზღება... თუმცა, ქვეშევრდომები აღარც მყავს, პენსიაზე გავედი ორი კვირის წინ... იმ დღესვენ წამოვედი, მომენატრა აქაურობა, ჩემი კუთხე, ხალხი... _ ბოლო სამი სიტყვა წაიჩურჩულა. ისე, თითქოს თავის თავს აჯერებსო. _ ჰო, ხალხი, მიწა! ეხლა კი უფრო ხმამაღლა, თავდაჯერებულად წარმოთქვა და დანამული თვალები გაუსწორა.

კახა მოულოდნელობისგან შეცბა, დაიბნა.

_ გა_ გიშვეს ძალით, თუ თქვენ თვითონ... _ წამოროშა და სახე დაემანჭა, შეწუხდა, თავს წყევლა დაუწყო, რა უტაქტო და უზრდელად ველაპარაკებიო.

გენერალი მიუხვდა, გაეღიმა, დაამშვიდა და _ ნუ შეწუხდებით, არაფერია, მე ვარ დამნაშავე... _ ასეთი მამაკაცური, თბილი მოფერება, კახას ბაბუისგან თუ ახსოვდა. ძალიან ბუნებრივად, მამა_ შვილურად, ყოველგვარი ფარსის გარეშე გამოვიდა ყველაფერი.

_ ტანკისტებში, მფრინავებში, თუ «პეხოტაში» მსახურობდით?

_ არცერთში... ეს არაა საინტერესო! არ გეწყინოთ... კარგი?

_ მეც გთხოვთ, თქვენობით ნუ მომმართავთ... ვიბნევი. თვითონ მეკუთვნის ასე...

_ კარგი... რამდენი წლის ხარ?

_ თხუთმეტის გავხდები სამ თვეში.

_ სკოლის შემდეგ რას აპირებ?

_ ინსტიტუტში მინდა ჩავაბარო. სად, ოღონდ, არ ვიცი. ვნახოთ, მე ხატვა მიყვარს, მაგრამ მშობლებს არ მოსწონთ. თანაც აკადემიაში სამხედრო კაცედრა არ არის. ჯარში წასვლა კი...

_ არ გინდა...

_ არა!

_ რატომ?! ქართველები ოდითგანვე განთქმული მეომრები იყვნენ. ყველი ბიზანტიელები ამბობდნენ მგონი: ომის ღმერთია მათი მფარველიო. თანაც, ჩვენც არ უნდა გვყავდეს სამხედროები?... როგორც მხატვრები, მუსიკოსები, მეცნიერები. ყოველ შემთხვევაში, სანამ არსებობს ეს პროფესია, ერს სჭირდება...

_ დიახ... კარგი მეომრები ვიყავით, ალბათ ეხლაც ვართ... მაგრამ... კარგი ჯარისკაცი და კარგი მეომარი სხვადასხვა რამ არის მგონი.

_ სწორი ხარ. ჩეხოსლოვაკიაში რომ შევიდნენ ჩვენი ჯარები... ერთი «ძალიან ცუდი» ქართველი ჯარისკაცი გავიცანი. ტრიბუნალზე გადაცემას უპირებდნენ. მოხდა ისე რომ მანამდე სადღაც დააყენეს საგუშაგოდ. ცვლა ერთი კვირა არ მოვიდა... სხვადასხვა მიზეზების გამო... თანაც იქ ყოფნა სახიფათო იყო... ისროდნენ ხანდახან. ეგონათ... როდესაც მივიდნენ, ნახეს, მშიერ_ მწყურვალი ისევ იქ იდგა, უფრო სწორედ იჯდა...

_ ჰმ. საგუშაგოზე ჯდომა რომ არ შეიძლება?

_ სწორი ხარ... კინაღამ ძველ დანაშაულს ესეც მიუმატეს და დასჯა დაუპირეს...

_ მერე?!...

_ დავეხმარეთ...

_ კერძოდ.

_ მე...

_ დაეჭვდებოდნენ ქართველს რომ...

_ რატომ, განა სინდისი ყველა ერის წარმომადგენელთან არ უნდა გქონდეს? ან რა მნიშვნელობა აქვს სადაური ხარ...

_ სწორია მაგრამ... ქართველი რადგან იყო. შეიძლება ეფიქრათ...

მალე, თითქოს დაივიწყეს კიდეც ერთმანეთის არსებობა, იჯდნენ გვერდ_ გვერდ ფიქრებში გართული.

კახას მეგობრები გაახსენდა: «ალბათ დამატებით დრო დაინიშნა», რა დღეში იქნებიან? ჰმ... ყველას ხმა წაერთმევა, გასავათებულები გამოვლენ. თუ გავიმარჯვებთ, კმაყოფილები და ბედნიერები შეჰქმნიან ღრიანცელს, უმნიშვნელო რამეზეც კი დაწყდებიან სიცილით. წაგების შემთხვევაში პირიქით, ხმას ვერ ამოაღებინებ ვერცერთს. რა კარგები და თბილები არიანო, _ გაიფიქრა. ვერ წარმოედგინა ცხოვრება მათ გერეშე, ყველა ხალიან უყვარდა. ოცნება დაიწყო: ეს ეს გახდება; ეს, ის, ამას მიაღწევს, ასე იცხოვრებენ... სახლები აუცილებლად გვერდი_ გვერდ ექნებათ, ცოლებსაც მოიყვანენ, შვილებიც გაუჩნდებათ, ისინიც დამეგობრდებიან. სამსახურის შემდეგ, დაღლილები, რომელიმეს სახლში შეიკრიბებიან, ერთად ივახშმებენ, იმხიარულებენ, დომინოს, კარტს ითამაშებენ, ან ბარში სიმღერებს მოუსმენენ. კახას ოცნებად ჰქონდა, სახლში ბარის მოწყობა, თავისი «სტოიკით», «ცვეტამუზიკით». სურდა, მთელ ჭერზე პატარა ნათურების ჩამოკიდება... იცეკვებენ კიდეც. ალბათ შვილები დასცინებენ, რა დროს ამ ღიპიანი კაცების ცეკვაოო, მაგრამ მათ რა ეცოდინებათ... იქვე ახლო, მოედანიც ექნებათ,

ითამაშებენ კალათბურთს, ფეხბურთს, «ტენისს»... «პინკ_ პონკსაც», მაგრამ დიდი «ტენისი» უფრო იზიდავთ.

როცა მოხუცდებიან... არა! ამაზე ფიქრიც არ შეიძლება... იცხოვრებენ ესე ლამაზად ერთად, მშობლებსაც გაახარებენ, ანახებენ რა კარგები ყოფილან. ნუ გადაეკიდე ამ უსაქმურებსო, არცერს აღარ ეტყვიან. ერთმანეთის სიყარულით და გატანით მიაღწევენ ყველაფერს.

უცებ გენერალს სახე მოეღუშა, გულზე მოიკიდა ხელი, კახა შეშინდა, ავანერვიულეო იფიქრა, ექიმს ხომ არ გამოვუძახოო, _ ჰკითხა.

_ არაფერია, აგერ ვალიდოლი და... ნუ განიცდი, შენი ბრალი არ არის... გული მაწუხებს... ბევრი რამ ამ ბოლო ხანს თვითონ დავინახე, შეიცვალა ქვეყანა...

სიჩუმე ჩამოვარდა. გენერალმა ისევ გადაუსვა კახას ხელი და გაუღიმა, ეტყობა წამალმა უშველა და შვებით ამოისუნთქა. კახა ამან გაათამამა.

_ თქვენ გინდათ თქვათ: ადრე ასე არ იყო, სხვანაირი ხალხი ცხოვრობდა, არასდროს გიფიქრიათ, რომ ყველაფერი ეს იყო, ოღონდ ჩამალული!... ეშინოდა ხალხს თქმა, გამოხატვა... გუნებაში, გულში კი ჰქონდათ... შიში ვერაფერს ასწორებს... უფრო უარესია! ალბათ სტალინის დროს შენატრით, რა კარგი იყო მაშინ _ ნიშნის მოგებით და ახალგაზრდული აზარტით თქვა ბოლო ფრაზები კახამ.

_ ვინმე დახვრიტა, ან გადაასახლა თქვენ ოჯახში?! _ მშვიდად იკითხა გენერალმა.

კახა მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა, მოიბოდიშა, გენერლის თბილი ღიმილი მიიღო პასუხად და დამშვიდდა.

_ არა, ბაბუა, დედის მამა ძალიან მიყვარდა და გარდაცვალების შემდეგაც... მაგრამ ისიც თქვენსავით შენატროდა ძველ დროს...

_ ვინ მოგიყვა ყველაფერი, ცოტა მასალებია ამის შესახებ გამოქვეყნებული.

_ ისტორია მაინტერესებს, რაც იბეჭდება, იქიდან ფაქტებს ვადარებ ერთმანთს, სტროფებს შორის კითხვაც ვისწავლე, კიდევ რადიო... რადიო, «ამერიკის ხმას» ვუსმენ...

_ ჭკვიანი ბიჭი ხარ... ეჰ... სწორია, რაც თქვი, თავიდან მეც ვხედავდი... შემდეგ დავბრმავდი, თავი დავიბრმავე... ეს შიშმა და ფანატიზმმა იცის... მერე და მერე, უფრო ჯიუტად ჩავეჭიდე ამ სახელს, გინება დაუწყეს ხრუშოვის დროს... მკვდრის ხელყოფა ადვილია მეთქი და... დროა ყველაფრის მკურნალი, რაც უფრო გამოვიხედე... მაშინდელის გამო კი არა, უფრო დღევანდელობამ ამიცრუა მასზე გული. ნელ_ ნელა იმდროინდელი სისაძაგლეებიც შევამჩნიე... სტალინმა დათესა «ყამირი», «მცირე მიწა» და «აღორძინება»... ბოლომდე მაინც მიჭირს გაწირვა... ესაა ჩემი გადადგომის მიზეზიც... რამოდენიმე წლის წინ მივხვდი, მეც ჩამითრია მორევმა. უფრო სწორედ მთელი ცხოვრება... მივედი აზრამდე რომ ჩემივე შექმნილს ვერ ვუმკლავდები. ახალგაზრდობა იმას მოვახმარე, ოცდამეთექვსმეტე ში მივედი... არადა შვილიც მყავს, შვილიშვილიც, მაგრამ მარტო მივეჩვიე ცხოვრებას... ორმოცდამეცამეტეში ცოლი.., იქ გარდაიცვალა, ფილტვების ანთება დაემართა... ერთი თვე მეც ვიჯექი. ეხლა ვხვდები, მისმა სიკვდილმა მიშველა... შვილი დამ გამიზარდა, ხშირად მაკითხავს, მაგრამ როგორ გითხრა, ვუყვარვარ, მიყვარს... აი, შენ რომ გადაგისვი თავზე ხელი, ისე ვერ ვეფერები. ვხედავ, სულ შებოჭილია ჩემთან, ამიტომაც არ დავურეკე, ალბათ ისიც აქ არის... გესმის?! ფანატიზმი ყველაზე დიდი ჭირია ამ ქვეყანაზე. სპობს და... ერთია კარგი, მეყო ძალა,

ფანატიკი არ მოვკვდები... თუმცა მიჭირს, ძალიან მიჭირს, არა მარტო მისი, «ყამირის» ბოლომდე გაწირვაც...

გენერალს სახე გაუთეთრდა, ტუჩები აუცახცახდა, ხმა აუკანკალდა. კახა მოულოდნელობისაგან გაშრა, თვითონაც დაჰკარგა ფერი, ჟრუანტელმა დაუარა. გენერალი გონს ამან მოაგო. უცებ დამშვიდდა, ისევ მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა. უხერხულობის მოსახსნელად ჰკითხა: _ «სკოლა თუ გიყვარს?»

_ არა!.. მეგობრები, ახალგაზრდული სიტუაცია კი... მასწავლებელს... ძალიან ცოტა ვინმეს თუ ვცემ პატივს!

_ რატომ? _ ღიმილით ჰკითხა გენერალმა.

_ «სალდათებივით» გვზრდიან. ეს არ ჰქნა, იჯექი, «შტიკივით», ესე არ იფიქრო, ესაა მართლი, ეს მტყუანი... საზიზღრობაა როდესაც არაფრად გაგდებენ, არ სჯერათ, პატივს არ გცემენ, ყველა ერთნაირი უნდათ გაზარდონ.

გენერალს მწარედ გაეღიმა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ეტყობა გადაიფიქრა, თითქოს გონს მოეგოო _ მ_ მერე რომ მოგენატრება, ამხანაგები და მეგობრები?

_ სკოლის გარეთ ვნახავ!...

_ ყველას ვერა...

_ ვისაც არა, ალბათ ესეა საჭირო. ამხააგებზე ვიძახი, მეგობრები კი... არ დავკარგავთ ერთმანეთს!...

უცებ, სპორტის სასახლის კარები გაიღო. ზღვა ხალხმა დაიწყო ერთბაშად გამოსვლა, გენერალი და კახა წამოდგნენ. ატმოსფეროთი, ხალხის ხასიათით მიხვდნენ, რომ გაიმარჯვა მათმა გუნდმა. ორივეს გაეღიმა და გაუხარდა. კახას მეგობრებიც მოცვივდნენ. სად გაქრი, ბევრი დაჰკარგეო. ერთდროულად «ისროლეს» ყველაფერი და წავიდეთო, გადაწყვიტეს. კახა გენერალს მიუტრიალდა და ხელი ჩამოართვა.

_ ნახვამდის, აქვე ვცხოვრობ, რვა საათისთვის გამოვდივარ ხოლმე სასეირნოდ _ გამოიარე... აუცილებლად... ძალიან მესიამოვნა, კარგი ახალგაზრდა ხარ, ვისაუბროთ ხანდახან...

_ დიდი მადლობა... აუცილებლად...

_ წადი, გაიქეცი, ნუ გრცხვენია, ბიჭები გელოდებიან...

მეორე დღეს კახა კინოში წავიდა, რაღაც ახალი ფილმი გადიოდა. შემდეგ ვიღაცის დაბადების დღეზე და ასე ნელ_ ნელა, თითქოს მთლად გადაავიწყდა მოხუცი გენერალი, მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, მეტროში მგზავრობისას, რატომღაც უეცრად გაახსენდა. სახელი უნდოდა მოეგონებინა, ვერ შესძლო. სახეც ბუნდოვნად წარმოიდგინა. იმავე დღეს გავიდა სპორტის სასახლესთან, ერთი კვირის განმავლობაში შვიდიდან ათამდე იქ სეირნობდა, გენერალი აღარ გამოჩენილა. გული აწუხებდა. ალბათ გარდაიცვალაო _ იფიქრა.

ერთი წლის შემდეგ, გაზეთში ვიღაც გენერალ_ ლეიტენანტის ნეკროლოგი ნახა. თითქოს მიამგვანა, მაგრამ დარწმუნებით ვერ იტყოდა... როდესაც გაიფიქრებდა ის არისო, გულზე სევდა მოაწვებოდა. მიხვდა, თუ რას ნიშნავდა მოხუცი გენერლისთვის მასთან საუბარი... მიხვდა, ბევრ რამეს მიხვდა კახა, გული დასწყდა... თურმე, თვითონაც დააკლდა ბევრი იქ არმისვლით, ნაცნობობის გაწყვეტით. ვეღარსად იპოვა გენერლისნაირი ადამიანი, ადამიანი ვისთანაც შეიძლება უბრალოდ გულის გახსნა, უფრო სწორედ _ ხმამაღლა ფიქრი...

1986 წ. ივლისი. მოსკოვი.

<u>რ ე ზ ო</u>

როდესმე თუ გქონიათ ისეთი გრძნობა, როდესაც ადამიანი მწარედ განიცდის თავის თითქოსდა შეუმჩნეველ, ულამაზო ცხოვრებას. ალბათ ყველას, იმიტომ რომ, ყველა ადამის და ევას მოდგმა ვართ და გვინდა უფრო ლამაზი ფერებით შევიმკოთ სიცოცხლე...

ასეთი გრძნობა განიცადა რეზომაც, როდესაც «თავისი» გასაღებით გააღო ახალაძეების ბინა, სადარბაზო ოთახში მხიარული ჟრიამული იდგა, ისმოდა მუსიკა, სიცილი. ადრეც ხშირად მომხვდარა ასეთ ატმოსფეროში. ყოველთვის ის მოსწონდა, რომ არასდროს, არც უფროსები, არც მაია და მისი ამხანაგები არ აგრძნობინებდნენ, რომ რეზო ამ ოჯახში უბრალო, დაქირავებული ხელოსანი იყო. სამუშაოს არ აწყებინებდნენ, შეიპატიჟებდნენ, დასვამდნენ სავარძელში, მოუმზადებდნენ ყავას, მაიას მეგობარი ბიჭები ალავერდს ყოველთვის მასთან გადადიოდნენ. ყველაფერს ამ სახლში რაღაც მხიარული, ნაზი და სიცოცხლით სავსე ელფერი დაჰკრავდა. კარგ ოჯახში მუშაობდა რეზო. გასამრჯელოსაც არაუშავს აძლევდნენ. შეხედავდი თუ არა ყველა აქ მკვიდრთ, გაგიხარდებოდა, ქალბატონ ნინოს, _ ოჯახის დიასახლისს, რაღაცნაირი მშვიდი, ამაყი, კეთილშობილი გამომეტყველება ჰქონდა. ტანად მაღალი, კოხტა, ყოველთვის სადად და გემოვნებით იცვამდა, თვალებში ზომიერად კეკლუცი ნაპერწკალი უბრწყინავდა. ნაპერწკალი რომელიც ყველა ქალს უნდა გააჩნდეს გამომწვევი მაცდური კი არა, შეუცნობელი, საიდუმლო, მხიარული, სიცოცხლით სავსე.

ოჯახის უფროსი, ბატონი დავითი, დინჯი, მაგრამ გონებამახვილი კაცი გახლდათ. ტანად ისიც მაღალი, ისიც ორმოცდაათი წლის. დაუჯერებელია მაგრამ ღიპი თითქმის არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა რომ რეზომ იცოდა, ბატონი დავითი სმა_ ჭამის დიდი მოყვარული გახლდათ და როგორც ამბობდნენ ცხრა ლიტრის დალევა შეუძლიაო. თუმცა ვერასდროს ნახავდით გადამთვრალს, აზრარეულს.

ჭაღარა თმა და ულვაშები კეთილშობილ ვაჟკაცურ სახეს ძალიან უხდებოდა. დარბაისლურ იერს აძლევდა, ტანზე ყოველთვის კოხტად და მოხდენილად ეცვა. ზედმეტი ოფიციალურობის გარეშე. ჰალსტუხი არ უყვარდა, იშვიათად, თუ საჭირო იყო ბუზღუნით იკეთებდა ხოლმე.

ვაჟა, ქალბატონი ნინოს და ბატონი დავითის უფროსი შვილი, მამას ჰგავდა ხასიათით, შესახედავად კი ორივე მშობლის ნაკვთები თითქმის თანაბრად ჰქონდა დაყოლილი. ასე ოცდარვის იქნებოდა. მასაც ულვაშები მოეშვა, თმის ვარცხნილობითაც მამამისს ჰბაძავდა, ისიც დიდი ბუზღუნით იკეთებდა ჰალსტუხს. ხშირად იძახოდა რატომ უნდა ვიარო ხელმძღვანელთან ასე გამოწკიპული. ვერ გავიგე ამ კაცს შარვალ_ კოსტუმი და ჰალსტუხი უფრო აინტერესებს თუ ჩემი ტვინიო. ამაზე ყოველთვის ქალბატონი ნინოს მოკლე, წყნარი დარიგებების ტონი ისმოდა. მაია, უმცროსი შვილი, ოცი წლის გახლდათ. სიყვარულით გათამამებული და განებივრებული თუმცა დედამისის ხასიათისაგან ბევრი რამ ჰქონდა გადაღებული და სხვების მიმართ მასავით თავდაჭჭერილი,

ზრდილობიანად და კეთილშობილად იქცეოდა. მასაც უბრწყინავდა ნაპერწკლები თვალებში. მართალია დედამისზე უფრო ცოცხალი და ენერგიით სავსე, მაია ხომ გაუთხოვარი იყო. თუმცა მის თვალებშიც ვერასდროს დაინახავდით ზედმეტ გამოწვევას, მაცდურობას.

სახლი მდიდარი, ლამაზი, კარგად მოვლილი ავეჯით იყო გაწყობილი. ქალბატონი ნინოც და ნაწილობრივ მაიაც კარგი დიასახლისები იყვნენ. დაწკრიალებული ჰქონდათ ყველაფერი.

ხუთი ოთახიდან ყველაზე ნათელში, ბებიების და ბაბუების გადიდებული ფოტოსურათები ეკიდა. შეხედავდით თუ არა მათ, მიხვდებოდით რომ ეს ოჯახი ძველ ტრადიციებს აგრძელებდა.

რეზოს ჩუმი, მალული გრძნობები გააჩნდა მაიას მიმართ. ხვდებოდა, რომ ამ ოცნებებს ასრულება არ ეწერა, მაგრამ... საკვირველია, თითქოს არც კი სურდა. უფრო სწორად ადვილად ეგუებოდა ამას. მისთვის მთავარი იყო მაიას ყოველდღიური დანახვა, სიცილის გაგონება. მისი სიხარულით ხარობდა და ასაზრდოებდა გრძნობას. კარგად იცნობდა მაიას საქმროსაც. ახალგაზრდა სიმპატიურ ბიჭს, ნიკას. ერთად რომ იდგნენ, მათ დანახვას არაფერი სჯობდა, «ფერი_ ფერსო» იტყოდა კაცი. არც ეჭვიანობის გრძეობას განიცდიდა რეზო. ის სუფთა და უმწიკვლო იყო...

რეზოს შემოსვლა არავის გაუგია. როგორც ყოველთვის, მაიას ამხანაგები სასტუმრო ოთახში იყვნენ. მაგნიტოფონი პოპულარულ მუსიკებს უკრავდა. იცინოდნენ, ჟრიამულობდნენ. ადვილად წარმოიდგინა იქაური ატმოსფერო, ხილი, ტკბილეულობა, კონიაკი, ტრადიციული და არატრადიციული სადღეგრძელოები. შესვლა დააპირა, მაგრამ უცებ გვერდით ოთახიდან ალერსის ხმა მოესმა. გოგონაში მაია იცნო, ხოლო ბიჭი?... ეს ხმა სულაც არ ჰგავდა შეყვარებულთა ხმას. რეზო მიხვდა, რომ მაია ვიღაც ბიჭთან... შესვლა უნდოდა... უნდოდა ეცემა... ნერვები ძლივს დაიოკა. სამუშაო ოთახში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ზედმეტად ხმაურიანად დაიწყო მუშაობა. მაიას ამხანაგები შემოვიდნენ და მიიპატიჟეს, უარი უთხრა, ერთი კი შეიხედა ოთახში, ნიკა არ ჩანდა. ცოტახანში მაიაც შემოვიდა. უსაყვედურა რატომ არ გამოდიხარო, თანაც ისეთი სახე ჰქონდა მიღებული, თითქოს ეკითხებოდა გაიგე თუ არა რაიმეო... კართან ვიღაც ყმაწვილი გამოჩნდა და მაიას დაუძახა. რეზო მიხვდა ვინც იყო...

უკვე უნდა დაემთავრებია საქმე, მაგრამ მაიას გულისთვის აჭიანურებდა. მისი მოქმედება სულაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ ხელოსნის საქციელს. ყველა იმას ცდილობს მალე მორჩეს და გასამრჯელო მიიღოს. რეზო კი მხატვარ_ დეკორატორს მოგაგონებდათ. სანამ აირჩევდა ათასგვარი შპალერი ნახა. კომპოზიციები შეადგინა, ხატა, ორჯერ მეტი შესალესი სამუშაოები ჩაატარა. სულ ჩუქურთმებით მორთო ჭერი, თანაც ზედმეტი სამუშაოები უსასყიდლოდ გააკეთა. თითქმის რჩებოდა საქმეს. ერთი დღის სამუშაოღა თუ იყო, მაგრამ ახალაძეებს გამოუცხადა სამ დღეში დავამთავრებო... უჭირდა განშორება, უჭირდა რეზოს, დღეს კი... რეზო ნელ_ ნელა გაერთო სამუშაოთი და ფიქრებში ჩაიძირა. რამდენიმე რამე გადადო მაიას გულისთვის. აქამდე ორ «კლიენტრსაც» გაისტუმრებდა, შინაც მორჩებოდა «რემონტს». სირცხვილია ხელოსნის ოჯახი და ასე ცხოვრება. მამის გარდაცვალების შემდეგ ხელი არავის მოუკიდია. ისედაც «ურემონტო» ბინა სულ ჩაბნელდა. ვის ეცალა... დედა ორ ადგილას მუშაობდა, საერთო ხელფასი ასსამოც მანეთს აღწევდა მხოლოდ, თუ მას პენსიას და ბავშვების დახმარებას

დავუმატებთ სულ ორასორმოცდაათი გამოდიოდა. არა იმას ვერ იტყვის, რომ სასმელ_ საჭმელი აკლდა, მაგრამ, რემონტი... ან კიდევ სხვა რამე... დიდი პრეტენზიები არასდროს გააჩნდა. ეცოდებოდა დედა, ასეთ ქალზე იტყვიან ხოლმე თავისი ავი თვითონ მოიხუცაო დროზე ადრე. სულ შავებში დადიოდა. ლამაზი ფაფუკი ხელები ქმრის სიკვდილის შემდეგ, დამლაგებლად და მრეცხავად მუშაობისას გაუუხეშდა. ერთ დროს თოჯინასავით კოპწია, მომხიბლავ სახეს მწარე, სევდიანი იერი დაჰკრავდა. ძნელად თუ იფიქრებდით, რომ ეს ქალი ერთ დროს ახალგაზრდა ბიჭების ქიშპობის საგანი იქნებოდა. ამას ხანდახან მამიდა თუ გაიხსენებდა.

სამი ძმანი იყვნენ. რეზო მათ შორის ყველაზე უფროსი. უმცროსი ძმები კახა და დათო, _ ტყუპები. კარგად ახსოვს მათი დაბადების დღე. როგორ არ უნდა დედის საავადმყოფოში გაშვება. ძლივს დააწყნარეს... მეორე დღეს კი ახარეს ტყუპი ძმები შეგეძინაო. თავიდან ვერც მიხვდა რას ნიშნავდა სიტყვა «ტყუპი»... ოჯახში მხიარული კეთილი განწყობილება სუფევდა. ყველაფერი კარგად იქნებოდა ერთ წელიწადში მამა ავარიაში რომ არ დაღუპოდა. დედა ყოველ დილით ადრე გადიოდა სამსახურში, შაბათ_ კვირაობითაც დამატებით სამუშაოს იღებდა. ასე რომ შვიდი წლის რეზო ძმების ძიძაც იყო, დედაც და მამაც... რამდენჯერ აწყევლინეს თავი. მაიმუნებს წამდაუწუმ გამოცვლა სჭირდებოდათ. რეცხვაც მათ ასწავლეს, როცა წამოიზარდნენ უფრო გაუადვილდათ მოვლა. გამოიყვანდა ბაღიდან, აჭმევდა, ჩაიყვანდა ეზოში, თან თამაშობდა, თან თვალყურს ადევნებდა. უბანში ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ. უფროსებს ეცოდებოდათ, თანაც მისი შრომისმოყვარეობა, ოჯახისადმი სიყვარული და ადრე «დაკაცება» მოსწონდათ, თანატოლებს კი სიმამაცე, ცოცხალი ბუნება და მაგარი კუნთები. ბავშვები ხშირად აქცევდნენ ყურადღებას ფიზიკურ სიძლიერეს. თუმცაღა რეზო სხვასთან შედარებით «ბოროტად» არ იყენებდა ამ ღირსებას, თავისუფალი და ლაღი იყო ბველასთან. ძლიერთან თუ სუსტთან, გოგოსთან თუ ბიჭთან. თითქმის არასდროს ბრაზდებოდა ბავშვურ მუჯლუგუნებზე, ან ფეხბურთის თამაშისას ფეხის დადებაზე, უფრო სწორედ არ ამჟღავნებდა. ერთი კი იცოდნენ უბანში, არასდროს არ უნდა მიიყვანო გაცეცხლებამდე. არ უნდა მიაყენო შეურაცხყოფაო.

ერთხელ მეათე კლასში, სასტიკად სცემა თანაკლასელი როინ მახარაძე. თავიდან უმნიშვნელო რამეზე წაკინკლავდნენ, მაგრამ მერე დედა შაეგინა. სასტიკად სცემა რეზომ, უმოწყალოდ ურტყა წიხლები წაქცეულს. გამშველებლებმა და სეირის მაყურებლებმა არ გასცეს მეორე მოჩხუბრის ვინაობა, რომელმაც არ გათქვა «ბიჭობაზე» დებდა თავს და...

ორი კვირის შემდეგ როინი გამოჯანმრთელდა და სკოლიდან შინ მიმავალ რეზოს დაუხვდა მეგობრებით. ასევე უმოწყალოდ სცემეს, ორი კბილიც ჩამოუღეს. ასევე არავის გაუგია ეს ამბავი. რეზო მალე გამოჯანმრთელდა, გამოიჭირა და კვლავ სასტიკად ცემა როინი, ისე რომ სამი თვე გაუნძრევლად დააწვინა საავადმყოფოში. თავიდან ეჭვიც კი შეეპარათ გადარჩებოდა თუ არა.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, როინის გადარჩენა საეჭვო აღარ იყო, მათმა სკოლის დირექტორმა, როინის მამამ მეგობრით, შინ მიაკითხა. მაშინ საქმეს ისეთი მსვლელობა ჰქონდა მიცემული, რომ ყველას ეგონა რეზოს გაასამართლებდნენ. სკოლის დირექტორმა წინადადებით მიმართა დედამიისს. მართალია აღრიცხვაზე კი დარჩება, მაგრამ არც სკოლიდან გავაგდებთ და არც დავაჭერინებთ, თუ თხუთმეტი ათას მანეთს

მოგვცემთო. დედამისმა ფული მეზობელი საქმოსნისაგან, «ვახტანგ გრიგორიჩისაგან» ისესხა და რეზოც გადაურჩა სასამართლოს. თუმცა მაშინ არ იცოდა რა ხერხით. ეგონა როინის მამამ შემიცოდაო ობოლი...

დაწვრილებით კი სამი წლის შემდეგ გაიგო მეგობრისგან, სრულიად შემთხვევით. მანამდე არც «ვახტანგ გრიგორიჩს» და არც არავის წამოსცდენია. ისე, მისი ცოლი ქალბატონი ზაირა რაღაცნაირად კი უბურებდა მაგრამ... ერთ წელიწადში რეზომ, რომ იტყვიან: წელებზე ფეხი დაიდგა, დღე_ დღეზე გაასწორა და საჭირო თანხა შეაგროვა. ფული რომ მიუტანა «ვახტანგ გრიგორიჩმა» იუარა. არ გინდა, როცა გამიჭირდება თუ გექნეს მაშინ მომეციო. მე მამაშენს კარგად ვიცნობდი, პატიოსანი მშრომელი კაცი იყო და პატივს ვცემდიო. თანაც რეზო და მისი ბიჭი ზურა მეგობრობდნენ და...

მართალია მან არ აიღო, მაგრამ «ქალბატონმა ზაირამ» სიხარულით დაიბრუნა ვალი, ოღონდ გააფრთხილა ვახტანგთან არ წამოგცდეს თორემ გამიგიჟდება და შავ დღეს დამაყრისო.

ერთი წლის შემდეგ სკოლის დირექტორი, როინის მამა, რაიონის მილიციის უფროსი და «ვახტანგ გრიგორიჩი» თითქმის ერთდროულად დააპატიმრეს სხვადასხვა საქმეზე, მაგრამ ერთ კაცთან «ურთიერთობის» გამო. რა საშინელი იყო ის ღამე, საშინელი, ბატონ ვახტანგს მაშინ პირველად მიმართა რეზომ ასე, წყნარად შეხვდა ყველაფერს. სხვებისაგან განსხვავებით კაცურად მოიქცა. დანაშაული არავისთვის გადაუბრალებია, თუ თვითონ თავისივე დანაშაულს სხვები არ აწერდნენ. გასაკვირად ყველაზე ცოტა სასჯელი მიიღო. თუ თერთმეტ წელს ცოტა შეიძლება ეწოდოს...

ერთი თვის წინ იყვნენ რეზო და ზურა მასთან პაემანზე. ძალიან მოტეხილი იყო. ბოლოს ზურას უთხრა: ვიყავი დამნაშავე და ბოღმას გულში ნუ ჩაიდებ, პატიოსნად იცხოვრეო...

ბიჭები კოლონიიდან რომ ჩამოვიდნენ «ქალბატონმა ზაირამ» ბოდიში მოუხადა და ფულის დაბრუნება მოუნდომა. რეზომ, რა თქმა უნდა, უარი უთხრა.

წარმოუდგენელი გარდაქმნა მოხდა ამ ქალში, ერთ დროს ცოტა მოსულელო, ცერცეტა, უდარდელი უცებ მოეშვა, დანაღვლიანდა. რაღაცით რეზოს დედას დაემსგავსა. ტორტების კეთება დაიწყო კერძოდ. ფილოლოგის დიპლომი კი ქონდა მაგრამ, ერთი დღეც არ უმუშავია... დედამისსაც შესთავაზა გასწავლი და შენც გააკეთეო. რეზომ არ ჰქნა, ინსტიტუტში იმიტომ არ ჩააბარა, და ხელობა ისწავლა, რომ დედა დაესვენებინა, ძმებს მისი ხელი არ მოჰკლებოდათ. არადა ცუდი მოსწავლე არ ყოფილა. მართალია ხუთოსანი არასდროს გამხდარა, მაგრამ ოთხოსანი ყოველთვის იყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ ხელობა ისწავლა, შპალერის გაკვრა. ნათესავს მიებარა მოსწავლედ, ოქროს ხელებიანი, პატიოსანი კეთილი კაცია კაკო ძია. ბევრი რამე ისწავლა მისგან, სახლის მოპირკეთება, კაფელის დაგება, შპალერის გაკვრა, დურგლობა... სიკეთე, პატიოსნება და შრომისმოყვარეობა გაუუორკეთა. ორი წელია რაც დამოუკიდებლად მუშაობს. თავიდან კაკო ძია უგზავნიდა მუშტრებს. მოძველებული «03»_ იც იყიდა, კაპიტალურად შეაკეთა. თვითონაც და ძმებსაც მოდურად ჩააცვა, დედამისს ვერ გახადა მარტო ეს შავები. ასე რომ, ბედს არ ემდურის, მასალებიც მოაგროვა სახლის შესაკეთებლად... რამდენი თავიდან გაუხდა საშოვი.

ძმების ზრდასთან ერთად საქმეც მოემატა, ერთადერთი ვისაც უჯერებდნენ რეზო იყო. ისინიც რეზოსავით ცოცხალი და მშრომელი იყვნენ, თუმცა უფრო ანჩხლები და

თავქარიანები. სწავლით ძმის შიშით კი სწავლობდნენ, მაგრამ ყოველ მშობელთა კრებაზე ყურებამდე აწითლებდნენ. სულ რაღაცას აფუჭებდნენ, ურევდნენ. პირველი «შატალოც» კლასმა მათი მოთავეობით გააკეთა. ეს სასწავლო წელი კარგად დახურეს... მაგნიტოფონი გვიყიდე, ეხვეწებიან, შეპირდა, თუ ოთხებზე დაამთავრებდნენ.

სამუშაოს საღამოს ხანს მორჩა, გამოიცვალა და ოთახიდან გავიდა. წასვლას რომ აპირებდა ქალბატონი ნინო, ბატონი დავითი და ვაჟა მოვიდნენ. რეზომ ბოლო ოახიც აჩვენა სამივეს. მაიასაც დაუძახეს, ბოლოს ოთახიდან ყველა გამოიკრიფა. მოუწონეს ნახელავი. უცნობი ყმაწვილი არ ჩანდა, სამაგიეროდ ნიკა მოსულა, ყველას ისეთივე მხიარული იერი ჰქონდა როგორც ყოველთვის. მაია კვლავინდებურად კეკლუცობდა, ლაღობდა. სიწითლე და ალმური გადასდიოდა. როგორც ადრე კვლავ იდგა ნიკას გვერდით. უღიმოდა, თვალებში შესცინინებდა...

სანამ ბატონი დავითი გასამრჯელოს გადაუხდიდა არ მოეშვნენ და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. ყავა მიართვეს... წასვლისას კვლავ შეავლო თვალი ყველას, მაიას შეხედა... პარადოქსია, მაგრამ აღარ სჯეროდა მისი გულუბრყვილო ბავშვური ღიმილის, მისი უმწიკვლობის, სულიერი სისუფთავის... თუმცა ფაქტები სულ სხვა რამეს ანიშნებდნენ...

მეორე დღეს რეზოს სახლიდან, ტყუპი ძმებისა და მათი მეგობრების ჟრიამულთან ერთად, პირველად ისმოდა მაგნიტოფონის ხმა.

«ნ ა გ ა ვ ი»

(კინოსცენარი)

იღება კარები. შინაურულად ჩაცმული, მრავალსართულიანი სახლის მობინადრეები თავიანთი ბინიდან გამოდიან ისე რომ ერთმანეთს არ ხვდებიან. ხელში უჭირავთ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაგვის ვედროები. მიდიან ნაგვის ბუნკერთან, ყრიან ნაგავს, ბრუნდებიან შინ და კეტავენ კარებს.

(მთელი) ამ მოქმედების მანძილზე მათი გამოსახულება ეკრანზე მოჩანს წელსქვევით.

ადრიანი გაზაფხულია, ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, მაგრამ ჯერ არ გამქრალა თბილისური ზამთრის სუსხი.

ნაგვის მანქანა მოადგება სახლს. გადმოდიან ახალგაზრდა, შავგვრემანი მძღოლი და ქერათმიანი მენაგვე გოგონა. აღებენ ნაგვის ბუნკერის კარს, ყრიან ნაგავს, გოგონა იწყებს ნაგვის ქექვას. არჩევს პურებს, ალაგებს ტომარაში, იქვე შეამჩნევს ძველ ჯინსის შარვალს. მოიზომავს და იღლიაში ამოიდებს. შემდეგ იწყექს ქაღალდების თვალიერებას. თვალს ავლებს ტექსტებს, ზოგს იქვე მოისვრის, ხოლო ზოგს დაკეცავს და იდებს ჯიბეში. ბოლო_ ბოლო იწყებს ნაგვის დატვირთვას... მძღოლი ბიჭი იღებს პურით სავსე ტომარას და დებს მანქანაში. მანქანა დაიძვრება გადის მთავარ ქუჩაზე. გოგონა იღებს ჯიბიდან ფურცლებს და იწყებს მათ კითხვას.

_ კარტული ნორმალურად მაინც იცოდე შე... ამ...

_ ვიცი, რატომაც არ ვიცი, უბრალოდ აკცენტი მაკვს.

_ ლექსებში ხომ იცი, არა?

_ არ ვკითხულობდი, ამან ცამაკიტკა... ძალალიან კარგად ცერს, გუშინ სხვისიც ცავიკიტკე, მეხუტე სახლში ვიპოვე...

_ ეს დარეხვილი გადმოაგდო ალბათ...

_ არა სხვაგან... მეხუტე სახლში სიპოვე... დაიცა ეს რა დაუცერია?! მე მგონი?! უნდა ვნახო, და...

_ სულელი ხარ... მასთან მოგინდეს ლოგინშია? მასთან?...

_ ხა_ ხა_ ხა, მაგას თავი არ ექნება... სულაც არა, სულ სხვა რამეზე უნდა ვნახო...

_ არა, ვიცის რისთვისაც... დღეს დარჩები, ა? _ ამბობს მძღოლი და ცალ ხელს აპარებს გოგონას მკერდისაკენ.

_ გაჩე, გაჩე, ცინ იკურე შე სულელო... საშკა მკავს გამოსაკვანი სკოლიდან უნდა მივიდე... კისკისით ამბობს გოგონა. სამ ფურცელს შეინახავს ერთ ჯიბეში, ხოლო დანარჩენებს დიდ შეკვრაში და თან საუბარს აგრძელებს.

_ «გაჩენ გაჩე... ცინ იკურე, შე სულელო, გაჩე, საშკა...»

_ საშკა კი არა ჩემთან აღარ უნდა, მასთან... ამბობს მძღოლი და ხელს ხარხარით ახლა გოგონას ღეხებისკენ გააპარებს.

_ ნუ სულელობ...

მძღოლი სკამის ქვეშიდან იღებს არყის ბოთლს...

_ ნახე, ნახე, რა მაქვს, დარჩეს არა, ხა_ ხა_ ხა, ხომ გინდა არა? ხა_ ხა_ ხა...

_ საშკა, რა ვუყო... მასწავლებელმა დამიბარა...

_ თვითონ მოვა სახლში, ხვალ მასწავლებელი ნახოს... საშკა ჭკვიანი ბიჭია, ნაღდი გამოვა... მაგ ლექსისტს კი არ დაემსგავსოს...

_ რა გინდა ამასტან...

_ სულულიე...

_ არ არის, სულელი შენ ხარ! _ გაბრაზებით ამბობს გოგონა.

_ ხო კარგი, ნუ ბრაზდები, მე... კარგი, ხა_ ხა_ ხა, სადმე ვნახო დაქოთოს... მძღოლი კვლავ აპარებს ხელს გოგონას მკერდისაკენ. _ დარჩები, დარჩები, ა?

გოგონა კისკისით იცილებს ხელს და ამბობს:

_ კარგი ხო, კარგი, ცინ იკურე...

გოგონას კისკისი და მძღოლის ხარხარი ნელნელა ქრება მანქანების ხმაურში...

ეკრანზე ჩანს ნაგვის საყრელი. ნაგვის მთებს შორის მოჩანს მანქანა, მანქანასთან დგანან მენაგვე გოგონა, მძღოლი და ვიღაც კაცი, რომელიც ფულს აძლევს მძღოლს, იღებს პურით სავსე ტომარას, მოიდებს ზურგზე და გაუყვება გზას.

მძღოლი აიტაცებს ხელში გოგონას და ცდილობს შეიყვანოს კაბინაში, გოგონა კისკისებს და ცდილობს თავის დაძრომას. _ დაიცა, სახლში ცავიდეტ, შენთან ცავიდეტ.

კამერა ნელ_ ნელა სცილდება მოქმედების ადგილს. იწყება ლირიკული მუსიკა რომელიც ნელ_ ნელა შთანთქავს მანქანის სალონში მყოფ მძღოლისა და გოგონას ხმებს.

ეკრანზე მოჩანს ძველებური, გემოვნებით შერჩეული, მაგრამ მოუვლელი ავეჯიანი ბინა. კედლებზე გაკრულია ერთ დროს ალბათ ლამაზი, მაგრამ გახუნებული შპალერი. იაკატი გაცვეთილია, ზოგ ადგილას პარკეტიც ამოყრილია, კედელზე ნახატები და სურათებია, როიალის თავზე კუთხეში მოჩანს კაცისა და ქალის სურათი, შუაში უდგათ 4_ 5 წლის პატარა, სახემომღიმარი ბიჭი. გვერდით კიდია, უვე წლოვანებაში შესული მაგრამ ისევ ახალგაზრდა, იგივე კაცი და ქალის სურათი, შუაში ყმაწვილით, რომელსაც

სერიოზული, სევდიანი თვალები აქვს. მათ თავზე ჩანს იგივე კაცისა და ქალის მოხუცებულობის სურათი. იქვეა ზეთის საღებავებში შესრულებული ორივეს პორტრეტი.

ქალი ნახატში გამოსახულია შავი კაბაში, ყელზე შემოხვეული თეთრი ქურქით, მის სახეზე ერთდროულად იკითხება სათნოება, ინტელიგენტური, თანაც არისტოკრატული სული...

კაცი პორტრეტში გამოსახულია საწერ მაგიდასთან, თავისუფალ კოსტუმში, თავზე კახური ქუდით. ხელში უჭირავს სიგარეტი და თბილად იღიმება. კედელი სავსეა სურათებით და ნახატებით, რომელშიც აღბეჭდილია ყმაწვილი თავის მეგობრებთან ერთად. ერთ-ერთში ის დგას ვიღაც ლამაზ გოგონასთან. კედელზე გაფანტულია, ამ გოგონას რამოდენიმე გრაფიკული, სახის გამოსახულება.

მოპირდაპირე კედელზე კიდია სხვადასხვა სტილისა დთემის ზეთისა და აკვარელის საღებავებით შესრულებული ნახატები. როიალზე დევს ყმაწვილის და იგივე გოგონას სურათი, ყმაწვილს ხელში აყვანილი ჰყავს 2_ 3 წლის ბიჭი და ეფერება მას... გვერდით დევს 12 იოდე წლის მომღიმარი ბავშვის სურათი...

ოთახის შუაგულში დგას ოდნავ ჭაღარაშერეული, წვერებმოშვებული ახალგაზრდა კაცი. ტანზე აცია პერანგი, მოსასხამი და გახეხილი ჯინსის შარვალი. ტანსაცმლითა და სახით ვცნობთ ყმაწვილს, რომელიც აღბჭეჭდილი იყო სურათებზე. ეს გახლავთ მთავარი გმირი _ ტერენტი. ის ხელში ნერვიულად ათამაშებს კონვერტს. გადის სამზარეულოში, რომელიც ასევე გემოვნებით, ძველებური, მაგრამ მოუვლელი ავეჯითაა გაწყობილი. ანთებს გაზის ქურას, დაჯდება სკამზე, კონვერტს იქვე გვერდით გადადებს. უცებ წამოდგება, გამორთავს გაზქურას, აღებს ფანჯრებს და თავისთვის ჩაილაპარაკებს: _ მშია, ჯერ შევჭამ, მერე». ამზადებს ერბოკვერცხს, საპურედან იღებს მოძველებულ თონის პურს და გემრიელად შეექცევა საჭმელს. როცა მორჩება, აიღებს თეფშს, გარეცხავს, ტაფას დადებს გაზქურაზე, დაჯდება იგივე სკამზე და მოუკიდებს სიგარეტს. რამდენიმე ხანში კვლავ დაძაბულად გაიხედავს გაზქურისკენ. წამოდგება, დაკეტავს ფანჯრებს, ჩააქრობს სიგარეტს და აპირებს გაზქურის ანთებას, მაგრამ უცებ გაისმის კარებზე ზარის ხმა, რამდენიმე ხანი დგას და არ იცის რა ჰქნას. ზარის ხმა არ წყდება, გამორთავს გაზს და გავა კარების გასაღებად.

შემოსასვლელში შემოვარდება თანამედროვედ ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, გადაკოცნის ტერენტის და გავა სამზარეულოში. ჩანთიდან ამოალაგებს ლუდს, სოსისს, პურს და ყველს. მასში შევიცნობთ სურათიდან ტერენტის გვერდით მდგომ ყმაწვილს.

_ ფუ... როგორ მშია... ჩეხური «პივა» დავიადე, ივერია «სასისკები»... რა გაზის სუნია?

_ ამირან იცი...

_ რა?... ქვაბი მომეცი... არა, აი ეს... რა მოხდა რომ?

_ არა... სად დაიკარგე?

ამირანი ასხამს ქვაბში წყალს.

_ მერე, მერე... გაზს მოუკიდე... მე და შენ მალე დიდი ხალხი გავხდებით... რა სუნია, გააღე ფანჯრები... დგამს წყლიან ქვაბს გაზზე. ტერენტი გადის შუშაბანდში, აღებს ფანჯრებს და ბრუნდება.

_ შენ დიდი პოეტი, მე «პოეტის მეგობარი»... რამდენს შეჭამ?...

_ ორს, ეხლახან ვჭამე...

_ ჰო... შენგან რომ წავედი იმ დღეს... იღებს სოსისებს და ჰყრის წყალში. _ ჩემს სიმამრთან ვიყავი, ხომ იცი... მოიქეხავს პურს და ყველს, იწყებს ჭამას. _ ოჰ, არც კი გამიხდია!...

იხდის კურტკას და იქვე სკამზე გადაკიდებს. _ იქ გავიცანი «ცისფერი ყანწის» მთავარი რედაქტორი ტიციან ნადირაძე.

_ ვინ ნადირაძე...

_ არც ახსოვს დებილს!... ჰო, ის ნადირაძე!... «პივა» გახსენი... რას ფორთხილობ... აზრზეც არ ხარ. «ცისფერი ყანზის» რედაქტორად რომ დანიშნეს. _ ორივე იღებს ლუდს და სულმოუთქმელად სვამენ. _ «ცხონებაა... შენი ლექსები წავუკითხე, ზეპირად რაც მახსოვდა... მოეწონა. ესაო, ისა, კარგიაო... მეორე დღეს სანადიროდ დამპატიჟა თიანეთში... ეხლა ჩამოვედით... ჰო... რაც მახსოვდა ის წავუკითხე, აბა არ მაწერინებ, არც მატან, ისე იქცევი თითქოს არ მოგპარო, გეშინია... მოკლედ ძალიან მოეწონა... ესეც საკმარისია, ქართული პოეზიის ანთოლოშიაგი რომ შევიდესო...

_ ჰმ, ანთოლოგიაში...

_ ჰო, ჰო,... გალაქტიონის მერე ასეთი ვინმე არ გვყოლიაო... ცოტა სევდიანია, მაგრამ არაფერიაო... _ თან გემრიელად შეექცევა პურს და ყველს. ამიტომ მისი საუბარი ნაწყვეტ_ ნაწყვეტია. დროდადრო ტერენტიც მოიყუდებს ლუდის ბოთლს...

_ «საინები» მომეცი, მგონი მოიხარშა... ესენი მანდ დააწყვე, ერთი დიდი მაიტა... ვა რა ცუდი_ ია_ აა... _ თან გემრიელად იწყებს სოსისის ჭამას. _ ეხლა სხვა დროა ძმაო, სხვა, იცვლება ბევრი რამ... ჭამე რას უყურებ... ტიციან ნადირაძეს რომ დანიშნავენ... მეტი რაღა გინდა... ჭამე რა...

_ ნუ სულელობ...

_ ჩემს თავზე ვიღებ ყველაფერს... ტიციან ნადირაძეს ამაზე კბილი აქვს მოჭრილი... მაგისი მაინც ხომ... ტერენტი იაშვილი ახალი ბუმბერაზი გვეყოლებაო... _ თან გემრიელად შეექცევა სოსისებს.

_ არა... შენ მისმენდი ამ ბოლო ხანებში მარტო, ბიჭებსაც მობეზრდათ...

_ ჰმ...

_ კარგი რა... გახსენი ერთი...

_ ნუ, რას იზამ... ავდექი და... ორი წლის წინათ, ნინიკოს წლისთავზე გადავყარე... ყველაფერი...

გაუწოდებს ლუდს. ამირანი მოსვამს. ტერენტი აგრძელებს.

... შემდეგ რასაც ვწერდი, წაგაკითხებდი და ვყრიდი...

ამირანი ამ დროს სიგარეტს მოუკიდებს, გაოგნებული შეხედავს ტერენტის.

_ რაა?! შენ სულ გააფრინე?!... გადაყარე, მობეზრდა... ჩაიკეტე სოროში... ამ სამი წლის განმავლობაში სამჯერ თუ ხარ გამოსული სახლიდან... ზიხარ, სვამ, სვამ... ან გძინავს, ვის მობეზრდი... მაგათით გიდგას სული... გამოსული, ლამაზი თბილისელი ბიჭისგან... რას დაემსგავსე... ვის რაღაში უნდოდა მაგათ გარდა... მობეზრდათ... მობეზრება სხვანაირი ვიცი, ისინი რომ არა რითი იცხოვრებდი, არსად არ მუშაობ. დაყიდდი ყველაფერს... მე რაღაც 2 კაპირი ხელფასი მაქვს. თამრიკოს ბავშვების მომზადების ხარჯზე ვცხოვრობ და ვწერ «დისარტაციას»... «სასისკს» და «პიავს» თუ ამოვიტან... ვინ გეხმარება... ვინ გაძლევს ფულს...

_ ფულზე ხომ...

_ არა მაგას კი არ ვიძახი, არა აქვთ დრო, შენ გისმინონ თუ... რით... გეუბნები, რითი... გითხრა კიდეც გოგიამ, «ჩვენ კი გვჯერა, დაბეჭდე და სხვაც დააჯერეო», მაგათი ბრალი ხომ არ არის, რედაქტორები არიან თუ... ლეო დამპალზე არ მაქვს «ბაზარი»... არა აქვთ დრო... მე ძმაო, ვმუშაობ... ისინი... ხან იქ, ხან აქ... წარმოება, მშენებლობა... ეს, ის... ესე კი არ მოდის... რომ გეჩიჩინები... არაფერია ცოტა მე მახსოვს ზეპირად, რაღაც შენც გემახსოვრება და მერე დაწერ... ვეტყვი, გაიგებს... ნორმალური საფერფლე მომეცი. ტერენტი დგება და კარადის თავიდან აიღებს ძველებურ დიდ საფერფლეს.

_ დაიცა, რა, რას ბავშვობ, ამის თქმა შეიძლება? ვიღაც აფერისტი ვეგონები... ან დარეხვილი ყოფილაო, იფიქრებს... არა, არა.

_ რა არის ბიჭო, მაგას ესეთები უნახია ცხოვრებაში?!.. მთელი ცხოვრება მაჩანჩალად გინდა?!.. ჰო, კაი, არ ვნახავ ერთი ორი თვე, მანამდე რაღაცას კიდევ დაწერ...

_ რას ბავშვობ...

_ მე თუ შენ, შე ჩემა წავედი, ოჯახი გადავიკიდე, ხელმძღვანელი დავბოღმე, განყოფილების გამგე მეტრიანი ცხვირით შემხვდა.. თუ გგონია დათვებთან კუკუმალობის სათამაშოდ ვიყავი ჩასული... მშობლების, ნინოს ხსოვნას მაინც ეცი პატივი, ბავშვი მესამე წელია ბიძაშვილთან ცხოვრობს, გაიზარდა უკვე, არ უნდა ჩამოვიყვანო?!

_ არა, არ შემიძლია...

_ გაგარტყამ ერთი... ისედაც მცივანა ვარ, სულ გავიყინე ამ დებილისათვის...

სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ძველი მაცივრის გრუხუნიღა ისმოდა. ტერენტის თავი ჩაეღუნა, ამირანი გაოგნებული შეჰყურებდა.

უცებ, ზარის ხმა მოესმა. ამირანი ადგა, ადგომისას ლუდის ბოთლს გაკრა ხელი, უცებ წამოაყენა და კარის გასაღებად წავიდა.

კართან მენაგვე გოგონა იდგა, ტანზე ნაგავიდან ამოღებული შარვალი ეცვა. გამოხეული ადგილები საგულდაგულოდ დაეკერებინა...

_ ტ. იაშვილი აკ ცხოვრობს?

_ დ_ დიახ...

_ თქვენ ქრცანდებით?

_ ა_ არა, ტერენტი!

_ გამარდჟობატ, მე თქვენს ლექსებს ვპოულობდი, ცავიკითხე მეზობელ ლეკთორს, მოეცონა... ოღონდ არ იცოდა ვისი იყო... მეც არ ვიცოდი... ტან მეონა არ გინდოდატ... გუშინ კი ეს წავიკიტკე, არ გინდატ, არ კნატ... _ ჯიბიდან ამოიღებს სამ დაჭმუჭნულ რვეულის ფურცლებს... არ კნატ... აქეცერა თქვენი გვარი და... არ კნატ!..

ამირანი გოგონას გამოსტაცებს ფურცლებს, წაიკითხავს, დაჭმუჭნის და სახეში შეაყრის ტერენტის, გავარდება აიღებს კონვერტს, გახსნის, წაიკითხავს, ბრუნდება უკან და სევდიანი, მოღუშული, მკერდში ნელა მიარქტყამს თავს ტერენტის... _ მთლად გადაირიე... შენზე თუ არ ფიქრობ?... ჩემზე, ბიჭებზე... ბავშვმა რა დაგიშავა... თავმოკლული მამის შვილებია...

გოგონა ჩუმად უყურებს ამ სცენას, ბოლობოლო ჩაიყობს ჩანთაში ხელს და ცელოფანში გახვეულ შეკვრას გაუწოდებს მეგობრებს...

იწყება იგივე ლირიკული მუსიკა, ოღონდ თანდათან უფრო და უფრო მხიარული ინტონაციით.

_ აიგეთ, აიგეთ... ტუ კჩირდებატ... _ აიგეთ, აიგეთ...

გოგონას ხმა ნელ_ ნელა შთაინთქმება მუსიკით, ის დგას ხელებგაწვდილი და მომღიმარე... მუსიკის მოქმედება თანდათან მატულობს და შთანთქავს ყველაფერს ხმაურს და ლაპარაკს. ტერენტის და ამირანს სახეზე უეცარი კმაყოფილება აესახებათ.

ეკრანზე ჩანს ტაქსი. კარები იღება, საჩქაროდ გამოდიან ამირანი, ტერენტი, გოგონა და გაიქცევიან სადარბაზოსკენ.

_ რა ვიცოდი, შეუცვლია... გუშინ მაგასტან ივკავი... გამიხვიე მეტკი ვუთხარ, მაიმუნი.. სულ იდზახოდა, დაცოლა გინდაო...

ამირანი მძღოლს საყელოში ჩაავლებს ხელებს და მთელი ძალით აჯანჯღარებს...

_ რა უყავი... რა უყავი შენი... სად გადააგდე... _ მთელი ძალით გაარტყამს სახეში სილას _ სად გადააგდე მეთქი...

_ რა იცოდი, მეგონა აღარ უნდა მექთი, ვიხუმრე კლარასთან...

ამირანი კვლავ ურტყამს სილებს სახეში.

_ ვიცი, მიახლოებით მახსოვს სად ვისროლე... წაიკითხე და... სანაგვე საყრელში, იქ იქნება...

ნაგვის საყრელი. გოგონა, ამირანი და მძღოლი საგულდაგულოდ ქექავენ ნაგავს. ამირანი დროდადრო ემუქრება მძღოლს და მუშტებს უღერებს. ტერენტი დაბნეული აცეცებს აქეთ-იქით თვალებს.

_ რომ ვერ ვიპოვოთ... სად არის... სად... მოგკლავ შენი!... _ ამბობს ამირანი თან ხელით გაშმაგებით ქექავს ნაგავს.

_ ნაგავს ხომ არ დააყრიდნენ, ა? ბიჭო!

_ არა, არა, სადღაც აქ არი... წაიკითხე და აქ გადაყარე.

_ აკ უკვე აღარ არიან. დგეს ამან გადაკარა ბოლოს... სხვაგან კრიან... გუმელში ცვავენ სუპტად. ეხლახან ააშენესო.

_ ფუ, შენი...

იწყება ლირიკული მუსიკა, ჩვენ ნელ_ ნელა ვშორდებით მოქმედების ადგილს... ყველა, ტერენტის გარდა, ნაგავშია ჩაფლული და ეძებს ფურცლებს... ტერენტი დაიხრება, აიღებს რაღაც ჯოხს და იცის გაუბედავად, იწყებს ნაგვის ქექვას. გამოსახულება, კადრი ჩერდება და იწყება ტიტრები.

დასასრული

<u>ნ ო ს ტ ა ლ გ ი ა</u>

(კინოფილმის სცენარი)

გვიანი გაზაფხული. მოსკოვი, მიახლოებით დილის რვა საათია. ახალგაზრდა, ასე 18_ 20 წლის, მაღალი, სიმპატიური კავკასიური გარეგნობის ბიჭი გვის ქალაქის რომელიღაც ძველ ეზოს. თავიდან კადრში ჩანს მხოლოდ ცოცხი, რომლის ფონზეც დაიწერება ფილმის სახელწოდება: «ნოსტალგია». შემდეგ ნელ_ ნელა ჩვენი გმირიც გამოჩნდება,

აცვია გახეხილი ჯინსის კურტკა და შარვალი, თბილი ყელიანი სვიტრი და ყვითელი ფერის, მენაგვის სპეციალური მოსასხამი.

ნელ_ ნელა კამერა სცილდება მას და ზემოდან ვუთვალთვალებთ ეზოს.

სახლმმართველობა. ბიჭი აღებს ოთახის კარს. ინახავს კარადაში ცოცხს, აქანდაზს, იღებს ხელჩანთას და გადის ოთახიდან.

იწყება მუსიკა. ჩვენი გმირი მისეირნობს ძველ არბატზე, სადაც გასაყიდად გამოფენილია ნახატები. დროდადრო მისალმების ნიშნად ვიღაცეებს ხელს უწევს და უღიმის. ხანდახან ჩერდება და გამოელაპარაკება ნაცნობებს. ათვალიერებს ნახატებს. მისი თვალით, ჩვენც ვხედავთ არბატზე მოსიარულეთა სიჭრელეს, განსხვავებულ ხასიათებს, ტიპაჟებს.

ბიჭი ჩერდება და დიდი ინტერესით ათვალიერებს ერთ-ერთ ტილოს, რომელზეც, ძალიან ფაქიზ, ნაზ ფერებში გამოსახულია მზის ამოსვლა. მუსიკა წყდება. შემოდის ქუჩის ხმაური.

უეცრად კამერა ძალიან სწრაფად ტრიალდება. კადრში ვხედავთ ვიღაც ლოთს, რომელიც ასფალტზე წევს და რაღაცას საცოდავად მღერის.

კამერის მოძრაობისას, ქუჩის ხმაური უეცრად გადადის ვიოლინოებისა და ვიოლენჩელებით გამოწვეულ რაღაც ყურისმომჭრელ, მონოტონურ ხმებში. ლოთზე კადრის გაჩერების შემდეგ, ისმის კლასიკური ორკესტრის დოლზე ძალიან ენერგიული დარტყმები. შემდეგ ბიჭი თავს აბრუნებს, კამერა ისევ მკვეთრად ტრიალდება და ვიღაც უგემოვნებოდ, ძალიან ექსტრავაგანტულად ჩაცმული გოგონა სიგარეტს ეწევა. კამერის მოძრაობისას ისევ ის ხმაური და სტატისტიკურ მდგომარეობაში კვლავ დოლზე დარტყმები.

იწყება მუსიკა, ძველი თემა. ბიჭი ისევ არბატზეა, ისევ მისალმებები, ხელის ჩამორთმევები, ხალხი, ტიპაჟები, გარემო.

მუსიკა წყდება. ქუჩის ხმაური. ბიჭი უყურებს პიკასოს ცნობილი ნახატის _ «დინ_ კიხოტი და სანჩო პანსას» ასლს.

უცებ! კამერა ისევ მკვეთრად ტრიალდება. ისევ მონოტონური, ყურისმომჭრელი ხმაური და დოლზე დარტყმები. კადრში მოსჩანან პანკები, რაღაცზე საუბრობენ, იცინიან. შესახედაობა, ჩაცმულობა ძალიან არაესტეტური, თვალისმომჭრელი აქვთ.

კვლავ კამერის მკვეთრი მოძრაობა, იგივე ხმები, დარტყმები და დარტყმა დოლზე და პროფილში ვიღაც ჩასუქებული, ცხოვრებით კმაყოფილი, ახალგაზრდა ტიპი. თითი ცხვირში აქვს. მეორე ხელით კი მზესუმზირას მიირთმევს, ჩენჩოებს საზიზღრად იფურთხება. თან, მხატვარს ევაჭრება ვისოცკის პორტრეტზე. ბოლო_ ბოლო ხელს აქნევს, ტრიალდება სახით ჩვენსკენ და ცინიკურად იცინის.

იწყება ისევ მუსიკის ძველი თემა, კვლავ არბატი, ხალხი, მიმავალი ბიჭის მისალმებები.

მუსიკა წყდება. ქუჩის ხმაური. ფერწერულ ტილოზე გამოხატულია წმინდა მარიამი პირმშოსთან ერთად.

ისევ კამერის ტრიალი, კვლავ აღწერილი ხმაური, დოლზე დარტყმა. ვიღაც ახალგაზრდა ქალი ჯიბეებს იჩხრეკს, ხურდებს იღებს, ეტყობა არ აქვს სასურველი თანხა. გვერდით უდგას პატარა ბავშვი, მოუთმენლად ეპოტინება კაბაზე. ნაყინის

გამყიდველი მტკნარი სახით უთვალთვალებს ამ სცენას. ამთქნარებს და ქალს ხელით გასწევს. მოსულ კლიენტს რომ მოემსახუროს.

ისევ კამერის მკვეთრი ტრიალი, ხმაური, დოლზე დარტყმა და ქუჩის ძაღლი წამოწოლილი საცოდავად კედელთან, ვიღაც პატარა ბავშვი მიდის მასთან და დაუწყებს ფერებას. უეცრად კადრში გამოჩნდება ასე ორმოცდაათი_ ორმოცდათხუთმეტი წლის, ჩასუქებული კაცი, ძაღლს ფეხს აუქნევს და პატარას ძალით მიათრევს სადღაც. ძაღლი სწრაფად ტოვებს ადგილს, შორიახლო დგება საცოდავი გამომეტყველებით.

ვიღაც ცუდად ჩაცმული მხატვარი მიდის მასთან, ხელში აიყვანს და ფერებას დაუწყებს. ჩვენს გმირს ეღიმება.

ისევ მუსიკა, ბიჭი კვლავ არბატზე მისეირნობს. საქართველოს კულტურის ცენტრის შორიახლოს ჩერდება. მუსიკა წყდება. ქუჩის ხმაური. ბიჭი იხდის სასწრაფოდ სპეცტანსაცმელს, დებს ხელჩანთაში, აღებს კარებს და შედის შენობაში.

სახაჭაპურე. მაგნიტოფონიდან გამოსული ძველი თბილისური მოტივები ირევა ხალხის ხმაურში. ბიჭი ზის მაგიდასთან და გემრიელად, კმაყოფილი სახით, სწრაფად შეექცევა ხაჭაპურს. იწყება სიმღერა «თბილისო» /რ. ლაღიძე/. ბიჭი წყვიტავს ჭამას, გაიზმორება, ჩაეცინება და თვალებს ხუჭავს.

კადრში გამოჩნდება «ქართლის დედა», თბილისის ქუჩები. უეცრად, სიმღერაში იჭრება ჩხუბის ხმა. სახაჭაპურეში ვიღაც ქალი და დამლაგებელი რაღაცაზე კამათობენ. ბიჭი დგება და გადის დარბაზიდან.

საერთო საცხოვრებელი. ბიჭი აღებს კარს, შედის ოთახში, დებს ხელჩანთას, გადაწევს ფარდას, კარადიდან გამოათრევს მოლბერტს, გაშლის, მოაწყობს ყველაფერს სახატავად, ჯდება სკამზე, იწყებს ხატვას. ტილოზე ასახულია «ქართლის დედა». ისმის ხალხური სიმღერა: «გაფრინდი, შავო მერცხალო». მსხვილი პლანით მოსჩანს ბიჭის მუშაობაში გართული სახე. სიმღერა ნელ-ნელა წყდება და გადადის იუმორისტულ, ქართულ, მუსიკალურ ჰანგებში.

გმირის წარსული. შავთეთრი გამოსახულება. აჩქარებული გადაღება. დიდი, ნათელი ოთახი, გაშლილი სუფრა, გმირი დგას სუფრის თავთან. გვერდით უდგას ვიღაც ხანშიშესული კაცი, ჭიქით ხელში და რაღაცას მაღალფარდოვნად, ხელების გაშლით, აქტიური ჟესტიკულაციით ეუბნება, მიუთითებს კედლისკენ. კედელზე ჰკიდია დიდულვაშა კაცის დიდი ფოტოსურათი. მოლბერტთან, ფუნჯით ხელში, სასაცილოდ დაყენებულ პოზაში. თითქოს ფუნჯი კი არა, დაშნა უკავიაო.

ბიჭი და ყველა სუფრაზე მყოფი თავს აქნევს. შემდეგ, მამაკაცები დგებიან, ამბობენ სადღეგრძელოს, მიუთითებენ სურათისკენ. ბიჭი ზრდილობიანად იღიმება და მორჩილად აქიცინებს თავს, ხანშიშესული სვამს ღვინოს. ნასიამოვნები, გაბღენძილი სახით გადაკოცნის ბიჭს.

სადგური. სუფრასთან მსხდომი მთელი «კომპანია» მატარებელზე აცილებს ბიჭს. ვაგონზე აწერია: ТБИЛИСИ-МОСКВА, ბიჭი ყველას ემშვიდობება, ხელიდან ხელში გადადის, იძულებულია უსმინოს დარიგებებს. ბოლო_ ბოლო ადის ვაგონში და მატარებელი იძვრება.

მოსკოვი. ბიჭი ადის რომელიღაც დაწესებულების კიბეებზე. შესასვლელში ვკითხულობთ: ХУДОЖЕСТВЕННАЯ АКАДЕМИЯ.

ბიჭი გამოდის შენობიდან, ჩერდება, სახეზე ღიმილი აქვს აღბეჭდილი. უცებ ტიტრით, მთელი მისი სხეულის სიგრძეზე იწერება ცისფრად ციფრი «5» და ასევე უეცრად ქრება.

ბიჭი ისევ შედის იგივე შენობაში, ისევ გამოდის და ისევ «5» ასე მეორდება ოთხჯერ.

სამგლოვიარო მუსიკა. კადრი შენელებულია. ბიჭი მეხუთედ გამოდის დაღონებული. ჩერდება. სახეზე აქვს აღბეჭდილი უზომო მწუხარება. ტიტრით, მთელი მისი ტანის სიგრძეზე იწერება წითელი ციფრი «2». ბიჭი თავჩაქინდრული მიუყვება ხეივანს. ძლივს მილასლასებს.

რესტორანი. ისევ აჩქარებული კადრები. მხიარული მუსიკა. ბიჭი უდარდელად ფანტავს ფულს, აძლევს მუსიკოსებს, გოგონებს, ოფიციანტებს. ცეკვავს, სვამს, ვიღაც გოგონას ეფერება.

სადგური. იწყება სამგლოვიარო მუსიკა. ბიჭის სახე დამწუხრებულია. იქექავს ჯიბეებს, ითვლის ხურდა ფულს. თვალწინ წარმოუდგება გაცილების ეპიზოდები და კედელზე, მის სახლში ჩამოკიდებული სურათი. თავჩაქინდრული გადის სადგურიდან.

ნელ-ნელა ისევ შემოდის «გაფრინდი, შავო მერცხალოს» ჰანგები. ბიჭი გართულია ხატვაში.

იღება კარი და შემოდის ვიღაც მეეზოვის სპეცტანსაცმელში გამოწყობილი, ქერა, ულვაშა ახალგაზრდა. ხელს ართმევს ჩვენს გმირს. გაიხდის სპეცტანსაცმელს, ჰკიდებს კარადაში, ისიც მოლბერტს გამოიღებს, გააწყობს, ჯდება სკამზე და იწყებს ხატვას. ქართულ ხალხურ სიმღერასთან ერთად, იწყება უკრაინული ხალხური სიმღერა. ულვაშა გატაცებით ხატავს. ტილოზე ასახულია ტარას შევჩენკოს პორტრეტი. ნელ_ ნელა ქართული სიმღერა გადის და რჩება უკრაინელი. მალე ისიც გადის და იწყება უკრაინული, მხიარული მელოდია ულვაშა ახალგაზრდას წარსულიდან. შავთეთრი გამოსახულება. აჩქარებული კადრები. ულვაშა ახალგაზრდა ზის სუფრის თავში ვიღაც ღიპიანი, დიდ აპრეხილულვაშიანი კაცის გვერდით. კაცი მიუთითებს კედლისკენ, სადაც ჰკიდია დიდი სურათი. მასზე გამოსახულია უკრაინულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოლბერტთან მდგომი კაცი. ხელში ისე უჭირავს ფუნჯი, თითქოს ნაჯახიაო.

რკინიგზის სადგური. გაცილება. ულვაშა ახალგაზრდა ხელიდან ხელში გადადის. ბოლო_ ბოლო ჩვენი მეორე გმირიც ადის ვაგონში, მატარებელი დაიძვრება და იქიდან ხელს უქნევს გამცილებლებს.

ჩვენი გმირი შედის ჩვენთვის ნაცნობ შენობაში /სამხატვრო აკადემია/. გამოდის გახარებული. იწერება ცისფერი ფერით «5». ასე მეორდება კიდევ ორჯერ. მეოთხე გამოსვლა. სამგლოვიარო მუსიკა. შენელებული კადრები. დაღონებული ულვაშა. იწერება წითლად ციფრი «2».

რესტორანი. მხიარული მუსიკა. ულვაშა ფლანგავს ფულს, ხელში უჩეჩავს ყველა გამვლელს.

რკინიგზის სადგური. სამგლოვიარო მუსიკა. დაღონებული ულვაშა თვლის ხურდას. წარმოდგება გაცილების ეპიზოდები და სასწრაფოდ გამოდის სადგურიდან.

ვბრუნდებით ოთახში. ერთმანეთში არეულია ქართული და უკრაინული ჰანგები. ჩვენი გმირები გატაცებული ხატავენ.

იღება კარი. შემოდის შუაზიური გარეგნობის, მეეზოვის სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა, ესალმება დამხვდურთ, იხდის ტანსაცმელს, გამოიღებს

მოლბერტს, მოეწყობა და ისიც დაიწყებს ხატვას. ტილოზე ასახულია შუააზიური ძველი ქალაქი მეჩეთებითა და სასახლეებით. შუააზიელი გატაღებული ხატავს. უკრაინულ და ქართულ სიმღერებს ემატება შუააზიურიც. ნელ_ ნელა მთავრდება ეს უკანასკნელი და მალე ისიც მიწყდება.

მესამე გმირის წარსულიდან. აჩქარებული კადრები. შავთეთრი გამოსახულება. დიდი ნათელი, ფანჯრებიანი ოთახი. შუააზიური მხიარული მუსიკა. ოთახის შუაში, ხალიჩაზე ზის «პატივცემულო მოხუცები» და ჩვენი მესამე გმირი. სვამენ ჩაის. ერთ-ერთი მოხუცი რაღაცას ეუბნება ახალგაზრდას. მიუთითებს კედლისკენ, სადაც ჰკიდია დიდი ფოტოსურათი. მასზე გამოსახულია ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული, მოლბერტთან მდგომი კაცი, ხელში ისე უჭირავს ფუნჯი, თითქოს შუბიაო. ახალგაზრდა თავს უქნევს მოხუცს, მაგრამ ის მაინც აგრძელებს დარიგებებს, სხვა ხალიჩაზე მსხდომნიც თავს უქიცინებენ.

მოსკოვი. აკადემიის შენობა, ჩვენი მესამე გმირი შედის შიგნით. გამოდის გაღიმებული, ცისფრად იწერება ციფრი «5». მეორეჯერაც იგივეს იმეორებს, ისევ «5». მესამედ, სამგლოვიარო მარში, შენელებული კადრები და «2». დაღონებული, თავჩაქინდრული გმირი მიუყვება ხეივანს.

რესტორანი. შუააზიელს სუფრაზე უზის ათი ქალი და მათში ფანტავს ფულებს. მხიარული მუსიკა, აჩქარებული კადრი.

სადგური. სამგლოვიარო მუსიკა. შუააზიელი ითვლის ხურდებს. წარმოუდგება გაცილების სცენები და სამგლოვიარო მარშის თანხლებით გადის სადგურიდან.

ვბრუნდებით ისევ ოთახში. ერთმანეთში არეულია სამი მელოდია. ჩვენი გმირები გატაცებული ხატავენ.

იღება კარი, ოთახში შემოდის შუახნის, გამხდარი მამაკაცი. ერთმანეთში არეული მელოდიები უეცრად წყდება. მამაკაცს ხელში უკავია რაღაც დიდი წიგნი, სახელწოდებით: «Сибирь˜, ოთხივე იწყებს მის თვალიერებას. იწყება რომანტიკული, წყნარი მუსიკა.

მამაკაცი გატაცებული უხსნის ბიჭებს რაღაცას. სამივე ინტერესით უსმენს და თავს უქნევს.

ლირიკული მუსიკა წყდება. სამივე ახალგაზრდა უბრუნდება თავის სამუშაო ადგილს. შუახნის მამაკაცი წამოწვება, წიგნს გადაშლის და კვლავ ათვალიერებს. უცებ იწყება ჯერ ქართული, შემდეგ შუააზიური, უკრაინული და მას ემატება რუსულ_ ხალხური, ციმბირული სიმღერები.

ნელ_ ნელა მთავრდება ციმბირული მელოდია. მამაკაცი გატაცებულია თვალიერებაში.

მეოთხე გმირის წარსულიდან. შავთეთრი გამოსახულება. სწრაფი კადრები, მხიარული რუსული მუსიკა. თოვლიანი თვალუწვდენელი მდელოს შუაგულში მდებარე გზაზე მოდის სატვირთო მანქანა. ვიღაც ახალგაზრდა ქალი დგას გზის განაპირას, მანქანა ქერდება. ჩამოდის ჩვენი გმირი, ქალს რაღაცას გამოელაპარაკება, დაეხმარება ასვლაში, თვითონაც ჯდება და აძვრებიან. მანქანის სალონში ქალი უბიდან ამოიღებს პლაკატს და აჩვენებს მძღოლს. მასზე გამოსახულია გოგო და ბიჭი წარწერით: «Бам зовет”. ჩვენს გმირს ეცინება და თავს აქნევს.

ნაცნობი ახალგაზრდა ქალი სკოლაში ატარებს გაკვეთილს. ჩვენი მეოთხე გმირი მანქანით შემოგრიალდება ეზოში და «ასიგნალებს». ბავშვები მიცვივდებიან ფანჯარას. ქალს ეღიმება.

ძველი რუსული ქოხი. გაშლილია სუფრა, რომლის თავშიც სხედან ჩვენი გმირები საქორწილოდ გამოწყობილები. ყველა რაღაცას გაჰყვირის. გოგო და ბიჭი ერთმანეთს კოცნიან. ეს მეორდება დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმეჯერ.

ისევ ის ქოხი. გოგო ბიჭს რაღაცაზე ეჩხუბება, ამსხვრევს თეფშებს, მოთქვამს, ბოლოს მუხლებზე ეცემა, ქმრის ფეხებს ჩაეჭიდება და რაღაცას სთხოვს.

პატარა რკინიგზის სადგური. ცოლ_ ქმარი მიემგზავრება. თანასოფლელები აცილებენ. ბიჭი თვალცრემლიანია, გოგო უკმაყოფილოა. ბარგის აზიდვისა და გამოთხოვების შემდეგ მატარებელი დაიძვრება. ჩვენი გმირები სასწრაფოდ ადიან ვაგონში.

მოსკოვი. სტანდარტული ოროთახიანი, იზოლირებული ბინა. იღება კარი. ჩვენი მეოთხე გმირი შემოდის ნასვამი, წიგნებით ხელში. ცოლი უყურებს გამომწვევად. გმირი გაიწევა საკოცნელად. მაგრამ ცოლი არ მიიკარებს. ხელს იყოფს ჯიბეში, იღებს ფულს და აწვდის მეუღლეს. მეუღლე ითვლის, უკმაყოფილოდ აქნევს თავს და ჩხუბობს. მიანიშნებს წიგნებზე, გაბრაზებულია, რომ მათში დახარჯა ფული. იწყებს წიგნების ხევას. ამ პროცესში ვხედავთ, რომ ყველა წიგნი მიძღვნილია ციმბირულ თემატიკას. გმირი სასოწარკვეთილი იყურება. ბოლო_ ბოლო ვერ მოითმენს, ცოლს მაგრად უთავაზებს, იხურავს ქუდს და გარეთ გადის. ეზოში, ფანჯრიდან გადმოაგდებენ ჩანთას.

დაღამდა. კვლავ ოთახი. ოთხივე გმირი გემრიელად შეექცევა ერბოკვერცხს და სვამს ჩაის, თან რაღაცაზე გაცხოველებულად საუბრობენ. ეტყობა რომ ოთხივე რაღაცაზე ტრაბახობს.

შუაზიელი ჩართავს ტელევიზორს, საიდანაც ისმის მუსიკა და გამოჩნდება გამოსახულება წარწერით: «ВРЕМЯ”.

დიქტორი ესალმება მაყურებლებს და წაიკითხავს თბილისში მომხდარი 9 აპრილის ამბების შესახებ ყალბ I ინფორმაციას. ყველა გაოგნებულია. ქართველი გმირი უცბად წამოდგება სკამიდან და მუხლმოკვეთილი კვლავ მიესვენება მასზე, ცრემლმომდგარს სახე დაემანჭება.

დიქტორი გადადის სხვა ინფორმაციებზე. უკრაინელი გაბრაზებული გამორთავს ტელევიზორს.

იწყება ცნობილი სიმღერა «ავე მარია». რუსი, უკრაინელი და შუაზიელი დგანან მუხლმოკვეთილი ქართველის გვერდით, ანუგეშებენ მას. კადრში ფართედ ქართველის მწუხარე სახე.

სიმღერა გრძელდება. კომბინირებული გადაღება, ბიჭის დამწუხრებული, მომტირალი სახე მკრთალად და მომხდარი ტრაგედიის ამსახველი კადრები. დემონსტრაციის დარბევა, მორგი და ა.შ.

«ავე მარია» ნელ_ ნელა მიწყნარდება. მხატვრები ხატავენ. ქართველის და უკრაინელის ტილოებზე გამოსახულია ღვთისმშობელი პირმშოსთან ერთად, შუაზიელის ტილოზე კი მლოცველი მოლა, რუსი წამოწოლილია და ჩაშტერებია წიგნს, რომელსაც აწერია სახელწოდება /მიახლოებით/ «Школы Сибири˜. ოთახში ერთმანეთში არეულია შუაზიური, უკრაინული, ქართული, რუსული სევდიანი ხალხური სიმღერები.

ახალგაზრდები გატაცებული ხატავენ, შუახნის მამაკაცს ჩაეძინა. ქართველი დგება სკამიდან, აფარებს საბანს, დაიხრება და რუსული სიმღერა უცბად წყდება, წამოდგება, თითს მიიტანს ტუჩებთან. უკრაინელი და შუააზიელი თავს აქნევენ.

ეხლაღა დავინახავთ, რომ ყველას საწოლის გვერდით უდგას მაგნიტოფონი, დაიხურებიან და გამორთავენ მას. ქართველიც ბრუნდება თავის ადგილას და ისიც გამორთავს თავისას.

სისხამ დილა. შუახნის მამაკაცს სძინავს. ახელს თვალს. უცებ წამოჯდება, ოთახში არავინაა, სასწრაფოდ იწყებს ჩექმის ჩაცმას. უეცრად ამჩნევს კედელზე ჩამოკიდებულ პლაკატს: ”С днем рождения Ваня”. პლაკატის ქვემოთ დევს დიდი ტორტი. მამაკაცს გაეღიმება, იცმევს მეორე ჩექმას, წამოდგეყა, თითით ცოტათი გასინჯავს ცრემს და გავა ოთახიდან.

ქუჩაში შორიდან მოჩანს ერთმანთის გვერდით მდგარი სამი მეეზოვე გვის ქუჩას, ციმბირელი დაეწევა მათ და გვერდში ამოუდგება. ყველას გაეცინება. კამერა ნელ_ ნელა გადადის ცოცხებზე. კომბინირებული გადაღება. მხვეტავი ცოცხები და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ძალადობის სცენების ამსახველი კადრები. შემდეგ _ როდიონოვი და სტალინი, გიტლერი და პინოჩეტი ერთმანეთს ენაცვლებიან საუბარში. კვლავ თბილისის ტრაგედიის ამსახველი კადრები.

კადრი იყოფა ოთხად. შუააზიელი, რუსი, უკრაინელი და ქართველი მუხლმოდრეკილები თავიანთ ენაზე ლოცულობენ.

კვლავ ქუჩა, ცოცხები. კამერა ნელ_ ნელა სცილდება ჩვენს გმირებს, ისინი თანდათან მინიატურული ხდებიან. მოტრიალდა გლობუსი. ისმის ცოცხის _ დაგვის ხმა. ამ ფონზე ტიტრზე ჩანს «დასასრული»...

<u>რატომ მინდა გავხდე რეჟისორი</u>

(საკონკურსო დავალების შესრულების მცდელობა)

«ცრემლი სისხლია სულისა»
დეკუსრელი
«მხატვრობა პური კი არ არის არსებობისა _ ღვინოა».
ჟან_ პოლო.
_ რატომ გინდა გახდე რეჟისორი?
... თავდაპირველად უფალმა შეჰქმნა ცისა და დედამიწის მასალა...
... მესამე დღეს შექმნა წყალი... წყალი გაჰყო ხმელეთისაგან...
... უკანასკნელად ადამიანი შეჰქმნა თიხისგან და თავისი უკვდავი სული ჩაჰბერა...
ასე უთქვამს უფალს: შევჰქმნათ ადამიანი ხატად და სახედ ჩვენადა.
_ ჰო, გავიგეთ... სულ სხვა რამეს გეკითხებით, ახალგაზრდავ, მორჩით შესავალს.
... საქართველოში უცხოვრია ადამიანის მსგავსი მაიმუნის ერთ-ერთ სახეს...

... პალეოლითის ქვის იარაღი ძალიან პრიმიტიული იყო... ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ... შემდეგ... მატრიარქატის ხანა... პატრიარქატი... ენეოლითის ხანაში მომხდარა მატრიარქატიდან პატრიარქატში გადასვლა...

... ისე... არასდროს მოგსურვებიათ იმდროინდელი თქვენი წინაპრის ნახვა, მასთან გასაუბრება?...

_ ჰმ!...

... თრიალეთში ნაპოვნი ოქროს თასი მაქვს ნანახი... შედევრია...

... დიაოხს ასურელები ხშირად დაუმარცხებია... ურარტუ ავიწროებდა ძალიან. ბოლოს, კოლხებმა მოუღეს ბოლო...

... კოლხებს ძლიერი მეფე აიეტი ჰყოლიათ, ოქროს საწმისიც ჰქონდა თურმე...

... მედეა ვერ გახდა ბედნიერი საბერძნეთში... თავისი ცოდვებიც ეყოფოდა... უმადურმა ბერძნებმა სხვა ათასიც დასწამეს...

... იმ დროინდელი თქვენი წინაპრის ნახვა და მასთან გასაუბრებაც მოგინდებათ ხოლმე ხანდახან?...

_ ჰმ... დიახ... მერე... გააგრძელეთ... ბოლო_ ბოლო...

... არგატ მეფე მტკვრის მეორე მხარეზე გადასულა... ქართველი მეომრები ხეებზე ასულან და იქედან ისრებით წყვეტდნენ რომაელებს... პომპეუსმა ტყე გადაწვა... ათი ათასი ტყვე ჩაუგდიათ ხელში რომაელებს... მაინც ზავი ამჯობინეს...

... მეფე ფარნავაზს ჩვენი ანბანი შეუქმნია...

... წმინდა ნინოს თავისი ნაწნავებით შეუკრავს ვაზის ტოტები... ამიტომ არის განსხვავებული ჩვენი ჯვარი...

... 523 წელს დასავლეთშიც სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა...

... ეცნენ თურმე ქართველები და სულ დაამსხვრიეს თავისი კერპები... მიწასთან გაასწორეს ძველი საყრდები...

_ ... ?!

... ვახტანგ გორგასალმა თბილისი დაარსა... 502 წელს მუხანათურად მოჰკლეს ჩვენმა წინაპრებმა...

... გუბაზ მეფეც მუხანათურად მოუკლავთ... ბიზანტიელებს...

... არაბებმა დაგვიპყრეს... დავითი და კონსტანტინე აწამეს სასტიკად... აბო თბილელიც აწამეს... უმადურები ხართო. აფსუებმა მოგვწერეს... ჩვენ კი წმინდანად შევრაცხეთ აბო... თბილისის მფარველ წმინდანად...

... ქართლის ერისთავის ჯუანშერის დამ თავი მოიკლა, არ ისურვა ხაზართა ხაკანის ცოლობა...

... დავით კურაპალატს ბიზანტია გადაურჩენია... შემდეგ კეისარი დავითს და ბაგრატს ეცილებოდნენ სამეფოს მიწებს...

... გიორგი მთაწმინდელზე ამბობენ, вечерний звон მაგის დაწერილია და მერე თარგმნილიო... არ ვიცი, როგორ ჟღერდა ქართულად, მაგრამ... სევდიანი შინაარსი სამშობლოს მოწყურებული კაცის...

დავით აღმაშენებელი გელათშგი დამარხეს... ანდერძი დაუტოვებია, ისე დამმარხეთ, ყველამ ფეხით გადაიაროს საფლავზეო... ცოდვილი ვარ, ბევრი და მძიმე ცოდვები მაწევსო...

გიორგი რუსი გაუძევებიათ ქართველებს...

... დავით სოსლანი «დავითიანი» ყოფილა, ბიზანტიაში გაქცეული დემეტრე უფლისწულის (ბაგრატიონის) შტოდან...

... რუსუდან მეფის დროს... აუგი არ ითქმის გარდაცვლილზე...

...ჯალალ-ედინს ხატი დაუდევს თბილისში... ქრისტიანს, ვინც ფეხს არ დააბიჯებს... გაწყვეტილა თბილისში ქართველობა...

... შალვა ახალციხელი უწამებია და მოულკავს ჯალალ_ ედინს... შავლეგოს ვმღერით ეხლაც...

... ცოტნე დადიანის ვაჟკაცობამ გააკვირვა მტერი...

... დემეტრე მეფემ სიკვდილი ამჯობინა ქვეყნის აოხრებას... ხალხმა მას...

_ კარგი, მორჩი!... რატომ გინდა რეჟისორი გახ...

... გიორგი ბრწყინვალის დროს აღზდგა დროებით საქართველო!...

... თემურ ლენგმა რვაჯერ გაილაშქრა ჩვენზე... ჯარში, ცალკე მხერხავები და გამჩანაგებლები ჰყავდა...

... შემდეგ... დაიშალა საქართველო... ავგიორგების მუხანათობამ შეჭამა ქვეყანა...

... მოხუცი ლუარსაბ პირველი ბრძოლაში მოჰკლეს... სვიმონ მეფე ორჯერ მუხანათურად... ჩვენმა, ჩვენმა წინაპრებმა... ვინ იცის, რომელს გვირევია იმ სულძაღლების სისხლი... სვიმონზე თქვა ხალხმა:

«კიდევაც დაიზრდებიან,
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი...»

... მანუჩარ ჯაყელს სიკვდილამდის არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში... შიშის ზარს სცემდა მტერს...

_ რეჟისორი, რეჟისორი რატომ გინდა გახდე!...

... ლუარსაბ მეორემ შაჰ_ აბასის ჯალათებმა ცოცხლად შეჭამეს... ცოცხლად!!! არ უარყო მაინც რჯული...

... გიორგი სააკაძეს თურქეთში მოჰკვეთეს თავი...

... არც უნდილაძეებს დაუფასდათ შაჰის სამსახური... ეჭვიანმა შაჰმა...

... ვახტანგ მეექვსეს პირველი ქართული წიგნი დაუბეჭდავს...

... დარეჯანი, არჩილ მეფის ასული, გაუთხოვარი მიიცვალა... ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ... ან არ გამოიხსნა პეტრე პირველმა... პეტრეს ქართველები ბრძოლის ველზეც მიუტოვებია...

... ერეკლეს ტოტლებენმა კი არა... იმპერატორმა უღალატა... ჯერ იყო და, რუსეთის ჯარში მომსახურე ქართველი ოფიცრები გაიწვია... მერე... ჩემი თვალით მაქვს წაკითხული, მანამდეც ვეჭვობდი... ერეკლეს ჩამოგდებაში ქართველ თავადებს დაეხმარე, თუ ეს შესაძლებელიაო... ბრძანებდა ეკატერინე... იმიტომ მიატოვა ბრძოლის ველზე ერეკლე ტოტლებენმა...

_ რე...

... რუსი ოფიცრები აუჯანყდნენ ტოტლებენს... იმპერატორი შერცხვა, ყველაფერი გენერალს გადააბრალა... ერეკლე მაინც აიძულეს გაეცა ამბოხებული ოფიცრები... დაუსჯია ისინი იმპერატორს...

_ რეჟისორი, რე- ჟი- სო- რი!... გაიგე?!

... ჰო, კარგი... მაშინ ესე...

... ბავშვობაში... უმეტესად სოფელში ვიზრდებოდი... ძალიან მიყვარდა ბებია, ბაბუა, დიდი ბებია, დიდი ბაბუა...

... «აბა, ბები, გადადი მეორე ტაშტში»... _ მეტყოდა ხოლმე ვერიჩკა ბებია (დიდი ბებია, ბებიაჩემის უშვილო მამიდა. მისი გაზრდილი ვართ ყველა).

... «ბაბუ. ძიძი, ძიძი»... _ ვიყვირებდი თურმე დილაადრიან.

... წამოხტებოდა დილის ექვს საათზე მიხაკო ბაბუა (დიდი ბაბუა), გაიქცეოდა, მოწველიდა ძროხას და მომირბენინებდა...

... რა კარგი ხილი იცის ჩხარში... შეიძლება მეჩვენება, მაგრამ... ყველაზე გემრიელი ხილი მოდის იქ...

... წკნელიც ხშირად მომხვედრია, შინიდან შორს წასვლისათვის...

... გრიშა ბაბუა (დედაჩემის მამა) ორ მეტრზე მეტი სიმაღლის მხარბეჭიანი კაცი, თავადად დაბადებული და...

... ჩხარში ერთი ძაღლი მყავდა... ძალიან მიყვარდა... თუმცა, არ ღირს...

... გრიშა ბაბუა, შვიდი წლის ვიყავი, ფილტვების კიბოთი რომ გარდაიცვალა... მაინც ყველაფერი მახსოვს... მაგიდის ქვეშ რომ დავდიოდი, ისიც მახსოვს...

... ფაცია ბებიამ ორი წლის წინ, ჩემს ხელში დალია სული... საქეიფოდ ვიყავი, რამდენი მეხვეწა, არ წახვიდეო... კარგად იყო, მეზობელიც გავაფრთხილე... სულ ათი წუთი ვერ მოვუსწარი... ტელევიზორს უყურებდნენ თურმე და მაშინ... ბევრი ვეცადე, გული მაინც ვერ ავამუშავე... ცოდვად, ცოდვად მაწევს...

... არიადნა ბებია ფილტვების ანთებით გარდაიცვალა... სამჯერ ზედიზედ დაემართა... წამლები არ უყვარდა... არც ლოგინში გაჩერება... მეც ავად ვიყავი... არავის უჯერებდა ჩემს გარდა...

... ვერიჩკა და მიხაკო ბაბუა კი...

...ეჰ, რამდენი ცოდვა მაწევს... რამდენჯერ მიწყენინებია...

_ კარგი, კარგი, დაწყნარდი... დაწყნარდით და როგორმე თქვით, რატომ გინდათ რეჟისორობა...

... ნოლი კლასის მასწავლებელი მიყვარდა ძალიან... თამარ სიმონია... მალე გადაველი სხვა სკოლაში... სულ მინდოდა მენახა... გარდაცვლილა...

... ცოტა ვინმეზე შემიძლია ვთქვა, პედაგოგი იყო_ მეთქი... სულ სამად_ სამი თუ შემხვდა... არად და, ერთმანეთს სულ არ ჰგავდნენ... ქალბატონ თამარს სულ თბილი ღიმილი ჰქონდა სახეზე... გაბრაზებულიც არ მინახავს... ქალბატონ ნინო სისოევასი დიდი ხათრი გვქონდა, სულ უკმაყოფილო იყო ჩვენით, იშვიათად დაგვიყვავებდა, მაგრამ ხმაც არასდროს აუწევია... ქალბატონი ლეილა დათუნაშვილი კი... უმოწყალოდ გვირახუნებდა... სხვას ვის გავაბედვინებდით?! აქით არ... თავქარიანები ვიყავით ნამეტანი...

... მეხუთე კლასში პირველად წავედით მთელი კლასი შატალოზე... ხომ გაგიგიათ, უსაქმურების ესეთი ირონიული საუბარი: _ რა ვქნათ... _ არ ვიცი... მოდი, გავიყოთ და ვიჩხუბოთ.

... ჩვენც ასე მოგვივიდა. არ ვიცი, რატომ, ან ვისი იდეა იყო, იპოდრომზე ამოვყავით თავი. ბევრი ვიფიქრეთ, რა გვექნა, ბოლო_ ბოლო გავიყავით ორზე და კაზაკი_

რაზბოინიკი ვითამაშეთ. რაც ერთმანეთს დავაკელით, მეორე დღეს ლეილა მასწავლებელმა აგვინაზღაურა.

... კიდევ რამდენი სისულელე... ერთხელ, მერვე კლასში, უკვე კარგა გარეკილები ვიყავით, ცხვირის გარეხვა ორჯერ მქონდა მოსწრებული (დაფშვნილი)... ჰოდა, ერთი საკლასო ოთახი გვქონდა, საბჭოთა წარმოების გამომთვლელი მანქანა იდგა. იმხელა ოთახს ორად ჰყოფდა, პატარა გასასვლელიღა იყო დარჩენილი. დავიმალეთ ბიჭები იქ. დაირეკა ზარი, შემოვიდა მიშა ვარლამოვნა (კაცი). «სად არიანო», _ გოგოებს ჰკითხა. ფოცხვერიამ წაიყვანა შატალოზეო, _ უპასუხეს. დედაა, რა მლანძღაააა... რასაც პირში ვერ მეუბნებოდა... მწყევლა, მაგინა... დასაჭერია, მილიციაში უნდა განვაცხადოო... აგვიტყდა სიცილი, ცეკვა_ ცეკვით გამოვედით სამალავიდან. წინ მე მოვდიოდი, ხელში სკამი მეკავა და დიპლი_ დაპლიპიტოს ვუკრავდი. ჯერ გაშრა, როცა მიხვდა, არ მწყენია, თვითონაც ისტერიკული სიცილი აუტყდა... იცით, როგორ...

_ კარგი... კარგი!... მორჩი! რა მოგივიდა, მასხრად გვიგდებ?... ბოლო_ ბოლო, გვიპასუხეთ კითხვაზე!...

...

_ ამოიღეთ ხმა!...

... თხუთმეტი წლის ვიყავი, მეგობარი რომ მომიკვდა, ალეკო გასვიანი... დირექტორმა რაღაც აუგი სთქვა, უდიერად... სისხლი გავუშრე... ვცდილობ, დავივიწყო... არ გამომდის... ცოდვილი, ვარ, ბოღმით დავდივარ ამ ქვეყანაზე... ... ეს არაფერი... საწყალს ტროლეიბუსის ბიგელი მოხვდა... თავში... ვიღაც... რენდგენოლოგმა... სამუშაო საათები მორჩა, მაინც აღარ გადარჩებაო და... მოკვლა გვინდოდა... გაგვეპარა... სამსახურს მიანება თავი... ესეც ვერ...

... ღუღუნა, ჩვენი ღუღუნა და მისი მეჯვარე, კოკაც... ქეიფობდნენ, მოდი, თბილისს, ღამის თბილისს გადმოვხედოთო... დამშვიდობება გამოუვიდათ... უკან გზაზე... მანქანას გიტარა გაუტყდა... დასაფლავებაზე არ ვიყავი... საქმე... ვერ ვაპატიებ თავს...

... სოსო მუჯირს გული გაუსკდა ძილში...

... ვალიკო... ჯარში მსახურობდა, რუსის ჯარში... მოსკოვში... მომენატრნენო... მძღოლად იყო... გამოიყვანა მანქანა, აიღო ავტომატიც... წვიმდა, მანქანა მოცურებია, გიჟივით მოაქანებდაო... მესამე დღეს დაადგინეს რომელი ნაწილიდან... ვირიშვილებს არც შეუმჩნევიათ ვალიკო რომ...

... ემზარ თაფლაძეს მეტსახელად «ძმაოს» ვეძახდით... ტვინში სისხლი ჩაექცა...

... ვაკო დვალიშვილი გაგიგიათ, ალბათ... განსვენებული რეზო დვალიშვილის ბიჭი... სკოლა რომაა, სულ ახალგაზრდები რომ ასწავლიან, იმისი დირექტორი იყო... შესახედავი, ბრგე, ჭკვიანი ვაჟკაცი... ვიღაც ვირიშვილი აუხირდა ქუჩაში და... შიგ გულში და მუცელში ჩასცა დანა... ვერ დავადგინეთ...

... იცით, «ძმაოსთვის» სილა მაქვს გაწ... რა ვქნა... ვერც ვივიწყებ და... სულ ტყუილუბრალოდ... ჯაბანი არ იყო... მაპატია... საკუთარ თავს როდის ვაპატიებ?!

... არ მსიამოვნებს, როდესაც ამ დღეზე ბევრს ლაპარაკობენ... მაინც უნდა გითხრათ... შვიდ აპრილს პატიაშვილის გამოსვლას ცუდად მენიშნა... ვიცნობ ამ სისტემას, ქვეყანას... ბოლო გაფრთხილება გაგვიკეთა... ღამე იქ გავათენე... მერე სამსახური... ვიფიქრე, ალბათ მართლა შეიცვალა რაიმე, რომ არ... მაინც ვაპირებდი მეორე ღამესაც დარჩენას... ათ

საათზე გურამა გაბუნიას უნდა გამოევლო... მარტო ვცხოვრობ, ჩამძინებია, ვერ გამაგონა.. დილის შვიდ საათზე გავიგე...

... ვიცი, ვერაფერს ვუშველიდი... ყველაფერში არც იქ თქმულს ვიზიარებდი... მაგრამ... ისეთი შეგრძნება მაქვს... ძილი... სულ იმას ვფიქრობ, ჩემი წილი სისხლი სხვამ... არ იფიქროთ, თავს ვიმართლებდე... უბრალოდ... გამიგეთ, ალბათ...

... ეჰ ...ცოდვები... ხშირად მომდის... ავყვები ხოლმე ნერვებს, ან ამპარტავნობას, ცხოვრებას... რამდენი მიწყენინებია... მერე სინანული... ეხლაც...

_ ჰო!... მორჩით, მოთმინების ფიალასაც აქვს საზღვარი!!! რატომ! გინდა! გახდე! რე_ ჟი_ სო_ რი!!!

... ეხ...

_ გაიგე?!!

... ეხლახანს!... ბათუმში, სადგურზე... ვიღაცამ მოხუც კაცს დაარტყა... გამოვეკიდე... ნასვამი ვიყავი. ძლიერად მომივიდა... დაეცა... მოხრჩობა მინ... ვიღაცამ ჩამძახა... მოეშვი... ავადმყოფიაო... გავშრი... წამოვაყენე... რაღაცას საცოდავად ღმუოდა... თვალები შეშლილი... საფეთქელი დაურტყია... სულ ცოტას გადარჩა... სისხლი სდიოდა, კანი... უფალო, შემინდე... უფალო... რომელი შარისთავი, მოჩხუბარი მე ვარ... სულ ვცდილობ... რამდენი უარესი მომითმენია... ხანდახან კი... მხეცი...

_ მორჩი... გეყო! საბოლოოდ გეკითხებით, იცოდე! რა_ ტომ! გინ_ და! გახ_ დე! რე_ ჟი_ სო_ რი...

... ვერ მიმიხვდით... კარგად ვერ აგიხსენით... სხვანაირად შევეცდები...

...ჯერ კიდევ პატარაობისას ლექსებს ვთხზავდი... უნიჭოს... ამიტომაც სულ ვხევდი... ჰმ. მაგრამ პატრიოტულს, ისტორიით ვიყავი გატაცებული, იშვიათად სიყვარულზეც... ზურიკელესავით... ეხლაც, ხანდახან, ჩუმად... სხვისთვის არა, ჩემთვის...

... მეშვიდე კლასის შემდეგ თითქმის სულ მარტო ვცხოვრობ. ძმა გამიხდა ავად, მოსკოვში იწვა... სკოლა როცა დავამთავრე (1981 წ.), მშობლები საცხოვრებლად და სამუშაოდაც გადავიდნენ... შვებულებაში თუ... ჰოდა, დავჯდებოდი, ჩავრთავდი მუსიკას... სხვა სამყაროში ვექცეოდი... რაღაც_ რაღაც ისტორიებს ვთხზავდი... უფრო სწორედ, ვხედავდი... რამოდენიმე ჩანაფიქრი შემომრჩა კიდეც იმ დროიდან... ზეპირად მახსოვს... ვერ ვწერ... ვხედავ... ყოველ წვრილმანს... მუსიკა... კადრი_ კადრზე... ყოველ მნიშვნელო მიმიკას... რიტმს... შინაარსი და სიუჟეტი კი... ძალიან ბანალურია... გადმოცემის ხერხიც შეიძლება არ არის ორიგინალური... მთავარი ვიზუალური... მონტაჟი, რიტმის დაცვა, ოპერატორული... დიალოგების გარეშე... ისე რომ ფილმის დამთავრების შემდეგ... არ უნდა გაჩნდეს დიალოგების უკმარისობის გრძნობა... გამოსახულებამ და მუსიკამ უნდა მოყვეს სიუჟეტი, უნდა გამოიწვიოს ესა თუ ის განცდა... რა ვიცი, შეიძლება ბოდვაა...

... მერე და მერე სხვანაირი ჩანაფიქრებიც გამიჩნდა, სხვადასხვა სტილში... მივხვდი, ფილმის გადაღებით შევძლებ მხოლოდ რეალიზაციას... ისე, მთავარი... ვერ მოვისვენებ, სანამ არ გადავიღებ... ჰმ, სუყველაფერს, რაც მინდა... ასამდე, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი ჩანაფიქრი მაქვს... შემიჩნდება რაღაც, მკლავს, არ მასვენებს, წყნარი ცხოვრების საშუალებას... თითქოს მოცილება მინდაო...

მოთხრობები... ერთხელ, გავბედე და «ცისკარში» ჩემი უნიჭო ლექსები მივიტანე. პასუხისმგებელ მდივანს მივაბარე... მომისმინა, შემაქო და მირჩია... ეცადე, უჩემოდ ან

ვინმე ლიტერატორის გარეშე ლექსი არ დაწეროო... გავთავდი კინაღამ... მერე გამომკითხა გეგმები... მოთხრობა დაწერე რამეო, ჩამაცივდა... ვიფიქრე, უხერხულად რომ არ გამოუვიდეს, იმიტომ... გავიდა ერთი თვე. სამსახურში დამადგა თავზე... რას შვებიო... შემრცხვა... დებილოიდი, ეგზემპლარო_ ისტუკანო არ ვეგონო_ მეთქი... უცებ მივაჯღაბნე რაღაც, ერთი ავტობიოგრაღიული მოთხრობა და პატარა სცენარი. გავიდა სამი თვე და... მოდი, კორექტურა წაიკითხე, «ნობათში» ვბეჭდავთო... ასე წავიდა ნელ_ ნელა... მაინც არაა ეს ჩემი საქმე... წელიწადი ვუნდები ერთი პატარა ნოველის გასწორებას... დავწერ და აღარ მაინტერესებს... ძალას ვატან, რომ დავჯდე... პროფესიონალიზმი კი არ მოდის ესე...

ესეც ასე... ქალბატონებო და ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, თავი მოგაწყინეთ... შეიძლება კვლავ ვერ გაგეცით პასუხი... მეტი არ შემიძლია...

<u>უ ა ბ ზ ა ც ო დ</u>

მე ვიცი, რა ცოდვილიც ვარ... თავი მომაქვს, რომ მწამს რაღაცის, მაგრამ... იმდენი შინაგანი ენერგია ტრიალებს ჩემში, რომ იძულებული ვარ სულ ვაკონტროლო და დავაშოშმინო... მინდა თუ არა, ეს «ენერგია» გადადის ბოროტებაში. ხანდახან ვითომ სიკეთისთვის, ხანდახან კი ვითომაც «სამართლის» დასამყარებლად... ჩემი სიბინძურე სულ ბოგინობს, გამოსავალს ითხოვს... ხან იქიდან მომიდგება, ხან აქედან: «ვიღაცის დაცვა», «შეურაცხყოფა» (იესოს გზით ყოველთვის არსებობს ჭეშმარიტი გამოსავალი), «სიყვარული», «ჩემს ოჯახს, მეგობარს, სამშობლოს უღალატეს», «დაგამცირეს», «გაგთელეს» და სხვა «მრავალი რამ»... სულ გასამართლებელ საბუთს ეძებს ჩემი ბოროტი... თითქოს ვერევი, ჰმ... მიღალატა მეგობარმა და არ მოვსპე... სიყვარულმა ჩამაფურთხა სულში და ვაძლევ უფლებას ყოველწუთიერად აკეთოს იგივე... მეგობარმა, ძმა რომ მეგონა, ხელი აწია ჩემზე ბოროტად (არა გაბრაზებით,_ ბოროტად) და მეგობრად დავტოვე, როცა ხელში დანა მეკავა და შემეძლო მომეკლა ან გამეგდო... უფრო მეტიც, სიდუხჭირის გამო ჩემს დამაქცეველ სიყვარულთან დაივალა თავი, ჩემს მტრებთანაც დამეგობრდა (თუმცა ყოველთვის იქაც ჩემს გვერდით დგას) და გავუგე... მაგრამ... «მაგრამ, ო, მაგრამ»... მე ხომ ვიცი, რა ცოდვილიც ვარ, ერთხელ იქნება ან უეცრად, ან მიზანდასახულად ამოვანთხევ ყველაფერს... დამავიწყდება რწმენა, უფალი... მოვიქცევი ისე, როგორც ყოველთვის ვიქცეოდი... ან პირდაპირ (თუ უეცრად), ან ჩასაფრებულ მონადირესავით ამოვანთხევ სუყველაფერს... ამიტომ მეძახოდა ლევანა (ალბათ ყველაზე მეტად ვინც გამიგო), გიჟი ხარო, შენგან ვერ გაიგებ, რას უნდა ელოდოო... მცივა... ცხელა სასტიკად, მაგრამ მცივა, ხელ_ ფეხი გაყინული მაქვს, მარჯვენა თვალი მითამაშებს... რაღაც უნდა მეწყინოს... რა სიმწარეა... როდესაც თამაშობ კეთილს, ან უფრო სწორედ, ცდილობ მთელი შენი არსებით...

როგორ სურს ბოროტს, რომ მოგერიოს... უფალო, დიდებულო... გაგვაჩინე და გიღალატეთ... ჯვარზე გაგაკარით და გვაპატიე... ყოველ დღე, ყოველ წამიერ გღალატობთ,. ლურსმნებს გაჭედებთ და მაინც გულში გვიკრავ, არ გვწირავ...

არსად არ გამიგია, პირდაპირ რომ ეს აღენიშნათ... ირიბათ კი, მაგრამ... წმინდა პავლე... კაცი, რომელიც უფალს ჩვენსას იესოს ებრძოდა, ქრისტიანებს სჯიდა... კაცი, რომელის

მოღვაწეობამაც, რომლის ქადაგებამაც ააწევინა ხელი ბევრს სასამართლოზე, ეგრეთ წოდებული, ალბათ, იდეოლოგიური მამა, არა მარტო არ გაიწირა, არამედ მისი ნაშრომები გახდა ბიბლიის, ახალი აღთქმის შემადგენელი ნაწილი... ამაზე მეტი ჭკუის სასწავლებელი რა უნდა გვინდოდეს, ჩვენ უმადურებს... ჰმ... შეიძლება კი არა, ნაღდად... «მოდი, ჩაიდინე რამე და მონანიება ხომ არასდროს გვიან არ არის,» _ გვეუბნება... თან ჰომ ესეა, მაგრამ... ვისაც ესმის, გაიგებს ეს «მაგრამ» რას ნიშნავს.

<u>ჩემი მომავალი ნათლულის ოჯახი</u>

_ გია, არ გინდა რა, არაა საჭირო! თამადა ვარ და არ გაძლევ სადღეგრძელოს თქმის უფლებას.

_ თამადა, თორემ, დიდი ვინმე ხარ.

_ გია...

_ დაიცა, უჩა, მე მინდა დაგილოცო ოჯახი, შენი პატარა ოჯახი. ოჯახი, რომელიც მეორე ოჯახშია ჩაქსოვილი, შენი ჭურუმე მე. ალავერდი შოთა ბიძიასთან ვარ!

_ ხოდა, ჩემო უჩა, როგორც გიამ თქვა. მე მინდა დაგილოცო შენი პატარა ოჯახიი, ჩემი ძმის ოჯახში ჩაქსოვილი და... მინდა რა, მინდა შენი პატარა ვნახო, შენი ბიჭი მინდა ვნახო. ჩემს მზიას ვენაცვალე, იგი ჩემი პირველი რძალია, ჩემი უსაყვარლესი გოგო და მინდა რაა... მინდა მთელი გულით დაგლოცოთ. ასეე მტერი დაგეცალოთ... ეს მარანი მამაშენისაა. კიევიდან ჩამოვიდა და მითხრა... მე და ლია, მაყვალა და ზურა, ჯუმბერ და დოდო ვიყავით, ვსადილობდით კიევში, უნახია მარანი და მოეწონა. მეორე დღეს მოვიყვანე ტრაქტორი, მუშები, ამოვთხარეთ მიწა და ესე, რა... უჩა, შენ გენაცვალა, ჩემი ძამიკოს, მამაშენის სახელობის მარანია ეს და მე ის გამიხარდება, შენი ძმაკაცებით ხშირად რომ ამოხვალ ხოლმე. ისე უნდა მოხვიდე, როგორც ზურა მოდის, სახლში არა ვარ? თვითონ უნდა გააკეთოთ ყველაფერი, შენ უნდა მიიღო და ასე...

_ გია, «ზაჟიგალკა» მომე რა!...

_ «სპასიბა». მე მინდა ამ ჭიქით ავწიო შოთა ბიძიას და მამაჩემის დედიკოს, ჩემი ბებიის სადღეგრძელო... დაიცა, რა, გია, დათო! საშაყიროს არაფერს ვამბობ მგონი შე ჩემა, ახ, თქვე ჩემა, უკაცრავა, ბატონო... ხი_ ხი_ ხი. აი... ძალიან ცოტა მეგულება ადამიანი, ისეთი ქალი, რომელიც ომიანობის დროს, უკაცო ოჯახში, თავის შვილებთან ერთად კიდევ ორ ბავშვს აიყვანს და გაზრდის, ფეხზე დააყენებს... შოთა ბიძია და ნაზიკო მამიდა აიყვანა ბებიამ და... ისინი ნეთესავებიც კი არ იყვნენ მისი, არა, ნაზიკო მამიდა კი იყო ნათესავი, მაგრამ... ისეთი არა, რა... არ ვიცი, არა მგონია კიდევ ბევრმა ვინმემ გააკეთოს ესეთი რაღაცა... ბოდიში, დათო, ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ რაა! ალავერდი მე ჩემს შოთა ბიძიასთან ვარ.

_ ხოდა, ჩემო შვილებოო, მე არ მახსოვს არავისგან ასეთი ტკბილი დამოკიდებულება, ასეთი სიკეთე, სითბო, როგორც ჩემი დედიკო ჟენიასაგან... არასოდეს! არასოდეს არ იყიდდა ზურასთვის რამეს, თუ ჩემთვის არ შეეძლო რომ ეყიდა. მაშინ სულ არ იყიდდა. საჭმელს რომ გვიღებდა, მე აუცილებლად ცოტათი მეტს გადმომიღებდა. კაცო, ვეტყოდი ხოლმე, მე ზედმეტს რატომ მიღებ მეთქი... ასე მეტყოდა: რა უშავს შვილო, შეგეშლება

ხოლმე გადმოღებისასო, ზოგს ცოტათი მეტი მოუვა, ზოგს ნაკლებიო. მე კი ვიცოდი, რატომ შვებოდა ამას, მაგრამ... მინდა დავლოცო ჩემი დედიკო და მინდა დი_ დი ხნის სი_ ცოც_ ხლე შეववედრო მისთვის ღმერთს, თუ არსებობს ამ ქვეყანაზე.

_ მე მინდა დავლიო ჟენია ბებიას სადღეგრძელო. შოთა ბიძია, მე ცოტათი გამოცდილი მაქვს ეს... მეათე კლასში ერთი თვე მე უჩას ოჯახში ვცხოვრობდი. დედა და მამა მოსკოვში იყვნენ წასული და იქ დამტოვეს. უჩას მოყოლილი ჰქონდა ჩემთვის, დილით ბებიაჩემი მაღვიძებსო, სკოლაში წასვლის წინო...

_ უჩა, გეხუტუნე, გაიღვიძე და რა მაკოცებდა, ხელს მომისვამდა გულზე...

_ ეხლა რა, არ გაღვიძებს?

_ ეხლა ცოლი მაღვიძებს, თქვე... ჰმ, ასეთო_ ისეთო...

_ ინტრიგანობას მოეშვი, დავით!

მე მინდა განვაგრძო, რა... მეც ასევე მაღვიძებდა ჩემი ჟენია ბებია. ცოტა «კაპრიზნი» მჭამელი ვარ, ყველაფერს არ ვჭამ და... რომ ხედავდა არ ვჭამდი რაღაც_ რაღაცეებს და გაიგო ჩემი გემოვნება, ჩემთვის გია ფოცხვერასთვის სპეციალურად ამზადებდა რამეს. მე ეს არასოდეს დამავიწყდება... და ეხლაც. თითქმის სულ მარტო ვარ, მამა და დედა მოსკოვში ცხოვრობენ და... როდესაც მივალ, თუ ის საჭმელი არა მაქვს, მე რომ მიყვარს, მაშინვე დაფაცურდება, გამიკეთებს რამეს, ხანდახან უჩა არაა ხოლმე სახლში, ვიცი ეს, მაგრამ... მე მაინც მივდივარ, ჟენია ბებიას სანახავად... მომენატრება ხოლმე.

_ ვიცი ჩემო გია, მჯერა, ასე იცის ჩემმა ჟიჟიტამ. ასე იყო ჩემთანაც. ყველასთან ასე იყო... თემურთან, ოთარ ჭილაშვილთან, ოთარ დიასამაშვილთან, გურამასთან... ყველასთან, რა, მოკლედ...

_ შოთა ბიძია, უჩამ მომიყვა... გურამის პირველი წიგნი რომ დაბეჭდილა, მისულა ჟენია ბებიასთან, მუხლზე დაუჩოქია და უთქვამს: ჟენია დეიდა, ეს წიგნი ჯერ დედაჩემსაც არ უნახავს თვალითო.

_ უჩა, ეს არ იცი, გურამამ რა ქნა? მამაშენმა მაყვალა რომ მოიყვანა, მაშინ... ნუ, ეხლა, ჟენიას რაც ჰქონდა, მე და ზურას ორი ათასი მანეთი გვქონდა, ეხლანდელი ორასი, რა... გურამმა, თემურმა, ოთარ ჭილაშვილმა, ოთარ დიასამიშვილმა, ყველამ რა, ზურას ძმაკაცებმა, შეკრიბეს ფული და მაყვალას სახლში ორმოცდაათკაციანი ქორწილი გავმართეთ. ბაბუაშენმა ზურას უთხრა, განძს გატანო, განძსო და... ნუ, წავიდნენ ეხლა ზურა და მაყვალა სახლში, ჩვენ საცოდავ სახლში, გია ნანახი გაქვს ხომ ის სახლი?

_ დიახ.

_ მზია, შენ?

_ დიახ, შოთა ბიძია.

_ ოროთახიანი ბინა, ფანერის კედლებით, თხუთმეტი კვადრატული მეტრა, რა, რაღაც საშინელება რა... მივიდნენ იქ და... ნუ, ეხლა, ჩვენ ექვს საათამდე დავრჩით, გავაგრძელეთ ქეიფიი. გამოვედით და გურამი გვეუბნება, წამომყევით ეხლა მეო. ნუ, გავყევით. მოგვიყვანა ჩვენთან სახლში. ვფიქრობ, ეხლა, რა უნდა ამ კაცს, რას აპირებს_ მეთქი... აკაკუნებს, ზურა ადგა გაბრაზებული, დაიძახა, ვინ არისო. არ უყვარს საერთოდ, როცა აღვიძებენ და... დაიწყო ესეთი ლაპარაკი, რა, მათ შორის:

_ ვინა ხარ.

_ გურამი ვარ.

_ რა გინდა მერე ამ დილაუთენია, შე მაიმუნო.

_ სიმამრმა რომ განძი გამოგატანა სახლიდან... წილი მაიტა, ბიჭო, წილი.

აგვიტყდა სიცილი. გურამი კი ყვირის: «წილი მაიტა, წილი. ქორწილი ტყვილა კი არ გადაგიხადეთო». ხი_ ხი_ ხი, ნუ, მოკლედ...

_ დათო, დალიე, რა...

_ არა, რა, ფოცხვერ, არ შემიძლია.

_ თქვი, მაინც, შვილო, რაიმე... მამაშენის პატრონს არ შეგფერის.

_ შოთა ბიძია, დღეს უნდა შევიდე ТАУ_ ში და...

_ არაფერია, შვილო, როგორც გინდა, ისე დალიე, ოღონდ თქვი რამე.

_ ჩემს ჟენია ბებიას გაუმარჯოს და... მეგობრებო...

_ «პლაცზე» «დაკლადს» კი არ აკეთებ...

_ ფოცხვერ, შენ რა, სულ ოხუნჯობ?

ორი ბებია მყავს, ერთი ჩემი მკვიდრი, მეორე ჩემი ჟენია ბებია. მეტი რა უნდა ვთქვა... ბოდიშს ვიხდი, ვერ დავლევ...

_ მზია, ჩემო გოგო, აბა, თქვი...

_ დავლოცავ ჟენია ბებიას, სანამ თავისი შთამომავლობა არ მობეზრდეს, იქამდე იცხოვროს...

_ დალიე ცოტა, შვილო.

_ არა, რა...

_ დალიე, მზიკა, გთხოვ! აი, ასეთი უნდა ცოლი. ჰმ.

_ მოდი, ინგა, შვილო, მოდი, დაჯე.

_ სად იყავი ინგაა?

_ სუფთა ჰაერზე.

_ იქ რას შვებოდი?

_ გაჩე, დათო, სირცხვილია.

_ ფოცხვერ, იცი რა? ერთი მაგის...

_ შე ჩემა, შოთა ბიძიასთან არის სირცხვილი, კაცს საცოლე და საქმრო გონიხართ.

_ კარგი, «я все, малчу˜, ოღონდ ცოტა ჩუმად ილაპარაკე!

_ ხოდა, გურამმა უარი თქვა თამადობაზე წინა დღეს. ქორწილის წინა დღეს, რა... მეორე დღეს მოვიდა შუა გაგანია ქორწილში. მივიდა თამადასთან, ჯონი იყო მაშინ... აჭარის МВД_ ს მინისტრი რო არის. გია, მამაშენი იცნობს, მგონი, არა?

_ დიახ.

_ მაშინ კალინინის რაიონის მილიციის უფროსი იყო. მივიდა და ეუბნება: ჯონი, დაგირეკეს, შენს რაიონში მკვლელობა მომხდარა და სასწრაფოდ მოვიდეს სამსახურშიო. ჯონი გავარდა, რა თქმა უნდა, აირჩიეს თამადად გურამაა. მოვიდა ჯონი უკან, იცინის, აგინებს გურამას, ჩვენც გაგვაცინა. უცებ, ამოიღო იარაღი და ესროლა... ნუ, გული გაგვისკდა, რა... თურმე «ხალასტოი» ტყვია არ ჩაუდევს? აგვიტყდა სიცილი, ჯერ გურამამ რომ მოატყუა ჯონი, იმაზე, შემდეგ გურამას სახეზე, ჯონიმ რომ ესროლა...

_ ორივე მაგარი უბედური ვინმეა.

_ მამაშენს სულ უბედურზე უბედური ძმაკაცები ყავს. ისეთ რაღაცას მოიგონებენ, ქუთაისელს არ შეუძლია.

_ მზია, გადაიღე, რა, შვილო, რამე, ინგა მიდით, რა, ჭამე, მაშინ მე თვითონ გადმოგიღებ.

_ არ მინდა, რა, ში...

_ ჭამეთ რამე, ასატრინაა. შევწვავდით, მაგრამ უკვე ძმარშია ჩაწყობილი და... ჭამე, ინგა, შვილო.

_ მზია, ქათმის ხორცი მომაწოდე, რა...

_ რომელი გინდა, უჩა.

_ გადანახსენი.

_ ინებეთ.

_ გმადლობთ.

_ გადაიღეთ რამე, დათო, შენ მწვადი არ გიჭამია. გია, ჩამოხსენი.

_ მე თვითონ...

_ ცოტა გაცივდა, მაგრამ მაინც კარგი იქნება.

_ უჩას ქორწილზე აქ რა კარგი იყო.

_ როგორ დამენანა, ზევით რომ ვიჯექი, ამის ბავშვის მონათვლა მინდოდა, შემდეგ, თორემ, მეჯვარეობა რად მინდობა.

_ თან თუ გავცილდით, კანონით 1000 მანეთი უნდა გადაიხადო.

_ უკვე რა?..

_ ვხუმრობ, შოთა ბიძია.

_ ერევნიდან რომ იყო ბიჭი აქ, მთელი დღე ფეხზე იდგა მაგ, ზაზა და კიდევ ოთხნი, ზაზას ამხანაგები აქ უბერავდნენ. ხუთ_ ხუთი ყანწი დალიეს...

_ არტაკამ მითხრა მაშინ: Гиа, утром пить, днем пить, вечером пить, на второй день пить, когда_ же отдыхать, а?

_ მე ეხლა, უჩა, გითხარით, სადაც გინდა, იქ დავჯდეთ_ მეთქი; ეზოში, სახლში «კაიუტაში».

_ «კაიუტაში» კარგია, ბაღის გვერდითაა, მაგრამ ცხელა ეხლა, თან ბუხარში მწვადები რომ შევწვათ, სულ მთლად მოვიხარშებოდით. იქ ზამთარშია კარგი.

_ აქ ჯობია ყველას, ყველას, სიგრილეა და ეგზოტიკა...

_ ახლა მოგიყვეთ ყველაფერი, ბოდიში, უჩა, გაგაწყვეტინე. ამოვთხარე მიწა, ჩავასხი ბეტონი, კედლები შევღებე თეთრად, გარშემო «პოლკები» გავუკეთე, დავდგი ბოცები, ავავსე წითელი და შავი ღვინით, არყით, ოთხმოცდახუთგრადუსიანი არაყი რომ მაქვს, იმით, ნუ, მოვაწყვე ყველაფერი, რა... დავუძახე მამაშენს, მის ძმაკაცებს, ლევანი იყო ჯიბლაძე, ოთარ ჭილაშვილი, ოთარ დიასამიშვილი და ჩემი ერთი მეზობელი, ნიკო ქარქაშაძე, კიდევ ვიღაც იყო, არ მახსოვს. ისე, აქ შვიდი კაცი თავისუფლად ეტევა, რა... მოეწონათ ძალიან და ლევანმა მითხრა: გამოალაგე ბოცებიო, მოვლენო ჩემი მუშები, გააკეთებენო «კაფელს», დააგებენო იატაკს და თან არაფერი დაგიჯდებაო. მაშინ სამშენებლო სამმართველოს უფროსი იყო. არა_ მეთქი, ვუთხარი. ტყვილა კი არ გავაკეთე პოლკები ჩემი ხელით, მაგიდაც, სკამებიიც, ტყვილა კი არ დავტოვე იატაკი მიწის... ესაა ამის სილამაზე, რა...

_ ამაშია მთელი ეგზოტიკა...

_ საღოლ, ფოცხვერ, როგორ მიხვდი?

_ ისე რა... ბატონო უჩა. გაჩე, თორემ ნათლობის დროს შენს ბავშვს კალისტრატეს დავარქმევ. ჰმ. კალისტრატე ჩილავა. თუ გოგო იქნა, მზაღოს... უჩა, ერთი ამ «ეგზემპლიარო ისტუკანოს» შეხედე, რას შვება...

_ შენ გემო რა იცი...
_ ჭადი და ყურძენი ერთად, შე ჩე... ჰმ.
_ დაიცა რა, დათო...
_ შენ შენს მეუღლეს მოუარე, თავის სიცოცხლეში ნესვი რომ არ უჭამია. მოუარე უჩას!
_ ოჰ, ინგა, შშენც სოლიდარობას უწევ?
_ გია, გასინჯე, ნახე, რა კარგია!
_ ყველი არ მოგეწონათ?
_ არა, შოთა ბიძია, როგორ გეკადრებათ, მიყვარს უბრალოთ...
ისევ მიდიხარ,
ისევ მშორდები,
ისევ ეშვება ღამე,
აღარასოდეს განმეორდები,
ხედავ, გვითვლიან წამებს...
_ ფოცხვერია, სმენა არა გაქვს, ნამუსი მაინც იქონიე.
_ მზია, მოაკეტინე შენ ქმარს, ერთი...
_ ეს გურამას ლექსია, ხომ იცით?
_ დიახ, შოთა ბიძია, ძალიან მომწონს, მინდა და ვიმღერებ.
_ არა, რა, შოთა ბიძია, მე თვითონ ჩამოვასხამ, გეხ...
_ რა მოჯდა მერე.
ისევ მიდიხარ...
_ მე მინდა დავლიო ერთი თბილი სადღეგრძელო, მოდი, ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს. მინდა დაგილოცოთ და ვუსურვო დიდი ხნის სიცოცხლე. მზია, შენს გოგლიკოს და ციალას გაუმარჯოს, შოთა ბიძია, თქვენს მშობლებს დავლოცავ, ფოცხვერ, ჯემალა და ლიანას გაუმარჯოს, დათო, ნოჟკისა და უტას. ჩემს უტანდა დეიდას, გალაქტიონის მუზას. ინგა, მშობლებს დაგილოცავ და რა თქმა უნდა, ჩემს ზურასა და მაყვალას. დღეს_ ღეობით ისინი ჩვენი, ესე ვთქვათ, თავები არიან... დაე, დარჩნენ კიდეც... ერთხელ წარმოვიდგინე, რომ მარტო დავრჩი... იცით, ცხოვრებამ მიზანი დაკარგა, ყველაფერი დაცარიელდა. არა, რა... ვერ წარმომიდგენია უმაგათობა. დაგილოცავთ მშობლებს.
_ მე უკვე ნათქვამი მაქვს, რომ ჟენია ჩემი უპირველესი მშობელია. მე დედა და მამა ეხლაც მყავს, ერთადაც ცხოვრობენ, მაგრამ... ნუ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს... მათაც გაუმარჯოს, მაგრამ ჟენიასნაირად ჩემთან არავინ მოქცეულა... ასეთი სითბო არავისგან მიგრძვნია... ვენაცვალე მე ჩემს დედიკოს... დაგილოცავთ მშობლებს, შვილებო, მათი თავი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.
_ მინდა დავლოცო მშობლები, მათი თავი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა... ბოდიშით, არ შემიძლია...
_ მოიტათ ერთი, თეფშებს გამოვცვლი.
_ არა, რა, არ არის საჭირო...
_ კაცო, მე ვიცი, შენ გაჩერდი, ხილის შემოტანა მინდა. ოღონდ იმას კი არ გეუბნები, წადი_ მეთქი. ვინც სვამს, საჭმელს დააყოლებს... აგერ, დათო და გოგოები ხილს მიირთმევენ, მზია, ინგა, აი ეს «მისკი» წაიღეთ და «კაიუტას» გვერდით მაგიდაზე ხილია, შემოიტანეთ... დათო, ისე როგორც გინდე ის დალიე, მაგრამ... შენ თუ მასე იცავ ჯარის «სუხოი ზაკონს», მაშინ მართლა კარგი ოფიცერი გამოხვალ...

_ ჰმ, მე მინდა დავლოცო ჩვენი მშობლები, აქ მყოფმა მართლა არავინ არ იცით, რა თქმა უნდა, თქვენზე არ ვამბობ ამას, შოთა ბიძია, მათი ფასი. ისე მომენატრებიან ხოლმე... არ ვიცი, რა... მენატრება ხოლმე ლიანა, მაგრამ... ჩამოვა, ნუ ერთი საათი, სიამტკბილობაში ვატარებთ, მაგრამ ვაიი, მერეე... რომ დამცხებს, ან დაიწყებს თავისას, ჭკუის რიგებას, ჭიჭყინს... ჰმ... არ ვიცი, რა, მათზე ტკბილი მე არაფერი მეგულება... დაილოცავთ მშობლებს, ვუსურვებ დიდი ხნის სიცოცხლეს.

_ მე ერთი წუთით გავალ, არ მოიწყინოთ.

_ მოდი, ეხლა კიდევ ჩავაფინოთ!

_ თამადას სიტყვა კანონია, არა, ეგზემპლიარ?

_ სწორი ბრძანდები, შენ ხარ ჩემი ბატონი.

_ ვაი, თავი...

_ შენც ნასვამი ხომ არა ხარ, ინგა, ა?

_ რა ვიცი, ცოტა ცუდი ჩამოსასვლელია და...

_ დავით, შენი კაროჟნა განაზებულ ლაპარაკს შეეშვას, ა?

_ ისევ გავკარი ამ მწვადს... სულ ქონიანი ვარ.

_ არაფერია, ქმარი აქალ კაბას გიკიდის.

_ ეჰ, ფოცხვერ, ფოცხვერ...

_ გაჩე, შე «მუჟო».

_ უჩა, წავიდეთ, რა.

_ შემოვა შოთა ბიძია, დავლევთ ერთ სადღეგრძელოს და გავალთ.

_ ინგა, შენა შეყვარებული ხომ არა ხარ?

ნახეთ, «გრაბავოი» სიჩუმე არ ჩამოაგდეს? მაგას ნუ უყურებ შენ, ჯობს მე დამაკვირდე, ცოტა მსუქანი კი ვარ, მაგრამ...

_ დადუმდი...

_ არის, ბატონო «ახვიცერო»!

_ აი, ეს ხილი კი სახლში წაიღეთ, მშობლები გაახარეთ.

_ არა რა, შოთა ბიძია...

_ არ არის საჭირო...

_ გთხოვთ, რა...

_ Молчать!

_ შოთა ბი...

_ ეს «მისკა» კი, აგერ, შუაში დავდგათ, სალათა გაწიე, ინგა, ქათამიც, თევზი იდოს, შეეშვი, თეფში არ აიღო, პირდაპირ მაგიდაზე დავდოთ.

გადაიღეთ რამე. ჩემს რძალს, ჩემივე ამორჩეული ყურჟენი და ლეღვი. აიღე რამე, ინგა, აი, ატამი, კარგი ატამია. თქვენ რას უყურებთ? თქვენც ჭამეთ, ჩემ ღვინოზე არ გაწყენთ...

_ შოთა ბიძია, ჯიმი მატკავას ამბავი როგორ იყო?

_ უჩამ არ მოგიყვათ?

_ ამათ მოუყვა, მე არა... მაშინ ТАУ_ ში ვიყავი, მერე რაღაცეები კი დაიწყეს, იცინოდნენ, მაგრამ არ მოუყოლიათ.

_ ნუ, ვზივართ ეხლა, რესტორანში მე, ზურა, ჯიმი და კიდევ იყო ჩვენი სამი მეგობარი. დავლიეთ რაღაცა და ქალები მოგვინდა, რა და... ჯიმის ვუთხარით, შენ იცნობ გულკეთილ გოგებსო და დარეკე სადმეო. ჯიმი გავიდა და...

_ უჩა, წავიდეთ, რა...

_ გაჩე, მოყვეს, დავლევთ და გავალთ.

_ გავიდა ერთი საათი, იღება რესტორნის კარები და შემოდიან ჩვენი ხუთივეს ცოლები... თურმე ამ უბედურს მათთვის არ დაურეკია?» ამათზე გულკეთილი თქვენს მიმართ არავინ არ იქნებაო», გვითხრა. გადის კიდევ ნახევარი საათი და შემოდის ერთი მაგარი გოგო, რა... ჯიმის არ მოუსკუპდა გვერდით? ხი_ ხი_ ხი.

_ ჰმ. მაგრა უმოქმედია.

_ აბა?

_ შოთა ბიძია, მე მინდა ამ ოჯახის ყოვლად წმინდას სადღეგრძელო შევსვა...

_ დაიცა, უჩა, მიტომ კი არ მოვიტანე ხილი, ადრეა ჯერ...

_ შოთა ბიძია...

_ კაცო...

_ არა, რა, შოთა ბიძია, წავალთ, რა... უკვე დროა, ათი საათია, სანამ საბურთალოზე გავალთ...

_ კი, მაგრამ...

_ გაუმარჯოს ამ ოჯახის ყოვლად წმინდას, დაგიფაროს ჭირისაგან... გია...

_ დავლოცავ ამ ოჯახის მფარველ ანგელოზს, დაე ყოველთვის თქვენს გვერდით იყოს, შოთა ბიძია, თქვენი ოჯახის ყველა წევრის გვერდით. ზაზას გვერდით იქ _ მოსკოვში, ჯარში. კახას გვერდით, ლია დეიდას გვერდით...

_ ცო_ ტა მოკ_ ლედ!

_ არის, «ახვიცერ»! ოღონდ ჩუმად იბაზრე. გაუმარჯოს ამ ოჯახის ყოვლადწმინდას.

_ ამ ოჯახის ყოვლადწმინდას გაუმარჯოს. ამ ჭიქას კი დავლევ.

_ გაუმარჯოს, შოთა ბიძია...

_ ვიტყვი და დავლევ კიდეც...

_ ოჰ, ეს რამდენი ილაპარაკე, ინგა?

უფალო ღმერთო, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია,
თუ გამაჩინე, კიდეც მარჩინე,
უბედურებას გადამარჩინე...

_ ვაი, თავი...

_ ესეა კაცი, სმენას და ნამუსს რომ დაკარგავს.

_ მაშინ ყველამ ერთად ვიმღეროთ, უჩა!

_ დავემშვიდობოთ და...

უფალო ღმერთო, რად გამაჩინე...

<u>დ ღ ი უ რ ე ბ ი</u>

1982 26 დეკემბერი.

ეხ, რამდენი რამის გაკეთება მინდა, საქართველო... რეჟისურა... ოჯახი... ახლობლები... ყველა და ყველაფერი მინდა ვახარო, ვამშვენიერო. აღვადგინო ძველი ციხე_ სიმაგრეები, ეკლესიები, ძველი თბილისი, არა ისე, რომ ყოველი თბილისობისთვის ერთი სახლი აღსდგეს და დაინახოს ვინმე მაღალთანამდებობის სტუმარმა, შავმა მასამ, არა, მე მინდა საერთოდ აღდგეს ის, რაც ჩვენია. ჩემი თბილისის ძველი უბნები მინდა აღვადგინო, ახლა ახალი პროექტებით ლამაზად ავაშენო, აშენებული შევღებო, გადავღებო, მივაშენო და ამით ცოტა გავალამაზო. ყველაფერი ეს მწვანეში ჩავფლა, რამდენ მიწას ვკარგავთ ტყუილა. კიევი და ალმა_ ატა ითვლება ყველაზე მწვანე ქალაქად და არა ნოყიერ მიწაზე გაშენებული თბილისი. შევაჩერებდი მადნის მოპოვებას _ მთების მსხვრევას და გაპარტახებას. მთიელს მთაში დავასახლებდი. არა ისე, როგორც ეხლა, საჩვენებლად, ახალ სტილში კი არა აუგებდი სახლს, არამედ ავუგებდი კოშკს და იქ მოვუწყობდი ყველა თანამედროვე პირობებს.

გავაჩერებდი იმ ქარხნებს, რომელიც აჭუჭყიანებს ჰაერს, წყალს, მიწას, დავუყენებდი გასაწმენდს, გაწმენდილი ნარჩენებიდან ქიმიურ წარმოებას მოვაწყობდი. ყველაფერს _ ბოთლებს, პარკებს, ქაღალდს, პლასტმასს, სახურავებს, ყველაფერს ჩავაბარებინებდი ხალხს სახელმწიფოსთვის (რა თქმა უნდა, ნახევარს) და დავამზადებდი ახალს და ასე... მოვაწყობდი სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, საქართველოს ტურიზმის მსოფლიო ცენტრად გავხდიდი. ძველ ციხეებს სასტუმროებად ვაქცევდი და ასე... დავიბრუნებდი სოჩას, ალაზნის გადაღმა მიწებს, თურქეთში ჩვენს მიწებს და ასე... მაგრამ...

მინდა გადავაქციო ჩემი საქართველო სპორტულ ქვეყანად. ავაშენებდი აურაცხელ ბაზებს, კომპლექსებს, მინდა გავხადო ჩემი ქვეყანა ხელოვნების ცენტრად და შეიძლება კიდეც ეს ყველაფერი, მაგრამ...

«ხვანჭკარას» იმერეთში არ მოვაყვანინებდი, არამედ იქ, სადაც მოყავდათ ის ადრე და ასე, მაგრამ...

მინდა გავხდე რეჟისორი, გადავიღო ფილმები, მაგრამ...

მინდა გავაბედნიერო ყველა ჩემი ახლობელი, საერთოდ ქართველი ერი.

საქართველო, მაგრამ...

მაგრამ... მაგრამ!..

მინდა სწამდეს ხალხს იმის, რისიც სწამდათ, მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... ერთი სიტყვაც.

_ დღეს იყვნენ ბიძაჩემი, თამაზი და ენგუზი, ავთო, ბებია ჩამოუყვანია ავთოს. იყო ბალაგანი. ბევრი მოწიეს, როგორც ლოჯში, ასევე ჩემს ოთახში. შემდეგ ჯემალა წავიდა, სიდედრი ნახა. მე და დედა ვუყურებდით ტელევიზორს. უჩა შემპირდა და კვლავ არ მოვიდა, ძალიან მაწყენინა, შეიცვალა რაღაც, ვერ ხვდება თავის უბედურებას თვითონ. ალბათ რამე გასართობი დაეჩითა, ღმერთმა დაიფაროს რომ უჭირდეს. იმას ხომ არ გამოაკლდება, ან სადმე წაიყვანეს, ფოცხვერას ხვალაც ნახავო. სხვანაირად იყო უწინ უჩა. მე უნდა მიგახვედრო ეს თორემ მე რა, მეგობრობა მაინც არ გაწყდება, შენი კაბალური მდგომარეობა კი გაგრძელლდება, ამით მე ბევრი არ დამაკლდება.

P.S. ვერავინ ვერ მიგებს, ვერც გამიგებს და ვერც უნდა გამიგონ, ასეთი ვარ მე თვითონ, რას იზამ. ამბობენ, ადამიანს სიკვდილის შემდეგ უგებენო. მე მაშინაც ვერ გამიგებენ, ისე

ვიქნები, ვერ მივაღწევ იმას, რაც მინდა. ჩემს მოვალეობას კი ვერც შევასრულებ. ღმერთო, რატომ... რატომ.

27 დეკემბერი.

გავიღვიძე. უფრო სწორედ, მამამ გამაღვიძა. წავიღე ნახაზები ორში იქნება. თამაზი ჩამოსულა. უნა მოვიდა, მამა უკვე წასული იყო, დედა გაყვა უნას, ჩათვლა პირობით მიაცემინა.

მამამ გაფრინდას გაუკეთა ჩათვლა. ნინო ზერაგია იყო. ბევრი ვილაპარაკეთ. დათო მოვიდა. ხვალ სამხედროზე უნდა წავიდე.

უჩას ველაპარაკე, მართლა დაკავებული იყო მაგრამ, არ დარეკა და არც დარეკავდა მე რომ არ დამერეკა...

28 დეკემბერი.

დღეს მამა და დათო სამხედროზე წავიდნენ, ჩათვლას მომცემს _ ასეც ვიცოდი. «მანტიორი» იყო. რაღაც ქვითარი დატოვა.

თამრიკოც იყო. უჩა მოვიდა, მაგრა გამისწორდა, ხვალ თუ ერთ ადგილზე არ წავიდა, აუცილებლად მოვა. მზიაც უნდა მოსულიყო, მაგრამ ცუდად გამხდარა, ფეხმძიმედაა უკვე. ჩემი ნათლულის დაბადებამდე დარჩა რვა თვე. 11 საათზე გავიღვიძე. კალათბურთს ვუყურე.

29 დეკემბერი.

დღეს უჩა მოვიდა და გამაღვიძა. ძალიან გამიხარდა, ალბათ სხვა რამ დღეს ასე არ გამიხარდებოდა. ავდექი, ვჭამე, ჭადრაკი ვითამაშეთ ორი პარტია, ორივე მოვიგე, მესამეს გაძლებაზე ვთამაშობდით, ამ დროს თევზი შემოიყვანა ლარისა დეიდამ. უჩა ბავშვივით იყო, აბაზანა გავავსეთ, გავაცოცხლეთ, უნდა ენახა ადამიანს სიცოცხლისაკენ სწრაფვა, როგორ აღებდა პირს, სრუპავდა წყალს. აბაზანა ცოტა რომ გაივსო, მერე შევამჩნიეთ, კრახმალიანი ყოფილა, თევზი ამოვიყვანეთ, გავწმინდეთ და ჩავსვით, გამოცოცხლდა, გაიქნია კუდი, მაგრამ ეტყობა ეცოტავა ადგილი, საცოდავი მალე მოკვდა...

მოვიდნენ მელელა და გაფრინდა. დიდი ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ და ჯოკერი ვითამაშეთ. ამ დროს მზია მოვიდა, მოშივდა და სოსისი შეწვა, რა ლამაზად... ყველამ გემრიელად ვჭამეთ, ჯოკერი მოვიგე, თან მაგრა. 3 საათზე გაფრინდა და მელელა წავიდნენ წავიდნენ კინოში, მალე მზია და უჩაც წავიდნენ. მოვიდა მამა და ჯემალი ბიძიამ დედა მოიყვანა. მამამ _ ექთანი. ნემსი გამიკეთა. მოვიდნენ ბელა დეიდა და იზო დეიდა. წყალი გამოვუცვალე თევზს. როცა დაშრა, დაიწყო ფართხალი. რა არის სიცოცხლის წყურვილი, სიცოცხლე, სიცოცხლე.

საქართველო, როგორ მინდა იყო ისე, ისეთი, როგორც მე მინდა. მაგრამ ძალა, სად ავიღო ძალა... მოვიდა დედა და ბელა და იზო დეიდა წავიდნენ. მოვიდა იურა ნიკოლაიშვილი, ვისაუბრეთ რუსული წარმომავლობის ქართველებზე ბიძამისის

მაგალითით. პარტიზან სიმონა ნიკოლაიშვილზე, რომელიც გაანთავისუფლა ქართველმა მიხაილოვმა. მოვიდა ჯემალი, მოიტანა კვერცხი და დიპლომატი მამასი, მამა დასალევად წავიდა ხოზიკასთან ერთად. ვარ მარტო.

30 დეკემბერი

თევზი კვლავ აბაზანაშია. ბელა წავიდა. თევზი კვლავ იქ არის. როგორ უნდა სიცოცხლე. ის მალე მოკვდება.

31 დეკემბერი.

მალე ახალი წელი იქნება. მიხარია? დილით იყო ჯემალი. წავიდნენ მამა და ის ბაზარში. შემდეგ ჯემალი წავიდა. განერვიულება არ მინდა ამიტომ არ ვამბობ, რომ დილით მხოლოდ ერთი ლუკმა ჩავიდე პირში.

1 იანვარი 1983 წელი.

გავიღვიძე, ვჭამე, ვუსმინე მუსიკას. მოვიდნენ უჩა, მზია, ვაჟა. დავჯექით, ვითოხლავეთ და დალიეს, მოვიდა ბეპე, უჩა და მზია წავიდნენ. დარეკა გოგიამ. ყველა ხვდებიან ერთმანეთს ვაჟასთან! მე ვერ წავალ. წავიდნენ ვაჟა და ბეპე. დედა მოვიდა. მეფერა. მერე ისინი გავაგდე გურამისთან (გურამი, ბიჭები რომ იყვნენ, მაშინ მოვიდა). ვუყურებ ტელევიზორს.

2 იანვარი.

გათენდა. დღეს ბედობის დღეა. ყველა ვცდილობთ ერთმანეთს ვასიამოვნოთ. ვუყურებ ტელევიზორს. მოვიდა თამუნა. მერე ბეპე. გოგი, დათო, მზია, იშარაფეს, ბეპე იყო თამადა. მერე მოვიდა ვახტანგ ბოჭორიშვილი. არაფრით არ აპირებდა წასვლას, დედა და მამა კი უჩასთან უნდა წავიდნენ. ვახტანგმა ფილტვების ანთება გაქვსო, შეიძლება ტუბერკულიოზიცო. დედა და მამა წავიდნენ უჩასთან.

3 იანვარი.

დღეს სიგარეტი არ მომიწევია. დედა და მამა წავიდნენ. მე დავიძინე. მამა მოვიდა.

4 იანვარი.

დილით გავიღვიძე 9 საათზე, ანზორი ბიძია მოსულა. მოვისმინე ბრწყინვალე რამ. მამა ელაპარაკებოდა ანზორის.

_ რატომ არ უთხრია ვახტანგის სად არის ლიაო.

ანზორი კი სულ სხვა რამეზე ერეკებოდა.

_ სიძემ თქვა, მეც არ წავალ ქორწილზეო...

როგორ მინდა ამ ბოღმაზე დათრობა ან სიგარეტის მოწევა. დღეს ვიგრძენი, რომ არაფრის გამკეთებელი არა ვარ. ფუჭია ჩემი ცხოვრება, ფუჭი. ღმერთო, მომეცი ძალა გადავლახო ყველაფერი, მასწავლე სწორი გზა, ღმერთო, ჩემი საქართველო ისე დამატოვებინე, როგორიც მე მინდა, ღმერთო...

5იანვარი.

გავიღვიძე. მთელი დღე ვხაზავდი. ძალიან დავიღალე. თითქმის გავითიშე დაწოლის წინ. ხაზვას რომ ვამთავრებდი, მოვიდნენ მაია და ლევანი, ძალიან გამიხარდა. რაზე არ ვილაპარაკეთ.

საღამოს დედა და მამა წავიდნენ ჯულისთან. დარეკა უჩამ. შემდეგ თამუნამ, რამდენი მელაპარაკა. ნასვამი იყო. თავიდან აურია, მე ყურმილი დავკიდე. დარეკა მეორედ. უკვე «ნარმალნად» ილაპარაკა.

6 იანვარი.

დილით გავიღვიძე 12 საათზე. გაფრინდა და მელელა დამხვდნენ. ცოტა წაიშარაფეს, მერე წავიდნენ, მერე მარინა მოვიდა. საღამოს უჩა და მზია მოვიდნენ. მოულოდნელად ნათია და გოგი დამადგნენ თავზე, რაც შემეძლო გამოვიტანე ყველაფერი. გოგიმ არ დალია, მალე წავიდნენ. სინათლე გამოირთო. უჩა და მზია წავიდნენ. სინათლე მალე მოვიდა. ვუყურებ ტელევიზორს.

7 იანვარი.

ვუყურებ ფილმს _ სიყვარულის რომანი (რეჟისორი იგორ პეტროვი, სცენარი ვისია არ მახსოვს) ეს მსოფლიო ისტორიის ოქროა. სიყვარული, ადამიანები აღარ უფიქრდებიან იმას, რომ ძალიან ბევრს ვთამაშობთ, ვთამაშობთ, ვთამაშობთ, ვთამაშობთ, ვთამაშობთ... მე სხვანაირად მჯერა ეს. ის უნდა მოკვდეს, უნდა მოკვდეს. არაფერი არ არის მისთვის ცხოვრება, არაფერი, ყველაფერი დაკარგა. რეჟისორი აცოცხლებს, მაგრამ... ყველაფერი გამოუჩნდა ტყუილად, «ბლეფად» (это фальшиво это видно) როგორც არ უნდა ეცადა, არ გამოვიდოდა მართალი. ისე ძალიან ეცადა, მაგრამ... მაგრამ... ხალხმა ასე არ უნდა იცხოვროს, ეს ხომ საზიზღრობაა, საზიზღრობა. დილას ჩამაბარებინეს ხაზვა, სხვა არაფერი არ მომხდარა ისეთი... მოვიდნან ღამით სტუმრები. ყველაზე მეტად შოთა ლომიძის მოსვლა გამიხარდა. მაგრამ მერე შემარცხვინა, მომცა...

8 იანვარი.

დილით გამაღვიძა მამამ. ისეთი მთელი დღე არაფერი მომხდარა საღამომდე. მოვიდნენ ზეინაბ დეიდა, ლალი, ბუცუ, ანზორი, მამა მოიტაცეს. მთვრალი მოვა საღამოს. პირველ საათზე დამეძინა.

9იანვარი.

გავიღვიძე. მოვიდნენ მამუკა და ლევანი. მამუკამ მოიტანა «ზაჟიგალკა...» მოვიდნენ თემური და იურა. დედა დაწყნარდა. თემური წავიდა. მოვიდა თამაზი ბიძია. სვეს, სვეს, დედაც შეუერთდა. თამაზი უეცრად წავიდა. მერე წავიდნენ იურასთან. ვაჟამ მაინც არ დარეკა...

10 იანვარი.

დღეს იყო ვაჟა. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ. ძალიან გამიხარდა. იყო გოგიაც.

11 იანვარი.

მოვიდა ვაჟა, უჩა, ბოლოს უნა. მოვიდნენ დედა და მამა. მოვიდა ენგუზი. მალე წავიდა. მამამ ღამით «ფხიზელი» ცივაძე მოიყვანა.

12 იანვარი.

დღეს მოვიდა გოგი. ძალიან გამიხარდა. ბოლოს წავიდა კინოში. მე ვიმეცადინე ფიზიკა. მოვკვდი კინაღამ.

13 იანვარი.

ვიყავი ღონღაძესთან. არ დამხვდა. ხვალ უნდა მივიდე. მოვიდნენ ფიცხელაურები. გამისწორდა. მერე დედა და მამა წავიდნენ, დათვოს მოუკვდა სიმამრი. ფიცხელაურები წავიდნენ მალე. ვუყურე ფილმს «О тебе”. ეს ფილმიც შედევრია. გული დამითუთქა... მაგრამ ბევრი ვერ გაუგებს...

14 იანვარი.

ახალ წელს ჩემს ოთახში შევხვდით. ულაზათოდ... გამიტყდა... რას იზამ. კამფეტებით მივულოცეთ ერთმანეთს. დღეს ვიყავი ფიზიკაზე. მივიღე ნიშანი. გააჩმახა ღონღაძემ, მაგრა გააჩმახა. მერე ვიყავი უჩასთან. არ დამხვდა. ჩავედი. მალე უჩაც ჩამოვიდა. წავყევი ფილოსოფიაზე, ნიშანი ვერ მიიღო. მერე მოვედი სახლში. მოვიდა ვაჟა, მოიტანა წიგნები. მერე იყვნენ ფიცხელაურები, მოიტანეს ხინკლის რეცეპტი.

15 იანვარი.

დილით მოვიდნენ ცქიტო და გოგი. როცა წავიდნენ, ვჭამე და წავედი ცქიტოსთან. დამხვდა მიშკა და ზურა წიკლაური. «რამთენი» არ ვიბაზრეთ, რაზე არ ვიბაზრეთ. ბოლოს წამოვედი. ვნახე ფილმი: «ქორწინება იმერულად», ძალიან მომეწონა, კარგად არის შერწყმული იუმორი და ბოლო.

16 იანვარი.

დღეს ვიყავი გოგისთან. გოგი არ დამხვდა. დედამისმა რა გინდოდაო. ბოლოს მათქმევინა, რომ დანა მინდოდა. გაგიჟდა, ესაო, ისაო, მაგრამ... მომცა. ვუყურე ფილმ «12 სკამის» ბოლო სერიას. კარგია, მაგრამ... არ ვარგა... ისე რა...

17 იანვარი.

დღეს ვიყავი ბებიასთან, ძალიან გაუხარდა, იტირა.

დედამ ფული მომცა, მივეცი, დედა წამოვიდა. რაზე არ ვილაპარაკეთ მე და ბებიამ: სოფელზე, საზიზღარ ჩამოსულებზე, ნინა დამპალზე და სხვა. მერე მოვიდნენ ენგუზი,

თამრიკო და ვატული. ვატულის ძალიან გაუხარდა. შიოდათ, მე ბებიამ მანამდე მაჭამა. რა სასაცილოა ბებო. «სასისკი» რომ დავდე, კვერცხი ათქვიფე_ მეთქი, გამოვიღე სამი ცალი, ჩუმად დაუმატა მეოთხე, რომ შევამჩნიე, ბავშვივით გაიცინა. ვატულის ვეთამაშე «ტენისი», შაში, ბოლოს იმეცადინა. მე და ენგუზი წამოვედით ერთად, ბებია ფულს მიბრუნებდა, შეეშელა ფულის მაგივრად ჩამიდო კამფეტის ქაღალდი. რომ არ შეემჩნია, უცებ ჩავიდე ჯიბეში. გავიარეთ რამაზისთან.

18 იანვარი.

მთელი დღე მიმდინარეობდა მზადება. ეს დღე არ გამოირჩეოდა და არც განსხვავლებოდა ყველა წინა დღეებისაგან. საღამოს მოვიდნენ ანზორა, იურა, ენგუზი, თამრიკო. გამოირთო შუქი. კბილის ექიმთან მივედი, ძალიან მტკიცოდა. ერთი ნემსი გამიკეთეს, არ გამიბრუშდა, მეორემაც არ იმოქმედა, ბოლოს გამიყინეს. რამდენი ეწვალა, ძლივს ამოიღო, დაიფშვნა და ცალ_ ცალკე ძლივს ამოდიოდა.

ჩემი იქ ყოფნისას მოვიდა ხუთი კაცი. მაგრამ არც ერთმა კაპიკი არ მისცა. იქ ჩემ დროს ერთი კარგი გოგო მოიყვანეს, იმის გამო ხმა არ ამოვიღე. ეშინოდა ამოღების და იმიტომ...

19 იანვარი.

დილიდან წასასვლელად ვემზადებით. ყველაფერი თითქმის გავაკეთეთ. უჩა, მზია და ვაჟა მოვიდნენ გასაცილებლად. წამოვედით...

დასაწყისშივე კარგად ვჭამეთ. მერე კარტი ვითამაშეთ ფულზე. დედა ყველას გვიგებდა, მაგრამ ჯემალამ ერთ ხელზე მოუგო ყველაფერი.

დედა ემუქრება უნდა გეთამაშო კიდევო. მამამ მოვუგე ჯოკერი და 3 მან. 80 კაპ. შემდეგ კიდევ ვითამაშეთ. ჯემალა ტყუვდებოდა და ამაზე გულზე სკდებოდა. დავწექით 12 საათზე.

20 იანვარი.

მამას მაშინვე ჩაეძინა. მე მთელი ღამე არ დამეძინა, კბილის ტკივილის გამო. დედასაც არ ეძინა. ბოლოს ასე თუ ისე დავიძინეთ. მამას კიდევ სძინავს. უკვე დილის 12 საათია. მთელი დღე ცხელოდა. მერე მოხდა შუხური. ყველამ ვივახშმეთ. მერე ჩაალაგეს, ბოლოს ვითამაშეთ კარტი. მე კბილი მეტკინა და დავწექი.

21 იანვარი.

გავიღვიძე 9 საათზე. ჩავალაგე ჩემი რაღაცეები. მერე ჩაალაგეს იმათი ყველაფერი და მოამზადეს წასაღებად. ჩასვლისას «ნასილშჩიკებს» ჩავაბარეთ ყველაფერი, დავიჭირეთ დიდი მანქანა და მოვედით სახლში. მე და მამა მივედით ტელევიზორის საყიდლად, მალე ვიყიდეთ. მერე მამა წავიდა სამსახურში.

22 იანვარი

დილიდან ველოდებოდით კახას. მოვიდა მამას ამხანაგი. მოიყვანა თავისი პატარა გოგონა. საშინელი ჭირვეული. კახა და მამა ბოლობოლო მოვიდნენ. კახა გამოცვლილა... ძალიან ცოტაა მასში ქართული... რომ ვაკოცე, თვალებში ცრემლი მედგა.

23 იანვარი.

დღეს კახასთან ერთად ვიყავი სლავასთან სახლში. ვენაცვალე ჩემს კახუნას. მერე ერთად გამოვედით ჩვენთან. მეტი... არაფრის დაწერა არ მინდა.

24 იანვარი.

დღეს გავედი ზვიადისთან. ჩავედით, ვითამაშეთ ავტომატებზე. ბევრი მოვიგეთ, მაგრამ ტვინი უნდა ადამიანს, ყველაფერი ისევ გავფანტეთ. იქ იყო ერთი კარგი გოგო, ზვიადა გაგიჟდა, ის გვერდზე დაგვიდგა და ყველაფერი წაგვაგებინა. მერე შეითესა. ვეძებეთ, ვეძებეთ, ვიპოვეთ. მე და ლევანამ შევაბით ორი. ზვიადა მარტო იჯდა, ვუთხარ ზვიადინო, გაცოცხლდა კაცი... დღეს ბევრი ვიცეკვე...

25 იანვარი.

დღეს ვიყავი ზვიადისთან, ყველაფერი კარგად წავიდა.

10 თებერვალი.

რამდენი ხანია, ხელში არ ამიღია კალამი... დრო მე, ზვიადიმ, ლევანამ კარგი გავატარეთ. დავდიოდით ბარებში, რესტორნებში. ვნახეთ ხავთასი თავისი საცოლით. თითქმის არაფერი არ მომხდარა ისეთი, თუ არ ჩავთვლით, რომ ზვიადი შეხვდა თავის ბიძაშვილს და გამართა ბრძოლა თავის ნამდვილად საზიზღარ რძალთან. ფული რ აიღო. გამეცინა, როდესაც ბიძაშვილი 100 მ-თს აძლევდა და უთხრა, მეტი ცოლმა არ მომცა, რესტორანში შეხვალთო. არა და მისი ცოლის ოჯახი ნამდვილად ფულიანი ტომრები არიან.

წავედი კბილის ექიმთან, გადავიღე სურათი კბილზე, დამიბარა 7 საათზე. წავედი ანზორასთან და შევუკვეთე წიგნები. გავსინჯე ლატარეა. მოვიგე... მერე წავედი ვაჟასთან. იქიდან კბილის ექიმთან. დამიბარა შემდეგისთვის შაბათს _ სამ საათზე.

11 თებერვალი

ღამე არ მეძინა. უცებ სამ საათზე ჩამოვიდა დედა. დილით გავიღვიძე და წავედი ინსტიტუტში. დავესწარი ყველა ლექციებს. ერთი ლექციაც კი ჩავიწერე.

მერე ვიყავი გურამისთან. ავიღე ცნობა. წამოსვლისას შევხვდი ლევანა ფიცხელაურს და კახას. შემიკლეს ხელში ბატონობით... მივედი უჩასთან. ვილაპარაკეთ ვაჟაზე... ეჰ... დედამ დარეკა, ნაწყენი იყო... მალე მოვედი სახლში, გაუხარდა...

ვნახე ფილმი «Покровские ворота”. ასე დიდი ხანია არ მიცინია. ძალიან კარგი ფილმია. არა მარტო სასაცილო.

12 თებერვალი

დილით წავედი ლექციებზე. პირველი გაცდა. მივედი III კორასთან. ვნახე ჩვენები. ლექციების მერე ვნახე ლაშა და «კიჰ». ბვერი ვილაპარაკეთ. მერე წავედი ლაშასთან, ვითამაშე ჭადრაკი. მერე წავედი ცქვიტოსთან. ჩვენები ნასვამები იყვნენ.

ბევრი ვეცადე და არ გავუშვი, არ მინდოდა მარტონი გამეშვა... მეშინოდა, რამე მოუვიდოდათ... ბეპე სულელი ბავშვივით არის, ქარია ამხელა კაცი. სულ ფეხებზე ჰკიდია ის, რაც შეიძლება მოხდეს... მაგრამ მაინც კარგია. მერე როცა გამოფხიზლდნენ, წავედით კინოში. სახლში ვაჟამ და მე ვუყურეთ კინოს. დედაც ამ დროს მოვიდა.

8აპრილი

რამდენი ხანია არაფერი არ ჩამიწერია. ალბათ ცხოვრების მონოტონურობის ბრალია. სულ უხასიათოდ ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, ყველაფერი მეზარება. ყველაფერი მეზიზღება... სულ ვღიზიანდები. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, თითქოს მალე უნდა მოვკვდე. მე კი არაფერი არ გამიკეთებია, არა და რისი გამკეთებელი ვარ. ნეტავი არ დავბადებულიყავი.

ღმერთო, რატომ ვარ ასე არაფრის გამკეთებელი, რატომ. რატომ უნდა ვაკეთო ის, რაც მეზიზღება. რატომ უნდა ვიცხოვრო ისე, როგორც არ შემიძლია. ღამეები არ მძინავს, არა მძინავს, მაგრამ სულ რაღაც კოშმარულ სიზმრებს ვნახულობ, ყოველ 15 წუთში მეღვიძება. აღარ შემიძლია, აღარ, აღარ... თავის მოკვლა კი არ შეიძლება, მეშინია შენი რისხვის, ცხოვრებაც მინდა, მაგრამ... თანდათან მემსხვრევა ჩემი ოცნებები... მიზნები. საქართველო... არა, ვიხრჩობი, აღარ შემიძლია. თავი მტკივა, ცუდადა ვარ, ვკვდები... არავისი არ მჯერა. ვერავინ ვერ მიგებს, ვერავინ, ვინც მიგებს, ისინიც დაიღალნენ ჩემით. სულ განვმარტოვდი, სულ... არ შემიძლია. ვცდილობ არ ვაწყენინო ოჯახს, მაგრამ ყველაფერი მეშლება, ლექციებზე მივდივარ, აუცილებლად რამე მემართება, ან ფეხი გადამიბრუნდება, ან ავტობუსი გაფუჭდება, ან... სულ ვჩქარობ, სულ მაგვიანდება ყველგან, სულ მავიწყდება ის, რაც უნდა გავაკეთო, ვკვდები, ვიხრჩობი, ვეღარ ვსუნთქავ, თავი მტკივა. რა დავაშავე, რა...

12 აპრილი

კვლავ ცუდადა ვარ. არ ვიცი, რა ვქნა. თვალებში მიბნელდება, გული მერევა. ეჰ, არაფერია, თუ მოვკვდები, მაგრამ... როგორ მინდოდა გადამეღო ჩემი აზრები, საქართველო ბედნიერი მენახა. ვერაფერი ვერ გავაკეთე, ვერაფრის თქმა ვერ შევძელი. ხალხი?... რა, მაინც ვერ გამიგებდნენ. აღარ მიძნელდება სიკვდილზე ფიქრი, იმიტომ რომ დავრწმუნდი, არაფრის გამკეთებელი არა ვარ...

8 აპრილის შემდეგ ისევ მონოტონურად ვცხოვრობდი. იყო ყველაფერი... სიცილი, მწუხარება, სმა, სიმთვრალე, და ა.შ. და ა.შ.

როგორ მინდა გასვლა მდელოზე, დიდ მდელოზე, ყვავილებით სავსე მდელოზე, მინდა წამოვწვე და ჩავისუნთქო ჩემი სამშობლოს ჰაერი. იქ, მდელოზე... რა კარგია გარშემო ტყე, ჩიტები, ყვავილები...

26 აპრილი.

რა ყველაფერი მონოტონურია. ისევ რამდენი ხანია არაფერი არ დამიწერია. ისე რა შეიძლება ითქვას ამ ხანაზე: დედა ჩამოვიდა, ძალიან მომნატრებია დედიკო, ჩემი თავის გამიკვირდა, დავიწყე რვეულების წერა და ლაბ. სწავლა. ეხლა ავადლა ვარ, ხველებით ფილტვები მტკივა, ეს მგონი მალე დასასრულს ნიშნავს... არ ვიცი, რამდენი ხანი ვიცოცხლებ, მაგრამ ეს შემიძლია ვთქვა, ცუდად არ მიცხოვრია. ყოველთვის ვიყავი ადამიანი და იმ ცოდვებს, რაც როგორც ყველა ადამიანს გააჩნია, ღმერთი ალბათ მომიტევებს. ხვალ ცქიტოს დაბადების დღეა, უჩემოდ ჩაივლის... როგორ მინდა წასვლა. კაცმა რომ შემომხედოს, ამ ბოლო ორ წელიწადში თითქოს ძალიან გავმხიარულდი, გარეთ როცა ვარ სულ ვიცინი, ან ვშაყირობ, იმდენად უკვე ისე აღარ მწყინს სხვისი ხუმრობა. მივხვდი სხვის ჭირს ხალხი ვერ იგებს. დაიღალნენ ჩემი მომტირალი სახით... ვერავინ ვერ მიგებს ვერავინ. ესე ხასიათის შეცვლა ალბათ მალე წასვლის ნიშანია... დავიღალე, დავიღალე. ყოველი დახველება წამებაა... ძალიან ხშირად სული მეკვრება და თვალებში მიბნელდება. ერთხელ ლექციის დროს გულიც კი წამივიდა, ბიჭებმა აზრზე მომიყვანეს და სახლში წამომიყვანეს, მაგრამ ვთხოვე ოჯახისთვის არ ეთქვათ. მაწუხებს ის რომ არაფერი არ გამიკეთებია.

28 აპრილი.

გუშინ ცქიტოს დაბადების დღე იყო. ცუდად ვიყავი, მაგრამ მაინც მივედი, არ შემეძლო არ მივსულიყავი... არ ვიცი, რა მომდის, თითქოს ყველაფერი აირია. არ ვიცი რატომ, მაგრამ სისხლი ამოვახველე რამოდენიმეჯერ... რაღაც გაურკვეველობაში ვარ.

20 მაისი.

რატომ, რატომ უნდა ხდებოდეს ყველაფერი ისე, როგორც არ უნდა მოხდეს, რატომ! უკვე რამდენი დღეა არ დამიწერია არაფერი, რა დამეწერა, სირბილი, ჩათვლებზე სირბილი, ეს, ის... მირჩიეს ჩაწერე ხოლმეო რამე, მაგრამ განა ამ ფრაზებშია მნიშვნელობა. თანდათან ვცარიელდები, სული მიცარიელდება.... რა სიცარიელეა ამ ქვეყანაში. ცხოვრება, ცხოვრება... მე თვითონ არ ვიცი, რა ხდება, რა მინდა. ალბათ... მალე შეიძლება ფეხი გავფშიკო. ფილტვები, ფილტვები, გული, გული, წნევა, წნევა...

ისე, რა უბრალოდ, უმიზნოდ, ფუჭად ვიცხოვრე, ეჰ... დღეს პოლიკლინიკაში ვიყავი, ყამირიდან დარჩენა მინდა, რა ბადრაგი იყო. სერიოზულად რომ უყურო, გაგიჟდები. არეულობა, საშინელი «უკბილო» ხუმრობა და მოქცევები. ეხლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ მაგის ხასიათზე არ ვიყავი. ხო მართლა, სამხედროზე მოვიდნენ კინორეჟისორ_ ოპერატორ_ სცენარისტი_ სადიპლომო_ პათხალიმები. ჩაგვაცვეს საშინელებები, რას ვგავდით, სურათებიც გადავიღეთ, გვაწამეს... რა ვაგინე, მაგრამ იმ ურამამრობით სქესის წარმომადგენელში კაცი არ აღმოჩნდა. არადა რამ დააინტერესათ ჩვენით. სამხედრო კათედრის წინ, მთაზე პატარა ბაზილიკაა...

24 მაისი.

დღეს მივიღე ჩათვლა მათემატიკაში. ოთხი დღის წინ, შაბათს მოვხვდი ავარიაში. პლეხანოვზე გადავდიოდი ქუჩას, ტროლეიბუსის გზის მხარეს დამეჯახა ჟიგული და მისროლა ორ მეტრზე. მეგონა დაჯახებისას რომ ვკვდებოდი, ვიფიქრე ძლივს_ მეთქი...

«შოფერი» ძლივს დავაწყნარე, შეშინებული იყო. მისამართი ძალით მომცა, არ მივეცი ჩემი. ეჰ, არც ვიცი, რა დავწერო...

ხო, მანქანა იმიტომ ვერ შევამჩნიე, რომ გავხედე ქეთი ჟორჟოლიანს, რომელმაც ნერვებზე მომშალა.

დღეს, გარეთა აივნიდან დავინახე, თითქოს პირველად, ღრუბლიანი ცა, რა ლამაზი იყო, თითქოს დაღვრემილი... ნაჭერ-ნაჭერ, ნაკუწებით შეკერილ ქუდს გავდა თბილისისთვის. მხოლოდ ერთ ადგილზე პატარა ხვრელი იყო, მთვარისათვის.

დღეს მანანას გახსენებაა ტელევიზორში... მანანასი, რომელიც მე მეხმარებოდა კახას მოვლაში წყნეთში, მე იმის შემდეგ არ მინახია, მაგრამ მისი მადლობელი ყოველთვის ვიქნები, ყოველთვის.

მანანა... მე უნდა ცოცხალი ვიყო და ნიჭიერი ხელოვანი, გულთბილი ადამიანი კი...

19 ივნისი.

დილა. 11:50

ნუთუ იმიტომ ვართ ადამიანები, რომ შეგვიძლია ცხოველებზე უკეთ არსებობა და არა ცხოვრება. რა შეედრება ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოველებს. ლამაზ ირემს, გოროზ ვეფხვს, ჩიტების სტვენას, მეფე არწივს და სხვათა შორის მგლის ყმუილსაც. არა, არა შიმშილის, არამედ სიყვარულის ყმუილს, სატრფოს რომ დაეძებს...

დღითიდღე უფრო მიმძიმს სიცოცხლე, ვიცი, ცხოვრება დაუნდობელია, ხალხი ეშმაკი, ფლიდი, ყველაფერი ბოროტებით ფეთქავს, მაგრამ გულის სიღრმეში ვერ ვაკანონებ ამ თვისებებს და მეც რაღაცის იმედი მაქვს... საქართველო მაინც იყოს...

ხალხი როგორ ტყუვდება, არა, არა მარტო ხალხი, არამედ ბევრი ჭკვიანი კაციც. «რაიკომის მდივანი» მოსწონთ... არა _ ზოგი ამბობს, იდეება არ ვეთანხმები, მაგრამ კარგი გადაღებულიაო. უკვე ეს დიდი მიღწევაა მტრისთვის, იმიტომ რომ ასეთ ფილმებში ხალხი მხოლოდ სცენარს ხედავს, ლაპარაკს, მოქცევას, სხვადასხვა ნიუანსებს კი არა. განათლებულ ადამიანს კი მოისყიდის ეს ნიუანსები... ეხ, წყეულიმც იყოს კაცი, რომელსაც ფეხი ორივე მხარეს უდგას, რა გინდა ნიჭიერი იყოს იგი; არად აგდებს საქართველოს და პირიქით, ხელს უშლის თავისი მოქცევით, ხალხს აცდუნებს და ხდება ტირანიის, დიქტატურის მონა _ ძალით.

30 სექტემბერი

რამდენი ხანია არაფერი დამიწერია.

ბევრი რამ მოხდა. ვაჟამ შეყვარებაც მოასწრო ბათუმელზე და იმან კი გათხოვება. ძალიან მეცოდება. უყვარდა. ამ ზაფხულს ვიყავი: სევანზე, მოსკოვში, წყალტუბოში, სოჩაში მოკლედ კარგად დავისვენე. ლექსების წერა განვაახლე ამ ბოლო ხანს. გოგის ბრალია, სტიმული მომცა. სხვა რა, ხო, ავად ვარ. ლექციებს ვიწერ. კახამ ბანაკიდან ორი თანარაზმელის ჩამოღებული კბილი ჩამოიტანა. ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ...

ბანაკში მდინარეზე გაპარულა ცურვის სასწავლებლად და კინაღამ დამხვრჩალა. მიშველეთ, ვაი დედაო, თურმე ქართულად ყვიროდა. იქვე ბედზე ქართველი ჯარისკაცები ისხდნენ და გადაურჩენიათ. ვენაცვალე მათ ვაჟკაცობას.

რამდენი ხანია არაფერი არ დამიწერია. დღეს და გუშინ მაღალი წნევა მქონდა.

ეგონა რომ იდგა

(რომანი)

ეძღვნება ყველა ჩემს
უდროოდ გარდაცვლილ მეგობარს

ნაწილი I

«ქვეყანას ზევიდან მინდა
გადმოვხედო»

(ლეგენდა შავ ალპინისტზე)

თავი I

ალიკა

ალიკას სიკვდილმა დიდი გავლენა იქონია ჩვენზე. ყველა, თითქოს, ადრე დაგვაყმაწვილა, გაგვიქრო სილაღე, აგვაამბოხა და გაგვაგიჟა, დაგვაცილა მრავალრიცხოვან ნაცნობობებს და ამხანაგებს. აღარავინ მოვუშვით, ჩავკეტეთ წრე, შემოვიფარგლეთ. საერთო ტკივილმა, დარდმა უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს და დაგვაშორა სხვებს. გვეშინოდა ახალი დანაკარგის, ვითომდა ეს კარჩაკეტილობა გადაარჩენდა რომელიმე ჩვენგანს ბედისწერისაგან. უცებ ავყვებოდით გრძნობებს, გაუაზრებლად და ეს გვხდიდა სასტიკებს. პატიების გრძნობა დაგვეკარგა, ერთბაშად მორჩა ბავშვური სიცელქე, ბავშვური სიხარული, ბავშვური ჩხუბები, ბავშვური მიამიტობა... ყვეალფერში, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა, ვეძებდით ბინძურს არაადამიანურს. გვეჩვენებოდა, თითქოს სიკეთე, ან ბოროტება მარტო მოქმედებებით ვლინდებოდა... ხოლო რომელიმე ჩვენგანის არასწორ საქციელს, ტყუპისცალებივით,

გასასამართლებელ საბუთს ვუპოვიდით. არც კი ვუკვირდებოდით, რომ სხვისი გასამართლებაც შეიძლება იგივენაირად, რომ ადამიანი ხშირად უშვებს შეცდომებს, რომ ყველა ვინც შეგვეზიზღა, ვისაც სასტიკად ულმობლად მოვექეცით, არ იყო ამის ღირს. ჩვენი საქციელით, წუთიერი აფეთქებით, შეიძლება ბევრს მოვუსპეთ კეთილი საწყისები, გავაბოროტეთ არა მარტო ჩვენზე, არამედ საერთოდ... საერთოდ იმიტომ რომ ბევრ მათგანს შეიძლება აღარც ვახსოვართ, პირადი მტრობა აღარც უღვივის, მაგრამ იმ ფიზიურმა და მორალურმა ზემოქმედებამ ხასიათი შეუცვალა, გახდა უფრო ფრთხილი, უფრო ეშმაკი, ღვარძლიანი და ის რომანტიკული, რაც გულში ედო, დაივიწყა, ან კარგა ხნით მიჩქმალა. სიყმაწვილისას არ გესმის, რომ ყველაფერი გაცილებით რთულია. სიმართლეს საუბედუროდ სხვადასხვა სპექტრი გააჩნია. არ არსებობს ცალმხრივი, შენი სიმართლე. ხშირად ძნელია ბოროტების და სიკეთის გარჩევა. თითქოსდა კეთილი ქმედება შეიძლება ბოროტებად იქცეს, თუ გინდ მასში არც იყოს თავიდანვე ჩაქსოვილი რაიმე ცუდი აზრი, ანგარიში... მაგრამ ერთი გვაქვს საერთო, ყველა, ბოლო-ბოლო პასუხს ვაგებთ. დადგება დრო და თვალნათლივ დავინახავთ, თუ რა ყოფილა სიმართლე, სიკეთე... ის, ერთადერთი, ყველასათვის საერთო... დავინახავთ ჩვენს მთავარ შეცდომას და ბევრი რამ, რაც ცხოვრების ორომტრიალში სწორედ მიგვაჩნდა უცებ შეიცვლის არსს. მივხვდებით, რომ კაცობრიობამ, დაიმახინჯა სული, შეიქმნა ათასი სპექტრი, მხარე, იპოვა ათასი გამოსავალი....

ზოგი ჩვენგანი, რაღაც მომენტში იწყებს ამაზე ფიქრს, მაგრამ ძნელია უცებ აღიქვა ყველაფერი, ანდა, თუგინდ მიხვდე _ დასძლიო ცხოვრების წესი, დაუპირისპირდე გარემო სამყაროს, განიწმინდო, უფრო სწორედ, ეცადო განწმენდას, გასუფთავებას.

ადრე თუ გვიან ყველა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ინტელექტუალურ დონეზე, მაგრამ მაინც აღწევს ამას, განიცდის, პასუხს აგებს. ალბათ არც აქვს მნიშვნელობა თუ რას ვუწოდებთ, სინდისის ქენჯნას ანდა ღვთაების წინაშე მუხლმოდრეკას. უბრალოდ ყველა ვერთიანდებით და ვხვდებით, ვისთვის უნდა მოგვესმინა, დაგვეჯერებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო... მაგრამ ვაითუ მთელი ცხოვრება არ შეგიწუხებია თავი, არ აქცევდი ყურადღებას სინდისს, ან ღვთაების ძახილს, თუ არ ეძებდი სიმართლის და სიკეთის ყველა სპექტრს, რათა გაგეერთიანებინა, დაგენახა ეს მცნებები ისე მაინც, როგორც მათ ადამი და ევა აღიქვამდნენ. სასტიკი იქნება საზღაური, სასტიკი....

პირველივე წუთებიდანვე, ინსტიქტურად მოვინდომეთ ვინმეზე ამოგვენთხია ჩვენი სატკივარი, გული ცოტათი მაინც დაგვემშვიდებინა. ალბათ ის ტროლეიბუსის მძღოლი რომ ჩაგვვარდნოდა, დავგლეჯდით, ნაკუწებად ვაქცევდით, არადა რა მისი ბრალი იყო. შემთხვევითობა, უნებლიე დანაშაული, რას იფიქრებდა, თუ წყეული ბიგელი მოძვრებოდა და კეფას ჩაუმსხვრევდა ჩვენს მეგობარს...

სასამართლოზე ნელ-ნელა გვიქრებოდა შურისგების სურვილი, შეგვეცოდა კიდეც. ეტყობოდა განიცდიდა, წვალობდა, ბევრი უძილო ღამეც ჰქონდა გატარებული. მისმა პატარებმაც დაგვიწვეს გული, მამას რომ ეძახოდნენ, მილიციის მანქანიდან გადმოსულს. პირველად მაშინ მოვლღვით, შვილებს რომ ვერ შეხედა, თვალები ვერ გაუსწორა. უცებ მიტრიალდა, ცოლს დაუძახა: სასწრაფოდ სახლში წაიყვანეო. თუმცა ხვდებოდა ალბათ, მათ იქ ყოფნას შეიძლება მოსამართლეებისათვის გული მოელბო. მითუმეტეს ხუთნი იყვნენ _ სამი გოგო და ორი ბიჭი. სადად, სუფთად და კოპწიად ჩაცმულები... ერთი მათგანი სულ ჩვილი, თავზე დახურული თავსაფრით თუ მიხვდებოდი სქესს, ვერაფერი

გაეგო, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. მეორე _ ასე 3 წლის ჩასუქებული, პუტკუნა ბიჭი, მამისაკენ გაშმაგებით მიიწევდა... მიახლოვებას ხუთი-ექვსი წლის ძმა აკავებდა, ტუქსავდა, ეფერებოდა... ისინი ალბათ ვერ ხვდებოდნენ, რატომ არ შეხედა მამამ, არ მოეფერა... უფროსების თვალები არ დამავიწყდება, დაჭედებულებივით იდგნენ, ასე რვა და ათი წლისანი იქნებოდნენ. რამდენი ტკივილის, სევდის ამოკითხვა შეიძლებოდა მათ გამოხედვაში, და რამდენი ზიზღის...

ამის შემდეგ დაკარგა სასამართლომ პირვანდელი არსი. დაბნეული თვალებით ვუცქეროდით პროცესს, წასვლაც გვინდოდა ზოგიერთს, მაგრამ ალიკას მამის და ძმის მიტოვება რა შეგვეძლო. მათი ტკივილი ჩვენც გვტკიოდა და ასე, ორმაგი გრძნობებით შეპყრობილნი დალურსმულებივით ვიჯექით. თუ რაიმე სამართლიანს იტყოდა მძღოლის დამცველი, კვლავ იფეთქებდა შურისძიების სურვილი, გვავიწყდებოდა ბავშვების ძახილი, გვიჯანყდებოდა სული... ხოლო, თუ ამტყუნებდნენ, გვეცოდებოდა, თვალწინ გვიდგებოდა ის სცენა, თითქოს მესმოდა კიდეც: «მამა... მამა...»

განსასჯელის ბოლო სიტყვა არც კი მახსოვს, ან კი თქვა რამე?! მოსამართლემ კი... თურმე 15კმ/სთ-ის მაგივრად, 25კმ/სთ-ით მოდიოდა, ტროლეიბუსი არ იყო გამართულიო, მძღოლი ხაზზე არ უნდა გამოსულიყოო. ესე იგი ხელფასზე უარი უნდა ეთქვა ხუთი შვილის მამას. ისიც დადგინდა, რომ მთელ ქალაქში მხოლოდ ხუთი გამართული ტროლეიბუსია, ეს «ისე» პროცესის დროს, «სხვათა შორის» გაირკვა. განაჩენის გამოტანისას არც მიაქციეს ყურადღება... ექვსი წელი მიუსაჯეს, შემდგომში სამით შეუცვალეს, ალიკას მამამ აღარ იჩივლა და...

მეორე ვისზეც ჯავრის ამოყრა გვინდოდა, რენტგენოლოგი გახლდათ. საავადმყოფოში მიყვანილ ალიკას, კეფაჩალეწილს, სურათი არ გადაუღო, სამუშაო საათები მორჩაო... მაინც მოკვდება და... ისე, თუ სასწაული მოხდა, ისედაც გადარჩებაო. ბიჭები გაქცეულან და ვიღაც ნაცნობი მოუყვანიათ, პირდაპირ სუფრიდან, ნასვამი.

მთელი კვირა ვიყავით ჩასაფრებულნი, შეგვამჩნიეს და დაგვარწმუნეს, სამსახურიდან გავაგდეთო. მისამართი და ვინაობა რა თქმა უნდა არ გაგვიმხილეს.

მესამე, ვისზეც ჯავრი გვინდოდა გვეყარა, არც ვიცოდით პირადად ვინ იყვნენ. უბედურება რომ დატრიალდა ხალხი უეცრად შეჯგუფდა, აყაყანდა, რჩევას იძლეოდნენ, სეირს უყურებდნენ, მხოლოდ ბიჭები და მძღოლი დარბოდნენ დაბნეულები. მანქანას არავინ აჩერებდა. ბოლო-ბოლო რომელიღაც «ჟიგულის» კარს ჩამოეკიდნენ. ბედად, ხალხის სიმრავლის გამო, მანქანები სწრაფად ვერ მოძრაობდნენ.

ალბათ ამის ბრალიც იყო ჩვენი ამბოხება, უნდობლობა, სისასტიკე, ეხლაც მაწუხებს და პასუხი ვერ გამიცია, რატომ არ ჩერდებოდნენ, ნუთუ... გვეზიზღებოდა ყველა, არავის ვინდობდით,.. შური უნდა გვეძია, შური _ ყველაზე, ყველაზე...

კარი როდესაც შევაღე და ამდენი ხალხი დავინახე, ვერც მივხვდი რაში იყო საქმე. თითქმის ყველა ახლობელი და მეგობარი ერთად მოსულიყო. უცებ გამიელვა: «ვიღაცას ჩხუბი აქვს და».... წინ მდგომ ლაშას ცრემლები წასკდა, ამან სულ დამაბნია. ერთხანს გაოგნებული ვიდექით, შემოვიდნენ, იდგნენ და მოთქვამდნენ. არასდროს წარმომედგინა მათი ტირილი, ყოველ შემთხვევაში ასე, ერთად... ლაშამ ძლივს ამოღერღა:

_ ალიკა აღარ გვყავს, _ გარდაიცვალა... ვერც აღვიქვი;
_ როგორ, მოკვდა?!.

ვტიროდი, მაგრამ არ მჯეროდა, როგორ შეიძლებოდა... ვერც მაშინ დავიჯერე, მორგში რომ მივედით. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კარებს გააღებდა და გამოვიდოდა.

მზიანი ამინდი იდგა. გამოიტანეს თუ არა საკაცეზე დადებული ცხედარი, შედგეს თუ არა სასწრაფო მანქანაში, საშინელმა წვიმამ დაუშვა, თქეში წამოვიდა...

ქვასავით გაუნძრევლად ვიდექი. მანქანა დაიძრა, ლაშას შევხედე. ლაშას იმიტომ რომ ასეთ დროს ყველაზე ახლობელს ეძებ. სურათი ეკავა ხელში, მიშტერებოდა, მეც დავხედე. ხელიხელ გადახვეული რვა წლის ალიკა და ლაშა იღიმებოდნენ ფოტოდან. ალბათ ის დღეები ახსენდებოდა, მაშინ მათ არ ვიცნობდი... ანდა შეიძლება უაზროდაც დასცქეროდა სიცოცხლის წამიერ ანაბეჭდს.

გააღეს თუ არა სასწრაფო მანქანის კარი, წვიმა უცებ შეწყდა, ისევ მზემ გამოანათა. ცხედარს ერთი წვეთიც არ დასცემია...

ლეილა მასწავლებელი, ქალი, რომელიც ძალიან გვიყვარდა, რომლისაც გვეშინოდა და დიდი ხათრიც გვქონდა, ჩემთვის და ჩემი კლასელებისათვის ერთად-ერთ მასწავლებლად დარჩა, ვისგანაც ხელი მოგვხვედრია, სხვებს ან გავექცეოდით, ანდა უბრალოდ, მითუმეტეს როდესაც წამოვიზარდეთ, არ გავაბედინებდით, შებრუნების შიშით. ლეილა მასწავლებელთან კი ცხვრებივით, დაგვიძახებდა თუ არა, ჩვენი ფეხით ვეახლებოდით «ეგზეკუციაზე». დღის ბოლოს ყველას ზომაზე მეტად გაზრდილი და აწითლებული ყურები გვამშვენებდა, მიუხედავად ამისა, მეხუთე კლასში ვიყავით.

თქვენგან უნდა წავიდეო, _ რომ გვითხრა საშინელი ღრიალი მოვრთეთ. არასდროს დამავიწყდება, ერთხელ ცუდად გავხდი, სიყვითლე მქონია, სუნთქვა შემეკრა. ლეილა მასწავლებელმა არავის დაუთმო ჩემი თავი. მეხუთე სართულიდან პირველზე ჩამიტანა ხელში ატაცებული. დამამშვიდა კიდეც ამან. ვიგძრენი, რომ მარტო არ ვიყავი, მიშველიდნენ. ეხლაც მიკვირს როგორ შესძლო, სიარული თვითონაც უჭირდა, ხშირად ავადმყოფობდა, ფეხები დასიებული ჰქონდა. მაშინაც მაღალი და ჩასუქებული ვიყავი. ასე სამოც კილოს ვიწონიდი ალბათ.

პირველად «ეგზეკუციის» წინააღმდეგ ალიკამ გაილაშქრა, მეშვიდე კლასში, შეეპასუხა: ამის შემდეგ ხელი არავისთვის დაუკარებია. მივხვდი, გაიზარდნენ ბიჭებიო, _ უთქვამს. მე და ლაშა სხვა სკოლაში ვიყავით გადასული ეს რომ გავიგეთ, გაოცებისაგან თვალები გადმოვკარკლეთ.

სულ მალე, ავამყოფობამ შეაწუხა და პენსიაზე გავიდა, ძალიან დასწყვიტა ყველას გული. იმ დღეებში არც მშობლების, არც დირექტორის და სხვა მასწავლებლების გამოჩენაზე სიგარეტს არ ვმალავდით. დავინახავდით თუ არა ალიკას სახლთან ლეილა მასწავლებელს, ინსტიქტურად მოვისროდით და ავიწურებოდით. ხშირად მიფიქრია, როგორ ახერხებდა ჩვენს დაშინებასაც და თავის შეყვარებასაც. ალბათ დიდი ადამიანური სითბოა საჭირო, ორივე რომ ერთად მიაღწიოს პედაგოგმა.

როდესაც შევატყობინეთ, თითქოს გაქვავდა, არ უტირია, მისმა სახემ უსიცოცხლო გამომეტყველება მიიღო. ძლივს წამოგვყვა...

...საშინლად გვეწვოდა გული. დაგვინახავდა თუ არა ალიკას დედა ტირილს მორთავდა, უძახოდა, აღვიძებდა, ბიჭები მოვიდნენ, ადექიო. ალიკა კი გაუნძრევლად იწვა... ვეძებდი, მთელი ჩემი არსებით ვეძებდი მასში სიცოცხლეს... სახე გაშავებოდა.

მაინც არ მჯეროდა, არავის არ სჯეროდა, ალიკას არ ყოფნა, არავის... გულის სიღრმეში თითქოს გვეგონა, დედამისს დაუჯერებს და წამოდგებაო...

ყოველ ღამეს ვუთენებდით. არც მახსოვს, გვეძინა თუ არა იმ დღეებში. პირველი ორი ღამე ეზოში გავატარეთ. შეგვამჩნიეს და სახლში აგვიყვანეს. დასაფლავების წინა დღეს ვიღაცამ თქვა, ეხლა შეიძლება ამოიოხროს და წამოიწიოს, ბოლო სულის ამოღება იცისო მიცვალებულმა.

ყურები ვცქვიტეთ: ესე იგი, ცოცხალია?! უცებ მივხვდით ამ კითხვის უაზრობას. მაინც დავუწყეთ ლოდინი. ლაშას ვერსიით, უბრალოდ, სხეულში მყოფი დაგროვილი ჰაერი ამოდისო მეშვიდე დღეს. ცხედარს მივაშტერდით. შიში შემეპარა, ბიჭებს გადავხედე, ყველა კანკალებდა, დაძაბული ვუცდიდით, უცბად ვიღაცას სიცილი წასკდა, ისტერიული ხარხარი აგვივარდა. ვეღარ ვწყნარდებოდით, უნებლიეთ ვიცინოდით... მაშინ, ზაზამ ალიკას სუდარა გადახადა და ვაკოცოთო, _ თქვა. ეს დაგვაწყნარებსო. ყველანი გავიყინეთ, გავშეშდით. პირველმა ლაშამ გაბედა, შემდეგ ზაზამ, მე... ტუჩები გამეყინა. მთელი თვე ვგრძნობდი ამ სიცივეს... ტირილი მოვრთეთ... ბოლო ღამეს ვუთევდით ალიკას... კუბო ხელით მივიტანეთ სახლიდან სასაფლაომდე. მზიანი ამინდი იდგა. ერთი ღრუბელიც არ სჩანდა. გაზაფხულს, დროის ამ ულამაზეს ხანას ეთხოვებოდა ჩვენი მეგობარი. ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ჟრიამულობდნენ, ჰაერში სიცოცხლის სუნი ტრიალებდა... ალიკა კი მიდიოდა, სამუდამოდ გვტოვებდა.

საკვირველია, მაგრამ რამდენიმე ტროლეიბუსმაც ჩაგვიარა, გაგვისწორდებოდა თუ არა, ბიგელი სწყდებოდა. შევამჩნევდი შორიდან და ჩემს თავს ვეკითხებოდი; «ამასაც»... ყველას, ყველას მოსძვრა, დაუჯერებელია...

მივედით თუ არა სასაფლაოს შესასვლელთან, ქარი ამოვარდა. თანდათან ძლიერდებოდა. სახეში გვეხეთქებოდა, გვეწინააღმდეგებოდა _ თითქოს არ უნდოდა გაშვება...

აღუწერელია გამოთხოვება. დედის მოთქმა, მამის და ძმის ღრიალი, ცრემლები, ცრემლები...

საფლავზე თხუთმეტსაფეხურიანი, პატარა სიბოლური კიბე ჩავრგეთ, მეთხუთმეტე შუაში ჩავტეხეთ... დავასაფლავეთ თუ არა ქარმა დალეწა ყველაფერი, მტვერი გადმოგვაყარა, გაგვაჭუჭყიანა, დაგვსვარა, პირი ამოგვივსო და... უცებ ჩადგა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა სანაცვლოდ.

ქელეხზე თითო-თითო ჭიქა ავწიეთ და წასვლა მოვინდომეთ. მამამისი დაგვთანხმდა, ოღონდ გვთხოვა, თუ სადმე სუფრაზე შეიკრიბებით, დღეის შემდეგ მესამე ჭიქით ალიკა ცოცხლად ადღეგრძელეთო. ყოველთვის ვასრულებთ ამ დანაპირებს. ერთი კია, ვერაფრით ამიხსნია, რატომ თქვა მაინცდამაინც მესამე...

კვლავ კოკისპირულად წვიმდა. მოვრბოდით და ვიცინოდით ისტერიულად, მაგრამ არა ისე, როგორც პირველად, მაშინ დაძაბულობამ გამოიწვია, ეხლა კი, თითქოს განვიმუხტეთ, შეუჩვეველი ვიყავით წუხილს...

ბადრისთან სუფრა გაშლილი დაგვხვდა. ეს არ იყო ქელეხი. ჩვენთან ერთად ალიკაც იჯდა. თეფშიც ჰქონდა, ჭიქაც... ამ სიმბოლურობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცოტ-ცოტას ვსვამდით და ვსაუბრობდით სიცოცხლეზე, სიკვდილზე, სიყვარულზე, ზიზღზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე. ტროლეიბუსის მძღოლზე,

რენტგენოლოგზე, სეირის მაყურებლებზე, მძღოლებზე და კვლავ სიყვარულზე, ერთმანეთზე, მეგობრობაზე... ალიკაზე... რამდენი სადღეგრძელო ითქვა იმ დღეს. ყველაზე მეტად ბადრის ნათქვამი დამამახსოვრდა. სიტყვა-სიტყვით მახსოვს, ხშირად დამსიზმრებია კიდეც ეს საშინელება...

«მოდით იმას გაუმარჯოს, ვინც ჩვენს შორის ბოლო წავა ამ ქვეყნიდან, ან ვინც ბოლო მოინახულებს ჩვენს საფლავებს, გაგვიხსენებს და შესანდობარს გვეტყვის...»

...საშინელი სიზმარია, მიდიხარ მარტო, ჯოხით ხელში, უფრო სწორად მიბობღავ, მიჩანჩალებ, გარშემო არავინაა, ყველამ მიგატოვა ფიქრობ მარტოდ-მარტო წარსულზე, ცხოვრობ წარსულით. ყველაფერ დანარჩენს მნიშვნელობა აქვს დაკარგული, არ არსებობს. მხოლოდ საფლავები, საფლავები... იცი, რომ აქ არის შენი ადგილი... აქ და არა... მაგრამ მაინც წამოაჩანჩალებ ბებერ სხეულს უკან. იმათთან, ვისაც შენს სკლეროზზე ეცინება, შაყირობს. არ გწყინს, იმიტომ რომ შენც ასე იქცეოდი... იმიტომ რომ შენი ადგილი აქაა, მკვდარი ხარ, ისენი კი ცოცხალნი, ლაღნი... შენ ვერ აღიქვამ დღევანდელობას, ისენი კი... შენ გახსოვს ყველაფერი, რაც ხდებოდა ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი წლის წინათ, მაგრამ ვერ იტყვი ერთი წუთის წინ რა ჭამე. ანდა, დგახარ, ბრძოლის ველზე ახალგაზრდა, ჯანსაღი ირგვლივ კი შენი მეგობრების უსიცოცხლო სხეულები წვანან. გინდა მიხვიდე, თვალი გაახელინო, სიცოცხლე ჩაუნერგო, აჩუქო, მაგრამ არაფერი გამოდის. არ იცი რა მოიმოქმედო უკუნეთ წყვდიადში, ვის შესჩივლო, სთხოვო დახმარება ყელში თითქოს ბურთი გაქვს გაჩრილი. გინდა იტირო, მაგრამ... შენც მკვდარი ხარ, იმქვეყნიერი, მათთან ერთად წევხარ, მხოლოდ იმ განსხვავებით, ყორნები ვერ გეკარებიან და ვერ გჩიჩქნიან... საშინელია ეს სიზმრები... საშინელი, საშინელი!!!

ვიფიცებოდით: კვირაში ერთხელ მაინც მოვინახულებთ ალიკას საფლავსო. თავიდან ასეც იყო, პირველი ორი წელი, ხშირად ვსუტმრობდით... რამდენჯერ შუაღამისას ავსულვართ, რამდენჯერ ქანდაკებები წამომდგარ მიცვალებულად მოგვჩვენებია, რამდენჯერ ძაღლების ხროვა მოგვიცილებია ჯოხით, შეგვშინებია, მაგრამ მაინც წინ მივიწევდით. გვჯეროდა ალიკა დაგვიცავდა, არ დააჩაგვრინებდა ჩვენს თავს და... აქაურობა, უკვე ხომ მისი «უბანი» იყო.

თანდათან მოვუკელით სიარულს. ადრე ყველა ერთად ავდიოდით. ეხლა კი მარტო მოვინახულებთ მეგობარს, თანაც, როდესაც გვიჭირს. ადრე თუ სანახავად და გასახსენებლად, ეხლა ჩვენი ჭირის გასაზიარებლად, რჩევის მისაღებად, გულის გასახსნელად. ერთხელ დილით, გადავწყვიტე სასაფლაოზე ასვლა. მთელი დღე გამოცდის ჩასაბარებლად ვიყავი ინსტიტუტში. საღამოსთვის ძალიან დავიღალე. აღარც გამხსენებია ჩანაფიქრი. მესიზმრა თითქოს ალიკამ მისაყვედურა, რატომ არ მოხვედი, გელოდებოდიო. გამეღვიძა, დილის ექვსი საათი იქნებოდა, სწრაფად ჩავიცვი და გავიქეცი. საფლავთან ლაშა დამხვდა ჩამომჯდარი... ჩემსავით მოსვლია... ვიჯექით ორი მეგობარი, სურათს ვუყურებდით, ვფიქრობდით სულ სხვადასხვა რამეზე. მე ჩემსას ვუზიარებდი, ის თავისას.

დასაფლავების შემდეგ ავად გავხდი, გავცივდი. სასწავლო წლის დამთავრებას ორი დღეღა აკლდა. სკოლაში რომ მივედი, დირექტორმა თვითონ გამანთავისუფლა და ცნობა რომ მოვუტანე, რად გინდაო _ მითხრა, _ მჯერაო, თანაც, თავაზიანად გამიღიმა. მარტონი ვიდექით.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს კაცი ხალხში ესე შეიცვლებოდა.

კლასში «რემონტი» მიმდინარეობდა, გაკვეთილები არც ჩაგვტარებია. ისე კი ეს რა შუაშია, საერთოდ არ მიმდინარეობდა მეცადინეობები. დიდი «დასუფთავების დღე» იყო გამოცხადებული. ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა, მაგრამ ამხანაგები მომენატრა და იმიტომ მივედი.

საკლასო ოთახთან ვიდექით, ბიჭები რაღაცას მიყვებოდნენ. დირექტორმა ჩამიარა. ფორმა რატომ არ გაცვიაო, «კურტკით» რატომ მოხვედიო. გამიკვირდა ეხლაღა რომ შემამჩნია, დილით ხომ მნახა... გაიხადე, მომეცი და სანამ მამაშენს არ მოიყვან ვერც მიიღებო. ჯიბეში სიგარეტი მედო. მშობლებს შევპირდი, დასაფალვების შემდეგ აღარ მოვწევდი. ეხლა კი... გავიხადე, თან ხვეწნა დავუწყე; მამაჩემი მივლინებაშია და ვერ მოვა, გთხოვთ დამიბრუნოთ-მეთქი. იუარა, თანაც, ყვირილი მორთო: შავი «საროჩკა» რატომ გაცვიაო.

რა უნდა მეპასუხა, თვითონ გამანთავისუფლა, არც გაკვეთილები ტარდებოდა... ბიჭებმა უთხრეს: პატივცემულო, ხომ იცით მეგობარი გარდაეცვალაო. უფრო გაცეცხლდა. ჰოდა ვინც აგდია და სადაც აგდია, გაეთრიოს და იქ იგლოვოს თავის ძმაკაციო...

არასოდეს ვყოფილვარ სამაგალითო მოსწავლე, მაგრამ როდესაც მტუქსავდნენ, თუ საცემად არ იწევდნენ, ვჩერდებოდი და ვცდილობდი არ დამერღვია უმცროს-უფროსის ზღვარი, ვინმეს არ ჩავეთვალე უზრდელად. ამ ამბის შემდეგ შევიცვალე, გავხდი მასწავლებლებთან უკმეხი, სისხლის გამშრობი, აგრესიული...

უცებ გავგიჟდი, გავცოფდი. გასარტყმელად გავექანე. იქვე მინდოდა მომეკლა, დამეხრჩო, მისი სისხლით მომერწყო იქაურობა...

ბიჭები ჩამაფრინდნენ, არ მიშვებდნენ, მოქნეულ ხელს კახა ჩაებღაუჭა. ინერციისაგან თავი ვერ შეიკავა და დირექტორს დაეჯახა, კედელზე მიანარცხა. ვიკრუნჩხებოდი, ვიკლაკნებოდი, ვცდილობდი თავის დაღწევას _ ვაგინებდი იქვე მყოფ დირექტორს, მის მოადგილეს, ყველას ვინც იდგა და მაკავებდა, ვეღარავის ვიტანდი, ვიყავით მხოლოდ მე და ალიკა. შეგვაგინეს, გაგვლანძღეს, პასუხი უნდა გამეცა, შური მეძია... ბიჭებმა წრეში მოგვაქციეს, არც იმას უშვებდნენ, არც მე მათავისუფლებდნენ. მთელი კლასი შეგროვდა, რა ვქნათო ჭოჭმანობდნენ. ბოლო-ბოლო გადაწყვიტეს, თუ არ დაწყნარდა ჩვენც დავარტყათო, ოცდახუთივეს ხომ ვერ დაგვიჭერენო. დირექტორი აკანკალდა, არ ელოდა. ყველაფერი ხომ მასზე იყო დამოკიდებული. მედალი, კარგი ატესტატი, დახასიათება... ამან ცოტა დამამშვიდა. კლასელებისაგანაც მოველოდი ასეთ თანადგომას. მიხვდნენ საშიშროებამ რომ ჩაიარა, ხელი მიშვეს. ზიზღით შევხედე, შევაფურთხე სახეში, მოსასხამი გამოვგლიჯე და ეზოში გავედი.

სასწავლო წლის დასაწყისში მოინდომა ანგარიშის გასწორება. ლაშას რაღაც შარი მოსდო. ამან უფრო გამაცოფა, მითუმეტეს, როდესაც მასწავლებლებში და განათლების სამინისტროში ჭორი გავრცელდა ჩემზე და მამაჩემზე. თითქოს ვეუბნებოდი: ლაშას შიშით, მისი გავლენით ვიქცევი ცუდად. მამაჩემმა კი ვითომდა უთხრა, _ რა ვქნა ვერა და ვერ მოვაცილე ჩემი შვილი ამ ხულიგანსო...

სასტიკად ვინანე. არა მარტო უმიზეზოდ, ვცდილობდი ავადმყოფობის გამოც არ გამეცდინა. სულ კუდში დავსდევდი, დავცინოდი, ვაშინებდი, სადმე დაგვხვდები და სულს გაგანთხევინებ მეთქი. სულ იმის ხვეწნაში იყო: აღარ იარო და ხუთიანის

ატესტატს გაგატანო, _ ვერაფრით ვერ დამითანხმა. «ჩემითაც შევძლებ ოთხნახევრიანის გატანას, თუ შემიშლი იცოდე»... ვჩერდებოდი, წარბს ავწევდი და მრავალმნიშვნალოვნად ვუღიმოდი. ფერი ეკარგებოდა, სულ იმას გაიძახოდა: ოღონდ თქვენ მომშორდით და მერე მოვუვლიო სკოლას.

შემდგომში ერთი ჩემი ახლობლის ქორწილში შემხვდა. მოშორებით ვიჯექით. ხუთ წუთში გაიპარა, რაღაც მოუმიზეზებია. გამეცინა, თავისი საზომით რომ გამზომა. ისიც ვერ მოიფიქრა, ნეფე-დედოფლის ხათრით არაფერს რომ ვეტყოდი... ისე კი, ეხლაც მიდევს გულში ბოღმა, ვერაფერი მოვუხერხე თავს, ვერ ამოვიშალე ზიზღი... ალბათ სწორედ მოიქცა, დროზე გაიპარა...

ქორწილში სხვა ძველი ნაცნობებიც შემხვდნენ. არ ვიცი ვერ მიცნეს თუ არ...

იმ დღეს სკოლიდან რომ გამოვედი, ბიჭებიც გამომყვნენ. გვერდითა სახლის ეზოში როგორც ყოველთვის საქანელებზე ჩამოვჯექით. ნელ-ნელა კლასელები დაიშალნენ. მხოლოდ ჩემი რამდენიმე მეგობარი დარჩა. თანდათან ან თითქმის ყველა მოვიდა ჩვენი ბიჭებიდან. დათო სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, თავის უბნელებით გვეწვია. ჩხუბი მაქვსო, _ გვითხრა. უცებ დავცქვიტე ყურები, გამიხარდა... პირველად ჩემს ცხოვრებაში. დირექტორი და მისი სიტყვები გამახსენდა. ავენთე, ვერ ვისვენებდი, მინდოდა მალე მოსულიყვნენ, თუნდაც «ჯარი», დარწმუნებული ვიყავი, ვცემდით. თითქოს დირექტორი და მოსასვლელები გაერთიანდნენ. მან თუ მიცვალებულს აწყენინა, ამათ ცოცხალს, ჩემს მეგობარს, ძმას. ხუთნი «გვცემენ» ჩვენ, ოცდახუთნი დავხვდით, ბევრი არ გვილაპარაკია, დავერიეთ. უმოწყალოდ ვურტყით ხელით, ფეხით, ჯოხებით, ქვებით, ერთ-ერთი ძლივს წამოდგა მუხლებზე, ისევე მივცვივდით, აღარ მცემოთო _ გვთხოვდა, ტიროდა, კანკალებდა, სახე დასისხლიანებული, დასახიჩრებული ჰქონდა, სულ ჩალეწილი, დახეთქილი. როგორ გვეხვეწა, გვემუდარა.

...თითქმის ერთდროულად მოხვდა რამდენიმე წიხლი, ჩემი პირდაპირ სახეში, უგონოდ დაეცა.

ხუთივე ასე გრძნობადაკარგული მივაგდეთ. არც შეგვცოდებია, არც გვიფიქრია საავადმყოფოში წაყვანა. სულ არ გვაინტერესებდა, გადარჩებოდნენ თუ არა.

ქორწილში ის ბიჭებიც შეგვხდნენ. სახეზე ყველას შრამები აჩნდათ. იმას _ აღარ მცემოთო, რომ იხვეწებოდა, თავზე უკანა მხარეს ერთ ადგილას თმები არ ჰქონდა. იშვიათად მინახია ესეთ ადგილას შრამი. ალბათ ჩვენი ნახელავი იყო, ჩვენი «დამსახურება».

ხშირად მიფიქრია ამ ამბავზე, გული ჩამწვია, შემზიზღებია თავი, მაგრამ ვერაფერს დააბრუნებ. არ ვიცი, როგორ გაგვივიდა დროდადრო ეს სისასტიკე. ეხლა რომ ვუკვირდები, თითქოს სკოლის დამთავრებამ გვიშველა, ახალმა ასპარეზმა, თუ ახალმა პრობლემებმა, ანდა შეიძლება.

თავი II

მენატრები...

როგორ მინდოდა ერთად ვყოფილიყავით, ცხოვრების რთული და დახლართული ლაბირინთები ერთად გაგვევლო. ძალიან მენატრები. რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ მაინც მიყვარხარ, ხშირად ვიხსენებ შენს შავ, აფორიაქებულ თვალებს. შავ, ბრიალა, ფაფუკ თმებს; უზადო, ულამზეს სახეს; მოხდენილ, მოქნეულ სხეულს; ეშმაკურ, მაცდურ ღიმილს და ჯიუტ, უზომოდ ჯიუტ ხასიათს... არა, ყველაფერს ცალ-ცალკე კი არა, ერთიანობაში, მთლიანობაში...

გირეკავ ხოლმე. ადრე სულ შენ იღებდი ყურმილს. არ გვბეზრდებოდა საათობით საუბარი. მომენატრებოდი თუ არა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გირეკავდი, გეალერსებოდი, თუმცა, ალბათ შენთვის ეს თამაში იყო. ჩემთვის კი ნეტარება, სიხარული. არაფერი მიმაჩნდა ამაზე მეტ ბედნიერებად. წარმომიდგებოდა შენი სახე, როგორ ზიხარ... ვთბებოდი, ვივსებოდი სინაზით, სიკეთით. როგორ მინდოდა მოვსულიყავი და გულში ჩამეკარი, მოგფერებოდი, მეკოცნა, თვალებს ჩავკონებოდი, მასთან მეალერსა.

ილუზიები, ილუზიები... ოცნებები... ზოგჯერ ვერც აღწერ, რატომ გიყვარს. რომ დაფიქრდე, გონებამ შეიძლება საწინააღმდეგო გიკარნახოს მაგრამ... ხშირად სულ სხვანაირი წარმოგიდგენია სატრფო. შეგიყვარდება თუ არა ვინმე, თუ არ ემთხვევა ოცნებებს, ცდილობ მიამსგავსო, ილუზია შეიქმნა თითქოს ის არის... იმიტომ რომ გიყვარს ის სულიერი, ცხადში შეხვედრილი, ის ვინც აგიფორიაქა სული, გონება და ისიც, წარმოდგენაში რომ გყავს.

ბევრჯერ მინანია. მომინდომებია ყველაფრის უკან დაბრუნება... ვიცი რატომაც მოხდა ასე. ჩემს თავს ვერ გავექეცი. ვერ გავექეცი იმას, რასაც ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, სიამაყე, პოზიცია ჰქვია. მინდოდა შენი მონა ვყოფილიყავი, მხოლოდ შენზე მეფიქრა, თავი შემომეწირა, სული და სიცოცხლე მხოლოდ შენთვის არ დამეშურებინა. ვერ შევძელი. სხვასაც ვეკუთვნი. სამშობლოს, მშობლებს, ძმას, მეგობრებს, ახლობლებს... მათაც ეკუთვნით ჩემი სული, გული, ოცნება, სიცოცხლე...

ვერ შევძელი, ვერც შევძლებდი, ალბათ ეხლაც, ამდენი ხნის შემდეგ ისევე მოვიქცეოდი, მაგრამ ვნანობ, მიყვარხარ... ჩემი ხარ, ერთნი ვართ, გეფერები, გეალერსები. არაფერი სჯობია ოცნებას, ყველაფერი ნათელია, ლამაზი, ნაირფეროვანი... რა მოხდებოდა ყველა რომ ბედნიერი იყოს... ყველა ლაღი, თავისუფალი. არ არსებობდეს მარტოობა, ბოროტება, სისასტიკე და... მენატრები.

თავი III

დათო და ვალიკო

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძალიან მიყვარს სიცოცხლის უნარიანობის გამო. შეხედავ თუ არა, რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე, ან აღელვებული იყო, დაწყნარდები, მოგეშვება, თითქოს რაღაც უხილავი ძალა განთავისუფლებს.

როდესაც ოცი წლის ხარ, შენზე ოთხი წლით უმცროსი, პატარა გეჩვენება, არის რაღაც საზღვარი. შენ, უკვე ოთხი წელია სკოლა დაამთავრე, ახალ სფეროში ტრიალებ; ან

უმაღლესში სწავლობ, ან მუშაობ. უფრო მეტი კონტაქტი გიხდება შენზე უფროსებთან. ისინი კი, ისევ თანატოლებში ტრიალებენ, უმეტესად მათი სიხარული და ტკივილი აქვთ გაიგივებული, შესისლხორცებული. გიზიდავს მათთან კონტაქტი იმიტომ რომ ახალგაზრდა ხარ, ჯერ კიდევ არ გაქვს დაკარგული სილაღე. თუმცა, გაცინებს და სულელად თვლი მათ საქციელს, მაგრამ გულის სიღრმეში თუ ჩაიხედავ, დიდი სიამოვნებით გააკეთებდი იგივეს. რას იზამ, ლექციების გაცდენა აღარაა «შატალო», აქ სულ სხვა კანონები მოქმედებს. მთავარია საბუთი გქონდეს, ოფიციალური დოკუმენტი, გაცდენას საპატიოდ რომ ჩაგითვლით. შედარებით არავის აწუხებს ივლი თუ არა, შეუძლიათ ზედმეტი ლოლიავის გარეშე მოგისროლონ. ამიტომაცაა, სულ ითვლი გაცდენილი საათების რაოდენობას. მოვა თუ არა საშიში ზღვარი, იწყებ ცნობებზე სირბილს «ჩალიჩს». სკოლაში კი დაგსდევენ, გემუქრებიან, მშობლებს იძახებენ. «შატალოზე» წასული სულ იმის ფიქრში ხარ; თუ რა მოგელის, რითი იმართლო თავი ცალკე სკოლაში, ცალკე სახლში. დროსაც რაღაც უდარდელად ხარჯავ _ სახინკლე, სახაჭაპურე, კინო. ერთი ფილმი შეიძლება ოცჯერ ნახო, შინაარსი აღარ გაინტერესებს. ლაზღანდარობით, შაყირით ერთობი შენთან ერთად წამოსულ ამხანაგებთან. ცდილობ როგორმე შეავსო გაკვეთილების დამთავრებამდე დარჩენილი საათები. დადიხარ, ბოდიალობ, მოინახულებ სხვასკოლებში ათას ნაცნობს თუ მეგობარს. შეიძლება, რომელიმე მათგანიც აიყოლიო, იმან მოიფიქროს რამე «პონტი». თუ ვინმე ახლობელს ჩხუბი აქვს, მიდიხარ მთელი «კოდლით», ელოდები დათქმულ საათს რომელიც უმეტესად გაკვეთილების ბოლოს ან დიდი დასვენების დროსაა დანიშნული. ვიღაცეები შენსავით არიან «ამოსული». არც იცი ვინაა შენიანი, ვინ მოწინააღმდეგე. ბოლო-ბოლო შეიყრება მთელი «ჯგრო» და ორი-სამი საათის განმავლობაში, ვერ გადაუწყვეტიათ, იჩხუბონ თუ არა. მოიძებნება ათასი ნაცნობ-მეგობარი ორივე ბანაკიდან, გაჩნდება ათასი გამშველებელი და იშვიათია ყველაფერი შერიგებით რომ არ დამთავრდეს. იმავე დღეს თუ დრო დარჩა, შეიძლება კვლავ, უკვე სხვა სკოლაში მიხვიდე, ისევ უაზრო აყალ-მაყალის გამო და არ არის გამორიცხული, ერთი საათის წინ ვიღაცეები შენი ახლობელის მხარდასაჭერად «ამოსულნი» ეხლა მოწინააღმდეგის გვერდით იდგნენ, ან პირიქით. თუ მაინცდამაინც იჩხუბებთ, ერთი დაძახებაა საჭირო: «ძაღლობა» _ რომ ყველა უცებ მიმოიფანტოს, მაგრამ ამ სისწარაფეში, ყოველთვის ესწრება ახალი «სტრელკის» დანიშვნა. მილიციას გაურბიხარ, ცდილობ ხელში არ ჩაუვარდე, ამისათვის ათას ხრიკს მიმართავ. თუ დროზე შეამჩნიე, რომ შენნაირებს ეძებენ, ამოირჩევ რომელიმე ახალგაზრდა, მომღიმარ დეიდას, სთხოვ, შვილად გაგასაღოს სამშვიდობოზე გასვლამდე. თუ ეს შეუძლებელია, ცდილობ გაიქცე და თუ ესეც ვერ მოახერხე, დაგიჭირეს, განყოფილებაში ყურით მიგიყვანეს, დარეკეს სკოლაში... იწყება ორომტრიალი. ყველა გლანძღავს, გეჩხუბება. იძლევი პირობას, რომ აღარ გაიმეორებ, თუ ძალიან ჯიუტი ხასიათი გაქვს, მიაშტერდები ერთ წერტილს, მიიღებ ცინიკურ გამომეტყველებას და ხმას არ იღებ.

მიუხედავად ასეთი «ბატალიებისა», ამდენი ვაი-ვიშისა, ვაი-ვაგლახისა, მომავალში კვლავ იმეორებ იგივეს. ხშირად არ იცი რატომ. ხანდახან ყველაფერი რიგზეა, არც საკონტროლო გაქვს, გაკვეთილებიც იცი, მაგრამ მაინც იპარები, თითქოს თავისუფლებას ეძებ, ან შეიძლება...

როდესაც ოცი წლის ხარ, გეცინება ყველაფერ ამაზე. შენთან დაახლოებულ «ბავშვებს» უხსნი ასეთი ცხოვრების «უაზრობას», ჭკუას არიგებ, თანაც ყველაფერს აკეთებ მეგობრული, არასერიოზული ტონით, იმიტომ რომ დედებმა, მამებმა, დეიდებმა თუ ბიძებმა უკვე დიდი ხანია გამოიარეს სკოლის ხანა, ხეირიანად არც ახსოვთ, შენ კი რაღაც ოთხი წლის წინათ იგივეს სჩადიოდი, თანაც, ერთი მომენტია: უხსნი, ეჩიჩინები, მაგრამ თვითონაც გსურს გააკეთო იგივე, დაიბრუნო სილაღე, სიცოცხლის უდარდელი სიყვარული...

ასეთ დამოკიდებულებაში ვიყავით მე და ჩემი ბიჭები დათოსთან და ვალიკოსთან. «სპილოს» ნათესავი იყო ვალიკო, დათო მისი ძმაკაცი, ლაშასაც ეკუთვნოდა შორეულ ნათესავად თუ მოკეთედ. ვალიკო უფრო ცუღლუტი და ეშმაკი იყო. სულ რაღაცას ბოდიალობდა, შაყირობდა, იტყუებოდა. «სპილო» გაწამებული ჰყავდა, ყოველდღე არბენინებდა, უნდა გავახდუნოო. მწყობრიდან ადვილად გამოჰყავდა. მეამიტი «სპილო» ადვილად ეგებოდა ერთი და იგივე «ანკესზე». ვალიკო წყნარი, გადაღლილი სახით ამოიღებდა ჯიბიდან ფულს, გაუწოდებდა, ხომ არ გჭირდებაო, _ ეკითხებოდა. «სპილო» თავიდან უნდობლად შეხედავდა, ბოლო-ბოლო დარწმუნდებოდა _ არაფერი არ აქვს ჩაფიქრებულიო, გაწევდა თუ არა ხელს, ვალიკო ფულს უცებ მუშტში მალავდა და ორ თითშუა გაჩრილ ცერს აჩეჩებდა. საცოდავი, სასაცილო შესახედავი იყო, ამხელა კაცი მისდევდა, უფრო სწორად მიგორავდა. ციცქნა ვალიკო კი დააწევინებდა თავს, დაიჭირაო რომ იფიქრებდი, უცებ გაუსხლტებოდა; ისევ აჩვენებდა გაჩრილ ცერს, ისევ გადაირეოდა, «სპილოს» ისევ გამოეკიდებოდა, მაგრამ... ბოლო-ბოლო დაღლილი, არაქათგამოცლილი, ჩამოჯდებოდა სადმე. ცოტას რომ დაწყნარდებოდა, ვალიკო მივიდოდა და შერიგებას უწყებდა, ეფერებოდა, რაღაც-რაღაცეებს ჰპირდებოდა, პირობას დებდა. ესეც სპექტაკლის შემდაგენელი ნაწილი იყო. ჩვენ სიცილისაგან ვიგუდებოდით «სპილოზე» კი, მალამოსავით მოქმედებდა.

დათო ერთი შეხედვით უფრო წყნარი სჩანდა. ვალიკოსავით ციცქნა ტანი და ცოცხალი თვალები ჰქონდა ოღონდ შედარებით სერიოზული, დინჯი; ლოყას მოზრდილი, კუპრივით შავი ხალი უმშვენებდა. ვალიკოს თუ ჩამოყალიბებული, ვაჟკაცური ნაკვთები ჰქონდა, დათოს _ უფრო ბავშვური, ფართე, გახსნილი. ვერც იფიქრებდით თექვსმეტი წლისაო. ასე თორმეტი-ცამეტი წლის ბავშვს ჰგავდა. ამიტომაც უყვარდათ გოგონებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თავისზე ოთხი-ხუთი წლის უფროსებშიც. ამას ძალიან «განიცდიდა», სულ ეშმაკურ წუწუნში იყო; ისე მიხუტებენ თითქოს ბავშვი ვიყო, მე კი მკერდში ვეკვრები, ჩემი მემართებაო _ იტყოდა და ჩამოამწკრივებდა სწორ, ქათქათა კბილებს; მაჭანკალივით გვყავდა. აბა დათო გაიგე სად ცხოვრობს, აბა დათო ტელეფონი დაგვიდგინე, აბა გაიცანი და გაგვაცანი. ათას საქმეს გვიგვარებდა, ისე კი სულ დუდღუნებდა. სერიოზულად ვერავინ «დაგაჯახეთო». ძალიან უნდოდა რომელიმე ჩვენთაგანის «უღელშებმაზე» მოსვლა. ეს სურვილი იმიტომაც უღვივდებოდა, რომ ხშირად ვიხსენებდით ლაშას ქორწილს, მაშინდელ დროსტარებას, სიხარულს, სასაცილო ფაქტებს.

სიამის ტყუპებივით, სულ ერთად იყვნენ. წარმოუდგენელი ჩანდა მათი დაშორება. სამედიცინო ინსტიტუტში გადაწყვიტეს ჩაბარება. დათოს ექიმობა სურდა, ვალიკოს არაფერი აინტერესებდა გამორჩეულად, ამიტომაც მეგობარს აჰყვა. ჟივილ-ყივილით მომაკითხეს საბუთების ჩაბარების შემდეგ, მომიყვნენ ათას წვრილმანს. ამას ასეთი სახე

ჰქონდა, იმას ისეთი, ამან ასე გვითხრა, ასე გაგვაფრთხილეს, ასეთი კაცი ყოფილა... თან ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს სულ არ განიცდიანო. მიკვირდა მათი «უდარდელობა», მახსენდებოდა ჩემი აბიტურიენტობის ხანა.

პირველ გამოცდაში ვალიკომ ხუთი მიიღო. დათომ ორი... გულშემატკივრად გავყევით, კინაღამ გავქვავდით, როდესაც გამოაცხადეს. ვალიკოს სახე მოეშალა, დათო კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, ლაღი და სიცოცხლით სავსე სჩანდა, დაამწკრივა თავისი ლამაზი, სწორი კბილები, გულიანად გადაიხარხარა და ვალიკოს გადაეხვია, გადაკოცნა, გაისად ჩავაბარებო... მშობლებმაც არ მიიღეს ტრაგედიად ეს ამბავი... გვეგონა ყველაფერი ნორმალურად... ორი დღის შემდეგ კი...

...რამ შეიძლება თექვსმეტი წლის ბიჭს გული გაუხეთქოს, თანაც ასეთი სიცოცხლით სავსეს, ორიანმა?!..

...სახე გაშავებული ჰქონდა, უსისცოცხლო... წარმოუდგენელია დათო და სიკვდილი... წინა დღეს ვნახე, შენ რომ გინდოდა, იმ გოგოს ტელეფონის ნომერს ხვალ მეტყვიანო, დაგირეკავო...

...პანაშვიდები, პანაშვიდები, ქელეხები... ვერასდროს შევეჩვევი, ვერასდროს... ამბობენ, ზოგი თურმე უცნობის პანაშვიდებზე და ქელეხებზე დადის, საერთოდ არაფერი აკავშირებს, მაგრამ... ვერ წარმომიდგენია... ან მორგში როგორ მუშაობენ.

ერთბაშად შეიცვალა ვალიკო. დანაღვლიანდა. ცოცხალი ნაპერწკლები თითქოს მეგობარს გაატანაო. გამოცდები არც გაუგრძელებია. ვცდილობდით, ხასიათზე გამოგვეყვანა... ადრე ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი, მომხდარი ტრაგედიის შემდეგ სულ გამოიკეტა სახლში. საუბრისას იშვიათად იხსენებდა დათოს, ჩვენც ვერიდებოდით. ეხლა მგონია, თითქოს გაგვირბოდა, ალბათ... ერთადერთხელ დამირეკა, რაღაც კონფლიქტი მოსვლია. სულ უბრალო რამ იყო. ძლივს გავაჩერეთ, მოკვლას უპირებდა, უმოწყალოდ ურტყა...

ჩვენი თავი გამახსენდა, ის ბიჭები, ჩემი ბოლო წიხლი, ბევრი საერთო დავინახე. ალბათ ყველამ თავისით უნდა გაიაროს ბევრი შეცდომა, რომ მიხვდეს...

შეუსრულდა თუ არა თვრამეტი, თვითონ, გამოძახების გარეშე წავიდა კომისარიატში. შორს მოითხოვა გაგზავნა. «პრავა» ახალი აღებული ჰქონდა და მძღოლად გაუშვეს. ციმბირში მსახურობდა.

ხშირად გამიგია, საფლავში ერთმანეთს არავინ ჩაჰყვებაო. ბედზეც არის დამოკიდებული, სიტუაციაზეც და კიდევ...

ვერ შევძელით გვერდში ამოდგომა, შემსუბუქება... გაგვირბოდა, ამიტომ ჩვენც... გვეგონა უარესი იყო...

იმ დღეს ამდგარა თუ არა, ბიჭებისათვის უთქვამს, ცუდი სიზმარი ვნახეო. ბევრს არასდროს სვამდა, შემდეგ ჯარის მეგობრებმა გვითხრეს, მანამდე ჩვენთან არც დაულევიაო. ჩვეულებრივი ყოფილა მთელი დღე, მოღუშული, წყნარი. საღამოს რაღაცაზე გაუგზავნიათ ქალაქში. არაყი მოუტანია. სმისას სიზმარი მოუყოლია, ყველა მეგობარი ერთ ავტობუსში იჯდნა. «რულზე» _ დათო, ხრამში იჩეხებოდნენ. ვცდილობდი ხელით შემეჩერებინა, მაგრამ ვერ შევძელიო. თბილისში უნდა წავიდეო, _ უთქვამს. ყველას ეგონა შვებულების აღება გადაწყვიტაო და... გარეთ გამოსულა. პოლკის უფროსის მანქანაზე იჯდა. «კაპეზე»-ზე გაატარეს. შეჩვეულნი იყვნენ «ღამ-ღამობით» იძახებდა ხოლმე უფროსი. ნაწილიდან გასულა თუ არა გიჟივით გაუქანებია.

მთავარ ტრასაზე, გასასვლელთან ნახეს მანქანა დალეწილი, ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ჩავარდნილა ხრამში. იქვე გატაცებული ავტომატიც იპოვეს, ორი «აბოიმით».

...ცინკის კუბოთი ჩამოიტანეს ვალიკო, გაუხსნელადვე დამარხეს. «დარიალში» ვიჯექით: მე, ლაშა, გოგი და ვაჟა. «სპილოსაც» დაურეკეთ. არავინ აიღო ყურმილი. ერთი ძველი ნაცნობი შემოვიდა, მოვიპატიჟეთ, ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა სხვათა შორის, «სპილო» ვნახეთ დღეს; ვალიკი გარდაცვლილაო ჯარში... როდესაც იმ დღეს ვიგონებ არ ვიცი რატომ, მურმან ლებანიძის ლექსი მაგონდება, რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი:

«ნელი ტანგოა» ეს ქვეყანა, გურამ!
ხომ არ იცეკვებო, _ ათასჯერ მკითხეს!..
აბასთუმანში ჭიქა არაყზე,
«გურამი დამხრჩვალაო», _
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს...
აწ გავაგონდები
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით».

ხშირად უთქვამთ, საფლავში ერთმანეთს არავინ ჩაჰყვებაო. ბედზეც არის დამოკიდებული, სიტუაციაზეც და... ჩვენც... ჩვენც ვერ შევძელით გვერდით ამოდგომა... გვეგონა... ჩვენი თავი გამახსენდა, ის ბიჭები, ჩემი ბოლო წიხლი. ბევრი საერთო დავინახე, ალბათ ყველამ...

ცუდი სიზმარი უნახია, და სანახავად წამოსულა... «ყველა ჩემი მეგობარი ერთ ავტობუსში იჯდა... ვცდილობდი ხელით შემეჩერებინა, მაგრამ ვერ შევძელი»...

თავი IV

ძმის წერილი

გამარჯობა ჩემო ძამიკო, როგორ ხარ, ძალიან მომენატრეთ ყველა. გემდური, რატომ არ მწერს ხშირად. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასჯერ, ათასჯერ, წავიკითხავ ხოლმე, არ მბეზრდება. სულ მოლოდინში ვარ. თითქოს წერილთან ერთად მავიწყდება სად ვიმყოფები და თქვენს გვერდით წარმოვიდგენ თავს... ყველა ძალიან მომენატრეთ: შენ, დედა, მამა, ბიჭები. როგორ მინდა მალე ჩამოვიდე და გავიარო თბილისის ქუჩებში. რამდენი რამე მოხდა ჩემს არყოფნაში. ყოველთვის გული მწყდება, ცუდს რომ გავიგებ. ბევრი კარგი ადამიანი დავკარგეთ. აქ, ეხლა ვგრძნობ როგორ მიყვარდა ყველა. მომღერალი თუ კომპოზიტორი, მსახიობი თუ ფეხბურთელი, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ყველა, გესმის? ბევრი აღარ დამხვდება, ვინც ჩემთვის თბილისს წარმოადგენდა, ვისი დანახვაც მიხაროდა. ადრე ამას ვერც ვხვდებოდი, ალბათ ქვეცნობიერად მქონდა აღქმული.

... დამნაშავე ვარ ძამიკო, ცოდვილი. პირველი «სროკიდან» ისე გამოვედი, ამაზე არც მიფიქრია. ეხლაც, სასამართლოს შემდეგ ჩემი თავი მართალი მეგონა... შემდგომში აღვიქვი, არ შეიძლება ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება... მითუმეტეს უბრალო

წალაპარაკება... სისულელე... კიდევ კარგი რომ გადარჩა... რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაიწყო... ისედაც მოკლე დღიანი და არავის გვაქვს უფლება, თუნდაც ერთი წუთი დავაკლოთ სხვას. რამდენი ბიჭი იღუპება ტყუილუბრალოდ ჩვენთან, რამდენი დედა უბედურდება, რამდენ ადამიანს ეხრუკება გული და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, რამდენი იდებს გულში ბოროტებას. _ მაშინ მე არ დავინდე, ეხლა თვითონ ის არ დაინდობს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. არ ვიცი რისი ბრალია ეს ყველაფერი. ალბათ, იმისი, რომ სიცრუე და უვიცობა ტრიალებს ჩვენს გარშემო. სამშობლოს, ერის სამსახურს მხოლოდ სუფრაზე ან ლაქლაქში გამოვხატავთ. სუფრა მეთქი, სადღა არის ჩვეული ქართული ადათ-წესები, უგვანო ღრეობაზე გადავედით. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ არც არავის უსწავლებია. როდესაც ამაზე ვლაპარაკობ, მარტო ოჯახი კი არა მაქვს მხელველობაში. ჩემი მეორე დაპატიმრების შემდეგ, გაზეთებმა ბევრი ილაქლაქეს ჩვენებზე. «პედაგოგის ოჯახი... სხვას ასწავლიან, თვითონ კი შვილი ვერ გაუზრდიათ... არ ჩაუნერგეს მოქალაქეობრივი, ზნეობრივი თვისებები... სად იყო ოჯახი, სკოლა, ინსტიტუტი»... ეს ყველაფერი დღესაც ფარსად მიმაჩნია, არ გჯერა ასეთი ლაყაფის. ოჯახი, ყოველ შემთხვევაში ჩვენი, არ იყო ასეთი შვილის ღირსი. მშობლებს და შენ ჩემთვის ბოროტება არ ჩაგინერგიათ. მამა და დედა ყოველთვის ცდილობდნენ ნამდვილად, საქმით ესწავლებინათ კაცთმოყვარეობა, სამშობლოს, ხალხის სიყვარული, შენში ეს შეძლეს, ჩემში კი არ გამოუვიდათ. აქამდე არ ვაქცევდი ყურადღებას სიტყვებს, უფრო სწორედ, მეგონა, რომ საქციელით არ ვეწინააღმდეგებოდი მათ დარიგებებს და ძალიან მიკვირდა, როდესაც ბრაზდებოდნენ ყოველი ახალი «ღელვის» შემდეგ. მხოლოდ ცალმხრივად მესმოდა ყველაფერი. ბევრია ჩემნაირი, ძალიან ბევრი.

რა თქმა უნდა, ოჯახსაც აქვს ბავშვის აღზრდაში მნიშვნელობა, მაგრამ ჩემნაირები საზოგადოების პროდუქტი არიან, თაობის ტიპიური წარმომდაგენლები. მშობლებს რაც არ უნდა ექნათ, მაინც ასეთი ბედი მეწერა. როცა სახლში სიკეთისკენ გიბიძგებენ ხელს, ხოლო გარეთ გამოსული ხვდები ამდენ ტყუილს, ფორმალიზმს: ვეღარ არჩევ სიტყვებს, აიგივებ იმას, რასაც მხოლოდ «მოვალეობის» მოხდის მიზნით გაჰყვირიან და იმას რაც კეთილმა, სათნო ხალხმა დაგარიგა.

შედეგები ბევრადაა დამოკიდებული პიროვნებაზე. ამიტომაც, ერთნაირ მდგომარეობაში აღზრდილები, ასე განსხვავებულები გამოვედით. შენ, ამ ჯაჭვიდან, რომელიც ორი მთავარი რგოლისაგან შედგება ოჯახი და საზოგადოება, ერთიც გეყო, მე კი არა. უმეტესად გადაგვარებულ ტრადიციებს, პრაქტიციზმით და სისასტიკით გაბოროტებულ ქვეყანას ავყევი, ამიტომაც დავისაჯე.

დასჯა, ეს მარტო პატიმრობა კი არ არის, ასე თუ ისე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, მითუმეტეს მეორედ მოვხვდი აქ და ბევრზე კარგ პირობებში ვიმყოფები. როცა ამ სიტყვებს ვამბობ, სულიერი წამება მაქვს მხედველობაში. არც ისე გამოვა, თითქოს ჩემი მდგომარეობა საზოგადოებას გადავაბრალე, რაც ვთქვი თაობას ეხება და არა მე...

მსჯელობისას ჩემი ისტორია იმიტომ გამოვიყენე, რომ ძალიან ჰგავს უმეტესობის. ადრეც გითხარი, ტიპიურია. საერთოდ კი, როდესაც ცალკეულ პიროვნებაზე საუბრობ, არ შეიძლება მისი საქციელი, გლობალური, საერთო კანონებით განსაზღვრო. როდესაც ბურთს ჰაერში ვისვრით, მის პარამეტრებს ნიუტონის კანონით ვსაზღვრავთ, ხოლო მაკრო სამყაროსას აინშტაინის ფორმულით. ჰმ, ძალიან გადავვარდი ფილოსოფიაში...

შეიძლება ვმეორდები მაგრამ... ჩემი უბედურება, ალბათ შინაგანი ინტელექტის დაბალ დონეშია. ორივე ერთნაირად გავიზარდეთ, ერთ ოჯახში, ერთ სახლში, ერთ უბანში, ერთ ქალაქში. ცხოვრების გზებმა კი, მე აქით გადამისროლა: თითქოს, ერთი შეხედვით შენნაირად ვცხოვრობდი: მიყვარდა და ეხლაც მიყვარს ახლობლები, მეგობრები, ოჯახი, მშობლები. ორივეს არასდროს მოგვსურვებია ვინმეს დაჩაგვრა, წამება, თავის განდიდება, არც შენ პატიებდი შეურაცხყოფას, თავსაც იცავდი, მეგობრებსაც. მაგრამ არასდროს იყავი ულმობელი, სასტიკი. ალბათ ჩემს ადგილას ორივე შემთხვევაში შენც იჩხუბებდი, განსხვავება იმაშია, რომ არ დაასახიჩრებდი, სასიკვდილოდ არ გაიმეტებდი, სიცოცხლით სავსე ადამიანს...

იცი, პირველად თანაკლასელის ცემისათვის დამაპატიმრეს, იმიტომ რომ ორივეს ერთი და იგივე გოგო გვიყვარდა. ერთხელ, ერთად დავინახე, გავბრაზდი, იმანაც ნიშნის მოგებით გადმომხედა. სულ ეს გახდა საკმარისი, ქვა რომ ამეღო და თავში ჩამერტყა, ბედი მწყალობს _ გადარჩა. თუმცა მთელი ცხოვრება თავის ტკივილები შეაწუხებს. სასამართლოზე მონანიების მაგივრად გულში ბოღმა მედო. ვფიქრობდი, გამოვალ და კვლავ ვცემ მეთქი. მეორეჯერ უბრალო წალაპარაკებისათვის დანა ვიხმარე... კვლავ ბედმა გამიღიმა... მე კი, მაგრამ იმას... ალბათ ისიც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, სულ ორ სანტიმეტრში გაუარა გულთან...

თავი შეგაწყინე, ყველაფერი ეს შენ თვითონ... რა ვქნა, ვინმეს მინდა გავუხსნა გული, ძალიან მამძიმებს ცოდვები...

ჩემმა ასეთმა თავგასულობამ დაუმოკლა სიცოცხლე ბაბუას და ბებიას. იმათთანაც ვგრძნობდი უდიდეს დანაშაულს. გახსოვს რა ბედნიერი ვიყავით?! როგორ ვუყვარდით... პატარაობისას ისე არ დავიძინებდი თუ ბაბუა სახლში არ იყო. მოვიდოდა, შემისვამდა კისერზე, შემომატარებდა მთელ სახლს... ბებია... დადგამდა ორ «ტაშტს», ერთში რომ დამბანდა, მეორეში გადავყავდი. მეტყოდა ხოლმე «აბა გადადი, ბებიკო გენაცვლოს...

რითი გავახარე... დროზე ადრე მოტყდნენ. ჩამოვალ და საფლავის ქვებსღა თუ მოვეფერები... შემეძლო ბედნიერნი...

დედა და მამა, რამდენი ცრემლი მახსოვს მათ თვალებში, რამდენი დამცირება და ლანძღვა-გინების მოთმენა და ატანა მოუხდათ...

შენ, სასამართლო... რამდენი ნაღველი გქონდა თვალებში. მე შტერი ვიჯექი მილიციელებს შორის და თვალს გიკრავდი. ისე ვიქცეოდი თითქოს არაფერი მომხდარიყოს. პირველად გნახე ატირებული. ვერ წარმომედგინა თუ ჩემი ვაჟკაცი, უფროსი, საამაყო ძმა, ყველას რომ უყვარდა, ყველა რომ პატივს სცემდა, ვისი სახელიც ყოველთვის მფარველობდა, ვისიც ყველაზე მეტი მეხათრებოდა და მეშინოდა, იტირებდა... პირველად შეიძლება მაშინ ვიგრძენი დანაშაული... ჰმ, იცი როგორ მეშინოდა შენი? დაგინახავდი თუ არა სკოლაში მოსულს, უცებ ვწყნარდბოდი, ვიკუნტებოდი, ვიქცეოდი «მამა-აბრამის ბატკანივით». სულ იმის შიშში ვიყავი, ცუდი რამე არ ეთქვათ, ან ჩხუბის დროს თავზე არ წამომდგომიყავი. მახსოვს ერთხელ დამიჭირე, ჩვეული სისასტიკით «ვალამაზებდი» მე და ჩემი ამხანაგი ვიღაცას. ცხოვრებაში პირველად სილა გამაწანი, არ მწყენია, პირიქით, დიდი ხნით არ გამებუტოს მეთქი, თან თავს ვიწყევლიდი _ წინდაუხედაობის გამო, ჩემი ამხანაგი გაგექაჩა, არ გიცნობდა. როდესაც ვუთხარი ვინ იყავი, ისიც კატასავით აიწურა... მინდოდა

ყველაფერში გგვანებოდი, ინტელექტი არ მეყო... ბუნებამ... მოქმედებებში გბაძავდი, გულით კი...

ისევ თავს გაწყენ, ხასიათი გაგიფუჭე ალბათ. მოვრჩი ამაზე. დანარჩენი ჩამოვალ და მერე.

კახას, გურამის და ნურიკას ჯარის მისამართები გამომიგზავნეთ, ყველაზე მომწერე როგორ არიან, მარტო ჩემ ბიჭებზე კი არა, შენებზეც. სთხოვე ერთი-ორი სიტყვა შემაწიონ, რამდენი ხანია არაფერი მიმიღია მათგან. დედამ შემატყობინა ლევანიმ ცოლი მოიყვანაო, ჩემს მაგივრად მიულოცე. ერთი კი უთხარი, რა ნამუსით, რაც თავი მახსოვს სულ ერთად დადიოდნენ და ძმასავით იყვნენ, როგორ შეძლო, რა გულით, არ შერცხვა?.. გამოვითვალე, მათი პატარის დაბადება, ჩემს ჩამოსვლას უნდა დაემთხვეს (თუ ადრე გაჩნდა კაცობრიობას ახსოვს შვიდთვიანებიც). ჩემი სახელით ახალგთზრდა დედას ვარდები მიართვი. ლაშას პატარა დამიკოცნე, ბადუკას და «დრაკონის» პატარები მომიკითხე. მათი ფოტოებიც გამომიგზავნე.

ბოლოს მინდა ყველას ჯანმრთელობა და ბედნიერება გისურვოთ. ყველა ჩაკოცნე ჩემს მაგივრად. ეჰ... ძალიან მომენატრეთ...

ჰო, სულ დამავიწყდა, გეხვეწები, სოსოს დაურეკე და ჰკითხე; ბოლო-ბოლო «სპარტაკი» წაიკითხა თუ არა. ძალიან ვწუხვარ, თუ გახსოვს ექსკურსიაზე ვიყავი კლასთან ერთად ბათუმში, სოსო ამეკიდა, წვიმიანი ამინდები იყო. ძალით დავაჯინე, თანაკლასელ გოგონას «სპარტაკი» ჰქონდა წამოღებული, შევაჩეჩე და ვუბრძანე წაეკითხა «დაჩის ზღაპრების» შემდეგ წიგნი არ გადაუშლია. საკვირველი რამ მოხდა. ინტერესით «დაეწაფა» მაგრამ, რისი სოსოა, თუ თავისი არ ჰქნა, ორი ფურცელი დატოვა, არ მაინტერესებსო, გამოიდარა და... რას არ შევპირდი არაფერმა არ გასჭრა, დაურეკე სანამ ჩამოვალ წაიკითხოს. შეჰპირდი ასეთ საშინელებას აღარ გთხოვს არასდროს-თქო. თუ ჩემი ხათრი აქვს... გკოცნით ყველას, შენი ძამიკო!

P.S. არავისთვის მიმიწერია. ინგლისურში დავიწყე მომზადება ძველ «ვალიუტჩიკთან». გიტარაზეც ვისწავლე დაკვრა. რომ ჩამოვალ სამსახიობოზე მინდა ჩავაბარო. ვემზადები კიდეც. ერთი ნაკლებადცნობილი მსახიობი, მაგრამ სახელგავარდნილი აფერისტი «მამზადებს». შენ როგორც ვიცი მიატოვე პირველი დიპლომი და პროფესია, კინორეჟისორობას აპირებ. მე «ბელმონდოზე» ნაკლები არ ვიქნები ძამა, შენ «ფელინიზე». ჩამოვალ, ჩავაბაროთ და ჩვენ მშობლებს, სხვა სიკეთესთან ერთდა ორი «ბეზდელნიკიც» ეყოლებათ. ვიღოთ ფილმები და ვიყოთ ასე ჩემო «ფელი».

მამა და დედა რომ წამოვლენ ჩემსკენ, სადმე ინგლისურის თვითმასწავლებელი იშოვე და გამოატანე. შენი არ მწყინს, რომ არ მნახულობ, ვიცი გიჭირს ჩემი აქ დანახვა. მეც უხერხულად და ცუდად ვიგრძნობ თავს...

კიდევ ერთხელ გკოცნის შენი ძამიკო!

თავი V

ღუღუ

მე მგონი მეექვსეში ვიყავით, ერთმანეთი რომ გავიცანით. ზუსტად აღარ მახსოვს. ეს ის ხანაა, როდესაც ძალიან გინდა დაემსგავსო «უფროსებს». გგონია, რომ ბედნიერები და თავისუ ფლები არიან. ისინი წარმართავენ შენს ცხოვრებას, გასწავლიან, მიგითითებენ, გაძლევენ უფლებას ან არა... არც გესმის შენზე უფრო შებოჭილები, უხილავი ძაფებით, რომ არიან დაბმულნი. ძაფებით კი არა, თოკებით, რომელთა გაწყვეტა წარმოუდგენელია, რაც არ უნდა ეცადო, რომელიმესაგან მაინც თუ გაინთავისუფლე თავი, მეორე უფრო მწვავედ მოგიჭერს და შეიძლება დაგაშთოს კიდეც. ზუსტად არც მახსოვს ვის აქვს ნათქვამი. რომ არაფერი არ არსებობს დედამიწის კანონზე ძლიერი, არაფერი... თანდათანობით ხვდები რა ყოფილა ბუნების მიერ მონიჭებული თავისუფლება: რაც უფრო გაითვითცნობიერებ, მით უფრო გშორდება, მიქრის. ბავშვობისას კი შედარებით თავისუფალი ხარ, რადგანაც არ გესმის ბევრი რამ, არ უფიქრდები და ამიტომაცაა მოქმედებები უფრო ლაღი. თუმცა ინსტიქტურად, უნებლიედ ეწინააღმდეგები შენს ბედნიერებას. თავისუფალი სული ვერ იტანს ვიღაცაზე, თუ გინდ მშობლებზე, დამოკიდებულებას, უნდა თვითონ გადაწყვიტოს ბედი და ვერ წარმოუდგენია, რომ ამით ბევრ რამეს დაჰკარაგვს.

ცხოვრება წინ მიდის, უნდა განვითარდეს, გაიარო ათასი გზები და როდესაც მიაღწევ პატარაობის ოცნებას _ თვალი გეხილება, ზოგს ისევ ბავშვობაში უნდა დაბრუნდეს, გაიხანგრძლივოს «უფასო» თავისუფლება. მე კი არ მინდა! არ მინდა გავიმეორო ძველი, თუმცა, ხანდახან ნოსტალგია მიპყრობს.

ვცდილობ ავიდე თავისუფლების ახალ მწვერვალზე და იქიდან შევხედო ცხოვრებას განვლილს, მომავალს, ჩემსას, ახალშობილისას, სხვისას, ვიღაცისას... ესეთი რამ წამიერად ხდება, რადგანაც კვლავ უნდა ეძებო ახალი მწვერვალები, მაგრამ მაინც ბედნიერად თვლი თავს, იმიტომ რომ «თუგინდ გულსაკლავს, სამარცხვინოს აღარ გაიმეორებ. სხვისასაც ეცდები დაანახო იქიდან აღთქმული, განცდილი. დაანახო და არა «ასწავლო», უბრძანო, იმიტომ რომ მაშინ გახდები შენი აზრების მონა, თუნდაც გენიალურის. გიჩნდება დიქტატის სურვილი, ეს კი ნიშნავს, ვეღარ გინახავს სხვა მწვერვალი, დაღლილხარ, დაუძლურებულხარ, ამპარტავნობა კი, ძველ ადგილს გატკეპნინებს. მინდა შეამჩნიონ იგი, შეაფასონ და დაგაფასონ... რაღაც მომენტში შეიძლება შეძლო კიდეც ჭკუით, დაშინებით, ძალით, მაგრამ ბოლო-ბოლო აღმოჩნდება ყველაფერი. გაირკვევა რომ მწვერვალი ნაფლეთებად დაგიშლია, აღარაფერი დარჩა. შეიძლება უფსკრულადაც გექცეს და რაც უფრო ფანატიკურად ხარ შენს იდეებში დარწმუნებული, მით უფრო დიდია ქვესკნელის სიღრმე... ბავშვობისას კი, თავისუფლების მოსაპოვებლად უბრალო ხერხს მიმართავ. ცდილობ უფროსებს დაემსგავსო, დაბადებიდანვე იმეორებ მათ მოქმედებებს, კარგს თუ ცუდს. რადგანაც კარგი თვისებების აღთქმა უფრო ძნელია, ეჩვევი ბუტაფორულ გადატანას. ასე დავიყწეთ მოწევა, სმა... სუფრა კი არ გვიტაცებდა, ქართული სუფრა _ აკადემია, არამედ ღვინო, ჭიქაში ან ყანწში ჩასხმული ღვინო... მაშინაც ასე იყო. დაჯდომის წინ წავიტრაბახეთ, მოვყევით ჩვენი «ლოთური» თავგადასავლები და რამხელა «ტრავმა» განვიცადეთ, დასალევი, ლიმონათის და ბორჯომის მეტი რომ არაფერი დაგვხვდა. უკმაყოფილოდ ვჩურჩულებდით: ეს რა გვიყვეს, რა ტყუილად ვაცდენთ დროსო. ამ ჩოჩქოლში დათოსთან და «დრაკონასთან» ერთად «ჩანგალზე» ამოსული ბიჭი გამოირჩეოდა, მიკვირდა, ასე უდარდელად რომ «გადაიტანა» ყველაფერი. ახლო გაცნობის სურვილი

გამიჩნდა. ცეკვისას განმარტოვებით იჯდა კუთხეში, სავარძელზე. მივედი და გამოველაპარაკე. არც მახსოვს ზუსტად რაზე ვისაუბრეთ. ალბათ ერთმანეთის აზრები დავზვერეთ. «შარაფის» ბოლომდე გაგრძელდა ჩვენი მუსაიფი. მოგვეწონა ერთმანეთი. მე ყოველ შემთხვევაში ძალიან. ჩვენზე ერთი წლით უფროსი იყო და «შავ» საქმეებში უფრო გათვითცნობიერებული. ალბათ ამანაც იმოქმედა. შემდგომში დავმეგობრდით. ღუღუ, დათოს და «დრაკონის» ბავშვობის ძმაკაცი იყო და ამანაც შეგვიწყო ხელი. ნელ-ნელა ჩვენი წრეები გაერთიანდა, ყველა ერთმანეთს დაუახლოვდა, დაუმეგობრდა, დაუძმაკაცდა, ერთად დავდიოდით «შარაფებში», საჩხუბრად, «შატალოებზე».

ძალიან რბილი, თბილი ხასიათი ჰქონდა ღუღუს, ყოველთვის მიწევდა გული მისკენ. უყვარდა ერთგულებაზე საუბარი. ბუნებით იყო ესეთი. შეგეძლო ყველაფერში დაყრდნობოდი, როგორც საკუთარ თავს. არასდროს არც თუ გიღალატებდა, გულშიც კი არ გაივლებდა.

პირველ კურსზე ალპინიადაზე წავიდა და უზომოდ შეუყვარდა მთები. ალბათ კავკასიონზე მწვერვალი არ დარჩა, რომ არ «აბობღებულიყო». ისედაც დინჯი, უფრო უტყვი გახდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს რაღაც აწუხებდა და ვერ ამბობდა, გულში იკლავდა. რაიმე ვანდალიზმზე, ან ბოროტებაზე როცა ჩამოვარდებოდა საუბარი, არ ერთვებოდა, ნაღვლიან და ფარულ სევდას გადმოგვდებდა. თუ კოკა იქ იყო, იმედიანი თვალებით მიაპყრობდა მზერას, თითქოს ყველაფერში ეთანხმებაო.

გვეშინოდა ამ ხეტიალში რამე არ დამართოდა. ვეჩიჩინებოდით, რა გინდა რომ დაბორიალობ, დაეტიე შენს ადგილსო. კოკას გარდა, ყველა ამ აზრის ვიყავით. დათომ «მწვერმალომანი» შეარქვა. ლაშამ «მწვერვალგოლიკად» მონათლა. ჩიჩინს რომ მოვრჩებოდით, გაგვიღიმებდა და გვეტყოდა: «ქვეყანას ზემოდან მინდა გადმოვხედო». კოკას გარდა, ამ სიტყვებს ყველა შაყირად ვიღებდით. სულ ეხვეწებოდა წამიყვანეო. ღუღუ ყოველთვის რაიმე საბაბით იცილებდა, ათას მიზეზს მოიყვანდა. ჩვენც გვითხოვია ხანდახან, მაგრამ... ეხლა ვხვდები დაკარგვის ეშინოდა, ჩვენი დაკარგვის...

მეხუთე კურსზე ვიყავი, შეყვარებული ვარ და ცოლი მომყავსო რომ გამოაცხადა. სარძლოც გაგვაცნო, ძალიან მოგვეწონა, მალე დავრწმუნდი, არჩევანში არ შემცდარა.

ცოლის მოყვანის შემდეგ, იმედი გაგვიჩნდა, მთებს თავს დაანებებდა. არაფერმა გაჭრა. პატარა რომ გაუჩნდათ, მაშინ ძლივს დავიყოლიეთ. ოღონდ ერთი პირობით: ამ ზამთარს უშბაზე ავალ და მოვრჩებიო... საბოლოოდ გადმოვხედავ ქვეყანას ზემოდანო...

წასვლის წინა დღეს კოკასთან შევიკრიბეთ: მე, ღუღუ, ლაშა, «ზღარბა» და ირა. ღუღუ ხშირად იმეორებდა საყვარელ ფრაზას «ქვეყანას ზევიდან მინდა გადმოვხედო»...

ახალი წლის ღამე იდგა, იწყებოდა წელი 1986.

თავი VI

კოკა

იშვიათად ნახავთ კოკასნაირი ადამიანებს, მათ არ გააჩნიათ ილუზიები საკუთარ თავზე. არც კარიერა იტაცებთ და არც ფული. სულერთია რას იტყვის სხვა, უფრო მეტად მორალური კანონების დარღვევის ეშინიათ, ვიდრე იურიდიულის. ყოველთვის

კრიტიულად აფასებენ თავიანთ საქციელს. სრულიად უმნიშვნელო დანაშაულსაც კი, საოცრად მწვავედ განიცდიან, თავს ისჯიან, ეწამებიან. ამის გარდა, კაცობრიობის, თავისი ერის და მიწის, ახლობლების, თუ უცხოთა ტკივილი გათავისებული აქვთ. ფიქრობენ, ოცნებობენ და გულს იხრუკავენ ყველასთვის, ყველას მაგივრად. მტერიც კი, მათ ოცნებებში ჰკარგავს ბოროტ სახეს, ხდება ლაღი, ბედნიერი, თავისუფალი. მთელი მსოფლიო ცხოვრობს სიკეთით, ყველა გულისხმიერია, ყველა ცდილობს ერთმანეთის შველას, დახმარებას. დედამიწა, პატარა, ლამაზი და მყუდრო სახლი, აღარ ნადგურდება, აღარ ინგრევა, აღარ იწამლება და ჩანაგდება...

მათი ბუნება სევდიანია. ზოგს კოკასავით დროდადრო მხიარული ნიღაბი აუფარებია, ხალხში არ ავლენს გულისტკივილს, მაგრამ ახლობლები ამჩნევენ მათ სიცილშიც, მხიარულობაშიც სევდას, უსაზღვრო სევდას...

მარტოობა უყვართ. ამ დროს ისინი განგების მიერ მინიჭებულ ოცნების ნიჭს აღვივებენ. ჰკარგავენ ამქვეყნიერების აღთქმას და როდესაც ცხოვრების მწარე კანონებს შეეჩეხებიან, ცდილობენ იპოვონ ისეთი პიროვნება, ვინც გაუგებს, გულთან მიიღებს მათ სატკივარს. ეჭვიანები და უნდობლებიც ხდებიან. უნდობლები იმის გამო, რომ ეშინიათ დაცინვის. ეჭვიანები კი იმიტომ, ყოველდღე ძალიან ძნელია, თითქმის აუტანელი, მათი მოსმენა «უაზრო», ფუჭი, ოპტიმისტური ოცნებები და ამასთან ერთად პესიმისტური განწყობილება ყველას ღლის, ნერვებს უშლის, თავიდან, ერთვები მათ ჩვეულ სამყაროში, გიყვარდება ესეთი ხალხი, შემდეგ კი იღლები, გადადიხარ შენს პრობლემებზე და ცდილობ თავიდან მოიცილო, დაივიწყა მწარე ფიქრები, კვლავ გამხიარულდე, მოიტყუო თავი.

ბუნებით კეთილნი და უანგარონი ცდილობენ ბოროტება არ ჩაიდინონ. ამიტომაც ერიდებიან ვინმესთან კონფლიქტს, მაგრამ თავისდაუნებლიეთ ყველაფერ წყენას დიდხანს იმახსოვრებენ, გულში ინახავენ. თუ აფეთქდნენ, ერთდროულად აფრქვევენ ტემპერამენტს. არავის ვუსურვებდი, ამ დროს, მათ ხელში ჩავარდნას. ანგარიშმიუცემლები, სასტიკები და ულმობელნი ხდებიან. დროთა განმავლობაში, როცა დაწყნარდებიან, რცხვენიათ ჩადენილის, ნაღვლიანდებიან, ნანობენ, განიცდიან, იხსენებენ ყველაფერ ცუდს, უმნიშვნელოსაც კი, თუ გინდ ადრეულ ბავშვობაში რომ გაუკეთებიათ, თავს ადარებენ ყველა სულძაღლს. ამით უფრო და უფრო ზიზღდებათ საკუთარი თავი. ირწმუნებენ, რომ არაფრით განსხვავდებიან სადისტებისაგან, ავხორცებისაგან, ფლიდებისაგან, ვანდალებისაგან. ესეთ განცდებს ზოგი თვითმკვლელობამდე მიჰყავს, ზოგს კი, რაღაც იდუმალი ძალა აჩერებს, ტოვებს ქვეყანაზე და აცოცხლებს განგებისაგან მინიჭებულ დრომდე... ამიტომაც აქვთ ყოველთვის სევდიანი თვალები. მხიარულობენ თუ ერთობიან, მაინც განიცდიან უზომო მარტოობას. ხშირად შუა დროსტარებაში, ქეიფში, ახსენდებათ რამე, გაუფუჭდებათ ხასიათი და... ძნელია მათ გვერდით ყოფნა, ძნელი. ის სიყვარული, რაც თავიდანვე გესახება, არ იქარწყლება, არ იშლება, მაგრამ მაინც ცდილობ აღსარების მოწმე არ გახდე.

ერთხელ ექსკურსიაზე ვიყავით კახეთში, რომელიღაც ეკლესიის ნანგრევებთან გავათენეთ ღამე. დილით ჩავედით, მწვადების შესაწვავი ცეცხლი დავანთეთ, არ გვინდოდა ზიანი მიგვეყენებინა ჟამთა სიავისაგან, თუ ვანდალი წარწერების მოყვარულებისაგან დაბერებული კედლებისათვის. ეკლესიის ნანგრევებს ვიღაც მოხუცი ქალი უვლიდა, როცა დაინახა, რომ არ ვაპირებდით იქაურობის გაჩანაგებას, მოვიდა,

მოგვეხმარა კიდეც. შემდეგ, დაგვლოცა, გვისურვა იქაოების მშენებლებივით, დამცველებივით მადლიანი, გულუხვი, ავკარგიანი და ვაჟკაცური ვყოფილიყავით. შეგვიქო საქციელი, გახსოვდეთ მამა-პაპათა სახელი, ვისი მოდგმა ხართო და წავიდა. ღვინო მალა მოგვეკიდა. სადღეგრძელოები ითქვა ისეთი, ეხლაც მიტრილებს თავში. იმწუთებში ჩვენში წინაპართა სული მართლაც ტრიალებდა. ვიღაცეებიც მოვიდნენ. გავიხედეთ და... ტანზე გაიხადეს. «ზაგარს» იღებდნენ, შვიდნი _ ორი ქალი და ხუთი მამაკაცი, ოთხნი ჩამოსულები ჩანდნენ. ერთ-ერთი მანდილსანი ეკლესიის ხავსმოდებულ კედელზე წამოწვა. ასევე გაშიშვლებული და ზურგმიფიცხებული, სამი ჩვენი თანამემამულე უმშვენებდა გვერდს. პირველად «ზღარბამ» შეამჩნია ყველაფერი. თითქმის ერთდროულად წამოვიშალეთ ყველანი. გვინდოდა... კოკამ გაგვაჩერა. მივიდა, წყნარად უთხრა რაღაც. მამაკაცებმა ჩაცმა დაიწყეს, ქალებსაც ჩასჩურჩულეს რაღაც ცოტა უკმაყოფილო სახით, მაგრამ მათაც გადაიცვეს კაბები. კოკამ ყველა სუფრასთან მოიპატიჟა. ისევ გაუმეორა ადრე ნათქვამი: არ გეწყინოთ, ჩვენი მამა-პაპათა სისხლის, ჯაფის, საფლავების პატივისცემის გულისთვის გთხოვეთო ჩაცმა. თანაც სამარხზე იყავითო წამოწოლილიო. შემდეგ, სამშობლოს სადღეგრძელო წარმოთქვა. მოკლედ დალოცა ორი ერი. მათი მიწა-წყალი, წარსული, აწმყო და მომავალი. სიტყვის ბოლოს იმ სამს მიუბრუნდა, ბოდიში მოუხადა სტუმრებს. ერთ-ორ სიტყვას ქართულად ვეტყვიო. უსაყვედურა, არ უნდა შეგშლოდათო. ალავერდი საფლავზე რომ იწვა იმასთან გადავიდა. იმანაც ისაუბრა სამშობლოზე, მიწა-წყალზე, ერზე. აიქაფა ენა, ლექსით დაასრულა სადღეგრძელო. ბოლოს მოიბოდიშა, ჩემი ძმა მოსკოვში დისერტაციას იცავს, იმის პროფესორები არიან და უარი ვერ ვუთხარით, ჩვენც შეგვრცხვა, არ გვინდოდა მაგრამ... ავყევით კიდეც, «წყენა» რომ არ შეენიშნათო. გვსურს პატივნაცემები გავუშვათ, თქვენ კი ნამდვილად სწორედ მოიქეცით, ჩვენ რაც არ შეგვეძლო გვეთქვა, უთხარითო დარჩენილმა ორმა, «თანამემამულებმაც იგივე გაიმეორეს, აიქაფეს ენა და ბოლოს ასევე ბოდიშობით, ტყუილი მონანიებით იმართლეს თავი.

არაფერი გვითქვამს. უბრლოდ მტრული იერი დაგვეტყო. კოკასაც მოეშალა და უფრო აემღვრა სახე, ძარღვები დაეჭიმა, გაცეცხლდა... სტუმრებმაც შეგვაწიეს სიტყვა. მიუჩვეველები იყვნენ სადღეგრძელოს თქმას. ძლივს დაალაგეს აზრები და რაღაც შეაკოწიწეს. თუმცა ეტყობოდათ ყველაფერს გულით ამბობდნენ, რა ვიცი... ბოლოს სინანულით მოიბოდიშეს, ვერ მოვიფიქრეთო... ინტელიგენტი ხალხის იერი ჰქონდათ. მე მგონი, მართალა შერცხვათ. უხერხულად იგრძნეს თავი, ნაუცბადევად ისევ მოიბოდიშეს, ჩასხდნენ მანქანებში და წავიდნენ.

მალე, ისევ მარტონი დავჩით. ყველაფერი კალაპტოში ჩადგა. მოხუცმა გამოგვაკითხა. 100 წლის ქმარი ხელმკლავით რომ გამოიყვანა მანაც დაგვლოცა, შეგვაქო, თქვენნაირი ბიჭების იმედით ვტოვებ ქვეყანასო...

საღამოხანს, ღვინო ძალიან მოგვეკიდა. «აირია მონასტერი». ვლაქლაქებდით, ვიცინოდით, ვმხიარულობდით... თავიდან კოკაც აგვყვა, შემდეგ ერთი თქვა, _ არ შეიძლება პატივი ვცეთო და გავიდა. ყურადღება არც მიგვიქცევია. კარგა ხნის მერე შევამჩნიეთ, ეკლესიიდან რაღაც ჩურჩული ისმოდა. შევიხედეთ, კოკა მუხლებზე იდგა, ტიროდა და ბუტბუტებდა: _ ღმერთო, თუ არსებობ ამ ქვეყანაზე, შეუწყალე ყველას ცოდვები, მე დამსაჯე, მე... მაგათ უნებლიეთ მოსდით, მე კი... მე ვარ ყველაზე დიდი ცოდვილი, მე დამსაჯე ღმერთო... მამა-პაპათა ნაჯაფარი სხვისაგან დავიცავი, მე კი...

ისინი არ არიან დამნაშავენი, ვიცი, გულით უყვართ აქაურობა, პატივს სცემენ, უბრალოდ არ ესმით... უნებლიეთ, უნებლიეთ მოსდით... მე დამსაჯე ღმერთო, მე დამსაჯე. ამ ქვეყნიერადაც თუ არსებობ, იმქვეყნიურადაც! იქაც მე, მე დამსაჯე!..

თავიდან გაოგნებული ვუყურებდით. შემდეგ, რომელიღაცას გაეცინა. ყველას ისტერიული ხარხარი აგვიტყდა. კოკა გაშრა. გადმოგვხედა, მოიღუშა, ბოლო-ბოლო თვითონაც გაეცინა... დუმდა, ქეიფი ჩვენთან ერთად აღარ გაუგრძელებია. ჩაძვრა საძილე ტომარაში და თავი მოიმძინარა.

ერთხელ რუსთაველზე გამოვიარეთ, კოკას საყვარელი ცაცხვი მოჭრილი დაგვხვდა. საცოდავი სანახავი გახლდათ იქაურობა. დღესასწაულის წინა დღეები იყო. ვიღაც «ჭკვიანს» უფიქრია, ხელს შეგვიშლისო დემონსტრაციაში და მოჭრა...

თავიდან ისე, სხვათა შორის ვთქვი: ამის გამკეთებელს, ნახავ მალე მოაძრობენ. არ ვიცი, ის მოხსნეს ვისი იდეაც იყო, თუ შემსრულებელი. ყოველ შემთხვევაში, მართლაცდა მალე ატყდა ერთი ამბავი გაზეთებში, პანღურით მოისროლეს ვიღაც.

კოკამ ნაღვლიანად მიიღო ეს ყველაფერი. რა მნიშვნელობაღა აქვს ვინმეს მოხსნასო, _ თქვა. მთელი დღე თბილისის ძველ უბნებში ვიბორიალეთ. ორივე წყნარად, უჩუმრად, სევდანარევი თვალებით ვეფერებოდით იქაურობას. შემდეგ, ღუღუს გავუარეთ და ჩემთან წავედით. მარტო ვიყავით შინ. ბევრი ვილაპარაკეთ იმ ღამეს. ღუღუმაც ამოიდგა ენა. ვსაუბრობდით იმაზე, რომ სამშობლოს სამსახური ნელ-ნელა იცვლება სიტყვებით: სამსახური, საქმე, საშოვარი, სიყვარული _ პროსტიტუციით, სუფრა _ ღრეობით. ვთქვით, რომ არ ვიცით ადათ-წესები, ტრადიციები, ვკარაგვთ კოლორიტს, სინდისს, ნამუსს, ვხდებით გაუმაძღრები და საზოგადოებაში მდგომარეობისათვის, თუ ფულისათვის ჩავდივართ ათას სიგლახეს, საზიზღრობას, ვაჩანაგებთ და ვაპარტახებთ ჩვენს მიწა-წყალს. რამდენი ხეობა, ტყე, ისტორიული ძეგლი დავკარგეთ, ვითომდა სარგებლობისათვის. თავს ვირწმუნებთ, რომ ასეა საჭირო. შემდეგ კი, აღმოჩნდება, თურმე ჰესს წელიწადში მილიონზე მეტი კილოვატ-საათი რომ უნდა მოეცა, ნახევარიც არ შეუძლია, მუშაობს მხოლოდ სეზონურად, და ეს «სარგებელი» დაგვიჯდა შავი ზღვის პლაჟებად, ალბათ კლიმატის შეცვლადაც... კიდევ რამდენი, რამდენი რამე გაკეთდა ასეთი, გაკეთდა და კეთდება, ან სურთ რომ გააკეთონ. ისიც ვთქვით, აღარ შეიძლება ასე ხელდაკრეფილი ჯდომა, ენა უნდა ამოვიდგათ, უნდა ვიბრძოლოთ, უნად დაინახოს ხალხმა თავისი შეგნებული და შეუგნებელი იუდები, უნდა ნახოს ის ოცდაათი ვერცხლი... და ის წილიც ამ თანხიდან, საზოგადოება თვითონ რომ ელის, წუთიერ სარგებელს რომ მოუტანს...

კოკას ნათქვამი არ დამავიწყდება _ სამი დიდი ვაკუუმის შესახებ. მართლაც სამი დიდი ვაკუუმი, სამი დიდი სიცარიელე წარმოიშვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. პირველი რევოლუციის და სამოქალაქო ომის დრო. ბევრი ვაჟკაცი დაიღუპა ორივე მხრიდან, ბევრი ვინც ეწინაღმდეგებოდა თუ იცავდა საბჭოთა წყობას ღირსეული ხალხი იყვნენ. ცოდვებიც ორივე მხარეს უამრავი ჰქონდათ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, სხვა სიტუაციაში, სხვა ატმოსფეროში რომ ჩამოყალიბებულიყვნენ, უფრო დიდ სარგებელს მოიტანდნენ. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში ისინი მყავს, ვინც არა საკუთრებისათვის, გამორჩენისათვის იბრძოდა, არამედ თავისი ღრმა რწმენით _ სამშობლოსათვის.

ინტელიგენციის ნაწილი ომის დროს დაიღუპა, ნაწილიც ემიგრაციაში აღმოჩნდა. ასე თუ ისე, ქვეყანამ დაკარგა ბევრი ის აქტიური, პატიოსანი, იდეური, სამშობლოს მოყვარული, თავის სიმართლეში დარწმუნებული პიროვნება.

რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი იქნებოდა ადამიანი ადამიანს არ ჩაგრავდეს, ყველასათვის გამოიძებნოს ადგილი, არ ხდებოდეს რევოლუციები, ომები, სისხლის ღვრა, მაგრამ რას იზამ თუ გინდა რაღაც ახალი მოიტანო, შენი რწმენით საუკეთესო, იძულებული ხარ, ბევრი რამე გასწირო და ეს სიცარიელე შეიძლება პირობითად «აუცილებელ მსხვერპლად» მივიღოთ. თუმცა, რომ არა ვანდალობა, შემთხვევითი ბრბოდან გამოსული უვიცი ხალხი, ორივე მხრიდან ნაკლები სისხლი დაიღვრებოდა, ნაკლებ დანაკლისს განიცდიდა ჩვენი ქვეყანა.

რას იზამ, როდესაც რაიმე იდეისათვის იბრძვი, თანაც იარაღით ხელში, უნდა გესმოდეს, რომ ასეთი ვაიდამხმარეები ყოველთვის გეყოლებიან გვერდით. შენც არა ხარ დაზღვეული შეცდომებისაგან და... ასე თუ ისე პირველი სიცარიელე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო წარმოიქმნა.

მეორე დიდი ვაკუუმი ოციან და ოცდათიან წლებში წარმოიქმნა სულ უფრო და უფრო სადავეები ხელში შემთხვევითმა ხალხმა ჩაიგდო. საერთოდ, ისინი უფრო ადვილად ეგუებიან და «მხარს უბავენ» გამარჯვებულთ. ნელ-ნელა იკავებენ ხელმძღვანელ ადგილებს და თუ დროზე ვერ მიუსწარი, ბევრი საზიზღრობის ჩადენა შეუძლიათ. ეს იმიტომაც ხდება, რომ ისინი «არ ცდებიან». მათ ერთი გეზი უკავიათ _ «პატრონის» გეზი. სჭირდებათ კიდეც ის... ინსტრუქციებსა და ბრძანებებს ხმაამოუღებლად ასრულებენ. ემატება აჟიოტაჟს აყოლილი, ლამაზი სიტყვებით მოტყუებული მასა. შემდგომში უმეტესი მათგანი ბოლომდე ვერც ხვდება რომ ატყუებდნენ, აბთიურებდნენ, ანდა უჭირს ამის აღიარება. მართლაც და რა გასაკვირია, ძნელია მთელ შენს სიცოცხლეს ხაზი გადაუსვა. «პატრონიც» ასეთ შავბნელ ნიადაგზე წარმოიშვება. არ აქვს მნიშვნელობა უნდოდა თუ არა ამ ადამიანს თავისი დიქტატურა. ერთ რამეში არ ვეთანხმები კოკას. პიროვნების «პატრონობა» თუ არ სურს, ან არ შეეჩვია, გაითვისა ეს როლი, ის შეძლებს შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა, მოიხსნას ტვირთი, გაანთავისუფლოს ხალხის დაშინებული ტვინი. როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს, როგორც წესი, ასეთი ადამიანი დიდი ჭკუით, უდიდესი შინაგანი ძალით, მოვლენათა სწორი შეფასების უნარითაა დაჯილდოებული.

ბევრი ნიჭიერი, სიცოცხლით აღსავსე, პატიოსანი ხელმძღვანელი მუშაკი, ინტელიგენტი და უბრალო მუშა თუ გლეხი შეიწირა ამ წლებმა. ალბათ განადგურებულ, დატუსაღებულ ხალხში წყობის მტრებიც იყვნენ ისეთებიც, ვთქვათ, რომ ცდებოდნენ კიდეც რაღაცაში, მითუმეტეს მშვიდობიან დროს, შეცდომისათვის ადამიანი რა მორალური პრინციპით შეიძლება გადათელო. თანაც თუ იცი, რომ პიროვნგება თავისი იდეებისათვის სისხლიანი მეთოდებით არ მოქმედებს. ხოლო აშკარა მტრები, «დივერსანტები» ისეთი უმნიშვნელონი აღმოჩნდნენ ამ სისხლის მორევში, რომ შეიძლება ვიფიქროთ, მათზე უმეტეს შემთხვევაში, არასწორად, დანაშაულებრივად მოქმედებდნენ. აწამებდნენ, ჰკლავდნენ... სისასტიკე კი სისასტიკეს ბადებს... ამის გარდა რამდენი ისტორიული, კულტურული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ძეგლი განადგურდა და გაჩანაგდა. მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების წესი, უცებ მოუნდომეს შეეცვალათ ხალხისათვის. ყველა _ მიუხედავად ეროვნების, კულტურული დონისა,

ცხოვრების ადგილისა, ერთი საზომით გაზომეს. უნდოდათ ისტორიის ნულიდან დაწყება, ადამიანის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების კანონის დარღვევა, თვითნებურად მართვა, ახალი ერთიანი მოდელის შექმნა. ფაშიზმის და ესეთი «სოციალიზმის» იდეოლოგია განსხვავებული, მაგრამ ერთ პრინციპზე, მიზანზე დამყარებული აღმოჩნდა.

ამის შედეგად დაიკარგა ბევრი რამ შინაგან კულტურაში, გაჩნდა უდიდესი დისკომფორტი სულში. დაირღვა ერთა კოლორიტულობა. ადათ-წესები მაინც შემორჩა, მაგრამ, უმეტესად, ბუტაფორულად, გაუაზრებლად, ინსტიქტის სახით და ბუნებრივდა არ განვითარდა ცხოვრებსი წინსვლასთან ერთდა. ეხლაც, რამდენი წლის შემდეგ, შემოგვრჩა შიში. თაობიდან-თაობაში გადმოვიდა თითქმის ნულიდან ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი და შინაგანი დაძაბულობა. ძნელია გათავისუფლდე ამ მარწუხებისაგან იმიტომ რომ აღგზარდეს ესე, შეგქმნეს ესეთი. ვინდომებთ, შევცვალოთ ბევრი რამ, მართვის, ეკონომიური, კულტურული სისტემები, მაგრამ ვერავინ ვერ ვაღწევთ თავს ბოლომდე ძველ სტერეოტიპებს, ან შიშის გამო, ანდა უნებლიეთ, ქვეცნობიერად ვებღაუჭებით სისხლში გამჯდარ მავნე ჩვევებს, წარმოდგენებს.

მესამე დიდი ვაკუუმი ომმა და ომის შემდეგმა წლებმა წარმოშვა. გაჩანაგდნენ ქალაქები და სოფლები. ომმა არაფერი დაინდო. მოხდა ადამიანის ნერვიული და ფიზიკური დაძაბულობის თითქმის ბოლო ზღვრამდე მისვლა. ვიღას ეცალა შინაგანი, სულიერი კულტურის ასამაღლებლად. ბვრი ვაჟკაცი დაიღუპა, ხოლო ვინც დაბრუნდა, უმეტესად დაავადმყოფებული ფიზიკურად, მორალურად თუ სულიერად. თითქოს ომის შემდეგ წლებს შვება უნდა მოეტანა ხალხისათვის. თითქმის ყველამ დაკარგა ახლობელი ადამიანი, ყველას უნდა გაეგო სიცოცხლის ფასი, უნდა აღზევებულიყო ომის გამო, მაგრამ ვინ მისცა შვება?! გამყიდველები, მშიშრები «აღმოჩნდნენ». ყველა, კონცლაგერები «გამოსასწორებელი» კოლონიებით შეუცვალეს. ეს რა არის, მთელი ერი გამოცხადდა სამშობლოს მოღალატეებად. მათი წარმომადგენელი ყველა, ფრონტიდან დაბრუნებული, საბჭოთა კავშირის გმირებიც კი, გადაასახლეს. ამით უდიდესი ტრავმა მიაყენეს მთელ ამ რეპრესირებულ მასას. დანარჩენებს კი, უნდა დაეჯერებინა ასეთი სასტიკი აქციების სისწორე. შიშით, მოტყუებით, ფანატიზმის წაქეზებით შესძლეს კიდეც. ამანაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანების მსოფლ-მხედველობაზე,სულზე. ეხლაც ვის ეცალა შინაგან კულტურაზე, თვითმყოფადობაზე... ის კი არადა, ერის მასიურმა გადასახლებამ ხალხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. არავინ დაუფიქრდა, როგორ შეიძლება ერი სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდეს, როდესაც სამშობლო _ თვით ერია იმ მიწასთან ერთად, სადაც ფუძე აქვს გამჯდარი, სადაც ათასწლეულების მანძილზე მარხავდა თავის მიცვალებულებს, ბადებდა ბავშვებს, შრომობდა და იბრძოდა.

ამ სამმა ვაკუუმმა, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, დიდი არეულობა გამოიწვია, წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოგვაყენა. ვისგან უნდა მიეღო ახალგაზრდობას ინტელექტი, ვისგან უნდა ესწავლათ ადათ-წესები, ვისგან უნდა გადაეღოთ შინაგანი, თუ ეროვნული სული, კულტურა.

...არც ჩამოყალიბებული ოჯახი, არც ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი... ვისგან?!.

ომის შვილებმა, რომელთა უმეტესობას, არა მარტო საზოგადოების ჯანსაღი, არამედ ხშირად, მშობლის მზრუნველი ხელიც კი აკლდათ, იმათაც, ვინც ომის შემდგომ ახლო

პერიოდში გაჩნდნენ, ასპარეზზე ფაქტიურად მაშინ გამოვიდნენ, როდესაც პირველად გამოჩნდა წინა წლების შედარებით ნათელი სურათი. შრომას ხელი, უმეტესად, გაჭირვებიდან გამოსასვლელად მოჰკიდეს. შეიძლება ამას ქვეცნობიერადაც აკეთებდნენ, მაგრამ შედეგებიდან ასე სჩანს: როდესაც რაღაცას მიაღწიეს, თვითონ უჩვენეს შვილებს ცუდი მაგალითი. ბევრმა თავი ვეღარ შეიკავა და გადავიდა შეგნებულადთუ, შეუგნებლად, მორალურად დაუშვებელ მოქმედებებზე. მოინდომეს საკუთარის, მხოლოდ საკუთრის მოვლა-პატრონობა. თითქოს განგება მათ შვილებს მხოლოდ შემონახულით აცხოვრებდა და არავითარ გამოცდას არ ჩაუტარებდა. ბუტაფორულ, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებში შემოინახა იდეალები. არცაა გასაკვირი, რადგანაც ცხოვრების სტრუქტურა იგივე დარჩა, მაგრამ სადავეები მოეშვა, ხალხმა ამოისუნთქა, დაძაბულმა ნერვებმა შვება იგრძნეს, დასვენება მოინდომეს, განცხრომა. ცხოვრება კი წინ მიდის და არ გვაძლევს გაჩერების საშუალებას. რა თქმა უნდა ყველა არ ემორჩილება ამ საერთო კანონებს. ბევრის მეცადინეობით შემორჩა ის, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა ჩემი და წინა თაობების ხელში, მაგრამ ცუდი მაგალითი უფრო ეპიდემიურია. თანაც ბევრი ღირსეული საქმე, ღირსეული ხალხი ჩრდილში იმყოფებოდა. თითქოს აკრძალულიც იყო მათზე საუბარი, ისევ ძველი სტერეოტიპებით, შეგნებით. თუმცა, ყველაფერი უფრო რბილად ხდებოდა, უბრალოდ იტყუებოდნენ, აღარ გვიბრძანებდნენ დაჯერებას, «მხოლოდ და მხოლოდ» ხმა არ უნდა ამოგვეღო. უმეტესად ამის მიზეზია ჩვენში ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია, ადათ-წესების უცოდინარობა, ინტელექტის დაკარგვა, სულიერი კულტურის დაქვეითება, ან ერთ ადგილზე გაყინვა.

როდესაც კონკრეტულ პიროვნებაზე საუბრობ, _ მაგალითად, ვიღაც ნარკომანია, _ ამას თავისი მიზეზები აქვს... ყველას თავისი... მაგრამ როცა საერთო მასშტაბით... არ ვიცი, ჩემი აზრით უმეტესად სწორი ფორმულირება გააკათა კოკამ. მაშინაც ვეთანმხებოდი, ეხლაც მგონია, რომ უმეტეს ასპექტში...

ახალ წელს კოკასთან შევხვდით. ორში ღუღუ უშბაზე მიდიოდა. კოკას მშობლები სოფელში იყვნენ წასული. «მეფური» სუფრა გავშალეთ... ღუღუს მეუღლე სამშობიაროში იწვა მეორე ბავშვზე...

...იმ დღეს კოკამ ერთი ამბავი გამახსენა... იწყებოდა 1986 წელი.

თავი VII

ირა

როგორ მაკლია შენი თავი, შენთან საუბარი, შენი თანაგრძნობა, შენი რჩევა. და არ მყავს და უკვე აღარც მეყოლება. შენ დაიკავე მისი ადგილი, შეავსე ჩემში ეს სიცარიელე. უფრო ფაქიზი, სათნო და ლმობიერი გამხადე. ყოველთვის შემეძლო გული გამეხსნა, მეთქვა ის, რასაც სხვას ვერ ვეტყოდი. ბიჭებს შორის დამოკიდებულება მაინც სხვაა სიყვარულთან, ერთგულებასთან ერთად, რაღაც კედელი დგას. ალბათ ეს თავმოყვარეობის ბრალია, ბოლო-ბოლო, არ გინდა, უახლოესმა მეგობარმაც კი, ნახოს შენი სისუსტე... უფრო სწორედ, სისუსტე კი არა, უსუსურობა... შენთან ყველაფრის თქმა შემეძლო. თითქმის ყველაფრის... მახსოვს როგორ გაგიცანი. ოთახში რომ შემოხვედი,

ვერც ვიფიქრებდი ლექტორი რომ იყავი. თავიდანვე დაახლოვდი ჯგუფთან. არასოდეს გეკავა, სხვებისათვის ჩვეული, მოყეყეჩო-მკაცრი გამომეტყველება. იყავი ძალიან რბილი, წყნარი, ქალური, არც არავის აკავებდი ლექციაზე «არის» ჩაწერის შიშით. ხშირად გამოწმებდნენ დეკანატიდან და გხვდებოდა ამისთვის. ერთხელ მახსოვს, თქვი: თუ კაცმა თვითონ არ მოისურვა აქამდე მშობლიური ენის სწავლა, ძალით უმაღლესში ვერაფერს გახდები. ჩათვლაც ადვილად მოგვეცი. ბოლო ლექციაზე ყველა მოვიდა. მატრიკულები შეკრიბე და ნაზი, ფაქიზი ხელებით გაგვიფორმე. შენი რბილი ხასიათის გამო იყო, რომ თავიდან

სულ ორიოდე კაცი გეჯდა აუდიტორიაში, ისინი ვისაც არსად ჰქონდათ წასასვლელი. შემდგომ, როცა გაგიცნეს, შეგიყვარეს ბიჭებმა, მოუმატეს სიარულს. თითქმის ყველა დააინტერესე. გაუღვიძე მიჩქმალული ეროვნული სიამაყის გრძნობა. მანამდე ხომ, ჩემი ჯგუფელების უმეტესობა, მხოლოდ სადღეგრძელოებში და ფუჭ ლაქლაქში გამოხატავდა სამშობლოს სიყვარულს. კარგი ბიჭი იყავი და ეს გეთქვა. რა-რა და თავქარიანობა, სიფიცხე არავის, არასდროს გვაკლდა. დავგლეჯდი, როგორ გამიბედაო. თითქმის ყველას აგვიხილე თვალი. მახსოვს როგორ გვიხაროდა ფუჭი, ფორმალური ყამირის მაგივრად, გათხრებზე რომ წაგვიყვანე, არქეოლოგებს, თავიდან, არც ვეხამუშეთ, უნივერსიტეტიდან რომ გვიგზავნიან «ისტორიკოსებს», ისინი ვერ აკეთებენ ვერაფერს, მხოლოდ ხელს გვიშლიან, თქვენ «გეპეიშნიკები» კი, მთლად გაგვიფუჭებთო საქმეს. ისევ შენ ივაჟკაცე, გამოგვინახე სამუშაო, ზუსტად ჩვენი კვალიფიკაციის შესაბამისი. მახსოვს რა ხალისიანად ვშრომობდით, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი საქართველო მე მიყურებდა.

სიცხის გამო თორმეტ საათამდე თუ იმუშავებთო, გაგვაფრთხილეს. შემდეგ საღამოსაც შეიძლებაო. ჩვენ კი პაპანაქებაშიც არ ვჩერდებოდით. ორ ნაწილად გავიყავით. დააჭერადა თუ არა მზე, ყოველ ნახევარ საათში ვენაცვლებოდით. გასაკვირად, ერთ თვეში, ციხე-კოშკის გალავნის გასუფთავება შევძელით მიწისაგან. უმეტესობას ფიზიკურად არასდროს გვიმუშავია, მითუმეტეს მიწის მუშად. ყველას წყლულები გაგვიჩნდა ხელებზე, სახე დაგვეწვა, ფეხები დაგვიუძლურდა, მაგრამ კრინტიც არ დაგვიძრავს.

გათხრებზე ჩემი ბიჭებიც წამომყნენ, ძალიან გამახარა ამან. სათხოვნელად მოვედი, ისინიც წამოვლენ-მეთქი, გაგეღიმა და «გმადლობთო» _ მითხარი.

საღამოს, კოცონთან გვეხსნებოდა დაღლა. გვიანობამდე არც გვეძინებოდა. თუმცა, დილის ექვსის ნახევარზე ყველანი ფეხზე ვიყავით წამოჭრილი. გასაღვიძებლად არ გვჭირდებოდა დიდი ამბავი.

ვიჯექით კოცონთან და ვსუბრობდით სამშობლოზე, კაცობრიობაზე, წარსულზე და მომავალზე. ვარჩევდით ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობას, მის ღვაწლს, თუ ზიანს. ვკამათობდით, ერთმანეთს ვარწმუნებდით, ვეძებდით სხვადასხვა სიტუაციებისაგან გამოსვლას, ახალ-ახალ იდეებს ვაყალიბებდით.

ხშირად დავსწრებივარ ლიტერატურულ საღამოებს, მაგრამ რაც იქ იყო... ყველა თავის საყვარელ ნაწყვეტს კითხულობდა პოემებდან, ლექსებიდან, პროზიდან. ბევრი ისეთი პოეტი და მწერალი შემიყვარდა და გავიგე, ადრე ყურადღებას რომ არ ვაქცევდი. ასეთ სიტუაციებში ითვისებ ნათლად ამა თუ იმ ნაწარმოებს, პერსონაჟს.

როდესაც გადავიღლებოდით, ან კამათი ჩიხში მოექცეოდა, ძალიან ადვილად გამოდიოდი სიტუაციიდან, რაიმე ანეკდოტს მოჰყვებოდი, გაიხუმრებდი. ჩვენც აგვიყოლიებდი. მოვუხსნიდით თავს ანეკდოტების, მხიარული ისტორიების, ტყუილის გაფორმების გუდას. ანდა რომელიმე ჩვანთაგანს აიყვანდით «პროგრამაში» და ვაი მისი ბრალი. თუ ზედმეტად შევტოპავდით, საუბარი კვლავ გადაგვქონდა რაიმე სერიოზულ თემაზე. მაშინ არც დავფიქრებულვარ, როგორ ახერხებდი ასე უმტკივნეულოდ ყველაფრის მოგვარებას.

მიკვირს, მაგრამ ისევ შენშია პასუხი. გარეგნობაც გიწყობდა ხელს, ოდნავ დანაოჭებული მაგრამ ძალიან სანდო, თბილი, დამაწყნარებელი სახე, ქალური, თბილი, დიდრონი თაფლისფერი თვალები, საშუალო ზომის კოპწია ტუჩები, გადაკალმული წარბები, ნაზი ქუთუთოები, მოხდენილი ტანი, ფაფუკი ხელები, სადა, გემოვნებით შერჩეული ტანისამოსი, მშვიდი, სათნო ღიმილი, დიდი ინტელექტი, ტაქტი, სიყვარულის თავგანწირვის უაღრესად დიდი უნარი და ამასთან ერთად ქალური სისუსტე, რაც ყველა მანდილოსანს უნდა ამშვენებდეს, ქართველი ქალის, საერთოდ ქალის ეტალონად გხდიდა ჩვენს თვალში.

არასდროს გაურბოდი შავ საქმესაც. თუ ვინმე ჩვენი ბიჭებიდან, დიდი ხნით მარტო რჩებოდა სახლში; შენ იყავი მომვლელი, რეცხავდი დახვავებულ თეფშებს, ამზადებდი საჭმელს, როგორც არ უნდა დაგვემალა ჭუჭყიანი ტანსაცმელი, საცვლებიც კი, მაინც პოულობდი, გადაქექავდი ყველაფერს და წესრიგში მოგყავდა. შენს გვერდით არასდროს ხდებოდა უსიამოვნება და აყალ-მაყალი. თითქოს მანდილით გვიცავდი. გვფარველობდი. დედაჩემს გადარებდი ამ თვისებებით. ძალიან მომწონს, როდესაც ქალი არასდროს არ ხდება უსიამოვნების მიზეზი. ცდილობს თავი ისე დაიკავოს, რომ არ გიბიძგოს ჩხუბისკენ, სისასტიკისაკენ. თანაც, ყველაფერ ამასთან ერთად, შეუძლია იყოს მხიარული, სიცოცხლით სავსე, ყურადღების ცენტრში.

მხოლოდ ერთი რამით გვაშფოთებდი, გვიკვირდა რომ არ გათხოვდი. ბავშვების ასეთ მოყვარულს, შვილი რომ არ გყავდა. შემთხვევით გავიგეთ მიზეზი, არასდროს გილაპარაკია ამაზე. ყოველთვის გაურბოდი შენს თავზე საუბარს. ჩვენ კი, გინდოდა ბედი გვეპოვა, ბედნიერები გავმხდარიყავით. შვილიშვილ-ძმისშვილები მინდაო თქვენგან, სულ ჩაგვჩიჩინებდი. ლაშას პატარაზე გიჟდებოდი. ბადრი, ღუღუ და ლევანა რომ დაქორწინდნენ, აღარ იცოდი სიხარულისაგან რა გექნა. ღამეები ათენე ჩვენთან ერთად, მათი პატარების დაბადებისას.

როგორ მეჯავრებოდა «ის»... ვერ გიბედავდი, არ მინდოდა გწყენოდა, გული გტკენოდა. მხოლოდ ერთხელ გესაუბრა ამაზე, მინდოდა «თვალი ამეხილა». ყველა ჩემი არგუმენტი უარყავი: «ბავშვობიდან კი გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ რას იზამ. შეცდომა მოუვიდა. ბავშვი გაუჩინა და... გაცილების შემდეგ თვითონ მე არ გავყევი. შვილი პატარა ჰყავდა, ბოროტებას ჩაიდებდა გულში, მამა შეეჯავრებოდა... შემდეგ კი, ავად გახდა... ძალიან ცუდადაა, არ უნდა ჩემი გაუბედურება».

ერთგული სიყვარული შეგეძლო ირა. ადრე მეჯავრებოდა «ის». მინდოდა გამესრისა, გამენადგურებია. მისი გულისათვის ვერ გეღირსა ოჯახური სითბო. თუმცა ბევრს უყვარდი, სხვას მაინც არ შეხედე, არ გაეკარე.

მეგონა, ფლიდი, უგულო კაცი იყო. შვილი გააჩინა და მიატოვა, შენც ასე გაგაწამა. ავადმყოფობისაც არ მჯეროდა. ეხლა ვხვდები, რომ უყვარდი და უყვარხარ, ძალიან

უყვარხარ. ცხოვრების უკუღმართობამ დაგაცილათ, გაგყარათ... იმასაც ვხვდები, რომ უბედური არასდროს ყოფილხარ, შენ ხომ გიყვარდა, გრძნობდი სიყვარულს... ისიც ლოგინადაა ჩავარდნილი, ვერ გადაიტანა...

ვიღაცის დაბადების დღეზე მოვხვდი. «ზღარბას» ძმას, ლევანს ავყევით «ჩანგალზე» ოთხნი. მე, ლაშა, ბადრი და კოკა. ერთმა აუგად მოგიხსენია. შენსა და «იმის» დამოკიდებულებაზე დაიწყო ლაქლაქი. კოკას ააცახცახა, მაგრამ პირველივე მოეგო გონს. აქ არ შეიძლებაო, გვითხრა. წვეულების დამთვრების შემდეგ, ყველანი ერთად გამოვედით. კოკა მივიდა და სახეში შეაფურთხა, მიზეზი წინდაწინ აუხსნა. რვა თუ ცხრანი იყვნენ, მაინც ჩვენ დავჯაბნეთ. არა იმიტომ, რომ უფრო «მაგარი» ბიჭები ვიყავით. უბრალოდ, გამძვინვარდით, სიმართლე ჩვენს მხრეს იყო, შენ გიცავდით. ასი, ათასი რომ ყოფილიყვნენ, მაინც მოვერეოდით... სასტიკად ვცემეთ, არ დავინდეთ არცერთი, გრძნობის დაკარგვამდე მივიყვანეთ შენი აუგად მახსენებელი.

ასეთნაირად იმ დღის შემდეგ სკოლასთან... კოკამ ძალიან განიცადა... ღირსები კი იყვნენ, მაგრამ ასე არ უნდა მიგვეტოვებინაო. ალბათ ისე გაახსენდა... ბოლო წიხლები... ძალიან განიცდიდა კოკა.

გათხრების შემდეგ ექსკურსია მოვაწყვეთ. არა ისეთი, ადრე რომ დავდიოდით უმიზნოდ, გასართობად, საღრეობოდ. დავიქირავეთ ავტობუსი და შემლებისდაგვარად, ისტორიული ძეგლები დავათვალიერეთ. რამდენი რამ არ გვცოდნია, გვიხსნიდით, გვიყვებოდით ჩვეული სიმშვიდით, საინტერესოდ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ფილოლოგი კი არა, ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე იყავი... თუმცა... რა... რატომ... გცოდნია, იცი... გეცოდინება... კვლავ წავალთ, კვლავ ერთად, ერთად... კვლავ ვიკამათებთ. ისიც გამოჯანმრთელდება, შენც... ვეღარაფერი აგაცილებთ. იქნებით ბედნიერი...

ახალი წლის ღამეს კოკასთან შევიკრიბეთ. ღუღუ ხშირად იმეორებდა: ქვეყანას ზევიდან მინდა გადმოვხედო... იწყებოდა 1986 წელი.

თავი VIII

მენატრები

სულ ჯიუტობდი, ყველაფერში მეწინააღმდეგებოდი. გავბრაზდი, გაგებუტე... ჰმ, შერიგების შემდეგ მთლად მომშალე. ხან სულ ჩემ შაყირში და დამცირებაში იყავი, ხან კიდევ თბილი, სათნო, ნაზი. ამებნა თავგზა, აღარ ვიცოდი რა მექნა. ლაშას დაბადების დღიდან რომ გამოვედით, თავი მეშვიდე ცაზე მეგონა. ხელი გადაგხვიე. ასე ჩახუტებულები ვიჯექით ტაქსიც. სახლში შესვლის წინ, ხვალ დაგირეკავ-მეთქი, გითხარი. გადმომხედე და გამიღიმე. ნუთუ თამაშობდი, ნუთუ ყველაფერი თამაში იყო, ნუთუ... მეორე დღეს კვლავ ამიგდე. ცდილობდი, რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა მოგეყენებინა. ვეღარ გავუძლე, აქამდე ამდენი არავისთვის მომითმენია.... გლანძღე და გაგინე, რა სიტყვები არ გიძახე... თითქოს ხმა ჩაგიწყდა, ჩუმად მისმენდი.

ჩვენი საერთო ნაცნობი მოვიდა. შენი დანაბარები გადმომცა. რა დავუშავე ასე რომ მელაპარაკაო... არაფრის გაგონება არ მინდოდა, ნორმალურად არც მომისმენია, რაღაც

უკმეხი ვთქვი. ძალიან ვიყავი, კვლავ მიყვარხარ. ისევ დავიწყე რეკვა. გავიგონებდი შენს ხმას. მაგრამ არ გპასუხობდი. თავმოყვარეობა და ბიჭების ჩიჩინი მაკავებდა. აღარ მოსწონდი ჩემს მეგობრებს. ვერაფრით ვერ აეტანათ შენი ჯიუტი ხასიათი... მაინც მიყვარდი, გესმის?! მიყვარდი და მიყვარხარ... მენატრები...

თავი IX

«ქვეყანას ზემოდან მინდა გადმოვხედო»

ახალი წლის ღამეს ყველა, «უპატრონო» კოკასთან შევიკრიბეთ. მეფური სუფრა გვქონდა. კოკამ გაგვაფრთხილა, არაფერია საჭირო. ოჯახმა დატოვაო პურმარილი, მაგრამ მაინც მივზიდეთ. სამზარეულო ქვაბებით გაივსო. ღვინოც მეფური გვქონდა, სუფთა. «ზღარბას» სოფელში დაწურული.

კარები რომ გავაღეთ, ირა არც ჩანდა, იმხელა ყუთები ეკავა. ნაძვისხის, სათამაშოების და ნათურების მოტანა არ გაგახსენდებოდათ, ვერ მოიფიქრებდითო. არაფერს არ მიგვაკარა. კარტი მოგვაჩეჩა, წლევანდელი სეზონი დაასრულეთო «პრეფერანსში». მაგიდა მარტომ გააწყო. ნაძვისხეც თვითონ მორთო. მხოლოდ «ღუღუ» დაიხმარა, «თოვლის კაცს» კარგი გემოვნება აქვსო. ოთახში რომ შევედით, ენა ჩაგვივარდა. სინათლე ჩამქრალი, ნავძისხის ნათურები ანთებული, მაგიდაზე სანთლები, მეფური, ძალიან ლამაზად გაწყობილი სუფრა შინაგანად, ორგანულად ეწყობოდა სადღესასწაულო ატმოსფეროს. ერთი სიტყვით, ეს დღე ერთ-ერთი ბედნიერი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის...

ასეთმა სანახაობამ ყველა გაგვამხიარულა. დაჯდომისთანვე «ღუღუმ» ანეკდოტი მოგვიყვა. დღესაც მახსოვს. ერთ ჭიჭიკიაზე და ბიჭიკიაზე: ჭიჭიკია, გუშინ შენს ცოლს შევხვდიო ავტობუსში. იმდენი მაცინა შენზე, იმდენი, კინაღამ კრაოტიდან გადმოვვარდითო.

დიდხანს ვიცინეთ, ათასნაირად გადავაკეთ-გადმოვაკეთეთ. არ ვიცი რამდენად სასაცილოა, მაგრამ მაშინ ვინმეს უბრალოდ თითიც რომ დაენახვებინა, იმაზეც ავხარხარდებოდით. ასეთ დროს იტყვიან, ბედნიერები არიანო... მართლაც გვიხაროდა ყველაფერი, ლაღად და თავისუფლად ვგრძნობდით თავს. თითქოს, არაფერი პრობლემა არ გვაწუხებდა, უფრო სწორედ, დავიწყებული გვქონდა. ვხარობდით ერთმანეთით, ახალი წლით, თოვლით, ზუსტად ოცდათერთმეტში რომ მოვიდა, სუფრით, ნაძვისხით...

შემდეგ, ისე «დავეძგერეთ» საჭმელს, ირა დამატებას ძლივს ასწრებდა. ჭიქაც ავწიეთ. ძველი წელი დავლოცეთ, ახალსაც შევეგებეთ. გადავკოცნეთ ერთმანეთი, ვუსურვეთ ჯანმრთელობა, ბედნიერება...

ვიგონებდით ათასგვარ გართობას. ჯერ ნაძვისხის გარშემო «ზილინა-აპზილინა» ვითამაშეთ ამხელა ვირებმა... შემდეგ, კოკამ მოიტანა ცარიელი ქვაბი. ღუღუს წამოაცვა თავზე. ზევიდან პურის საჭრელი დანა დაადო და შეჰფიცე რაინდოო _ უთხრა. კოკასთან ერთად იმეორებდა ღუღუ: _ კეთილშობილო საზოგადოება, ვფიცავ ჩემს რაინდობას, მუზარადს, მახვილს, აღარ დავხარჯავ ენერგიას ვიღაც «უშბასთან» და ქარის წისქვილებთან ჭიდილში. მთელ ენერგიას მოვახმარ თქვენთან სამსახურს. სულელური

რამ იყო, მაგრამ მაინც გვეცინებოდა. თანაც ღუღუ თავისი აღნაგობის და ქვაბით თავზე, მართლაც ჰგავდა ლამანჩელს. შემდეგ დამალობანა ვითამაშეთ. ჰმ, კიდევ ერთი სისულელე. ირა დაიხუჭა. ყველა მალე აღმოგვაჩინა, კოკას გარდა. ნახევარი საათი ვეძებეთ, რას ვიფიქრებდით _ სამზარეულოს კარადაში დამალულა.

ბოლო-ბოლო, როგორც იქნა დავწყნარდით და სუფრას მივუჯექით. ცოტა ხანში კოკამ მთაწმინდაზე ავიდეთ, თბილისს გადმოვხედოთო, _ თქვა. ყურადღება არ მიგვიქცევია. არასერიოზულად მივიღეთ. ნასვამი იყო და მანქანაზე არ გვინდოდა დამჯდარიყო. ძალიან რომ ჩაგვაცივდა, ღუღუმ დაუჭირა მხარი. არ დავთანხმდით და დროებით მორჩა ამაზე საუბარი... «ზღარბამ» ადრე დაგვტოვა. სოფელში იყო წასასვლელი, გამოძინება უნდოდა.

მეც არ დავრჩენილვარ ბოლომდე. რაღაც საქმე მქონდა. გასვლის წინ, თითქოს გულმა მიგრძნო, აქამდე არ დავკვირებივარ მათ აღნაგობას ასე დეტალურად. ხარბად ვათვალიერებდი კოკას თბილ სახეს, ჩასუქებულ, ბრგე ტანს, კუპრივით შავ, ოდნავ ნაღვლიან თვალებს, ეშხიან მოზრდილ ცხვირს, წაბლისფერ ხუჭუჭა თმას, წარბებს, წამწამებს, თავისებური, მამაცური სილამაზე ჰქონდა. ერთი შეხედვით უხეში, მაგრამ მიმზივდელი, მასში რაღაც შინაგანი, იდუმალი ძალა იმალებოდა. აღარავის სჯერა ზღაპრული, კეთილი დევების და თუ სადმე არსებობენ მე მგონი კოკას ჰგვანან.

ღუღუც მაღალი იყო, მაგრამ ძალიან თხელი. ლოყები გამხდარი, უხორცო ჰქონდა. ნიკაპი უფრო წვრილი. წარბები და წამწამები ძალიან ხშირი და კუპრივით შავი, ასევე კუპრვიით შავი, ძალიან მოკლედ შეჭრილი თმები, თაფლისფერი დინჯი თვალები. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქორს პირის ჭრილი ყურებიდან ეწყებაო. გასვლის წინ ვთხოვე არ წასულიყო. ხვალ საღამოს ლაშასთან ვიკრიბებით, რომ არ იქნები, გვეწყინება მეთქი. გაიცინა, არ შეიძლება, ქვეყანას ზემოდან უნდა გადმოვხედოო...

მეორე დღეს საშინელი რამ გავიგე. ვერასოდეს ვაპატიებ თავს, რომ ბოლომდე არ დავრჩი. მთაწმინდიდან მომავალი კოკა, ღუღუ და ირა ავარიაში მოჰყვნენ. მანქანას გიტარა გატეხვია, ამოყირავებულა, სამოცი მეტრი უხოხია ასე. ბოლოს, კლდეს მიჯახებია...

კოკა ადგილზევე გარდაცვლილა. ღუღუ ორი კვირის შემდეგ _ აზრზე მოუსვლელად. ირა კი... ეხლაც წევს ხერხემალგადატეხილი...

არ მოისვენეს ბიჭებმა, მაინც მოინდომეს მთაწმინდაზე ასვლა და იქიდან გადმოხედვა... თითქოსდა დაემშვიდობენო საყვარელ ქალაქს. ეხლაც ვერ გამიგია, როგორ დათანხმდა ირა... ალბათ არ მოიშალეს, მარტო ხომ არ მიატოვებდა... ქვეყანას ზემოდან გადმოხედა მათთან ერთად.

სასაფლაო... ღუღუ და კოკა როგორც ვალიკო და დათო, ერთმანეთის გვერდით წვანან, იგივე სასაფლაოზე. ალიკა, ბაბუაჩემიც და ბებიაც, იქ არიან დამარხულები, ვერიდები იქ ასვლას... მიჭირს, თითქოს... ბოლო ხანებში ძალიან მიჭირს...

ვიღაც ექიმი ვიპოვეთ მოსკოვში. ირას შეიძლება უშველოსო. «ზღარბა» დაუკავშირდა. ერთ თვეში უნდა წავიყვანოთო და შეიძლება... უნდა იცოცხლო, ირა, უნდა გამოჯანმრთელდე... იბედნიერო... მათთან ერთად გადმოხედე ქვეყანას. განგებამ შეგინდო, გადარჩი. ამიტომაც უნდა დადგე ფეხზე. ყველაფერს გავაკეთებთ ამისათვის... მე კი... მეც გადმოვხედავ ქვეყანს ზემოდან. ორ იანვარს, როგორც ღუღუს უნდოდა. გადმოვხედავ და აქაურობას აღარ გავეკარები... მხოლოდ... მხოლოდ მთაწმინდაზე

ავალ, იქიდან შევხედავ ყველაფერს... ანდა, ხომ შიძლება, შეიძლება გონების, სულის მწვერვალზე ასვლა, მთების გარეშეც... ამის გარეშე ვეღარც გავძლებ... ვეღარც ვიცხოვრებ ძველებურად, უმოქმედოდ...

თავი X

მენატრები...

ორი წლის შემდეგ ვიღაცამ მითხრა, რომ თხოვდები. ელდასავით მეცა. ბოლო-ბოლო ვიცოდი, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ სანამ სხვისი არ იყავი, რაღაცის იმედი მქონდა. ოცნებები მაძლევდნენ საშუალებას ჩვენი თავი ერთად წარმომედგინა. ეხლა კი... არ ვიცი რა შეიძლება ვუწოდო ამას, ეგოიზმი, თუ ჩამორჩენილობა, ვერაფრით წარმომიდგენიხარ, ვივიწყებ, რომ მისი ხარ... არავის ეკუთვნი, ისევ პატარა გოგონა... უცებ მოვდივარ აზრზე, გამახსენდება და...

გათხოვებამდე, ორი დღით ადრე მოულოდნელად შეგხვდი. ცივად დავიკავე თავი. მომეჩვენა, რომ შეცბი, გაწითლდი, თვალებში სევდა შეგეპარა... ალბათ ილუზიებია, ან პატივმოყვარეობა... მეორე დღეს დამირეკე. მინდოდა მეთქვა... ვერ გითხარი, ისევ პატივმოყვარეობა...

საქორწინო სახლშიც მოვედი. შორიდან გათვალიერებდი. ძალიან ბედნიერი იყავი. ყოველ შემთხვევაში ასე მომეჩვენა. არც მახსოვს რა გეცვა. უბრალოდ, ბრწყინავდი. წამით, კვლავ ოცნებებში ჩავერთე. თითქოს მე ვიდექი შენს გვერდით, ჩვენ გვილოცავდნენ... ჩვენ და არა თქვენ... ცოტა ხანში შურმა ამიტანა, საზიზღარმა შურმა.

პირველად ცხოვრებაში... პირველად შემშურდა სხვისი სიხარული, ბედნიერება... ქორწილსაც ვუთვალთვალე, ცოტახნით. დიდხანს ვერ გავძელი, წამოვედი, თან შენზე ვფიქრობდი. ინსტიქტურად შენს სახლთან ამოვყავი თავი... კოკასთან გავედი და დავლიე. საშინლად დავთვერი. რა ბანალურია არა?! სახლში რომ მივედი, დაგირეკე...

ბებიაშენმა აიღო ყურმილი. დამვიწყებია, რომ... მიყვარხარ, მაინც მიყვარხარ გესმის?!. მენატრები!

თავი XI

«ქვეყანას ზემოდან მინდა გადმოვხედო»
(გაგრძელება)

აღარ მახსოვს, რომელიღაც გაზეთში წავიკითხე, ვიღაც შუა ხნის კაცი ტყეში წასულა საცხოვრებლად. ხალხისაგან გაქცეულა. ოცდახუთი წელი მარტო იცხოვრა. ჭამდა და სვამდა იმას, რასაც ბუნება უბოძებდა. უკვე მოხუცებული, თითქმის დაუძლურებული, მაინც არ სტოვებს თავის უბადრუკ ქოხს, თავშესაფარს. ჟურნალისტს მისი გაქცევის სხვადასხვა ცხოვრებისეული მიზეზები აქვს აღწერილი. სამსახურებრივ წყენა, მამის თვითმკვლელობა, შვილის გარდაცვალება, ოჯახში არეულობა. სტატიის წაკითხვის

შემდეგ დიდი ხანი ვიჯექი და მოხუცზე ვფიქრობდი. ადამიანზე, რომელმაც ყველაფერი გულში ჩაიკლა. თვითონ ყოვლგვარი ძალდატანების გარეშე გამოეყო საზოგადოებას. შემთხვევით რომ არ გადაჰყროდა, ასე, საერთოდ მივიწყებული თვისტომის გარეშე გაატარებდა ცხოვრებას.

თავიდან შემეცოდა. პირველი შთაბეჭდილება ხშირად იცვლება, როდესაც ფაქტებს გააანალიზებ. გამახსენდა მისი ნათქვამი: «_არაფერზე არ ვნანობ, ყველამ უნდა იცხოვრობს ასე, რამდენიმე წელი მაინც»... დავაკვირდი ამ სიტყვებს ეს არ იყო სასოწარკვეთილის ნათქვამი. მართალია, ბევრი რამ დააკლდა, სიმარტოვემ ადრე დააბერა, ვერ განიცადა ბევრი ადამიანური გრძნობა, სიხარული. ამას კიდეც ნანობს, მაგრამ მაინც ბედნიერია თავისებურად. გაქცევა შესძლო, _ შესძლო გაეწყვიტა ბორკილები. მოიპოვა თავისუფლება. ვეღარვინ უბრძანებს, გააკეთებინებს, უმუხთლებს, მიატოვებს, ვერავინ აუკრძალავს ფიქრს, საკუთარ აზრს.

ეს ყველაფერი მარტო საზოგადოებრივ წყობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ადამიანის ბუნებას. იმ ჯუნგლის კანონზე ყველა დროს რომ ბატონობდა ჰუმანოიდებში. მართალია სიკეთეც სუფევდა ჩვენს მოდგმაში და ეს გვინარჩუნებს სიცოცხლეს, მაგრამ ყველა, ნებით თუ უნებლიედ, სხვას ჩაგრავს. ჩაგრავს, თავისი ან ავტორიტეტით, ან ძალით, ან მოთხოვნილების თუ, კაპრიზების ასრულებით, ან თუნდაც სიცივით, გულის სიცივით. ვერავინ გაექცევა ურთიერთ დაჩაგვრას, ვერც გენიოსი და ვერც სულელი, ვერც ტირანი და ვერც დემოკრატი, ვერც კეისარი და ვერც ბრუტუსი...

თუ გინდა მჩაგვრელობა აიცილო, ბევრი რამ უნდა დასთმო, თუ ეს გამოგივიდა... ბევრი ცდილობს გაქცევას, თავისუფლების მოპოვებას, იშვიათს თუ ჰყოფნის გამბედაობა, სულის სიმტკიცე. ამიტომაცაა რომ ჩვენი უფრო მეტად დროებითია. ამ მოხუცისაგან განსხვავებით, ადამიანის მოდგმას კი არა, საკუთარ თავს გავურბივართ. ვცდილობთ, დროებით დავივიწყოთ ყველაფერი, უბრალოდ მივჩქმალოთ, დავისვენოთ, მაგრამ ძნელია საკუთარი მეს-გან განთავისუფლება, ალბათ შეუძლებელიც. ღუღუ ამის გაკეთებას ცდილობდა. უნდოდა ყველაფერი სიბინძურე დაევიწყებინა. ამიტომაც გარბოდა მთებში, ამიტომაც იკარგებოდა, ჩამოსულს კი დაღლილი სევდა უბრუნდებოდა, გულს უღრღნიდა... მეც ამიტომ გამოვყევი მის კვალს. ამიტომაც მივცოცავ მარტოდმარტო უშბაზე...

მოხუცი ვაჟკაცი აღმოჩნდა... თუმცა რატომ, განა ვაჟკაცობაა იოლი გზის არჩევა?! თუმცა რატომ კვლავ კატეგორიული ტონი? ის ხომ ჩვენ გაგვექცა და არა საკუთარ თავს. პირიქით... რა ვიცი, ამერია ყველაფერი... ალბათ, ესეც ერთ-ერთი გამოსავალია, თუ გრძნობ, რომ ძალა არ შეგწევს რაიმე შეცვალო... არა... არ ვიცი... «არაფერზე არ ვნანობ, ყველამ უნდა იცხოვროს ასე, რამდენიმე წელი მაინც»... «ქვეყანას ზევიდან მინდა გადმოვხედო»... რამდენი საერთოა ამ ორ გამონათქვამში. მოხუცმა უბრალოდ, ყველაფერი ძვირფასი დაჰკარგა ამ ქვეყანაზე, ყველაფერი ის, რაც ძალას ჰმატებდა ღუღუს უკან აბრუნებდა, რამაც ათქმევინა, _ ბოლო ასვლა იქნებაო, რამაც მიახვედრა, რომ აუცილებელი არ არის სამუდამოდ განმარტოვდე, ისედაც შეიძლება, აღიქვა ქვეყანა, სიმართლე იპოვო. ოღონდ, ხანდახან საჭიროა დამალვა, ცხოვრების ორომტრიალიდან... ყოველ შემთხვევაში, ეხლანდელ ეტაპზე, ჩემთვის მაინც... ღუღუ, შენს გზას გამოვყევი, მეგონა გავიქცეოდი; სინამდვილეში კი, შენს ოცნებას გამოვყოლილვარ. მინდოდა ყველას გადმოგვეხედა, შეგვეხედა ქვეყნისათვის, გვეცადა დაგვენახა მისი სატკივარი.

წამოვედი თუ არა აქით, ყველაფრის აღთქმა თითქოს შევძელი, ნელ-ნელა თითქოს გამოვიღვიძე, განვიწმინდე, რაღაც გზები გამოჩნდა. შეიძლება მცდარი, მაგრამ ისინიც ხომ, ვინმემ უნდა გაიაროს, სხვა რომ მიხვდეს მათ უაზრობას...

და აი, პირველად ზამთარში, ორ იანვარს, უშბადან გადმოვხედე ქვეყანას, გავახილე თვალები... პირ-ვეე-ლაااად... ღუ-ღუ... რა ახლოს ყოფილა ყველაფერი... დედამიწა, კაცობრიობა, სიცოცხლე... სამშობლო, ერი, ოჯახი, მეგობრები... რა ლამაზი ყოფილა ქვეყანა... რა მედიდური, ამაყი, სათნო და თბილი ყოფილან მთები, შენი საყვარელი მთები... უშბავ, შენ ვერავინ დაგიპყრობს, შენ შეიძლება ჩაგეხუტონ, მოგეფერონ!.. ვერავინ, ვერავინ დაგიპყრობს... გმადლობთ, გმადლობთ თავშესაფარისათვის!.. ხომ გადმოვხედე, გადმომახედე... ავედი ერთ-ერთ «ჩემს» მწვერვალზე. წინ სხვები მელოდება... მაპატიე ღუღუ, ვერ მივმხვდარვარ, მწვერვალები მარტო შენთვის არ გჭირდებოდა... ამიერიდან მეც შენს გზას გამოვყვები... ე-ჰე-ჰეე-უშბავ!..

მარტოხელა ალპინისტმა დაშვება დაიწყო. თან უაზროდ ბუტბუტებდა, ყვიროდა, ვიღაცას ესაუბრებოდა, ტიროდა. უეცრად საშინელი გრიგალი ამოვარდა, თოვლის გროვამ მოჰგლიჯა და გაიყოლა ხახადაღებულ უფსკრულისაკენ.

თავი XII

წერილი ძმას

გამაჯობა ჩემო ძამიკო... ამ პატარა წერილს, თუ არ წაიკითხავ და შეხვედრისას გეტყვი ყველაფერს, კარგი იქნება. შენს არ ყოფნაში მართლაც ბევრი რამ მოხდა კარგი და ცუდიც. არ იცი, არ მინდოდა გული მეტკინა, აღარ გვყავს კოკა და ღუღუ... თუმცა, უკვე გაიგებდი ყველაფერს...

ვალი მაქვს მოსახდელი, ღუღუს ოცნება უნდა შევასრულო. ორ იანვარს, ბედობის დღეს, თუმცა, როგორც მას უნდოდა, მარტო არა, მაგრამ უშბის მწვერვალზე უნდა ავიდე. ყვლაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომაც გწერ. არ გეგონოს მეშინია, არა. შიში ალბათ იქ შემეპარება, იცის მთებმა. გიჟი უნდა იყო, ეს გრძნობა რომ არ გაგაჩნდეს.

შენმა წერილებმა და ბიჭების დაკარვამ, მეც ბევრი წარმოდგენა შემიცვალა, ბევრი რამ თავიდან ავწონ-დავწონე, მივხვდი, არ მიცხოვრია კარგად, ისე, როგორც ნამდვილ მამულიშვილს შეეფერება. ამბობ, თითქოს ინტელექტი მქონდა და ამიტომაც სხვადასხვანაირად აგვეწყო ბედი, თითქოს ჩვენი ოჯახის ღირსი მე ვარ. შეიძლება შორიდან ასეც სჩანს. უნდა იცოდე, ბევრად არ განვსხვავდებით. უფრო სწორად, მე უფრო მეტი ცოდვა მაწევს კისერზე. შენი იქ მოხვედრაც ჩემი ბრალია. ცუდ მაგალითს გიჩვენებდი. ამის გარდა, იწერები, რომ სისასტიკე არასდროს ჩამიდენია... ბევრჯერ ვყოფილვარ ულმობელი, ჩემს ნამუსზეც მოდის რამდენიმე დასახიჩრებული სხეული, თუ სული. უბრალოდ, გამიმართლა, ვერ გამიგეს, არავის დავუნახივარ, ან არ გავუცივარ. სინდისი არ გაძლევს მოსვენებას. რამდენი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა გადაიტანე, მაინც თვლი თავს დამნაშავედ, ვერ დაწყნარდი, მე კი... მიმძიმს, ძალიან მიმძიმს...

თუ დავბრუნდი, (რისი დიდი იმედიც მაქვს) უნდა ვიცხოვროთ ისე, უნდა ვეცადოთ ვიცხოვროთ ისე, რომ სიკეთე ვთესოთ. მოხდეს, დედას და მამას მოუარე, შეუმსუბუქე... გაწვალდნენ ჩვენით... ცოლი მოიყვანე, ბავშვები ახალ სტიმულს, ელფერს გაუჩენთ მათ სიცოცხლეში... მეგობრებს ნურასდროს დაივიწყებ. გვერდში ამოუდექი ყველას...

გკოცნის შენი ძამიკო...

ჰო _ ზღარბს დაუკავშირდი, დაეხმარე ირას მოსკოვში ჩაყვანაში, ეცადეთ ყველაფერს. უკვე ორი წელია გაუნძრევლად წევს, არ ვიცი რა მოვუხერხო. კიდევ ერთხელ გკოცნი, შენი ტატო!

თავი XIII

ლეგენდა შავ ალპინისტზე

«ერთხელ ზამთარში ვიღაცას უშბაზე ასვლა მოუნდომებია, თანაც მარტო, ბევრი ვაჟკაცი შეეწირა ამ ოცნებას, ძალიან ბევრი. ზაფხულობითაც კი ძნელია ამის გაკეთება და...

ნებართვა არ მიუციათ, ბევრი უხვეწნიათ, მაგრამ თავისი არ დაუშლია, ჩუმად გაპარულა. შემდგომში მწვერვალზე მის მიერ დატოვებული ნიშანი იპოვეს. თვითონ კი აღარავის უნახავს. ბევრი ეძებს, მაგრამ ვერსად იპოვეს ცხედარი. ბოლო-ბოლო შეეშვნენ. თანაც, არავინ იცოდა მისი მარშრუტი...

ალბათ იშვიათად, ან ნაცნობები, ან ალპინისტები თუ გაიხსენებდნენ, რომ ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა ვიღაც გოგო. თავგამოდებით ეძებდა, არ დატოვებდა არც ერთ კუნჭულს... ვერაფრით დაარწმუნეს, რომ აღარ არის. ალბათ მეუღლე, ან შეყვარებული იყო.

ვეხმარებოდი, დავდიოდით მასთან ერთად. ხანდახან ძებნისას მისი ოპტიმიზმი გადაგვედებოდა და როგორც ცოცხალზე ისე ვსაუბრობდით.

საღამოობით კი, ყველას ჩვენი სატრფო გვახსენდებოდა. ვოცნებობდით ასეთ სიყვარულზე, ერთგულებაზე... ასე გრძელდებოდა ხუთი წელი...

გოგონას ღამღამობით მარტო უყვარდა გასეირნება, დადგებოდა ხოლმე რომელიმე უფსკრულთან და ხან ცას გაჰყურებდა, ხან კიდევ უძირო ნაპრალის სიბნელეს, ერთ ნაბიჯში რომ იყო მის წინ ყბადაღებული... ერთხელ, შეშინებული მოვარდა, ძლივს დავაწყნარეთ. ვიღაცამ დამიძახაო, იმის ხმას მიუმგვანებია. შემოვტრიალდი და საშინელი შესახედავი, სახედაწყლულებული, შავი პირისახის კაცი დავინახე. შევშინდი და გამოვიქეცი. მეორე დღეს არ გვინდოდა გაშვება, მაგრამ მაინც გაიპარა. მოსაძებნად რომ დავაპირეთ წასვლა, თვითონ მოვარდა კვლავ აცახცახებული. ისევ გამეორდაო ყველაფერი. კარგა ხნით ჩაწვა გოგონა, სიცხე მისცა, აბოდებდა. ცუდი ამინდის გამო ვერტმფრენები არ დაფრინავდნენ და ამიტომაც, დიდ მიწაზე ვერ გავაგზავნეთ. ერთ ღამეს გაქრა ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ.

სამი წლის წინ ვიყავი. მითხრეს, თითქოს, გოგონა და შავი პირისახის ალპინისტი, შორიდან დაუნახავთ... იძახიან, თითქოს, შეხვედრები გამეორებულა რამოდენმეჯერ...

ამბობენ, ყმაწვილი არ დაღუპულა. ალპიურ მზეს სახე საშინლად დაუსახიჩრებია. შეშინებია, ასეთი ვის რაღაში ვჭირდებიო... თოფი და ტყვიაწამალი ვიღაცისთვის მოუპარია, დათვი მოუკლავს, იმის ბუნაგში დასახლებულა. ნადირობით ირჩენდა თურმე თავს... ყოველ ზაფხულს უთვალთვალებდა გოგონას, მისვლას ვერ ბედავდა, არ შევზიზღდეო. ბოლო-ბოლო ვეღარ მოუთმენია. ორჯერ გაექცა გოგონა, მესამედ კი... გაყოლია ბუნაგში... ერთად ცხოვრობდნენ სიამტკბილობაში...

...რა ვიცი შეიძლება ხალხის ფანტაზაა. ძნელად წარმოსადგენია, რომ ყმაწვილი გადარჩა. ალბათ მოეჩვენა გოგონას, ალბათ უზომო დარდმა, შეხვედრის წყურვილმა ილუზია შეუქმნა, ალბათ მესამეჯერ, შეყვარებულის ხმამ უფსკრულიდან ამოსძახა, ალბათ მის შესახვედრად დაეშვა... რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში არავის გვინახავს მათი გვამები... თოფების და ტყვიების დაკარგვის შემთხვევები კი ხშირად მეორდება»...

...მიჭირს წერა, მთავარი გითხარი... ყველაფერი შეიძლება.

თავი XIV

ეპილოგის მაგიერ

როგორ მოვხვდი კარავში და როდის აითქვიფა ლეგენდა ჩემს წარმოდენასთან, ვერც მივხვდი. ამ ამბავმა ძალიან ამაღელვა, გამიღვივა გრძნობები, ამიმოძრავა, მაგრძნობინა სხეულის ყველა კუნთი. წარმოვიდგინე, თითქოს, ის ალპინისტი მე ვიყავი, მე ვებრძოდი სტიქიას, მე ავედი მარტო, უშბაზე. თავიდან შევაფასე ყველა და ყველაფერი, სხვისი თუ ჩემი ცხოვრება. გამოვთქვავდი ერთმანეთისაგან თითქოს სრულიად განსხვავებულ აზრებს. ვკამათობდი ჩემს თავთან, სიმართლის პოვნა მინდოდა ამით.

ყველაფერი მოვირგე შავი ალპინისტის, თითქმის ყველაფერი დაემთხვა. მხოლოდ ერთი რამ გვაქვს განსხვავებული. ზღაპრებში ყველაფერი კარგად მთავრდება. ლეგენდებში კი სევდიანად, მაგრამ ოპტიმისტურად, ამიტომაც ის გაცოცხლდა, მე კი არა... იმას სატრფომ უშველა, მე კი... მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია პირველად, თითქოს, გადმოვხედე ქვეყანას ზემოდან. გულში გამოვატარე მთელი ცხოვრება, კვლავ გავიხსენე, ავიტკივე ჭრილობები, არ მოვინდომე ტანჯვა შემემსუბუქებინა, არ გავექეცი საკუთარ თავს. ადრე რასაც მხოლოდ ინსტიქტურად ვგრძნობდი, გააზრებულად შევეცადე დამენახა. ალბათ ბევრ რამეში, კვლავ ვცდები კიდევ და კიდევ უნდა გავიაზრო ყველაფერი. მსჯელობაში ბევრი წინააღმდეგობები ჰქონდა «ჩემს» ალპინისტს, მაგრამ იმას მაინც მივხვდი, რომ არ უნდა იყო გულგრილი, არ მოუფრთხილდე ნერვებს, ჯანმრთელობას და სიკეთის თესვას ეცადო, მხოლო მაშინ იქნება შენი ფუნქცია შესრულებული: რისთვისაც გაჩნდი, რისთვისაც მოგენიჭა სული, გული, ჭკუა და ოცნების უნარი...

...საერთოდ, მართლა მოჰყვა თუ არა კოცონთან ვინმემ ეს ლეგენად, ან შეიძლება მესიზმრა... შესაძლებელია...

...რა მნიშვნელობა აქვს ამას...

...უნდა გადავწყვიტო, ღირს თუ არა ხვალ უშბის დალაშქვრის მცდელობა. მე ხომ ირას უნდა მივხედო, ძმას აუცილებლად უნდა დავხვდე, მშობლები უნდა ვამყოფო ბედნიერად, რაც შეიძლება დიდხანს... მეგობრებს უნდა ამოვუდგე მხარში და საერთოდ შევასრულო ვალი კაცობრიობის, სამშობლოს, ერის წინაშე... პასუხი ეხლავე უნდა გავცე... ეხლავე, ამ წამს...

...საჭიროა კი არადა აუცილებელი, აუცილებელი. ზუსტად იმიტომ რომ ყველას ვჭირდები... ვჭირდები ენერგიული და არა... თანაც, ქვეყანას კვლავ მინდა ზემოდან გადმოვხედო!

ნაწილი მეორე

წერილები

თავი I

გოგიელას წერილი

დედა, ძალიან მენატრები, მაპატიე, რომ ამდენი ხანი ვერ მოგწერე. სანამ გადმომიყვანეს, გზა, შეჩვევა... ათასი სხვა საქმეც გაჩნდა. სიმართლე გითხრა, არც მეგონა, თუ ასე კარგად მოვეწყობოდი (კოლონიის კვალობაზე, რა თქმა უნდა).

თუმცა ბევრს გვძინავს ერთად, მაგრამ არაფერია, ამას ჯარში შევეჩვიე, ყველაფერი ძალიან სუფთად და ლამაზად არის მოწყობილი. საჭმელიც, რას იზამ, შენს გაკეთებულს ვერ შეედრება, გემრიელი და საკმაოა. დილით: ჩაი, პური, კარაქი, ყველი, ფაფა; ერბო-კვერცხი, ან შემწვარი ხორცი. სადილზე: სუპი, ან «ბორჩი», ან შჩი, შემწვარი, ან მოხარშული ხორცი კარტოფილის პიურესთან ერთად, კომპოტი, ან «კისელი». საღამოს: ჩაი, კარაქი, და ფაფა (გვიანობით ბევრი ჭამა არ შეიძლება). ასეთ რეჟიმში არასდროს მიკვებია, დღეში სამჯერ ზუსტად განსაზღვრულ დროს. «კურორტია მა რა...» კლუბიც გვაქვს, ყოველ მეორე დღეს კინოს გვაჩვენებენ. კონცერტებიც ხშირად იმართება, სპექტაკლებსაც ვდგამთ. თუმცა ვისოცკი, ჩხიკვაძე, საღარაძე, ან რამიშვილი ჩვენთან არ ჩამოდიან, მაგრამ აქაც ბევრი ტალანტია. ისე, ვერ წარმოიდგენ რამდენი ნიჭიერი კაცი ზის. ისეთი მსახიობები, დიპლომატები, «ბოქსიორები», სპორტსმენები, მუსიკოსები, მომღერლები, კომპოზიტორები, კომერსანტები (ჩემი ეკონომიური განათლება არაფერს ნიშნავს, მათან შედარებით... შენ ნუ გეშინია, გამოვალ და დიპლომს, იმ წელსავე დავიცავ), რომ ფიქრობ, ეს ხალხი თუ აქ არიან გამომწყვდეული, ჭკუაზე მოსაყვანად აღსაზრდელად, თუ საზოგადოებას არ სჭირდება, ესე იგი, ჩვენს ქვეყანას არ გაუჭირდება, გავუსწროთ ამერიკას, «შავი და ფერადი ლითონის წარმოებაში» ამ ხუთწლედშივე, როგორც «დავისახეთ». გეგონება ვშაყირობ, მაგრამ გადაირევი, ერთი ზის ჩვენთან, ქარხნის ყოფილი დირექტორი. ეს, აქ კი არ უნდა გყავდეს, უფრო დიდი ქარხნის დირექტორობა უნდა მიუსაჯო. გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით

ასრულებდა, ნაწარმი ხარისხიანი ჰქონდა, ერთი გამომგონებლის იდეა «მოსწონებია», უფრო იაფი და ნაკლები მასალა იხარჯებოდა, სამინისტროში კი, გამოყენების უფლება არ მისცეს. სამაგიეროდ «ლევად» გააკეთა, ორჯერ მეტი ნაწარმი გამოუშვა და «თვითონ» გაასაღა. ფულს სახელმწიფოს ვერ ჩავაბარებდი, მომხსნიდნენო. ჰოდა, სახლში მიჰქონდა კაცს, რა ექნა». (რა თქმა უნდა ყველაფერ ამას სიცილით იხსენებს, იმდენი იშოვა, შვილიშვილებს რომ ეყოფათ...).

ერთიც, როიალზე უკრავს და ხმაც აქვს ისეთი, აქ კი არა ჩაიკოვსკის კონკურსზე უნდა გავგზავნოთ. დარწმუნებული ვარ, ვოკალის და ფორტეპიანოს განხრითაც თუ ვერ გაიმარჯვებს, პრიზიორებში მაინც მოხვდება.

ერთიც ზის, გადაირევი რაზე. ვიღაც შუაზიელი «დელცები» გაიცნო, ნამეტანი ვიწრო გაქანების ხალხი; თქვენს საკავშირო მინისტრს ვიცნობ, ჩემი ძმაკაციაო. უთხრა: ჩამოდით ას-ასი ათასი ჩამოიტანეთ და მერე, რაც გინდათ, მთელი წლის განმავლობაში ის გააკეთეთ, რესპულიკის ხელმძღვანელობასაც გააჩერებსო.

«იქირავა» მოსკოვში, რომელიღაც სკოლა, შესასვლელთან სამინისტროს დასახელება დააწერა. მერხები, დაფები და სკოლის სხვა ნივთები ცოტახნით გამოაზიდინა. ოთახები, ინტერიერი მოაწყო შესაბამისად «ოცდაოთხები», «ჩაიკებიც» დაიქირავა. ხალხიც «მოამზადა». ზოგს ვითომ «ტყავს აძრობენ», ცუდი მუშაობისათვის. ზოგიც «ატჩოტებით», საბუთებით დარბის. ვახტიორი, მდივანი, მემანქანე ქალები «საშვთა ბიურო» მოკლედ არაფერი გამორჩენია. შესასვლელში პლაკატი ჩამოჰკიდა: "Советская машинастроения, самая передовая в мире!"

ჰოდა, ჩამოიყვანა ათი იდიოტი. შეიყვანა «მოსაცდელში», «მდივნისთვის» «ფირმა ბანბანერკები» აჩუქებინა. დააცდევინა ერთი საათი «კოლეგიის დამთავრებამდე». მერე თვითონ შევიდა «მინისტრის კაბინეტში», ცოტახანში ისინიც «გამოიძახეს», მოასმენინა «მინისტრის» ლექცია, თემაზე: "Как превротить в жизнь, решения N-ого съезда"

_ დაატოვებინა ფულით სავსე დიპლომატები, რესტორანშიც იქეიფა, საქმის კარგად დაგვირგვინების აღსანიშნავად. ბოლოს, ყველა გააცილა, სკოლა ისევ სკოლად აქცია და «აითესა».

მოგეხსენებათ «დელცებს» რაც მოუვიდათ, ყველაფერი კარგად იქნებოდა, ცოლს რომ არ ეეჭვიანა «მინისტრის მდივანზე» და არ გავეყიდეო _ იძახის. არა უსაფუძვლოდაც ორი წელი ისე ცხოვრობდა, ეჭვიც არავის აუღია.

ეხლა, რაც შეეხება ჩემს «შრომა-მოღვაწეობას». ვამზადებთ კარტოფილის «სეტკებს». თავიდან გამიჭირდა, მალე შევეჩვიე...

ჰო, შესასვლელთან, ვახტზე პლაკატი ჰკიდია: "Пруд это наше главное достижение". საერთო ლოზუნგები და პლაკატებიც სხვაგანაც არ გვაკლია, მაგრამ აქ მთელი «ბუკეტია». მაგალითად კლუბში: "Наша цель достичь перевоспитания, через искуство".

კიდევ: "На волью интелектуально развитым". anda "Художественная самодеятельность, помогает стать настоящим, Совестким человеком".

სასადილოში: "Не забуть вимить руки!", "Чистота залог здоровья!"

ასე რომ არაფერი მიჭირს. შენ, მეგობრები და თბილისი რომ არ მენატრებოდეს. გამოვითვალე 1432 დღეთა დამრჩა, ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ არც ისე ბევრი. ნუ იდარდებ!

გკოცნის შენი სულელი გოგიელა!

დედიკო, ბიჭები თუ გაკითხავენ? უთხარი, რაც შეიძლება ხშირად მომწერონ. კიდევ ერთხელ გკოცნი და გეხუტუნები.

შენი სულელი გოგიელა!

II თავი

რაც წერილში არ შევიდა

წინასწარი პატიმრობისას, რაღაცნაირი შიშით შევედი საკანში. ჩემთვის უცნობ, წარმოუდგენელ სამყაროში. კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს და იცოდეს, უთქვამთ. აქ გამომადგა ქუჩა, მისი კანონების ასე თუ ისე ცოდნა, მაგრამ მაინც გამიჭირდა შეჩვევა.

თავიდან ცალკე მომათავსეს. «ეშინოდათ» ვინმესთან კონტაქტი არ დამემყარებინა. სად მქონდა ამის თავი, თითქოს სიზმარში ვიყავი. პატიმრობაზე, მომავალზე საერთოდ არ ვფიქრობდი. გულის სიღრმეში, მაინც ვერ წარომედგინა, ასე რომ გამწირავდნენ, თუმცა პირობა არ დამირღვევია და არც დავარღვევდი.

აი, როდესაც საერთოში გადამიყვანეს, მაშინ გამიჩნდა შიშის გრძნობა. შევიგნე ჩემი რეალური მდგომარეობა... სამნი დამხვდნენ. მაღალი ჩაფსკვნილი, ძალიან ლამაზი, ოცდასამი წლის კახელი ბიჭი, თედო. მიახლოვებით ჩემნაირ გაჭირვებაში მყოფი. პირველი კონფლიქტის მიუხედავად, მასთან დავვახლოვდი ყველაზე მეტად. ალბათ, საერთო ჭირმა, ფიქრებმა დაგვაკავშირა.

ცხოვრებაში, მითუმეტეს აქ, ასეთ რამეს დიდ მნიშვნელობა აქვს. მოკლედ, მოვუყევით ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი ისტორიები. ყოველ დღე რაღაც რაღაცეებს ვუმატებდით, ვიხსენებდით. შემდეგ დავჯდებოდით ერთად, სადმე კუთხეში და ორივე საკუთარ ფიქრებში ვეფლობოდით...

თედოს და ერთ გოგოს ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი, კლასელები იყვნენ. თავიდან, არავინ დიდ ყურადღებას არ აქცევდა, ბავშვურ მეგობრებად თვლიდნენ. როდესაც წამოიზარდნენ, გოგოს ოჯახმა მათი დაშორება მოინდომა. თედოს მშობლები უბრალო, კახელი გლეხები არიან. შეყვარებულის მამა კი ერთ-ერთი ცნობილი, ავტორიტეტიანი კაცი გახლავთ რაიონში. თბილისიდან გადმოსახლებული, რაიკომის ყოფილი მდივანი, შემდეგ ღვინის ქარხნის დირექტორი. თედოს სწავლა-განათლების სურვილი დიდად არასდროს ახრჩობდა, ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ, ისიც უბრალო გლეხი გახდა. «პრავაზეც» დადიოდა შოფრობა უნდოდა. გოგომ კი სასოფლოში ჩააბარა, დაუსწრებელზე. სამუშაოდ სადღაც გააფორმეს, რა თქმა უნდა ფიქტიურად.

მომიყვა, როგორ ხვდებოდნენ ჩუმ-ჩუმად, ხშირად გოგოს დეიდასთან. მათი პედაგოგი ყოფილა. კეთილი, ძალიან კარგი ქალი იყოო, იხსენებდა, მხოლოდ მასზე მწყდებაო გული...

«იცი, იცი ბიო, რა კარგი იყოი, ცისფერები ჩაცმაი უყვარდა ხათუნასა. ძაან უხდებოდა, სუ ტანში მაჟრიალებდა, რო დავინახავდი ვერცა წარმომედგინა, ამასა როგორ უნდა მიეკაროი კაცი... მარტო მოფერებაი მინდოდა, როგორცა პატარა ბალღის... დეიდაცა,

ვითამცა რაღაცა საქმეი ჰქონდა გავიდოდა კარში. მარტოი გვტოვებდა. ჩავეხუტებოდი და ასე ვიყავით სულა»...

ჯარი მოუწია თუ არა, პირველივე გაწვევაზე გაუშვეს. წერილებს დეიდასთან სწერდა.

«სუ იმასა იძახოდა, მალე ჩამოიო, მენატრებიო... იმ დღესა, თითქოი გულმა მიგრძნო, მთელი დღე ადგილსა ვერა ვპოულობდი. დიდი ხანია არ მოეწერათ... იქა, «კოლხოზნიკზედ» ვიჯექი, პოლკი უფროსსა დავატარებდი. ჰოდა, კინაღამ კამაზსსა არ შევასკდით?!.

საღამოისა მოჰქონდათ წერილები, დეიდაც მწერდა: გათხოვდაო, ნუ გეწყინებაო, თუ გიყვარს _ აპატიეო! «ისა, ბავშვური იყოო», ახლაი ვიღაცა ნაღდადა შეიყვარაო. ჰმ... მამამისთანა, ერთ ბიჭს დაუწყია მუშაობა, მთავარ ინჟინრადა. იმასაი გაყვა, მაგის...

პირდაპირა, ოჯახში მივწერე, მოგკლვ მეთქი»...

ჩამოსულა თედო, ერთი წელი გაურბოდა თურმე. ყველამ იცოდა დანაპირებიო. უბნის ინსპექტორსაც გაუფრთხილებია: «ე მანდ, სისულელეი არ ქნა ბიოო».

ერთხელ, თედოს დაუნახავს, რომ ხათუნა, დედამისი და დეიდამისი სიძის მანქანაში ჩამჯდარან და თბილისისკენ წამოსულან. თედო «ლაზზე» იჯდა, გავარდნილა სახლში, ნახევარი ლიტრა ჭაჭა ჩაუცლია პირდაპირ ბოთლიდან, დაწევია გზაში და გადაუთელია...

რამდენჯერაც გამეღვიძა ღამით, იმდენჯერ მინახავს ძილში მტირალი თედო: თავის ხათუნას ეძახდა, ბოდიშს უხდიდა, სიყვარულს უხსნიდა, ეფერებოდა...

მე რომ წამომიყვანეს, ჯერ კიდევ გამოძიებაში იყო. ეხლახან გავიგე, გამწარებულ მამამისს მუქარის წერილიც უჩვენებია სასამართლოზე. ცამეტი წელი მიუსაჯეს, ხუთი «კრიტში», არც ამინისტია ეხება და არც არაფერი.

მეორე დამხვედრი, _ თბილისელი «იგროკი» ბონდო ლორია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ალბათ გაყიდული ამბავი იყო და მილიცია პირდაპირ თამაშისას წამოადგათ თავზე. ძალიან ლამაზი, თბილი პულოვერი ეცვა, ცოლის მიერ მოქსოვილი, მკერდზე ინგლისის დიდი დროშის გამოსახულებით.

ზედამხედველს მოეწონა, სულ ეხვეწებოდა მომყიდე ან მაჩუქეო, ვერაფრთი ვერ დაითანხმა. სიტყვაც მოუვიდა, ქურდებს სჭირდებათ შენი პულავერი და გამოაგზავნე ამა და ამ საკანშიო. მაინც არ ჰქნა არაფრით.

ერთ ღამეს, კაკუნი მოგვესმა. კარების ფანჯარა გამოაღეს და ბონდოს დაუძახეს. ქურდი «საიეტა» მოსულა მასთან დასალაპარაკებლად.

_ რომ გითხარით, რატომ არ გააკეთე ბიჭო!..

_ იმიტომ, რომ პულავერი ჩემია და მინდა გავიგო, რაში გჭირდებათ.

_ საქმეს სჭირდება!!!

_ «ნადზორს» უნდა ხომ?..

_ მერე, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ასეა საჭირო, ხომ გაიგე ბიჭო, აქ არ უნდა მოგეყვანე და შეგეწუხებინე!... კარგი, კარგი მოიტა და დავივიწყოთ!

ბონდომ პულავერი გაიხადა და «ფორთოჩკისკენ» გაუწოდა, თან დააყოლა: _ კი ბატონო, წაიღეთ, მაგრამ არ მინდა, იმ «ძაღლმა» რომ თქვას, არ მაძლევდა, ქურდი ჩავრიე და იმას გამოვართმევინეო.

«საიეტა» უცებ შეცბა, გამოწვდილი ხელი გაუშეშდა, მიხვდა ბონდოს «ნამიოკს». ვიღაც ზედამხედველის ნება-სურვილის შესრულებაში შეიძლება მოედოთ შარი, ამას კი წესები

კრძალავენ, თუმცა, თავის გამართლებასაც შეძლებდა ალბათ, მაგრამ მაინც არ გარისკა, თავისიანებშიც მთლად კარგად არ ჰქონდა საქმე. შემდეგ «ზონაში» მითხრეს «გაუფუჭებიათ საიეტა».

იმ ღამეს კიდევ მოგვესმა მისი ხმა, ეტყობა «კაიფში» იყო, ვიღაცასთან ერთად დადიოდა დერეფანში. მეც კაი ტიპი ვარ, ვიღაც «ძაღლისთვის» კინაღამ შეცდომა დავუშვიო, _ ბუზღუნებდა.

ციხეში, მითუმეტეს ღამ-ღამობით, კარგად ისმის ხმა. ყველამ გაიგო «პულავერის ამბავი»: ჩემ-ჩუმად იცინოდნენ, ზოგიერთი ცინიკოსი ზედამხედველს პირდაპირ ეუბნებოდა: ჰა, ბიჭო, პულავერი არ გინდა? ჩემსას მოგცემ, წაიღე, გული არ დაგწყდეს, ნუღარავის «შეაწუხებ» ასეთი უბრალო რამისათვის.

მესამე, «კამერის მაყურებელი», თბილისელი ბიჭი, ქურდობაზე დაჭერილი დამხვდა. ვითომ წყნარი, მაგრამ ეტყობოდა, ძალიან ჭკვიანი და «ჟილკიანი» ვინმე იყო. შესვლისთანავე გამომკითხა ვინ ვიყავი, ადგილი მომიჩინა, შემდგომში თითქმის არც გვისაუბრია.

ჩვენი «კამერა» ბეტონის «მეშოკს» წარმოადგნდა, ციხის პატარა ეზოში გასასვლელი ფანჯრით. ორ რიგად და სართულად განლაგებული, სულ ექვსი «ნარით». ცოტანი ვიყავით, ამიტომ ადგილი თავისუფლად შემხვდა. თუ საკანში ბევრი ზის და დასაწოლი არ ჰყოფნის, შეიძლება ვინმე «გოიმი» ან «კაზიოლი» ჩამოაგდონ, იმას იატაკზკე მიუჩინონ ადგილი, ან ვიღაცასთან «შეთავსებით» მოგათავსონ, მორიგეობით დაიძინებთო. აგრეთვე შეიძლბა, ბეტონის იატაკზე თვითონ მიგითითონ...

შესვლისთანავე «გამაშაყირეს». რამდენიმე ცნობილი «ხუმრობაა» ახალმოსულებისთვის, ერთ-ერთი მათგანი მომიწყვეს.

თედოზე მითხრეს, გიჟიაო. ძმა მოუკლეს და ამისგან შეირყა, რომ მოუვლის, არაფერი მოგვიწიოს, ყველას გვეშინიაო.

უცებ, თედომ ღრიალი და ყვირილი დაიწყო. ხელში დანა ეკავა, ყველას დასდევდა, ბონდო და «მაყურებელი», ვაიმე არ დაგვარტყასო, გაჰყვიროდნენ. მეც გამომიდგა. გაიქეცი, რას დგახარ ბიჭო, მოგკლავსო. დავიწყე სირბილი. კუთხეში მომამწყვდია. იყეფე, იყეფე, მაგისი ეშინია, შემომძახეს. მაშინღა «ვიყიდე» რომ მაშაყირებდნენ. «ნარის» ფიცარი მოვგლიჯე და ყველას დავერიე. ძლივს გამაკავეს, ისტერიკა დამემართა. როცა დავწყნარდი, გულში არაფერი ჩაიდო, ვიხუმრეთო მითხრეს. შევრიგდით, გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ასე სჯობდა...

შემდეგ, «ეტაპი», «ზონა» ყველაფერს შეჩვევა უნდა. თან, არც ვიცოდი დედასთვის რა, როგორ მიმეწერა. ადვილადაც ვერ გაგზავნი წერილს და ამიტომ დავაგვიანე. არადა, მესმის, როგორ ელოდება ყოველ ჩემს სიტყვას.

თავი III

წერილი მეგობარს

სალამი ჩემს ძმას და მეგობარს შალიკოს, როგორ გიკითხო, რასა იქმნ. იცი, ყველაფერი მაინტერესებს. როგორ არის ჩემი ნათლული, მეუღლე, დედაშენი, მამაშენი და ჩვენი საერთო საყვარელი ადამიანი. სიძე როგორ გყავს, ბიჭები რას შვებიან...

ჰმ, ამას გეკითები, მაგრამ ვიცი, რომ უეცარ პასუხს ვერ მივიღებ, სანამ წერილს არ გამომიგზავნი, ან მინახულებთ.

ყველას გადაეცი, რაც შეიძლება ხშირად მომწერონ, მიღება არ არის შეზღუდული, მე კი... გაგზავნა, ოფიციალურად თვეში ერთხელ შემიძლია, მაგრამ როგორც ამბობენ, ადმინისტრაციულ შენობაზე მიკრული «საფოსტო ყუთი», უკვე ხუთი წელია არავის გაუხსნია და არც აპირებენ. ამიტომ, თუ ვინმეს «სვიდანია» აქვს, იმას ვაძლევთ, მალულად გამოგვაქვს, მნახველებმა რომ გადმოაგზავნონ. ამის გამოც, ხვდები, ხშირად შეიძლება ვერც შევძლო მოწერა.

შაკო, დედაჩემს მიხედეთ, ინახულეთ ხოლმე! ვიცი ძნელიც იქნება მისთვის თქვენი დანახვა, მაგრამ მაინც გაუხარდება. თან, დაეხმარებით კიდეც რამეში, თვითონ არაფრის თქმა არ იცის და ნახავთ. რა იქნება საჭირო. ყველაზე მეტად, მისი ხშირი ავადმყოფობა მაწუხებს. მე მანდ არ ვარ, მეზობლების და თქვენს გარდა, არავინ ჰყავს პატრონი.

ჩემზე რა გითხრა ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. თუმცა, აქაურობასთან შეგუება წარმოუდგენელია. საკვირველია, ზოგი ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. ეს სიგიჟედ თუ არა, რაღაც ფსიქიკურ გადახრად მაინც მიმაჩნია.

როგორ შეიძლება ამ წუმპეში ყოფნა მოგწონდეს. საზიზღარ სიბინძურეს, ყოველგვარ სიგლახეს, ყოველდღიურ დაცინვას, ღირსების, ადამიანობის შელახვას იძულებული ხარ დაემორჩილო,

უმეტესობა მგლურად იქცევა, თუ არ მოტყდა, მაგრამ ისინიც კი, შეკუმშულ ზამბარასავით არიან. როდის სად იფეთქებენ, რა საშინელებას ჩაიდენენ, ვერ გაიგებ. ბოღმა მთელი ცხოვრების მანძილზე რჩებათ.

საუბედუროდ, სახელმწიფოს სჭირდება ასეთი დაწესებულებები, სხვა გზა ვერ იპოვა კაცობრიობამ. ამიტომ, წესით ციხე, კოლონია, როგორ მესმის, ადამიანის გამოსასწორებლად უნდა არსებობდეს. ეს არის მთავარი ფუნქცია, დანიშნულება. ამის გარეშე დასჯასაც რა აზრი აქვს.

სინამდვილეში, ისეთი დაწერილი თუ დაუწერებლი იურიდიული კანონები მოქმედებენ, ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ხვდები, სამაგიეროს გიხდიან. ძალიან ცუდია, როდესაც მეოცე საუკუნეში სახელმწიფო, რომელიც ჰუმანური იდეები სათვის მებრძოლი მთავარი ერთეული უნდა იყოს, დადის ამ დონემდე, გთელავს, გსრისავს, გაშტერებს და ამითი საზოგადოებას, ხალხს აშინებს ან სადისტურ გრძნობებს უკმაყოფილებს. ამიტომაცაა რომ ყველა იბოღომება. მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩებათ აქ ყოფნის დაღი, არასრულფასოვნების კომპლექსი (თუმცა, ბევრს შეუგნებლად), სძულდებათ ხალხი, საზოგადოება. ადამიანის სიცოცხლეს, პატიმრის თვალში, ფასი ეკარგება. იმიტომ რომ ყველასი: შენი, იმისი სახელით ხარ ასეთ მდგომარეობაში. რაც უნდა დამნაშავე იყო, განიცდიდე კიდეც, ეს გრძნობა მალე გეკარგება. კიდევ ვიმეორებ, იბოღმები საზოგადოებაზე.

ერთი რამე შეიძლება თქვა, თითქოს, დაწერილი, იურიდიული კანონების ბრალი არ არის ყველაფერი ეს. მაგრამ სიმკაცრესთან ერთად, ბუნდოვანი ფორმულირებები, ჯერ სამინისტროს ინსტრუქციებით მახინჯდებიან, მერე თვით ადმინისტრაციის

მოქმედებით. ყველას ეძლევა საშუალება მონად, არასრულფასოვან ადამიანად ჩაგთვალოს და შესაბამისად მოგექცეს. გესმის?! ამის უფლებას კანონების დამსჯელი, მაგრამ «ჰუმანური» «აღმზრდელობითი» ფუნქციის კანონები იძლევიან.

ყველაფერი ეს, კიდევ უფრო დიდ სიგლახეს ბადებს, თვით ტუსაღთა შორის. იმას თავი დავანებოთ, დაუწერელი კანონები, რომ მოქმედებენ, ეს ნორმალურად ითვლება, თვით ადმინსიტრაციას აწყობს (ისე წესრიგი ვერ დამყარდება, ასეთ ექსტრემალურ პირობებში). მაგრამ ისინიც ფიქციად იქცა. უფრო სწორედ, ათასგვარად შეიძლება შემოგიტრიალონ თუ მოინდომეს. თუმცა, ოფიციალურ პირებთან შედარებით ურთიერთდამოკიდებულებების ფორმები ისე მაინც არ ირღვევა, ფორმალური მხარე მაინც სრულდება ზედმიწევნით.

აქაურობა ჯუნგლებია, შაკო! ოღონდ მშიერი, უნაყოფო. თავი რომ ირჩინო, ძლიერი უნდა იყო, არამარტო ფიზიკურად, გონებრივადაც. თან უნდა გაგაჩნდეს «გამოცდილება». რაც უფრო მეტი გაქვს ეს კომპონენტები, უფრო კარგად ცხოვრობ, «კარგად» გრძნობ თავს, შეიძლება არაფერი გაკლდეს, არც საჭმელი, არც სასმელი, არც ნარკოტიკები. გძინავს სუფთად, ვერავინ გილახავს პიროვნულ ღირსებას (საერთოდ, ნარკოტიკების გარეშე, როგორცუნდა ცხოვრობდეს ყველა ტუსაღი. არ მახსოვს ვინ თქვა, მგონი ძერჟინსკიმ: «ტუსაღს ისიც ეყოფა, თავისუფლება რომ აქვს წართმეული»).

ეხლა მთავარი... უკვე მერამდენეჯერ, უნდა მიშველოთ. ფული მჭირდება, სამასი მანათი ყოველთვიურად, იმიტომ რომ... ყველაფერს როცა ჩამოხვალ, მერე აგიხსნი. ბევრ რამეს, ვიცი, თვითონაც ხვდები. ბოდიში შაკო, მაგრამ თქვენს მეტს, ვის მივმართო. დედაჩემს, იცი რაც გააჩნია. სულ ავადმყოფობს, რაღაცას მაინც მოახერხებდა, რომ მივწერო ფულის შესახებ, მაგრამ რისთვის მჭირდება უნდა ავუხსნა. მე კი ვატყუებ, მეშინია, ცუდად არ გახდეს, აქაურობას ცისფერ ფერებში ვუხატავ...

...გაგიწყალეთ გული. სულ ჩემს დახმარებაში და...

ალბათ ცუდ ვარსკვლავზე დავიბადე...

მომიკითხე ყველა, ჩაკოცნე ჩემს მაგივრად.

თქვენი სულელი გოგიელა.

თეთრეული წამომიღეთ, ორი პირი, კიდევ ერთხელ გკოცნით.

თქვენი გოგიელა!

თავი IV

რაც შაკოსთან გაგზავნილ წერილში არ შევიდა

ჰმ?... აგიხსნი. თავის სამართლებლად ვიცი, ამას არც აქვს აზრი. ისედაც ეცდებით, ყველაფერი გააკეთოთ. თუმცა, ადამიანს ბეზრდება... არა, სისულელეები მომდის თავში. თქვენ არ შეიძლება მიმატოვოთ. არ არსებობს, თქვენს ღალატს ვერ დავიჯერებ. რაღა დამრჩა დედა, თქვენ... ყველა დანარჩენში რწმენა დამეკარგა... არა, არ დამიკარგავს. ღმერთის, ღმერთის ვიწამე ბიჭებო, აქამდე არც მიფიქრია ამაზე.

ალბათ ადამიანის ბუნებაა ასეთი: სანამ ძალიან არ გაგიჭირდება, ბურუსში ცხოვრობ, არ უკვირდები შენს მრწამსს. რწმენა, ღმერთის რწმენა მინარჩუნებს, ასე თუ ისე კაცობას, საღ გონებას, მომავლის იმედს. თუმცა, ვიცი დიდი ცოდვილი ვარ. სულით, აზრებით ვარ ცოდვილი. ბოღმა მაინც მიდევს გულში, მაგრამ ვცდილობ დავძლიო, ვებრძოლო სატანას...

«ზონისკენ» ეტაპზე მატარებლით «ვიმგზავრეთ» ვაგონებს, სადაც ჩვენ მოგვათავსეს «სტოლიპინები» ჰქვია. რუსეთის უკანასკნელი მეფის პრემიერ-მინისტრის «საპატივცემლოდ». პირველად მის დროს შემოუღიათ «შემადგენლობის» ეს «კლასი». შეიძლება ტყუილია, რა ვიცი, ესე ამბობენ. ოთხნი ვიყავით ერთ «მშობლიურ» «ზონაში» გამწესებული. ერთი «პიდარასტი» ცალკე «კუპეში» ჰყავდათ «მოთავსებული». დანარჩენი ორი ჩემთან ერთად, მაგრამ «კაზიოლები» იყვნენ და არც მათთვის გამიცია ხმა. ვიჯექი კარგად ჩარაზულ «რეშოტკებიან» ფანჯარასთან და სულ გარეთ ვიყურებოდი. აზრზე არა ხართ, რა ბედნიერებაა როდესაც «ქვეყნიერებას უთვალთვალებს» თავისუფალი ადამიანი, გარემოს ჰხედავ, საიდანაც მოგწყვიტეს, ჩამოგაშორეს, მაგრამ იმედი გავქს დაბრუნდები. უცქერ და ტკბები... იბოღმები, გული გეკუმშება... მაინც გიხარია, იმათ მაგივრად გიხარია, ვინც არ იცის ამის ფასი. უმეტესად ღამ-ღამობით ვმოძრაობდით, დილით, სადმე ჩიხში გვაჩერებდნენ. გამოჩნდება თუ არა რაიმე სულიერი, უბრალო ვირთხაც კი, უეცრად იძაბები, თითქოს რაღაცას მოელი მისგან, სანუგეშოს, დასამშვიდებელს... თავისუფლება! რა ბევრ რამეს ნიშნავს ეს სიტყვა ნორმალური ადამიანისათვის, რისი გულისათისაც ხდებოდა და ხდება გადატრიალებები, რევოლუციები, სისხლისღვრა, ომები. ყოველი გამარჯვების შემდეგ კი, ჩნდება ახალი სატუსაღოები, ახალი ხალხი ავსებს მათ, დამნაშავე, თუ უდანაშაულო ცნობიერებიდან გამომდინარეობს თავისუფლების გრძნობა, წყურვილი. ადამ და ევამ მიუტევებელი ცოდვაც კი ჩაიდინეს ამის გულისათვის მარადიულობა დასთმეს, უფალს არ დაემორჩილენ. მაინც რა გამოვიდა, ჯერჯერობით არაფერი. გიჟის, ფსიქიურად დაავადებულის გარდა, ვერავინ მოიპოვა სრული, ბუნებრივი განთავისუფლება მხოლოდ სწრაფვა, გვაქვს ამისი. ეს გვინარჩუნებს სიცოცხლის ძალას.

მივსდევთ, ვუახლოვდებით იდეალს, მაგრამ სადღაც გაგვირბის თითქოს მირაჟი ყოფილა. ადგილმდებარეობას იცვლის... უფალმა შეგვქმნა თავის მსგავსად, სული ჩაგვბერა, ამიტომაც ხშირად მკრეხელობას ვიჩენთ, გვგონია, თუ ყოვლისშემძლენი გავხდით, ირგვლივ ყველაფერს დავემორჩილებთ. მივაღწევთ სანუკვარ ოცნებას.

ამაოდ, მხოლოდ განწმენდით შეიძლება მიზნის მიღწევა, რაც ძალიან ძნელია. უმეტესობისათვის, ალბათ ჩემთვისაც მიუწვდომელია, მაგრამ თუ ეს შევძელით, მაშინ ადამიანში მხოლოდ უფლის მიერ ჩაბერილი სული რჩება. გასუფთავებული ათასგვარი სიბინძურისაგან სიფლიდისაგან და სიცრუისაგან, ბოღმისაგან და დიდების მანიისაგან.

პატიმარი ფიზიკურ თავისუფლებასაც ჰკარგავს, სულიერი, როგორც ადრე ვთქვი უმეტესობისათვის მიუღწეველია და ამითი ორმაგ ტრამვას განიცდის...

«ვახტამდე» სპეცმანქანით მიგვიყვანეს «ავტომატჩიკებმა». დატოვეს ჩვენი საბუთები, გადაგვაბარეს და სწრაფად, თითქოს სადღაც ეჩქარებათო, წავიდნენ.

«ნარუჩნიკები» დიდი ზოზინით მოგვხსნეს. სულ ფეხზე არ ჰკიდიათ ხელი გტკივა, თუ არა?! ვის აინტერესებს შენი მდგომარეობა...

თვითონ პატიმრებიდან, ზონის შესასვლელში, რამოდენიმე კაცი გვხვდება, უმეტესად ძალად «ძველი ბიჭები». უკვე მიახლოებით იციან, ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რაზე ზიხარ. უბრალოდ, უნდათ ვინმე «გოიმი» გამოიჭირონ, რამეში გამოიყენონ. «ვინ ხარ, სადაური, რაზე ზიხარ»... აი, ტიპიური კითხვები. მეც ვუპასუხე. მალე მიხვდნენ, ჩემგან ხეირი არაფერი შეხვდებოდათ და მომეშვნენ.

უცებ იწყება ნაცნობების ძებნა, შენი კუთხის ხალხის, ვთქვათ ზუგდიდელი ზუგდიდელებთან მიდის, ვანელი _ ვანელებთან, თბილისელი _ თბილისელთან, უბნების მიხევდით. გამოელაპარაკებიან, გაიგებენ ვინ არის, ვისი მეგობარი, ნათესავი, ახლობელი ან მტერი... გამიმართლა. დედაჩემის სოფლელი შემხვდა. ბავშვობაში, ბებიასთან და დეიდასთან რომ ჩავდიოდი, ხშირად ვხედავდი, მახსოვდა. მერე დაიკარგა. როგორც ვიცოდი, ჯერ სადღაც რუსეთში მუშაობდა, დაბრუნდა და ვიღაც მაგრად სცემა ქეიფისას. ხუთი წელი ჰქონდა მერაბ ბეჟანიძეს მისჯილი. პირობით, ადრე გასვლას «აკეთებდა», მაგრამ თბილისიდან ჩამოსული ერთ-ერთი კომისიის დროს, ვიღაცას «არ მოეწონა». კიდევ კარგად გადარჩა გაძლიერებულ რეჟიმში რომ არ გადაიყვანეს, ან რაიმე არ «შეტენეს» რამდენიმე «ზედმეტი» წლის დასამატებლად. ბევრი ფული დაუჯდა ამის «ჩაწყობა».

ბუნებით ძალიან თბილი, სუფთა იმერელი, ლოვანებით ასე ორმოცი წლის კაცია. გამოველაპარაკე, რომ გაიგო ვინც ვიყავი, გაუხარდა ჩემი ჩაჯდომა კი არა, ერთად მოხვედრა, რა თქმა უნდა. დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი. გაგიმართლაო, მითხრა, ჩემი «კუტოკიდან» ერთს «სროკი» გაუთავდა და იმის მაგივრად დამიწვებიო გვერდით. არც ლეიბის, ბალიშის, საბნის და «თეთრეულის» ყიდვა დაგჭირდებაო «სკლადში».

წესით ყველაფერს ადმინისტრაცი უნდა გაძლევდეს, მაგრამ გაიძულებენ ფული გადაიხადო. არ მისცემ და დაწვები ცარიელ «პრუჟინებზე» ანდა თუ ვინმე გადის, შეიძლება იმისი შეგხვდეს. თვითონ «ზონა» შვიდას კაცზეა დაპროექტებული და აშენებული, ორიათასი კი ვზივართ.

შესვლისთანავე სულელური აზრი გამიჩნდა, თითქოს, რომელიმე ამერიკული ფილმის გმირი, ან «დაუმარცხებელი» მუდამ გამარჯვებული საბჭოთა მზვერავი სოცრეალიზმის ამსახველი დეტექტივებიდან ვყოფილიყავი. ტერიტორიის თვალიერება დავიწყე. გასაქცევად, სუსტ წერტილებს ვეძებდი. დროზე მოვეგე გონს, მიწაყრილთან! ვის, ან სად გაექცევი...

მაინც შევისწავლე მთელი «არქიტექტურული ანსამბლი», ალბათ თქვენც დაგაინტერესებთ «ზონას» «ოთხკუთხედი» ფორმა აქვს. შიგნიდან ჯერ მიწაყრილია ისეთი, საზღვარზე რომ იციან. შემდეგ, მიყოლებით მავთულხლართები, ბეტონის ორმეტრნახევრიანი კედელი ექვსი, სხვადასხვა კუთხეში, ვახტის თავზე და მის მოპიდაპირე კედელზე განლაგებული «კოშკებით» და კვლავ მიწაყრილი, მავთულხლართები.

თვით «ზონა» დაყოფილია სამ ნაწილად. შედიხარ თუ არა, «ვახტის» ხელმარჯვნივ, მავთულხლართით შემოღობილია შედარებით პატარა, ტერიტორია. ამ ადგილს «პრავერკას» ეძახიან.

პატიმრების უმეტესობა კოლმეურნეობაში გაჰყავთ სამუშაოდ. გამსვლელთა რაოდენობა, აუცილებლად, ყოველთვის ხუთზე უნდა იყოფოდეს ინსტრუქციის

მიხედვით. შემდეგ «ზონოვსკები» დიდი ჯოხით ხელში დადიან ტერიტორიაზე და ყველას, ამ შემოღობილში ჰყრიან. გამონაკლისი მხოლოდ ძალიან ავამყოფებისთვის ხდება. დაუმორჩილებლობისათვის გირახუნებენ კიდეც.

იწყება დათვლა სიმართლე რომ ვთქვათ, თავს დიდად არცერთი მორიგე «ოპერი» (კაპიტანი ან მაიორი წოდებით) არ იწუხებს, მაგრამ ორი საათი კი ყურყუტებ. (ზამთარში ან წვიმის დროს «პრავერკა» კლუბში ტარდება). ამ დროს «კონტროლიორები» (პროპორშჩიკები წოდებით) დადიან ბარაკებში და დარჩენილ ტუსაღთა რაოდენობას «ამოწმებენ», ესეც ფორმალობაა, რადგან, სანამ ერთი ბარაკიდან მეორეში გადავლენ, თავისუფლად შეიძლება ტუსაღი მეორედ დაითვალონ, სახეზე არავის აკვირდებიან. ორ კვირაში ერთხელ ატარებენ «ჩისტკას». ყველაფერს, განაწესით ნებადართულია თუ არა, კბილის ჯაგრისი, პასტა, საწერ-კალამი, რვეულები, კონვერტები, «სპირალი» ფანჯრიდან ისვრიან. «პიდარასტები» კი აგროვებენ, აქუჩებენ ერთ ადგილას, რაც მოეწონებათ თავისთვის იღებენ და დანარჩენს წვავენ. ამორჩეულ ნივთებს კი, ისევ პატიმრებში ჰყიდიან. მათვე შეუძლიათ მიწაყრილთან მისვლა, გასასწორებლად, სადაც «ვიშკის» გუშაგებისაგან სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს იძენენ. უფრო ხშირად ისევ პატიმრებში გადასაყიდად.

ყველა, ვისაც საშუალება აქვს, ჩვენი უუფლებობით, შიმშილით სარგებლობს. «კონტროლიორები» «ჩისტკას» იმიტომ ატარებენ, რომ შემდგომში, იგივე ნივთები, თვითონვე შემოიტანონ და მოგვყიდონ.

გზის გაყოლებით «პრავერკის» შემდეგ მდებარეობს «ცეხი», სადაც იქ მომუშავე პატიმრები ამზადებენ კარტოფილის «სეტკებს» მაღაზიაში რომ იყიდება ისეთს. იმავე შენობაშია «შკოლა», საშუალო განათლება ვისაც არ აქვს, იმისათვის. ატესტატს იძლევიან, მაგრამ რა ისწავლება ადვილი მისახვედრია. «პედაგოგებიც» მხოლოდ «საბარიგოდ» მოდიან. როგორც ყველა, ჰყიდიან ჩაის, შაქარს, კბილის ჯაგრისს და პასტას, ქაღალდს, ფანქრებს, საწერ-კალმებს და სხვა საჭირო ნივთებს. შემდეგ მოდის «სასადილო». შესასვლელთან, ხელმარჯვნივ მდებარეობს ორი პატარა ოთახი, სადაც მკერავი და პარიკმახერი მუშაობს. თავიანთი პროფესიონალური მოვალეობის გარდა, ისინიც «გაცხოველებულ ვაჭრობას» ეწევიან.

«სასადილოში» მაგიდები ორ რიგადაა განლაგებული. ბოლოში, მარჯვენა მხარეს მდებარეობს «ხლებორეზკა», მის გვერდით კი «კუხნა». წესით, პატიმრები დღეში სამჯერ, «ატრიადებად» დაწყობილი უნდა მოდიოდნენ. სინამდვილეში, აქ ჭამა შეუძლებელია. ვინმე მიდის ხოლმე, ძალიან გაჭირვებულებიდან, იღებს ერთ «ატრიადზე» ჭიქა შაქარს, ხუთ ბუხანკა პურს (თუ ამ სველ მასას პური შეიძლება ვუწოდოთ).

ძალიან ცოტა იკვებება სამზარეულოთი, უპატრონო, გაჭირვებული, მიგდებული ხალხი, თვითონ განსაჯეთ. დილით ფაფისმაგვარი რაღაც ნივთიერება, მარტო დანახვა რომ გულს აგირევს, მეორე _ «მოხარშული თევზი», გამოუშიგნავი, გაუწმენდელი, და ბოლოს «ჩაი», მკრთალი ფერის, ნელთბილის, ზოგჯერ მთლად ცივი სითხე.

შუადღისას «ბორში» ჩვენებურად «ბალანდა» გაურეცხავი, მყრალი ხორცის ნაგლეჯებისაგან, გაურეცხავი, დამპალი კომბოსტოთი დამზადებული, მეორეზე ისეთი «თევზი» და «მაკარონი» ან «კარტოფილის პიურე». მესამეზე ამჟავებული, ობიანი «კომპოტი».

ვახშამზე _ ისევ «ქაში», «თევზი» და «ჩაი».

სამაგიეროდ, იქვე ყველაფრის ყიდვა შეიძლება, სამმაგ ოთხმაგ ფასში. მაგალითად ჭიქა შაქარი, მანეთი ღირს, აგრეთვე მანეთად ფასობს ნახევარი კილო, ახალი, თეთრი პური. ამის გარდა რა გინდა ინატრო სულო და გულო: «სგუშონკა», ახალი ხორცი, კარტოფილი, «დაკაფჩონებული» თევზი, ძეხვი... რაც მთავარია ჩაი და შაქარი. ჩეფირის სმით იჭყიპება მთელი «ზონა» ჩემს და უმეტესობის მთავარ «რაციონს» წარმოადგენს ჩაი, შაქარი, პური, «სგუშონკა». ასე რომ თუ ფული გაქვს როგორღაც ცოტა მაინც გაიტან თავს.

შემდეგ განლაგებულია ორსართულიანი ბარაკები. საძინებლის შუაში დგას შენობის, ჭერის დამჭერი ბოძები. მის ორივე მხარეს მდებარეობს ორსართულიანი «ნარები». კარგად რომ წარმოიდგინოთ ჩვენი «სპალნა» პრინციპს აგიღწერთ. კუთხეებში, ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, დგას სიგრძით ერთმანეთზე გადაბმული, ორსართულიანი ერთი «ნარა», (ოთხი კაცისთვის განკუთვნილი), შემდეგ ორია ერთმანეთზე მიტყუპებული (ე.ი. რვა კაცისათვის) ასე შემდეგ, საპირისპირო კუთხემდე, სადაც ისევ ერთი ოთხკაციანი «ნარაა».

«კუტოკები» დგება შემდეგნაირად: კუთხისნარა, პლუს მის მოპირდაპირედ განლაგებულის ნახევარი (ე.ი. სულ რვა კაცი) და ასე შემდეგ ბოლომდე.

«კუტოკებში» პატიმრები ცდილობენ, ასე თუ ისე იზოლირებას სხვებისაგან. ტიხრავენ ზეწრებით, სხვა რაიმე ნაჭრით, ქმნიან ეგრეთ წოდებულ «ოთახს». «ელექტრიკს» აძლევენ ფულს დენის გამოსაყვანად, ყიდულობენ «სპირალს», პატარა თვითნაკეთი ქურა, სითბოსთვის, საჭმლის მოსამზადებლად. «კუტოკებში», როგორც წესი, ახლობლები ცხოვრობენ და ცდილობენ ერთმანეთს დაეხმარონ. (ერთი ანალოგია მომდის თავში, შეიძლება უადგილო, ფაშისტურ კონცლაგერებშიც იქმნებოდა ამგვარი ურთიერთდამხარების პატარა ბრიგადები). ბოლოში, ბარაკების, შემდეგ მიწაყრილთან ახლოს, მდებარეობს აბანო და «კატელნაია», იქვეა «პრაჩეჩნიაც». წესით, დაბანა, კვირაში ერთხელ შეიძლება, მაგრამ თუ გსურს და ფულს მისცემ საათში მანეთს, მთელი დღე წყალს გქონდეს მიშვერილი თავი. გამონაკლისი მხოლოდ «ზონის» არისტოკრატია როცა ბანაობს, მაშინ ხდება. «სახსრების» ნახევარი, ზუსტად აქ დავხარჯე, თითქოს წყალი მიხსნის ამ წუმპისაგან...

ზოგი, «პიდარასტები» უმეტესად, თვეობით არ შედიან იქ. ვინმე «ქურდი» ან «ზონოვსკი» თუ შეწუხდა სუნით დაუძახებს მათი ბარაკის «მაყურებელს», უბრძანებს შეეთრიეთ აბანოში, იბანავეთ და მერე იქაურობა ალოკეთ, ნორმალური ხალხი რომ არ შეწუხდეს თქვენი სიმყრალითო.

იმავე შენობაშია, როგორც ვთქვი, «კატელნაია» და «პრაჩეჩნაია». როგორც წესი, აბანოს გამგე და ყველა სხვა იქ მომუშავე, პატიმარია. თუმცა, ფულის აღებას თავისიანებისაგან, არავინ თაკილობს.

«ვახტის» მარჯვნივ, გზის გაყოლებით, თვით ზონაში, კედლით შემოღობილი ადგილია, კარები დღის განმავლობაში «ატბოიმდე» ღიაა (თუ რაიმე «ჩპ» არ მოხდა). აქ მდებარეობს ადმინისტრაციული კორპუსი, სადაც ზონის უფროსის და მისი მოადგილების კაბინეტებია განლაგებული. იქვეა, «ვიზიკალშიკის» ოთახი. ზის ვინმე პატიმარი და თუ რაიმეა გამოსაცხადებელი, რადიოთი, თავის «ნარნარი» ხმით «აუწყებს ზონას».

ადმინისტრაციული კორპუსის უკანა მხარეს, მოფარებულში, მდებარეობს «პიდარასტნიკი» (პიდარასტების ბანაკი), შემოფარგლულის კარებიდან მარჯვენა

კუთხეში «სანჩასტი» «ზამპოლიტის» კაბინეტით, ექიმისა და ექთნების ოთახებით. ეს უკანასკნელნი, მიღებული წერილების ცენზორები არიან. თუ რამე არ მოეწონებათ, არც გეუბნებიან, რომ მოვიდა.

მედპერსონალიც «გაცხოველებულ» «ბარიგობას» ეწევა, მაგრამ მათ ნაირ-ნაირი პროდუქტები, სასმელი, ნარკოტიკები, «ზონოვსკებისათვის», ქურდებისათვის და «ზონის» მაყურებლისათვის მოაქვთ.

ამ შენობაშივეა «საოპერაციო», «პერევიაზოჩნაია» და პალატები. ერთი დიდი «ზონოვსკებისათვის», ,,მეორე პატარა, ქურდების და «ზონსი» მაყურებლისათვის. მათთვის, იმიტომ რომ არცერთი ავადმყოფი აქ არ წევს. ცხოვრობენ, მხოლოდ «ზონის» შავი სამყაროს დაუწერელი კანონებით, უმაღლესი რანგის პირები. სხვებიდან «კაი ბიჭსაც» შეუძლია იქ ყოფნა, მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდება ორივე მხრიდან...

გაყოლებით, ადმინისტრაციული კედლის შემდეგ, მდებარეობს «კაი ბიჭების» ყველაზე პრესტიჟული ბარაკი (მეც მანდ «ვცხოვრობ») და «კლუბი», სადაც უმეტესად კინოს აჩვენებენ. იშვიათად, რაიმე «საშეფო» ორგანიზაციის კონცერტიცაა. აქვეა «ბიბლიოთეკა», ძალიან ცოტა მხატვრული და უხვად გატენილი «პოლიტლიტერატურით». «მცირე მიწა», «ყამირი» და «აღორძინება» ჯერ არ ამოუღიათ ხმარებიდან თუმცა მესამე გენერალური მდივანი მოვიდა ბრეჟნევის შემდეგ. აქ სხვა კანონებია ზოგჯერ ფეხზე ჰკიდიათ გენერალური დირექტივებიც კი (თუ არ აწყობთ). ჩვენთან, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ორი წლის წინ გაქრა ეს «შედევრები».

კინოდარბაზში ყველას თავისი «სკამეიკა» აქვს. როგორც წესი, დამპროექტებლების «წინაუხედაობის» გამო, ადგილები არ გვყოფნის. შვიდასის მაგივრად ორიათასი ვზივართ და აბა როგორ გაიწელება დარბაზი. ამიტომ «კაზიოლები» ფეხზე დგანან. «პიდარასტებს» კი, საერთოდ აკრძალული აქვს შესვლა, ეკრანის უკან სხედან ხოლმე და ასე «ეზიარებიან ხელოვნებას».

ჩვეულებრივ, შვიდ საათზე ვდგებით. «სანჩასტი» ცხრაზე-ათზე იღვიძებს. თავის წესრიგში მოყვანის შემდეგ, რაც პირის დაბანაში და ცოტაოდენ დანაყრებაში გამოიხატება, ნაწილი კოლმეურნეობაში გაჰყავს, დანარჩენი «პრავერკაზე» მიდის. შემდეგ კი, ისინი მუშაობენ, თვითონ «ზონაში». კარტოფილის «სეტკების» დამამზადებელ «ცეხში» ვშრომობ. ნორმა ოთხმოცია დღეში, ერთი თვის წინ სამოცი ყოფილა. როგორც ამბობენ, კიდევ გაიზრდებაო. მალე ელექტრიკის ადგილი განთავისუფლდება და იქ «გადავალ». ამისთვის ასი მანეთი უნდა მივცე «ატრიადნიკს». თანაც დიდი ჩაწყობა, «ჩალიჩი» დაგვჭირდა მე და მერაბს, ამ ადგილის «დასათრევად». იცით, ელექტრიკობის არაფერი გამეგება, ამიტომაც სულ თავისუფალი ვიქნები «პრავერკიდან» «პრავერკამდე».

«ცეხში» ნორმის შესრულება წარმოუდგენელია. ფულს აძლევ და «სეტკებს» იქვე ყიდულობ ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ბრიგადირისაგან ან «შტატსკი» მომსახურე პერსონალისაგან, თითოს მანეთად. ამას მაშინ აკეთებ, თუ ჩემსავით, პირობით, დროზე ადრე გინდა გამოხვიდე. გეგმის შესრულების გარდა, თვეში ერთი «მადლობა» უნდა გამოგიცხადონ, რაც ოცდახუთი მანეთი ღირს «ატრიადნიკთან».

თუ არც ადრე გასვლა გსურს და ნორმასაც ვერ ასრულებ, «კოლხოზში» გაყავხარ, იქ მთლად შეუძლებელია გეგმის შესრულება.

კარგია «ელექტრიკად», «კაპტიორშიკად», ფოსტალიონად მოწყობა. უკანასკნელს «ზონიდან» გასვლის უფლებაც აქვს. ეს ადგილი ძალიან ძვირად ფასობს. საერთოდ, არიან ისეით პატიმრები, სხვადასხვა მიზეზით, დროებით რომ შეუძლიათ «ზონის დატოვება, ზოგს ოცდაოთხი საათითაც კი. ადვილი წარმოსადგენია, რა ფულის «ჩაყრაა» საჭირო.

კარგია აგრეთვე აბანოს გამგეობა, მაგრამ «პრაჩკად», კატიოლშიკად, დამლაგებლად მხოლოდ უპატრონო ხალხი მიდის, ვისაც გარედან არავინ დამხმარე არ ჰყავს. არც ერთი «კაი ბიჭი» იქ არ წავა, ეს «თანამდებობები» «კაზიოლების პრივილეგიად» ითვლება.

თვითონ პატიმრები, დაუწერელი, ქურდული კანონებით, კასტებადაა დაყოფილი. მთავარი ზონის მაყურებელია, როგორც წესი, უმეტესად «რამკიანი ქურდი», მაგრამ იშვიათად გამონაკლისიც ხდება თუ დიდად ავტორიტეტული პიროვნებაა. «მაყურებელი» და სხვა «ქურდები» ჰქმნიან «ზონის» უმაღლეს, «არისტოკრატიულ» კასტას. მათი რაოდენობა შეადგენს ხუთ-ექვს კაცს.

შემდეგ მოდიან «ზონოვსკები». უმეტესობა, პატიმრობამდე «მომავლები» იყვნენ (ასე ოცი კაცის რაოდენობით არის ეს კასტა წარმოდგენილი). ყველა «მომავალი» ვერ იკავებს ამ «თანამდებობას». ზოგს შეიძლება ჩამოართვან კიდეც ეს რანგი ციხეში. «ზონაში» ხდება «გრაჟდანსკი» წოდების დამტკიცება. «ზონის მაყურებლის» და ქურდების ხელშია პატიმრებს შორის «საქმის გარჩევა», «ობშიაკი», ქურდული კანონების დაცვა. ისინი წარმოადგენენ მთავარ მსაჯულს და დამსჯელს. აგრეთვე «ზონაში» ყოველთვის, დიდ ფულზე მიდის თამაშები. მოგების ნაწილი «დოლია» როგორც მას უწოდებენ, რა თანხასაც დაასახელებენ მათთან იყრის თავს. ზოგიერთი ნაკლებადმნიშვნელოვანი საქმე, შეიძლება «ზონოვსკიმაც» გაარჩიოს, ისინი ხომ «ქურდების» უახლოეს შევსებას წარმოადგენენ.

რაიმე სერიოზული საკითხის გადასაწყვეტად იწვევენ «სხოდკას». არსებობს პატარა, სადაც მარტო ქურდები იკრიბებიან და ამ შემთხვევაში მათ «ზონოვსკებიც» ემატებიან. «სხოდკაზე» ყველაფერი ხმათა უმრავლესობით წყდება.

ეს ორი «არისტოკრატიული» კასტა, როგორც ადრე გითხარით, ჩვენს «ზონაში» «სანჩასტში» სისუფთავეში და სითბოში ცხოვრობს. შემდეგ მოდიან ბარაკის «მაყურებლები», უმეტესად ისინიც «მომავლები», ხანდახან ჩვეულებრივი «კაი ბიჭებიც» არიან, მაგალითად მერაბ ბეჟანიძე. «მაყურებლის» ბოლო კვანძია _ «ბრიგადის მაყურებელი». ისინი კრიბავენ თავიანთი ხალხიდან «ობშიაკის» ფულს, აძლევენ «ბარაკის მაყურებელს», შემდეგ ფული გადადის «ზონოვსკებთან» და აქედან ხვდება «ქურდების» და «ზონის მაყურებლის» ხელში.

უმეტესს, საერთო მასას წარმოადგენენ «კაი ბიჭები» (ის ვინც «ნორმალური» სტატიითაა მოხვედრილი და წესებს ემორჩილება).

შემდეგ საფეხურია _ «კაზიოლები». ის ვინც ცუდი სტატიით მოხვდა. მაგალითად: ბარიგობა, «სპეკულაცია», გაუპატიურება არა ცოლად მოყვანის მიზნით, ანდა გამოძიებისას თუ ზედმეტი წამოსცდა ან რაიმე შეეშალა. მათაც ცალკე ბარაკი გააჩნიათ, ჰყავთ თავისი მაყურებელი ბარაკის, ბრიგადის, მაგრამ ისინიც კი, წესით «კაი ბიჭებზე» დაბლა დგანან.

«კაზიოლებისაგან» ხდიან «შუსტრიაკებს» ესე იგი მოახლეებს, ყმებს. «შუსტრიაკი» ყველა მაღალი რანგის პატიმარს შუეძლია იყოლიოს. მათ მოვალეობაში შედის

«პატრონის» ტანსაცმლის, თეთრეულის რეცხვა, საჭმლის მომზადება და საერთოდ, ყველა სხვა დავალების შესრულება.

შემდეგი, ყველაზე უმდაბლესი კასტაა «პიდარასტები». უფრო სწორად ისინი, ვისაც ქალის მაგივრობა, ერთხელ მაინც თუ აქვთ გაწეული.

ამ ხალხში მარტო ავადმყოფობის გამო არ ხვდებიან. შეიძლება ძალით «გააფუჭონ» რაიმე დანაშაულისათვის. მაგალითად «ვინმე ავტორიტეტული პიროვნების «ჩაშვებისათვის», გაცემისათვის.

მათაც ჰყავთ თავიანთი მაყურებლები. წესით, ისინიც ყველა «კაზიოლზე» დაბლა დგანან, მაგრამ ციხე _ ციხეა. ჩვენთან, ერთხელ «პიდარასტების» მაყურებელი «კაი ბიჭს» გაექაჩა. კანონით, ამის გაკეთება არ შეეძლო. ქურდებმა კი... «კაი ბიჭი» გააჩერეს, გაჩუმება უბრძანეს, არაფერი უქნაო. იმიტომ რომ ეს «პიდარასტი» ყველაფრის მკადრებელი, ადმინისტრაციასთან «შეკრული» კაცია და ერიდებიან მასთან უსიამოვნებას.

როგორც ვთქვი, აქ ყველაფერი იყიდება. «ბარიგობენ» «პიდარასტები». «ბარიგობენ» «ოპერები», «ატრიადნიკები», «კონტროლიორები» «ვიშკის» ჯარისკაცები. «ბარიგობენ» სასადილოში, «ბარიგობენ» სკოლის პედაგოგები, ექიმები, ექთნები, პარიკმახერი, მკერავი, კინომეხანიკი. ფული ღირს გაპარსვა, გაკრეჭვა (თითო-თითო მანეთი), შეკერვა, კინოს მოტანა, არა მარტო ოფიციალური ბილეთი, მეხანიკსაც უნდა მისცე. «ჩვეულებრივი» ფილმისთვის ასი მანეთი. კარგი, მაგრამ ძველისთვის _ ასორმოცდაათი, უცხოურისთვის _ ორასი, ახალი უცხოურისთვის ორასორმოცდაათი-სამასი. «ობშიაკის» ფულთან ერთად, ესეც ყველა პატიმარს აწევს კისერზე. მთავარია იხადო. ნახვით კი, თუ გინდა საერთოდ ნუ მიხვალ კლუბში.

ყოველ კვირას შემოდის სატვირთო ავტომობილი. შემოაქვს სიგარეტები, პროდუქტები, სხვადასხვა საჭირო საგნები, სასმელიც კი. ყველაფერ ამას ჰყიდიან სხვებთან შედარებით იაფად, მხოლოდ ორმაგ-სამმაგ ფასში, არაყს ხუთმაგად. ნახევარი ლიტრა ორმოცდაათი მანეთი ღირს, მაგრამ ესეც შეღავათია, სხვა სამოცს, სამოცდაათს გღლიტავს...

ექიმები... მედპერსონალი... ჰმ... ჰიპოკრატეს ფიცის მიმცემი ხალხი, ბარიგობასთან ერთად... რაც არ უნდა ავად იყო, უბრალო ცნობას არ მოგცემს, პრავერკაზე და სამუშაოდ რომ არ გაგიყვანონ, ოცდახუთი მანეთი თუ არ მიეცი. საავადმყოფოში დაწვენა, «ზონის» გარეთ. ავადმყოფს ორასი მანეთი უღირს, ჯანმრთელს ათასები.

გამოვთვალეთ კოლონიის უფროსის წლიური შემოსავალი, მიახლოებით ორასი-სამასი ათასი მანეთის ტოლია. იმიტომ რომ ყველასაგან «დოლია» მასთან მიდის. პლიუს «თავისი» «ზამპოლიტთან» ერთად. საქმეც დროზე ადრე, პირობით განთავისუფლება, «კარგ ადგილზე» დანიშვნა.

უფროსს, «ზონის» ახლოს, გორაკზე უდგას სამსართულიანი სახლი, პირდაპირ თავზე დაგვყურებს. სუფთა სადისტური თვისება გააჩნია. ერთი სნაიპერის თოფი აქვს, წავა სახლში და ღამე იმით უთვალთვალებს აქაურობას. თან, ტრაბახობს ღორიშვილი, არც მალავს ამას... ამოიღებს ვიღაცას მიზანში და ამითი სიამოვნებას იღებს.

ორი კვირის წინ, ჩვენი ერთი «ბარაკელი გაუშვეს» «ეტაპით» გაძლიერებული რეჟიმის «ზონაში». კოლმეურნეობაში, სამუშაოდ ჰყავდათ წაყვანილი. ჯერ ყარაულის ძაღლმა უკბინა საწყალს, მერე... ერთი «ოპერი» მიეთრა. «ბაგაჟნიკიდან» ერთი ყუთი შამპანური

გადმოათრია, პატიმრებს გადუდგა, თქვენი ჭირიმე ბიჭებო, თქვენით ვიყიდე ეს მანქანა, დალიეთ შხამად შეგერგოთო და ხარხარი დაუწყია. ვერ მოუთმინა საწყალს გულმა, ბოთლი გადაამტვრია «ოპერს» თავზე. ჯერ სასტკიად სცემეს, მერე გაასამართლეს და ხუთი წელი დაუმატეს იმ ერთს, დარჩენილი რომ ჰქონდა. გაძლიერებულ რეჟიმის კოლონიაში უნდა მოიხადოს ექვსივე.

ბიჭებო, ვერ წარმოიდგენთ, რაც აქ ხდება... გეუბნებით... ჰმ... «გეუბნებით», «გეუბნებით», «როგორც ვთქვი», «ადრე აღვნიშნე»... ისე გავერთე საკუთარ ფიქრებში, თითქოს გვერდში მიდგახართ ისე გიყვებით... მინდა ყველაფერი იცოდეთ... მაგრამ შევძლებ კი მოყოლას?! არ ვიცი ღირს თუ არა ამის გაკეთება. თქვენს გულისხეთქვას რა შეუძლია შეცვალოს.

თავი V

გოგიელას სიზმრებიდან

გოგიელას ბავშვობა ესიზმრა. ბაბუამისი, ის დღე, ვიღაც საშინელსახიანი, მახინჯი კაცი რომ ესტუმრათ.

მაშინ, არ მოეწონა სტუმარი. გვერდით ოთახში დაიმალა. ბაბუამისს და უცნობს მალულად უსმენდა. ვერაფერს მიხვდა, მათი საუბარი არაფერს ეუბნებოდა. მხოლოდ მამის და ბაბუის გარდაცვალების შემდეგ გაიგო დედისაგან სტუმრის ვინაობა და მიხვდა, ვინც იყო მახინჯი, რა აკავშირებდათ, ამ ორ სრულიად განსხვავებულ, იერითაც და აღზრდითაც, პიროვნებებს ერთმანეთთან.

გოგიელას ბაბუა მაღალი, ძალიან ლამაზი დარბაისლური პირისახის, განათლებული, ინტელექტუალურად განვითარებული, დინჯი, არისტოკრატიული მანერების კაცი გახლდათ. სტუმარი კი ჩია, მახინჯი პირისახის, ძალიან უხეში, გაუთლელი, მაგრამ მოუსვენარი მიხვრა-მოხვრის სჩანდა.

ორივემ იტირა იმ დღეს. ჩაეხუტნენ ერთმანეთს და ჩუმად აქვითინდნენ. ეს იყო პირველი და უკანასკნელი ცრემლი ბაბუის თვალზე რომ უნახავს. შვილის, გოგიელას მამის მამის დასაფლავების დღესაც კი არ უტირია.

თვალწინ წარმოუდგა ეს დღე, ესიზმრა ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც დედამ მოუყვა. შემდეგ, ფანტაზიებში გადავარდა, საერთოდ არარეალური წარმოესახა.

გოგიელა ბაბუის კისერზე ზის, თმებშია ჩაფრენილი და იცინის, უხარია.

_ ბაბუ, ის კაჩი ვინ იყო?

_ ჩემი მეგობარი...

_ რატომ, ის ხომ ძალიან მახინჯია?

ბაბუამ გოგიელა ჩამოსვა, მუხლებზე დაისვა და თავზე დაუწყო ფერება.

_ სულით არ არის მახინჯი, შვილო...

_ შული რა არის?

_ ის, რაც ჩვენს სხეულს, ცოცხალ არსებად ქმნის.

_ ვერ გავიგე?..

_ შემდგომში მიხვდები...

_ შად გაიცანი?

_... სადაც, შენ არასდროს არ უნდა მოხვდე... ღმერთმა დაგიფაროს...

სურათი იცვლება, დედის მონაყოლი ესახება თვალწინ.

«ახალგაზრდა, ძველ ფოტოსურათებში როგორიც უნახია, ისეთი ბაბუა და ის მახინჯი კაცი, სადღაც ტყეში ხეებს სჭრიან. აცვიათ ტუსაღის ზოლიანი ტანსაცმელი. ძალიან ცივა, ჰყინავს, ირგვლივ თოვლია, პატიმრებს კი ფეხზეც არ აცვიათ.

გოგიელას ბაბუა მიწაზე ეცემა, ვეღარ მოძრაობს, სამხრეთელი კაცი შეუჩვეველია ასეთ პირობებს. ჩია, თითქოს შეყვარებული გოგონას გაყინული ხელებიაო, სრისავს, კოცნის, ეფერება, ლოკავს ბაბუამისის ფეხებს. პირიდან გამოსული ორთქლით ცდილობს მათ გათბობას»...

ისევ იცვლება სურათი. ისევ დედის მონაყოლის წარმოსახვა.

«ჩია, ნაცემი, რამდენიმე დღის უჭმელი, გდია გაყინულ საკანში. ბაბუამ როგორღაც შესძლო ზედამხედველების მოსყიდვა. ჩიას საკანი პირველ სართულზეა, თითქმის «პადვალში». ეზოში პატარა ფანჯარა გამოდის, ზუსტად იქ დგას ბაბუა. მათ განკარგულებაში სულ ათი წუთია. მეტის უფლება არ მისცეს. სადღაც ნაშოვნ, რეზინის გრძელი მილის ერთ ბოლოს საკანში აწვდის, მეორეს კი, ხან ერთ «კატელოკში» უშვებს, მისი ულუფა მეგობრისათვის შენახული «ბალანდა» რომ ასხია, ხან მეორეში სადაც ექიმის მიერ ჩუმად მოცემული სპირტია. ყველაფერს სწრაფად აკეთებს, რაც შეიძლება მეტის გამოწრუპვა რომ შეძლოს, მაგრამ მილი გრძელია, ჩიას ტუჩები დახეთქილი აქვს, თანაც ძალა არ ჰყოფნის, კარგად ვერ წოვს...

მოცემული დრო თავდება, სადაცაა ამ ადგილას «ლაგერის» კომენდანტმა უნდა ჩამოიაროს. ჩია ეხვეწება მეგობარს წავიდეს. არ უნდა ისიც მის მდგომარეობაში ჩავარდეს. ბაბუა აჭიანურებს, ბოლოს კი, იღებს «კატელოკებს» და ფანჯრიდან შეასხამს, გადაღვრის დარჩენილს საკანში. რეზინის მილს სწრაფად დაახვევს, უბეში მალავს და გარბის.

ჩია რაც შეიძლება სწრაფად ცდილობს იმ ადგილების ენით ალოკვას, სადაც გადმოღვრილი «საჭმელი» და სპირტი დაესხა. სახეზე კმაყოფილება ახატია. დაუძლურებულმა ორგანიზმმა რაღაც მიიღო, ისევ გადარჩება, იცოცხლებს, რაც მთავარია იცოცხლებს!!! საღამოს, ისევ ელოდება მეგობრის მოსვლას, ნატეხი შაქრის შოვნას შეჰპირდა... გადარჩება, უხარია ჩიას, გადარჩება!..»

სურათი კვლავ იცვლება.

«ტუსაღ, მომტირალ გოგიელას ბაბუა ეფერება, გულში იკრავს, ცრემლებს უწმინდავს.

_ არ მინდოდა შვილო, აქ რომ მოხვედრილიყავი.

სულ მეშინოდა ამისი...

_ ბაბუა, ჩემო ბაბუა...

_ მაგრამ... გოგიელა, კიდევ კარგი, ჩვენი დროსნაირი საზიზღრობები არ ხდება თქვენთან. ვერ გაუძლებდი. სუსტი მყავრხარ...

_ ვიცი ბაბუა... მიჭირს, ძალიან მიჭირს!...

_ არაფერია შვილო... რა ვქნათ. იცოდი, რასაც აკეთებდი, საით მოდიოდი...

_ არ მეგონა...

_ დაუფიქრებლად მოიქეცი, რას იზამ. ვერ წარმოგედგინა აქაურობა, იამისთვის არ ღირდა თავის დადება... არაფერია, უნდა გაუძლო. დედაშენი მეცოდება ძალიან, აღარავინ შერჩა... მისი გულისთვის მაინც უნდა გასძლო, თავი შეიკავო...

_ მიჭირს ბაბუ, ძალიან მიჭირს!..

_ ჩვენ უფრო გვიჭირდა... ეეჰ, ვერ დაგიტოვეთ კარგი დრო. უბრალო, ბავშვური სისულელის უფლება არ გაქვთ, რა დანაშაული...

_ რაც გავაკეთე, სიცელქედ ნუ ჩამითვლი, არ შეცდე ბაბუ! შეგნებულად... დამნაშავე ვარ, ნამდვილად დავარღვიე კანონი.

_ ვიცი, მაგრამ ნუთუ მხოლოდ იმისთვის ვეწამეთ, იმისთვის გაგვხადეს «ხალხის მტრები», იმისათვის გვცემდნენ, გვაფურთხებდნენ, თქვენც რომ ასეთ დღეში ყოფილიყავით?!. საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, მოვტყუვდით, ცუდი დრო დაგიტოვეთ... რა მნიშვნელობა აქვს შვილო, დამნაშავე ხარ თუ არა, კაცს მაინც არ უნდა შეულახო თავმოყვარეობა.

...ჩია მკვლელი იყო. ფულის გულისთვის ბანდიტობდა... იქ კი... ყველანი, რაც არ უნდა გვქონდეს ჩადენილი, ადამიანები ვართ... შეიძლება იმიტომაც გვაგდებენ ასეთ მდგომარეობაში, თვალი რომ გავახილოთ... გაყინული ფეხები რომ ეკოცნა შენთვის, სიკვდილისაგან გადაერჩინე, ადამიანურობა გაჰღვიძებოდა...

_ სისულელეა! ჩია გამოსვლის მერეც ბანდიტობდა, უფრო მეტი ცოდვა დაიდო, უფრო გამძვინვარდა...

დახვრიტეს ჩია... დედაშენმაც გითხრა... გამოსათხოვრად მოვიდა იმ დღეს, იცოდა მალე რაც მოელოდა...

_ მაშინ რისთვის! რატომ ბაბუა, ა?!.

_ ძალაუფლება... ყველა ჩვენგანში ზის ამის წყურვილი...

_ ბაბუ, აღარ შემიძლია...

_ უნდა გაუძლო, სხვა გზა არ გაქვს!..

_ მიშველე რამე... გეხვეწები!..

_ ქალაჩუნას ნუ დაემსგავსე! ჩემმა შვილიშვილმა უნდა შეძლოს თავის შეკავება, იმიტომ მაინც, ჩვენი შეცდომა რომ არ გაიმეოროს. ეცადოს გამოსვლის შემდეგ რაიმე რომ შეცვალოს!..

_ მერე დედა?!. ისევ რომ აქით დამაბრუნონ?!

_ შესაძლებელია, მაგრამ ბრძოლა მაინც საჭიროა. მე ამის ძალა არ მეყო. ჩავიმალე, ხმას აღარ ვიღებდი. ხედავ რითაც დამთავრდა ყველაფერი...

_ სუსტი ვარ...

_ უნდა შესძლო!!! «შენ თუ არა, ვინ?..» ჭკუა დაატანე, საკუთარი გზა იპოვე, მაქსიმალურ სარგებლობას რომ მოიტანს. ვიცი ძნელია, უძნელესია ამის გაკეთება...

_ ვიფიქრებ...

_ დროზე გადაწყვიტე!

_ რომ შევცდე, ფუჭი აღმოჩნდეს ყველაფერი?!

_ რას იზამ, ესეც არ არის გამორიცხული. ვინც არაფერს აკეთებს, ის არ სცდებაო, ამბობენ... ცოტა დაგრჩა დრო... ორ წელზე ნაკლები.

_ ოთხი მომისაჯეს...

_ ადრე გამოხვალ!..

_ შევძლებ?!

_ შეძლებ! გასაჭირი კი, რაც დრო გავა, მოგემატება, სატანაც არ მოგეშვება, შეეცდება მოგდრიკოს, მაინც არ უნდა გადაუხვიო სიკეთის გზას, არც ბოროტებით არ უნდა მიაღწიო მიზანს, რაც გინდა კარგი მომავლისთვის, თუ გინდ სხვისთვის, ხალხისთვის იყოს გამიზნული. მაშინ, ვერავინ დაგძრახავს, უფალი დაგიფარავს!

_ მომიყევი, მითხარი რა მელის...

_ არ შეიძლება, დრო მოვა და დაინახავ... ეხლა კი წავედი...

_ მარტო მტოვებ...

_ ყველანი მარტონი ვართ... ზოგი ვერ ხვდება ამას... შენ უნდა იცოდე!..

_ ნახვამდის ბაბუ, ხანდახან მაინც მომინახულე, გეხვეწები!..

_ როდესაც მოისურვებ, მოვალ. ოღონდ რჩევის მეტს ვერაფერს მოგცემ...

_ ვიცი...»

თავი VI

დედის წერილი

გამარჯობა ჩემო პატარა გოგიელა. სულ თავს იმართლებ, დაკავებული ვარ, იმიტომ ვერ გწერო ხშირად. კარგად გიცნობ, გეზარება. ჯარიდანაც იშვიათად იწუხებდი თავს. შვილო, გეხვეწები, ხშირად მოიწერე! ცოტათი ვმშვიდდები მაინც.

ამბობ, კარგად ვარო, ღმერთმა ჰქნას მასე იყოს, რაღაც არ მჯერა... გავიგე «სვიდანია» გეკუთვნის მალე, ჩამოსვლა მინდა. მომწერა რა ვქნა, რა წამოგიღო. საახალწლოდ ვაპირებ ჩამოსვლას. იურა ბიძია გამომყვება, ვიღაც ნაცნობი ჰყავს მანდ, თან გეკუთვნის. სამ დღეს მოგცემენო, მითხრა.

დეიდაშენმა, სოფლიდან ჩურჩხელები გამოაგზავნა, ბიჭებს გამოვატანე გუშინ იყვნენ. ძალიან კარგია ჩურჩხელა შენს მდგომარეობაში, ნოყიერია, ჩვენს ჯარისკაცებს ომში მიჰქონდათ საგზლად, თან გიყვარს კიდეც.

თავიდან შემეშინდა, ვაი თუ ბიჭების ჩასვლამ, ჩვენს შეხვედრას შეუშალოს-მეთქი ხელი. დამარწმუნეს, ისე ვაკეთებთ, არ აფორმებენო, მაინც მეშინია...

წერილის გამოტანება მინდოდა, ვერ მოვახერხე. რა მომივიდა იმ წუთს არ ვიცი, სიტყვაც კი ვერ დავჯღაბნე, ალბათ სიჩქარის გამო.

ფული არ აიღეს, მიგვაქვსო. შაკო და ბადრი იყვნენ მოსულები, რომ წავიდნენ ორმოცდაათი მანეთი ვიპოვნე, ჩუმად დაუდევთ. მოვკლავ, სადა აქვთ მაგათ მაგის ფული. თან შენ ჩამოგიტანონ და თან...

მე არაფერი მიჭირს შვილო. ცოტა ვიავადმყოფე. ეხლა კარგად ვარ. იურა და ლარისა არ მტოვებენ, სულ ჩემთან არიან. სხვა მეზობლებიც თავს მახვევიან. ხანდახან, მარტო რომ მინდა დარჩენა და შენზე ფიქრი, საშუალებას არ მაძლევენ. ვერც ვერაფერს ვეუბნები, კარგი უნდათ ვიცი.

შენს ოთახში გადავედი, იქ მძინავს, თითქოს გვერდით მყავხარ... ყველაფერი დაგილაგე, დაგიწკრიაწლე. ყოველ დღე ვასუფთავებ. ამით გულსაც ვაყოლებ და თან

მითხრეს, რაღაც ამინისტიას აპირებენო, რომ ჩამოხვალ წესრიგში მინდა დაგვხვდეს, ეშიძლება უეცრად გამოგიშვან...

წამებს, წუთებს ვითვლი შვილი, ძალიან მენატრები. ყველაფერი დაუჯერე უფროსობას, არავინ გააბრაზო. იქნებ, კარგი მოქცევისათვის ადრე გამოგიშვან.

ფიცხი ხასიათი გაქვს, მეშინია ნურავის შეეპასუხები, თუ რაიმეს გეტყვიან ისევ შენთვის. ნურც პატიმრებთან იჩხუბებ, მაგათაც თავიანთი გაჭირვება ჰყოფნით. ერთ ბედში ხართ და თქვენი წაკიდება არ შეიძლება! მოითმინე, თავს ნუ გაუყადრებ ყველას. ნერვებმოშლილი ხალხია. ნახავ, ამით მათშიც მეტ პატივისცემას დაიმსახურებ. დამიჯერე შვილო, ხომ ხედავ, რასაც გეუბნებოდი, ყველაფერი სწორი აღმოჩნდა. კვლავ ნუ ჩამიხრუკავ გულს, მაცხოვრე შენს გვერდით ცოტა ხანი!.. გოგიელა, არავის უნდა ესეთი ვაჟკაცობა. ან კი, ვაჟკაცობაა ჩხუბი? თუ გინდ სიმართლისათვის, ეხლა სხვა დროა შვილო...

ძალიან ცუდი მჭამელი ხარ. რაღაც არ მჯერა, მანდ მოგწონდეს. ჯარიდან რომ ჩამოხვედი, ათი კილო გქონდა მოკლებული. ვეცდები ხშირად გამოგიგზავნი «პასილკები». შენმა ბიჭებმა მითხრეს, ყოველი თვე ვივლითო, იმათ გამოვატან. გაჭირვებულს დაეხმარე, მაგრამ შენ რაც გიყვარს, ყველაფერს სხვას აძლევ, თვითონ კი, არაფერი გრჩება, არ გინდა მასე... რა ვქნა, შენზე ვფიქრობ...

თბილად ჩაიცვი, ქუდის დახურვა არ გიყვარს, მაგრამ მანდ ვინ გიყურებს. გაღეღილი ნუ ივლი, ძალიან ცივა. ნაბანი გარეთ არ გამოხვიდე, ხომ იცი, მალე ცივდები.

კიდევ ერთხელ გკოცნი და გემუდარები, ჭკვიანად მოიქეცი, მე მეტი არაფერი მინდა.

შენი დედიკო!

მერაბი მოიკითხე ჩემი სახელით. ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა უსურვე. ჭკვიანად მოიქცეს, ჩემს ხელშია გაზრდილი, ისიც შენნაირი გადარეულია. მოუფრთხილდეს საწყალ დედამისს და ცოლ-შვილს!

ისევ გკოცნი და გეხუტუნები. შენი დედიკო!

თავი VII

რაც დედის წერილში არ შევიდა

ბიჭები რომ წავიდნენ, ტირილი ამივარდა. კარგი, ძალიან კარგი მყავხარ, ყველას უყვარხარ... ფული ვიპოვე და მთლად გადავირიე... შვილო, შვილო... არ იყავი მანდ მოხვედრის ღირსი...

სულ იმის ფიქრში ვარ, რითი გიშველო, რა გაგიკეთო. უძლურობა მაგიჟებს, მამაშენი იყოს ცოცხალი, კარგი იქნებოდა, ასე ვერ დაგჩაგრავდნენ... რა დააშავე ესეთი. გიყვრადა, ხომ არ გძულდა. გეუბნებოდი, არ დამიჯერე. რატომ ისულელე ასე. სად იპოვის შენნაირ ბიჭს. ბევრს ინანებს მომავალში, მაგრამ ამითი რა გეშველება. ეჰ, მომკალი და გამათავე შვილო...

როგორ მოტყუვდი, შენ ხომ ასეთი ჭკვიანი, ყველას სანაქებო მყავხარ. სხვას არიგებდი, როგორ ვერ მიხვდი, რომ არ უყვარხარ... ქუჩაში დავინახე. მარტო მიდიოდა.

თვითონ ვერ შემამჩნია. გული გამიხდა ცუდად, ვიღაც ღვთისნიერმა მომხედა და იქვე, სკამზე ჩამომაჯინა. სასწრაფოს გამოძახებას აპირებდა, ვიუარე. არ მიმატოვა, სანამ ადგომა შევძელი. ქვეყანა მაინც სავსეა კეთილი ადამიანებით...

ყოველ დღე დავდივარ ეკლესიაში, სანთლებს ვანთებ და ღმერთს ვეხვეწები, ჯანმრთელი დროზე დამიბრუნდე. მეშინია, გიცნობ, ფიცხი და გადარეული ხარ ხანდახან. ვერ იტან უსამართლობას, მაგრამ შენ ვერ გამოასწორებ ამ ქვეყანას. ისევ სჯობს, მალე დამიბრუნდე და სწავლით, შრომით იბრძოლო.

მკითხავი მომიყვანა ლარისამ. მალე დაგიბრუნდება ჯანმრთელიო, მითხრა. მაინც მეშინია, სულ მგონია, დარიგებული ჰყავდა, რა ვიცი...

მე რა მიჭირს, ბევრი არაფერი მინდა, ხელფასი მყოფნის. დეიდაშენიც მიგზავნის რაღაცას, რაც მრჩება, კაპიკს _ კაპიკზე ვადებ, რომ ჩამოხვალ მინდა ლამაზად გამოგაწყო და რაიმე დაგახვედრო პირველი ხანებისათვის.

ჩემზე ნერვიულობ, ვიცი. ბიჭებმა მითხრეს, თქვენი ჯანმრთელობა აწუხებსო. ვცდილობ, შვილო, ცუდად არ გავხდე, რაიმე არ დამემართოს. ჩემი თავი ჯანდაბას. მეშინია, რომ მოვკვდე, ხელი არ აიღო და რაიმე არ შეგემთხვეს, ჩემო გადარეულო, სულელო, თბილო ბიჭუნა...

ამასწინათ «ლოჯს» ვალაგებდი. შენ ბავშვობის სათამაშოები ვიპოვე. რა კარგი იყო მაშინ, რა ბედნიერები ვიყავით... მამაშენი ცოცხალი, შენ გვერდით, არაფრის და არავისი მეშინოდა. მხოლოდ ერთი გასაჭირი გვქონდა _ მუდამ ავადმყოფობდი და აგრეთვე, ჩემი ჯანმრთელობის გამო ძამიკოს ან დაიკოს ვერ გჩუქნიდით.

ერთხელ ეზოდან ნაჩხუბარი ამოხვედი, დიდ კალათას დაავლე ხელი, მოათრიე და მითხარი: «ბაძალში ჭადი, ჯამიკო და დაიკო მიკიდე» ლევანთან და გოგიასთან გიჩხუბია, ერთმანეთს რომ დაეხმარნენ, შენც მოგინდა და-ძმა. რამდენი გვაცინე. ვერც ხვდებოდი, რაზე...

ერთი სული მაქვს, სანამ ბიჭები მოვლენ და ამბავს მომიტანენ. ორი დღეა შენთან არიან. სულ ვრეკავ შაკოსთან, არ ჩამოსულაო. მეშინია, ამდენი ხანი რომ დარჩნენ ხელი არ შემეშალოს შენს ნახვაში.

მათაც ვუგებ, ძალიან მოენატრე ყველას. მითხრეს: მაგის გარეშე ხალისი დავკარგეთო. რაღაცნაირი იყო, შემაკავშირებელიო. მისი ბუზღუნი, სიცილი და ფათერაკიანი სიმთვრალე მოგვენატრაო. აღარ გვყავს «ჭკუის დამრიგებელი», ყველასთვის გულშეწუხებული გოგიელა გვერდით და ეხლა მივხვდით, რას ნიშნავდა ჩვენთვისო.

კარგი მეგობრები გყავს. ყველანი კარგები ხართ, ერთმანეთის შესაფერისი, სულ რომ გეჩიჩინებოდით და გეჯიჯღინებოდით, მეშინოდა რაიმე არ შეგყროდათ, თქვენი შესაფერისი იღბალი და ადგილი მინდოდა გეპოვათ და აი...

ძალიან არიან დაბოღმილები, ეტყობათ. შევეხვეწე, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოთ მეთქი. დამამშვიდეს, ამას გოგიელას ხათრით მაინც არ ვიზამთო...

ლარისამ მომიყვა, მაიას ნათესავებს უთქვამთ, სასამართლოზე, რა კარგი ბიჭია, რა ლამაზი, წარმოსადეგი მეგობრები ჰყავსო...

ჩემთან რომ იყვნენ, ერთად წარმოგიდგინეთ. მართლაც არფერი სჯობს თქვენს დანახვას. მიკვირს, ამდენი, ასე კარგები, ასე ერთად როგორ შეიყარეთ. ეჰ, მჯერა, რაიმე თუ დამემართა, არ მიგატოვებენ, მხარში ამოგიდგებიან. მთავარია, თვითონ მოინდომო სიცოცხლე, თავს მიხედო...

შენი ლექსების რვეული, ბიჭებს გავატანე. გადავბეჭდავთ და რომელიმე ჟურნალში მივიტანთო. გავაფრთხილე, არ დამიკარგონ. არ ვიცი, როგორი პოეტი გონიხარ სხვას, მე შენი ყველაფერი მომწონს. ხშირად ვკითხულობ ხოლმე. საწოლის თავთან მიდევს, სანამ არ მომიტანენ, ადგილს ვერ ვპოულობ...

გახსოვს პატარაობისას სოფლიდან რომ მომწერე ლექსი?!

რა მომივიდა არ ვიცი,
დედა მენატრება ალბათ...
თავი მტკივა და წნევა მიწევს,
დედა მენატრება ალბათ...
ჩემთვის წმინდანი, უმწიკლო,
უნაზესი და ლამაზი,
ღმერთო მიცოცხლე დიდ-ხანს,
მინდა, გთხოვო და შეგავედრო.

რა სულელივით, გიჟივით ჩამოვედი. შემეშინდა, მართლა ცუდად ხომ არ იყავი. ჰმ, რა დროს მეორე კლასელი ბავშვის წნევა იყო... ან საიდან მოიტანე სიტყვა «შეგავედრო». ჰმ, ჩემო ბიჭუნა, ბავშვობიდანვე სხვანაირი იყავი...

ერთხელ, დეიდაშენს ვუთხარი, ლექსებს წერს-მეთქი. გაიკვირვა, რატომ, რა მოუვიდა, ისე ძალიან ჯანმრთელად და კარგად გამოიყურებაო. ბევრი იცინეს ეს რომ მოვყევი, ეჰ...

არაფერია ჩამოხვალ და ყველაფერს მოასწრებ. ლექსებსაც დაწერ, დიპლომსაც დაიცავ, კიდევაც შეიყვარებ, შვილებიც გეყოლება. ოღონდ, ღმერთო დიდებულო, ცოტა ხნით მაინც მაყურებინა შენი ბედნიერებისათვის!

თავი VIII

მეგობრების წერილი

გოგიელა, როგორ ხარ, რას შვები ძმაო. ჰმ, ზიხარ ხომ ბულბულის გალიაში?.. ეჰ... არა უშავს, სამაგიეროდ, საკუთარი «ნასროკალი» გიჟი გვეყოლება. სირცხვილიც იყო, ძმაკაცებში ერთი «ბლატნოი» არ გვყავდა...

გწერთ შენი მონატრებული ძმები: შაკო, დათო, ლევანი, ბესო, მიხა, «ლოვა», ბადრი და სხვანი. ნაწილმა სულ სამი კვირის წინ გნახეთ, მაგრამ მაინც გვენატრები, ჭკუისმსწავლელი გოგიელა ყველას დააკლდა...

ლილი დეიდასთან ვიყავით, მოვუყევით შენი ამბები, როგორც დაგვარიგე, ისე ვუთხარით, _ კარგად გამოიყურება, არაფერი უჭირსო... წერილიც გადავეცით. არ იქცევი სწორად, ხომ გითხარით, ნუ მისწერ _ არ ჩამოხვიდეო, _ ძალიან განიცადა. დღეებს, წუთებს ითვლის შენს ნახვამდე. ჯობია ჩამოვიდეს, თვალი შეგავლოს. მე და ბესოც გამოვყვებით. ნუ გეშინია, ვერაფერს მიხვდება იმაზე მეტს რაც თვითონ წარმოუდგენია.

იურა ბიძია და ლარისა დეიდა ვნახეთ. მათაც გამოგვკითხეს ყველაფერი. მიახლოებით, რეალურად აღვუწერეთ მდგომარეობა. ვიცი გაგვიბრაზდები, ზღაპრების მოყოლა რომ დავიწყეთ, იურა ბიძიამ შეგვაწყვეტინა, იურისტია, ძალიან კარგად იცის რაც მანდ ხდება. გვითხრა, ნუ შეგეშინდებათ, ლილი არაფერს გაიგებსო... შენი «ზონის» უფროსს იცნობს, სიკეთე მაქვს მისთვის გაკეთებული, თუ არ დამივიწყაო. რომ ჩამოვალთ, ნახავს. მანამდე შეუტყობინებია ვიღაცის პირით, ჩემი ნათესავიაო, ალბათ «ელექტრიკობაზე» ფული იმიტომაც არ გამოგართვეს. ეჰ, ნეტავ იურა ბიძია ისევ იმ ადგილას მუშაობდეს. მაშინ... რა ბედი გვაქვს, რაღა ის ნახევარი წელი არ იყო თბილისში, მაგას მაინც ვერ «აჭმევდი», ეხლა მანდ არ იქნებოდი. თვითონაც ძალიან განიცდის ამას.

დანარჩენი რა... მორიგეობა დავაწესეთ. ლილი დეიდას კვირაში ერთხელ მაინც ნახულობს ვინმე.

როგორც გვთხოვე, შენს დაბადების დღეზე დავადექით. პურმარილი მივიტანეთ, სახლში არ დაგვხვდა. ეკლესიაში ყოფილა. ლარისა დეიდამ გაგვიღო კარი. რომ მოვიდა, სუფრა გაშლილი გვქონდა, კინაღამ გადაირია სიხარულით, ყველაფერი მზად მქონდა, რას წვალობდით, ვიცოდი აუცილებლად ამოხვიდოდითო. მაინც დატრიალდა.

ვიმხიარულეთ, ვიმღერეთ, ლილი დეიდაც კი ვაცეკვეთ. ბოლოს ყველას ტაქსები გამოგვიძახა, მთვრალები ხართ, გადარეულები, რაიმე არ შეგემთხვეთ გზაშიო. მგონი ნასიამოვნები დარჩა. ყველაფერს ვეცადეთ, ყოველ შემთხვევაში...

ისე, ჩამოსვლა კი გვინდოდა. ჩამოვიყვანდით კიდეც, მასაც სურდა, გაიხარებდა, საღამოს უკან დავბრუნდებოდით, მაგრამ აგვიკრძალე და შენს გადაკიდებას, «ტრიპერი» სჯობია კაცმა აიკიდოს.

უიმეე! სულ დამავიწყდა მოგახსენო საიდან და ვისი ხელით იწერება «ესე უსტარი». «რუჩკაი უჭირავ ბადრისა». ალბათ მიხვდი, ჩემი აჩხაბაჩხა «პოჩერკით» და ქართულის მასწავლებელს მიხსენებ. რა ვქნა მეც ხშირად მახსენდებიან ჩემში «ცოდნის წყურვილის» გამღვიძებელი ხალხი. თუმცა, რა მათი ბრალია, კაცს თვითონ თუ არ გაქვს კარგი კალიგრაფიის ნიჭი.

იდეები «ყველაი» გვეკუთვნის, რომ იცოდე ყოველ სიტყვაზე რა დაკადაკა გვაქვს. ორჯერ პრიორიტეტის წართმევა მომინდომეს.

უკაცრავად, ბოდიში... შაკომ და «სხვამ» მისმა ოჯახის წევრებმა ცალკე «უსტარის» შედგენა მოინდომეს. საქმეში უნდა ჩავერთო სასწრაფოდ.

ჰოოო, დიდი ბჭობის და «ფერების» შემდეგ გადაწყდა «კალამი» მე გადმომეცეს, ტერიტორიულმა უპირატესობამ გასჭრა, ჩემი «ხატაა» ძმაო! მაგათ რა უფლება აქვთ, წავიდნენ, თავიანთი «ბაითიდან» მოგწერონ!

ჰოო... შემოვიდა «პუწკია», ძროოხასავით ჩავიფსი მამიკოო, _ გამომიცხადა. მზია იძულებულია დაგვტოვოს. სააბაზანოდან ისმის ღრიანცელი, «პუწკია» სასტიკ უარზეა, ბანაობა არ სურს.

სამართლიანობამ გაიმარჯვა. «პუწკია» მაინც დურთეს საკუთარ «ლახანკაში» მამის თხოვნამ, ფიზიკურმა ჩარევამ გასჭრა. თან... გოგიელა ნათლიასთან წაგიყვანთო შეჰპირდნენ...

სულ შენს ხსენებაშია, ძალიან უყვარხარ ამ ლაწირაკს. გუშინ, ჩავაცივდი, ჩემზე რომ ასწავლე, მაიმუნიაო, ვერაფრით გადავათქმევინე. დაიცა, რაღაც საშინელებას ვაჩუქებ და შენი სახელი უნდა დავარქვა. დივერსიას გიწყობ ძმაო... აბა რა გგონა?

გუშინწინ სუფრაზე შენი ნაჩუქარი მაიმუნი მოიტანა, მზიას თანამშრომლები იყვნენ, უმეტესად გაუთხოვარი მანდილოსნები. ეს თავმომწონე კაცი არ შემარცხვინა? შეხედეთ, ბადრი ნათლია მოვიტანეო, გაჰკიოდა. თან გემრიელი სიცილი რომ იცის, გადმოჰყარა პატარა კიჭები. ვითომ დაჭერას ვუპირებდი, იკივლა, გაიქცა ოთახიდან და ისევ იმეორებდა «ნომერს».

ტყლაში... თავში მივიღე, ბესოს ძალიან ნაზი მოფერება. თვალებიდან ნაპერწკლებს ვყრი მარტენის ღუმელივით. ხომ იცი, რა საზიზღრობას, ღორს ემსგავსება ნასვამი. ნაწყენია, «მეხვეწება» ჩემი მოკითხვა პირადად გადაეციო. აჰა, ძმაო, გადმოგცემ ბესოს დიდ მოკითხვას. მგონი გეგმა გადაჭარბებითაც შევასრულე. სიტყვა «დიდი» დავუმატე.

შაკომაც მიიღო «მოფერება», ცნობილი დალაგებული პირისაგან. ჰოოო... აქ ვიღაც შეიჭმევა, ბოდიშს ვიხდი, ჩემი ჩარევაა საჭირო.

საერთო ძალით, ბესო უნდა დავაძინოთ.

...უჰ... ძლივს არ მივასვენეთ? რა ძალა აქვს ამ ვირს. არაფრით არ წვებოდა, ბოლოს დათომ იავნანას სიმღერა დაიწყო, დედაშენი ვარო, «დაუმტკიცა». ამან დააწყნარა და «მომენტში» ჩაიძინა, მანამდე გააფრთხილა შარვალი გამიუთავე, ერთ საათში გამაღვიძე, ბიჭები მყავს სანახავიო.

ოთახს რომ გადახედო მილიციის განაჩხრეკი გეგონება. არეულია ყველაფერი. მაყვალა დეიდა «სასტიკად გვტუქსავს», «საძაგლებოს» გვეძახის, თქვენ არც ცოლი, არც შვილი და არც წლოვანება ჭკუას ვერ მოგიმატებთო, რაზეც მომენტალურად ყველა დავთანხმდით.

გუშინ ზაალა შეგვხვდა. შენს ჯგუფს ფული აუკრებია, ხუთასი მანეთი გადმოგვცა. თავიდან უარი ვუთხარით, «სისტემა» ავუხსენით. ზედმეტს, თვითონ გვთხოვს, არ გამომიგზავნოთო, ვუთხარით. კარგი «ობშიაკში» შეიტანეთ და როდესაც საჭირო იქნება, მაშინ ჩაუტანეთო. თებერვალში გინახულებს, ფულს მაშინაც ჩავუტანო. ჩვენ მაინც ჩამოვალთ. თუმცა, მანამდე კიდევ დიდი დროა.

მეტი რა, ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ვმუშაობთ, ყველა ძველებურად და ძველ ადგილას. ისე სტუდენტობა სჯობდა, მეტი თავისუფალი დრო გვქონდა.

ჰო, კიდევ რა... მთავარი დაგვავიწყდა. ლექსები რომ აარჩიე, მივიტანეთ. ცოტა პროფესიონალიზმი აკლიაო, _ გვითხრა, «რაცხა» კანონებს არ ემორჩილებაო. მოვიდეს, ცოტას წავიმუშავებთ და დავბეჭდავთო, ავუხსენიათ ყველაფერი. არ ესიამოვნა, მაგრამ კარგი კაცია, აიღო თავზე. სამი ლექსი ამოარჩია. მაშინ ჯერჯერობით მხოლოდ ესენი წავლენო.

არ გეგონოს, თითქოს არ მოეწონა. პირიქით ძალიან გაქო, ჭკვიანი ბიჭი ჩანსო. უბრალოდ, პროფესიონალის ხელში არ მოხვედ-რი-ლა-ოოო. ასე რომ ყველაფერი რიგზე (რვეული ლილი დეიდას დავუტოვეთ).

...და ბოლოს, ყველასაგან დიდი მოკითხვა, გკოცნით, გეხვევით და «გივარდებით წელში».

შენი «ნამეტნავად დალაგებული» ძმები!

მინდა გაგაცნო თბილისში გავრცელებული ძალიან პოპულარული ხალხური შემოქმედების «პატრიოტიზმით აღსავსე (მოდაშია პატრიოტიზმი) ახალი «უნიკალური» ნიმუში.

ტყეში აგური ყვავის,
ხეზე ჩაქუჩი იზრდება,
ტყიდან გამორბის ზვიანგი...
შენ ჩემო საქართველოვ!...

ზვიანგია _ ზვიგენი _ ნიანგი. ჩვენი გენეტიკის ახალი მიღწევა. სახით ლოქოს ჰგავს, გავუსწარით ამერიკას.

ამ წერილის მნახველი გადასცემს შენს ერთ-ერთ «მოძმეს», იმისგანაც მიიღებს «უსტარსა».

ჰო, კიდევ... გუშინწინისწინ პუწკიამ ბაღში «კონცერტი» ჩაატარა. ოთახში დროშა უკიდიათ პოლიტბიუროს წევრების სურათებთან, მასწავლებლის მაგიდის თავზე. ჰოდა, მივიდა და გამოაცხადა: სურათები და დროშა მოხსენით, გოგიელა ნათლიის სურათი მინდა დავკიდოო. ვერაფრით აუხსნეს ამის შეუძლებლობა. ჩაბჟირებამდე უტირია. ბოლოს შეჰპირდა, გოგიელა ნათლია მოვა და რომ მატირეთ, ნახავთ რა მოგივათო.

კიდევ ერთხელ გივარდებით წელში. შენი ძმები.

თავი IX

რაც მეგობრების წერილში არ შევიდა

როგორც ყოველთვის, რა უნდა მოგვეწერა, არ ვიცოდით. თითქოს, ადვილია მაგრამ...

არც ბესო იყო მთვრალი და არც პუწკიას ჩაუფსია «ძროხასავით». ვითომ, ჰმ, გასამხიარულებდად მოვიგონეთ ეს სისულელეები. არც შარაფი ყოფილა გუშინ, მაგრამ რა ვქნათ (სურათების ისტორია კი ნაღდად ჰქნა, საიდან მოუვიდა თავში ამ ლაწირაკს არ ვიცით).

იცოცხლე ღრიანცელი კი იდგა, ყველა თავის აზრს გაჰყვიროდა... მართლა ძალიან მოგვანატრე თავი. ხანდახან, ყურმილს ავიღებთ და გირეკავთ მერე გვახსენდება, სახლში რომ არ ხარ...

დაბოღმილები ვართ ძალიან, მაგრამ რა ვქნათ. ვიცით, რომ კიდევ გიყვარს. გუშინ ნახა ბადრიმ. სულ უფრო და უფრო ლამაზდება. მართლა ანგელოზის სახე აქვს. ნეტავი თუ ნანობს...

ზაალამ, ფული არ გაჭირდება, ლევი მაქვს, მანქანებსაც «ვარემონტებ» ხანდახან, სულ ორი ათასამდე მოგროვდებაო. «ჟესტიანჩიკი» ვიყავი ინსტიტუტამდე, შაკოს უთხრა, შენც მომიყვანე, ნაწილებსაც გაშოვნინებო.

ლილი დეიდასთან ყოფილა სამი დღის წინ. გოგიელას ფული მემართა, ხუთასი მანეთიო და მისცა. ძლივს დაუთანხმებია. უფრო სწორად, მაგიდაზე დაუდეს და გამოქცეულა, არ გაუჩერდა... კარგი ბიჭია ძალიან, საერთოდ შენს გარშემო ყველანი

კარგები ვართ... ჰმ... გუშინ ვლაპარაკობდით, რა კარგია, ღმერთმა ერთად შეგვყარა. ვინ იცის, ასე რომ არ მომხდარიყო, ჩვენგან რა დადგებოდა. ერთმანეთს ვავსებთ... ალბათ ვიქნებოდით ჩვეულებრივი, თბილისელი «ძველი ბიჭები». ზოგი, «გნილოი» ნარკომანიც...

ლექსები, სიმართლე რომ გითხრათ, არც ისე მოეწონა. შენ თვითონ იცი, ხშირად ამბობ: გალაქტიონის და გრანელის შემდეგ, ჩემი ლექსების დაბეჭდვა სირცხვილიაო... მაგრამ იმასაც აყოლებ, მაინც მინდა ხალხმა წაიკითხოს, სათქმელი გამიგოსო. ამიტომაც «ვიჩალიჩეთ». შაკოს მამამ ჩააწყო. ისე, რა ვიცი ბევრს სხვაზე ნაკლები არ ხარ, ვინც იბეჭდება. სული მაინც იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, კეთილი, ემოციური. თუმცა, შეიძლება ვცდებით, არ შეგვიძლია შენზე არასუბიექტურად ვიმსჯელოთ. კაცზე, რომელიც გიყვარს ველოდებით და გვაკლია.

თავი X

ისტორია...

მაიას საავადმყოფოში შევხვდი პირველად. დედები გვეწვა ერთად, ორივეს გული აწუხებდა.

ოცდაოთხი წლის კაცს, თითქოს აღარ მჯეროდა ერთი ნახვით სიყვარულის. ვთვლიდი, რომ ეს ყველაფერი კეთილი ჯადოქრების, მეზღაპრეების მოგონილია, ხალხისთვის სიკეთის, ოცნების შესანარჩუნებლად.

ალბათ, უცებ არ შემყვარებია... თუმცა, დავინახე თუ არა გავშეშდი. გაცვეთილი ფრაზა ვიხმარე, მაგრამ სწორედ გამოხატავს ჩემს შინაგან მდგომარეობას.

გარეგნულად არ შევიმჩნიე. ჩვეულებრივად, თითქოს, არაფერი მომხდარაო ისეთი, ხელი ჩამოვართვი და ცივად გავუღიმე. იმიტომაც, რომ ჩემი პარალელური კლასელის და იყო. წესად მაქვს, არავისთან, თუ გინდ არც ისე ახლობელთან, რაიმე ფლირტის ისტორიაში არ უნდა გაეხვიო.

ერთხანს საავადმყოფოში ვხვდებოდით. შემდეგ კინოში წავედით, ჩემთანაც იყო სახლში, მაგრამ ურთიერთობები არ გასცილებია, ამხანაგის დის პატივისცემის ფარგლებს. თითქოს ყველაფერი მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულებით იხსნებოდა.

დედა რომ გამოჯანმრთელდა, დავიკარგე. აღარ მინახავს დიდი ხანი. ვხვდებოდი, რომ გრძნობა გამიჩნდა, შეტოპვა კი არ მინდოდა. ძმა მაკავებდა, მრცხვენოდა მისი. დარეკე, ყურმილს აიღებს, დედები ერთად აღარ წვანან, რა ვუთხრა. შენს დასთან რაზე მინდა საუბარი. დავმეგობრდით-მეთქი? ადვილი მისახვედრი იქნებოდა, მოვიტყუებოდი. თანაც, როგორც ვთქვი, ვთვლიდი და ვთვლი, მეგობრების ახლობლებს და შორეულ ნაცნობებს შორისაც კი, თუ კაცს პატივს სცემ, არ უნდა ჩააყენო ქალი. ეს ყოველთვის დიდ პრობლემებს წარმოშობს... ჩემი ბიჭების დები, ყოველთვის დებად მიმაჩნდნენ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი სხვანაირად. იმიტომ რომ ძმის და შენი დაცაა. მაიას ძმასთან არ ვმეგობრობდი, მაგრამ ჩვენი ნაცნობობა მაინც არ მსიამოვნებდა.

ყოველთვის ურთიერთსიმპათიით ვიყავით განწყობილი და ეს გარემოება მბორკავდა, მაკავებდა.

ბევრი ვეცადე, დამევიწყებინა, ცოდვაც ჩავიდინე, ერთ გოგონასთან დავიწყე შეხვედრა. შევუყვარდი მგონი. რაღაცაზე გავუბრაზდი. მაინც არ ვიქნებოდით ერთმანეთთან ბედნიერი. სხვადასხვა ინტერესები, ხასიათი გაგვაჩნდა, მაგრამ ვწუხვარ, რომ ისე უცებ, რაღაც უბრალო მიზეზის გამო დავცილდი, სიმართლე არ ვუთხარი.

ვერ მოვითმინე, ბოლო-ბოლო მაინც გადავწყვიტე მაია მენახა. სურათი გვქონდა ერთად გადაღებული. ვითომ იმის მისატანად ინსტიტუტში მივედი.

რაღაც საოცრად ლამაზი იყო. უწინდელზე უფრო მიმზიდველი, ჰაეროვანი. რა თბილი, წყნარი, სათნო, ანგელოზის სახე ჰქონდა... ესეთებისაგან ხატავენ მადონებს. ვინანე მხატვარი რომ არ ვიყავი. ძალიან ვინანე. ვარდისფერი კაბა ეცვა. ძალიან უხდებოდა, ფენომენალურად უხდებოდა, ვერავინ აღწერს ისე უხდებოდა.

რომ დამინახა, გაეხარდა. სად დაიკარგეო. მივხვდი, ელოდა ჩემს გამოჩენას.

შემეშინდა... შეყვარებული ვარ ნამდვილად შეყვარებული...

...ეს კი... საშიშია...

სახლამდე მივაცილე. მომავალი შეხვედრისათვის, მიზეზის მოძებნა მიჭირდა, თვითონ დამეხმარა. ჩვენთან კონსერვატორიაში კარგი კონცერტია. სამი დღის შემდეგ გამოჩენილი პიანისტი დაუკრავს; ხომ არ გაინტერესებსო. გამიხარდა. კლასიკური მუსიკის არაფერი გამეგება. ამიტომაც გამოვუტყდი კიდეც; ბაიბურში არ ვარ, ისე კი მინდა ჩემს განათლებაში ამ ხარვეზის გამოსწორება-მეთქი.

შეხვედრის დროზეც შევთანხმდით. კასეტებსაც მოგიტან და გაგანათლებო, მითხრა.

ჩემზე ბედნიერი იმ დღეს, არავინ მეგონა. მინდოდა ვინმესთვის მომეყოლა, ამეხსნა რასაც ვგრძნობდი, როგორ მიყვარს. შემეშინდა თვალი არ გვეცეს-მექთი, ზედმეტ ჭორაობასაც მოვერიდე და ისე რომ არავინ შემხვედროდა და არაფერი წამომცდენოდა, შინისკენ გავიძურწე.

თავი XI

გოგიელას წერილი

დედიკო, ჩემო დედიკო ძალიან მომენატრე. სულ ის სამი დღე მახსენდება საახალწლოდ ერთად რომ გავატარეთ. ისეთი ბედნიერი ვიყავი, თითქოს კოლონიაში კი არა, სახლში შეხვდით ერთმანეთს.

ძალიან გამიხარდა, კარგად რომ გამოიყურებოდი. შენ ხომ ჩემი ყველაზე ლამაზი, ახალგაზრდა დედიკო ხარ. თავს უნდა მოუფთხილდე, თუ გინდა რო მეც კარგად გყავდე.

ბიჭები იყვნენ ეხლახანს. ალბათ გინახულეს და ყველაფერი მოგიყვნენ. ერთი რამე მეწყინა, გითქვამს, თითქოს გატყუებ და საშინელ პირობებში ვცხოვრობ. რატომ ხარ ესეთი, სულ ყველაფრის გამწვავება გიყვარს. ვიცი, რამაც შეგაშინა, _ «სვიდანიის» ოთახმა. გეფიცები, მთელ კოლონიაში, ამაზე საძაგელი მოუწყობელი და მოუწესრიგებელი ადგილი არ არსებობს. არ ვიცი რატომ. მიზეზი ვიკითხე; ვერავინ მიპასუხა, ყველა მხრებს იჩეჩავს, ალბათ, ხომ იცი, ჩვენთან ყველას ყველაფერი ფეხზე

ჰკიდია და ამიტომაც არის გაურემონტებელი. შიგნით, კოლონიაში ჩვენ თვითონ ვაკეთებთ ყველაფერს, იქ კი მხოლოდ შეხვედრებისას გვიშვებენ და აბა ვის მოადგება თავში, ეს დრო იქაურობის მოვლაში დახარჯოს.

დედიკო, გავიგე ნინო გათხოვილა. მოკითხვა გადაეცი ჩემგან. გადაკოცნე და უთხარი, რომ ჩამოვალ აუცილებლად ვინახულებ, ერთს კარგად შევუბერავ მათთან. ისე, იზრდებიან ბავშვები, მანდ რომ გადმოვედით, სულ ჩვილი იყო. ეხლა, მალე დედა გახდება. წარმოუდგენელია არა? ვერც ვიფიქრებდი, ნინო _ მეუღლე, სულ ბავშვი მეგონა.

დედა, გუშინ კოლონიის უფროსმა პირველი მადლობა გამომიცხადა, კარგი მუშაობისათვის. წელიწადში სამი მადლობა მჭირდება პირობითად ადრე რომ გამომიშვან «ატრიადნიკის» კი თვეში ერთხელაა საჭირო. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე მაქვს. მთავარია, შენ არ ინერვიულო, ჯანმრთელად მყავდე.

დღეს მერაბის დაბადების დღეა. როგორც უფროსობამგამოაცხადა, ვახშამზე, ამ თარიღის აღსანიშნავად, ტორტი გამოცხვება. პატარა სანთლები მართალია ვერ ვიშოვეთ, მაგრამ არა უშავს, გიხარია კაცს ასე ყურადღებით რომ ექცევა ხელმძღვანელობა. შენ კი არ გჯერა, მეც ასეთნაირად რომ მომილოცეს.

მოლოცვის შემდეგ მერაბის პატივსაცემად, კონცერტი უნდა გავმართოთ კლუბში. მე ალბათ, ჩემს ლექსებს წავიკითხავ. სხვა არაფრის ნიჭი მაქვს და (საერთოდ ესეც თუ გამაჩნია)...

ბოლოს, კონცერტს თვითონ მერაბი დაასრულებს. იცი, ჩონგურზე რა კარგად უკრავს (სულ დამავიწყდა მეთქვა, დღეს დილით აჩუქეს სამუშაოზე გასვლის წინ). აგერ ისიც მივიდა. მოკითხვა შეუთვალეო ჩემი სახელით. გადაეცი, საახალწლოდ ჩამოტანილი, სულ შენს მიერ გაკეთებული საჭმელი ელანდებაო.

საერთოდ, ბავშვობას იხსენებს ხშირად, ერთხელ დედაშენთან დამტოვესო, სულ პატარა ვიყავიო. დაუძინებივარ და მეზობელთან გადასულაო. გამღვიძებია, ავმდგარვარ, მაგიდაზე დიდი ტაშტით, გასაციებლად დადგმულ, ახალმოხარშულ მურაბაში ჩავძვერი ცხვირ-პირით, წამექცა და სულ მოვთხვარეო იქაურობა. შემეშინდა დასჯის და ძაღლის «კამორკაში» დავიმალეო. მთელი დღე გიძებნიათ. დედაშენი იმ ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ, კარგად ტყეპესო.

ამას ჰყვება მურაბა და ხითხითებს. ხომ იცი, როგორი გულღია, ალალი სიცილი იცის. იმასაც იხსენებს, ნიგოზს რომ აპარინებდით შენ და მისი უფროსი და. ხშირად მომხვედრია ამისათვისო.

სამ თვეში, სასამართლო შედგება. ალბათ გაანთავისუფლებენ პირობით, როგორც იქნა «გააკეთა». ჩამოვა და აუცილებლად გინახულებს.

მეტი რა მოგწერო, ყველაფერი კარგად მაქვს. არ მწყურია, არც მშია და არც მცივა. ხშირად გიხსენებ, ყველანი მენატრებით. მოკითხვა გადაეცი ჩემგან იურა ბიძიას და ლარისა დეიდას. უთხარი, თქვენი წერილი მიიღო, დიდი მადლობელია-თქო ყველაფრისათვის.

კიდევ ერთხელ გკოცნის და გეხუტუნება, შენი სულელი გოგიელა!

თავი XIII

წერილი მეგობარს

სალამი ჩემს ძმას ზაალას. ძალიან მომენატრე, როგორ ხარ. მანანა როგორ არის, მოკითხვა გადაეცი ჩემგან. პატარა «ზაალიჩი» დამიკოცნე, ვერ წარმოიდგენ როგორ მინდა ვნახო, წამოიზრდებოდა მაიმუნი.

ბიჭებმა შემომითვალეს, თებერვლისათვის აპირებსო ჩამოსვლას. გელოდებოდი. წერილიც კი არ გამოაგზავნე. არ გრცხვენია? ფულის გულისთვის ხომ არ მინდა შენი ნახვა. თუ რამე დამჭირდება, მე თვითონ გეტყვი. მაშინ კი ისედაც შეიძლებოდა მონახულება. მაწყენინე ძალიან, რა იყო ამაში სირცხვილი, ვერ გამიგია. ერთი წუთი გაქვს კაცს, მეორე არა. ეჰ... არ გატუტუცდე და გაყეყეჩდე. ფულმა გაფუჭება იცის, ჩემო ზალიკო. არა მგონია ეს შენც დაგემართოს, ბუნებით ხარ კარგი ადამიანი, მაგრამ მაინც დაუკვირდი თავს.

ფრთხილად იყავი, არაფერი შეგემთხვეს, ფულის გულისთვის არ ღირს აქ წამოსვლა. საუბედუროდ, შენნაირი ოქროს ხელების და ჭკვიანი თავის ხალხს, ჩვენში გასაქანი არა აქვთ, ბევრი მიზის გვერდით...

ისიც მესმის რატომ დაიწყე ცეცხლთან თამაში, ჯერ ერთი, კაცმა ნიჭი უნდა გამოიყენოს და ენერგია უნდა დახარჯოს. მეორე, ას მანეთად ოჯახის შენახვა წარმოუდგენელია. სადაცაა მეორე ბავშვიც გაგიჩნდება. მათ კი ჭამა, სმა, ჩაცმა უნდათ. ვის სურს მათხოვარივით ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავმოყვარეობა გებღალება, განიცდი, ნუთუ რაიმეს გაკეთების თავი არ მაქვსო. მთელ მსოფლიოში ეს თვისება ნორმალურად ითვლება, საშუალებაც არის რაიმე მოიმოქმედო: იშრომო, ტვინი გაანძრიო, ჩვენთან კი მტრად, ბურჟუაზიულ გადმონაშთად გნათლავენ.

სტალინის გინება და როგორც იქნა, მის მიერ ჩადენილ საშინელებებზე დაიწყეს საუბარი, მაგრამ მთავარს ჯერჯერობით არავინ ამბობს. ის სისტემა, რომელიც მან შეჰქმნა, დღესაც რომ მოქმედებს, ოღონდ კოსმეტიკური ცვლილებებით. ღმერთმა ჰქნას, რაც დაიწყო გაგრძელდეს, განვითარდეს, ნელ-ნელა აზრზე მოვალთ, თვალს გავახელთ და ცხოვრებას ვისწავლით.

ბიჭები რაღაცას მიედ-მოედვნენ. მივხვდი რაც გააკეთე. საკუთარი პროფილაქტიკა გახსენი, მე ვერ მომატყუებთ. კოოპერატივად ჯერ კიდევ ეტყობა არ გაგიფორმეს და ნახევრად ოფიციალურად მუშაობ. ალბათ ფულიც იმიტომ გაგიქრა, აგროვებ და ვიღაც შობელძაღლს, ნებართვისთვის უნდა «აჩუქო». რას იზამ, ისეთი აბდა-უბდა კანონი გამოვიდა, საშუალებას იძლევა, ამნაირი ხალხის ხელში მოხვედრის. სჯობს მისცე, თავი რომ ქუდში იგრძნო. ფრთხილად იყავი რაიმე შარი არ მოგდონ, ეცადე, მალე გააფორმო საბუთები.

ღმერთმა შეიძლება გვიშველოს და მართლა რაიმე შეიცვალოს, ვნახოთ. მე არ დამცალდა ნორმალურად გამეგო, მართლა გალღვა ყინული, თუ არა, აქით მიკრეს თავი.

რასაც მოვესწარი, ისიც ვერ აღვიქვი წესიერად. გაფრენილი მქონდა, სულ სხვა პრობლემები მაწუხებდა. ალბათ იმედიც არ გამაჩნდა რაიმეს შეცვლის, ვერ წარმომედგინა. «მედლების საკიდმა» ბაბუამ და მისმა «თანამოაზრეებმა» გაგვიქრეს, ისე რომ ვერც მივხვდით, ტვინის განძრევის ენერგია და სურვილი.

ერთი რამე მაშინებს, ბევრს აწყობს ასე იდიოტური, ბრმა ცხოვრება, ისევ ძველებურად, რქებით, სიყალბით მოქმედებენ, ხალხს რწმენა არ დაუკარგონ, პატარა გამოჩენილი შანსი არ ჩაკლან, ვინც დაიწყო ეს მოძრაობა ხელმძღვანელობაში, ისიც არ დააბრმავონ: ალბათ დროებით შეძლებენ კიდეც, ამიტომ უნდა ვივაჟკაცოთ, ძალები მოვიკრიბოთ, უფრო უარესით ვიდრე ადრე იყო რომ არ დამთავრდეს ყველაფერი.

თავისუფლებას ვერავინ გვაჩუქებს. ის შეიძლება იგრძნო და გაისისხლხორცო. არავის იმედი არ გქონდეს ამ საკითხში. ხვალ შეიძლება ყველაფერი უკან დაატრიალონ: ადამიანის ბუნებაა ასეთი. შენ, მე, იმან, ყველამ არ უნდა მივცეთ ამის საშუალება. გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ. დიპლომატიაც ვისწავლოთ. მუშტი-კრივი მათ აწყობთ, გამოიყენებენ, ნახეთ რა მოიტანაო დემოკრატიამ. საუბედუროდ, ძალა ჯერჯერობით მათ მხარეზეა. უნდა გამოვგლიჯოთ, წავართვათ. ოღონდ მათი მეთოდების გადაღება არ შეიძლება, ყველაფერი ჩაგვეშლება. გავხდებით გულქვა, ბოროტი ფანატიკები. ამას კი სიკეთე არასდროს მოუტანია.

როგორც ვთქვი, რაც შეიძლება გონივრულად, ტაქტიანად, მაგრამ სწრაფადაც უნდა ვიმოქმედოთ, ეს ძალიან ძნელია. მთავრია ეხლა გავუძლოთ, მათი მოკავშირე _ დრო ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ, მაშინ უფრო და უფრო გაძლიერებულნი, ნასწავლი, გამოცდილნი გავიმარჯვებთ. საღი აზრი ჩვენსკენაა და ხალხი ამას დაინახავს, შეიგრძნობს.

გუშინ, ერთი სპექტაკლის მომსწრე გავხდი. კლუბში შეგვყვარეს, ტელევიზორი მოათრიეს და ჩართეს. რომელიღაც ახალი დოკუმენტური ფილმი გადიოდა. ჩვენი «მედლის საკიდი» გამოჩნდა კადრში. «გმირად შერაცხვის», მერამდენედ აღარ მახსოვს, მომენტი იყო ასახული. ვერ გამიგია, კაცი გმირი შეიძლება ერთხელ იყო, ბუნება გვქონდეს ესეთი და ისეთ სიტუაციაში ჩავარდე, რომ ყველამ დაინახოს, შეაფასოს შენი საქციელი, ამისგან გამომდინარე ვაჟკაცური სული. მერე აღარც აქვს მნიშვნელობა, რამდენჯერ გაწირავ თავს. ეს წოდება, სახელი მაინც არ მოგცილდება საზოგადოების თვალში. იმის გარჩევა კი შეიძლება ვინ უფრო მეტი სარგებელი მოიტანა, ოღონდ ამით სხვების თავგანწირვა არასდროს გაუფასურდება. ჩვენ ამდენი დაჯილდოვებებით, ერთი კაცის, ბრეჟნევის გაღმერთებით საპირისპიროს გავასწავლიდნენ. გაიხსენე, როგორ დაცინვით უყურებს ზოგიერთი მოხუც ნაფრონტალ კაცს გმირის ნიშანი რომ ჰკიდია. გაუფასურდა ეს წოდება, ხალხის შინაგანი ნება-სურვილის გარეშე დარიგდა და მნიშვნელობა საქმეს კი არა, ნიშანს მიენიჭა, მკერდზე ჩამოკიდებულ «ჟესტს», ამიტომაც დავკარგეთ შავის და თეთრის გარჩევის უნარი.

ფილმის დასრულების შემდეგ «ზამპოლიტი» პიირველი «რევოლუციონერი» გახდა, «მედლის საკიდის» და სტალინის გინება დაიწყო. გულში გამეცინა, რომ არ მცოდნოდა ვინ ლაპარაკობს, დავუჯერებდი, გულწრფელობაში ჩავუთვლიდი სიტყვებს. შობელძაღლი თავის სულიერ მშობლებს თათხავდა. ქვა-ქვაზე არ დაუტოვა. ინსტრუქცია ჰქონდა ესეთი, «ბრწყინვალედაც» შეასრულა. არცაა გასაკვირი, «მამა ნახე, დედა ნახე და შვილი ისე მოინახეო» _ უთქვამთ ხალხს. ესეთი პიროვნებებია ყველაზე საშიში. მარტო იმ დღეს არ გამოუვლენია თავისი ნაღდი ბუნება. თვითონ ნარკომანი, ლექციებს გვიკითხას ნარკოტიკების მავნებლობაზე. ცინიკურად, პლაკატი ჩამოკიდა კაბინეტში: «Наркотики убивают наше потомство!»

ყოველდღე გაგლეჯილ «კაიფშია». თუ ნარკოტიკის შემოტანა გინდა «ზონაში», მაგას უნდა მისცე. ნახევარს თვითონ იტოვებს. არ უნდა გამოაპარო, თორემ დაგიჭერს და ტყავს გაგაძრობს.

ორი თვის წინ, ერთი ჩაიგდო, ჯერ სასტიკად სცემა, მერე კაბინეტში შეათრია, სკამზე მიაბა და მის თვალწინ «გაიჩხირა». ნარკომანისთვის იმაზე დიდი წამება არ არსებობს, სხვისი «კაიფი» აყურებინო, თვითონ კი არ გაუკეთო. ხუთი დღე ჰყავდა ასეთ დღეში. ყოველ დილით, მიათრევდა და იგივეს იმეორებდა. ბოლო-ბოლო გულმა ვერ გაუძლო საწყლს, გაუსკდა.

პასუხის მომკითხავი ვინ ჰყავს?! რომელი პატიმარი, ან მითუმეტეს «ნადზორი» იტყვის სიმართლეს?! ის კი არა, ნაგავმა, ამ საწყლის სიკვდილზეც ფული გააკეთა. სამასი მანეთი გამოართვა ნათესავებს, ცხედრის წაღების ნებართვაში.

ღმერთო დიდებულო... ალბათ მაპატიებ, რომ გამოვალ, თუ სადმე შევხვდი აუცილებლად მოვახრჩობ. ოღონდ ჭკვიანურად. მაგ მურთხის გულისთვის არ ღირს თავის გაწირვა. ერთი აქედან გამომიყვანა და ენას ამოვიდგამ. ყველამ უნდა იცოდეს, რაც ხდება!

იცოდე, არ შეგეშალოს, ჩემი წერილი ცენზურის გარეშე გამოიგზავნება ერთ-ერთი პატიმრის მნახველი ჩააგდებს საფოსტო ყუთში. შენს გამოგზავნილს შეამოწმებენ: ამ თემაზე არაფერი დაგცდეს... რამდენი ნაგავია ქვეყანაზე. ათას შარს მოგვდებენ. მე მათ ხელში ვარ, შენ კი... არ ვიცი, სადამდე «გავდემოკრატდით». «ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო», _ ხომ გაგიგია. არ მქონდა ბედნიერება, საკუთრივ შემეგრძნო ყველაფერი... ჰმ.

«ზამპოლიტის» მეუღლე ექთნად მუშაობს ჩვენთან, ცენზურსაც ის აწარმოებს, ასე რომ ფრთხილად!

რა სულ ჩემზე და პოლიტიკაზე ვსაუბრობ, ალბათ თავი მოგაბეზრე. ძალიან მომენატრეთ, შენც და ბიჭების მთელი ჯგუფი. მომწერე ვინ რას შვება. არც მეგონა, თუ ასე მიყვარდა ყველანი.

საწყალი «ძმაო» მახსენდება ხშირად. გახსოვს სანამ აქ მიკრავდნენ თავს, ჯარში რომ ვიყავით «ზბორებზე»; დალევდა, ჩამოჯდებოდა სადმე და საათობით გაჰყურებდა ჰორიზონტს.

_ რას შვები «ძმაო»?

_ კინოს ვუყურებ ძმაო.

_ რომელი სერიაა «ძმაო»?

_ მერამდენე დღე ვართ აქ ძმაო?

_ მეცხრე «ძმაო».

_ ჰოდა მეცხრეა ძმაო.

ანდა, გახსოვს? ერთხელ არაყი ვერ იშოვა, «ბეტეერით» ქალაქში რომ გაიპარა... ჰმ, რა დღეში იყო უფროსობა...

სულ უფრო და უფრო ხშირად მახსენდება მისი პანაშვიდი, დასაფლავება, მაშინ წესიერად ვერც განვიცადე, ვერ ვიგლოვე, აქაურობისთვის «ვემზადებოდი», ეხლა კი დრო მაქვს.

რაღაც საერთო არის ჩემსა და «ძმაოს» შორის. მასავით, დროებით მაგრამ მოვწყდი ქვეყანას, ახლობლებს, მეგობრებს, დედას... აქ რომ ჩამოდიხართ, თითქოს, სასაფლაოზე

მომინახულეთო... საქართველოში ვარ, მაგრამ კი ვერ ვგრძნობ ამას. თავი სადღაც ციმბირში, გადაკარგულში მგონია...

ძალიან მძიმე წერილი გამომივიდა. დღეს რაღაც მელანქოლიურ ხასიათზე ვარ... არ მიწყინო. არც ისე გეგონოს, თითქოს ვწუწუნებ. ვიცოდი, წარმომედგინა, სადაც მოვდიოდი. ძალიან განვიცდი, რომ თქვენს კისერზე მიწევს ცხოვრება. ათასი მატერიალური, თუ სხვა პრობლემა გაგიჩინეთ... რა ვქნა, სულელი ვარ. საკუთარ თავზე ვბრაზდები... არაფერი, გამოვალ და ყველაფერს ავაწყობ. დედაჩემსაც გავახარებ, თქვენც მხარში ამომიდგებით.

კიდევ ერთხელ მოიკითხე და ჩამიკოცნე ყველა,

შენი გოგიელა!

თავი XIII

რაც წერილებში არ შევიდა

საწყალ დედაჩემს ჰგონია რომ საჭმელს «სუფთად არ ამზადებენ», ყოველდღე არ ასუფთავებენ აქაურობას, «გათბობა კარგი არ არის». ეშინია ჩემი გაცივების, ანდა კუჭი არ ამეშალოს, სასაცილოა... საწყალი დედიკო, კიდევ კარგი ვერ წარმოუდგენია რეალური სურათი, საზიზღრობა თორემ, ვერ გადაიტანდა.

ჰმ, დაბადების დღეს უხდიან მერაბს... ტორტს უცხობენ და ჩონგურს ჩუქნიან... კონცერტს მართავენ მის პატივსაცემად... მეტი საქმე არა აქვთ...

მერაბის ძმა, ბეჟანა ჩამოვიდა. კოლონიის უფროსს სამასი მანეთი მისცა ლავანა, მე და ერთი ჩვენი «კუტოკელი» «სვიდანიის» ოთახში რომ მივეყვანეთ და ორი დღით დავეტოვებინეთ; დასალევის, პროდუქტების შეტანის საშუალება რომ მიეცათ. ძალიან მაგარი ღვინო ჩამოიტანა. ორი დღე ვიჯექით და ვლოთაობდით გრძნობის დაკარგვამდე.

«ზონაში» ახლობლებს შევუგზავნეთ რაღაცები. ბიჭებმა «ატრიადნიკს» ორმოცდაათი მანეთი მისცეს «კაპტიორკაში» ჩაიკეტნენ და მათაც გრძნობის დაკარგვამდე სვეს. «არისტოკრატიამაც» შემოგვითვალა, ცუდი არ იქნება, ჩვენც თუ გაგახსენდებითო. მოვიდა ბეჟანა და იმ წუთშივე ერთ-ერთმა «კონტროლიორმა» შეატყობინა, ძალიან დატვირთული ჩამოვიდა ძმის დაბადების დღეზეო. ჰმ... იმათაც, არ გაათავონო და სასწრაფოდ გამოაგზავნეს დესპანი. «სგუშჩონკა», ჩაი, შაქარი არ აკლიათ. ტორტი და ხაჭაპური მოითხოვეს.

მერაბამ მითხრა, ისედაც გავუგზავნიდი, არ დავბოღმავდი, მაგრამ ძმასთან დალაპარაკება რომ არ მაცალეს, ის მეწყინაო, ზონის მაყურებელსაც აგრძნობინა. დაიმორცხვეს, მიხვდნენ, ლამაზად არ გამოუვიდათ. მათ პრესტიჟს ესეთი სულწასულობა ვერ აამაღლებს, მითუმეტეს, სხვასავით მშიერი ყოფა არ აქვთ... ისე, მაინც ღმერთმა შეარგოთ. ყველა მონატრებულია ოჯახში დამზადებულს. უფრო მეტად, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, როდესაც ვისიმე სახლიდან ჩამოტანილს შეექცევი. არაფერიც რომ არ გაკლდეს, მაინც გიხარია, უგემურიც გემრიელად მოგეჩვენება, თითქოს ამ წუმპეში კი არა...

ეს ჩვენთან არის შედარებით თავისუფლება. კიდევ კარგი, ფულით რაიმეს მიღწევა შეიძლება. ზოგ «ზონაში» ათი ამდენი გეხარჯება და მაინც ყველა დამშეულია მგელივით. ღმერთო, აქ როგორ მიჭირს, იქ რა დამემართებოდა...

«ზამპოლიტიც» «გვესტუმრა», მერაბა «დალოცა», ნახევარი საათი გვეჯდა. საჭმელი და ღვინო ჩაცეცხლა და რომ მიხვდა, ნარკოტიკები არ გვქონდა, წაეთრია... არამი იყოს მისთვის ყოველი ლუკმა! ღორი, თითქოს აკლია რაიმე... კი არ მენანება... ვერ ვიტან ამ ძაღლიშვილს... მთელი ადმინსიტრაცია ბარიგობს, გვძარცვავს, მაგრამ ამნაირი ნაგავი არავინაა, ადამიანურად ვერაფერში გაგიგებს. თანამშრომლებსაც არ უყვართ, იციან რა კაციცაა, საკუთარ დედას არ დაინდობს.

ის საწყალი ბიჭი რომ მოკლა, ერთი კვირის შემდეგ უეცრად დაფაცურდა. კომისიას ელოდნენ, ძაღლივით იყო დაგეშილი. ყველანი პრავერკაზე შეგვყარა, ავადმყოფებიც არ დატოვა. სასტიკად გაგვაფრთხილა, არაფერი წამოგცდეთო. შემდეგ «სანჩასტში» წავიდა, ვიღაც «ზონოვსკის» წამალი შემოუგზავნეს, «გაიჩხირა» მასთან ერთად, ზედმეტი მოუვიდა და ცოლმა ძლივს მოაბრუნა. უფალო შემიწყალე, მაპატიე, მაგრამ ნეტავი...

ბარაკებში დავბრუნდით. ყველაფერი გადაუყრიათ. «ჩისტკა» ჩაგვიტარეს. რვა დღე ვშიმშილობდით და ვიყინებოდით. რაიმეს შემოტანა აკრძალა, მანქანაც კი არ შემოუშვა. შეეშინდა, ფახში ჩავარდა. კომიიის წინაშე თამაშობდა და პრინციპულობას, ჩვენც გაგვაფრთხილეს ამით _ რა მოგველის ხმა თუ ამოვიღეთ.

მოკლულის ისტორია გავიგე. ლამაზი, ძალიან ლამაზი ცოლი ჰყოლია. ვიღაც მილიციონერის საყვარელი გამხდარა. არავინ იცოდა, მეუღლის გარდა, სად მალავდა ნარკოტიკებს და «აბაიანს». ზუსტად მაშინ წამოადგნენ, სამალავიდან რომ იღებდა. თანაც ვინ, ცოლის საყვარელმა ჩაავლო.

ჩაჯდომიდან ორი თვის შემდეგ «რაზვოდი» მოუვიდა. მერე ისიც გაიგო, ყოფილი მეუღლე იმ ძაღლს რომ გაჰყვა. იმან კი მთლად მოტეხა, როდესაც შეატყობინეს, შენს მამისეულ სახლში ცხოვრობენო. სულ გაფუჭდა საცოდავი, ბოლო ხანებში დედასაც, ცოცხალი რომ ჰყოლოდა, გაჰყიდდა ერთი «ზახოდისათვის».

არ აწყობდათ მისი გამოსვლა. სამაგიეროს გადახდის ეშინოდათ, მაგრამ რისი თავიღა ჰქონდა, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც აღარ ეწერა. მისი სიკვდილიც ცოლის «ჩაწყობილიაო». ყოველ შემთხვევაში, «სროკის» დამატებაზე მაინც «იჩალიჩა». ის წამალიც, რაზეც დაიჭირეს, ალბათ, «ზამპოლიტმა» იცოდა, რომ მოუვიდოდა, შეატყობინეს კეთილისმსურველებმა. ერთხელ უთქვამს: _ «ზონამდე», თითქმის დანებებულიც კი მქონდა თავი. მაშინ, ერთმა რაღაც საეჭვოდ შემომაჩეჩა და იაფად მომყიდა. მეც ვერ მოვითმინეო. არა... აშკარად მათი გაკეთებულია ეს საქმეც... ღმერთო, გამაძლებინე, შემინდე, მომეცი ძალა არ გავგიჟდე. არ შევიშალო, ამ ჭაობის სრულფასოვანი ბინადარი არ გამხადო, მგლად, მტაცებლად არ მაქციო, ბოროტებამ არ დამძლიოს...

თავი XIV

გოგიელას სიზმრებიდან

გოგიელას ცემენ, უმოწყალოდ ურტყამენ, შველას ითხოვს. მეგობრები მოირბენენ, დახმარება სურთ, მაგრამ რაღაც უხილავ ზღუდეს ვერ ლახავენ.

მწვალებლები დედამისს მოითხოვენ. გაჰყვირიან, მხოლოდ ის შეძლებსო დახმარებას. გოგიელაც ეხვეწება, სასოწარკვეთილი ხმით ეძახის დედას. ისიც გამოჩნდება, მოიწევს, ეჩქარება შვილის გამოხსნა. ცოტაღა რჩება მიზნამდე. მწვალებლებს კმაყოფილება გადაჰკრავთ სახეზე, მაგრამ უფრო და უფრო უმატებენ ცემას. გოგიელა ხვდება, რაც ჩაიდინა. დედამისს ხომ მოჰკლავენ, თუ ხელში ჩაიგდეს. გოგიელას კი ურტყამენ, უმოწყალოდ ურტყამენ... დედა ტირის, მოთქვამს, განთავისუფლებას ცდილობს, რომ შვილი დაიხსნას, ბოლო-ბოლო ხელიდან უსხლტება ბიჭებს და...

გოგიელას შეშინებული ეღვიძება.

თავი XV

დედის წერილი

გამარჯობა ჩემო გოგიელა, როგორ ხარ, შვილო. გაზაფხული წელს საზიზღარია, ვერც გაიგებ, როგორ გაცივდები. თბილად ჩაიცვი, ნუ გათამამდები.

ნურც მზეში ივლი ბევრს. თვალები გიწითლდება, ხომ გახსოვს, ჯარში «ზბორებზე» რომ იყავი, რა დაგემართა, ჩამოსული ვერ გიცანი, მზემ ისეთი ამბავი დაგაწია. სულ დამწვარი და დაწყლულებული იყავი.

ალბათ კიდევ უფრო გახდი. აუცილებლად ჭამე რამე. ფულის გამოგზავნა მინდა, მაგრამ არ შვები, ამიკრძალე.

გუშინ ბესო, ლევანი და დათო იყვნენ, წერილი გადმომცეს (ჩემიც გადმოუციათ). მიმტკიცებენ, კარგად არისო, ღმერთმა ჰქნას...

შვილო, გეხვეწები არაფერი დააშავო და დაუჯერე უფროსობას. იურა ბიძიამ და ბიჭებმა მითხრეს, კეთდებაო პირობით განთავისუფლება. მთავარია კარგად მოიქცე.

გუშინ, ვიღაც ქალს ვუსმენდი, პურის მაღაზიაში, მისი შვილი გამოუშვიათ პირობით. ნახევარი რომ მოიხადაო, ხუთი ათასი დაჯდომიათ. რამდენიც საჭიროა ჩვენც ვიშოვოთ, არ მოგერიდოს.

მამაშენის მეგობრებსაც ვნახავ. ეს უბედურება რომ დაგვემართა, ამიკრძალე მათთვის შეტყობინება. ეხლაც არაფერი იციან... ვიღაც ნაცნობებიც ეყოლებათ. კარგი თანამდებობები უკავიათ, დაგვეხმარებიან. ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შენ მოიქეცი ჭკვიანად, ნუ მომიშხამავ სიცოცხლეს!.. მინდა გავიხარო შენი ნახვით, ბედნიერებით, ჯანმრთელობით.

გკოცნი და ისევ გეხვეწები ჭკვიანად იყო.

შენი დედიკონა

P.S. ამ პატარა წერილს ბეჟანის ხელით გამოგიგზავნი. გუშინ დამირეკა. დღეს გამომივლის. სასამართლო უნდა შედგესო მერაბის, ადრე ანთავისუფლებენო. იმასაც გამოვკითხავ, როგორ გააკეთა... ნუ მომსპობ შვილო, დამიჯერე...

შენი დედიკონა!

თავი XVI

ისტორია

დათქმულ დროს მივედი. ხელში ერთი შინდისფერი ვარდი მეკავა. მივართვი. კონცერტი გადაუდიათ(?) და ძველი თბილისისკენ გავისეირნეთ. რომელიღაც ახალგახსნილ, ძველებურ სტილში მოწყობილ, ნახევრად ჩაბნელებულ ბარში შევიარეთ. სიტუაცია მოგვეწონა. ძალიან მყუდრო, ეგზოტიკური ადგილია, ხელს არავინ გვიშლიდა. არც მახსოვს რაზე ვსაუბრობდით. ალბათ ყველაფერზე, რაც მოგვადგებოდა.

მომავალშიც ასე გაგრძელდა: ერთი შინდისფერი ვარდი, თბილისის ქუჩები, ბარი. შეგვიყვარდა იქაურობა, სახელიც გამოვუცვალეთ, მე «მაიას» ვუძახოდი, ის «გოგიელას».

რამდენიმე დღის შემდეგ, დაქალი გამაცნო, თამრიკო. ამის შემდეგ სამივე განუყრელი მეგობრები გავხდით. ხანდახან თამრიკო გაგვექცეოდა რაღაცას მოიმიზეზებდა და მარტო გვტოვებდა. თითქოს უფრო აქტიური მოქმედებისაკენ მიბიძგებდა, მაგრამ ვერ გამებედა. სიტყვას ვერ ვძრავდი. ისევ ძმის მრცხვენოდა. თანაც, მეშინოდა უარი არ მიმეღო.

ერთხელ ლექციები მოგვიანებით გაუთავდა და მეც, როგორც ყოველთვის, შესასვლელთან დავხვდი, რაღაცაზე კამათობდნენ. რაშია-მეთქი საქმე, ვკითხე.

_ მაიას ვერ გადაუწყვეტია, ძაღლს რა დაარქვას. _ მიპასუხა თამრიკომ.

_ რომელ ძაღლს? _ ვიცოდი, არ ჰყავდა.

_ გათხოვების შემდეგ აპირებს ყიდვას.

_ «იმას» უთანხმდება...

_შენ მოუგონე სახელი!..

_ მე? როგორი მოგწონს? _ ვკითხე მაიას და ხელი გადავხვიე.

_ რაიმე მეფური... ვთქვათ «ლორდი» ან «გრაფი»...

_ «კინგი», _ წამოვიძახე, _ თუ მეფური, მაგაზე მეტი არღა გინდა.

თამრიკოს გაეცინა და მითხრა: _ ჰოდა გეყოლებათ «კინგი», აღარაფერი გაკლიათ. შესაფერისი წყვილი და ძაღლი გვერდით... ბოლო წინადადება თავისთვის ჩაილაპარაკა, თითქოს მე რომ არ გამეგო. ისევ წავიყრუე, მაგრამ ამით არ შემწყდარა «შემოტევა».

«ჩვენი» ბარისკენ ფეხით გავუყევით თან, რაღაც-რაღაც ისტორიებს და ანეკდოტებს ვყვებოდი. თამრიკო არ მისმენდა. ფიქრებში იყო ჩაფლული. საერთოდ, თვისებად ჰქონდა, იშვიათად გვერთვებოდა, შორიახლო მოდიოდა, თითქოს ჩვენთან არც იყო და ვერც გვამჩნევდა. მაია კი ყოველთვის თვალებში შემომციცინებდა, მიღიმოდა, ვითომ ყველაფერი, რასაც ვყვები, ძალიან აინტერესებსო.

შაკოს მამის მეგობარზე დავიწყე საუბარი. ბევრი კურიოზული ისტორია მსმენია მასზე. საერთოდ ენამოსწრებული კაცია.

_ ერთ-ერთ მათ მეგობარს მანქანის ტარება არ უყვარს. მეუღლე დაატარებს სახელმწიფო «შოფერივით». ერთხელაც, ვიღაცასთან «შარაფობდნენ», ხომ იცი სადღეგრძელოებს რომ ამბობენ, რიგ-რიგობით ყველა სუფრის წევრის. იციან ხოლმე:

გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს შენი ცოლ-შვილით, ოჯახით. გისურვებ ჯანმრთელობას... ჰოდა, წამოდგა და უთხრა ჯუმბერ «მძღოლ-შვილს» დაგილოცავო.

_ «პრავა» გაქვს? _ მკითხა თამრიკომ, მეგონა არ გვისმენდა, სინამდვილეში თავს იკატუნებდა თურმე.

_ არა და არც მიყვარს მანქანის ტარება, «მუღამს» ვერ ვუჭერ, არ «მევასება», ჩაფიქრება ვიცი ხოლმე, საკუთარ თავს მოვეშვათ, ვინმეს გავაუბედურებ...

_ არაფერია, მაიამ იცის... შენც გეყოლება საკუთარი «მძღოლ-შვილი». _ ბოლო წინადადება ისევ «თავისთვის» ჩაილაპარაკა და როგორც უეცრად ჩაგვერთო ასევე უეცრად შეწყვიტა საუბარში მონაწილეობა. მაიამ კი ისეთი სახე მიიღო თითქოს ვერაფერს მიხვდა.

ეს უკვე ზედმეტი იყო... გადავწყვიტე იმ დღესვე გამერკვია ურთიერთობა.

ყოველთვის, ჯერ თამრიკოს ვაცილებდი, შემდეგ მაიას. ტაქსში მარტო რომ დავრჩით, ხელი გადავხვიე და ლოყაზე ნაზად, გაუბედავად ვაკოცე. თვალებში შემომხედა... ენა ჩამივარდა. მიხვდა ვჭოჭმანობდი. ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. გამიღიმა და თავი მხარზე დამადო. გული მომეცა, ენა ამოვიდგი.

_ რომელი ჯიში ვიყიდოთ? _ ვკითხე ჩურჩულით.

_ «დობერმანი» მინდა... თვითონ გადაწყვიტე. _ მანაც ჩურჩულით მიპასუხა.

_ ხომ იქნები ყოველთვის ჩემთან, ჩემი პატარა, საყვარელი გოგო?!.

თავი დამიქნია და ხელით ხელზე მომეფერა.

_ ძალიან ცუდი ხასიათი მაქვს. საზიზღარი. მოითმენ?!

_ ჰმ, სხვა რა გზა მაქვს.

_ გიყვარვარ?!

ცოტა შეაყოვნა და შემდეგ, ისევ თავი დამიქნია და მხარზე უფრო მჭიდროდ მომეკრო.

სახლამდე ხმა აღარ ამოგვიღია, ვიყავით ასე ჩაკრულები ერთმანეთთან. ვგრძნობდი... მეგონა ორივე ძალიან ბედნიერები ვიყავით... აღარაფერი მინდოდა, არც... სხვა შემთხვევაში ვინმესთან, ალბათ...

მაიასთან კი გვერდით ყოფნა, მხარზე დადებული თავი, ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის. სიხარულის გრძნობამ ამიტანა. თითქოს ოცნებიდან ჩამოფრინდაო... ისეთი როგორიც, ხშირად დამიხატია წარმოდგენაში ისეთი, მთელი ცხოვრება რომ ელი... მაია და ოცნება გაიგივდნენ, ერთი სახე მიიღეს...

მარტო რომ დავრჩი, საკუთარ თავზე გამეცინა, რა ბავშვურად ვიქცეოდი და ვიქცევი-მეთქი, გავიფიქრე. ასეთი მორიდებული, სუფთა, არავისთან ვყოფილვარ «ბაბნიკი» არ მეთქმის, მაგრამ ყველა, ვინც კარგად მიცნობს, ქალებთან გაბედულ, კონტაქტში ადვილად შემსვლელ ბიჭად მთვლიდნენ. უცბად ვხვდებოდი ჩემდამი დამოკიდებულებას, რას მოელოდნენ, როგორ მემოქმედა. თუ სიმპათია მეც გამაჩნდა, მოვინდომებდი, არ მიჭირდა გულის მოგება. ეხლა ყველაფერი პირიქით ხდებოდა... სულ ვჭოჭმანობდი, მეშინოდა არ დამეკარგა, არ მეწყენინებინა, გამოუცდელ სკოლის მოსწავლეს დავემსგავსე, პირველი სიყვარული რომ ეწვია და არ იცის რა მოიმოქმედოს.

ბედნიერად ვგრძნობდი თავს, არავისთვის გამინდვია საიდუმლო. ბიჭებმაც არ იცოდნენ ჩემი დაკარგვის მიზეზი. მოკლე შეხვედრებისას სულ ინსტიტუტში დავაკებულობას ვიმიზეზებდი. სინამდვილეში, ლექციებს უღმერთოდ ვაცდენდი.

სამედიცინო, ბეჭდიანი ცნობები ვიშოვე და ყოველ შაბათს, «ნაავადმყოფარს», დეკანატში მიმქონდა ყალბი საბუთი.

დედაჩემსაც უგრძნო გულმა, ერთხელ მითხრა, აფორიაქებული ხარ, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროო. ბანზე ავუგდე სიტყვა...

მაიას გარდა ვერაფერზე ვფიქრობდი, არაფერი მაინტერესებდა. ყოველი დღე ორ ნაწილად მქონდა დაყოფილი, პირველი _ შეხვედრამდე, მეორე _ მასთან ყოფნა.

თავი XVII

1. მეგობრის წერილი
2. რაც მეგობრის წერილში არ შევიდა

1. «სდრასტი» გოგიელა. როგორ გაქვს ჯანმრთელობა და «იდეურ-პოლიტიკური» მომზადება. ესე უნდა? მანდ, ჩემს «საყვარელ» ადგილას წავიდეს კაცი და გამომაპაროს? ვიფიქრე, სულ დავავიწყდი. აღარ აინტერესებს «გამოუსწორებელ» რეციდივისტთან ურთიერთობა-მეთქი.

თითქმის ერთი წელია რაც არ მინახიხარ. დღე-დღეზე ველოდი შენს ჩამოსვლას. წერილების წერა, იცი არ მიყვარს. ბევრი საქმეც მქონდა... არა! ვერიდებოდი «დასახლებულ პუნქტებს». რაღაცნაირ ხასიათზე ვიყავი. ორი წელია «გამოვედი» და ცხვარში ვარ. სულ ხალხისკენ მომიწევდა გული, წელს რაღაც შეიცვალა, შევეჩვიე, შემიყვარდა აქაურობა. აქაური ალალი, ურთიერთდამოკიდებულებები მსიამოვნებს.

ერთხელ ვიყავი დუშეთში. თბილისისკენ ვაპირებდი «გამობერვას», მაგრამ ავტობუსში რომ ჩავჯექი, ვიფიქრე რა დამრჩენია-მეთქი მანდ, რესტორნები, ქალები, თუ ნათესავები, ჩემს დანახვაზე უფრო ხშირად ზრდილობის გულისთვის რომ მიღიმიან, «მეფერებიან», ანდა ეშინიათ «გიჟმა», «რეციდივისტმა», «საშიშმა კაცმა» წყენა არ ჩავიდო გულში, რაიმე ცუდი არ შევამთხვიო. იცი, არასდროს ჩამიდენია, ან გამიფიქრია, რაც უნდა ეწყენინებინათ, მათ მიმართ სიავე. ადრე მიკვირდა ესეთი დამოკიდებულება, ეხლა ვხვდები თვითონ ჩემი ბრალია. თანაც ყველაფერს თავი დავანებოთ, იმისი შიშიც აქვთ, მათ შვილებზე, შვილიშვილებზე არ ვიმოქმედო ცუდად, ასეთი ბიოგრაფიის მქონე კაცმა.

ამის გარდა, ზოგში პირდაპირ ვხედავ, რომ ზიზღს ვიწვევ, ადამიანად არ მთვლიან. ამ ბოლო ხანებში მივხვდი, ამაშიც მე ვარ დამნაშავე. ყველა ვერ გაგიგებს, ვერ გაპატიებს თუ გინდ საკუთარი ბედის უკუღმართად წაყვანას.

ჰოდა, ვიფიქრე, რა დამრჩენია, ერთად-ერთი ვისი ნახვაც ძალიან მსურდა შენ იყავი, ისედაც ჩამოვა და მინახულებს-მეთქი. შევიყუჟე ჩემს მიგდებულ ქოხში. საქმე, კითხვა, ტელევიზორი და მორჩა. სხვათა შორის, რა ანტენა დამიდგი ესეთი, მარტო ჩემთან აჩვენებს ნორმალურად. ვინმე თუ მომაკითხავს, რაც ხშირად ხდება, ტელევიზორის ყურების და ყოფილ «შავთან» ჭიქა არაყზე ციხის, ან სხვა «საქმენი საგმირონის» მოსასმენად.

ისე, ვიტყუები პატარა სახლში, ვიყავი გამოკეტილიო რომ ვიძახი, «ექთან შორენასთან» სირბილს მაინც ვერ გადავეჩვიე. რას იზამ, ყველანი «კაცნი ვართ».

გადიოდა დღეები, სულ გელოდი, ეხლა ჩამოვა, ეხლა ჩამოვა-მეთქი. ბოლო-ბოლო შევწუხდი. დუშეთში ჩავედი, იქიდან გადმოვრეკე. ვინ იტაცებს ბიჭო ქალს ესე, ვერ დამიძახე? კაცი გამომძიებლების, პროკურორების და მოსამართლეების მთელ «კოდლას» ვაბამდი და ერთ ქალს ვერ მოვთაფლავდი ვითომ? არაფერია, ხომ გაგიგია:

გულო, რას დაბერებულხარ,
რას იბერები ნისლითა?
განა სულ ესრე ვიქნებით
დაკუნჩხვილები ყინვითა?

2. გოგიელა ჩემთვის გადამრჩენელია, სულის მხსნელი. ძნელი ასახსნელია, რამ შემაკავა ჩვენი პირველი შეხვედრისას, მომავალში, როგორ მოახერხა ის, რაც ოჯახმა, ნათესავებმა, კოლონიებმა, თუ ციხეებმა ვერ შესძლეს.

პირველად თოთხმეტი წლისა გამასამართლეს. თავიდან, არაფერი ჩანდა სერიოზული. ერთი «ძალად-ძველბიჭი» ჩამიდგა კრიჭაში. კარგა ხანი დავსდევდით, ვურახუნებდით ერთმანეთს.

ერთხელ... დედა ახალი გარდაცვლილი მყავდა, ტელეფონით დამირეკა, გინება დამიწყო. შეხვედრის დრო და ადგილი დავნიშნეთ. მოკვლას დავპირდი.. ძალიან ვიყავი გაბრაზებული, იცოდა ჩემი ამბავი, მაინც მაგინა დედა, და...

უბანში გავედი, იარაღი მინდოდა მეშოვა. სახლიდან სამი ათასი მანეთი წავიღე. მამაჩემის დაუკითხავად. გამიმართლა, იმ დღესვე ვიყიდე რაღაც «სამადელკა» მაშინვე მინდოდა მენახა, მაგრამ მოვითმინე, გრძნობას არ ავყევი.

შევხვდით. სამნი მივედით, მე და ჩემი ორი ძმაკაცი. ისეთები წავიყვანე, არაფერზე უკანდამხევი რომ არ იყვნენ, ძალიან «დერსკი» ხასიათი ჰქონდათ.

ოცამდე იქნებოდნენ, ცოტანი რომ დაგვინახეს, იფიქრეს შევჭამთო. ხმის ამოუღებლად, არ ვაცადე რამის თქმა, ისე დავარტყი. დაბნეულები ჩანდნენ. კარგად ხელის განძრევაც ვერ შეძლეს. იარაღი ამოვიღე, გაიქცნენ, გამოვეკიდე, ვესროლე და აცდა. უეცრად ორმა მილიციონერმა შემბოჭა, იარაღი გამაგდებინა.

როგორც მერე გავიგე, ტელეფონზე საუბარი და მუქარა ბებიამისს გაუგია, მეორე ოთახიდან ჩუმად მოუსმენია, შტერსჰგონებია, სახლში არავინ არისო, ისე, ამან კი გადაარჩინა...

ძმობილები «მიწოლიან», «ჩამიშვა». ამ ნაბიჭვარს უთხოვია «ძაღლობაში» არაფერი ეთქვათ, თავი მომეჭრებაო ბიჭებში. შეთანმხებულან, თავიდან შეხვედრას გვაცლიდნენ, იქვე შორიახლო მამამისი (მილიციის მაიორი) და კიდევ ორი «ძაღლი» იდგებოდნენ. თუ რაიმე სერიოზული მოხდებოდა, მხოლოდ მაშინ ჩაერეოდნენ. ასეც მოხდა...

ბევრი მირტყეს. უნდოდათ, რომ მეთქვა, თითქოს ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ იარაღის შესახებ. არაფერი გამოუვიდათ...

სამი დღე ძილის საშუალება არ მომცეს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, იღლებოდნენ წამებით... ჩემს ძმაკაცებსაც ურახუნეს, აქაც არაფერი გამოუვიდათ...

საწყალი მამაჩემი სამი დღე მეძებდა. იცოდა, მილიციამ რომ დამაკავა, მაგრამ ძაღლიშვილები არ ეუბნებოდნენ სად ვიყავი გამოკეტილი. ერთი რაიონიდან მეორეში, რაიონიდან ქალაქში აგზავნიდნენ. მეოთხე დღეს უთხრეს. ვერ მიცნო რომ მნახა ისეთი

დასახიჩრებული ვიყავი, ხმა ჩაუწყდა, ვერაფერი მითხრა. შეჰპირდნენ, თუ გაჩუმდები «კარგი სტატიით» გავუშვებთო სასამართლოში.

სამი წელი მომისაჯეს, პირობითი, იარაღის უკანონო შეძენისათვის და შენახვისათვის, შეასრულეს სიტყვა...

ერთი წლის შემდეგ, სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი გავაბრაზე რაღაცაზე. მგონი ფორმა არ მქონდა. ყვირილი დამიწყო, მეც ავყევი, უზრდელი, ბანდიტი, და... უპატრონო ხარ, რა მოგეკითხებაო... სკამი გადავამტვრიე თავზე. დავარდნილს გასიებულ ღიპზე დავახტი ორივე ფეხით... ძლივს გადარჩა, ოთხი წელი მომისაჯეს. პლიუს ძველი სამი და ასე დაიწყო ჩემი «მოგზაურობა» ციხეებს შორის.

მესამე «სროკი» «შეყენებაზე» მომარჭვეს... მეოთხე _ კომპანია მიდიოდა, ყველა «ნასროკალ» რეციდივისტებს იჭერდნენ, რაიმეს «ტენიდნენ». დროზე დავასწარი. მანქანა მყავდა, ვითომ ავარია მომივიდა, ინსცენირება მოვაწყვე, არავინ იცოდა სიმართლე, ჩემმა მეგობრებმაც კი, მხოლოდ ორნი, მე და «დაზარალებული» ვიყავით საქმის კურსში.

მეხუთეჯერ, ორი წლის გამოსული ვიყავი. რესტორანში დავთვერი, სროლა ავტეხე, ისევ პერიოდული კომპანიის დრო იყო და ვერაფრით ვერ ჩავაწყვე.

ამის გარდა, რამდენი შემრჩენია ცემა, «შეყენება», «ბაითის გატანა», მკვლელობა.

იმ ორი ძმაკაციდან, ერთ-ერთი მანქანის გატაცებაზე «ჩავარდა» ასტრახანში მოხდა ეს ამბავი. მეორე «სროკი» იყო. უკითხიათ, რომელ ზონაში გინდა, «ბოზერში» თუ «ქურდულშიო» პირველი აირჩია... იქ კი ვიღაც «რამკიან ქურდს» გაარტყა.

რაღაც ამბავი «გამსკდარა» მგონი ერთ-ერთი «ნადზორის» მოკვლას აპირებდა... ბოლო წამს მიუსწრიათ. დანის გადაგდება მოუხერხებია, სანამ «ჩაავლეს» რა ცემა-ტყეპაში ჰყავდათ, ადვილი მისახვედრია, მაინც ჩაუწყვიათ და «შიზოდან» ისევ «ზონაში» დააბრუნეს.

რასაც აპირებდა, მხოლოდ იმ ქურდს სცოდნია. ვერ დაუმტკიცა მისი «ჩაშვებული» რომ იყო, მაგრამ ხელი მაინც დაარტყა.

«სხოდკომ» სიკვდილი მიუსაჯა, მეორე დღეს ყელგამოჭრილი იპოვეს «ნარზე».

იმ ქურდის ვინაობა გავიგე. იმასაც ვინც გაასამართლა და მოჰკლა «ზონის მაყურებლის» ვინაობაც დავადგინე.

მკვლელები ორნი იყვნენ, ისე «დავბრიდე», არც გაუგიათ ვინ, ან რისთვის გაასაღა. ჩამშვები, საქმე ჩავაწყვე «წყალი შევუყენე» და ხუთი წლის შემდეგ «ზონაში» მოჰკლეს. «მაყურებელი» მეხუთე სროკის წინ...

ჯერ დავახლოვდი, საქმეშიც გავედით ერთად, მერე ისე გავაკეთე, რომ «წააფუჭეს» ერთი «ბოზური» საქმე «შევტენე», რამკიანი არასდროს ვყოფილვარ და არც მომინდომებია. ავტორიტეტი ნაკლები არ გამაჩნდა, მაგრამ ქურდების გარეშე ვერაფერს ვიზამდი. მტრობა იმ წრეშიც ხშირად იციან და რამდენიმე მათგანს «შევეკარი» ამ საქმის გასაკეთებლად იცოდნენ რა ახვარიც იყო, კარგა ხანი კბილებს ილესავდნენ,

ვერ უმტკიცებდნენ რაიმეს თორემ, მანამდე...

მოკვლა მე დამევალა. პირში ჩავაცალე მთელი «აბიომა». ბევრი ხვდებოდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ ვერ დამიმტკიცებდნენ, «დიდი ხალხიც» იყო ჩარეული, ჩემიც ეშინოდათ, ცოფიანის სახელი მქონდა გავარდნილი, ასე რომ შემრჩა.

გოგიელას, მესამე «სროკის» შემდეგ შევხვდი. გაგლეჯილი მთვრალი მოვდიოდი. რაღაცაზე ავუხირდი. ხელი გამარტყა. დანა გავხსენი, მოკვლას ვუპირებდი. სახეში

შევხედე და... ხელი გავუწოდე. ერთ ხანს ქორივით მიყურებდა ბოლო-ბოლო დაწყნარდა და ჩამომართვა.

ორი წუთი ხელი ჰერში მქონდა გაწვდილი. ასეთ რამეს არავის ვაპატიებდი... ნამდვილად არ ვიცი რამ გამაჩერა... ალბათ, ბავშვი იყო, სულ თხუთმეტიოდე წლის და ესეთი ცოდვა ვერ დავიდე.

ჩემთან წავედით, არ გავუშვი, მარტო ვცხოვრობდი. მამა მესამე «სროკის» დროს ინფარქტით გარდამეცვალა, დავლიეთ. მთვრალი ვიყავი, მაგრამ სრულიად ყმაწვილმა ვერ გამიძლო, უცებ «გაითიშა», მისამართი ძლვის ვათქმევინე. ვიფიქრე სახლში ელოდებიან, ნერვიულობენ-მეთქი. გადავიკიდე მხარზე და დედამისთან მივიტანე.

ასე გავიცანი გოგიელა. რაც დრო გადიოდა, უფრო ვრწმუნდებოდი მის სისუფთავეში, გულწრფელ, კეთილშობილ ხასიათში. გამაკვირვა, ამ წლოვანების, ასეთ ფიცხ ადამიანს, «შავი» ცხოვრება სულ არ იტაცებდა. პირიქით, ჩემს «გამოსწორებას» მიჰყო ხელი. თავიდან გამეცინა.

გადიოდა დრო. ვბრუნდებოდი «სროკებიდან» და «გასტროლებიდან». გოგიელაც იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა. ემატებოდა გონება, განათლება, გამჭრიახობა. სული, ხასიათი მაინც არ ეცვლებოდა. ძველებურად თბილი, ემოციური, ფიცხი, მიამიტი დარჩა. არა სიბრიყვისაგან, ხშირად გამკვირვებია, სხვადასხვა საქმის, პიროვნების, ურთიერთობების ისეთი «ხოდები» აუხსნია, ბევრი ზოგადსაკაცობრიო, თუ ყოფითი მოვლენა უწინასწარმეტყველია. უბრალოდ, მიამიტობა, ადამიანისადმი სიყვარული, ნდობა, სულის სიღრმეში ჰქონდა გამჯდარი, სხვაგვარად არ შეეძლო.

მიკითხავს ხოლმე, ნუთუ არ ეშინია, რომ მოატყუებენ, გათელავენ. მპასუხობდა: «კი, მაგრამ პირველი შეხვედრისას, თუ კაცს შევამჩნიე, სული ბოლომდე არ აქვს გარყვნილი, როცა მივენდობი, ვანიარაღებ. ათიდან, ცხრაჯერ არ ვცდები». მართლაც ასე იყო... თუმცა, არ მჯეროდა... ვეჭვობდი, «ერთი» უბედურებას მოუტანდა გოგიელას ასეთი საქციელი. გამიმართლდა კიდეც...

მარტო «ის» არა, მეგობრებიც მყავს მხედველობაში, უფრო

სწორად ერთ-ერთი მათგანი. ბიჭებს ვკითხე საით არის მეთქი. გემრიელად შეუკურთხეს, გადიდკაცდა, ჩვეთნვის და ლილი დეიდასთვის აღარ სცალიაო.

ოთხი წლის წინ, ბოლო «სროკი» რომ გავათავე, თავისას მიაღწია, ტვინი ამომიღო, აქ არ მოგეშვებიან, არც წრე და არც «ძაღლობა», ცხვარში წადი, იქ იცხოვრეო. თვითონ მომაწყო. თავიდან გამიჭირდა. როცა შევეჩვიე, ყველაფერი კარგად მეგონა ამეწყო, მაშინ დაემართა ეს...

ყოველ წელს ჩამოდიოდა ორი კვირით, ბიჭებიც ჩამოჰყავდა. მოკლე დროით მეც ვესტუმრებოდი თბილისს, დიდხანს არ მაჩერებდა. შარშანწინ ზღვაზეც ვიყავით. იქ კინაღამ ავურიე. რესტორანში, გოგიელა რაღაცაზე იყო გასული. ოფიციანტს ავუხირდი. სასაცილო შესახედავი ვიყავი, შემოვიდა, თვალები დამიბრიალა და პატარა ბავშვივით გავიძურწე სასტუმროში.

კითხვა ყოველთვის მიყვარდა. საერთოდ განათლებით სხვას ტოლს არ დავუდებ. ჰმ, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა ამისთვის. პოეზია კი თავიდან შემაყვარა. ახლებურად აღვიქვი გალაქტიონი, გრანელი, გურამიშვილი. გოგიელას ლექსები, ვისაც რა უნდა თქვას, ჩემთვის მაინც... ყოველ შემთხვევაში... ამ კაცს ვიცნობ და მისი ლექსებიც ვიცი არ იტყუებიან, გულიდან, სულიდან მოდის. მთავარი ეს არის ჩემი აზრით.

მეც ჩუმ-ჩუმად დავიწყე «ჯღაბნა» მისთვისაც არ გამინდვია...

წელს თბილისში იმიტომ არ ჩამოვედი, გოგიელას მოვერიდე, სულ ჩემთან დადის, მპატრონობს, ცდება. ამას რომ თავი დავანებოთ, რა სახელია ასეთ კაცთან მეგობრობა, ათასი თვალი გვიყურებს-მეთქი, გავიფიქრე.

არ ჩანდა. სახლში დარეკვა არ მინდოდა. ვიცი არ მოვწონდი ქალბატონ ლილის; ვის უხარია შვილის ბანდიტთან სიახლოვე. ვხვდებოდი, გოგიელას ამის გამო, დედამისთან ბევრი უსიამოვნება ჰქონდა. მაინც ვერ მოვისვენე. რა მექნა, შევწუხდი, რაიმე ხომ არ დაემართა.. ან ხომ არ ვაწყენინე-მეთქი, ყველაზე მეტად ამისი მეშინოდა.

ეს ამბავი რომ გავიგე... იმ დღესვე ჩავედი ქალბატონ ლილისთან. გვიანი იყო, ჩემი ჭკუით, ცოტა ხნით შევირბინე. არ გამიშვა, მთელი ღამე ვილაპარაკეთ ჩემზე, გოგიელაზე, ცხოვრებაზე... «ზონაზე» ათასი ზღაპარი მოვუყევი. კინაღამ «ჩავიწვი», ზედმეტი მომივიდა. როგორღაც დავძვერი, დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ-მეთქი.

ნაწილი ტყუილისა დაიჯერა, ნაწილი არა. ყოველ შემთხვევაში, ამას აზრი აქვს?! ნაკლებად მაინც არ განიცდის გოგიელას გამომწყვდევას «ციხეში» (როგორც თვითონ უძახის).

«უსლოვნიზე» ვესაუბრე. მექანიზმი განვუმარტე, დავარწმუნე, რომ ჯერ ადრეა ჩაწყობა. მადლობები, გოგიელამ რომ «მიიღო», ავუხსენი რისთვის არის საჭირო, მგონი ცოტათი დაწყნარდა, დარწმუნდა საქმე რომ კეთდება.

ცუდად გამოიყურება, ძალიან ცუდად. საშიშია. ამ ამბავს არ გადაჰყვეს ეტყობა ბევრს ავადმყოფობს, მაგრამ მე ისე გამიმასპინძლდა, თითქოს მონატრებული შვილი ჩამოუვიდაო.

აღარც მახსოვს, ასე გემრიელად როდის ვივახშმე და ვისაუზმე...

... მაინც რა საზიზღარია ადამიანი, რაზე ვფიქრობ _ ჩემს მუცელზე. ან როგორ შემერგო...

1. გოგიელა, ქალბატონო ლილი კარგად გამოიყურება. დარწმუნებულია «უსლოვნად» დროზე ადრეზე გამოგიშვებენ. ამაში მეც არ მეპარება ეჭვი.

როგორც შემეძლო, მეც დავდაწყნარე, დავაჯერე, რომ მანდ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს. თუ გაცივდი აუცილებლად მოგივლიან, საკვები საკმაო და ნორმალურია, ხოლო შენნაირ ცუდ მჭამელს, მადლობის გამოცხადების შემდეგ, ხელფასიდან «ზაკაზის» მიცემა შეუძლია სამზარეულოში. იმდენი ტყუილი ვაბრუხვე, ისე ვყვებოდი, კინაღამ მეც დავუჯერე საკუთარ თავს და მანდ მომინდა.

ჩამოვედი თუ არა, შენთან მივედი. ხომ იცი, როგორ მერიდება დედაშენის. კარებთან აწურულივით ვიდექი. დარეკილი მქონდა. იცოდა მისვლას რომ ვაპირებდი და მომზადებულა. ისე გემრიელად მავახშმა, მომეფერა, არც მახსოვს, თუ ოდესმე, ესე თბილად, ოჯახურ ატმოსფეროში მეგძნო თავი.

დედა დიდი ხანია არ მყავს და იცი, მოკლებული ვარ დედისეულ ყურადღებას. შვილივით ვგრძნობდი თავს ლილი დეიდასთან... პირველად მაშინ ვუწოდე ესე. გაეცინა, მაბერებო, მხოლოდ თორმეტიოდე წლით ვარ შენზე უფროსიო. გავშრი, ხომ არ ვაწყენინე-მეთქი. _ სულ დაგიკარგავს იუმორის გრძნობა, გატყიურებულხარო მთაში.

2. დამინახა თუ არა ისტერიული ტირილი აუვარდა. ბოდიშების მოხდა დამიწყო. თქვენი შეხვედრების მეშინოდა, მეგონა, რაიმე შარში გახვევდი, ნუ დამძრახავო. ძლივს დავამშვიდე.

როცა დაწყნარდა, მავახშმა, შვილივით მომეფერა. თავი სამოთხეში მეგონა. შემშურდა კიდეც გოგიელასი... ყველასი ვისაც დედა ჰყავს, მათ სითბოს გრძნობს, კინაღამ ავტირდი ამხელა კაცი.

1. ვიღაც ვიღაცები ვნახე ძველი ნაცნობებიდან, «ქსივას» შემოაგდებენ შენზე. ვიცი, არ გჭირდება, მაგრამ ხომ გესმის, ათასი გაუგებრობა ხდება ხოლმე.

2. ძველმა ახლობლებმა, სანაცვლოდ ერთ საქმეში «დახმარება» მთხოვეს. ვიღაც დელეცი ჰყავთ «მოსარჯულებელი». გიცნობსო რა გიჟიც ხარ და სიტყვაც საკმარისი იქნებაო. წილიც შემომთავაზეს. ვიუარე, ამას გაგიკეთებთ, მერე ჩემს «საქმეზე» უნდა «ვიჩალიჩო»-მეთქი. ჰმ, რა იციან, სად «ვმოღვაწეობ». ცხვარში, გადაკარგულში ცხოვრება «მასკიროვკა» ჰგონიათ.

«ქსივას» შემოგდება საჭირო იყო. ბევრჯერ მინახია, კარგი, პატიოსანი ბიჭები «გაუფუჭებიათ». ვინმეს ხათრით, ანდა ისე... თვალში არ მოუვიდათ, ან არ ემორჩილებათ, ამაყად უკავიათ თავი. ეხლა, წყნარად ვარ, მიცნობენ. ჩემი გაგიჟება არ შეიძლება, სისხლად ვადენ, არ ვივიწყებ წყენას, ბევრ «რამკიანზე» დიდი ავტორიტეტი მაქვს მაგ სამყაროში, არ შერჩებათ, როგორმე გადავუხდი სამაგიეროს!

ძველი ამბავი გამახსენდა. ერთი ბიჭი მოიყვანეს ჩვენთან «ზონაში», არასრულწლოვანთა კოლონიიდან ახალი გადაყვანილი ვიყავი. ყველამ იცოდა ტყუილუბრალოდ რომ იყო «ჩასმული», ვიღაც «დელეცს» ავარია მოუვიდა. რესტორნიდან მოდიოდა «ბოზთან» ერთად, მთვრალი. საჭესთან თვითონ იჯდა. მანქანა სამსახურის იყო. ეს საწყალი მის «შოფრად» მუშაობდა.

ჩააწყო და მძღოლს «შეტენა» საქმე. სასამართლოზე, ბოზმაც კი სიმართლე სთქვა. არ დაუჯერეს. მასაც ორი წელი მიუსაჯღეს _ ტყუილი ჩვენებისათვის, სასამართლოს და გამოძიების «შეცდომაში შეყვანისათვის».

საწყალი ბიჭი გიჟს ჰგავდა, ყველას გვეცოდებოდა. დაბოღმილი დადიოდა, რომ გავალ «აბაროტი» უნდა ავიღოო.

ისევ ჩააწყო «დელეცმა», ვიღაცას ბლომად «მაყუთი» მისცა «ქსივა» შემოგვიგდეს «წააფუჭეთო». რაღაც შარი მოსდეს, მგონი «ბოზობა» დააბრალეს. ჯერ მაგრა ურტყეს, შემდეგ ვიღაც მამათმავალს მიუგდეს... საცხოვრებლადაც «პიდარასტნიკში» გადააგდეს. ყოველ დღე სცემდნენ და ისე აუპატიურებდნენ საწყალს. ბოლო ბოლო შემოაკვდათ.

არ იყო ზედმეტი «ქსივას» შემოგდება. დავიწყნარე გული.

1. შენი ბიჭები ვნახე. ძალიან ენატრები ყველას. ლილი დეიდას თავს ეხვევიან, მაგრა პატრონობენ, არაფერს გაუჭირვებენ.

2. თავიდან იშვიათად გვახვედრებდი. ალბათ არ გინდოდა, გეშინოდა რაიმე უტაქტო კითხვა, მოქცევა არ მწყენოდა. ეხლა უფრო კარგად გავიცანი ყველანი. ის რაც მთელი ცხოვრება არ მინდოდა მიმეღო, უცებ ერთ საათში შევიგრძენი.

ადრე მეგონა, გულით არ იყვნენ, არ მჯეროდა მათი. შეიძლება ვეჭვიანობდი და იმიტომ. ბავშვობიდან ერთად მოდიხართ და მეგონა, ისინი უფრო გიყვარდნენ, მათთან უფრო ახლოს ხარ. არც იქნება გასაკვირი, წლოვანებითაც ტოლები ხართ, საერთო მეტი გაქვთ.

ფული მივეცი.. არ გვჭირდებაო, იუარეს, მაინც ავაღებინე. წიგნაკზე შეიტანეს. უკვე აგროვებენ, ხუთი ათასი ადრე გამოსვლას დაჭირდებაო. დავამშვიდე, მომენტში გავაჩენ-მეთქი, რამდენიც იქნება საჭირო.

1. რას იზამ გოგიელა. დგება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ესეთი გამოცდის წუთები. არ უნდა ხდებოდეს უსამართლოდ კაცის გათელვა... საერთოდაც არ შეიძლება ამის გაკეთება, მაგრამ თვითონ გითქვამს, უნდა გავუძლოთ ყველაფერს, გაბოროტება არ შეიძლება... მე ვერ შევძელი... ბოლომდე ვერ შევძელი... ამის გაკეთება... შენ რომ არა, ვინ იცის სად ვიქნებოდი.

გოგიელა, არ უღალატო შენს თავს, მრწამსი არ შეიცვალო, გეხვეწები! მესმის, ვიცი, ჩემზე კარგად ვინ მიგიხვდება ეხლანდელ მდგომარეობას მაგრამ... რა სულელი ვარ, მჯერა, სულაც არ გჭირდება ჭკუის დარიგება, მითუმეტეს ჩემგან, თვითონაც კარგად გესმის ყველაფერი, მაგრამ... ნუ შეიცვლები, გემუდარები გოგიელა!..

2. არ გჭირდება მეთქი... მაინც მეშინია. კაცი მანდ შტერდება, გიჟდება რამდენი მინახია «გარეკილი». საშინელებებს სჩადიან ხოლმე, ბოროტდებიან. წუმპეც ამითი გითრევს. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება ადამიანური სახის შენარჩუნება. ხანდახან, გონს მოეგები, გამოიხედავ, მაგრამ უკვე გვიანია, დაიკარგა ყველაფერი, ყელამდე ქაქში ზიხარ. გეჩვენება და უმეტეს შემთხვევაში ესეც არის, რომ გამოსავალი აღარ გაქვს, დინებას უნდა მიჰყვე.

იმ საწყალ ბიჭს «დელეცის» ჩაწყობით რომ წააფუჭეს, მეც დავარტყი... ვიცოდი, მართალი იყო, მაგრამ საქმეს ვიკეთებდი, ავტორიტეტს ვიხვეჭდი, რა მენაღვლებოდა. ერთხელ დავფიქრდი ამაზე, კინაღამ გავგიჟდი, თავი შემზიზღდა, ვიგრძენი რა ნაგავიც ვარ, რაც ჩავიდინე ძლივს შევიკავე თავი, კინაღამ თვითმკვლელობამდე მივედი. შემდეგ უფრო უარესი გავიფიქრე: «ჩათრევას ჩაყოლა სჯობს». უკან დასახევი გზა მომეჭრა, მაინც ცოდვილი ვარ, რა მნიშვნელობა აქვს, ერთხელ ჩაიდენ რაღაცას თუ მუდმივად აკეთებ-მეთქი და ისევ ისე გავაგრძელე...

შენთან შეხვედრამ მიხსნა. გადამარჩინა. ეხლა კი, წამართვეს გოგიელა... რატომ?. რისი გულისთვის, რა დააშავე?!

ეს სიტუაცია ჩემი გამოცდაც არის. უშენოდაც უნდა შევძლო თავის შეკავება, ნორმალური ცხოვრება.

დაშინება რომ მთხოვეს, შენთვის იყო საჭირო. ნამუსიც არ მაწუხებს ვიღაც ღორისშვილია.

თუმცა... გადავეჩვიე ესეთ რამეებს, არ მსიამოვნებს. რას ვიზამ, საქმეს სჭირდებოდა... ვიცი, რომ გაიგო ეს ამბავი, გეწყინება. შეიძლება, დამკარგო კიდეც... თუმცა, არა მგონია, მადაურობის კვალი მაინც დაგეტყობოდა... გული გაგიტყდება, მაგრამ არ დამკარგავ, მიმიხვდები.

1. ვერ წარმოიდგენ, წელს როგორ ახლებურად, სხვანაირად აღვიქვი სამყარო, ბუნება. ბავშვობის შემდეგ, ასე არასდროს გამხარებია გაზაფხულის მოსვლა. სიარულისაც მეშინოდა, რაიმე არ გამესრისა, არ გამეთელა. ხორცსაც კი ვერ ვჭამდი. შეუძლებელი იყო. ამ ყოვლმხრივი აყვავებისას, გაღვიძებისას, სიკვდილთან სიახლოვე...

გადავწყვიტე, ცოლი მოვიყვანო. ჩავალ თუ არა სოფელში, აუცილებლად მივხედავ ამ საქმეს. შენ გელოდებოდი აქამდე. არაფერია, ქორწილს როცა ჩამოხვალ, მერე გადავიხდი, ჯვარსაც მერე დავიწერ, მეჯვარედაც შენ უნდა გამომყვე. მანამდე შაკოს ვთხოვ, ხელმოწერაზე «მოწმედ» დამიდგეს, ჰმ...

«შავი ვაჟა» ხომ გახსოვს? ლოთი და ჩხუბისთავი. შენ რომ აგიხირდა რაღაცაზე. როცა გაიგო ვისთან იყავი ჩამოსული, ფინიასავით დაგიწყო ლაქუცი. რას იზამ, ნაციხარია და

ძველ ჩვევებს ვერ მოუშლი, სისხლსა და ძვალში აქვს გამჯდარი. თვლის, რომ რანგით მაგაზე «მაღლა» ვდგევარ... ესეთი სიმამრი მეყოლება.

კარგი გოგო ჰყავს. მასაც მაია ჰქვია სახელად, მასწავლებელია, ოცდარვა წლისაა. გეყოლება ნანახი, მაგრამ ვერ დაიმახსოვრებდი ალბათ.

შეყვარებული დაღუპვია ოცი წლის ასაკში. ჩხუბში მოუკლავთ. იმის შემდეგ, სულ შავებში დადიოდა და გლოვობდა, კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ასე რომ განიცადა გოგომ.

ისე, მიკვირს, რანაირად გაიზარდა «შავი ვაჟას» ხელში ასეთი ადამიანი. ძალიან სერიოზული, დინჯი, განათლებული და რაც გაგიხარდება _ მელექსეა.

ერთხელ, ვაჟას წასაყვანად ამოვიდა ჩემს ქოხში. ვიღაც სტუმარი ჩამოსვლიათ. მაშინ გამოველაპარაკე პირველად. ნახევარი საათი ვისაუბრეთ. არ გავუშვი, უჩემოდ ვერაფერს გახდებოდა, მამამისი გაპობილი მთვრალი მედო სახლში. ცხენზე გადავკიდე და ისე ჩავიტანეთ.

შედმგომში ყოველდღე ვხვდებოდი სოფელთან შორიახლო. ვსაუბრობდით რაღაც-რაღაცებზე. ნანახი ყავხარ, მაგრამ არ გიცნობდა. ეხლა კი იცის, როგორი ძმაც მყავხარ.

ჰმ, ჩემს თავზე გეცინება, რაღა დროის ჩემი სიყვარულია...

სოფელში ხმა გავარდა, დაიწყო მითქმა-მოთქმა. ამის იმედიც მქონდა, ბოლო-ბოლო დამთანხმდა ცოლობაზე. სულ სხვანაირად ვაპირებდი ქორწილის გადახდას. ეხლა კი, როგორც გითხარი, მხოლოდ ხელს მოვაწერთ და პატარა სუფრას გავშლით.

რომ ჩამოხვალ, პატარა გოგიელასაც დაგახვედრებ. ექთანი შორენა კი, ვიხუმრე, კარგა ხანია აღარ მინახია.

2. ბუნებაზე საუბარი... მართლა შეიცვალა ჩემი ცხოვრება, მაგრამ უფრო მეტად იმიტომ მივწერე, რომ მინდა შეგრძნების, აღთქმის უნარი არ დაჰკარგოს.

ხშირად ხდება ხოლმე ასე, ბევრი, თითქოს რაღაც სიზმარში ხვდება. ჰკარგავს გარემოს აღთქმის უნარს. ვეღარ ამჩნევს, წლის რომელი დრო დგას, ყველაფერი მექანიკური ხდება.

პატიმარს სასმელის შოვნაც შეუძლია და ნარკოტისაც. საშინელებაა თუ აჰყევი, საერთოდ ითიშები. მით უმეტეს გოგიელასნაირი ბიჭები ტყდებიან მალე. დარწმუნებული ვარ, სმითაც დაულევია, «გაუკეთებია», მოუწევია კიდეც. არ მინდა დაავადმყოფდეს. ზოგი ისე ფუჭდება წამლისთვის დედას, ცოლს, ნამუსს გაჰყიდის. ყველაფერი ნელნელა ხდება, ვერც გაიგებ, როგორ ჩაგითრევს.

ბიჭებმა მითხრეს, არ ზისო წამალზე, «პლანს» თუ ეწევა და ისიც იშვიათადო. ესეც არ მინდა. მეშინია, იშვიათად მაინც თუ «კაეფობ» გამოსვლამდე ერთი კვირით ადრეც კი, შეიძლება განარკომანდე. მალე რომ გავიდეს ეს ცოტა, მაგრამ ყველაზე ძნელად ასატანი დრო.

შაკომ თქვა, თვითონაც ხვდებაო, ამას. ღმერთმა ჰქნას. ცოლის მოყვანას მართლა ვაპირებ. მინდოდა ჩემს გვერდით ყოფილიყავი. ვერ წარმოიდგენ, რას ვოცნებობდი, როგორ ლამაზად დავხატე ყველაფერი...

შორენა კი... შემეცოდა. არასდროს დავფიქრებულვარ ამაზე. ბოზი ყოველთვის მხოლოდ ბოზი იყო, სენტიმენტების გარეშე. ეხლა, გამიჭირდა დაცილება, უცებ ვიგრძენი, უბრალოდ, საწყალი, გაუბედურებული ქალია. რა მნიშვნელობა აქვს, თავისი ბრალია თუ არა, ბედის უკუღმართად წასვლა...

სანამ მე დავდიოდი, ეშინოდათ და ცუდად ვერ ექცეოდნენ. ვერავინ ბედავდა წყენინებას, შუაღამისას მთვრალი სახლში შევარდნას და...

ეხლაც არავის მივცემ უფლებას. ამაზე მაიასაც ველაპარაკე, არ სწყენია პირიქით, მოიწონა.

არა, მაინც წარმოუდგენელია, როგორ გაზარდა «შავმა ვაჟამ» ესეთი ქალიშვილი.

1. და ბოლოს მინდა ჩაგეხუტო, მოგეფერო და ათასი კოცნა გამოგიგზავნო. გულს ნუ გაიტეხ, გოგიელა, ცხოვრება ეგეთია, თვითონ მეუბნებოდი, ათასი ჭირისაგან შემდგარი.

გკოცნი, შენი გია!

2. არ ვიცი, მიმიხვდები თუ არა, რატომ ვერ ჩამოვედი, ვერ გინახულე. თანაც დროც მქონდა საკმაო...

მეშინია... როგორ ავხსნა... მოტეხილი რომ გნახო, გადავირევი, იქვე, შეიძლება ვინმეს ყელი გამოვჭრა, ვიცი ჩემი ხასიათი. ამითი საქმეს გაგიფუჭებ ანდა მანდ რო გნახავ, ცხადში არა წარმოდგენით წამოსვლის შემდეგ, ბოღმისაგან, სიმთვრალისას რაიმე არ ჩავიდინო, ვინმეზე არ ვიყარო ჯავრი.

თუ ეხლა ვერ გამიგე, გამოხვალ გოგიელა და მერე აგისხნი ყველაფერს... აგიხსნი აუცილებლად გამიგებ, მაპატიებ...

თავი XVIII

გოგიელას ერთ-ერთი იმ წერილთაგანი, რომელიც არ გაგზავნილა

დედა, ძალიან მომენატრე, ყველანი მომენატრეთ: შენ, ბიჭები, ახლობლები, თუ ნაცნობები... ყველა... მამა მომენატრა.

თავისუფალი როდესაც ვიყავი, სულ სხვანაირად განვიცდიდი მის არყოფნას. თითქოს მაინც გვერდით მყავდა... მივდიოდი, საფლავს მოვინახულებდი, ვიხსენებდი ამა თუ იმ ეპიზოდს... რეალური ხდებოდა მისი არყოფნა. ეხლა კი... თითქოს ამიკრძალესო ავადმყოფი მამის ნახვა, მასთან შეხვედრა, რაღაცნაირი გრძნობაა, იცი... როგორ ავხსნა... როდესაც ცხოვრობ სახლში, სადაც ცხოვრობდა, ყოველ წუთს ხედავ ნივთებს, მის სახელთან დაკავშირებულს, დადიხარ მისი ქალაქის ქუჩებში, ხვდები, ესაუბრები ხალხს, ურთიერთობა რომ ჰქონდა, ხარ იმ ერის წარმომადგენელი, თვითონ რომ ეკუთვნოდა, შეგიძლია საფლავი მოინახულო, თან წაუღო ყველაფერი ის, რაც მასთან იყო ყოველდღიურად, ხედავ მიწას, რომელშიც განისვენებს და შენც მიგაბარებენ, რაღაცნაირი იმედი გიჩნდება. მომავალში, გარკვეული დროის შემდეგ შეხვედრის იმედი...

ადამიანი ბუნებით მეოცნებეა. ვიხსენებთ იმ დროს, მომენტებს ბედნიერები რომ ვიყავით, ყველაფერს, რამაც დიდი კვალი დატოვა, ხანდახან უბრალო წვრილმანსაც.

იმის მიუხედავად, გწამს თუ არა ღმერთის, იმქვეყნიური სამყაროსი, გარდაცვლილი ძვირფასი ადამიანი, ძალაუნებურად გიახლოვდება, მოგონებებში იჭრება როგორც ცოცხალი არსება. ეს კი ოცნებაა, ოცნებაა ხოლო ოცნება, რა გინდ არარეალურიც უნდა

იყოს, არის იმედი, შეიძლება ძალიან მცირე, მაინც იმედი... კიდევ ვიმეორებ, არ აქვს მნიშვნელობა გწამს თუ არა ღმერთის.

ოღონდ რწმენა შეგნებულად გაფიქრებს ყველაფერ ამაზე. თუ გჯერა იმ ქვეყნიერების, თუ შეძლებ ბოლომდე აღიარო, შეიგრძნო ღმერთი, გიქრება სიკვდილის შიში და მხოლოდ ლოცულობ, ესე იგი, ოცნებობ კიდეც, ცოდვები შეგინდოს. მაშინ ერთად იქნებით, ვეღარავინ დაგაცილებთ... თუ უფალმა შეიწყალა, შენც შეგინდობს. ან პირიქით, თუ შენ, მასაც რადგანაც, არ არსებობს მარტო «საკუთარი» ანდა სხვისი ცოდვები. ყველანი ჯაჭვით ვართ გადაბმული, უცხონიც კი, ახლობელი, უბრალოდ, მძივში შენს გვერდითაა, პირადად ხარ გადაჯაჭვული და თუ პატიება იქნება, მხოლოდ საერთო, კაცობრიობის, არა და... მაინც ოცნებობ, გინდა ეს «არა და» მოიცილო, შეავედრო...

მე მგონი, ჩვენდა საუბედუროდ, უმეტესობა, მორწმუნენიც კი, ბოლომდე ვერ შევიგრძნობთ ღმერთს, სიკვდილის შიში გვაქვს. ამიტომაცაა რომ ოცნება, იმედი, მეტნაკლებად ქვეცნობიერია, არა რწმენისაგან გააზრებული, არამედ შინაგანი, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი კონსტრუქციიდან გამომდინარე და გულისაგან ნაკარნახევი. ტვინს, გონებას კი (ვიმეორებ _ მეტნაკლებად) არა სჯერა, ბოლომდე არ სჯერა, არარეალურად ეჩვენება...

...მაგრამ ხომ ვოცნებობთ, ესე იგი იმედი გვაქვს, მაინც გვაქვს... და ეს «მაინც» არ გვაძლევს საშუალებას, ყველაზე დიდ ათეისტებსაც კი, ღმერთს ბოლომდე დავცილდეთ, ვუარყოთ იგი.

აქ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს წამართვეს ოცნება და იმედი. დროებით, მაგრამ მაინც წამართვეს... მიწა _ ის მიწა აღარ არის. ადგილი სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს, ჩემს სამშობლოს არ ეკუთვნის, სადღაც, შორს ციმბირშია, ან... არა სხვა პლანეტაზე, სხვა გალაქტიკაში... მოძმენიც უცხოდ გეჩვენებიან... გაზაფხულმა, ზაფხულმა, შემოდგომამ, ზამთარმა დაჰკარგა მნიშვნელობა და გამორჩეული ნიშნები. აღარ ყვავის იმნაირად, როგორც ჩვენთან. არც ცხელა, არ წვიმს, არ თოვს ისე. ყველაფერი უცხოა ამ ღობის, მავთულხლართების შიგნით და გარეთაც. თითქოს, ვაკუუმში ზიხარ, სიცარიელეში.

ერთხელ, ვიღაცამ მითხრა, ნახე მერცხლები მიფრინავენო თბილ ქვეყნებში. ავიხედე და გამიკვირდა, არ მჯეროდა, რომ მერცხლები აქაც შეიძლება იყვნენ...

ნეტავი, ეხლა შენს გვერდით მამყოფა. იცი რა მომენატრა? ავად რომ ვარ და მივლი... ბავშვობიდან მიყვარდა, მიხაროდა, სულ ჩემს გვერდით იყავი. როდესაც მომწყინდებოდა, ადგომას დავაპირებდი, მოდიოდი, ჩამეხუტებოდი, გვერდით მომიწვებოდი. პატარაობისას, რაღაცას წამიკითხავდი, როდესაც წამოვიზარდე, მელაპარაკებოდი, მაცინებდი, გეჭორავებოდი, ან ტელევიზორს ვუყურებდი.

რატომღაც ერთი ესეთი დღე მახსენდება ყველაზე მეტად. შემოხვედი წამალი დამალევინე და გვერდით მომიჯექი. რაღაც ფილმი გადიოდა. შინაარსი არც მახსოვს, მხოლოდ ერთი სიმღერა მომეწონა, მელოდია ვერაფრით აღვიდგინე. როცა დამთავრდა, მიმღერე-მეთქი, გთხოვე. გულზე დამადე ხელი, ლოყა შუბლზე და... რა ტკბილად ჩამეძინა, არასდროს ესე არ ჩამძინებია, უბედნიერესად ვგრძნობდი თავს...

თვალები რომ გავახილე და ვერ დაგინახე, შევცბი, შემეშინდა, უცებ წამოვხტი, გამოვვარდი შუშაბანდში. ლობიოს არჩევდი, შვებით ამოვისუნთქე, შეშინებული სახე

რომ დამინახე, გაოგნებულმა მიზეზი მკითხე. არაფერი გიპასუხე, მხოლოდ გაკოცე და გავედი. გაგეცინა, მიხვდი ყველაფერს...

საწოლის წინ მამას სურათი მეკიდა. ისე, როგორც შენ. გახსოვს? მოხსნა გინდოდა, არ დაგანებე. ვიჯექი ხოლმე, საქმეს როცა აკეთებდი სხვა ოთახში და ვუყურებდი, თითქოს ვესაუბრებოდი...

ხშირად მახსენდება _ მე და მამა ცირკში. როგორ ვიცინოდით ერთად რაიმე სისულელეზე, ან განვიცდიდით, აკრობატებს რაიმე არ დამართოდათ.

შემდგომშიც ვყოფილვარ, ერთხელ მარტო, ერთხელ ბიჭებთან ერთად და ერთხელაც ჯგუფელის პატარა წავიყვანე. გამიკვირდა, რა მაცინებდა-მეთქი. არც აკრობატების ნომრები მომეჩვენა საშიშად. მუსიკა, ორკესტრი, შარლატანების გროვად წარმომიდგა, არადა, როგორ მიყვარდა... ასეა ალბათ, როდესაც... მამა მაკლდა, ის აღარ იყო ჩემს გვერდით... სასაფლაოზე, მის საფლავთან გამახსენდა კლოუნის ერთი შაყირი. სიცილი ამიტყდა. მომეჩვენა, თითქოს მამამაც გაიცინა...

გახსოვს? _ მთელი დღე მზადებაში ვიყავი, ბილეთები ვიყიდეო, რომ მეტყოდა, ყველა ნახევარ საათში ვეკითხებოდი, წასვლის დრო ხომ არ დადგა-მეთქი. ყოველთვის, მაინც, ადრე გავდიოდით. ვეღარ ითმენდა ჩემს «ღრიტინს».

ჭამა მიყვარდა კიდევ იქ. რაც არ უნდა მაძღარი ვყოფილიყავი, მაინც გემრიელად მივირთმევდი. დიახ, ზუსტად ესე მი-ვირ-თმევ-დი ხაჭაპურს, «ენას», «კალბასს», ლიმონათით ვიჭყიპებოდი. ნაყინზე არასდროს გავგიჟებულვარ. არ ვიცი, რატომ... არადა ყოველთვის ის მიყვარდა, რასაც მიშლიდი: ცხარე, მჟავე, მარილიანი, შემწვარი. ნაყინი კი იმდენად არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემით არასდროს მომითხოვია, ან მიყიდია.

შენი ჩიჩინი, ჭიჭყინი და დუდღუნი მომენატრა. ყოველთვის რაიმე «სასარგებლოთი» დამსდევდი. ასე შემაჯავრე ხილის უმეტესი დასახელება, მეტადრე ვაშლი. დედაააა, როგორ ვერ ვიტანდიიი. რაც თავი მახსოვს, ხელში გეკავა და სულ პირზე გეკერა, «ვაშლს ხომ არ შეჭამ?» რა ვირულად გპასუხობდი, ვგიჟდებოდი. ბავშვობისას, თუ გახსოვს, სულ ფანჯრიდან ვისროდი, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქებდი შვებით, მანქანა რომ გადაუვლიდა. ერთხელ პირდაპირ სახლში, ვიღაცა შენმა ნაცნობმა დამინახა, მაგრად მბერტყე. მომავალში ნარჩენებს მოითხოვდი, შეჭმის ფაქტის დასამტკიცებლად. მეც ახალი ეშმაკობა ვიხმარე. ვკბიჩავდი და დაღეჭვის გარეშე, გადაღლაპვის მაგივრად, ისევ გარეთ ვისროდი, ესეც დაინახეს. ისევ «ჩამიშვეს» შენთან. აღარ გაბრაზებულხარ, გაგეცინა, ოღონდ პირობა მთხოვე, თავი დამაფიცე, აღარ ვიეშმაკებდი, თუ შეჭმაზე დამითანხმებდი.

ამის შემდეგ ტაქტიკა შეიცვალე. ჩქმეტა-ჩხუბიდან თხოვნაზე გადახვედი. შენ კი, თუ ვინმეს ჩააცივდი... უფრო «უარეს» მდგომარეობაში აგდებ... იძულებული ვიყავი, დაგმორჩილებოდი, მეჭამა... ეჰ...

მენატრება ყველაფერი, ყველა... ძალიან მენატრები დედა... ვერ წარმოიდგენ როგორ...

შენი სულელი გოგიელა.

P.S. სიზმრები მკლავს დედა, საშინელი სიზმრები, რა ვქნა არ ვიცი. დილით ყველაფერი მახსოვს და მაღიზიანებს. სულ შიშში ვარ, კიდევ რაიმე უბედურებაც არ შეგვემთხვეს...

თავი XIX

გოგიელას სიზმრებიდან

... მე და მამა ვზივართ ცირკში, გამოდიან ლომები, ვეფხვები და ავაზები. კონფერანსიე აცხადებს მომთვინიერებელ _ «ფოკუზნიკს». ვიღაც დებილი სახის, გახარებული, ბრიყვულად თვითდაჯერებული, ყეყეჩი. კაცი გამორბის, მტაცებლებს აიძულებს გააკეთონ ათასი რამ: აყენებს ორ ფეხზე, აძვრენს ცეცხლმოდებულ რგოლებში, შეაჭმევინებს თავს და უეცრად ჭერიდან ისევ ეშვება.

შემდეგ, მაყურებლიდან მსურველებს იძახებს, მამა გადის. მე ტაშს ვუკრავ და ვიცინი. მამა გახარებული იყურება გარშემო.

მტაცებლები ეძგერნენ, გლეჯენ. მაინც იღიმება, სიამოვნებს, იცის მისით ვამაყობ.

როდესაც ჭამას მორჩებიან, მომთვინიერებელ «ფოკუზნიკს» ტაშს ვუკრავთ, საუკეთესოდ ჩატარებული ნომრისთვის.

წარმოდგენა მთავრდება. მხოლოდ ეხლა დადის ჩემამდე, მამა არ დააბრუნეს. მოვითხოვ, ცოფს ვყრი სიბრაზისაგან. ჩემს ფეხთგაგდებული მომთვინიერებელი «ფოკუზნიკი» კი დამცინის: «ხომ მოგატყუე, ჩაგიტარე ოინი»?..

შემდეგი სცენა. მოკლულ მტაცებელ ცხოველებს მარხავენ. საფლავზე მამაჩემის მომღიმარ სურათს დებენ. ვდგავარ და ვტირი. მომთვინიერებელი «ფოკუზნიკი» შორს დგას და ისევ დამცინის. უცებ მათრახს დაარტყამს მიწაზე. საფლავი სკდება. მტაცებლები ამოცვივდებიან და გარბიან. მამას სურათიც გარბის მათკენ. მივდევ, მინდა დავიჭირო, მაგრამ ვერ ვერევი. მომთვინიერებელი «ფოკუზნიკი» დროდადრო ტრიალდება და ენას მანახებს, იფურთხება ჩემს მხარეს, უჭკუო, სულელიო მეძახის...

თავი XXII

გოგიელას წერილი

სალამი ჩემს დედიკოს, ხომ არ ავადმყოფობ, თავს მოუარე. იცი, შენ რომ რაიმე დაგემართოს, გადავირევი... ამიტომაც გეხვეწები ბევრს ნუ ინერვიულებ ნურაფერზე. ნურც ჩემზე, არაფერი მიჭირს. სულ ცოტაღა დამრჩა სასამართლომდე და გამოსვლამდე. მალე ისევ ერთად ვიქნებით, ვეღარავინ დაგვაცილებს. შენი გადარეული შვილი დაწყნარდება, მიხედავს თავს, საქმეს, დაამთავრებს ინსტიტუტს, მოგივლის, გაგახარებს, აღარ ჩაიდენს არავითარ სისულელეს, გულს აღარ დაგწყვეტს.

დაუჯერე ლარისა დეიდას და იურა ბიძიას, რასაც გეტყვიან, შეასრულე. ლარისა დეიდაზე კარგი «ექიმი» იშვიათია. მჯერა ჩემს ჩამოსვლამდე, თუ აჰყევი სრულიად ჯანმრთელი დამხვდები.

იცი რატომ გეჩიჩინები ამდენს? ჩემნაირი «უზნეო» ხარ. ვის დაემსგავსეო, ხშირად გიკითხავს. შენ! თუ გსურს, შევადაროთ თავი. ვაშლი, სულ რომ დამსდევ, სასარგებლოაო, არ გიყვარს, არასდროს მინახია გეჭამოს. ავადმყოფობისას, ვერც

ლოგინში დაგაწვენს კაცი, თუ თავზე არ დაგადგა. გახსოვს? _ ერთხელ მთელი კვირა გარეთ ვერ გავდიოდი, სულ შენს ოთახში ვიყავი, რომ არ ამდგარიყავი. მატყუებდი, გერმანული მინდა ვისწავლო და სანამ დრო მაქვს, პირველი გაკვეთილები ჩამიტარე-მეთქი. სასტიკი წამება იყოს ჩემთვის ამ «დერების» და «შნელების» დამახსოვრება, მაგრამ რა მექნა. როგორ გაბრაზდი? გამოჯანმრთალების შემდეგი ერთხელაც, რომ არ გამგიჩერდი. ჰმ, როცა გამოვალ, გავაახლოთ ჩვენი გაკვეთილები, მართლა მინდა ვისწავლო. სულელი ვიყავი, მივხვდი, ძალიან გამომადგება ცხოვრებაში.

«პერესტროიკამ», «გლასტნოსმა», უშრომელ შემოსავალთან» ბრძოლამ ჩვენამდეც მოაღწია. არ მეგონა, თუ რაიმეს გამოცვლა შეიძლებოდა. ვნახოთ რა ვიცით, რა მოხდება...

სხვათა შორის, ამის საპატივცემლოდ «სვიდანიის» ოთახიც მოასუფთავეს და შეაკეთეს (ჩამოსვლა მაინც არ გინდა, უფრო გამიჭირდება). ვაშლის ხეები დარგეს, თვით «ზონაში». მე ალბათ ნაყოფი აღარ მომისწრებს, მაგრამ ხალხი ხომ რჩება, შემვსები «კონტიგენტი» არ მოაკლდება აქაურობას.

გუშინწინ, კიედვ ერთი მადლობა გამომიცხადეს, «დამკვრელური მუშაობისათვის» და «სანიმუშო ყოფაქცევისათვის». «პლაცზეც» «მახარეს» ყველამ ტაში დაუკრა. ასე რომ შენი შვილი აშკარა გამოსწორების გზაზეა.

ჰო, მართლა, ახალ დროსთან და ხელმძღვანელობასთან ერთად, ლოზუნგებიც შეიცვალა. მაგალითად მოხსნეს: «На волью с чистой совестью.”

მის მაგივრად ჩამოჰკიდეს: «На волью с перестроинной душой.”

სულ დამავიწყდა, «პიანისტვას» და ალკოგოლიზმს ჩვენც ვებრძვით. კლუბში ჩამოვკიდეთ.

კიდევ «Отец, помни, твоему ребёнку нужен трезвый образ жизни,” «Воля не для пянства, а для созидания.”

ზედ ვახტის თავზე ჰკიდია ეს შედევრი. უშრომელი შემოსავლის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ერთი ლოზუნგი გაგვაჩნია. კომისიას ელოდებოდნენ და სასწრაფოდ ჩამოგვაკიდებინეს ადმინისტრაციულ კორპუსთან. «Не трудовым доходам нужно сказать нет.”

ასე რომ ახალი დრო ჩვენთანაც მოდის. ღმერთმა ჰქნას მართლა ახალი იყოს და არა უბრალო «ფარდის» გამოცვლა, ტელევიზორს მაინც უყურებს კაცი ნორმალურად. აღარ იქნება ეს იდიოტური პროპაგანდა, კომუნიზმამდე ერთი ნაბიჯიღა გვაკლიაო. ბიჭებსაც დააბრუნებენ ავღანეთიდან... რა ტყუილუბრალოდ გასწირეს ამ კრეტინებმა ხალხი. დარწმუნებული ვარ, თუ ამ კაცს მართლა სურს რამის შეცვლა, ჯარებს გამოიყვანს. აგრეთვე დაინახავს, რომ უბრალო კოსმეტიკა საქმეს არ უშველის, უფრო დემოკრატუილი, თავისუფალი, გახსნილი იქნება ქვეყანა. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიურად მაინც თუ უნდა «ამოქაჩოს», ამის გაკეთების აუცილებლობას დაინახავს.

ჩემს ბევრ თანამოტუსაღეთაც მიეცემა ასპარეზი, იმიტომ რომ «ნეპის» _ კერძო საკუთრების გარეშე არაფერი გამოვა. ესენი კი, დაატრიალებენ ამბავს. ცოტა ხნის შემდეგ სიბინძურე ნელ-ნელა დაიწრიტება, სუფთა სისხლი დარჩება, საქმისგანაც გამოვა რაღაც.

ღმერთმა ჰქნას ასე იყოს. ოღონდ ილუზიები არ უნდა გაგვაჩნდეს, თითქოს ერთ თვეში, ან წელიწადში შეიცვლება ყველაფერი. რეალური ნაყოფი, ალბათ მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გამოჩნდება. ჩემი შვილი და შვილიშვილი იგემებს. ყველაფერს რომ

თავი დავანებოთ მონობაში გავჩნდით და გარდატეხა, ბოლომდე გამოცვლა შეუძლებელია.

მომავალ თაობებს რომ მოვუმზადოთ თავისუფლების ნიადაგი, უნდა ვიბრძოლოთ, თვითოეულმა ჩვეენთაგანმა უნდა იბძოლოს. პირველ, პატარა მზის სხივს უნდა ჩავეჭიდოთ და იმდენი ვქნათ, უკან დაბრუნების საშუალება რომ არ მივცეთ იმათაც ვინც დაიწყო ყველაფერი ეს.

შეცდომებიც აუარებელი გვექნება თუნდაც, ლოთობის საწინააღმდეგო, ეს გაუაზრებელი კანონი, ყველა რესპუბლიკაში ერთნაირად, ადგილობრივი ფაქტორების გაუთვალისწინებლად რომ მოინდომეს მოქმედება. ნერვები მეშვლება, როდესაც ვიგებ, ვენახების აჩეხვის ამბებს. ეს ხომ ქართველი კაცის კულტურაა, თვისებაში გვაქვს მევენახაობა, როგორ შეიძლება, ჩვენში გლეხს ღვინის დაწურვა, ან ჭაჭის გამოხდა აუკრძალო. კიდევ კარგი ახალმოსულებისაგან გავიგე, მოშვებიან ამ ვანდალურ აქციას.

ახალ, გაუკვალავ გზაზე გვიწევს სიარული. არ ვიცი რომელიმე სხვა ქვეყანა სადაც ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნა, აგონიიდან, გიპნოზიდან გამოსვლა ასე საჭირო იყოს. გაზეთში წავიკითხე, ვიღაც უცხოელს უთქვამს, არ მესმის ადამიანი როგორ უნდა შეცვალოთო. იმას რა გაეგება, რომ ჩვენ უკვე გარდაქმნილები ვართ და ეხლა ნორმალურ ბუნებრივ მდგომარეობში გვინდა დავბრუნდეთ.

ეს ძალიან ძნელია, ძალიან. გერმანიამ ომის შემდეგ დაიწყო აღზევება, მხოლოდ დახმარების შემდეგ შეძლო გონებრივი კარჩაკეტილობის გადალახვა. ჩვენ კი, პარადოქსია, მაგრამ უფრო გაგვიჭირდება. მოძრაობისას, გზაზევე უნდა შევიცვალოთ ორიენტაცია. ინერცია შეგვიშლის ხელს. ერთმა გაუაზრებელმა მოქმედებამ, შეიძლება ხრამში გადაგვჩეხოს. ამიტომაც გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ. თან ვიჩქაროთ, არ გვაქვს გაჩერების, დამუხრუჭების უფლება, არავის უნდა მივცეთ ამის საშუალება, არც ზევით მდგომს და არც საკუთარ თავს. საშინელება შეიძლება მოხდეს, იმაზე დიდი რაც ოცდაათიანებმა, ან სამოცდაათიანებმა მოგვიტანეს. სტალინები, ეჟოვები, ბრეჟნევები, შჩოლოკოვები, ბერიები და იაგოდები ჩასაფრებულნი არიან, დროს უცდიან. საუბედუროდ ბევრი მხარდამჭერიც ჰყავთ.

ჩემი ეს აზრები ჯერ მხოლოდ სიტყვებია. სკეპტიკოსებს არ სჯერათ არაფრის, მე კი, რაღაცის იმედი გამიჩნდა. ალბათ, ისინიც სწორი არიან. შეცდომები უფრო მეტია, ვიდრე მიღწევები. არა უშავს, არ სცდება მხოლოდ ის, ვინც უსაქმურია. ღმერთმა ჰქნას იმედები გამიმართლოს, მცირე, მაგრამ ძვირფასი იმედები.

ეჰ, გადავვარდი პოლიტიკაში. ვიცი, არ გიყვარს, როდესაც ამას ვაკეთებ. გეშინია, რაიმე ხიფათში არ გავეხვიო. პირობას ვიძლევი, აქ ამის შესახებ, ხმას არ ამოვიღებ, კრინტს არ დავძრავ. მესმის, გამოსვლაა მთავარი. მერე... ვნახოთ, რა ბიჭია გოგიელა!

დედა, ვინმე ჩემიანი თუ გამოჩნდა, ან შენ თვითონ დაურეკე, უთხარი ჩამოსვლა აუცილებელი აღარ არის ამ თვეში, ჯგუფელები იყვნენ-თქო. ხოლო ჩამოსულებს, არ «გავყრი», არ «მეწყინება» მათი დანახვა.

წარმოიდგინე, გავსუქდი. არავინ დაიჯეროს შეიძლება, მაგრამ მართლა ასეა. აქაურ საჭმელსაც საბოლოოდ შევეჩვიე და თან ბიჭების ჩამოტანილიც ემატება. მეშინია, მახინჯი ღიპით არ დაგადგე. დიეტაზე უნდა გადავიდე. ვარჯიშშსაც დავიწყებ. რამე სექციაზე ჩავეწერები. არჩევანი მართალია დიდი არ არის: ძალოსნობა, ჭიდაობა, ტენისი, მაგრამ არა უშავს, ასეთი «სერვისი» თანაც ყურისძირში, მანდ არ მქონდა.

კიდევ რა... გკოცნი ძალიან, ძალიან ბევრს, გეხუტები და «გახრჩობ» (როგორც ბავშვობისას ვამბობდი). შენი სულელი, გიჟი, გადარეული, მაგრამ უჭკვიანესი, უკეთილშობილესი, უ-უ-უ-უნი-ჭი-ეე-რესი გოგიელა!

თავი XXI

რაც წერილში არ შევიდა

დედიკო, მართლა ძალიან მომენატრე და ვწუხვარ შენს ჯანმრთელობაზე. ბიჭებმა მითხრეს, კარგად არისო, მაგარმ ვეჭვობ... რაღაცას მალავენ. ვიცი, როგორიც ხარ... ვხვდები, ყოველი ჩემი აქ გატარებული დღე რას მიშვება, რა ვქნა, რითი გიშველო... ცუდი სიზმრები მკლავენ, მოსვენებას არ მაძლევენ... ამ ახალმა სიტყვებმა: «პერესტროიკა», «გლასნოსტი», «კოოპერატივი» _ მართლა რაღაც იმედი ჩამისახა. უფრო ოცნებაში დახატული და ნალოლიაევი, ვიდრე რეალური. ბიჭებიც ასე ფიქრობენ. ნაყოფი გამოჩნდება, თუ არ დავიგვიანეთ, არ შევჩერდით.

აქ, ჩვენთან კი, ჯერჯერობით, უმეტესად ფარდა იცვლება. ლოზუნგები და მოწოდებები არ გვაკლია, დანარჩენზე... ხელი არ მიმიწვდება.

ვაშლის ხეები კი არა... არაყმა, გაძვირებასთან ერთად, ჩვენთანაც მოიმატა ფასი, სამოცდაათი მანეთი ღირს, ადრე თურმე ორმოცდაათი ღირდა. საჭმელი ისევ საზიზღარი და მიუკარებელია, ენას ვერ შეახებ, თავს არ აკადრებ.

მე რა მიჭირს, ბიჭებს ფული «სგუჩონკა», შაქარი და ჩაი ჩამოაქვთ. ბევრ უპატრონოს კი არაფერი გააჩნია. რას ჭამენ საწყლები. ვინმე თუ «გადაუგდებს» რამეს.

რეჟიმი და «ძაღლობაც» ისეთივე ძაღლურია, როგორც ადრე. ყველას შეუძლია თავში გირტყას. «არისტოკრატიაც» ძველებურად გყვლეფავს, «ობშიაკი» ისევ გროვდება, ვითომდა ყველასთვის, სინამდვილეში, ერთი-ორი «უპატრონო» თუ ეღირსება სამგზავრო და საკვებ ფულს საცხოვრებელ ადგილამდე, ისიც კაპიკებს, გაჭირვებით რომ გეყოფა, «გაფუჭებულია ჩვენი «ზონა».

როგორც ადრე, არავითარ ხელფასს არ იძლევიან განთავისუფლების შემდეგ, ყველაფერს ადმინისტრაცია იჯიბებს, ვის დასცდება სიტყვა, ოღონდ გამოხვიდე აქედან...

ერთი კია, ნარკოტიკები აღარ შემოდის _ იმდენი. დღითი დღე უჭერენ ხელს. უფრო და უფრო ძნელდება წამლის შემოტანა. ვნახოთ, შეიძლება ისევ დროებითი კომპანიაა. სხვა «ზონაში» «გაუწეწიათ» ვიღაცები ნადზორიდან და ჩვენი ადმინისტრაციაც ფრთხილობს, უფროსმა აკრძალა.

რაღა «ეშველება» ჩვენ ღორიშვილ «ზამპოლიტს»... დაღვრემილი და უფრო გაძაღლებული დადის. შოვნა თვითონაც შეუძლია, მაგრამ ძალიან ძუნწია, ფულის დახარჯვა ენანება.

ვნახოთ, რას მოიტანს ეს დრო. ხანდახან დიდი იმედი მეძლევა, ხანდახანაც კი ისევ პესიმიზმში ვვარდები, ყველაფერი კარგავს მნიშვნელობას, არაფერი არ მახარებს...

თავი XXII

წერილი მეგობარს

სალამი ჩემს შაკოს. როგორ ხართ, ბავშვი როგორ არის, ძალიან მენატრება. მაგრად რომ მიჭირს, მის სურათს ვიღებ და ვესაუბრები, ვეფერები, თითქოს პასუხს მცემსო ისეთი შეგრძნება მაქვს.

ძალიან რომ მომენატრეთ ყველანი, ამას ლაპარაკიც არ უნდა, ისედაც ხვდები, არ ვიცი რა ვქნა. ხანდახან გაგიჟების მეშინია, რაიმე სისულელის გაკეთების. რაც დრო გადის, თავის კონტროლის გაწევა უფრო მიჭირს და ირიალური ხდება სამყარო. მეკარგება აღქმის უნარი. ხანდახან თავში ისეთი არანორმალური აზრები გამიელვებს, თვითონ მიკვირს და ვშიშობ სრულ ჭკუაზე თუ ვარ-მეთქი.

ცოტა გონს რომ მოვიდე, ცივ წყალს ვისხამ სახეზე. ანდა სიგარეტით ვიწვავ ხელს, ტკივილმა საღი გონება რომ დამიბრუნოს. დედაჩემს გული გაუსკდება, ჩამოსვლისას როგორმე უნდა დავუმალო ხელი. რამდენჯერ ვთქვი აღარ ვიზამ-მეთქი ესეთ სისულელეს, მაგრამ უნებლიეთ მომდის. გესმის, ესეც ჭკუიდან შერყევაა, რა ვქნა არ ვიცი...

გუშინ «სან-ჩატსში» ვიყავი. ერთი ახლობელი ვინახულე. «ზონოვსკია», თბილისიდან ვიცნობდი. «ზამპოლიტის» კაბინეტი ღია იყო. თვითონ სადღაც წათრეულა. ბიჭებმა კარი გამოაღეს და ახალი ლოზუნგი წამაკითხეს. ისტერიკული სიცილი ამიტყდა. ჰმ, ვისთან ჰკიდია ეს გულისამაჩუყებელი «შედევრი». «Каждый работник органов, должен быть кристально чистым.”

«პერესტროიკაზე» ამ ბოლო დროს დიდად აღარ «ახურებს», რაღაც არ მოსწონს, ეტყობა. ადრე, თავიდან, იცოცხლე, ყბა ჰქონდა მომართული. ეხლა მიხვდა ალბათ წყალი რომ უდგება, აკრძალა კიდეც მასთან ამ თემაზე საუბარი. გუშინ, «კუტოკმა» არაყი ვიყიდეთ. სამი ბოთლი. «ბოლიც» გვქონდა, «ზანოვსკიმ დამიპადაგრევა». ჩავიკეტეთ ერთ «კაპტიორკაში» და იქ «ვიქეიფეთ».

ბიჭებმა «კაიფში» ახალ დროზე «გაახურეს». ხმა არ ამომიღია. მივხვდი, სულ ფეხზე მეკიდა ყველაფერი. ვის რაში ჭირდება ჩვენი სიტყვა, მოწყვეტილი და გარიყულები ვართ საზოგადოებისაგან. არავინ კაცად არ გვთვლის. ბოლო ხანს, ხშირად ვარ ხოლმე ესეთ ხასიათზე...

თქვენთან წარმოვიდგინე თავი. რა ძარღვებდაჭიმული ჩავერთვებოდი კამათში?!. აქ კი...

შაკო, დედაჩემს მოუარეთ... ვიცი, არაფერს მოაკლებთ, არ გაუჭირვებთ, მაგრამ მაინც ვშიშობ. რამე ხომ არ ჭირს, ნუ დამიმალავთ, იცოდე! სიზმრები, სიზმრები მაწუხებს ძალიან, კოშმარული, სისხლიანი... ბიჭებში ხომ არ დაემართა ვინმეს ცუდი ამბავი?! არ დამიმალოთ, გეხვეწები!

შენც სადღაც გაქრი, სამი თვეა არ მინახიხარ. უბედურება ღმერთმა გაცილოს, მაგრამ დამაწყნარე, ჩამოდი, ჩემი თვალით გნახო და...

რა ისტერიკიანი გავხდი არა? რა ვქნა, თავი მისკდება ფიქრით, გონება ვეღარ იტანს, კონდიცია მოაკლდა, დაქვეითდა. ვხვდები, ყველაფერს უფრო უბრალოდ უნდა შევხედო. არ გამომდის...

და ბოლოს, ყველა მომიკითხე და დამიკოცნე. «პუწკია» განსაკუთრებით.
თქვენი გოგიელა!

თავი XXIII

რაც შაკოსთან გაგზავნილ წერილში
არ შევიდა

როგორ აგიღწეროთ ჩემი მდგომარეობა. ვხვდები, რომ წერილებით, სადაც ყველაფერ აქაურ სისაძაგლეს გიყვებით, რაც გულში მიდევს, რის გამოც მეხშობა გონება, გაწამებთ და გაღიზიანებთ.

არაფრის გაკეთება, იმის მეტი, რასაც მეხმარებით, არ შეგიძლიათ, ტყუილ-უბრალოდ ნერვებს გიშლით.

ვინმესთან გულის გახსნა კი მინდა, რა ვქნა, ყოველი მხრიდან, პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობითაც კედელია, გადაულახავი, ყრუ ბეტიონის, ცივი...

ღამ-ღამობით სულ კოშმარში ვარ, ძილის მეშინია, სულ ვინმეს ცუდად ყოფნა მელანდება. გული მისკდება და გათენების მეშინია.

წერილებს ველოდები, თან ვკანკალებ ფოსტალიონის დანახვისას. რას მომიტანს, თქვენს ბედნიერებას, თუ უბედურებას. აღარაფერი აღარ არსებობს უფრო ძვირფასი, ვიდრე ახლობლების, ჩემი საყვარელი ხალხის ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა. ყველაფერმა დანარჩენმა მნიშვნელობა დაჰკარგა. ალბათ იმიტომ რომ ვიცი აქაურობის შემდეგ, მხოლოდ თქვენით გავიხარებ. გამახელინებთ თვალებს, აზრზე მომიყვანთ.

ვზივარ ხოლმე ჩემთვის და ვგრძნობ, ყველანი მეჯავრება, «ნადზორიც» და პატიმრებიც, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ დაჰკარგავ ადამიანურ სახეს. კი, საშინელი პირობებია, ყველა თავში გირტყამს, მაგრამ ამითი, საკუთარი სიგლახე, სიკეთედ ხომ არ შეიძლება შევრაცხვყოთ. ყველა მგელივითაა, არავის და არაფერს ინდობენ. თუ ხელში ჩაგიგდეს, ბოლომდე გამოგწურავენ: ამის გამო, ძლიერად უნდა იდგე, პოზა გეკავოს, შეცდომა იშვიათად შეგრჩება. ერთხელ შევძელი თავის დაძრომა. ჰმ, არადა სიმართლეს ვამბობდი. კარგია მერაბა და ჭკუა იყვნენ ჩემი მოკავშირეები.

«ზონაში» მოსვლის მეორე დღეს, საუბარი ჰომოსექსუალიზმზე ჩამოვარდა. ვთქვი, რომ ყველა ვინც მამათმავლობს, ისიც «პიდარსტია». გაგიჟდნენ, როგორ, ჩვენ, «კაი ბიჭებზე» რატომ იძახიო ამას. რა ვიცოდი, აღმოჩნდა, «არისტოკრატიის», «კაი ბიჭების», «კაზიოლების» ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი ზონაში მამათმავლობს, შეჩვეულები არიან და ამას არ თვლიან საძაგად, პირიქით, ჰმ...

ანანიზმის გამო შეიძლება ცემაში მოგკლან, ეს საზიზღრობა კი, ნორმალურ, ბუნებრივ მოთხოვნილებამდეა დაყვანილი. თვით ძველი მეფის რუსეთის, როგორც პროპაგანდა გვეუბნება, «საშინელ» ციხეებშიც, ესეთი რამ სამარცხვინო, გულისამრევი საძაგი იყო პატიმრებისათვის. ხალხი ვინც ამას სჩადიოდა, ცალკე კატეგორიად ჰყავდათ გამოყოფილი, ერთ-ერთ უმდაბლეს კასტად, დღეს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვეულებრივი მოვლენაა. «არისტოკრატიასა», ქურდებს, «ზონოვსკებს» უმეტესობას თავისი «საყვარელი» ჰყავს... «პიდარასტები» მუდამ დაუბანელი, ბინძური, მყრალები არიან. «დიდი ხალხის» «საყვარლები» გაწკრიალებულნი, სუფთები, უფლებაც არ აქვთ

სხვანაირად მოქცევის. ცოლებივით «უფრთხილდებიან» ნამუსს, სხვასთან კონტაქტში თუ გავიდნენ, ხვდებათ «პატრონებისაგან». მხოლოდ ეს არის განსხვავება პრივილეგირებულ და საშუალო ფენას შორის. ზოგს თავისი ჰყავს, შეუძლია შენახვა, ზოგი კი საკბილოს დროგამოშვებით შოულობს.

ადმინისტრაციას სულ ფეხზე ჰკიდია. ისიც ნორმალურად თვლის ასეთ ფსიქიკურ გადახრებს. ეს არა და, ზოგი თვითონაც მამათმავლობის დიდი მოყვარულია. ღორისშვილებს ცოლები ჰყავთ, შვილები ეზრდებათ, ყოველ დღე სახლში გდიან, სამსახურში კი ასეთ საზიზღრობებს სჩადიან, როგორ შეიძლება ამ ავადმყოფებს აღმზრდელი, დამსჯელი ფუნქციები დააკისრო.

თავიდან, როცა ჩემი აზრი ვთქვი, მივხვდი დაიბოღმენ. საბედნიეროდ მერაბა გვერდით მყავდა. თან, ისე გამომივიდა, უშიშრად, დარწმუნებულად რომ ხმის ამოღება ვერ გაბედეს, ეგონათ ვინმეს მაგარი ზურგი მქონდა. როგორც ამბობენ «ზონის მაყურებელს» არ ჰყავს თავის «პიდარასტი». მასაც ნამეტნავად არ ეპიტნავება ასეთი რამ, თუმცა კანონებს, რითაც ყველას მართავს, ემორჩილება და საქმე საქმეზე თუ მივიდოდა, მხარს არ დამიჭერდა. ერთმა ჩემმა «კუტოკელმა» მითხრა, მაგას რა უჭირს, მე და შენ ვართ საცოდავები. ქალი «გრაჟდანკიდან» ჩვენთვის ყოველ კვირას არ მოჰყავთ, მაგრამ მამათმავლები მაინც არ ვხდებითო. ორშაბათობით სვიდანიის ოთახი ეთმობა და ვიღაც ბოზთან ერთად ნებივრობს. ასე რომ ნორმალურობას გმირობად ნუ ჩაუთვლიო. წმინდანად, რა თქმა უნდა მეც არ მყავდა შერაცხული, მაგრამ ესეთი რაღაცაც გიკვირს.

ერთი ბიჭი მომწონდა ძალიან, პატივს ვცემდი და ვაჟკაცად ვთვლდი. თქვენ ახალი წასულები იყავით, «პერედაჩა» შემოვიტანე. მოვიდა და «სგუშონკა» მთხოვა. გამიკვირდა, სირცხვილად ითვლება ესეთი რამ, თვითონ თუ არ მიეცი, შესთავაზე, არავინ კრინტს არ დაძრავს. რა თქმა უნდა «არისტოკრატიის» «ნამიოკები» არ მაქვს მხედველობაში. ისინი რომ, რაიმეს გთხოვენ, «საქმისთვის სჭირდებათ».

«ხომ იცი, მე არ გთხოვდი ჭამისთვის, «პიდარასტი» რომ არის ახალი, ლოვა, იმან შემპირდა, «სგუშონკაზე» «მოგცემო»... გული კინაღამ ამერია ეს რომ გავიგე მისგან. ჩვენთან «კუტოკში» ერთს «სროკი» უთავდებოდა და ამ ნაგავის გადმოყვანას ვაპირებდი. მივეცი, რა მექნა, არ იფიქროს «ჟმოტია»-მეთქი. ამის შემდეგ მოსვენება დავკარგე. შემზიზღდა ძალიან. როდესაც ადამიანს პატივს ცემ, ის კი ნაგავი, სულძაღლი აღმოჩნდება, უფრო მეტად გწყინს, გიჟდები.

ბოლო-ბოლო, რაღაცაზე შარი მოვდე, «სიტყვაში დავიჭირე», «არაქურდული» რამ თქვა. მაგრა ვცემე. გამამართლეს. ისედაც სწორი ვიყავი აქაური კანონებით, თანაც გიას «ქსივა» მშველის, ეშინიათ.

თვითონაც დაუმატეს, უმოწყალოდ სცემეს «გაფუჭებასაც» უპირებდნენ «პირადასტნიკში» შეგდებას. იქიდან კი კაცი სუფთა ვერ გამოვა. მივახვედრე არ არის-მეთქი საჭირო. ისევ თვითონ მომიწია დაცვა. უფრო დიდი საშინელება რომ არ ჩაედინათ... «კაზიოლების» ბარაკში მოისროლეს საცხოვრებლად.

ამის შემდეგ ვცდილობ ყურადღება აღარ მივაქციო ესეთ ხალხს, რაიმე ისტოიაში კვლავ არ გავეხვიო, უფრო ცუდად მთავრდება ყველაფერი...

ნეტავი გიაც თუ... არა, არა, არ უნდა ვიფიქრო სისულელეებზე.... თორემ ადამიანის მოდგმა საერთოდ შემზიზღდება... გია შემზიზღდება, თქვენც შემზიზღდებით, ყველა შემზიზღდება...

ღმერთო დიდებულო... ძილსაც რომ ვერ ვახერხებ, კოშმარები და... რა მოვიფიქრო, რითი დავიკავო ტვინი ამ დაწყევლილი დროის გასვლამდე.

თავი XXIV

დედის წერილი

ჩემო გოგიელა, როგორ ხარ, ძალიან მენატრები შვილო, ნეტავი, თუ მომესწრება შენი ნახვა. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიჭირს ცდა. როდის ჩაატარებენ ჩვენს გადასარჩენ სასამართლოს, გული მისკდება, მანამდე რაიმე არ დააშავო. კარგად მოიქეცი, გეხვეწები!

მე არაფერი მიჭირს, შენი ბიჭები ხშირად მაკითხავენ. ვერაფერი მოვუხერხე, სულ დატვირთულები მოდიან. ისე შევეჩვიე მათ, რომ მოუთმენლად ველოდები და თუ ცოტა გადააცილეს ჩვეულ დროს, ვერ ვისვენებ, ადგილს ვერ ვპოულობ, დავინახავ და ისევ წარმომიდგება, თითქოს, ჩემი გოგიელაც გვერდით მყავდეს...

ალბათ ნაწილობრივ ასეც არის, შენ ხომ მათი სულის ნაწილი ხარ, მათი ლხინი, თუ გაჭირვება.

სულ ჩემს დაწყნარებაში არიან, არაფერი უჭირსო. თვითონ კი ადგილს ვერ პოულობენ, გრძნობებს ვერ მალავენ... იმიტომაც მიყვარხართ ყველანი, ერთმანეთის გატანა და მხარში ამოდგომა რომ იცით.

სულ გამოვშტერდი, დამავიწყდა მოგილოცო, ველირსე როგორც იქნა შენი ლექსების გამოქვეყნებას. სულ სამად-სამის ჯერჯერობით, მაგრამ ყველა ასე იწყებს.

მეზობლობა შემოვირბინე ყველას ვანახე. შაკომ, ბადრიმ და დათომ, თვითეულმა ოცოცი ცალი მომირბენინეს. სულ დავარიგე, შევპირდი, ავტოგრაფს, ჩამოვა და მერე მოგცემთ-მეთქი.

ბიჭებიც ჩემთან ერთად დადიოდნენ. უნდა გენახათ როგორ უხაროდათ. კარგა ხანია მათი ასეთი ბავშვური ჟივილ-ხივილი არ გამიგია, სიტყვის ამოღებას არ აცლიდნენ ერთმანეთს. ჰყვებოდნენ, როგორ იყიდს გაზეთების კიოსკში. ჩამწკრივებულან ათი კაცი რიგში. ვითომ, ერთმანეთს არ იცნობდნენ. დაუწყიათ შენი ქება. ეს რა მაგარი ბიჭია გამოქვეყნებული ამ ნომერში, საკმაოდ თუ არის, თუ გვეყოფაო. ხალხიც დაინტერესდა და წამში გაყიდულა. ჰმ, მაიმუნები არიან, ვერაფერი გამოგასწორებთ, სულ ბავშვის ჭკუა შეგრჩათ. ღმერთმა ჰქნას, ესეთები დარჩეთ ყოველთვის.

ნათესავებშიც დავარიგე. ყველამ უნდა იცოდეს, რაჭკვიანი ბიჭი მყავხარ. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება შენს სიკარგეში, ამითი მაინც დარწმუნდება, ტყუილუბრალოდ რომ არ გაქებ.

დეიდაშენსაც გავუგზავნე მერაბას ხელით. ჩამოსული იყო და მომიკითხა. ძალიან გაუხარდა. იქ «პროფესორას» ვუძახდითო, მითხრა. ყველას უნდოდა მასთან საუბარი, საინტერესო «რაცხეებს» ჰყვებოდა, «მარამ» ლექსებს თუ წერდა არ ვიცოდითო. ბავშვივით ცქმუტავდა ამოდენა კაცი. მთელ სოფელს «დაუფსებ» თვალს, ზოგი რომ

იძახდა, ვერ გამოადგა ლილისო, ეხლა ნახონო მაგათ... ჩავალ, ვნახავ, მოვეფერები, პირადად უნდა მივულოცო გოგილას, «ნაჩალსტვასაც» ვანახებ, იცოდნენ ვინ უზითო.

ამ წერილსაც მას ვატან, ხაჭაპურებსაც შენ რომ გიყვარს, ისეთი გამოვაცხვე, ბაზარშიც ვიყავით, ხილი ვიყიდეთ. ვაშლი, თუ ხათრი გაქვს შეჭამე იცოდე.

ძალიან შერცხვენილი ვარ, ესეთი ხელცარიელი რომ მივდივარ გოგიელასთანო, შემიწუხა გული. ხომ იცი იმერული უკუდო ამპარტავნობის ამბავი. სოფელში ვაპირებდი გავლას, იქიდან უნდა ჩავსულიყავი, წამომეღო «რაცხეები», ესეთი უცაბედი, კარგი ამბავი რომ არ დამხვედროდა. ძლივს გავაჩერე.

თვითონ საწყალს ვიცი რაც აქვს, არაფერი გააჩნდა იმ წუთს. რუსეთში იყო გადაკარგული ექვსი თვე, სადღაც ციმბირში. ფულს ვიშოვი, ზამთრობით «სტროიკებზე» ბევრის გაკეთება შეიძლებაო, _ წინა მოსვლაზე მითხრა. წერილებსაც იმიტომ ვერ გწერდა. მე კი სულ გადამავიწყდა შეტყობინება შენთვის.

ავად გამხდარა. ექვსიდან ოთხი თვე საავადმყოფოში იწვა. წონა დაიკლო ძალიან, ლანდს დაემსგავსა. რაღაც ვირუსული გრიპი შეჰყრია და თავიდან ყურადღება არ მიუქცევია. გართულება მისცა ფილტვებზე.

ასე რომ თვითონ არაფერი გააჩნია ამ წუთს, შოვნის მაგივრად, ხარჯი გამოუვიდა. მაინც მექაჩებოდა გადახდაზე. ფერი ეცვლებოდა, ძვირად რომ მიფასებდნენ. მიუხედავად ამისა, იხტიბარს არ იტეხავდა. «კუდაბზიკა» იმერელი «აზნოურიშვილი» ხარ-მეთქი, ვუთხარი.

ბევრი მაცინა, მომსპარი ენა აქვს. ბავშვობა გამახსენა, როგორ ვუვლიდი, ვეთამაშებოდი, რა სისულელეებს ვასწავლიდი, ახსოვს ყველაფერი. მე დამავიწყდა, დარდმა და გასაჭირმა გამომაშტერა თორემ...

კეთილი, ავკარგიანი კაცია მერაბა, ჩემს ხელში გაზრდილი. მითუმეტეს უფრო შემიყვარდა, მანდ რომ დაგხვდა და გვერდში ამოგიდგა.

შვილო, დანარჩენი რა მოგწერო. მე არაფერი მიჭირს. არასდროს, ფიზიურად ასე კარგად არ მირგძვნია თავი. ცდა, ცდა არის, ოღონდ, საშინელება... ამიტომაც კიდევ ერთხელ გთხოვთ, დაუჯერე უფროსობას ყველაფერი, რაიმე შარში არ გაეხვიო, ნუ აიშლი ყოველგვარ წვრილმანზე ნერვებს, საჭმელი ჭამე, მოღონიერდი ცოტა. გულს ნუ გამიხეთქავ და ლანდგასული ნუ ჩამოხვალ...

მოკითხვა ლარისა დეიდასა და იურა ბიძიასაგან, ზეინაბისაგან, ოთარისაგან. ყველა, ჩვენი მეზობლობა გახარებულია შენი ლექსების დაბეჭდვით და გელოდებიან, საკუთარი პოეტი ჩამოგვივაო მალე. ზეინაბის გიორგიმ _ ჩემს ბიჭს უნდა ვასწავლო, გოგიელა რომ ჩამოვა, გავახარებო...

რაც ჯარიდან დაბრუნდა არ მცილდება. სულ შენს ამბავს მეკითხება. წერილებს, ვიცი, ხშირად არ გწერს. არ გეწყინოს, ხომ იცნობ, მორიდებული, უტყვი ბავშვია, უჭირს გამოთქმა, ისე კი ძალიან უყვარხარ.

მაიამ, რუსულად ვთარგმნი და სადმე დავაბეჭდვინებო. შენი რვეულის თხოვება მინდა, თუ ნებას მომცემ. ხომ იცი ჭკვიანი გოგოა, იურა და ლარისას კაპიკი არ დაჯდომიათ, მისი ფილოლოგიურზე მოწყობა, ყველა გამოცდა ხუთზე ჩააწიკწიკა; სადაცაა წითელ დიპლომს აიღებს.

რა ვქნა, შეიძლება თავი მოგაბეზრე, მაგრამ კიდევ ერთხელ გთხოვ, ჭკვიანდ მოიქეცი!

გკოცნის და გეხვეწება შენი დედიკონა!

P.S. გიას წერილი მივიღე. შენი გადარეული ძმაკაცის. ალბათ შემიგითვალა «შოფრად» დაუწყია მუშაობა დაქორწინების შემდეგ. მეუღლე ორსულად ჰყავს. ბიჭი თუ გაჩნდა, გოგიელას დავარქმევ, თუ გოგო დედაჩემის სახელსო. მიხარია ასე კარგად რომ აეწყო ცხოვრება. ვიცი, შენი დიდი წვლილი ურევია... ღმერთმა ხელი მოგიმართოს შენც და შენს ყველა კეთილის მსურველს. მტერს კი... ცუდს არ ვუსურვებ. თავისთვის ისიც კარგად იყოს, ოღონდ შენგან შორს.

გიას ბანდეროლით გავუგზავნე ჟურნალი, ძალიან გაუხარდება.

ისევ გკოცნის და გეხუტება შენი დედიკონა!

თავი XXV

ის რაც წერილში არ შევიდა

ძალიან ცუდად ვარ გოგიელა, მიჭირს... გული მაწუხებს. არ მეუბნებიან, მაგრამ ვიცი, მიკროინფარქტი გადავიტანე. მეშინია, ველარ დაგხვდე შეიძლება. ეს კი მაგიჟებს. ძალიან ემოციური ხარ. სულ იმის ფიქრში ვარ, როგორ გადაიტან ჩემს აღარყოფნას. ზედმეტი იცი ყველაფერი, სიყვარულიც, განცდაც...

ვერ გწერ ამაზე ვერაფერს. საერთოდ არ გინდოდა ჩემს სიბერეზე საუბარი. ბიჭებმა მითხრეს, ვერ იტანს, როდესაც ამბობენ მშობლებზე, ისინი წამსვლელები არიან, ჩვენ კი, დამრჩენი, გამგრძელებელიო. სიმარტოვის მეშინია ძალიან. იმ ბავშვური, ზღაპრული სამყაროს დანგრევის, მთელი ცხოვრება თან რომ დაგსდევდა.

შენი ლექსების დაბეჭდვამ ძალიან გამახარა. ადგილს ვერ ვპოულობდი. წინა ღამეს შეტევა მქონდა, ექიმმა ადგომა ამიკრძალა, მაგრამ როდესაც ბიჭებმა ჟურნალი მომიტანეს, ვერ მოვისვენე. გამოვცოცხლდი იმ წუთში წამოვხტი და მეზობლებში დავიწყე სირბილი. ყველას თითო-თითო ეგზემპლიარი დავუტოვე. არ ვიცი, შეიძლება მომეჩვენა ძალიან გაუხარდათ. მეუბნებოდნენ, ვიცოდით, გვჯეროდა ასეთი ჭკვიანი, კარგი ბიჭი რომ იყოო.

შენი ბიჭები პატარა ბავშვივით ხარობდნენ. თვალებში ცრემლები ედგათ... შამპანურები ამოიტანეს, სულ ბათქა-ბუთქით გახსნეს. ყველამ უნდა გაიგოს, ამ ოჯახშიც რომ მოვიდა სიხარულიო. მამაშენის მეგობართან ვიყავი. იმათაც მივუტანე, ძალიან გაიხარეს.

არაფერს იწერები მათ შესახებ. მეც არ გახსენებ. შეხვედრისას ეტყობოდათ, შერცხვენილად გრძნობდნენ თავს...

მამაშენის გარდაცვალების შემდეგ იშვიათად გვნახულობდნენ, მაგრამ რაიმე თუ იყო საჭირო და ეტყოდით, უარი არასდროს უთქვიათ. რამდენჯერ, შენი ბიჭებიც იხსნეს უსიამოვნებისაგან, ამა თუ იმ გასაჭიროში დაეხმარნენ. შენ თავზე კი არასდროს შეგვიწუხებია. ამიკრძალე და მეც ვნანობ, რომ მოგენდე. უნდა მივსულიყავი, მეთქვა ყველაფერი. შენ თუ ჩვენებას არ შეცვლიდი, იმათთან მაინც მოილაპარაკებდნენ. ნაკლებს მოგისჯიდნენ, ანდა შეიძლება, პირობითიც მოეცათ. ვნანობ, ძალიან ვნანობ რომ არ ვუთხარი არაფერი...

თვითონ კი, დაკავებულები არიან, დრო არ ჰყოფნით ჩვენი ოჯახის გაჭირვების, საქმის კურსში მუდმივად რომ იყვნენ. თვითონ უნდა მიხვიდე და შეაწუხო, გაახსენო. ყველას თავისი გაჭირვება, ათასი პრობლემა აწუხებს.

სასიხარულო ამბავი მითხრეს. ვიცითო ყველაფერი, ეხლახან გაუგიათ, არც ფული იქნება საჭირო, არც არაფერი, ისე გამოუშვებენ პირობით, დროზე ადრე. ნახევრის მოხდის შემდეგო. აქაც ყველანი გაფრთხილებული გვყავს, რაც არ უნდა მოხდეს, პირადი საქმე არ გაუფუჭონ ან ვინმე «უგალოვნიკმა» არაფერი დაუშავოსო.

ჯემალი ბიძიამ, პირდაპირ ჩემი თანდასწრებით, კაბინეტიდან დაურეკა ვიღაცას «МВД-ში», გაახსენა, ბიჭზე რომ გითხარი, ჩემს ნათლულზე, თუ გახსოვს, გააკონტროლე როგორ არის საქმეო.

ძალიან გამახარა ამან. ვიგრძენი, მარტო არ ხარ... ყველა მიხვდა, ამ გაჭირვებისას გვერდში უნდა ამოგიდგნენ და გიშველონ, ოღონდ შენზეა ეხლა ყველაფერი დამოკიდებული...

ეტყობა გადამეტებული სიხარულიც არ შეიძლება. ისევ ცუდად გავხდი. სახლისკენ ვბრუნდებოდი, გრძნობა დავკარგე. ვიღაც ღვთისნიერმა, შენხელა ბიჭმა მომასულიერა და სახლში მიმიყვანა საკუთარი მანქანით. ძალიან ვნანობ, მისამართის და ტელეფონის გამორთმევა დამავიწყდა, წესიერად მადლობაც ვერ ვუთხარი.

ძალიან, ძალიან შემერყა ჯანმრთლეობა... ღმერთო ჩემო... უშენოდ, ნახვის გარეშე ნუ მომკლავს ზეციერი...

მერაბა იყო, ბეჟანიძე, რუსეთიდან დაბრუნდა. სულ მთლად მოტეხილა საწყალი. ციხემ ვერაფერი მიყო, გამოვედი, საშოვარზე წავედი ციმბირში და იქ გავხდიო ძალიან ცუდად.

მანაც გაიხარა ძალიან, შენი დაბეჭდვის ამბავი რომ ვუთხარი, უნდა ჩავიდეო. ეტყობოდა გახვრეტილი კაპიკიანიც არ ედო ჯიბეში. მაინც, ბაზარში გადახდაზე მექაჩებოდა. შემდეგ გამოვტეხე, სულ ათი მანეთიღა ჰქონია. უნდა მესესხა, გოგიელასთან და სახლშიც, ისე უნდა წავსულიყავიო. მივეცი, შენთვისაც და თავისთვისაც. ნასესხებად ჩამითვალეო, კინაღამ მოვკალი. ჭარხალივით წითელი წავიდა ჩვენგან. ღმერთმა შეარგოს, ბავშვობიდან მახსოვს, ჩემს ხელშია გაზრდილი, შენც მოგიარა... კარგი კაცია ძალიან, მაგრამ თავის თავის უბედური, სულ რაღაც ხიფათში ეხვევა.

გიას ორი წერილი მივიღე, ეტყობა ძალიან აკლიხარ. საშიშია, ამ ბიჭს რაიმე არ შეემთხვეს, ახლახან ჩავარდა ჭკუაში დაოჯახდა და...

თან უნდა ნორმალურად დაგხვდს, თან გიჟურად განიცდის უშენობას. მთვრალმა მომწერა პირველი წერილი. ლილი დეიდა, არ ვაპატიებ იმ უნამუსო ხალხს გოგიელას და თქვენს გაუბედურებასო. _ არა და ვიცი, ათასი სისულელის გამკეთებელია...

მივწერე ჭკვიანად ყოფილიყო. მაიასთვის მინდოდა მიცემა, ყუთში ჩასაგდებად, მაგრამ გაზეთებზე რომ ჩავედი, მეორე მოსულა. ბოდიშს მიხდიდა. მთვრალი ვიყავი და სულ გამოვშტერდიო. მაინც განვიცდი, ფეთქებადია ძალიან.

საეროდ, შენს გარშემო, არცერთი დალაგებული არ მინახავს, ყველა რაღაცნაირი მოუსვენარი, მშფოთავი სულის ხართ. სკოლაში სწავლისასაც ამან მომიღო ბოლო. სულ რაღაცას აშავებდით, შეიძლება ამიტომაც ხართ კარგები.

გუშინ, შენი ერთი ძმაკაცი ტელევიზორში ვნახე. კომკავშირის «ცეკაში» მუშაობს თურმე. ხშირად ვიხსენებდი, მიკვირდა სად გაჰქრა-მეთქი. ბიჭებსაც ვეკითხებოდი. არ ვიცით, დავცილდითო, იძახდნენ...

ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ მაინც მეწყინა, ერთმანეთი რომ დაჰკარგეთ. მომწონდა,

ძალიან ჭკვიანი ბიჭი სჩანდა... გაუჭირდება ცხოვრებაში უმეგობროდ. მამაშენის ძმაკაცებმა, იმიტომ მიაღწიეს რაიმეს, ერთმანეთის გვერდში რომ იდგნენ. მაიაზე გავიგე, გათხოვდაო... შვილო, შვილო. რატომ შესწირე თავი... რატომ მოტყუვდი. არ ყვარებიხარ... ანდა პირიქით... ზედმეტად უყვარდი... არანორმალურად.

თავი XXVI

ერთ-ერთი მეგობრის, გაუგზავნელი წერილი

გოგიელა მიყვარხარ და მეზიზღები! არ ვიცი თავს რა ვუყო. მთელი ცხოვრება, რაც გაგიცანი, ესეთ გრძნობას განვიცდი შენს მიმართ.

ბავშვობიდანვე, ყველას ჩემზე მეტად უყვარდი და გაფასებდნენ. სკოლაშიც კი, სადაც ვითომ უფრო კარგად ვსწავლობდი, ვიქცეოდი უფრო წყნარად, მასწავლებლებს მაინც მეტად მოსწონდი... შენი მოთავეობით ხდებოდა ყველაფერი: ჩხუბი, «შატალო»,... მაინც გაფასებდნენ, პიროვნებად გთვლიდნენ, მე კი, ვინ ვიყავი მათთვის, შენზე აყოლილი, ვიღაც სულელი... გახსოვს? ერთხელ დირექტორს შევეპასუხე, ავუყვირდი რაღაცაზე. აბუჩად ამიგდეს, მშობლები დამიბარეს და ტყავი გამაძრეს... შენ კი, ამას თუ გააკეთებდი... არასდროს ჩემნაირად არ გაგლანძღავდნენ. მაშინ მითხარი, არ იყავი სწორი, ტყუილუბრალოდ აუშარდიო. დამიმტკიცე კიდეც... მეზიზღები!

მიხვდი რატომაც გავაკეთე. მაგრძნობინე, რომ ხვდები ჩემს გრძნობებს, მაგრამ არაფერი გითქვამს, სახეზე გეტყობოდა, სახეზე!

ასეთი მოქცევით ყოველთვის ნერვებს მიშლიდი. თითქოს, რაღაცით მაღლა დგახარ ჩემზე, რითი, გეკითხები, რითი?! განა შენზე გულღია არ ვიყავი ყველასთან? ვხედავდი ეს მოსწონდათ შენში... არავინ დამიფასა. სულელად მომნათლეს. ან უფრო უნიჭო ვიყავი, თუ რა?! მაინც, მაინც ყველა შენ გთვლიდა ჩვენ წრეში საყვარელ, ჭკვიან და გულიან კაცად...

ერთხელ მითხარი კიდეც, ტყუილად ნუ ისულელებ თავს, არც ისეთი მიამიტი და სულელი ხარო. ხუმრობით, სიცილში თქვი. მე კი ვიცი, რომ სერიოზულად ფიქრობდი... გველო!.. ოჰ, რა გველი ხარ!.. რითი დაგიმტკიცო, არა ვარ შენზე ნაკლები. სიკეთესაც შენზე მეტს დავთესავ ქვეყანაზე. მივაღწევ, აუცილებლად მივაღწევ, რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული ბევრის ბედ-იღბალი... აი, მაშინ ნახავ... შენნაირად კი არ მოვიქცევი, ყველას მამიდად რომ უდგახარ.... რა შეგიძლია, ან რისი თავი გაქვს? ვინმე მწყურვალს, თუ ერთი ჭიქა წყალი მიაწოდე, ისე რომ ვერც გაიგებს, ვინ გადაარჩინა, ესაა კაცობა?!. განა არ სჯობს წყარო გათხარო, ყველას მოუკლა წყურვილი, შენც დაგინახონ... არა მარტო გასაღმერთებლად, უბრალოდ, ხალხი ვერ ხედავს სიკეთეს, ვერაფერს სწავლობს,

კონკრეტული პიროვნება თუ არ დაინახა, ის ვინც ეხმარება, მრჩენელია, შენ კი... «ქვაზე დადე და გაიარე»... ქალაჩუნური პრინციპია. დედალი ხარ და ამითი თავს იწონებ!..

ყოველთვის შენზე კარგად ვჩხუბობდი, ვგიჟობდი შენზე მეტს. თითქოს, ვერავინ ამჩნევდა, შენს ნაცემს, ან ნაჩხუბარს... სიმთვრალეში, სიბრაზისას რაიმეს თუ ჩაიდენდი, გიჟი ხარო, გეუბნებოდნენ, მაგრამ სიყვარულით ყველას ეტყობა, ეშინიათ რაიმე არ დაგემართოს. მე კი სულელს მიძახოდნენ... ოჰ, როგორ მეზიზღები... ბიჭებსაც ვეღარ ვიტან, ჩემს საყვარელ, სიყრმის მეგობრებს იმიტომ რომ... შენ გთვლიან ყველაზე ნამუსიან, ჭკვიან კაცად. ვიცი, მეც შენს მდგომარეობაზე, არანაკლებ ამომიდგებოდნენ, ოღონდ შენსავით გულჩახვეული არავინ იქნებოდა... რატომ?! ჰმ..

სიყვარულშიც გაჯობე! მე გაჯობე, მაგრამ... მშურს, გესმის?! მშურს მანდ რომ ხარ... თავის შეწირვა შეგიძლია არა? კრეტინო!.

მაიამ რაც გიყო, ასე მხოლოდ მაშინ იქცევიან, როდესაც ძალიან ეჯავრებათ, ანდა სიგიჟემდე უყვართ... გხვდებოდა, უხაროდა შენთან შეხვედრა... ესე იგი... უყვარდი, ბედნიერი იყო... ამაშიც ჩემზე ძლიერი და ბედნიერი აღმოჩნდი... ვითომ ბედნიერი, ასე ჰგონიათ?.. მეც მგონია...

მალე ცოლს მოვიყვან. შვილიც მეყოლება, შენ კი დარჩები კენტად, მარტო, მიგდებული...

ვნახოთ, როდემდე იქენებიან გვერდით ან დედაშენი, ან ბიჭები. ყველას, რაც დრო გავა, თავიანთი საქმე ჩაითრევს! შვილები, შვილიშვილები, სამსახური. შენ კი მარტო ჩაკვდები სადმე. მარტო... არაფერია, ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ, ბევრი რამ არ აწევთ კისერზე, ენერგიაც ჰყოფნით, მერე ნახავ!..

ჩაჯდომამდე შვიდი თვის განმვლობაში ნანახი არ მყავდი, არც მინდოდა შეხვედრა. საქმეც გამიჩნდა, დიდი საქმე... მალე სადმე კარგ ადგილას მოვჯდები, აგერ ნახავ თუ არა...

ვიფიქრე, ლილი დეიდას ვინახულებ, ყოველ დღე ვივლი, დაინახოს რა ბიჭიც ვარ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, რატომ უნდა დავხარჯო დრო შენნაირ სულელზე, თვითონ რომ გაჰყო თავი თოკში, აღარც გამოვიხედავ შენსკენ... თვითონ მოხვალ, მობობღდებით, ძალიან მაგრად რომ დაგჭირდებათ!

რაც ვთქვი, ყველაფერ ამის გამო მეჯავრები და მიყვარხარ!.. რას მერჩი, მთელი ცხოვრება რატომ ჩამიმწმრე. რითი ვარ შენზე... ბიჭები... ყველანი დავკარგე შენი გულისთვის... ძალიან მიხარია მანდ რომ ხარ! ოჰ, რა სიამოვნებას ვიღებ და... ვწუხარ... შენზე ვწუხარ. მარტო, როდესაც არავინ მიყურებს, ჩავიკეტები ხოლმე და ვტირი ბოღმისაგან, სიძულვილისაგან, სიყვარულისაგან...

გველო... გველი ხარ, გველი!

თავი XXVII

მეგობრობის წერილი

გამარჯობა გოგიელა. რავა ხარ ძამა, რას მოღვაწეობ მანდ? როგორც ბიჭებმა მითხრეს მაი კაი ხალხი გიშვებს, თვითონ არ მოდისო...

არ გეწყინოს ჩემი აბდა-უბდა ლაყაფი. იცი, გურული ანგლი ვარ, თანაც სულელი, ამიტომაცაა, ვერაფერი გამოდის ჩემგან, გარდა კაი კაცისა და შეიძლება მომავალში ხელმძღვანელი მუშაკისა. ერთი აგური უკვე დავდგი. შენი ყოფილი ძმაკაცი გავიცანი, «ცეკაში» რომ მუშაობს. ჰმ, მეორეს ეხლა ვდგამ. ხომ იცი, მთლად ვერ ვეწყობოდით მე და კომკავშირი ერთმანეთს. მეჯავრება ძალად სერიოზული ტიპები, ვითომ საქმიანი, სინამდვილეში კი უზარმაცესი, კარიერისტები. მარა, ჩემო ძამა, ცოტა შეიცვალა ეხლა დრო. ახალგაზრდული კლუბი შევქმენით რაიონში, სადისკუსიო. ეს ნიშნავს, ყველა აბდალს, ვისაც ლაყაფის თავი აქვს, შეუძლია მოვიდეს, ენა მოიფხანოს. ას სისულელეში ერთი რაიმე საღი აზრი მაინც ითქმება. ჰოდა, მე როგორც «თავმჯდომარე» დავწერ ან პროგრამას, ან პეტიციას, ან მოთხოვნას, ან წინადადება შემაქვს რაიკომში და საქმეც ნელ-ნელა ზოზინით კეთდება. ისე, უმეტესად, «დისკუსიას» სადმე მოფარებულში ვაგრძელებთ მუშტებით, მოგვყავს «არგუმენტები» მარა, ესეც ჩვენებურია, შეჩვეული ვართ ასეთ «დემოკრატიას».

რომ იცოდე, რამდენი რამე გადამხდა კლუბის გასახსნელად. კინაღამ ქვეყნის და «ხალხის მტრად» მომნათლეს. ბოლო-ბოლო, იყნოსეს თბილისში არ მოუწონებდა უფროსობა ესეთ რაცხას, დამრთეს ნება. ოღონდ კომკავშირის რაიკომი ინსტრუქტორიც იყავიო. მაი კი არა, საქმეს ეშველოს და შაჰ-აბასის ნუკერად გამაფორმონ თუ უნდათ. მაინც არ გავხდი ინსტრუქტორი, არ ჩაუვიდათ ფეხი. ისეთი რეალური ძალა არ ვართ, ლაყაფის გარდა, თუ მხარი იქ არ დაგვიჭირეს რას შევძლებთ. ეხლახან, ახალი მდივანი დაგვინიშვნეს. სულ გამოგვეცვალა უფროსობა. კარგი კაცი ჩანს, ყოველ შემთხვევაში, საქმის გაკეთება შეუძლია თუ მოინდომა. ჩვენც არ ვასვენებთ, არ ვაძლევთ დაწყნარების საშუალებას და ვართ ასე... ვხედავ, ბევრს ყელში ვყავარ გაჩრილი, მათი ნება რომ იყოს, ფეხებით დამკიდებდნენ, მარა რა ჰქნან, უბრძანეს «დემოკრატია» და... იძულებული გახდნენ, ტვინი გაანძრიონ (ეს კი ნამეტანვად უჭირთ). მჯერა, ერთ-სამ-ოთხ წელიწადში უფრო საქმიანი, ენერგიული ხალხი შეცვლის მათ. მოუწევთ ამის გაკეთება, რომც არ უნდოდეთ, ზოგ-ზოგი ნაბიჯი უკვე გადადგეს ზემოთაც და რაიონშიც, ვნახოთ.

ახლა, ხალხის ამბავი მოგეხსენება. ცოტაა ნაღდად გვერდში დამდგომი, მით უმეტეს თავიდან ეშინოდათ იმისი, რასაც ვამბობდი, ტვინი გაანძრიეთ, ნუ ხართ მონებივით-მეთქი, არცაა გასაკვირი, ყველა თავის ადგილს, ასე თუ ისე შემოსავლიანს, ოჯახს უფრთხილდებოდა. მსოფლიოში კონსერვატორი, დონდლო ხალხი ჭარბობს, არაფრის შეცვლა რომ არ სურთ. ეშინიათ, საკუთარი თავი საფრთხეში არ ჩაიგდონ, თუ გინდ ბედნიერი მომავლისათვის.

მსოფლიოს რა უჭირს, კია თავისთვის «დამპალი», ჩვენ კი, აი არ გვაწყობს. ნაღდად უნდა დავეწიოთ ყველაფერში. ცოტა გამოვხიზლდეთ ჩანჩალა მათხოვრებად რომ არ დავრჩეთ, მომავალშიც.

ეხლა ცოტა გამოცოცხლდნენ, იგრძნეს რაცხა შვება, მართალია ლაყაფი სჭარბობს, მარა, მოვა ის დროც, საქმის დრო... ხომ გახსოვს ბიბლიიდან, მოსემ ეგვიპტიდან, მონობაში გაზრდილი ხალხი, იმდენი ატარა მიხვეულ-მოხვეული გზებით, სანამ მარტო გამოსვლის შემდეგ დაბადებული ბავშვები არ დატოვა. მაშინღა მიიყვანა აღთქმულ ქვეყანაში. ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა შეიძლება მოსესავით ვერ დაგვაფასონ, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ხომ იქნებიან თავისუფლები, ლაღები, მთავარია მივაღწიოთ ამას.

სულ ჩემზე გელაყბები... ალბათ თავს ვიმართლებ, გოგიელა. მეც ნაწყენი ვარ შენზე, არ მომწერე, რაც შეგემთხვა... ვერავინ მიხვდება ჯარის მეგობრობას, თვითონ თუ არ ყოფილა. იქ სულ ერთად ვიყავით, ლუკმას ვიყოფდით, ჩამოსვლის მერე კი... სულ ოთხჯერ შევხვდით ერთმანეთს. ცხოვრებაა, რას იზამ, შენ ინსტიტუტი, მე სამსახური.

ვიხსნებდით ერთმანეთს, ორივეს არაფერი გვიჭირდა. «პრაზდნიკებზე» მოსალოცები, თუ ძაან გაგისკდა სიყვარულის ბუშტი, გადარეკვა, ხანდახან საქმეც თხოვნით, «მიხედე, ჩამოდიან ჩემი ახლობლები, აქეიფე, დაეხმარე ყველაფერში»... საკმარისი იყო თითქოს. ყველა ასეა. სხვადასხვა კი არა, ერთ ქალაქში მაცხოვრებლებიც ვერ ხვდებიან ხშირად, რას იზამ...

ორი თვის წინ, ჩვენი «კომბატი» ჩამოვიდა. გალოთებულა საწყალი, გახსოვს? წვეთს არ სვამდა. რა ვიცი, არ მითხრა რა დაემართა. ცოლსაც გაჰყრია... რაც შემეძლო პატივი ვეცი, ერთად-ერთი ნორმალური კაცი იყო და... შემეცოდა ძალიან... ისე, აქ კი გავახარე. ჯერ წესისამებრ ვაქეიფე. დალიეო, ხვეწნა არ დასჭირვებია როცა დავინახე რა დღეში იყო, შევწყვიტე «ჩვენებური პატივისცემა», სანადიროდ და სათევზაოდ დამყავდა, სულ ფეხით. «აბაროტს» გიღებ-მეთქი, «უჩებნი» გადარბენებისათვის. «პივის» გარდა არაფერს ვასმევდი. კინაღამ ჭკუაზე შეირყა, მაგრამ ცოტა მოვიდა აზრზე.

სულ შენ გახსენებდა, რას შვებაო. ეჰ, არ ვიცოდი. (წელიწადი გავიდა მე კი...) კარგად არის თქვა. დარეკვით, რატომღაც არ დაგირეკეთ, ჩამოსვლას კი ვაპირებდით, მარა რაცხა არ გამოგვივიდა. გაისადაც ჩამოვა, მთლად თუ არ შევარყიე, და განახებ.

ლილი დეიდა ვერ მოვინახულე. შემრცხვა გოგიელა... რა ვქნა არ ვიცი, თვალებს ვერ გავუსწორებ. შენ რომ ჩამოხვალ, მერე თუ შევძლებ თქვენთან მოსვლას.

მერე კი... ისევ საქმე... თვითონ განსაჯე. რამდენიმე «რევოლუციონერი» მყავს. ლაყაფის მეტი არაფერი იცის ნაწილმა. კანტი-კუნტად ჭკვიანებიც ურევია, მით უფრო ვარესი. «ბატკო მახნოსავით» მოქმედებენ, ცოტა ანარქიული ქარი უქრის, რასაც გაჰყვირიან, დასაძრახი არ არის, ყველას თავისი აზრით გაუმარჯოს. მარა, ამდენი ხნის დაშტერებული მოუმზადებელი ხალხი, სწორად გაუგებს? ვერ შევაგნებინე, დემოკრატიასაც სწავლება, მომზადება უნდა. არ შეიძლება ყველაფრის ერთბაშად გადათელვა. მათზე ნაკლებად არ მაწუხებს ბევრი რამ, ჩუმადაც არ ვარ, მარა რა, ყვირილი და ღრიალი რომ დავიწყო, უბედურების მეტს არაფერს მოიტანს. ამყვებიან, ისეთი დრო დადგა, რაც უფრო დიდ სიგიჟისკენ მოუწოდებ, უფრო დაგიჯერებენ, მომზადებულ საზოგადოებაში კი, პირიქით ხდება. მასა ორ დიდ ნაწლილად გაიყო. ერთი, უკვე ვთქვი, მეორეს კი არაფრის შეცვლა არ სურს. ამიტომაც, არც გაჩერება შეიძლება და არც კისრისტეხვით, ბრმა მოძრაობა.

ქარხანა გვაქვს ერთი, გაჩერება გვინდა, ჩვენმა «ექსტრემისტებმა» (გაზეთში გვეძახიან მასე, ძალიანაც მიჰქარავენ, რეკლამა გაგვიკეთეს სულელებმა) ერთი თვის ვადა მისცეს. თუ არა და «ზაბასტოვკა» მთელი რაიონისო. ამით კი საქმეს ჯერჯერობთი მაინც, არ ეშველება უფრო გავამწვავებთ ყველაფერს, კაციშვილი აღარ მოგვისმენს.

თავიდან ერთად ვიყავით. მიტინგებიც საერთო ძალებით მოვაწყვე. ეხლა კი, მხარი რომ არ დავუჭირე მოღალატედ გამომაცხადეს. ერთ რამეზე მტკივა გული, მაშინ გაიგიჟეს თავი თითქოს მხარი რომ დაგვიჭირა რაიონის ხელმძღვანელობამ, (ვნახოთ) წინადადებით რომ შევიდა რესპუბლიკის მთავრობაში, ქარხნის გაუქმებაზე და გაჩერებაზე.

სიტყვა მოგვცეს, ორ თვეში მოუვლით ამ საქმესო. თუ არ გააკეთეს მაშინ სხვა ამბავია. ოღონდ, აქაც გონივრულად გვმართებს მოქმედება. იგივე _ «ზაბასტოვკაც» უნდა მომზადდეს. არავითარ სისულელეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. დროც კარგად არის შესარჩევი.

გაჰყვირიან, გვატყუებენ როგორც ადრე. ვნახოთ კაცო ჯერა, _ ამასაც იძახიან. მთავარია საქმეს ეშველოს, დანარჩენში მერე გავერკვევთ, დრო დაგვანახებს ვინ-ვინ არის.

ლოზუნგი «ზაბასტოვკა» თავისებურად გაიგეს. გუშინ ერთმა აბდალმა (ვიცნობ, ტიციან და გალაქტიონ ტაბიძეებს ვერ არჩევს ერთმანეთისაგან) ფანჯრები ჩაულეწა ქარხნის ადმინსიტრაციულ კორპუსში. მეშინია, ერთი თვის შემდეგ უარესი არ მოხდეს. ერთი გიჟის გულისთვის ხალხი და მილიცია შეიძლება შეეტაკონ, წამოწყებული კარგი საქმე უეცრად არ ჩაკვდეს (მილიციას თავი დავანებოთ, ჯარი არ შემოიყვანონ).

იძახიან ასე ეს «აბდლები»... ჩვენ პირიქით, ასეთ რამეს არ მოვუწოდებთ ვებრძვითო, მაგრამ ძალიან ენერგიული ლოზუნგებით, ხელს უწყობენ ამ სისაძაგლეს, ხალხის ბრბოდ ქცევას... ეს კი საშინელებაა, დიდი ცოდვა, მოჰყვება სისხლის ღვრა. არ არის გამოსავალი, მითუმეტეს დღეს, სიტყვის თქმის და საქმის გაკეთების შანსი რომ გაჩნდა.

ხელმძღვანელობის შიში... სისულელეა. შეიძლება შენს მხარეს გადამიყვანო, აამოქმედო ჭკვიანური

სიტყვით, საქმით. ქარხნის დაცვას კი, როგორღაც შესძლებენ. ვინ მოგვცემს დანგრევის საშუალებას, იძულებამდე არ უნდა მიიყვანო ძალა გამოიყენონ: საბაბი არ უნდა მისცე ეს უნდათ მაგათაც. რეალისტურად შევხედოთ, კაცს ეუბნები, მოდი ყელი გამოგჭრა და დაგმარხო! დაგვნებდება? კაი ბატონო, ჩხუბი გინდა მარა, გაქვს ამის მუსკულები?

არეულობის, სისხლის, ცემა-ტყეპის, დაპატიმრების შემდეგ, ხალხიც აღარ მოგენდობა, დაშინდება, აღარ გამოგყვება... ანდა მთლად გადაირევა და ამოვწყდებით...

მაგათ სხვანაირად, საერთო ძალებით უნდა მოვლა, მე ჩემო გზით, იმათ თავიანთი და ასე... ერთი მიზნის ხალხი არ უნდა გავემიჯნოთ.

თავის მართლებად არ ჩამითვალო, რაც ვთქვი ნამუსს, ეს მესმის, ვერ გამისწორებს, მარა, გიცნობ, გამიგებ მგონი.

ჩემს ადგილას, შენ ორივეს გაკეთებას მოასწრებდი. მე კი ვინ მომცა მაგის ჭკუა და ენერგია. ასე რომ ძამა, ცოტა ჩაწყნარდეს ყველაფერი და ალბათ თვენახევრის მერე გინახულებ.

ბოლოს მინდა გისურვო კარგად ყოფნა, ჯანმრთელობა და რაც შეიძლება მალე გამოსვლა.

გკოცნი, შენი თენგოია!

P.S. წერილი გადავიკითხე, ნახევრად გურული კილოთი დამიწერია, ნახევრად თბილისურად. მეტყობა შენი ხელი, ის წელიწადნახევარი. მექადნებიან «სულ გაფუჭდი, ლაპარაკი დაგავიწყდა შე აბდალაო».

თავი XXVIII

რაც წერილში არ შევიდა

მე და გოგიელამ ჯარში გავიცანით ერთმანეთი, უკრაინაში ვმსახურობდით. «უჩებკის» შემდეგ მოვხვდით ერთად. გაცნობის დღესვე ვნახე რა ბიჭიც იყო. ვიღაც აბდალმა, «დებილმა» გამიხურა, დამარტყა კიდეც. არ დავთმე და გემრიელად «ვხიე». გავუნგრიე ცხვირ-პირი. ღამით «ატბოის» შემდეგ «ობორნიაში» შემიყვანეს საცემად. ოცი კაცი იქნებოდა. პატარა იმედი, მხოლოდ გოგიელასი თუ მექნებოდა. ჯარში, კავკასიელები, მითუმეტეს ქართველები მხარს უჭერენ ერთმანეთს.

თითქმის არ ვიცნობდი, მაგრამ მაინც... ისიც დავკარგე, კარგა ხანს, სანამ ჩხუბი დაიწყებოდა, რომ არ გამომყვა და გამოჩნდა.

ვცდილობდი დარტყმამდე არ მიმეყვანა საქმე. ძაღლის ენა გამოვიბი. თითქოს ვაღწევდი კიდეც მიზანს. ჯარში სიტყვაზე გინების დაყოლება იციან ხოლმე. ვყლაპავდი. დედის ხსენება კი, ვეღარ მოვითმინე, ვწვდი ერთს ყელში, ამას მაინც მოვკლავ, სანამ ჩამქოლავენ-მეთქი. შემდგნენ წიხლებით... უცებ, ვიგრძენი, მომეშვნენ. ვიღაცების ღრიალიც მომესმა. მსხვერპლს შევეშვი. გამოვიხედე, გოგიელას რკინის იატაკისჯოხი დაუთრევია და მთელი ძალით უბაგუნებდა ჩემს მცემელებს. ერთ თავი კინაღამ გადაუხსნა, თმებთან ერთად ჰქონდა კანი ამძვრალი. მეორეს ლოყა გაუხია, კბილები ჩამოუღო. ერთიც კი, ხელმოტეხილი ეგდო...

დაგვიჭირეს, გაუბახტში გვიკრეს თავი. საქმე ალბათ ტრიბუნალს გადაეცემოდა, «კომბატი» რომ არა. გაიგო რაც მოხდა და თუ მაგათ გაასამართლებთ, სხვა მოჩხუბრებიც მიეცით პასუხისგებაშიო. ვიღაც «შიშკის» შვილი ყოფილა მათში, მოგვეშვნენ ამიტომ, თანაც მამაჩემი ჩამოვიდა გულგახეთქილი. ზოგი აქეიფა, ზოგს სასმელი «აჩუქა».

ცოტაა «კომბატისნაირი» იდეალისტები. არაფერი აიღო. მამაჩემს აგრძნობინა, შემეშვი, თორემ მეწყინება, საქმეს გაგიფუჭებო.

თხუთმეტი დღე მაინც ვიყურყუტეთ გაუბახტში, მეტიც მოგვიწევდა, «კომბატს» რომ არ ეშველა. ყოველდღე გვიმატებდნენ, დაუმორჩილებლობისათვის. აქაც მან გამოგვიწოდა დახმარების ხელი და გაგვანთავსუფლა. საქმე რომ შეწყდა, საერთო «კამერაში»გადაგვიყვანეს. «გაუბახტის» კომენდატს აღზრდის თავისებური მეთოდები ჰქონდა, წამება უყვარდა, როგორც უმეტეს ამ თანამდებობის პირს.

რამდენიმე «შაყირი», «გასართობი» მოსწონდა. ზამთარში, გაყინულ საკანში, უშინელოდ, ფეხზე გახდილს დაგაკავებინებდა ხელში წყლით სავსე ტაშტს, დაგიდგამდა სკამს და გახტუნავებდა მის ირგვლივ. თან სიამოვნებით ხითხითებდა, ხელებს იფშვნეტდა.

მეორე ჩვენ გაგვიკეთეს მისვლისთანავე. «ადინოჩკაში» შემოგისხამენ ქლორიან წყალს, მოგცემენ ტილოს და აწმინდეო, _ გიბრძანებენ. რა უნდა ქნა, მოკეტილი კარი, ისედაც დახუთული საკანი, ხომ არ დაიხრჩობ თავს. თუ მოცემულ დროში ვერ აწმენდდი, კონდახებით გცემდნენ. შემდეგ, ისევ გისხამდნენ ქლორიან წყალს...

ზაფხულობით, გაგახდევინებდა ფეხზე და სილაზე გარბენინებდა... ეს «შუტოჩკა», როგორც თვითონ ეძახოდა, შემდგომში გაგვიკეთა. უფრო სწორად მოინდომა, მაგრამ არ დავნებდით, რის გამოც «უმაღლესი ზომა» მოინდომა ჩაეტარებინა...

ტაშტით «ხუმრობა» კი, საერთო საკანში გადაყვანის დღეს «განახორციელა». საღამოხანს მოგვაკითხა და გახეთქილმა მთვრალმა თავის ამფსონებთან ერთად. კარგად მოკალათდნენ სკამებზე «სპექტაკლის» მოლოდინში. «კონვოი» კარებთან დააყენა. სხვა

«საკამერნიკებიც» დაასწრო, გააფრთხილა, ტაში დაუკარით ყოველ ნახტომზეო. ხითხითებდა, თუ დასველდით, რომ გავალთ, მერე პასუხი ამათ მოსთხოვეთო.

გოგიელა, ვითომ, ბედს შეურიგდა. აიღო ტაშტი, ისტერიკულად გადაიხარხარა და წყალი სახეში შეასხა კომენდანტს. მეც მოვასწარი მისი ამფსონის გაწუწვა. მეტის გაკეთება ვეღარ შევძელით, «კანვოიმ» ჩაგვქოლა კონდახებით.

მეორე დღეს, ცალ-ცალკე, ერთკაციან საკანში შეგვაგდეს და «უმაღლესი ზომა» მოგვიწყვეს. კომენდანტის ყველაზე საყვარელი წამების მეთოდი, ეგრეთწოდებული «ლასტოჩკა».

გიკრავენ ხელ-ფეხს, ზურგზე გადაგიბავენ ერთმანეთს, ყელზე ქამარს გადაგიჭებენ და მასაც საერთო ნასკთან ამაგრებენ. ასე ვიყავით ორი საათი მიგდებული, სანამ «კომბატმა» არ გაიგო და გვიშველა.

როგორ გადავრჩით, ეხლაც მიკვირს. ჩვენთან ერთად ერთი ოდესელი ბიჭიც აწამეს. გაგიჟდა საწყალი. გააკომისიავეს. რა თქმა უნდა, პასუხი არავის მოუკითხავს.

«კომბატი» ცდილობდა ამ ძაღლიშვილის საქმეების გამომზეურებას. ვინ ათხოვა ყური... ის კი არადა, ასეთი მცოდნე, გამოცდილი, ოც წელს ნამსახურევი კაცი, მხოლოდ კაპიტნის წოდებას ატარებდა. ადვილი მისახვედრია რატომაც. იმასაც ამბობდნენ, მაგას პატრონი რომ არ ჰყავდეს, _ გენერალი ძმა, დიდი ხანია ჯარიდან გააგდებდნენო. ერთხელ დაუქვეითებიათ კიდეც მაიორობიდან.

ფიცხი კაცი იყო, ნერვებმოშლილი, უსამართლობას ვერ იტანდა და ხშირად მუშტებზე გადადიოდა. ბევრს ეტყობოდა არ უყვრადათ. მეტადრე ჩვენს «კომროტას».

ერთხელ, ვიღაც «ჩასტის» მორიგე პროპორშიკმა, ცემა დაუწყო ჩვენს «ვზვოდილს». ღამით მოეთრა გახეთქილი მთვრალი. «ატბოი» ახალგამოცხადებული იყო. «ტუალეტში» ნახა საწყალი. «პადიომამდე» რატომღაც აკრძალულია იქ შესვლა; ცემა დაუწყო. გოგიელა წამოხტა, მივხვდი, ჩარევას აპირებდა. ვეცი, სხვებიც მოვიშველიე და ძლივს გავაკავეთ. «კომბატს» დავურეკე, იქვე «ჩასტთან» ახლოს ცხოვრობდა. მოვარდა, პროპორშიკი წასული დახვდა. სამარიგეოში წავიდა, ყურით მოათრია. «სტროიში» დაგვაყენა და სასტიკად სცემა ჩვენს თვალწინ.

უჩივლა პროპორშიკმა. ჩვენმა «კომროტამაც» «დაკლადნოი» გააშანშალა, ფაქტებდამახინჯებული. საყვედურს უცხადებდნენ, მაგრამ ისევ ძმამ იხსნა.

გოგიელამ ჰკითხა ერთხელ «კომბატს», რატომ არ სვამ წვეთსაცო. გვიპასუხა «ადრე ხანდახან ვსვამდი, მერე მოვეშვი. ეხლა, ერთხელაც რომ დავლიო, მერე ვეღარ გავჩერდები, გავლოთდები». ისე აგიხდა ყველაფერი...

ვალოდა უბედური... ძალიან შემეცოდა, რა მექნა... გოგიელას შეიძლება უფრო მოევლო, თავისთან დაიტოვებდა, სადმე ჩვენთან მოაწყობდა სამუშაოდ... მე ამის თავი არ მაქვს.

...მართლა ძალიან მრცხვენია, გოგიელას თავზე ამტყდარი უბედურება, წლინახევრის შემდეგ რომ შევიტყვე, რას იზამს, ჯარის მეგობრობა უფრო მეტს გვავალებს, მაგრამ ცხოვრება-ცხოვრება... ჩამოვდივართ, ჩვენს წრეს უბრუნდებით, საქმეებიც ხვავდება ამ ორი წლის განმავლობაში.

მაინც არაფერი არ მამართლებს. გოგიელაც დამნაშავეა. უნდა შეეტყობინებია, მოეწერა. მის ბიჭებსაც ვენდური, არაფერი გამაგებინეს, დაერეკათ მაინც... ლილი დეიდას როგორ გავუსწორო თვალი?!

ჩასვლა მართლა ძალიან მინდა. რა ვქნა არ შემიძლიან, ნაუცბათევად ნახვას აზრი არ აქვს. ტყუიუბრალოდ ნერვების შლაა. შეიძლება ჭკუაზე გადავიდე, ძალა აღარ შემრჩება აქაურობისათვის. ჩემი უმოქმედობა კი არ შეიძლება, ცუდი ამბები დატრიალდება. სხვებსაც შესწევთ უნარი ხალხი დააშოშმინონ, მაგრამ ნამუსთან, საკუთარ სინდისთან მინდა სწორი ვიყო. «მე თუ არავინ?» გოგიელამ შემაჩვია ამ ლოზუნგით ცხოვრებას.

ისე, ძნელ, მაგრამ საინტერესო დროში ვცხოვრობთ. საჭიროა მოქმედება, ქვეყანას სიკეთის მაგივრად, ცუდი რომ არ მოვუტანოთ, არც აჩქარება შეიძლება, წინდაუხედაობა, _ არც გაჩერება და ნელი სვლა. უკან მობრუნების გზა უნდა მოიჭრას რაც მთავარია.

ვნახოთ რა გამოვა. კარგა ხანია ესეთი რწმენა არ მქონია. მარტო მე კი არა, ბევრს. მთელი ჩემი რაიონის ნარკომანები, ამ დღეებში, ერთხელაც არ მინახია «კაიფში» რა დროს მაგ არისო, თვალები გამოახილეს.

ჩვენდა საუბედუროდ, მათში უმეტესობა ის ხალხია, ქვეყანას, ხალხს რომ უნდა ედგას სათავეში, წინ მიუძღვოდეს. ნიჭიერი, მოაზროვნე ბიჭები იღუპებიან, ტყუილისაგან, ურწმენობისაგან ფუჭდებიან. ჩვენში ეს სენი, ვითომ, ასე მწვავედ არ გავრცელდა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ უცხოეთში, უმეტესად დაბალი ინტელექტის მქონე, უმუშევარი, გაუნათლებელი, ზარმაცები ავადდებიან. აქ პირიქით ხდება, რაც დიდი უბედურებაა ქვეყნისთვის.

რას იზამ თვითონვე უნდა მოუაროთ საკუთარ ჭრილობებს. ყველამ, ვისაც სამშობლოზე გული შესტკივა, გოგიელას პრინციპითაა საჭირო ვიმოქმედოთ: «მე თუ არა ვინ!..»

ნეტავი, ხომ არ შეიცვალა «ზონაში». ისევ ისეთი მოუსვენარია, თუ არა?! გაუჭირდება მაგის ხასიათის კაცს ეგეთ ადგილას. «ზონაში» ცოტა უნდა მოტყდე, თავი დახარო, თორემ გაგთელავენ, ცოცხალი ვერ გამოხვალ.

თავი XXIX

ისტორია

ბოლო-ბოლო მაინც «ჩავიწვი». ჩვენს ბარში, შემთხვევით, ბადრი წამოგვადგა თავზე, დამინახეს თუ არა, გაეცინა, მიხვდა რაც დამემართა.

დამალვას აზრი არ ჰქონდა, მოვუყევი ყველაფერი.

მაიას ძმას ბიჭებიც იცნობდნენ, პატივს სცემდნენ. მიდი დაელაპარაკე, შენ თვითონ უთხარი ყველაფერიო, მირჩიეს. დედაჩემსაც ჩაუკრეს, რძალს ელოდეთ ლილი დეიდა, ახლო მომავალშიო. რა მექნა, მასაც ვუთხარი, ვინც მიყვარდა. კარგი ოჯახია და მაიაც მომწონსო, მხოლოდ ეს მითხრა. არადა საკვირველია, დიდი ცნობისმოყვარეობა რომ არ გამოიჩინა, არ მეტიტინა ჩვეულად. სხვა დროს შემიკლავდა, მაშინ კი... ვიცოდი, დედამისთან მეგობრობდა, მაია მართლაც მოსწონდა, მაგრამ, ალბათ რაღაც, გულმა უგრძნო, ინტუიციამ უკარნახა ცუდი ბოლო.

დედამისთან ავუკრძალე ამ თემაზე საუბარი, არ მინდოდა ოფიციალური ჩარევები. ყოველ შემთხვევაში ასე მალე.

ერთხელ, დაგვეზარა ხეტიალი და ბადრისთან ავედით სახლში. მარტო ცხოვრობდა, კონსერვატორიასთან ახლოს...

რატომღაც დაბნეული მეჩვენა. ჩავაცივდი, რა მოგივიდა-მეთქი. არაფერიო მეფიცა. ბოლო-ბოლო მითხრა, ჩვენებმა გაიგეს, რომ გხვდები და მიშლიანო. ელდა მეცა, ამის მეშინოდა ყველაზე მეტად. თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, მოიფიქრე რაიმე, შენ ხომ ჭკვიანი ხარო და ჩამეკრო. დაბნეული ვიყავი, რაღაცას ვბურტყუნებდი დასამშვიდებლად.

ძმის აზრი ვკითხე. ისიც სასტიკი წინააღმდეგიაო. მეწყინა, არასდროს ვყოფილვარ მამუკასთან ცუდ დამოკიდებულებაში. ბავშვობაში, ერთმანეთს ხშირად გამოვდგომივართ ამა თუ იმ საქმეში. არ ველოდი მის ესეთ კატეგორიულ რეაქციას.

მაია კი, ისევ მეხვეწებოდა, გამოსავალი იპოვეო, დაბნეული ვიყავი, ხვალისთვის რაიმეს მოვიაზრებ და მერე ვისაუბროთ-მეთქი.

მთელი ღამე ვიფიქრე, წვეთიც არ მეძინა. ათასი ვარიანტი ავწონ-დავწონე, იმედი არ მქონდა დაკარგული. მეგონა, მჯეროდა მაიას ვუყვარდი და არასდროს დათმობდა ჩემს თავს.

მეორე დღეს, ზუსტად ამითი დავიწყე. ვკითხე, რაც უნდა მომხდარიყო ჩემს მხარეზე თუ იქნებოდა. რა თქმა უნდაო, მიპასუხა, მაშინ მამუკას შევხვდები და კაცურად დაველაპარაკები-მეთქი. იუარა, რაიმე კონფლიქტი არ მოგივიდეთ, თან, მეც მეშინია, მერე არ «გამიხუროსო». მამამისი მენახა, დედამისთან დედაჩემს ესაუბრა, ესეც შევთავაზე. ამაზეც უარი მითხრა. მე თვითონ მოუვლი ყველას, ჩემს ჭკუაზე გადმოვიყვანო. ძალიან ოპტიმისტურად განწყობილი სჩანდა და დავწყნარდი.

რამდენიმე დღის შემდეგ, თითქმის დავიწყებული მქონდა ჩემი გასაჭირი, სახლში დამირეკა, მამუკას უნდა შენი ნახვაო. არ მესიამოვნა. ვიფიქრე, ეტყობა ძალიან მიაწვნენ-მეთქი.

ისევ თეთრი ღამე გავათენე. ვერ ვისვენებდი, მეჩვენებოდა, რომ სახლში ერთი ამბავი დააწიეს, ეჩხუბნენ... აუტანელი იყო ამაზე ფიქრი, ვერაფრით წარმომედგინა... ჩემს თავს ვაგინებდი, მე სახლში ვზივარ არხეინად, ის კი, ალბათ რა საშინელ დღეშია, უჭირს...

მეორე დღეს, საღამო ხანს დანიშნულ დროზე მივედი კონსერვატორიასთან. მამუკამ ხუთი წუთით დააგვიანა. ერთი სიცოცხლე გავათავე მისი მანქანის გამოჩენამდე, არ ვიცოდი რა მეფიქრა. მაიას ლექციები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული. ვეჭვობდი, რომ საერთოდ არ გამოუშვეს.

მივედი, გადავკოცნე. ერთმანეთი მოვიკითხეთ და ორივე გავჩუმდით. საუბარი ვერცერთს ვერ დაგვეწყო. ბოლო-ბოლო, ისევ მე ამოვიდგი ენა. რა აზრი აქვს... იცი, რომ მაია მიყვარს... თავი დამიქნია.

ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, როგორც იყო, მოვუყევი. პირველი დღიდანვე. არც ის გამომიტოვებია დასავიწყებლად, სხვაგან ფლირტი რომ გავაბი, დიდი ხნით რატომ დავიკარგე, კვლავ როგორ შევხვდი, როგორ მიჭირდა, ბოლო-ბოლო როდის გავბედე მაიასთვის ყველაფრის თქმა. გამოვტოვე თამრიკოს «ჩაკვრები», მაიას ხელშეწყობა ჩემი ჭოჭმანის დაძლევაში. გაკვირვება სახეზე მაშინ შევამჩნიეთ, შენს დასაც ვუყვარვარ-მეთქი რომ ვუთხარი.

_ ჩემთვის არაფერი უთქვამს...

_ ალბათ შეეშინდა...

_ არ იცნობ, რა ჯიუტია არ იცი, ვისი უნდა შეშინებოდა... არაფრად მაგდებს!...

_ რა ვიცი, როცა ვუთხარი, მამუკას ვნახავ, დაველაპარაკები-მეთქი, მეშინიაო...

_ გოგიელა, გეუბნები, მაგას არაფრის ეშინია!..

_ ...ერთი კვირის წინ, მშობლებმა გაიგეს, არ უნდათ ჩვენი შეხვედრებიო... მამუკას ველაპარაკე, თუ მაგას გაჰყვები, ჩემი სახელი არ ახსენოო, გითქვამს.

_ რატომ ვიტყოდი? რამდენი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ყოველთვის სიმპატიით ვიყავი განწყობილი, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო... თუ მაგას უნდა...

_ მეც გამიკვირდა... შეხვედრას და ასეთ საუბარს ველოდი, შენგან წინააღმდეგობას კი, არ მეგონა... მაგრამ შეშინებული ჩანდა. რამე მოიფიქრეო... ბადრიც იქ იყო... მეორე დღეს, მე თვითონ გადმოვიყვანე ჩემს ჭკუაზე, არავის ნახვა არ გინდაო...

_ ჰმ, გოგიელა, შენ მაგას არ იცნობ, რა შიში... ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც სურდა... საერთოდ უცნაური ადამიანია... ჩემი ძმაკაცებიც ამას მეუბნებიან. ყველა ვუფრთხილდებით. ისეთი რაიმე ეწყინება.... ვერც კი გაიგებ, რაზე წაგეჩხუბება... ცოლიც გავაფრთხილე, სულ თვალებში ვუყურებთ... იშვიათად ვახვედრებ, მაგის ხასიათი რომ ვიცი... მე, ჩვენებს ყოველთვის, თუ არ ვუჯერებ, ვუსმენ მაინც, ესეთი ტიპი ვარ... მაგას კი... არაფრის გაგონება არ უნდა...

_ მაშინ...

_ ეს სიჯიუტეც ყოველთვის ცუდად მთავრდება, საკუთარ თავს ავნებს... შტერია!... უბრალო რამეზეც კი... დაუკარიო რომ ეტყვიან ვერ დააჯენ ინსტრუმენტთან. მოეშვიო, ვერ მოაცილებ...

ამის გამო სულ დაბოღმილები ჰყავს ჩვენები.

_ ...

_ მაგასაც თუ უყვარხარ, მე რა მაქვს საწინააღმდეგო...

_ რომც არ ვუყვარდე, ნახვას მაინც ვარ დამიშლიდი...

_ არც გიშლი...

_ მაშინ... თქვენ თუ წინააღმდეგი არ ხართ და... არც იქნებით... პირობას ვიძლევი, არავითარ სულელურ ნაბიჯს არ გადავდგამ...

_ რა გაქვს მხედველობაში?..

_ მოტაცება... გაპარვა... თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რატომ უნდა...

_ გოგიელა, რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი?! კარგად გიცნობ, სიმპატიით ვარ განწყობილი, გიჟი, ლოთი და ნარკომანი შენ არა ხარ... ყველაფერი რომ ვთქვა, შენ სანამ არ მოისურვებდი, შეიძლება არც მენახე... მეგონა არ უყვარდი... შენს გრძნობაში მინდოდა დარწმუნება... ისე, იცოდა, ორი წელი ვერ გათხოვდება, სანამ კონსერვატორიას არ დაამთავრებს... ოჯახი, შვილი, სწავლა, ამდენს ერთად ვერ შეძლებს... ვიცი ჩემი მაგალითიდან... მე და ნინომ დამთავრების შემდეგ მოვაწერეთ ხელი... მაიასაც ველაპარაკე... დამთანხმდა... ხოლო, მიყვარსო არ უთქვამს...

_ კარგი ძმაო, ჩამოვა და ნახავ... თუ ხელს არ შემიშლით, მოვიცდი. ყოველ შემთხვევაში, ისე გავაკეთებ, როგორც იტყვის... ძალით, გიჟი ხომ არა ვარ... ისედაც არაფერს ვაკადრებ შეუფერებელს...

_ ამაზე არც მიფიქრია... გიცნობ... არაფერს აკადრებ ცუდს.... უცნაური ადამიანია, ვერ გაიგებ, რას ფიქრობს, რა უნდა... თვითონ ნახავ...

ბოლომდე მაინც ვერ დავუჯერე, არაფერს ვხედავდი მაიაში უცნაურს. არც ის მჯეროდა, არ დაგვიშლიაო. თვალცვრემლიანი მეხვეწებოდა, მოიფიქრე რამეო...

ყოველთვის მეგონა ადამიანში ვერკვეოდი. წარმოუდგენელია, რომ თამაშობდა... ისეთი გამომეტყველება ჰქონდა... ეხლაც არ მჯერა... შეიძლება სიყვარულმა დაბმრავება იცის...

_ ხვალ... უარიც რომ მითხრას, თავს ვერ დავანებებ... სხვასთან... სულ იმას მეუბნებოდნენ, ქალს პატარა გაპრანჭვის საშუალებასაც არ აძლევო. ერთი უარი და ზედაც არ ვუყურებდი. მაიას კი... ჰმ, ესეც ცოდნია... უარიც რომ მითხრას, შეხვედრებს ვერ დამიშლი... კიდევ გეუბნები, არავითარ სისულელეს არ ჩავიდენ... თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, და ხელს არ შეუშლით...

_ ჰმ... ხომ გითხარი, რატომ უნდა ვიყო... არ იცნობ!.. ჩვენებიც... იმაზე მეტი რაც ვუთხარი, არავის უთქვია... რომელი საათია?

_ რვა!

_ აგვიანებს, ავალ ერთი ვნახავ რატომ არ ჩამოდიან.

კონსერვატორიაში შევიდა, მე გარეთ ველოდებოდი. ვიფიქრე მარტო დალაპარაკების საშუალებას მივცემ-მეთქი.

ცოტა მომეშვა გულზე, მაგრამ მაინც მეშინოდა, ყველაფერი რომ დავფქვი. მაიას ოჯახში საქმეს ხომ არ გავუფუჭე?! თუმცა, შეხვედრაზე რომ ვთანხმდებოდით, არაფერი დაუმალოო, მითხრა.

თხუთმეტ წუთში ჩამოვიდა მამუკა. ვერ ვიპოვე, ნაცნობი ვნახეო, მითხრა. ალბათ ლექცია გაუცდათ და წავიდნენო. გაგიყვან სადაც გინდაო და მანქანაზე მანიშნა. ვიუარე. აქვე ვარ მისასვლელი, ფეხით გავივლი-მეთქი. გამოვემშვიდობეთ და წავიდა.

თითქოს გულმა მიგრძნო, ოცი წუთი ისევ იმ ადგილას ვიდექი. რატომღაც, ბოლო-ბოლო კონსერვატორიაში შევედი. მაიას და თამრიკოს შევეფეთე.

თვითონაც შეცბნენ. თამრიკომ სიცილი დაიწყო, გვეგონა შენც გაყევიო, არ მესიამოვნა..

_ მე დამემალეთ?!

_ არა, მამუკას ნახვა არ მინდოდა, _ მიპასუხა მაიამ.

_ რატომ?!

_ დამიწყებდა... ერთად არ მინდოდა მენახეთ... როგორ ჩაიარა?

პასუხის მაგივრად, უბეში ჩამალული ვარდი გავუწოდე.

ეჭვები მღრღნიდა: «ხომ არ ნახა მაია და აუკრძალა ჩემი ნახვა?! მაშინ... მშობლების და ძმის წინააღმდეგ ვერ წავა. მითხრა კიდეც, გაპარვა რომ შევთავაზე. სამუდამოდ დამკარგავენო... ისიც მითხრა, ნუ გეშინია ყველას ჩვენს ჭკუაზე გადმოვიყვანო. ეხლა ნახა, არაფერი გამოდის და დამემალა. სხვას ამ წუთშივე... მივაგდებდი... ვიცი, სწორედ არ ვიქცევი, არ უნდა უღალატოს კაცმა თავის პრინციპებს... წესით თავი უნდა დავანებო... ვერ შევძლებ, მიყვარს, ძალიან მიყვარს... ღმერთო, როგორ გამომაშტერა, ხელში ვყავარ აყვანილი, რა მომდის?! თავი მეზიზღება... ვერაფერს ვშვები... მიყვარს... შეიძლება, მართლა მოერიდა ჩვენი ერთად ნახვა? რას ვამწვავებ ყველაფერს... მთავარია, ვუყვარვარ! ის დღე, თამაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ესე, გამოცდილი მსახიობივით

ვერ გადმოყრიდა ცრემლებს, მაგრამ ძალიან უნებისყოფოა. არ შეუძლია მათი საწინააღმდეგო ერთი ნაბიჯის გადადგმაც. არაფერია, თუ დაუშალეს, მესამე კურსზეა, მეც წელს დავამთავრებ, მუშაობას დავიწყებ, ნახონ სანდო კაცი რომ ვარ, ოჯახის შენახვის თავი მაქვს... თუმცა, «მეშჩანები» არ სჩანან, მაიაც არ ჰყავთ ასე გაზრდილი...

მაშინ.. უმცროსი შვილია, თანაც გოგო, უჭირთ განშორება. შეიძლება მშობლიური ეგოიზმი ამოძრავებთ... ეწინააღმდეგებიან კი?! ეწინააღმდეგებიან, აშკარად ისეა გაზრდილი, ყველაფერს უჯერებს, სულ ეჩვენება რამე თუ არ გაუგონა, დაჰკარაგავენ... დაფიქრდით ალბათ უთხრეს და დაშლად მოეჩვენა. მამუკამაც ხომ ასე მითხრა, არ დაგვიშლია, აწონდაწონა ვთხოვეო!..»

გარეთ გამოვედით. თამრიკოს ტაქსი გავუჩერეთ და სახლისკენ გავუშვით. მე და მაია ჩვენი ბარისაკენ გავუყევით ფეხით.

_ როგორ ჩაიარა?!

_ ყველაფერი როგორც იყო ვუთხარი...

_ სწორედ მოქცეულხარ...

_ არც მე, არც ჩვენები, წინააღმდეგი არ ვართო... საერთოდ არ უთქვამს თუ უყვარხარო...

_ მაგ რომ მეკითხებოდა, ხმას არ ვიღებდი, პასუხს არ ვცემდი... მეშინოდა, არ აეკრძალა... ვეღარ შეგხვდებოდი... ვიფიქრე, ნახავენ, გოგიელა დააჯერებს-მეთქი... დედაჩემმა და მამაჩემმა კი იციან... ველაპარაკე...

_ საერთოდ არავის დაგვიშლია, დაფიქრება ვთხოვეთო... ორი წელი რომ ვერ გათხოვდება, მანამდე კი, უფრო კარგად უნდა გაიცნოთ ერთმანეთი, ამაზე ჰქონდათ მშობლებს საუბარიო.

_ დედაა... ჰმ, შტერად გამომიყვანეს...

_ რა?

_ არაფერი... ყველაფერმა კარგად ჩაიარა...

ვერ გავრკვეულიყავი, რაში იყო საქმე. თან ყველასი მჯეროდა, თან არავისი...

მალე ყველაფერი დამავიწყდა. გამიქრა ეჭვები, ისევ დავრწმუნდი, რომ ვუყვარვარ, არავის დაუთმობს ჩემს თავს. ასეთი თბილი, ნაზი, ლამაზი არასოდროს ყოფილა, როგორც იმ საღამოს. სულ ამომივარდა მამუკასთან შეხვედრის ეპიზოდი თავიდან.

ყოველთვის ათ საათზე შINამდე ვაცილებდი, იმ დღეს თერთმეატისთვის მივაცილე. ისიც, ჩემი ინიციატივით, დრო არც გახსენებია.

მეორე დღეს, თეატრში ვაპირებდით წასვლას, ჩემმა ბიჭებმაც იცოდნენ, პირდაპირ კარებიდან «მოგვხსნეს», რესტორანში მაგიდა გვაქვს შეკვეთილი. გამომყვა, ოღონდაც გამაფრთხილა, სახლში არაფერს ვეტყვიო. სპექტაკლი ნანახი მქონდა და შინაარსი მომაყოლა. ეცინებოდა, შემეტყობა მაინც ტყუილი, გამეღიმება, მაგრამ არა უშავსო.

თითქოს ყველაფერი ნორმალურად აეწყო. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. საღამოობით ვხვდებოდით, ლექციების შემდეგ. ისევ ვარდი, ხეტიალი, ბარი. თუ ეს «მარშრუტი» მოგვბეზრდებოდა, ვინმესთან, ჩემს ახლობელთან გავივლიდით. უბედნიერესი კაცი მეგონა ვიყავი. _ ისევ ერთად ვართ, ვერავინ დაგვაცილებს...

თავი XXXIII

გოგიელას წერილი

დედიკო, როგორ მენატრები დედიკო!.. ყველაფერი კარგადა მაქ, შევეჩვიე აქაურობას, შენი თავი რომ არ მაკლდეს, არაფერი მიჭირს.

მითუმეტეს ახლა, კოლონიის უფროსმა გამომიძახა, ჯემალ ბიძიაზე მკითხა, შენი ვინ არისო. ვუთხარი, ხომ იცი, როგორ ლაქუცი იციან დიდი კაცის. _ ისე მეფერა, თითქოს პატიმარი კი არა, უცნობი, დიდი ხნის უნახავი ძმიშვილი იპოვაო. აქამდეც კარგად მეპყრობოდა, იუარა ბიძიას ხათრით, ასე რომ ჩემზე ნუ იდარდებ.

ბიჭები იყვნენ ეხლახანს, კიდევ მიუტანიათ ჩემი ლექსები რედაქციაში. ძალიან მრცხვენია, ასეთი იდიოტობის დაბეჭდვა. აღარ ჰქნათ-მეთქი, გავაფრთხილე, მაგრამ მაინც არ დაიშალეს თავისი. შეგვპირდნენ დავბეჭდავთო. ვნახოთ, ალბათ გამოსვლის შემდეგ მოხერხდება, შევხედავთ სიტუაციას თუ მართლა მოსწონთ...

შენზე მითხრეს, კარგად არისო. მეშინია, არ მჯერა, ვიცი დედიკონა, რა დღეშიც იქნება. სულ ჩემი ცუდად ყოფნა გელანდება. რაღას ვიზამ, ადრე გაფუჭებულ საქმეს, ეხლა ვეღარ ვშველი.

ჰმ, დედიკონა, ახლა ისევ პოლიტიკაზე უნდა გესაუბრო. უფრო და უფრო გვეტყობა ქარის მიმართულების შეცვლა. მთლად თავაზიანი, ლმობიერი ხდება უფროსობა. ეხლახანს, ისევ ახალი ლოზუნგები ჩამოვიკიდე, ქართულ ენაზე: «ზრდილობა გამოსწორების საწინდარია». «მიწა უნდა იწვოდეს უსაქმურთა ფეხქვეშ». პირველი ადმინისტრაციულთან, მეორე «ცეხის» შენობაში. აწი, ქართულ ენაზეც გამოვსწორდებით და გარდავიქმნებით. სადაცაა «შრომამ შექმნა ადამიანი», ამასაც ჩამოჰკიდებენ ალბათ. ჩვენც ვეცდებით «გაადამიანებას».

თენგო აფხაზავამაც მინახულა. ხომ გახსოვს? ჯარში რომ ვიყავით ერთად. დარცხვენილი იყო, არაფერი ვიცოდიო.

კარგი ბიჭია ძალიან. მომიყვა, თავისთან მაგარი ამბები დაუტრიალებია...

ჩემი ბრალია, არ შევატყობინე არაფერი. საერთოდ იშვიათად ვხვდებოდით. რას იზამ, ცხოვრებამ ასე იცის.

ლილი დეიდას როგორ დავენახო. დავამშვიდე გაგიგებს-მეთქი. მთელი დღე ერთად გავატარეთ «სვიდანიის ოთახში» ანეკდოტებით გამაბრუა. თან ისე მომსპარი ენა აქვს, ის ყვება, რომ იცოდე სასაცილოც არ იყოს, მაინც აჰყვები. ენა არ გაუჩერებია გაბრუებული დავბრუნდი «ზონაში».

ბევრი პოლიტიკურიც მოჰყვა. «პერესტროიკა» _ გადაშენებას ნიშნავსო ქართულად, პირდაპირი თარგმანითო. ჰოდა «ძამა» ყველა «ბიუროს კრეტინი» უნდა გადავაშენოთო. კიდევ, ყველა გურულმა ენების შესწავლა დავიწყეთ ახალი ნიჭი აღმოგვაჩნდაო. მართლა სწავლობს ინგლისურს. უკვე «მაი ბურჟუაზიულ» ენაზე, კარგად ჭარტალებს. «სახალხო დიპლომატი» უნდა გავხდე, «რაცხა» ახალგაზრდული შეხვედრები ეწყობა, მეც მგზავნიან, გონიათ თავიდან მიშორებენო და რომ ჩავალ, ხომ უნდა გავიგო, როგორ «დალპა» ამერიკაო.

ცოლიც მოჰყავს. «რავარც იქნა» მოვატყუე და დამთანხმდა, სანამ დროა ხელი უნდა მოვაწეროო. თორემ «გაიგებს» მერე, შენ რომ გამოხვალ რა დალაგებულიც ვარ, თბილისის კარაქის ტალონივით დამეკარგება, ჩემ ძმამ რომ «მიაპრანტალა საცხა» ისეო.

მეტი რა მრგწერო... შენი ჯანმრთელობის ამბავი მაწუხებს. ხომ იცი ვერ მომატყუებთ, ვგძნობ ყველაფერს!... ჯანმრთელად და კარგად დამხვდი, თორემ... უშენოდ ვერ გავძლებ დედიკონა!..

დამიკოცნე და მომიკითხე: იურა ბიძია, ლარისა დეიდა, ზეინაბ დეიდა, ოთარი ბიძია, გიორგი, ბიჭები, ნათესაობა. ყველას, მაგრა ჩაეხუტე და უთხარი სულ ცოტახანში ჩამოვა, გაგახარებთ თავისი სისულელეებით და მოგეფერებათ-თქო.

შენი სულელი გოგიელა!

გიას წერილებს ვიღებ რეგულარულად. ძალიან მიხარია კარგად რომ აეწყო ყველაფერი. გეცოდინება, თუმცა შენ თვითონ მომწერე, ბავშვისთვის გოგიელა დაურქმევია; ჩემს საპატივცემულოდ, რომ ჩამოვალ, უნდა წავიდეთ, ყველანი დაგვპატიჟა. ჯვარი უნდა დაიწეროს და პატარასაც მოვნათლავ. არა... აშკარად მეჩქარება გამოსვლა, კარგი საქმეები მელის მანდ.

ისევ გკოცნის შენი სულელი გოგიელა!

თავი XXXI

რაც წერილში არ შევიდა

ჩემო დედიკონა, ძალიან მენატრები. ვგიჟდები. ხანდახან მავიწყდება სად ვარ, ძებნას გიწყებ, რაღაცის თქმა მინდა, განდობა. აზრზე რომ მოვდივარ, გული მიკვდება, რა გავაკეთო...

მაია... მაინც მიყვარს დედიკონა. ერთი სული მაქვს სანამ შევხვდები, ვინახულებ... ვიცი, არაფრის ფიქრი აღარ შეიძლება რაც მოხდა იმის შემდეგ, მაგრამ თითქოს ეს შეხვედრა რამეს შეცვლისო, ისეთი შეგრძნება მაქვს...

რაც დრო გადის, უფრო მიჭირს აქაურობის ატანა. ფიზიკურად ყველაფერს შევეჩვიე. თანაც, არაფერი მაკლია. ფული, საჭმელი ასე თუ ისე მაქვს, ბევრი დანატრის ჩემს მდგომარეობას. იურა ბიძიას, მითუმეტეს ეხლა, ჯემალი ბიძიას ჩარევის, გიას «ქსივის» შემდეგ, ყველა, ადმინისტრაცია თუ «შავები», კარგად არიან ჩემთან, მაგრამ მაინც მიჭირს ამ წუმპეში ყოფნა. ოქროს სახლიც რომ გედგეს ჭაობში, მაინც ქვეწარმავლის ცხოვრებით ცხოვრობ, ერთად გიდევთ ბინა.

უფროსობა მართლაც ლმობიერი გახდა. «ზამპოლიტიც» კი ყველის ვაჭარივით მიცინის, როცა დამინახავს. მაგარი ფახი აქვს ჯემალი ბიძიასი. ამის გამო უფრო ვფრთხილობ, რაიმე პროვოკაცია არ მომიწყონ. ეტყობა უნდათ, რომ დაივალონ, ისე ვექცევი, თითქოს, მეშვიდე ცას ვეწიე მათი მოწყალე ღიმილისათვის.

ფული არ გამაგონოო «ზონის» უფროსმა, ისე გავაკეთებთ «უსლოვნის», მოსამართლეს და პროკურორს მე დაველაპარაკებიო. მადლობებს პანტაპუნტით მიცხადებს, თვითონაც და «ატრიადნიკიც». ამდენი საჭიროც არ არის. «ატრიადნიკს» ფულს მაინც ვაძლევ, არ მინდა დავბოღმო, თუმცა, ნაკლებს, თუმანს თითოში. არც ვახტაზე მჭირდება ღრიტინი

და ფულის გადახდა, შენი ჭირიმე ნუ ჩამიწერ «სვიდანიას»-მეთქი. თვითონ არ აფორმებენ, «ზონის» უფროსმა გააფრთხილა ალბათ.

ჰმ, «ქურდები» ისედაც კარგად იყვნენ. ეხლა კი, სულ დატკბნენ. საიდან უნდა იცოდნენ ჯემალ ბიძიას ამბავი. ადმინისტრაციამ ჩააწვეთა. ზოგიერთი მათგანი ვაი ქურდი ჯაჭვით არის გადაბმული «ძაღლობასთან». დარწმუნებული ვარ, მომავალში, მართლა «შავ ზონაში» რომ მოხვდნენ, ყელებს დასჭრიან ესეთებს.

უფრო «მენდნენ» რაღაც-რაღაცებს მიყვებიან, «კარტს მიხსნიან». «სან-ჩასტშიც» შემომთავაზეს გადმოსვლა, ნაცნობი «ზონოვსკის» პირით უარი ვთქვი, ვიცი ხელში ჩაგდება სურთ, დავალება. შედმგომში ჯემალ ბიძიასთან რომ ჩავუწყო რაიმე საქმე...

აქამდე რატომ არ იძახოდა, «ძაღლობას» რატომ არ გააგებინე, შენი ნათლია თუ ესეთი შიშკა იყოო. ჩემი ჩაჯდომის შემდეგ დანიშნეს და არ ვიცოდი-მეთქი. არ დამიჯერეს რა თქმა უნდა, მანამდეც დიდი თანამდებობა ეკავა ჯემალ ბიძიას, მაშინაც შეძლებდა დახმარებას.

მაინც არ მეშვებიან. უნდათ დამიახლოვონ, რამე საქმეში გამახვიონ, ყურიდან-ყურში ვუშვებ ხოლმე მათ ნათქვამს. აშკარა პროვოკაციაზე ვერ მიდიან, ჩათრევა კი სურთ, მაგრამ გიას დიდი ფახი აქვთ, მაგრა ეშინიათ «ცოფიანის».

ერთმა ქურდმა მითხრა: შენი ძმაკაცი მართლაც გიჟია, ცოფიანი, მაგის ხელში მტერი ჩავარდაო. ერთხელ რაღაცის მოყოლა დამიწყო. გიას «გამკეთებლობის დასამტკიცებლად. არ მოვუსმინე, თავს ვუქიცინებდი, არაფერი გამიგია. შევეჩვიე ამას. თითქოს ინტერესით ვუსმენ, სინამდვილეში კი შენს ფიქრში ხარ გართული. მიხვდა, დიდი შებერტყილი ხარო, მითხრა და გაეცინა.

ამ ორი კვირის წინ, ცუდი დღე დაადგათ. ერთი ქურდი მოიყვანეს. მართლა ვიღაც გადარეული. ასეთებს «სტოლიპინებს» ეძახიან, ეტაპზე იხდიან «სროკს». არცერთ «ზონას» არ სურს მიღება.

უბრალოდ ეცვა, ვერც შეადარებ ჩვენებს. ვიღაცას უბრძანა, წადი ქურდები თუ არიან მოიყვანეო. გამოლაგდა ჩვენი «არისტოკრატია». ვინა ხართო, ჰკითხა. ქურდებიო _ უპასუხეს. გაიგიჟა თავი, როგორ თუ ბუშტულაკებზე ბირკები გაქვთ, ატრიადის და ბრიგადის ნომრები გიწერიათო. მერე რა რომ არ მუშაობთო. მათი წესებით ეს მართლაც შეუძლებელია. თავის მართლება დაიწყეს. შენ არ იცი ძმაო, ჩვენთან ეს არის წესიო, უპასუხეს და გაეცალნენ.

შუადღისას მანქანა შემოვიდა პროდუქტებით და დასალევით. დაინახა გაცხოველებული ვაჭრობა რომ მიდიოდა. როგორ «აგულავებთ» «ზონაში» «ბარიგებს», ფულს ხალხზე როგორ აშოვნინებთო. დაუძახა პატიმრებს, მანქანა გადააყირავეთ, რაც გინდათ უფასოდ აიღეთო, ესეც მოიქცნენ.

იმავე დღეს ადმინისტრაციამ ხელი დაავლო და სხვა «ზონას» გაუყენა. არც მათ, არც ჩვენ «ქურდობას» არ აწყობდათ მისი ყოფნა. ვერაფერსაც ვერ უზამდნენ. დიდი ავტორიტეტი აქვს მათ წრეში. ასე რომ კვლავ გზაში გაათენა. შეჩვეულია ამას, არაფერი უჭირს.

ეჰ, მართლა «გავუბერე» რაზე ვფიქრობ, თვითონ გაარკვევენ ურთიერთობას ჩემს გარეშე...

...აღარც ბიჭების ჩამოსვლა მახარებს. არ მინდა ვაგრძნობინო, მაგრამ უფრო მიჭირს მერე. წავლენ, მე ისევ აქ ვრჩები... მეშინია რაიმე სისულელე არ ჩავიდინო. სულ გაქცევა

მიტრიალებს თავში. ისედაც სისულელეა ამის გაკეთება, მითუმეტეს ეხლა ცოტაღა რომ დამრჩა.

ნეტავი შეიძლებოდეს, დავიძინო და განთავისუფლების დღეს გავახილო თვალი. რა ბედნიერება იქნება ახლა ძილქუში.

თენგომ შედარებით აზრზე მომიყვანა. უფრო სწორედ, იმდენი მეჭარტალა, მართლა გამაბრუა. წასვლის შემდეგ, მაინც მომეშალა ნერვები. ვინმე რომ არ გამეგლიჯა, ან სხვა რაიმე სისულელე არ მექნა, ბარაკში შევვარდი და «ნარზე» დავეგდე. თავით ჩავეგდე ბალიშში. ვიტირე ჩუმად, არავის გაუგია, ისე ვიტირე... ყველაფრის გამო... შენ... მაია... ბიჭები, თბილისი... ცრემლები ყველას ეკუთვნოდა, ყველას...

თავი XXXII

წერილი მეგობარს

სალამი ჩემს შაკოს. როგორ გიკითხო, ოჯახი რას შვება, «პუწკიას» ვენაცვალე, ბიჭებმა ჩამომიტანეს სურათი, მთლად დაქალებულა, ძალიან ლამაზი ბავშვია, სამის სულ არ გეგონება. ერთ-ორ წელიწადში ყარაულად უნდა დავუდგეთ, არავინ მოგვტაცოს.

ჩვენი ბავშვობა გამახსენდა. გახსოვს _ სკოლაში დაჭერობანას თამაშისას გაგიცანი. შენ ითვლიდი. წესით, მე მიწევდა დამჭერად ყოფნა. რატომღაც, ისე გააკეთე, სხვაზე დაამთავრე გათვლა. ბევრი იჭიჭყინა, გოგიელამ უნდა დაიჭიროს, მე არა, არასწორად დაამთავრე, შეგეშალაო. არაფერი გამოუვიდა, დაცინვა დაუწყე, რაღაც ისეთი უთხრა ყველანი გააცინე და ამითი «ინციდენტიც» ამოიწურა. ის ლექსიც მახსოვს, გასათვლელი:

«ერთი, ორი, სამი,
სამი კალმისტარი,
არჩევანი ქალი,
ნინო პატარძალი.
ჩავიხედე ჭალაში,
მეფე იჯდა ტალახში.
ალიოშას გაუმარჯოს
ჭყინტი ყველის ჭამაში»...

რამდენი ხანი გავიდა... არ დამვიწყებია მაინც. ალბათ ძალიან ბედნიერი წუთებიდან, არის რაღაც მომენტები, ნაწყვეტები, არასდროს რომ არ გეშლება მეხსიერებიდან.

ნათლიაჩემმა დარეკა, ალბათ გითხრეს ბიჭებმა. მიძვრებიან შობელძაღლები. «ზამპოლიტმა» რაიმე თუ მოგინდეს, აუცილებლად ჩემთან მოდიო. ვირიშვილი ღორი... მკვდრის ფერი ადევს. «პერესტროიკამ» ნარკოტიკები შეუმცირა, უფროსმა შემოტანა აკრძალა, კომისიების ეშინიათ. სხვა რამეზე თავს არ იკლავენ, ისევ ყველაფერი...

ერთი დელეცი მოიყვანეს. ჩააწყო, აბანოს გამგედ დანიშნეს, ყოფილის მაგივრად. ყვლიფავს ხალხს. ვერაფერს ეუბნებიან. «ქურდებთან» და ადმინისტრაციასთან კარგადაა. ერთია, მე უფასოდ მიკეთებს ყველაფერს, გიას იცნობს. სანამ აიყვანდნენ, ექვსი თუ შვიდი თვით ადრე, უნახავს. «ნამიოკი» ჩამირტყა, «გამწუწაო», მეწყინა ძალიან,

ისევ თუ არ ეშვება ძველ ამბებს... დაცოლშვილდა, საქმე გაუჩნდა. რაღა დროის ესეთი რამეებია. შეიძლება იტყუება ეს ღორიშვილი. ანდა, შეიძლება «ქსივის» შემოგდებისათვის, სამაგიერო დახმარება მოითხოვეს... ჩემთვის გააკეთა ყველაფერი. აბანოს ყოფილ უფროსი «უსილენი» რეჟიმის «ზონაში» გადაიყვანეს. გაქცევას ამზადებდნენ, ვიღაცამ «ჩაუშვა», ცემით გააპეს საცოდავები.

ამ ბოლო ხანებში «პარვერკაზე» არ გავყავარ ხოლმე, მაგრამ ამ ამბის შემდეგ დაძაბული სიტუაცია იყო და «ზამპოლიტი» ყველის ვაჭარივით მეღრიჯა, მთხოვა, გავსულყიავი. ოჰ, როგორ ვერ ვიტან მაგ შობელძაღლს. დედაჩემზე, ბიჭებმა მითხრეს, კარგად არისო. ღმერთმა ჰქნას მასე იყოს. გავაწამე საწყალი. ნუთუ ბედნიერების ღირსი არ იყო ეს ქალი... ღმერთო დიდებულო, ცოდვილი ვარ, დიდი ცოდვილი.

მაიაზე თუ რაიმე იცი, მომწერე... გეხვეწები! აღარაფერი მოხდება ჩვენს შორის, მაგრამ მაინც... მაინტერესებს რას შვება... რომც მთხოვოთ თვითონ აღარ მივეკარები... დამიბრუნდა საღი გონება... დავიწყებით კი, მიჭირს, ძნელია ამოიშალო ყველაფერი. მითუმეტეს აქ, გარიყულ, მიგდებულ ადგილას. ბიჭებს მოვეფერე. მათი დანახვა, ასე არასდროს გამხარებია... როგორ დავბერდით... დათოს და ბესოს ჭაღარით აევსოთ თავი. ბადრის და ლევანის ნაოჭები გაუჩნდათ სახეზე. ლეო... დაკაცდა როგორც იქნა. ძალიან შევიცვალეთ, სწრაფად ვიცვლებით... ანდა შეიძლება, ადრე ვერ ვამჩნევდით ამას...

დათომ მითხრა, თენგო აფხაზავას ქორწილში ყოფილხართ, მაგრად «გიგულავიათ», კარგი გოგო მოიყვანა ცოლადო, რაიონის «პოლიტიკური ლიდერი და იმედი». კარგად გამოიყურებოდაო, ღმერთმა გაუმარჯოს, გამსვლელი პაიკი გაგვიხდა... ჭკუა მაინც არ მომატებია. გუშინწინ წერილი მივიღე მისგან. ჩემი მეუღლე სულ კუდში დამსდევს, პირველ ღამეს თუ მოვასწარი მარტო დარჩენა, იმის მერე, სულ დაკავებული ვარ, «გადაშენებით» მაგრამ მგონი, მალე თვითონ ჩამიტარებენ «კაპრემონტს», ანდა ფუნდამენტივით დამმარხავენო მიწაში. მხნედ უჭირავს თავი. ისე კი, ეტყობა უჭირს, ორივე მხრიდან აწვებიან, ორ ცეცხლშუაა. ძალიან ძნელია მასე... მაგრამ საჭიროა.

ახალი აღმასკომის თავმჯდომარე დაგვინიშნეს, ჭკვიანი, გონიერი, პოლიტიკოსია, ვიცნობდი კარგად, მამაჩემის მეგობარია «ვუყვარვარ» და ალბათ მეშველებაო ცოტა. მაგ მხრიდან მაინც «შეარბილებს» დარტყმასო, ვნახოთო... მეშინია რეალობის აღთქმის უნარი არ დაჰკარგოს, ან არ გაანარხისტდეს», «ბატკო მახნოს» როლში არ ვნახოთ, ანდა პირიქით, თვითონ არ გახდეს ბიუროსკრეტინო.

მალხაზამ მანქანა დაამტრიაო, მითხრეს. წამოარტყი ჩემს მაგივრად, როდის ისწავლის ჭკუას, მთვრალი როგორ შეიძლება «რულზე» დაჯდომა. სუფთა პათალოგია, მილიციაში თავისი ფეხით როგორ მივიდა. ატყებდა ვითომ ბიჭი, ჰმ... ცხვირპირდასისხლიანებული, განცხადებას სწერდა, მომპარესო მანქანა. მაცინეს, მეორე დღეს «ვიტრიზვილოვკაში» რომ გაიღვიძა, აღარც ახსოვდა როგორ მოხვდაო იქ, შტერი!

გადაეცი, სანამ ვინმე შემოაკვდება, გაყიდოს თავი «ჯაბახანა» თუ რაიმედ ვარგა და ვინმეს მოატყუებს... ახლის ყიდვა არ გაბედოს მაგ სულელმა. «კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს».

მაგის ლაწირაკის დაბადების დღე მოდის, დედაჩემს გაუარეთ, რაიმე საჩუქარს მოგცემთ და ჩემი სახელით გადაეცით. არ დაგავიწყდეთ იცოდე!

წერილები, მათი წერა და შემდეგ ფიქრი მიმსუბუქებს აქ ყოფნას. გავგიჟდებოდი ამის საშუალება რომ არ მქონდეს. ცოტახანში, ალბათ ისევ ბინდში ჩავეფლობი. მოგწყდებით... დავკარგავ ამ უხილავ, წვრილ ძაფს... შემდეგ...

ეჰ, მთლად გამოვშტერდით, დამიკოცნე ყველა განსაკუთრებით «პუწკია». გაგიმარჯოთ და ჯანმრთელობას გისურვებთ.

შენი ძმა გოგიელა.

P.S. მალხაზის მარტო წამორტყმა არ უშველის, ჩემი სახელით ერთი პანღურიც მიუმატეთ.

ისევ «გკოცნით, გეხვევით და გივარდებით წელში».

თქვენი გოგიელა!

თავი XXXIII

რაც წერილში არ შევიდა

ციდან ეშვებიან წვიმის წვეთები, ჩადიან მიწაში. იქ ერთდებიან. ასე წვეთ-წვეთობით შეგროვილი, საიდანაც პატარა წყარო ამოდის. წყაროებიც სადმე ერთდებიან და ღელეს წარმოქმნიან. ღელეებშიც ერთდებიან და ერთად ეშვებიან ზღვაში, ზღვა ოკეანეს უერთდება და ასე... შემდეგ ყველაფერი ისე ოთრქლდება, ახლიდან იწყება, ისევ წვიმის წვეთები, ისევ წყარო... ასე იყო ყოველთვის, სანამ კაცობრიობა არსებობდა.

წვიმის წვეთი უფრო სუფთა უნდა იყოს, ვიდრე წყარო. წყარო _ ვიდრე ღელე, ღელე _ ვიდრე მდინარე. მდინარეების გადაკვეთისას, ადგილზე, წყალი უფრო მღვრიეა... და რაც უფრო მეტი ერთიანდება, მით უფრო ჭუჭყიანი, ამღვრეულია წყალი. შემდეგ ზღვაში და ოკეანეში ჭუჭყი ილექება, იფილტრება და ისევ... ისევ ყველაფერი ბრუნავს, ტრიალებს.

ბუნების კანონზომიერება დაცული იყო. ყველაფერი ამნაირად მიმდინარეობდა, როგორც აღვწერე. ეხლა კი... ჭუჭყიანმა ჰაერმა, თვით წვიმის წვეთებიც გააბინძურა. ამას ემატება წყაროს, ღელეს, მდინარის, ზღვის ოკეანის, ხელოვნური გაჭუჭყიანება.

საშიშია, ერთხელ შეიძლება დადგეს ისეთი დრო, ოკეანემ ვეღარ გაუძლოს ამდენს და სიცოცხლე შეწყდეს...

...მკვდარი წყალი... ერთხელ, ვნახე ტელევიზორით... ბლანტი, შავი მასა... აღარაფერი ცოცხალი აღარ ბუდობს... არა და სად?! იქ სადაც მეცნიერები ამტკიცებენ, სიცოცხლე წარმოიშვა, (ჩემი აზრით, უფლის შემწეობით) დასაბამი მისცა დედამიწაზე სიცოცხლეს...

ესეა ადამიანებშიც. ბავშვი, მისი გაზრდა, შემდეგ ერთიანობა, უფრო დიდი ერთიანობა და მასა, ზღვა ჭუჭყიანი მასა, რომელსაც თვითგანწმენდის უნარი გააჩნდა ყოველთვის, ეხლა კი...

ბავშვობაშივე მეტნაკლებად, ყველა ვფუჭდებით, ვირყვნებით. ისტორიის მანძილზე, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ვიბინძურებდი სულს. პროგრესს, საუბედუროდ საზიზღარი ნეგატიური მოვლენებიც მოჰქონდა ჩვენში...

ზღვები, ოკეანეები ჯერჯერობით ცოცხალია. ბევრი ღელე, მდინარე კი განადგურდა... დავბინძურდით და ვნადგურდებით ყველა ცალცალკე. როგორც ვთქვი, შეიძლება დადგეს დრო და ისე მოხდეს, რომ ჩვენი ოკეანე, რომელსაც კაცობრიობა ჰქვია, განადგურდეს, მოისპოს. იმიტომ რომ წვიმაც კი... ესე იგი, ისე გამოდის, ადამიანი რაც

უფრო ადრე დატოვებს ამ ქვეყანას... აორთქლება ხომ წყაროდანაც, ღელედენაც ხდება... მაგრამ ესეც განადგურებას ნიშნავს. ამით წვიმა არ სუფთავდება... ატმოსფერო ხომ...

დედამიწის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა ცხოველები ბატონობდნენ, რაც დრო გადიოდა, უფრო განვითარებული ინდივიდები იღებდნენ პრიორიტეტს, ოღონდ უფრო და უფრო ცოტა ხნით... პლანეტა ელოდა გონიერ არსებას, ეს კანონზომიერება რომ დაერღვია...

«შევქმენ ჩემს მაგვარი» _ როგორც უფალმა განაცხადა. ამ ეტაპზე, ჩვენ თუ ამოვწყდით, დედამიწაც აღარ იარსებებს. იმის გამო, რომ გონიერნი ერთად-ერთნი ვართ, ვინც ბუნებრივი გადაშენების საშიშროებას შეგვიძლია ვებრძოლოთ, მაგრამ შესაძლებლობაც გაგვაჩნია, ხელოვნურად, ჩვენი ტვინის მოფიქრებულით, ყველაფერი, მთელი პლანეტა დავანგრიოთ... სული, ბინძური სული ბრმა იარაღად გამოიყენებს გონებას. გახრწნილი კაცის, გახრწნილი საზოგადოების ხელში ტექნიკა, პროგრესი საშინელებაა.

თუ შევძელით გაწმენდა, კაცობრიობა გადარჩება, არადა, ყველანი დავიღუპებით. სწრაფად არის საჭირო მოქმედება. ჭუჭყი დღითი-დღე მატულობს. სანამ არ გადაძლია სიბინძურემ სუფთა დინება, უნდა ვიბრძოლოთ, მოვერიოთ... სულ მალე, გვიანღა იქნება...

ჩვენ თავს თუ არ ვუყურებთ, არ ვინდობთ, სხვებს მაინც რას ვერჩით. ჭიაყელამ, თევზმა, ხემ, ვარდმა რა დააშავა. უფალმა მათ სამართავად, და არა საბატონოდ, დასამონებლად და გასანადგურებლად შეგვქმნათ.

აქაურობა, «ზონა» გადაშენების, მეორედ მოსვლამდე პერიოდის მოდელად წარმომესახება. ყველანი, სულ ყველა, ყელამდე სიბინძურეში ვცურავდი. რაც უნდა ერიდო, მაინც ისვრები. რა მნიშვნელობა აქვს, რაიმე სისაძაგლეს თვითონ თუ არ ჩაიდენ. ვუყურებ, ჩუმად ვარ... ვხვდები, დღითი დღე ვიხრწნებით, აღარ მადარდებს არაფერი, რაც ჩემთან პირადად არ არის დაკავშირებული, კიედვ კარგი, მალე გამოვალ... ჰმ, გამოვალ... ამის გულისთვის... შეიძლება შევძლო გარდატეხა... თუმცა, არ არსებობს, ის რაც მომეკრო, იარად დამრჩება მთელი ცხოვრების მანძილზე... ხორციანად უნდა ამოვიგლიჯო სიბინძურე! უმტკივნეულოდ არაფერი გამოვა! შევძლებ კი?! აქ ხომ თითს არ ვანძრევ, ვითმენ... შეიძლება გვიანღა იყოს, ამოსაგლეჯი კი არა, სუფთა აღარ დამრჩეს არაფერი.

ისევ თქვენ, ჩემი საყვარელი ხალხი თუ მიშველით, კამკამა ნაკადად შემოხვალთ ჩემში, დამილექავთ ბოღმას, ბოროტებას... მაგრამ ვიცი, მთავარი მაინც მე უნდა გავაკეთო, კედელი გავანგრიო და შემოგიერთდეთ, სუფთა წყალთან გავერთიანდე... ვიპოვო და გავერთიანდე!...

ღმერთო დიდებულო, მომეცი ძალა, გიწამო, მივიღო შენი სწავლება, გაგისისხლხორცო, განვიწმინდო, ვთესო სიკეთე, გავხდე მორჩილი, ვებრძოლო ბოროტებას ჩემშიც და სხვაშიც. შევძლო დედაჩემს, მეგობრებს, ნათესავებს, ჩემს ერს, კაცობრიობას რაიმეში გამოვადგე. თავი შევწირო ყოველი სულიერის გასაჭირს, ყველას ცოდვების ტვირთვა მოვინდომო, თვით განწირვა შევძლო... არ მოვითხოვ არც სახელს, არც პატივისცემას. თუ ეს ძალა მომანიჭე, თავისთავად გამოირიცხება თვითგანდიდების სურვილი.

მომეცი ძალა, შემინდე, შემაგნებინე მარადიულობის ნამდვილი ფასი. მომეცი ძალა... შემაგნებინე... შემაგნებინე ძვალში და რბილში... სულში, სულში, რაც მთავარია...

თავი XXXIV

დედის ერთ-ერთი იმ წერილთაგანი, რომელიც...

ჩემო გოგიელა, ძალიან მომენატრე შვილო. ერთი წამით მაინც მომაკვრევინა თვალი, რას აკეთებ, რას ჭამ, როგორ გამოიყურები.

სულ უფრო მიჭირს ცდა, არ ვიცი რა ვქნა, წერილებსაც ამიტომ გწერ იშვიათად; მინდა გნახო და ყველაფერი პირადად გითხრა...

გუშინწინ, იურა ბიძია გამოწერეს საავადმყოფოდან.. კუჭის ოპერაცია გაიკეთა, არ მოგწერე, ვიცოდი ინერვიულებდი... უკვე კარგადაა, არაფერი უჭირს. სამსახურშიც გავიდა. გოგიელას გამოსვლამდე სრულ ფორმაში ვიქნებიო.

რა სასაცილოა, რომ იცოდე. შენი გამოქვეყნებული ლექსები ჰქონდა თან. მთელ საავადმყოფოს ტვინი გამოუჭედა და ზეპირად ასწავლა «სახალხო პოეტად» ვაქციეო, იძახის.

ბიჭები ყოველ დღე მაკითხავენ, თან მყვებიან. მალხაზიმ თავისი გოგონა მოიყვანა, დაბადების დღე ჰქონდა პაწაწუნას. ვიცოდი და მომზადებული დავხვდი. ძალიან ლამაზი კაბა ვაყიდინე ოთარ ბიძიას, «ბაზიდან» გამომიტანა. მაიმუნმა, ნახეთ ლილი ბებომ რა კარგი «შმოტკები» მაჩუქაო. სულ სარკესთან იდგა და იპრანჭებოდა. ამ შაბათს ან კვირას მოიყვანენ და გამახარებენ.

მეტი რა მოგწერო შვილი. ჭკვიანად იყავი, ყველაფერი დაუჯერე უფროსობას, რაიმე შარში არ გაეხვიო.

გკოცნის შენი დედიკონა!

თავი XXXV

რაც დედის წერილში არ შევიდა

ვკვდები შვილო, ძალიან ცუდად ვარ. ეხლახანს ინფარქტი გადავიტანე. გონზე მოვედი, ცოტა მოვღონიერდი თუ არა, წერილების წერას შევუდექი. არაფერი იეჭვიანოს, არ გაგიჟდეს-მეთქი.

მალხაზის პატარა რომ ჰყავდათ, მაშინ დამემართა, გადაირიენ ბიჭები...

ექიმებისაგან გავიგე, დღე და ღამე თავზე მადგნენ თურმე. მორიგეობდნენ. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ეხლაც ვერ გავაგდე სახლებში. ექთანმა მითხრა, ქვემოთ მანქანაში სძინავთო, მაგრამ გაგვაფრთხილეს, ვინიცობა რაიმე მოხდეს, დაგვიძახეთ, ლილი დეიდასთან კი არ წამოგცდეთ ჩვენი აქ ყოფნაო.

მაგათ ვენაცვალე, რომ არ მყავდნენ, რა მეშველებოდა...

იურა ბიძია საავადმყოფოში იწვა, მე რომ ეს აბმავი დამემართა. გამოიქცა, არ გაჩერდა. ისიც და სხვა მეზობლებიც სულ თავს დამტრიალებდნენ.

მამაშენის მეგობრებსაც გააგებინეს ბიჭებმა. ექიმები დამახვიეს, ძალიან დიდ ყურადღებას მაქცევენ. არც წამალი მიჭირს რაიმე...

მაინც მეშინია, არასდროს შემშინებია ასე სიკვდილის, რა გიყო რაიმე რომ დამემართოს, რითი დაგაწყნარო, ხომ გადამერიე მანდ. ანდა გამოსვლის შემდეგ, ვინ შეძლებს შენს ნუგეშს.

გიცნობ რა გადარეული გლოვა, ჩაყოლა იცი... მეშინია არაფერი შეგემთხვეს, ხიფათში არ გაეხვიო.. შვილო, შვილო... ღმერთო, ერთი წუთით, თუ უმისოდ სიკვდილი მიწერია, სულ ერთი წუთით მაინც მამყოფე ჩემი გოგიელას გვერდით... ჩამახუტე, ნანა მამღერე... გემუდარები!...

...შეუწყალე ჩემს ბიჭს, მის ნაშიერს, მის მოდგმას, კეთილმსურველს. მე დამსაჯე, თუ რაიმე ცოდვა აწევს კისერზე... აკმარე უბედურება... გევედრები!..

თავი XXXVI

ისტორია

ერთი კვირა იყო გასული მამუკასთან შეხვედრის შემდეგ. ორშაბათი დღე იდგა. ჩვეულებისამებრ, ლექციების შემდეგ მივედი ექვს საათზე. რვის ნახევარზე უთავდებოდა, მაგრამ ბოლო ორს ყოველთვის აცდენდა. ხანდახან ჩემნაირად, საერთოდ არ მიდიოდა ინსტიტუტში. მაშინ დილიდანვე ერთად ვიყავით.

თამრიკო დამხვდა, მაია არ მოვაო დღეს. დამაბარა აღარ ღირსო ჩვენი შეხვედრები. ელდასავით მეცა, ვერ დავიჯერე. ტელეფონავტომატით დავრეკე. რაც გადმოგცა, სწორიაო...

მაინც არ მოვეშვი. ხვალ ვნახოთ-მეთქი ერთმანეთი. დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია. ცოტა წაიჭოჭმანა და დამთანხმდა.

სამ საათზე შევხვდით კონსერვატორიასთან. ვარდი გავუწოდე... აიღო...

_ ბევრი ვიფიქრე და... არ მიყვარხარ...

_ აკი... მატყუებდი?!

_ დავფიქრდი...

_ ეტყობა შენთვის ბევრი ფიქრი არ შეიძლება!.. მიუჩვეველი ხარ... ხომ არ თამაშობდი...

_ არა...

_ როცა მხვდებოდი, ხომ გსიამოვნებდა?!

_ კი...

_ ეხლა?! შეიცვალა რაიმე?!

_ მამაჩემი მელაპარაკა... დავფიქრდი... არ ვიცი მიყვარხარ, თუ არა... უფრო სწორედ, კარგი ადამიანი ხარ, მსიამოვნებს როდესაც გხვდები... მიხარია, მაგრამ არა მგონია, მიყვარდე...

_ არ მესმის...

_ მამა მელაპარაკა, გაბრაზებულმა მითხრა, ან თქვი მიყვარს, ან არაო... ჩამაცივდა... შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო... ოღონდ ეხლავეო. ტყუილუბრალოდ შეხვედრებს რა

აზრი აქვსო... მეც... მერე რაიმე მოხდეს?! არაფერი თუ არ გამოგვივიდა, დავცილდეთ, ჩემი ბრალი იქნება...

_ გათხოვებას საერთოდ არ აპირებ?!

_ ალბათ კი...

_ ხომ შეიძლება სხვასთანაც არ გამოგივიდეს... ისე, რომ არავის არ გავატან შენს თავს, ოთხმოც წლამდე მოგიწევს, ჩემს სიკვდილამდე...

_ ჰმ, მაშინ იმათი ბრალი იქნება... მე ხომ აღარ დამაბრალებენ.

კინაღამ გული გამისკდა, ნერვები დამეძაბა. ალბათ გადარეულს ვგავდი. სიტუაციის სწრაფი გაანალიზება დავიწყე: «ღმერთო... რა მიქნა, როგორ მაშტერებს... როგორი უნებისყოფოა, მამის კალთას მიბმული. წესით, ეხლა უნდა გავიცინო. ისე, თითქოს არაფერი მომხდარაო, არ მენაღვლებაო და წავიდე... ვერ შევძლებ, თუ აღარ ვნახე, გავგიჟდები... ღმერთო... ვინ დაიჯერებს, ასე რომ გამომაშტერა... როგორმე უნდა დავითანხმო შეხვედრებზე, თუნდაც მცირე ხნით...

_ ესე უცებდ როგორ შეიძლება!..

_ სიტყვა მივეცი, ვერ მოვატყუებ...

_ ნურსად გამომყვები, მხოლოდ, ლექციების შემდეგ მოვალ და სახლში გაგაცილებ... ეს მაინც ხომ შეიძლება... კიდევ დაფიქრდები...

თავიდან იუარა, მაგრამ პატარა ჭოჭმანის შემდეგ დამთანხმდა. იმ დღეს არსად არ გამომყვა. პირდაპირ სახლში მივაცილე.

შემდგომში... ისევ და ისევ ვრწმუნდებოდი რომ ვუყვარვარ. ყოველ დღე ვხვდებოდით. ათის მაგივრად, თეთრმეტზე მიმყავდა სახლში. ტელეფონით საათობით ვსაუბრობდით. აქამდე, შეხვედრის დროის დასათქმელად თუ დავრეკავდი, ეხლა კი...

თამრიკოს «კომუტატორი» დავარქვი. ჯერ მას ვურეკავდი. ვთხოვდი, გადმორეკოს-მეთქი. შემდეგ კი ველოდი. დიდი ხნის ცდა არ იყო საჭირო, სულ რაღაც ხუთი-ათი წუთი, მაგრამ უსასრულობად წარმომესახებოდა ეს დრო.

«ნუთუ არ დარეკავს? ნუთუ... ნუთუ?! ნუთუ?! თავი მისკდებოდა გული მიწუხდა, გიჟს ვგავდი, არ ვიცოდი რა მექნა...

დრო გადიოდა, თითქოს ყველაფერი ისევ ძველებურად მიმდინარეობდა შეხვედრები, ვარდი, ხეტიალი, ტელეფონი... კითხვაზე, ჩემთვის ყველაზე საჭირბოროტო კითხვაზე კი, ვიღებდი პასუხს _ არა...

დედა სოფელში გაემგზავრა ერთი თვით, დეიდაჩემთან. ისე დაემთხვა, მაიაც ავად გახდა. სულ შინ გამოვიკეტე. ტელეფონის ზარის მეტი არაფერი მიხაროდა... საათობით ვსაუბრობდით, მოწყენილი იყო. ვუყვებოდი ათასგვარ ისტორიას, ვუკითხავდი ლექსებს,

სხვისას, საკუთარს... მოსწონდა, ანდა მაჩვენებდა, რომ ვითომ მოსწონდა ოღონდ დაერეკა და მეც არ ვერიდებოდი ჩემი უნიჭო «ქმნილების» განდობას, რომც დაეცინა, მაინც მოვითმენდი, მხოლოდ მას მოვუთმენდი...

თუ ვინმე შევიდოდა მის ოთახში, უცებ ვიქცეოდი ლელად, თამრიკოდ, ნანად... ღამ-ღამობით კი, ჩუმად მეჩურჩულებოდა, ხმა არავის რომ არ გაეგო, რაიმე ფაჩუნზე უეცრად კიდებდა და ისევ მირეკავდა... მირეკავდა, მირეკავდა... დილის ხუთამდე, ექვსამდე, შვიდამდე: ვლაქლაქებდით.

ბიჭები გადამერიენ. ასეთი არავის უნახიხარ, სახლში გამოკეტილი, გამოთიშულიო. მათ საუბარში საერთოდ არ ვერთვებოდი. მხოლოდ ტელეფონი, ზარზე ვფხიზლდებოდი, თვალები მენთებოდა... ცოტა აზრზე მოდიო ჩამჩიჩინებდნენ.

დედაჩემის დაბადების დღე იყო კვირის ბოლოს. სულ მთლად გაგიჟდნენ სოფელში არ მივდივარ-მეთქი, რომ ვთქვი. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი რა შორსაც, პრაქტიკაზე, ყამირზე, ჯარში _ ორივე წელს შვებულება «გავაკეთე» და პირადად ვულოცავდი დედას, აუცილებლად შინდისფერი ვარდების თაიგულით. ახალგაზრდობაში, მამას უყვარდა თურმე მათი მირთმევა... მაშინ კი, ერთი დღითაც არ ჩავედი...

კვირისთვის თუ გამოჯანმრთელდებოდა და შესძლებდა სახლიდან გამოსვლას, _ ვკითხე. დედაჩემის დაბადების დღეა. ჩემთან «ვიშარაფოთ», დაუსწრებლად გადავუხადოთ-მეთქი. დამთანხმდა, სიამოვნებით დამთანხმდა.

ბიჭებს გახარებულმა მოვახსენე! _ მოვა, კვირას მოვა, ლილის დაბადების დღეს ვიხდით, ვშარაფობთ!..

_ ჰოდა, რაღას ნერვიულობ, ხომ ხედავთ, რომ უყვარხარ, _ მითხრა შაკომ.

_ «იეს», იეს»...

_ ბოლო-ბოლო რას აპირებ?!

_ «შარაფს»!

_ არა მართლა...

_ ...არ ვიცი, ყველაფერი მარწმუნებს, რომ ვუყვარვარ... მარტო შეცოდების გამო რომ მხვდებოდეს, მიმაცილებინებდა ინსტიტუტიდან სახლამდე და... ანდა დილის ექვს, შვიდ საათამდე არ დამელაპარაკებოდა... ვინმე რომ შემოდის კი...

_ მერე?..

_ ვინმე რომ შემოდის ოთახში, _ ვიქცევი ლალიდ, მაკად... ღამით...

_ ჰოდა, მერე?.. ვიცით კაცო, ... მერე რას აპირებ... ვეღარ მოითმინა და ეხლა დათომ გამაწყვეტინა.

_ შეცოდებით, თხუთმეტი წუთით, მესმის... თუ შარაფში ამოვიდა... სოფელი უნდა შევუკვეთო, დავრეკო... სუფრაზე რომ დავსხდებით. იმ დროისათვის... ლილისაც თუ დაელაპარაკა, მიულოცა, არ დამალა ჩემთან რომ არის, ესე იგი მართლა ვუყვარვარ და მშობლების ეშინია... კალთას არის მიჯაჭვული... ჰგონია დაჰკარგავენ, თუ გამომყვა...

_ შაკო, გენაცვალოს, ჰოოოდა?..

_ წყნარად!

_ ჰოდა კიდევ «გენაცვალოი» შაკო...

_ შეიძლება გადავწყვიტო, თუ ყველაფერი აეწყო მოვიტაცებ... მამაპაპური წესით, ჰმ...

_ კვლავ «გენაცვალოი» შაკო... ე რა მოტაცებაა... ადრე ცხენზედა შააგდებდნენ, უნდოდა, არ უნდოდა, ვინაი ეკითხებოდა... ეხლა კი, ვიცით უყვარხარ, მშობლების ეშინია... ჩავსვამთ კაი «ჟიგულში»...

_ ნუ ანგლობ!.. გაღიზიანებულმა შევაწყვეტინე.

_ უყვარხარ, მშობლების ერიდება, დაკარგვის ეშინია... რა ვიცი... შენს ასეთ სიგიჟეს, მართლა ჯობია... მოკვდები შე უპატრონო! ერთი კვირაც თუ ასე იყავი... მართალია ცოტა გონება ჩამორჩენილებივითა ვიქცევით მაგრამ...

_ ...მამუკამაც არ შემისრულა დანაპირები... მაინც «უხურებენ» ასე რომ თუ გადავწყვიტე, ნამუსიც სუფთა მექნება. ბადრი ჩაგვერთო _ გოგიელა, შესთავაზე ცოლად

გამოყოლა, დასავლეთისაკენ «დავუბეროთ» ბებოსთან, თუ არ დაგთანხმდა, რომ ჩავალთ, გიჟი ხომ არა ხარ... ძალას არ გამოიყენებ და არაფერი... რომც ქნა ეს, რა აზრი აქვს, თუ არ უნდა, «ზაგსში» თოკით მიბმულს ხომ ვერ მოიყვან... ციხეში გიკრავენ თავს...

_ ამას, არა კი არა, ვერც გავაკეთებ... თუ არ ვუყვარვარ, რა აზრი აქვს, თოკითაც რომ... არა მგონია, გზაში არ მოტყდეს, მოლბეს... მართლა შეცოდების გამო ხომ არ მხვდება... მხოლოდ ჩემი «იდიოტური» ლექსები მოსწონს?

_ ჰმ, მაგათ გამო გითხრა უარი, მიხვდა რა დარტყმული, კრეტინიც ხარ... მომისმინე, თუ გადაწყვიტე... გზაში დაიწყებს ცოტა გაწელვას, კივილ-წივილი არა მგონია, რომ მორთოს... შეიძლება «გაგებუტოს» ან გითხრას: «მოაბრუნე, რა აზრი აქვს, მაინც არ გამოგყვები»... არაფრით არ შეიძლება გზიდან დაბრუნება... საერთოდ დაგკარგავ!.. თუ ბოლო-ბოლო, არ დაგთანხმდება... რაც დაწმუნებული ვარ, არ მოხდება, მოვიყვანთ ფოსტაში, ან ახლიდან დავარეკინებთ... _ ისევ

ჩაგვერთო დათო.

_ მესმის... მგონი უნდა დამთანხმდეს...

_ შაკო გენაცალოი, მერე ჩამოვალთ, ლილი დეიდაცა ნახავს იმათა, მაიაც შენს ჭკუაზედ იქნება, შევრიგდებით, ვიქეიფებთ... მე მხოლოდ კახურ, ტანინიან ღვინოს ვსვამ ამ ბოლო ხანებში, იცოდე!

გეგმის შედგენაზე ბევრი ვიყაყანეთ. ბოლო-ბოლო, როგორც იქნა შევთანხმდით. უნდა შევკრებილიყავით რაც შეიძლება ადრე, გზაში ღამეს რომ არ მოესწრო. მე წინასწარ, მაიასთვის, რაღაც მაგარი ფილმები გადის «დომკინოში» ორი მოსაწვევი ვიშოვე, თუ სიტუაცია არ მოგვეწონა, საღამოს იქ წავიდეთ-მეთქი, უნდა მეთქვა.

ესე იგი დავსხდებოდით სუფრასთან, ასე პირველი, საათისათვის, წინასწარ 07-ში, ხუთისათვის შეუკვეთავდი სოფელს. თუ მაია დედაჩემს დაელაპარაკებოდა, ერთმანეთშიც კარგად ვიქნებოდით. გამბედაობა მეყოფოდა, ექვსის თხუთმეტ წუთზე უნდა მეთქვა, დასალევი გათავდა-მეთქი. დათო და ბადრი თავს მოიმთვრალებდნენ, ატეხდნენ გნიასს, რა დროის მაგაა, ქეიფს ეხლა ვიწყებთო. შემდეგ, ვითომ ღვინის საყიდლად წავიდოდნენ. მე როგორც ფხიზელს «გამიტყდებოდა» მთვრალ ხალხთან ყოფნა, ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ, უნდა შემეთავაზებინა თამრიკოს გაცილება და კინოში წასვლა. მანქანის მარშრუტიც ზუსტად დავადგინეთ. მიცილების შემდეგ, «გზად კინოსკენ» ერთ-ერთ «სვეტაფორთან» შემთხვევით დათოს და ბადრის შევეჩეხებოდით, დასალევით ხელში. ვითომცდა სახლში რომ არ მნახეს, ბადრის მამიდასთან მიდიოდნენ გასაგრძელებლად. ჩაგვიხტებოდნენ მანქანაში, დაგვიწყებდნენ «ჩხუბს», სად გაქრითო. ბადრი იტყოდა: არ ვიცი არაფერი, მამიდაჩემთან მივდივართ ყველა. მაია როგორც ყოველთვის დამთანხმდებოდა. ასე უნდა გავცილებულიყავით თბილისს (გვეშინოდა, ქალაქში მილიციას ეჭვი არ აეღო).

მართლაც, ყველაფერი თითქმის ასე აეწყო. პატარა კორექტივა მოხდა, პირველის ნახევრის მაგივრად, სამზე შევხვდით მაიას და თამრიკოს, დაიგვიანეს. გული კინაღამ გამისკდა. დავურეკე, ყურმილს არავინ იღებდა... ერთი საათის შემდეგ ისე გადავრეკე. მაიამ მიპასუხა. მითხრა, _ თამრიკოს დააგვიანდა ჩემთან მოსვლა და ეხლავე გამოვდივართო. ვიფიქრე, კიდევ კარგი სეანსი რომელზე «იწყება» არ ვუთხარი... შესაბამისად, გასვლაც დავაგვიანეთ, მარტო ერთ ფილმს დავესწრებით-მეთქი, შევპირდი. სახლში ხომ არ დაგაგვიანებ-მეთქი.

აღუწერელია რა დღეში ვიყავი კვირამდე. მოუთმენლობისაგან არ ვიცოდი რა მექნა. თან მეშინოდა, არაფერი წამომცდენოდა საუბრისას.

შაბათს ბაზარში ვიყავი, ვიყიდე რაც საჭირო იყო. მაიას ჩირი, თხილი და ტყლაპი უყვარს. N რაოდენობით შევისყიდე... მთელი ღამე «პოვრობდნენ» დათო და ბადრი. მე არაფრის გაკეთების თავი არ მქონდა, ყველაფერი ხელიდან მიცვივდებოდა. საშინლად ვნერვიულობდი.

მეფური სუფრა გავშალეთ. მთელი ჩვენი შესაძლებლობა მოვახმარეთ დიზაინს. სანთლები ვიყიდეთ და შუქი ჩავაქრე, ჰმ, ინტიმური ატმოსფერო შევქმენი...

თავი XXXVII

გოგიელას სიზმრებიდან

_ აადაამ?.. ადამ, იგემე ნაყოფი, ძალიან გემრიელი ჩანს. გველმა მითხრა, რომ...

_ არა! არ მიყვარს ვაშლი!

_ სასარგებლოა... თან სულ სხვანაირია, ისეთი არაა, შენ რომ არ გიყვარს.

....აადაამ... ააიიღეეე...

_ არ მიყვარს მეთქი!.. თანაც, გითხრეს!..

_ ყველაფერს სხვას უჯერებ, სხვის ჭკუაზე დადიხარ!.. იიი...

_ რა გატირებს ქალო, ეხლახან მღეროდი...

_ გაქრი აქედან! ქალო კი არა, ქალიშვილო... ააიიი...

_ ეჰ...

_ მართალი იყო დედაჩემი...

_ ვინ?!

_ დე-დაჩემი...

_ შეიშალე?.. ხომ არ დაგავიწყდა, ჩემი ნეკნისაგან რომ ხარ გაკეთებული...

_ ...(?!)

_ ვინ არის მეთქი, დედაშენი!!!

_... ვვ-ისაც უ-უნდა დავუჯერო... არ ვიცი...

მოდი ნაყოფი ვჭამოთ და გავიგებთ...

_ უჰ, მოდი... ისე, როგორ არ მიყვარს... ატამი აჯობებდა... ააფ, რა გემრიელია!.. გემრიელია ხომ იცი, ა?!

_ გეუბნებოდი...

_ კიდევ მომეცი...

_ არა!

_ რატომ?!

_ იმიტომ რომ არ მიყვარხარ!

_ მე რა ვქნა?! მე რომ... ნაყოფი ხომ...

_ ა-რა! არ მიყვარხარ და მორჩა!!!

_ ვერ გავიგე... ნაყოფი ხომ, შენ მომაწოდე...

_ ეხლა, დავფიქრდი...

_ გაგიჭირდება მარტო... უფლის სამსჯავროზე, ჯობია ერთად წარვსდგეთ.

_ არა!

_ მიყვარხარ, გესმის?! რას მიშვები...

_ ჰმ...

_ მოგკლავ!..

_ თითსაც ვერ დამაკარებ!

_ კარგი წავალ, მაგრამ ინანებ...

_... ეჰეე... წავიდა... მორჩა... არაფერია, ნეკნის შეცვლა შეიძლება, ხელოვნურსაც გაიკეთებს ადამიანი, თუ საჭირო გახდა.

ადამი: რისი გულისთვის შევჭამე ნაყოფი?! ღირდეს მაინც... ცოდვა ჩავიდინე, უფალს არ დავუჯერე... აღარ მექნება პატიება... ვერ გავამართლე უფლის იმედი... არადა, ვისთვის?!

თავი XXXVIII

ისტორია

მანქანაში მომზადებული მქონდა მაიას საყვარელი ხილით სავსე პაკეტი, შამპანურები, იასამნისფერი ვარდების დიდი თაიგული.

თბილისიდან გასვლის ერთი საათის შემდეგ, გზის მეოთხედი უკვე გავლილი გვქონდა, ასეთ შორს თუ ცხოვრობს ბადრის მამიდა, სახლში დროზე დავბრუნდეთ, ვერ მოვასწრებთო, იეჭვიანა, მიხვდა რასაც ვაპირებდით. «ბარდაჩოკი» გავხსენი, თაიგული მივართვი და გამოვაცხადე «მოტაცებული» ხარ-მეთქი. ჯერ გაიცინა, ხომ არ გაგიჟდიო. მერე გაჯიქდა, ახლავე უკან დამაბრუნეთო. შემდეგ, დროებით ისევ ფერებაზე გადავიდა:

_ გოგიელა, ჩემო გოგიელა, ხომ იცი, მიყვარხარ, მაგრამ ჩემებს ამას ვერ გავუკეთებ. სანამ დროა დავბრუნდეთ, დავივიწყებ ამ ამბავს, ისევ შეგხვდები...

_ რომ დავბრუნდეთ, სამუდამოდ დაგკარგავ...

_ არა, ჩემო გოგიელა, თუ არ დავბრუნდით, მაშინ დამკარგავ... არ გამოგყვები, იცოდე!.. მერე უკვე, რომც მინდოდეს, ვერ შეგხვდები...

ვიუარე... მაგრამ მივხვდი, მორჩა! გათავდა ყველაფერი, არ გამომყვება მაგრამ... უკან თუ დავბრუნდით, დავკარგავ, სამუდამოდ დავკარგავ... ქუთაისამდე კი... კიდევ ორსაათნახევარია... ვინ იცის...

რა არ მითხრა, მთათხა, ვაჟკაცობა, ქართველობა შემიგინა. ვის ვაპატიებდი ამას, ვინ გამიბედავდა. დედამიწის ზურგზე არავინ მეგულებოდა ესეთი ადამიანი, ამ სიტყვებს რომ შევარჩენდი... მაიას გარდა... ამას ყველაფერს ყვირილის, ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებდა. აზრი არა აქვს წივილ-კივილსო გამოაცხადა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ბადრიმ იწინასწარმეტყველა, ოღონდ ერთი განსხვავებით, უარი მტკიცე კატეგორიული აღმოჩნდა... ჩემთან რომ ვერაფერს გახდა, ბიჭებს მიუბრუნდა. დამაბრუნეთო _ შეეხვეწა. აქაც უარი მიიღო. შაკომ იხუმრა, გოგიელას ჩემხელა «ფიშტო» აქვს, ყველას წაგვაწვენს, გვეშინიაო. ისევ მე მომიტრიალდა. იარაღი მაჩვენეო. გამეცინა, სიმწრისაგან გამეცინა.

მართლა დიდი სიამოვნება იქნებოდა იმ წუთს იარაღის ქონა. ისე ვიყავი გაგიჟებული, გამოშტერებული, არც დავფიქრდებოდი, ტყვიას შუბლში ვიხლიდი...

როგორც ადრე შევთანხმდით, ბიჭები შეჰპირდნენ დაგარეკინებთო. მე ვითომცდა სასტიკი «პროტესტი» გამოვთქვი ამის გამო. დაპირებამ ცოტა დააწყნარა. ჩემი სიტყვებისათვის თითქოს ყურადღებაც არ მიუქცევია. საერთოდ აღარ მცემდა ხმას, გამებუტა.

არ ვიცოდი, როგორ გამება საუბარი. სისულელეები წამოვროშე. ვინც მოვა შენს წასართმევად, მოვკლავ-მეთქი.

_ მამუკასაც მოჰკლავ?! გეკითხები, მამუკასაც?! რას გაჩუმებულხარ?!

_ არა... წავიჩურჩულე.

_ მშობლებს მომიკლავ?!

თავი გავაქნიე, ვიცოდი, ამის გამკეთებელი არ ვიყავი. ვის რას ვერჩოდი. საკუთარი თავი მეზიზღებოდა. მუქარა კი... დაუფიქრებლად, სასოწარკვეთილი კაცის ნასროლი სიტყვები იყო... ოჰ, როგორ ვერ ვიტანდი საკუთარ თავს... ღმერთო... საღი გონება, რეალისტური ხედვა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოდი განწირული «კამიკაძესავით» მომზადებული. შეგვეხვეწა, ფოსტაში მიმიყვანეთო. ბიჭებს «დავუცაცხანე» არ ჰქნათ-მეთქი, სინამდვილეში კი ვანიშნე, რასაც ამბობდა, ის გაეკეთებინათ.

გიჟივით გადახტა მანქანიდან. ავტომატები არ მუშაობდნენ. მორიგე ტელეფონისტ ქალს ეცა, თბილისში სასწრაფოდ დამარეკინეთო. ვიცოდი დააკავშირებდნენ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პასუხისმგებლობის შეეშინდებოდათ, მაგრამ მაინც ვთხოვე: ცოტახანი მოიცადეთ, ნახევარი საათი, შეიძლება დაწყნარდეს-მეთქი.

ბოლო მცდელობა გავაკეთე. ღმერთო... როგორ ვეხვეწებოდი... მძაგს, მეზიზღება თავი... ვუთხარი: ვინმეს ასე რომ ვუყვარდე, როგორც მე, მახინჯი, გიჟი, ავადმყოფიც რომ იყოს, მაინც შევიყვარებდი... შევიცოდებდი მაინც...

...როგორ შეიძლება ამ დონემდე დასვლა, ასე გაგიჟება...

იმედი გადამეწურა. ფოსტიდან გამოვედი, ხელი რომ არ შემეშალა. თხუთმეტ წუთში მილიცია მოვარდა. ჩემი გამოსვლის შემდეგ დაურეკია მაიას. პროფესიონალი ბანდიტებივით დაგვკოჭეს და ისე ჩაგვყარეს მანქანაში. განყოფილებაში თავიდან უხეშად გვესაუბრებოდნენ. ბოლო-ბოლო, ვთქვი რაშიც იყო საქმე. გაეღიმათ, გულზე მოეშვათ. ისე გველაპარაკა, თითქოს მკვლელების ხელში მოხვდაო _ გვითხრეს. თუ ფოსტაში აპირებდით მიყვანას, საშუალებას აძლევდით ჩვენთან დაერეკა, ამხელა გზა რა საჭირო იყო, იქვე ჩაბარებულიყავითო, თბილისშიო.

არსად, არასოდეს მინახავს ასე კეთილგანწყობილი სამართლის დამცველები. ბავშვობიდან, როგორც ყველა, «ძაღლობას» ვუწოდებდი ამ პროფესიის ხალხს. ვიცოდი, გამეგო რა საშინელებებიც ხდებოდა ხოლმე მილიციაში. მოულოდნელი იყო ყველაფერი. ეწყინათ კიდეც, შაკომ ფულზე რომ დაუწყო საუბარი. მეორეჯერ არ წამოგცდესო. საკვირველია... მაშინ მეგონა საკვირველი, ყველგან არის ცუდი და კარგი კაცი, ყველა წრეში, პროფესიაში. უბრალოდ, მათი სიგლახე უფრო ჩანს, მეტ ზიანს, მორალურს თუ ფიზიკურს, აყენებს საზოგადოებას. სასიხარულოა, როდესაც ხედავ, კვლავ არიან კეთილი, ზრდილობიანი ადამიანები.

იძულებულები იყვნენ, საქმისთვის მსვლელობა მიეცათ. ეტყობოდათ არ სიამოვნებდათ, ვეცოდებოდით, კანონს კი, ვერ არღვევდნენ.

ისე გააკეთეს, კიდევ შემახვედრეს, ორი წუთით მარტო დაგვტოვეს, ვითომდა შემთხვევით. მაიას მხოლოდ ის ვუთხარი, მიყვარხარ და რაც გინდა ის დაწერე-მეთქი. სიმართლეს აღვწერო... თან მთხოვა _ ჩემი სახლიდან რომ წამოვედით, არავისთვის მეთქვა... მამაჩემის მეშინიაო...

შემდგომში, გამოძიებისას გავიგე, ყველაფერი ზუსტად აღეწერა. ოღონდ რა თქმა უნდა, საიდან წამოვედით, იმის გარდა. აგრეთვე, იარაღიც ახსენა, არა როგორც ხუმრობით ნათქვამი, არამედ თითქოს ნამდვილად მქონდა. რა ვუპასუხე კითხვაზე «დაავიწყდა»; მუქარა, ყველას მოვკლავთ-მეთქი ისიც. შემდგომში საუბარი გამოტოვა; ფოსტაში მიყვანაზე რომ «უარს ვიძახოდი» არ გამორჩენია; მარტო დატოვება, ჩემი გამოვლა კი...

მეც დამაწერინეს ახსნა-განმარტება, მილიციელმა, წინდაწინ მითხარი რის დაწერას აპირებო. რომ მოვყევი მელოტ თავზე შერჩენილი, ორი ღერი თმაც კინაღამ გაცვივდა, გაგიჟდი?! ბიჭებს მაინც რას ერჩიო. წამოდგა. გარეთ გავიდა, მარტო დამტოვა. ბიჭებს ჩაუარა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარა-კა _ შეგერყათ ძმაკაცი...

კარებთან არავინ იდგა. შაკოს შესაძლებლობა მიეცა, შემოსულიყო და დამლაპარაკებოდა. ნუ გამოშტერდებიო საერთოდ, მთხოვა... მაგრამ გაუბედავი, დარცხვენილი, ხვდებოდა რა დღეშიც ვიყავი. მალე გავიდა და ისევ მარტო დავრჩი.

თვალები დავხუჭე, ტვინში ბიჭებს თავზე დამტყდარი საშიშროება მიტრიალებდა. ეხლაღა აღვიქვი, რა შარშიც გავეხვიე...

...შაკო თან ცოლშვილიანია... ჩემი «პუწკია», ნათლული, მისი პატარა გოგონა გავწირე... ჩასაძაღლებელი, სულელი, გიჟი ვარ!... მურთხი, როგორ გავაკეთე ესეთი რამ, როგორ?! ბიჭებს რაღას ვერჩოდი, რა გაფრენილი მქონდა... დედაჩემიც... რა უნდა ვქნა... მთხოვა, შენგან რომ წამოვედით, ნურსად იტყვიო... მაგრამ ბიჭები?! ღორი ვარ, ღორი... რა დროს სიტყვის გატეხვა-არგატეხვაზეა ფიქრი. ისინი უნდა გადავარჩინო როგორმე... პირობითი მაინც არ ასცდებათ...

თუმცა, რატომ მე... მაიას მამას უნდა შევუთანხმდე... თუ კაცურად მოიქცა... თუმცა, რატომ, მე ვაჟკაცურად მოვექეცი?! მასთან, მამასთან ვარ დამნაშავე?! სიტყვა გავტეხე... მერე რა, რომ წინააღმდეგნი იყვნენ... მათი შვილია, დაა... მოვკიდე ხელი და მოვიტაცე. მე რომ ვიყო მათ აგილას, მესიამოვნებოდა?! მაიასთან კი... არ ვარ დამნაშავე... ყოველ შემთხვევაში, ორივემ მაგრამ... მე მაინც მეტი მომეთხოვება!.. ის გოგოა, მე კი... ყველას თავისი ცოდვა მოეკითხება, ადამს კი ყველასი...

ჰმ, მეცოდებოდა და იმიტომ ვხვდებოდიო... ათსაათიანი შეხვედრები «გულჩვილობის გამო»... ლექსები მომწონდაო... მიკითხავდა და ტელეფონით იმიტომ ვესაუბრებოდიო. მნახა მეც ბაირონი... არა, მაინც არის მისი ბრალი... ადამს ყველაფერი მოეკითხა... სიყვარულმა დამაკარგინა რეალობის გრძნობა...

როგორმე, უნდა ვიხსნა ბიჭები... თუ მამამისი წავიდა ამაზე და მაიამ ჩვენება შეცვალა, დაწერა _ თვითონ გამოვყევი, ჩემი ნებით, მაგრამ გზაში უსიამოვნება მოგვივიდა, იმიტომ დავრეკე მილიციაშიო. მაშინ მეც ამცდება გასამართლება... არ მინდა, მაგრამ ყველასთან ერთად... ერთადერთი რეალური გზაა... თუ არა და ისეთი ჩვენება უნდა დავწერო, ბიჭებს პირობითის მეტი რომ არ მისცენ. ბიოგრაფია კი გაუფუჭდებათ, მომავალში დახვდებათ წინ, მაგრამ... ერთი რამის საშუალება მომცეს, შევატყობინებ რას ვწერ. ერთმანეთისას უნდა დავამთხვიოთ ჩვენებები...

მესამე ვარიანტი... თუ არ ჰქნა და მაინცდამაინც მოინდომა ჩემი ჩასმა, ბიჭებს კი აპატია, შევუთანხმდები... ბიჭებს ააცილოს სამართალში მიცემა... მე კი, თავის დაცვის მაგივრად, ზედმეტი მომისაჯონ... არ გაუჭირდება ამის ჩაწყობა... ისეთი კონტაქტები აქვს... საქმეს ალბათ თბილისში, ჩემი რაიონის პროკურორს გადმოუგზავნიან, ამის გაკეთებაც შეიძლება, იქ კი არ გაუჭირდება... საფუძველი აქვთ, უნდა ვთხოვო გადაგზავნა... კარგი ხალხია, გამიგებენ...

სანამ არ ვიცი, რომელი ვარიანტი გაჭრის, პირველ ჩვენებაში უნდა დავწერო, თითქოს, მანქანაში, მთვრალმა გადავწყვიტე წაყვანა... სხვანაირად არ შეიძლება. თორემ, მესამეზე თუ იუარა, პირობითის მაგივრად, ბიჭებსაც ჩასვამენ... «წინასწარი შეთანხმება» ჩემი სტატიის პრიმა მუხლია და ერთად გაგვიყვანენ...

... თავიდან რომ დამთანხმდეს, მერე კი მომატყუოს?! მამაჩემის მეგობრები უნდა ვუხსენო. სიტყვას მივცემ, თუ არ მომატყუებ, იმათ არ გავაგებინებ-მეთქი... დედაჩემს როგორმე დავარწმუნებ... თითქოს ჩემი ასეთი მოქცევით, სასამართლო გამანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან...

საცოდავი დედაჩემი... თუ ვერ შევძელი დარწმუნება, თავის მოკვლას შევპირდები... ჩაუშხამდა დაბადების დღე... ამის ღირსია ჩემგან?! ღორი ვარ, ღორი! ყველა გავწირე...

მილიციონერი შემოვიდა, წერას შევუდექი, წაიკითხა, კმაყოფილმა დამიქნია თავი. გამომიშვა _ ბიჭებს დაუძახა. შეგიძლიათ, თბილისისკენ წახვიდეთ, თუ საჭირო იქნა გამოგიძახებთო... ვთხოვე, საქმე ჩემი რაიონის პროკურატურაში გადმოეცათ. ვეცდებით, მაგრამ ადრეა ჯერ ამაზე საუბარიო. მადლობა უთხარი და გამოვედი.

ბიჭებმაც იგივე დაწერეს რაც მე. ცოტა დავწყნარდი. პატიმრობა აღარ ელოდათ. ჩვენს ჩვენებებს დამატებული, ფოსტაში მიყვანა, პირობითის გარანტიას იძლეოდა მათთვის.

რაც შემდგომში მოხდა, ნაწილობრივ მახსოვს. გაბრუებული ვიყავი. მამამისი თბილისში ვნახე. დამთანხმდა შეთავაზებულ ვარიანტზე. არც მწყენია, იურიდიულად არა, მაგრამ ისე, ყველაფრის ღირსი... კაცი რომელიც გაწირავს მეგობრებს, დედას, მათ მომავალს, ჯანმრთელობას საცოცხლებელი არ არის.

ბუნდოვნად მახსოვს ბიჭები და დედაჩემი როგორ დავითანხმე. ბიჭები მოვატყუე, დედა... შევაშინე... ჰმ, ყველას მოვუფრთხილდი მის გარდა... ყველას... სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. არაკაცი, ნაგავი, მთლად უნამუსო შვილი არც უნდა... ბიჭების წინაშე ცოტათი მაინც გამოვისყიდე დანაშაული...

სასამართლოზე მაია არ მოსულა. ავადმყოფობის ცნობა წარადგინეს. შეთანხმებისამებრ აეწყო ყველაფერი. ფარსი, სასამართლო-ფარსი, ალბათ კარგად გათამაშდა, აღქმის უნარი არ მქონდა. მთვარია, რეზულტატი მივიღე სასურველი: ოთხი წელი, საერთო რეჟიმის შრომაგასწორების კოლონია.

პირობით გამოსვლაზე «ჩალიჩს» არც ვაპირებდი, მაგრამ აქაურობა გშლის კაცს... შემეშინდა ადამიანური სახე არ დავკარგო, ცხოველი, ქვეწარმავალი არ გავხდე, მონანიების მაგივრად ბოღმა არ ჩავიდო გულში...

იმდენად, ფიზიკურად კი არ მიჭირს, სულიერად... ჰმ, წუმპეში ჰკარგავ კეთილგანწყობას და...

პირველად სიგიჟის, ბოღმის ნიშნები გამოძიებისას, საერთო საკანში ვიგრძენი, როდესაც... ეზოს კედელი ჰყოფდა. ერთ მხარეს პატიმრებს გვასეირნებდნენ ყოველ დღე, ერთი საათით. მეორეს _ შუაგულში, მიწაში ორი ჯურღმული, საკანი სჩანდა,

დასახვრეტებისათვის განკუთვნილი. ორივე «დაკავებული იყო». ერთს ჯოტო ერქვა, მეორეს, აზერბაიჯანელს _ მამედა. ჯოტოს ძმაც ჩვენთან, ციხეში იჯდა, არ ვიცი რაზე. მითხრეს სპეციალურად გააკეთა, ძმას რომ გამოელაპარაკოს ხოლმეო. მამედასაც აღმოაჩნდა ჩვენში, ვიღაც შორეული ნათესავი. ღამ-ღამობით, ხან ჯოტო და ძმა საუბრობდნენ, ხან მამედა და მის ნათესავი. ციხეში ყველაფერი კარგად ისმის, მითუმეტეს, ღამით ძლიერი აკუსტიკაა. ჯოტოს უკვე ერთი წელი უთავდებოდა რაც აქ ყავდათ, მამედას _ მესამე თვე.

ერთ ღამეს ნათესავმა, მისი რიგი როცა დადგა, მამედას გასძახა. ხმა არავინ გასცა. ეხლა უფრო ხმამაღლა დუყვირა. ისევ სიჩუმე. ჯონის შეეხმიანა, ჯოტოს სთხოვე დაუძახოს, გვერდით არიან, შეიძლება ჩაეძინა, გააგონებსო.

_ ჯოტო, ჯოტო... შენც დაყრუვდი?

_ რა გინდა!

_ არ გესმის მამედას დაუძახე!

_ ვიცი...

_ დაუძახე, რატომ არ უძახი!

ჯოტომ პასუხი არ გასცა, არც მამედას დაუძახა.

_ ბიჭო, რას შვები!

_ აღარ არის მამედა...

_ როგორ არ არის, ნახევარი საათის წინ...

_ გაიყვანეს!!! როცა უძახოდა მაშინ გაიყვანეს!!! მორჩა მამედა!.. მორჩა... სიჩუმე ჩამოვარდა, ჩქამი არ ისმოდა. ბოღმა მოგვაწვა ყველას.

მამედაც და ჯოტოც მკვლელები იყვნენ. სასტიკი ხალხი, მაგრამ... არ შეიძლება, არ შეიძლება კაცის დახვრეტა... იმ წუთში დიდი სიამოვნებით გავგლეჯდი ჯალათს... აქედან, უდანაშაულო კაცის მკვლელობამდე, ერთი ნაბიჯია... იმიტომ რომ არ შეიძლება სისხლით სისხლი მოიწმინდო, როგორც ის ჯალთი, ისე იმოქმედო.

ჰოდა, ყოველ დღე ჰყვებიან, ხედავენ ასეთ, უფრო სასტიკ თუ ნაკლებად საშინელ, მაგრამ ამაზრზენ ისტორიებს. ძნელია წუმპეში ცხოვრება, ძნელი...

მაია კი... მაინც მიყვარს... აღარაფერს აღარ გავწირავ, დამიბრუნდა საღი აზროვნება, მაგრამ მაინც... მორჩა, ვიცი ყველაფერი მორჩა... ვერაფერს დააბრუნებ... არც დავაბრუნებ... მაინც ერთხელ, მაინც წამით მანახა, სულ ერთი წამით...

თავი XXXIX

გოგიელას სიმზმრებიდან

...ჩემი ბიჭები სტადიონზე ზიან, იცინიან, შაყირობენ. ვიღაც გამოდის მათრახით ხელში და მწყობრში დადგომას ბრძანებს. კულისებიდან მოვრბივარ თავქუდმოგლეჯილი, მათრახი მხვდება დაგვიანებისათვის. ბიჭები ბრაზდებიან პროტესტს გამოხატავენ, მწყობრის დაშლა უნდათ. ისმის ღრიალი, ყველა ჩუმდება. ირთვება მუსიკა _ მასში და ვიწყებთ მწყობ სიარულს. ცოტახანში, ვიღლებით,

უკმაყოფილებას გამოვთქვამთ. ისევ ღრიალი, მათრახი, სიჩუმე და სიარული. ძლივსღა მივალასლასებთ ფეხებს, ვეხვეწებით შეგვინდონ. პასუხად ისევ მათრახი... ცოტახანში ვეჩვევით, მოგვწონს კიდეც ჩვენი მდგომარეობა. დავდივართ გაყინული სახეებით, ბედნიერები, გახარებულნი...

მუსიკა უეცრად წყდება, მათრახიანს გამოურთავს. გაკვირვებულები ვუყურებთ. პროტესტს გამოვხატავთ. ეხლაღა ვიცანი მასში ბუხარინი.

კულისებიდან გამორბის ვიღაც. სილას გაარტყამს, მათრახს წაართმევს, მწყობრში აგდებს, მუსიკას რთავს და «სწავლებას» აგრძელებს. ამ ფაქტს გახარებულები, ენთუზიაზმით ვხვდებით. ბუხარინი პროტესტის გამოხატვას ცდილობს, მაგრამ მათრახი ხვდება, ჩვენც მუჯლუგუნებს ვურტყამთ და ჩუმდება. ცოტახანში მასაც გახარებული, ბედნიერი, გაყინული გამომეტყველება აქვს.

კულისებიდან თავისით მოგორავენ გორგოლაჭებზე მდგომი ჯვრები. მათრახიანი მუსიკას გამორთავს და გაკვირვებული გაიხედავს სტადიონის ლოჟისაკენ. ეხლაღა ვიცანი მასში სერგო ორჯონიკიძე. რაღაცას გაჰყვირის, მუშტებს იცემდა მკერდზე.

ლოჟაში სამნი ზიან: სტალინი, ბრეჟნევი და «ზამპოლიტი». სერგოს უბრძანებენ, ყველანი ჯვარს აცვას. არ თანხმდება, ტირილს, ღრიალს იწყებს.

სტალინი ბრეჟნევს რაღაცას უჩურჩულებს, ის თავის მხრივ «ზამპოლიტს». სამივე დგება, სტალინი და ბრეჟნევი იქვე მოაჯირზე აცოცდებიან სხვადასხვა მხრიდან. ერთ პოზას მიიღებენ და გაღიმებული სახეებით, თითქოს ქვავდებიან, უმოძრაოდ დგანან, ქანდაკებებივით. სტალინს ხელში მახვილი დაურო უკავია, ბრეჟნევს პურის თავთავი და ცელი.

«ზამპოლიტი» ჩამოირბენს კიბეებს, ორჯონიკიძესთან მივა, გინებას და თათხას იწყებს. სერგო სიბრაზისაგან ტუჩებს იჭამს, უნდა რომ სცემოს «ზამპოლიტი», მაგრამ ყოველ გაქაჩვაზე «ქანდაკებებისაკენ» იყურება და ჩერდება. ბოლო-ბოლო მათრახს გადასცემს, მიდის ჯვართან და გინებ-გინებით თავს ილურს მავს.

მუსიკა ირთვება. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ, ტაშს ვუკრავთ. გვინდა ჩვენც მიველურსმოთ. ერთმანეთს ვურტყამთ, გვეჩქარება საკუთარი ჯვრის «დათრევა» როგორც იქნა, ყველა მივეჭედეთ. ისევ მწყობრი, ოღონდ ეხლა, კი აღარ მივდივართ, მიკრულები ამას ვერ შევძლებთ, ფეხები მიწას არ წყდება, მივგორავთ ჯვრის გორგოლაჭებზე. იწყება სტალინის სიტყვა. მოგვიწოდებს ვიყოთ ერთად, მჭიდროდ, ძლიერები. ვუყურებ ქანდაკებას ჩუმადაა. თურმე, გამოსვლა მუსიკასთან ერთადაა ჩაწერილი. გავყვირი, მინდა ყველამ დაინახოს. «ზამპოლიტი», სასჯელად, ჯვრიდან ჩამოხსნას მპირდება, ვჩუმდები შეშინებული.

რამდენიმე ხანში სტალინს ბრეჟნევი სცვლის. მოგვიწოდებს ვიშრომოთ; გვიმტკიცებს, რომ ჩვენზე ბედნიერი არავინაა დედამიწის ზურგზე. მალე სამოთხის კარები გამოჩნდება.

თითქოს ეხლაღა მეხილება თვალები. ჩვენ ხომ წრეს ვარტყამდით ადრეც და ეხლაც. ოღონდ მაშინ ეს მარშრუტი პირველად გავიარეთ, შევისწავლეთ. გზაც ახალი, გაუკვალავი და ლამაზი სჩანდა. ეხლა კი დაზიანებულია, გორგოლაჭები ხშირად ბუქსაობენ, უჭირთ გადაადგილება, მწყობრიც დაიშალა, ზოგი წინ არსი გავარდნილი, ზოგი ძალიან ჩამორჩა, ნაწილმა რამოდენიმე ზედმეტი წრის გაკეთებაც შეძლო, ნაწილი პირველსაც ძლივს ამთავრებს.

ყვირი. «ზამპოლიტს» ვთხოვ «დამსაჯოს» და ჩამომხსნას, მინდა ყველა გავანთავისუფლო, აზრზე მოვიყვანო, პასუხად _ იცინის, იფურთხება, მათრახს მირტყამს, ვხვდები, აღარავინ მომხსნის, თვითონ ჩავიგდე ამ გასაჭიროში თავი, თვალები დავიბრმავე, მსურდა ასე. თავიდანვე დასაწყისში, პირველი დარტყმის შემდეგ, შემეშინდა და დავაჯერე, რომ სწორედ იქცევიან, ესეა საჭირო, მსიამოვნებს. სასოწარკვეთილებისაგან არ ვიცი რა ვქნა, ვბოგინობ, ვცდილობ გავთავისუფლდე,

არაფერი გამომდის, სისხლი წამსკდა ხელებიდან. სასტიკად მტკივა სხეული, სულს ვღაფავ, მალე მოვკვდები. «ზამპოლიტი» მეჩიჩინება, ხან მიყვავებს, ხან მცემს: გაჩერდი, სისხლისდენა შეგიწყდება და შენც ყველასავით ბედნიერი იქნებიო... ძალა მელევა, გრძნობას ვკარგავ, სისხლისდენა წყდება, ჩემი ჯვარი ცოცხალს, მაგრამ არაქათგამოცლილს, უაზროს, ისევ მარტყმევინებს წრეებს».

თავი XI

შაკოს გაუგზავნელი წერილი

ლილი დეიდას ინფარქტი, საღამოს, სახლში შემატყობინეს. მოგვიანებით მივედი და მზიამ გადმომცა, ბიჭებს დაურეკიათ.

გიჟივით გავარდი, მალხაზი, ბადრი და ბესო საავადმყოფოში დამხვდნენ, საკაცეზე დაწოლილი ლილი დეიდა მიმღებიდან რეანიმაციისაკენ მიჰქონდათ, გამოიტანეს ოთახიდან და საბუთებს დაუწყეს ცდა, ისე არ მიიღებენო. ორპირი ქარი უბერავდა, ნერვები მომეშალა, მაშინ ყოფილიყო მიმღებში იქ დაგვეცადა, ამ დროს, ავადმყოფები ხშირად ცივდებიან და მდგომარეობა უფრო ურთულდებათ. მორიგე ექიმთან შევარდი, გიჟივით ვიღირიალე, რას აკეთებთ, გაცივდება-მეთქი. უცებ დაფაცურდნენ სანიტრები, ცუდად ენიშნათ, შეეშინდათ, მიხვდნენ, ყველაფრის მაქნისი ვიყავი. გარეთ გამოცვივდნენ და ლიფტისაკეან დავიძერით. იატაკი უსწორმასწორო, ოღროჩოღრო იყო. წვალებით მივიწევდით. ამ დროს, ავადმყოფის პატარა შექანებაც კი არ შეიძლება. ვცდილობდით ნელა, ყარყალის გარეშე გაგვევლო, გულში კი ვიგინებოდი. ვაგინებდი ჩვენს ცხოვრებას, სახელმწიფოს, ჯანდაცვის მინისტრს. როგორ შეიძლება ასეთ ბოსელში ავადმყოფის მიღება.

ლილი დეიდას მორფი უკვე გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ არ ეძინა. ჩუმად ბუტბუტებდა: «ღმერთო შემიწყალე, ღმერთო შენინდე ცოდვები!» ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. თვალებში ცრემლი გვედგა. რა უნდა გვექნა ჩვენ, ოთხ ახალგაზრდა კაცს, რით გვეშველა.

რეანიმაციაში ვიღაც ინსტიტუტ-ახალდამთავრებული ბიჭი მორიგეობდა. ჩვენი მეგობრის, ირაკლის თანაკურსელი, ყველაფერს ვაკეთებ რაც ვიცი, მაგრამ ვინმე გამოცდილი სპეციალისტი მოიყვანეთ, რაიმე არ შემეშალოს _ შეგვეხვეწა.

თავიდან, მე და იმ წუთს მოსული ირაკლი გავიქეცით. ვიღაცის მისამართი ჩაგვაწერინეს. დათო და ლევანი, ჩვენი წასვლის შემდეგ მოსულან. ისინიც, კარგი, ნაცნობი ექიმის მოსაყვანად გაიქცნენ.

ერთ საათში დავბრუნდით. მოყვანიმლა ექიმმა კარდიოგრამას გადახედა, ლილი დეიდა გასინჯა. მოკლედ, დიდი არაფერი გამეგება მაგ საქმეში, გააკეთა ის, რაც ევალებოდა, დაარიგა მორიგე და წავიდა.

როგორც გვითხრეს, ასე, წუთიერი ნახვა საკმარისი არ იყო. ამიტომაც ყოველ საათში მოგვყავდა ვინმე. საკვირველია მაგრამ ყველას ერთი და იგივე რჩევა მიუცია მორიგესათვის. გვიხაროდა, ირაკლიმ კი ცხვირი ჩამოუშვა, რა საზეიმოა, როდესაც ინფარქტის მკურნალობის ერთი მეთოდის მეტი, ჩვენთან არავინ არაფერი იცისო. ნახეთ, წამლებიც სუყველას ერთი და იგივე დაუნიშნია, საუბედუროდ, დიდი არჩევანი არც არის, სხვადასხვა სიტუაციისათვის და ავადმყოფობისათვისო.

დილის ცხრაზე გამოგვიცხადეს, პრეპარატები აღარ გვყოფნის, გვითავდება, ორი ინფარქტიანი ავადმყოფი კიდევ მოიყვანეს და სადმე იშოვეთო. აფთიაქებში არ იყო. «სპეკულანტებს» მივაკითხეთ და მათგანვე ვიყიდეთ. წამალი როგორ არ უნდა იყოს ამ დასაწყევლში... შემდგომში გვეშველა, გოგიელას მამის ძმაკაცებს რომ გავაგებინეთ თავსდამტყდარი უბედურება. აღარც კარგი სპეციალისტები გვაკლია და არც საჭირო წამლები. პირდაპირ სააფთიაქო სამმართველოში მივდიოდით და იქ გვაძლევდნენ. ფულსაც არ იღებდნენ თავიდან, «პატივისცემა» უნდოდათ ჯემალ ბიძიასი, მაგრამ გაფრთხილებული ვყავდით გადაგვეხადა, ორასი მანეთი დაგვიტოვა კიდეც, ამ და სხვა მიზნებისათვის სახარჯოდ.

ოთხი დღის შემდეგ შემიშვეს ლილი დეიდასთან. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ჩურჩულით მითხრა: გოგიელას არაფერი გააგებინოთო.

მეთოთხმეტე დღეს, თერაპიულ განყოფილებაში გადაიყვანეს, მომჯობინებული სჩანდა. დავწყნარდით, გვეგონა მთავარმა საფრთხემ ჩაიარა...

გვეხვეწა, ნუღარ დარჩებით, აღარფერი მიჭირსო. მისი განერვიულება არ გვინდოდა და მანქანაში ვათენებდით.

ერთხელ, შუაღამისას, პალატაში გადაყვანის მესამე დღე იქნებოდა მგონი, ექთანი გამოაგზავნა ჩემს დასაძახელბლად. თავიდან გავბრაზდი რატომ უთხრეს-მეთქი აქ რომ ვათენებთ.

...დაკეცილი ფურცლები მომაწოდა. ვერ მივხვდი რისვის, გადავშალე და თვალი გადავავლე. წერილები ყოფილა... გოგიელასათვის გასაგზავნი ათი წერილი. მანიშნა დამიჯექი გვერდითო. მთხოვა, თუ რაიმე მომივიდა ესენი გაუგზავნე დროგამოვშებით, განთავისუფლებამდე ეყოფაო... საფოსტო ყუთის გასაღებიც მომცა პასუხი თუ იქნა გასაცემი რამეზე, ვინმე კალიგრაფისტი იპოვეთ, ან თქვენ თვითონ მიამგვანეთო ჩემს ხელწერას...

გული მომიკვდა, არ ვიცოდი რა მეთქვა, ქალი სასიკვდილოდ მოემზადა... ყველაფერი გაითვალისწინა, ეშინოდა, გოგიელა არაფერს მიმხვდარიყო...

მითხრა: სულ იმას ვლოცულობდი, ეხლა გადავრჩენილიყავი, წერილეის დაწერა რომ მომესწრო, აწი ასეთი დაუდევრობის დაშვება აღარ მინდაო.

ნათესავების, ახლობლების სია და ტელეფონების უბის წიგნაკიც მომცა თუ რაიმე დამემართა, დაურეკე, შეატყობინე და გააფრთხილე, არავინ გააგებინოსო გოგიელას.

ხმა ვერ ამოვიღე, ყელში გორგალი გამეჩრა, ტირილი მინდოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. პალატიდან გამოვედი, ჩავიმალე სადღაც კუთხეში და ჩუმად, ხმადაბლა ავქვითინდი. მეშინოდა ხმა არავის გაეგო, ლილი დეიდასთვის ესეც არ ეთქვათ.

გამთენიამდე ვიყავი ასეთ მდგომარეობაში. როგორც იქნა დავწყნარდი და ქვემოთ ჩავედი. ბესომ შემამჩნია დასიებული თვალები, რა მოგივიდაო მკითხა. ყველაფერი მოვუყევი. ვერც მან შეიკავა თავი. ცრემლები წასკდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, ვკოცნიდით, ვეფერებოდით და ვქვითინებდით, ქალივით ვქვითინებდით...

არასოდეს მინახავს ასეთი ბესო, არც მას ვუნახივართ ნამტირალევი. თითქოს იმ დღეს შევიგრძენით, რომ გავიზარდეთ, აღარ ვართ ბავშვები. სიკვდილ-სიცოცხლის ნამდვილი ფასი აღვიქვით. სიყვარული არა კონკრეტულად ვინმეს მიმართ, არამედ, საერთოდ, ამ გრძნობის დედაარსი წარმოგვიდგა თვალწინ. ბავშვური ბედნიერების ის პატარა ნაპერწკალი, რაც აქამდე ჩვენში სუფევდა გაქრა. რეალურმა, სასტიკმა ცხოვრებამ გადაგვიშალა ხელები, ჩაგვიხუტა, თავის ქვის გულში ჩაგვიკრა. შეგვეშინდა ლილი დეიდას გარდაცვალების, გოგიელას დაკარგვის, მშობლების, ნათესავების, ახლობლების, ერთმანეთის, ყველასი, ვინც ჩვენს ცხოვრებას წარმოადგენს, ვის გარეშეც ყოფნას აზრი ეკარგება... კიდევ... სიკვდილის, საკუთარ სიცოცხლესთან განშორების შეგვეშინდა... წარმოვიდგინე, რომ აღარავინ მეყოლება ამ ქვეყანაზე, მარტო ვარ, მაგრამ მაინც ვერ დავთმე თავი... ამაკანკალა... სად წავალ, როგორ თუ აღარ ვიქნები, განა ეს შესაძლებელია?!

ორი დღის შემდეგ, ლილი დეიდა ინფარქტით გარდაიცვალა...

დავრეკეთ ნათესავებთან, ახლობლებთან, ყველასთან, ვინც სიაში იყო. გავაფრთხილეთ, როგორც დაგვიბარა...

...უჭირისუფლო დასაფლავება... ყველანი ვტიროდით... მაგრამ... არ იცოდა გოგიელამ... გოგიალა არ იყო...

ლილი დეიდას დამ გაგვაკვირვა. გაქვავებული იჯდა, ვერ ინძრეოდა, ცრემლი არ მოსდიოდა. ყველა ურჩევდა იტირე და უფრო მოგეშვებაო, ვერ შეძლო... საწყალი ქალი, უკანასკნელი, ბავშვობასთან დაკავშირებული ძაფი გაუწყდა. გოგიელას მეტი აღარავინ დარჩა. ძალიან ძლიერი, რკინის პიროვნებაა და ამიტომაც ვერ გათხოვდაო, გაგვიგია. როგორც ვიცი წერილიც არ მიუწერია «ზონაში» დიშვილისათვის. არც გოგიელას გაუგზავნია, გვითხრა არ უყვარსო მიწერ-მოწერა.

როგორი განსხვავებაა დებს შორის. ლილი დეიდა ნაზი, ფაქიზი, სიტყვაუხვი, ვითომ ენერგიული, სინამდვილეში უსუსური ქალი იყო. და კი, ხუთი წლით უმცროსი, უფროსის ხელში გაზრდილი, ასევე სიმპატიური, თუმცა მოუხეშო გარეგნობის, ფიზიკურად ძლიერი, ზორბა აღნაგობის, ხასიათით უტყვი, გულჩათხრობილი, მაგრამ დიდი შინაგანი ენერგიის პატრონი ქალი. დასაფლავების დღეს გვითხრა: სკოლას ვინმეს გადავაბარებ და გოგიელასთან ჩამოვსახლდებიო. არ შეასრულა დანაპირები. დამირეკა, გოგიელა თვითონ გადმოვიდეს ჩემთან, უთხარიო. არ მესმის მისი, ვერ გავუგე. იცის რომ ამის გამკეთებელი არ არის გოგიელა, დედამისის საფლავს არ მიატოვებს... შეიძლება სწორიც არის. კაცმა თავს თვითონ თუ ვერ მიხედა... სხვა რას უშველის... მაგრამ... მაინც მაგრამ... გვერდში დგომა საჭიროა ასეთ დროს. ყოველ შემთხვევაში... ამითი ალბათ... საკუთარ თავს უფრო ვიმშვიდებთ, ვიდრე ჭირს ვუმსუბუქებთ. ჩვენ უფრო გვჭირდება ასეთი მოქმედება, სინდისთან, ნამუსთან რომ ვიყოთ სწორი...

დასაფლავება... ასეთი დასაფლავება არ მინახავს. ჩვენი ბიჭები ასე ერთდროულად აღრიალებული... ეჰ...

გული ვერაფერს გადავაყოლეთ. საქმე ბევრი იყო, როგორც ყოველთვის ასეთ დროს სასაფლაოზე გავედით, მესაფლავეს საფლავი გავაჭრევინეთ ვახტანგ ბიძიას, გოგიელას მამის გვერდით. ქვა შევუკვეთეთ, მხატვარი არ გვინახავს, გოგიელა გამოვა, თვითონ იცის რომელი სურათიდან უნდა გადახატვა. სახლი მოვაწყვეთ, სასახლე ვიშოვეთ პანაშვიდისათვის, სამგლოვიარო მუსიკა შევუკვეთეთ, კიდევ სხვა ათასი რამ. მარტო ქელეხის მომზადებას რამდენი სირბილი სჭირდება, მაგრამ ყველაფერს მექანიკურად ვაკეთებდით, თითქოს გამოთიშული ვიყავით ცხოვრებიდან...

...ეჰ გოგიელა, რა ვქნათ, უნდა გატყუოთ, გიგზავნოთ წერილები. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, როდის დაწერა. ლილი დეიდა ხომ შენთან იქნება, ცოცხალი გეყოლება წარმოდგენაში... იქაც სადაც არის, შენზე ილოცებს, შენს ცოდვებს შეავედრებს უფალს... თუ არსებობს...

ეს გავიფიქრე და ჟრუანტელმა დამიარა. მინდა ვიწამო უფლის. გული, გონება ვერ ურიგდება სიკვდილს, სამუდამო სიცარიელეს, სიბნელეს, «არაფერს»... როგორ შეიძლება ადამიანისაგან, საერთოდ _ ცოცხალი არსებისაგან რაიმე არ დარჩეს, განა ეს შესაძლებელია?! მაგრამ იგივე გული, გონება მეუბნება: სხეულთან ერთად სულიც კვდება, მთავრდება ყველაფერი, ყვე-ლა-ფე-რი!!! მხოლოდ ნაშიერი თუ რჩება, ოღონდ, ის უკვე შენ აღარ ხარ, ის სხვაა, სულ სხვა. შენგან გამოსული, შენი გენების მატარებელი, ოღონდ სხვა... მოგონებები კი... ისინი მათ ეკუთვნით, ვინც ჯერ კიედვ ცოცხალია და არა შენ. გონების, ფანტაზიის უნარია... აღარა ხარ, აღარც იქნები, მორჩი...

არა, არა!!! მინდა გიწამო, გიწამო, გესმის?!

მეშინია სიკვდილის, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ნუთუ ვერ დავთმობ სიცოცხლეს, ნუთუ ლაჩრად ვიქცვი... თუ უფლის ვიწამე, არა! მეორე შემთხვევაში კი... უნდა შევძლო, მაინც უნდა შევძლო, შევძლებ! ყველა მორწმუნე ხომ არ იყო ვინც თავი შესწირა მეგობარს, შვილს, დედას, სამშობლოს... მათ სულ სხვა ძალა გააჩნდათ, ცოდვილის ძალა... სჯეროდათ, რომ აღარაფერი გაგრძელდება, არ არსებობს იმქვეყნიური ცხოვრება, მაინც მიდიოდნენ სიკვდილზე, მაინც ეწამნენ, ამაყად დასთმეს სიცოცხლე... ღმერთი თუ არსებობს, შეუნდობს მათაც, «არ ცოდნა, არ ცოდვაა»...

ამბობენ, ასეთი ხალხი ფანატიკოსები არიანო. _ სცდებიან. გმირს ამოძრავებს არა რწმენა უფლის... ანდა, მარტო სიყვარული... აი რა არის ცოდვილთა ძალა. ვინმეს, კონკრეტულად ვინმეს, ან რამეს სიყვარული. ხოლო თუ ეს გრძნობა ნამდვილად გაქვს, ყველაფრის გაკეთებას შეძლებ, თავს დათმობ, შიში გექნება, მაგრამ მაინც დათმობთ... შიში კი, ფანატიზმს გამორიცხავს, საღი გონებით წყვეტავ ჯვარცმას...

ღმერთო, ღმერთო, თავი როგორც არ უნდა ვიმხნევო, მაინც მეშინია... ლაჩარი ვარ, ლაჩარი... მერე რა?! მეშინია და სწორიც არის... მათაც ეშინოდათ. ბოლომდე არ სწამდათ თავიანთი ძალების, მაინც შეძლეს. მეც შევძლებ შევძლებ, აუცილებლად შევძლებ!!! შევძლებ კი?!

...გოგიელა, როგორ გელოდები, ვერ წარმოიდგენ. თითქოს მე უნდა დაგამშვიდო, გჭირდები, სინამდვილეში კი, შენ თუ მომიყვან აზრზე... მიხსენი გოგიელა, მიხსენი გემუდარები!..

გუშინ მესიზმრა, თითქოს, პატარა, ასე ათი წლის ვიყავით. ყველანი, ჩვენი ბიჭები, როგორებიც მახსოვს, ჩანჩურა, სულ მტვერში ამოგანგლულები წარმომიდგნენ თვალწინ. დაჭერობანას თამაში დავიწყეთ. «ერთი, ორი, სამი»...იწერები, რომ გახსოვს ეს ლექსი...

ჰოდა, ისევ გამოგტოვე, ყველანი აჭიჭყინდნენ... გაღვიძება არ მინდოდა, რა კარგი იყო მაშინ... «სწორედ არ გაითვალე»... აი პრობლემა რომელიც...

ხშირად მიფიქრია, რატომ დავმეგობრდით, რამ მოგვაწონა ერთმანეთი, ალბათ ინტუიცია... ანდა, არ ვიცი... არა...

...ჩამოდი გოგიელა, ამიხსენი ყველაფერი. მივხვდი, შენ ხომ ამაზე, მე რამაც ეხლახანს შემაწუხა, დიდი ხანია ფიქრობ... ეს ამბავიც იმიტომ დაგემართა, რომ დაიღალე, მოინდომე გამორთვა, მაიაში გინდოდა შველა გეპოვა... როგორ უძლებდი ამდენი ხანი ამაზე ფიქრს, როგორ არ შეიშალა... პატარა სისუსტეც არ გეპატია... ალბათ ხვედრი გაქვს ესეთი... ვერავინ გაგიგეთ, ვერ მოგიარეთ... არ გვესმოდა როგორ უნდა გვეშველა... გვაპატიე გოგიელა ლილი დეიდას არყოფნა, სიკვდილმა წაგვართვა... ძალა არ გვეყო... ვერ მოვერიეთ...

თავი XLI

თავისუფლება

სასამართლომდე დარჩენილი ბოლო ორი თვე, გოგიელამ რაღაც ირეალურ სამყაროში გაატარა. მუდმივმა ლოდინმა, ცდამ, ფიქრმა დაღალა, ამიტომაც ცდილობდა გამოთიშვას.

მაიაზე დაიწყო ფიქრი. სულ უფრო ხშირად წარმოუდგებოდა მისი სახე. ოცნებობდა, დახატა შეხვედრები, როგორ ნახავს, მოეფერება... ესმოდა რომ ეს ყველაფერი მირაჟია, არასდროს მოხდება, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა თამაშს, დიახ თამაშს, დროის მოსაკლავ თამაშს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში ბიჭებიც არ ჩასულან. ვიღაცას გაატანეს ფული. გოგიელამ «ობშიაკის» უკანასკნელი ასი მანეთი დასდო და თითქმის საერთოდ გასწყვიტა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სხვა ტუსაღებთან ურთიერთობა. ყველას გაურბოდა, სადმე მოფარებულში ჩამოჯდებოდა და ფუჭ ოცნებებში, თამაშში ეფლობოდა.

ზოგი ნარკოტიკებს, ან სასმელს ხმარობს რეალობიდან გამოსათიშად. გოგიელამ კი, თვითონ, რაიმე სტიმულატორის გარეშე მიაღწია ამას. სხვა დროს, ბიჭების არჩამოსვლის გამო იეჭვიანებდა, მწარე ფიქრებს მიეცემოდა. ერთხელ შაკომ და დათომ ვერ შესძლეს ორი თვის მანძილზე მონახულება, დათქმულ დროს ჩამოსვლა და კინაღამ გული გაუსკდა, რაიმე ხომ არ დაემართათო. ეხლა...

საქმე გაკეთებული ჰქონდა, მადლობები საკმარისი, ფულიც არ აიღეს მამამისის «შიშკა» მეგობრის შიშით. ასე რომ არხეინად იყო, თითქოს არც ენაღვლებოდა რას უზამდნენ, როგორ გადაუწყვეტდნენ ბედს. სასამართლოც ვერ აიღქვა ნორმალურად, არც ის ახსოვს როგორ აგუფორმეს საბუთები, რაზე მოაწერა ხელი. გონს მაშინ მოეგო შედარებით, როდესაც ზონიდან გასვლის დრო დადგა. ტანსაცმელი არ ჰქონდა შესაფერისი, რაიმე უნად ეშოვა, ეს კი ფული ღირს. ორმოცდაათი მანეთიღა ჰქონდა დარჩენილი. წიგნაკის ფული, ხელფასიდან რომ ერიცხებოდა, რა თქმა უნდა არ მისცეს,

არც არავის გახსენებია და დაუპირებია ამის გაკეთება. მამამისის ძმაკაცის, ნათლიამისის სახელი ასეთ «წვრილმან», მაგრამ დაკანონებულ სფეროში ვერ სჭრიდა. ყველა ნორმალურ მოვლენად თვლიდა ამ ფაქტს, თითქმის იურიდიულად ნებადართულად.

ტანისამოსში ფული არ გამოართვეს. ახლობელი მუშაობდა «სკლადში». უფრო სწორედ, ახლობელი კი არა, ლაქუცა, მელაკუდა კაცი, გიას იცნობდა და ეშინოდა. სხვას «რამკიანი ქურდის» ან «ზონოვსკის» გარდა, აუცილებლად დასცანცლავდა ოცდახუთ მანეთს, გოგიელასთვის მიცემულ გახეხილ, გაცრეცილ ჯინსის შარვალში და ცისფერ, გახუნებულ, მაგრამ ძალიან ლამაზ პერანგში ოცდაათსაც. მეც მალე გამოვდივარ და გიას ნახვა მსურს, რაღაც საქმე უნდა შევთავაზო, გადაეციო. გოგიელამ შეუბღვირა, არ ვიცი სად არის, წელს ალბათ ვერ ვნახავო, სასწრაფოდ გამოვიდა...

ოცი მანეთი ვიღაცამ სთხოვა, «კაზიოლი» იყო, მაგრამ მაინც არ დაფიქრებულა ისე მისცა ოცდახუთი, მერე კი ინანა, როდესაც საღამოხანს მანქანა მოვიდა, თბილისისაკენ მიმავალი. სხვა ტრანსპორტი აღარ მუშაობდა, გვიანობამდე კი ვერაფრით გააღწია.

ხუთნი გაანთავისუფლეს იმ დღეს. გოგიელას და კიდევ ორს არ აღმოაჩნდათ საჭირო თანხა, მძღოლის მიერ მოთხოვნილი ორმოცდაათი მანეთი. ყველას ეჩქარება «ზონიდან» გაღწევა, შინ ჩასვლა, მაგრამ ამ დროს არაა მიღებული ფულის სესხება, ვინმეს დავალება და ამიტომაც, გათენება ისევ «კუთვნილ ნარზე» მოუწია.

დილით ავტობუსში ჩაჯდა და თბილისისაკენ გამოუყვა გზას.

როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, მაშინღა გაუელვა: ბიჭები, დედაჩემი რატომ არ ჩამოვიდნენო გუშინ. ცოტა ანერვიულდა, მაგრამ უეცრად მოიცილა ეჭვი. გადაღლილია, მთავარია გაანთავისუფლეს, ალბათ სახლში გადაწყვიტეს დალოდება.

ავტოსადგურში ტაქსი გააჩერა და სახლისკენ გამოუყვა გზას. სულ სხვანაირად ჰქონდა თბილისში ჩამოსვლა წარმოდგენილი. იჯდა მანქანაში და საერთოდ არ აკვირდებოდა არაფერს. გარშემო რა ხდებოდა, არ ანაღვლებდა. ქვეცნობიერად, თავი ისევ «ზონაში» ეგონა. ეს ყველაფერი უფრო სიზმარს ჰგავდა, ცუდი საწყისით და კარგი ბოლოთი დამთავრებულს.

მაიას სახლთან ჩაიარეს. კარგა მანძილით გამოცდნენ, თავში რომ დაარტყა ამ ფაქტმა. მძღოლს, არც კი დაფიქრებულა ისე, რაღაც უხილავი ძალის ზემოქმედებით, გააჩერეო, სთხოვა.

ფული სასწრაფოდ გადაიხადა და ჩამოვიდა.

ხუთის ნახევარი იყო. გაიფიქრა, ალბათ ლექციებზე იქნებაო. გაეცინა, რა სისულელე მომივიდა თავში, ხომ დაამთავრებდა უკვე კონსერვატორიას.

სახლს მიუახლოვდა. რა უნდა აქ?! ინსტიქტმა, ბუნებრივმა ლტოლვამ მიიყვანა. «თამაშმა», დროის მოსაკლავმა «თამაშმა» გაუღვივა გრძნობები. მივიდეს თუ არა... _ არა!.. თუმცა... ამაზე არ უნდოდა ფიქრი, ეზარებოდა, არ სურდა, რადგანაც უეცრად მიხვდა თავის საქციელის აბსურდულობას.

დამთხვევა. რამდენი დამთხვევები, ცუდი თუ კარგი, ხდება ჩვენს ცხოვრებაში. ალბათ მათშიც რაღაც კანონზომიერებაა ჩაქსოვილი, ადამიანისათვის მიუწვდომელი. ერთი ფრაზით რომ ვხსნით ხოლმე _ «ბედი იყო, ღმერთს სურდა ასე».

მაია ეზოში დახვდა, თოთო ბავშვს ასეირნებდა ეტლით.

«რა ლამაზია, დრომ უფრო გაამშვენიერა... როგორ მიყვარს... ვარდისფერი უხდება, ეხლაც შვენის... დედაااა, რა ლამაზია... ანგელოზის სახე აქვს... ხატვა მაინც შემეძლოს... ვერ წარმოვიდგენ ამან თუ...»

მიიწევდა მისკენ. ისე რომ არ შეემჩნიათ. სადარბაზოებს აფარებდა თავს.

მაიამ ეტლი შემოატრიალა და გოგიელას მიმართულებით დაიძრა. გოგიელა კედელს აეკრო. თვალები დახუჭა. თვითონვე გაეცინა ამაზე. «ჰმ, სირაქლემასავით ვიქცევი, მტრის გამოჩენისას, თავს რომ რგავს მიწაში და ჰგონია, თვითონ თუ ვერ ხედავს, მასაც ვერ შეამჩნევენ»...

ნაცნობი, სანუკვარი ხმა მოესმა _ «დედიკო გენათალოს, შენი ტილიმე, ჩემი ბიტი... მამიკოჩ მალე მოვა»...

უცებ გაახილა თვალები. რა?! დედიკო გენაცვალოს... მამიკოც მოვაო?! მანამდე ეტლისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, მამუკას ბავშვი ეგონა... გათხოვდა... ის სუსტი, ფაქიზი ოცნებაც დაემსხვრა... თვალებში ცრემლი მოადგა, კედლისკენ მიტრიალდა და ჩუმად აქვითინდა.

ლიფტის კარების გაღების ხმამ მოაბრუნა. არც გაუხედია, ისე ნაჩქარევად გაუყვა სახლისკენ გზას. არ სურდა მტირალი ენახათ. თანაც მაიას სახლთან.

«სიყვარული, სიყვარული... ისევ გამოვშტერდი, ჭკუა ვერაფრით ვისწავლე... რა დროს სიყვარულია... სახლში დედაჩემი, ბიჭები, ახლობლები მელოდებიან, ყველა ის, ვინც ჩემს ცხოვრებას, სისხლს და ხორცს წარმოადგენს... მე კი, სიყვარული... ნეტავი ბავშვს რა დაარქვა?.. რაში მაინტერესებს... ვინ მეკითხება, რა აზრი ავქს»...

უცებ, გაჩერდა, ვერ გადაეწყვიტა რა ექნა. თითქოს ძალით წაათრიესო ფეხებმა უკან. ისევ მალულად მიეპარა. კუდში დაუწყო დევა. როგორც იქნა გაიგო.

«დედიკო გენათალოს... შენი ტილიმე... იცინი დედიკოოო, იცინი გოგლიკა?»

გოგლიკა... გოგლიკა... ჩემი სახელი დაარქვა... თავისებურად, გადააკეთა ცოტათი... რატომ ჩემი?! ალბათ მეუღლის მამას ჰქვია გიორგი... ასეც იქნება... მორჩა, გათავდა, ამაზე ფიქრი აღარ შეიძლება!.. რა თქმა უნდა მეუღლის მამის სახელი იქნება... ჩვენთან, ბიჭებს უმეტესად ბაბუის სახელს არქმევენ... ასე რომ არ იყოს, გიორგის დარქმევას ვერ გაბედავდა... ოჯახი, დედ-მამა არ მისცემდნენ, რომც დომებოდა, ამის უფლებას... ოჯახს ძალიანაა მიჯაჭვული, უნებისყოფოა... რატომ უნებისყოფო? რაც გააკეთა... მამუკამაც ხომ თქვა, ძალიან ჯიუტიაო»...

რატომღაც, მაიასთან, ერთ-ერთი ტელეფონით საუბარი ამოუტივტივდა თავში. აქამდე არც გახსენებია, იმავე დღეს დაივიწყა, თითქოს ამ წუთისთვის შემოინახა.

_ «მე შენი გველი ვარ... ნახავ, მართლა შენი გველი ვარ»!

_ «ვერ გავიგე»?

_ «იაპონიაში ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია ქალისათვის».

_ «ჰმ»...

«მართლა გველია, გველი... გამიგია, კობრას ადამიანის დაგიპნოზებაც შეუძლია, თვალებში არ უნდა შეხედო... კობრა... კობრა!

თავი XLII

ისტორია

გოგიელამ სწრაფად აირბინა სახლის კიბეები. რამოდენიმე წუთის წინ განცდილმა უცებ უკან დაიხია დედის, ახლობლების ნახვის სურვილის წინაშე გაუარა ემოციებმა.

«მორჩა! შექსპირის ტრაგედიების გმირი არ ვარ. არც მინდა ვიყო... ჰმ... ხა-ხა-ხა... შტერი, რა დროს ეს არის. მელოდებიან, მიცდიან... დედიკომ, ალბათ სუფრა გაშალა. ბიჭები სულსწრაფებივით მიცდიან... შევალ თუ არა, ერთმანეთს არც დააცდიან საუბარს. დამეტაკებიან, ჩამალურჯებენ კოცნით... დედიკო ნორმალურად ვერც დამელაპარაკება და მომეფერება... ცხოვრებაში პირველად არ დამიშლის დალევას. ალბათ, ბოლოს მაინც აცქმუტუნდება, გეყოფა, ზედმეტი მოგივაო, მეტყვის... ჰმ... დედიკონა, დედიკონა!

კარი შაკომ გააღო. ნაძალადევად, მძიმედ გაუღიმა გოგიელას და მისდა საკვირველად, ძალიან თბილად, მაგრამ მწარედ, თითქოს ჩამოვიდა კი არა, ეხლა აპატიმრებენ და ემშვიდობებაო, ისე გადაკოცნა.

არც დიდი ჟივილ-ხივილი იდგა სახლში. ბიჭები მოპანაშვიდეების სახეებით გამოლაგდნენ შესასვლელში, მათაც ნაძალადევად გაუღიმეს, მწარედ ჩაიკრეს გულში.

დედა არსად სჩანდა. გოგიელას ვერაფერი გეგო რა ხდებოდა. ვერც წარმოედგინა თავზე დამტყდარი უბედურება. სამზარეულოში გავარდა, შუშაბანდში, ოთახებში დაიწყო ძებნა. უცებ დაბნეული გაჩერდა და იკითხა: _ დედა სად არის?!

ყველა ჩუმად იდგა. პასუხი არავინ გასცა. ცუდად ენიშნა, მაგრამ უბედურების დონე მაინც ვერ წარმოიდგინა. ავადაა, საავადმყოფოში დააწვინეს, ალბათ გული აწუხებს და ეშინიათ თქმაო, _ გაიფიქრა.

_ ავადაა?! რა მოუვიდა, სად!

გოგიელას უფრო დაემანჭა სახე, როდესაც პასუხი ამაზეც ვერ მიიღო, ააკანკალა. არ იცოდა რა ექნა.

მეზობლებიც შემოცვივდნენ, ბიჭებმა შეატყობინეს გოგიალას ჩამოსვლა... დაუწყეს ფერება დამშვიდება.

_ დედა სად არის?! _ სასოწარკვეთილად, დაბნეულმა, კვლავ იკითხა.

შაკოს ცრემლი წასკდა, ოთახიდან აპირებდა გასვლას, გოგიელამ საყელოში წაავლო ხელი და ისევ გაუმეორა:

_ დედა სად არის?!

_ აღარ არის... _ ამოღერღა შაკომ.

_ როგორ!..

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ უეცრად ჩაკმინდა ენა, ასევე უეცრად აყაყანდნენ, მოყოლა დაუწყეს, ყველაფრის მოყოლა...

ბადრიმ, ეყო გამბედაობა, ხელი მოჰკიდა, გაიყვანა შუშაბანდში და... ჯერ დამშვიდება სთხოვა, მერე კი, თავიდან ბოლომდე უამბო ყველაფერი, დედამისის ბოლო დღეები, რაც გადახდათ.

გოგიელა გაფითრებული, გაბრუებული უსმენდა. არ იცოდა რა ექნა, რა ემოქმედა. მაინც ვერ დაეჯერებინა თავზე დამტყდარი უბედურება. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყველაფერი ესიზმრებოდა, სადაცაა გაიღვიძებდა, დედა შემოვიდოდა მის ოთახში და ლექციებზე არ დაგაგვიანდესო, ეტყოდა.

მთელი კვირა კუდში დასდევდნენ, საფლავზე აიყვანეს, მხატვარი ნახეს, სურათი ამოარჩევინეს და შეკვეთა მისცეს.

გიაც ჩამოვიდა. თავისთან უნდოდა წაყვანა, მაგრამ არ გამოუვიდა, ვერ დაითანხმა.

ამ ხნის განმავლობაში ცრემლიც კი არავის უნახავს მის თვალებზე. უბრალოდ, ჯერ კიდევ კარგად, ბოლომდე ვერ აღექვა ყველაფერი. რა უნდა მოემოქმედა არ იცოდა. იჯდა გამოკეტილი შინ, და თუ რაიმეს ჩააცივდებოდი, თორემ ხმასაც ვერ გაიგებდი მისას.

რომც გეკითხა, რაზე ფიქრობდა, გაუჭირდებოდა თქმა. ალბათ არაფერზე. დაღლილი, უზომოდ დაღლილი ჰქონდა ორგანიზმი. ტვინს დასვენების მაგივრად კი, ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება მოსვლოდა დაემართა.

ნელ-ნელა, ყველა ჩამოსცილდა, მოეშვნენ. მიხვდნენ, რომ მარტოობა სურდა. ვერავინ დაეხმარებოდა. არ არსებობს ისეთი თანადგომა, საყვარელი, დაკარგული ადამიანის, მით უმეტეს დედის მაგივრობას რომ გაგიწევს. შეუძლებელია ვინმემ გაგაკვირვოს საკუთარ თავში, აზრებში. ყველანი მარტონი ვართ ამ ქვეყანაზე და ცხოვრებისეული ძალები, თვითონვე უნდა მოვიკრიბოთ. თუ სიცოცხლე არ ისურვე, ვერცერთი მეგობარი, ახლობელი გვერდში ვერ ამოგიდგება, შენს მაგივრად ვერ იცხოვრებს. ამ დროს, ალბათ ჩვენი მორალური ვალია, თორემ, კაცმა თავის მოკვლაც რომ მოინდომოს, ხელი არ უნდა შეუშალო. ათეისტს არ გააჩნია უფლის შიში, და თუ არსებობს, შეუნდობს არცოდნას, ცოდვებს. მორწმუნე შეგნებულად დგამს ნაბჯის, ხვდება რასაც სჩადის. აბა რა აზრი აქვს ჩვენს ჩარევას, როდესაც თვითონ სურს სამუდამო წამება, ტანჯვა. სიკეთე, უმეტესად მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, თუ მასაც ვისაც ვეხმარებით, სურს იგი... მაგრამ... მაგრამ, მაინც მაგრამ... ყველანი კაცნი ვართ. ბრმას შეიძლება სმენა, ყნოსვა, სხვა ორგანოებმაც უმტყუნონ, არ სურდეს ჩვენი გვერდში დგომა, გაყოლა და მოტყუებული უფსკრულში გადაიჩეხოს. განა შეგვიძლია ამას შევურიგდეთ?! რა თქმა უნდა, არა, მაგრამ... კვლავ მაგრამ... ბოლო-ბოლო ყველაფერს გააჩნია საზღვარი. თუ ვერ დავარწმუნეთ, ან არ მოისურვა სწორი გზის პოვნა, ჩვენ ადამიანები რისი მაქნისი ვართ; მაინც შეასრულებს ჩანაფიქრს, გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს.

გოგიელასთან ყოველ ღამე რჩებოდა ვინმე, მორიგეობდნენ ბიჭები, დილით კი, ყველას თავისი საქმე ჰქონდა და მარტო რჩებოდა.

მოკლედ, სულ შინ იყო გამოკეტილ, მაგრამ ერთხელაც, ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

სულ ჩაბნელებულში იჯდა, ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა. ამიტომაც, სინათლემ თვალი მოსჭრა, თავბრუ დაახვია. კინაღამ წაიქცა. კედელს მიეყუდა, ნელ-ნელა მიეჩვია.

ჰოი საკვირველებავ, ვერც წარმოედგინა, თუ ხეები, ბუჩქები, ყვავილები კიდევ არსებობენ. თურმე, ქუჩებში კვლავ დადიან მანქანები, ხალხი. ზოგი იცინის, ზოგს ეჩქარება, ზოგიც ფუქსავატად მიიზლაზნება. გოგიელას გაუკვირდა, რომ არ გამქრალა სიცოცხლე, მისი გაჭირვება, წუხილი თავისუფლად შეიძლება დაიკარგოს ამ ზღვაში, ადამიანთა, ხასიათთა, ბედ-იღბალთა ოკეანეში.

მთელი დღე სადღაც იბორიალა. პატარა ბავშვივით აღითქვამდა გარემოს, თითქოს პირველად ხედავსო ყველაფერს.

ღამით მოვიდა გონს. მცხეთაში, ჯვრის მონასტერთან ამოუყვია თავი. არც ახსოვდა როგორ მოხვდა, რითი ჩამოვიდა, ფეხით, თუ მანქანით, დიდი ხნის წინათ, თუ...

მონასტერში შევიდა. ვიღაცის მიერ ახლადდანთებული სანთელი ენთო. ჩაეცინა, შეიძლება მე თვითონ დავანთე და აღარ მახსოვსო.

მუხლებზე დაეცა, ცრემლი წასკდა, ქვის იატაკზე დაემხო და ქვითინებდა. ძლივს, როგორც იქნა შესძლო გრძნობების გამოხატვა, მოშვება, გულის მოოხება. ალბათ ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც იმოქმედა გარემომ, ხალხმა, სანთლის შუქმა.

ტიროდა და თან ღმერთს შეწყალებას თხოვდა. იცოდა, თვითონ იყო დამნაშავე საკუთარ უბედურებაში. ცოდვები უმძიმდა, მოსვენებას არ აძლევდნენ. ვისთვის უნდა გაენდო ყველაფერი, თუ არა უფლისთვის.

დედის უდროოდ გარდაცვალებაში მას მიუძღვოდა ბრალი. ესმოდა რომ მან მოუშხამა სიცოცხლე, მის დარდს გადაჰყვა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი.

უეცრად, ვიღაცამ მხარზე დაადო ხელი და წამოაყენა. ბიბლიური პერსონაჟები გამოეცხადდნენ, ადამმა თვალი თვალში გაუყარა.

ადამი: მეც ჩავიდინე მიუტევებელი ცოდვა, ცნობიერების ნაყოფი მივიღე... სიყვარული, მას შემდეგ კაცობრიობის მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ შენ მოინდომე ძალის გამოყენება, ძალდატანება, ეს კი... საზიზღრობაა!

გოგიელა: მაგრამ მე მეგონა, რომ ვუყვარდი, ვერც წარმომედგინა, თუ...

ადამი: მერე რა რომ უყვარდი, მთავარი ეს არ არის, არსებობს მრავალი ფაქტორი, რასაც ადამიანმა ანგარიში უნდა გაუწიოს... შენ კი, ცოდვილმა ყველა გასწირე, ამიტომაც... მე უფალს არ დავემორჩილე... შენ, ამის გარდა, საკუთარი თავიც გასწირე და სხვაც... მე დავისაჯე, შენც... და კიდევ მრავალჯერ, გაგახსენდება ყველაფერი. ვერასდროს ვერ მოისვენებ, იცოდე!.. მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინე, უნდა ეწემო, სხვა გზა არ არის!..

გოგიელა: მაგრამ...

ადამი: სხვა გზა არ არის!..

მოსე: მონური სული შეგრჩა, ვერასდროს იქნები თავისუფალი. იქ რამდენ სისაძაგლეს შეხვდი, მაგრამ არ გაილაშქრე... თავს იმართლებდი, თითქოს, გამოვალ და მერე ვიმოქმედებო... ვითომ სხვას უფრთხილდებოდი, სტყუი! საკუთარი თავი გეცოდებოდა, გეშინოდა... არადა, დედა, მეგობრები როცა გასწირე, ხომ იცოდი რაც მოგელოდა, წარმოგედგინა, მზად უნდა ყოფილიყავი, მოგენანია ცოდვები, სიკეთისათვის, სიმართლისათვის გებრძოლა. შენ კი, ბინძური წუმპის ერთ-ერთი ქვეწარმავალი გახდი... მხოლოდ ფიზიკურმა ტანჯვამ დაგანახა რაც ჩაიდინე... შეგეშინდა. მშიშარა ხარ! ხმა არ აიმაღლე, კვლავ ცოდვილი თვალებით უყურე ყველაფერს, არაფერი მოიმოქმედე და ამიტომაც უფალმა დედაშენი თავისთან წაიყვანა. აცახცახებული, ბინძური ტუჩებით რომ არ მიჰკარებოდი, არ იყავი ასეთი ბედნიერების ღირსი... უნდა ეწამო! თავისუფლებას ვერასდროს შეიგრძნობ, მაგრამ იმისათვის მაინც იბრძოლე, შვილები, შვილიშვილები, შთამომავლობა მაინც რომ იხსნა მონობისაგან... უნდა ეწამო! ჯერ კიდევ გვიან არ არის, ყველაფერი არ დაგიკარგავს, დედაშენსაც ჩაეხუტები, თუ მოინანიე და გაანთავისუფლე სული. სხვა გზა აღარ გაქვს, იცოდე! გოგიელა, მაგრამ...

მოსე: არ გაიმეორო ძველი ცოდვები, არავითარ შემთხვევაში არ დასთმო სიკეთისთვის ბრძოლის წყურვილი! ყოველთვის, სხვების ბედნიერებისათვის იმოქმედე! ამის გაკეთება მხოლოდ სულით მოწამე, სუფთა ადამიანს შეუძლია. მიენდე უფალს, მის მცნებებს ნუ დაარღვევ!.. სხვა გზა არ გაქვს, უმოქმედობა ადვილია, თავის მოკვლაც არ არის ძნელი, მაგრამ რა მოგელის შემდეგ, ამაზე იფიქრე!

გოგიელამ მათკენ გაიწია. უნდოდა, ხელით შეხებოდა ორივეს. დარწმუნებულიყო, რომ არ ბოდავდა, მაგრამ, უეცრად, თვალთ დაუბნელდა და დაეცა.

გონს როცა მოვიდა, აღარავინ იდგა, სანთელიც ჩამქრალიყო. შესცივდა და გარეთ გამოვიდა, შინ დააპირა წასვლა.

გამოსასვლელის შორიახლოს, ვარდისფერებში გამოწყობილი ვიღაც გოგონა იდგა. გოგიელა დააკვირდა და შემცბარმა წამოიძახა:

_ მაია?!

მაია: მიყვარდი და მიყვარხარ... წამოდი ჩემსკენ, ნუ გეშინია გოგიელა, წამოდი...

გოგიელა გაჰყვა, უნდოდა გულში ჩაეკრა, მოფერებოდა, მაგრამ არ უჩერდებოდა, გაურბოდა, უკან-უკან იხევდა.

უცებ დედის ხმა მოესმა მონასტრიდან. დედა გამოსასვლელში იდგა და სასოწარკვეთილი ეძახდა, ეხვეწებოდა გაჩერებულიყო.

_ დედა, გეხვეწები, დედიკონა, შენც ხომ მოხვედი, აქ ხარ, არსად წახვალ... მაია კი... მოვალ, ჩავიხუტებ და ერთად მოვალთ...

_ გოგიელა, არ გინდა... ეს მაია არ არის, სატანაა!.. გოგიელა!.. მე ვერ გამოვალ აქედან, ვერ გაგაჩერებ, ვერ დაგიდგები წინ. ნიღაბს ვერ მოვხსნი ჯოჯოხეთის მოციქულს... გემუდარები არ გაჰყვე, მოდი ჩემთან!..

_ დედა, რა მოგივიდა დედიკონა, ეხლავე... _ უპასუხა გოგიელამ და მაინც გაჰყვა მაიას.

უფსკრულამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, დედის სასოწარკვეთილმა კივილმა კვლავ რომ გამოახედა მონასტრისკენ.

მაიაც უფრო დაჟინებით სთხოვდა გაყოლას, ექაჩებოდა, დამკარგავ სამუდამოდო, აფრთხილებდა.

გოგიელას ვერ გადაეწყვიტა, არ იცოდა რა ექნა, გადაედგა ნაბიჯი, მაიასთან ყოფილიყო, თუ დედას ჩახუტებოდა მონასტერში...

ეპილოგი

_ უკაცრავად!.. მითხრეს, რომ გამოცდილი ალპინისტი ბრძანდებით. მინდა რამოდენიმე შეკითხვით მოგმართოთ... რაღაცას ვწერ და... შეიძლება სულელურად მოგეჩვენოთ, მაგრამ... მაინტერესებს, აზრი ჰქონდა თუ არა, რაც გავაკეთე და ღირს თუ არა დამთავრება...

_ გისმენთ!..

_ შესაძლებელია, ზამთარში უშბის დალაშქვრა?..

_ პრაქტიკულად... შეუძლებელია! ისე, ხშირად უცდიათ და...

_ მაშინ, კიდევ ერთი კითხვა... თეორიულად მაინც თუ არის შესაძლებელი?!.

_ დიახ, მაგრამ ძალიან ბევრი ფაქტორის დამთხვევაა საჭირო...

_ რა თქმა უნდა, თქვენ ალბათ პროფესიონალი ალპინისტი გყავთ მხედველობაში... ნაწილობრივ... მესმის, რომ არაპროფესიონალი ზამთარში კი არა, ზაფხულშიც ვერ შეძლებს ამას... ჩემი გმირები კი... ასე ვთქვათ, ნახევრად პროფესიონალები არიან... ეს, უფრო მეტად, ავტორის თვითნებობაა, ვიდრე რეალობა, მესმის... უბრალოდ, სიუჟეტის განვითარებისთვის დამჭირდა...

არც ვცდილობ თქვენი გატაცების, პროფესიის ნიუანსებში ჩაწვდომას. ამ კითხვებს, უფრო მეტად სხვა მნიშვნელობა გააჩნია ჩემთვის... ასე ვთქვათ _ ფილოსოფიური... მაშინ, ასე დავსვათ საკითხი: დაუპყრიათ თუ არა ოდესმე, ზამთარში, უშბა... მხედველობაში ასვლა მაქვს, დაბრუნება კი...

_ ყოფილა შემთხვევები, მაგრამ იშვიათი... ისე კი ჯგუფის კვალი გვინახია მწვერვალზე... ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. ბევრი ვინმე შეეწირა ამ საქმეს. ზოგის ცხედარიც კი ვერ ვიპოვეთ... იქვე, სადმე ჩაიმარხნენ...

ისე, ამბობენ, მსახიობისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება, სცენაზე სიკვდილიაო... შეიძლება... თუ ასეა, მაშინ ალპინისტებზეც ვრცელდება ეს გამონათქვამი... მთები ხდებიან ხშირად, ჩვენი საფლავის ქვები, ძეგლები...

_ არ ვიცი, არსებობს კი ლამაზი სიკვდილი?! ამასაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩემთვის... ესე იგი, თეორიულად შესაძლებელია...

_ დიახ, მაგრამ ფაქტიურად ძალიან ძნელია...

მთაში, ამინდი ძალიან სწრაფად იცვლება... იდეალური ამინდი პლიუს უნდა გამოირიცხოს. ყოველგვარი შემთხვევითობა, რაც ცხოვრებაში, მეტადრე კი მთაში ხშირი მოვლენაა... უბრალო კენჭმა შეიძლება შეგიწიროს... ნუ, ამის გარდა, პროფესიონალიზმი... თუმცა... რისკის, მარშრუტის ზუსტი გათვლა და იღბალი... ოღონდ პირველი ორის გამო მესამეს ბოლომდე განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ მაინც საჭიროა...

თუ ვიოცნებებთ და წარმოვიდგენთ შემთხვევითობის გამორიცხვას, იდიალური ამინდი, პროფესიონალიზმი, ზუსტი გაანგარიშება შეგაძლებინებს დასახული ამოცანის გადაწყვეტას...

_ თქვენს გმირებს, როგორც წარმომიდგენია, ფაქტიურად, შანსიც არ გააჩნიათ...

_ ისე, რა არ ხდება ქვეყანაზე... ასვლით, შეიძლება ავიდნენ, დაიპყრონ... შედარებით ყველაფერი, ათასში _ ერთი, არა, ათიათასში, მილიონში, ტრილიონში ერთი შანსი, ალბათ არსებობს... თუმცა, მათემატიკა, ალბათობა მაინც აბსტრაქტული მცნება... შეიძლება, იმ ერთი ხვალ მოხდეს... შეიძლება, არასდროს...

_... საერთოდ თუ აქვს აზრი მწვერვალის დაპყრობის სურვილს... დარწმუნებული ვარ, აქვს! ჯერ ერთი, ხშირად შინაგანი მოტივები გამოძრავებს, საკუთარ თავს გინდა ჩასწვდე, რაღაც უნდა დაიჯერო, ან სხვას დაანახო... «მეობა» გსურს ირწმუნო... ამის გარდა, ცოტა აბსტრაქტულ რაღაცას ვიტყვი ალბათ... მწვერვალების დაპყრობა, როგორც პირდაპირი გაგებით, ასევე საერთოდ, საზოგადოებაზე კატალიზატორივით მოქმედებს, ახალ საფეხურზე აჰყავს ცნობიერება... როდესაც რომელიმე მათგანის დაპყრობა ჩვეული ხდება... კაცობრიობა თავის შესაძლებლობებს იგებს...

_ მწვერვალებთან ჭიდილი ყველას ხვედრი არ არის... ზოგი მცირე რისკიან ალპინიადზეც არ წავა, ათასჯერ გავლილ, დამუხტულ მარშრუტსაც არ გაივლის...

_ სწორი ბრძანდებით... ამიტომაცაა თვით საზოგადოებაში, შიგნით ძალიან არათანაბარია ინდივიდების დონე...

სადამდე გაქვს სამუშაო მიყვანილი?

_ ეპილოგამდე...

_ გააგრძელებთ?! გაარკვიეთ რაც გსურდათ?!

_ გავიაზრე... საუბარი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდი. მეგონა, ვერ გამიგებდით რაც მსურდა და მარტო, შემდგომში მომიხდებოდა გადაწყვეტილების მიღება. ახლა კი, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ გავაგრძელებ... დიდი აზრი არც აქვს, მოეწონება თუ არა სხვას, გამაჩნია თუ არა მწერლის ნიჭი... საკუთარი თავი შევიგრძენი, ჩემი ერთ-ერთი უშბა დავიპყარი...

_ ერთი რჩევა მაქვს, თუ არ გეწყინებათ!...

_ არა, რა თქმა უნდა... გისმენთ!..

_ თქვენ გმირებს, თუ ეს შესაძლებელია, ეპილოგში, პროფესიონალიზმი ცოტათი მოუმატეთ. მკითხველი ხშირად აქცევს მნიშვნელობას ასეთ ნიუანსებს... ეს ალბათ მეორეხარისხოვანია, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ...

_ ვიფიქრებ... კიდევ ერთხელ დიდი მადლობა... გმადლობთ!

*

დილაადრიან, ორი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა ალპინისტების საბაზო ბანაკიდან. არაფერი იქნებოდა გასაკვირი, არც ჩაცმულობა, აღჭურვილობა, არც საქციელი, რომ არა ერთი გარემოება: ზამთარი იდგა, ორი იანვარი, ბედობის დღე და ზუსტად ამ დროს გადაეწყვიტათ მწვერვალის დალაშქვრა. თანაც «უშბის», რომელმაც ამ აკვიატებული მიზნის მატარებელი ბევრი ვაჟკაცი შეიწირა. უკვე რამოდენიმე წელი გავიდა, რაც ალპინისტების ბოლო ჯგუფმა მიიტანა თავი სამსხვერპლოზე და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს აღარავინ იყო დარჩენილი ამ არანორმალური, ჩანაფიქრისთვის თავისდამდები.

«შავი ალპინისტი» (ტატო): მაინც გადავწყვიტე წამოსვლა... უნდა ავიდე, აუცილებლად უნდა დავიპყრო, ღუღუს ოცნება უნდა შევასრულო.

ვინც ბანაკში დარჩა, გიჟებად გთვლიან, არანორმალურად. შეიძლება ასეცაა, მაგრამ არ შეიძლება ჩემი უკანდახევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მეწყვილეს ხომ მაინც ვერ ვუღალატებ... ეს რა შუაშია, თვითონ მე მჭირდება ამის გაკეთება. თუმცა უკვე დავიპყარი ჩემი მწვერვალი, აზრებში, ოცნებაში, სიზმარში, გადმოვხედე ქვეყანას ზემოდან. თუ დაიღუპა კიდევ ჩემი «შავი ალპინისტი»... არაფერია, _ მე გავიმარჯვებ. რომ არ გაგვიმართლოს და სადმე მართლა გადავიჩეხოთ, შევეწიროთ ამ საქმეს, ჩემი სუფთა, განთავისუფლებული სული ილოცებს კაცობრიობისათვის, შეავედრებს ცოდვებს...

_ ვალი... ირა, ძმა, მშობლები... ვიცი, ძალიან დიდ საფრთხეში ჩავაგდე მათი ჯანმრთელობაც, ბედიც, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლებოდა... ვერავის გამოვადგები ლაჩარი, მხდალი...

...მართლა თუ არსებობს «შავი ალპინისტი»?.. ნეტავი მანახა, შემახვედრა... ცხოვრებაში ერთ ბედნიერ კაცს, ოჯახს მაინც შევავლებ თვალს, როგორ ცხოვრობენ... მართლა ბედნიერია თუ არა მისი სატრფო... ღმერთო დიდებულო, ნეტავ მანახა...

გოგიელა: საბედისწერო ნაბიჯი არ გადავდგი, დედის ძახილმა გადამძლია კვლავინდებურად, როგორც ყოველთვის, მიხსნა მისმა სულმა, სიყვარულმა, უფალმა იმარჯვა ჩემში. ამიტომაც, ისე უნდა ვიცოცხლო, რომ სხვა ვაბედნიერო, ვიბრძოლო გადარჩენისთვის, ყველა სულიერის საბედნიეროდ... სხვა გზა არ მაქვს... რას იზამ, პირადი ცხოვრება არ ამეწყო, ბევრი რამ დავკარგე ცხოვრებაში, რაც მთავარია, დედა აღარ მყავს გვერდით, აღარ შემიძლია ჩავეხუტო, მოვეფერო, მაგრამ ის მუდამ ჩემში იქნება. არ მიმატოვებს, უფალს შეავედრებს ჩემს უმძიმეს ცოდვებს...

ის ღამე, მონასტერში გავათიე. დილით თბილისში ჩავედი, ავიკრიბე ჩემი ბარგი-ბარხანა, მოვძებნე ალპინისტური აღჭურვილობა და გიასთან წავედი სოფელში. ერთი თვე მასთან ვიცხოვრე, ბავშვი მოვუნათლე, მოვეფერე, ამასთან ერთად წვრთნასაც გავდიოდი მთებში. მალე აღვიდგინე ჩვეული ფორმა... საკვირველია, იქ, «ზონაში» საერთოდ არ მენატრებოდა მთები, დამავიწყდა კიდეც ჩემი გატაცება. დარდმა, შიშმა თავიდან ამომიგდო.

ბოლო-ბოლო, თბილისში ჩავედი, მივედი ალპიურ კლუბში და იმის შემდეგ სვანეთის მთებში ვარ გამომწყვდეული. რატომღაც ზამთარში, ორ იანვარს, ბედობის დღეს მოვინდომე «უშბის» დალაშქვრა. ალბათ საკუთარ თავს, მინდა დავაჯერო, რომ კიდევ შემწევს ძალები, გავიმარჯვებ, ყველაფერს სხვა ჩანაფიქრსაც განვახორციელებ, ხალხს სიკეთეს მოვუტან... დავიღუპები და, ალბათ ესე არის მაშინ საჭირო...

თავიდან არ მთანხმდებოდნენ, არავის უნდოდა ჩემი აქ გამოშვება, გამოპარვასაც კი ვაპირებდი მარტო, სანამ ტატო არ შემხვდა. ალბათ ჩემნაირი რაიმე სულიერი ტრავმა გადაიტანა. რატომღაც, თავიდავნე დიდი სიმპათიებით განვეწყვეთ ერთმანეთის მიმართ. ისიც ამ მიზნის გასახორციელებლად ჩამოვიდა. ხშირად ეკითხებიან ხოლმე, რად გინდათ ზამთარში, ორ იანვარს მაინცდამიანც «უშბის» დაპყრობაო. მუდამ ერთი და იგივეს პასუხობს «მინდა დამებედოს ქვეყანის ზემოდან გადმოხედვა... ქვეყანას ზემოდან მინდა გადმოვხედო».

ისიც ძალიან გულჩათხრობილია. იშვიათად ვსაუბრობთ ხოლმე. მაწყობს კიდეც, ორივე საკუთარ თავში ვართ ჩაფლული, ერთმანეთს არ ვაწუხებთ, ზოგჯერ ადამიანს რომ ენდო, ბევრი რაიმე არც არის საჭირო მასზე იცოდე, ერთი შეხედვაც საკმარისია...

«შავი ალპინისტი» (ტატო): ნეტავი გოგიელამ როგორ აღიქვა ეს ლეგენდა, თუ იმოქმედა... ძალიან გულჩათხრობილი ბიჭია, ეტყობა რაღაცას განიცდის ძალიან, იშვიათად ვსაუბრობთ, არ ვაწუხებთ ერთმანეთს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს,

თითქოს დიდი ხანია ვიცნობო. კოკას მაგონებს რაღაცით».

ერთმა იდიოტმა, დიდი «საიდუმლო» გამანდო, ახალი გამოსულიაო... ჰმ, მერე რა, რა განსხვავებაა მასა და ჩემს შორის. ის რომ მე უფრო გამიმართლა?! იქ რომ არ მოვხდი?! ყველანი ცოდვის შვილები ვართ და საზიზღრობაა როდესაც სხვისი ცოდვის მიტევება არ შემიძლია.

გოგიელა: გუშინ, ლეგენდას რომ მოყვნენ, კახა თითქოს გაითიშა... ეტყობა პარალელი გაავლო თავის ბედსა და ამ ისტორიას შორის. ალბათ ისევ სჯერა სუფთა, უმწიკლო,

თავდადებული სიყვარულის... «შავი ალპინისტი» და მისი სატრფო მხოლოდ ზღაპრებშია, ლეგენდებში... არა! ისევ ვცოდავ, საკუთარი ბოღმა მალაპარაკებს ამას...

ჩვენც აქ, გზის დასაწყისში მივატოვოთ ჩვენი გმირები. ვუსურვოთ გამარჯვება და ჯანმრთელად დაბრუნება. თქვენი ავტორი უძლურია გაჰყვეს მათ. მას არ შეუძლია უშბასთან ჭიდილი, არ შესწევს ამის ძალა. ამიტომ, თუ ვინმეს აქვს სურვილი გაჰყვეს ჩვენს გმირებს, გზა დამილოცია, ღმერთმა ხელი მოუმართოს!...

<u>გია და გიას წინაპრები</u>

I

გიორგი (გია) ჩემი და ლიანას პირველი სიხარული, პირველი გახარება ცხოვრებაში და ჩვენი განუკურნებელი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე... რამეთუ ჩემი და ლიანას ცხოვრება ფაქტიურად წარმოუდგენელია ჩვენი გიას გარეშე... ფაქტია და ამას ვერსად გავექცევით, რომ ის ცხოვრება, ის სიხარული, ის მისწრაფება, რაც ჩვენ გაგვაჩნდა, უკვე ვერ გამეორდება... გიამ თან წაიღო საფლავში თვით ჩვენი სულისკვეთება სიცოცხლისა და არსი ამ ქვეყანაზე ჩვენი არსებობისა...

ჩვენდა საუბედუროდ, მე და ლია რეალისტები ვართ და ცხოვრების ამ მკაცრ სინამდვილეს ვერსად გავექცევით.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს ჩვენი დავითი (კახა), მისი შვილები ნიკოლოზი (ნიკა), დიმიტრი (დიმა), ჩვენი რძალი (შვილი) ნატო, მაგრამ მათ თავისი განუყოფელი ადგილი უკავიათ და ეკავებათ ჩვენ სიყვარულში მათ მიმართ...

დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ, რომ გვერდზე ვიდგეთ ჩვენ შვილებთან, შვილიშვილებთან, სანამ ღმერთი მოგვცემს ამის საშუალებას და ყველაფერს გავაკეთებთ მათი კეთილდღეობისათვის, ვეცდებით ჩვენ დავითს შევუმსუბუქოთ ის დანაკლისი, რაც მან გადაიტანა ძმის დაკარგვის გამო, რამეთუ გია არა მარტო ძმა იყო მისი, არამედ მამობრივი მზრუნველობთ ზრდიდა მას და მთელი ყცხოვრება ჰქონდა მისი იმედი, იმედი იმისა, რომ ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ჭირში და ლხინში. მადლობა ღმერთს, რომ დავითს და ნატოს ესმით ეს ჭეშმარიტება, რომ ვერასოდეს შეგვიცვლიან ჩვენ გიას და ესმით ის მწუხარება, რაც თავს დაგვატყდა ჩვენ, მშობლებს. «...ღმერთო მაღალო, ისმინე ჩვენი ვედრება, ჩვენი თხოვნა, არცერთ მშობელს არ მოასწრო შვილის სიკვდილი... თუნდაც მტერს».

პირველად გია ვნახე დაბადების მეორე დღეს... პატარას მშვიდად ეძინა. შემდეგ ბავშვობა. იზრდებოდა მხიარული, ცელქი, მოხარული ამა ცხოვრებისა. არაფერში გადაჭარბება არ იცოდა, არც ცელქობაში და არც მხიარულობაში. განვლილი წლების გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ხანდახან ბავშვობის დროსაც კი იყო ჩაძირული თავის ფიქრებში და ბავშვურ ფილოსოფიაში, წყნარად მაყურებელი ცხოვრებისა.

ისე აგვეწყო მე და ლიას ცხოვრება (ლია პირველ კურსზე იყო, როცა გათხოვდა და თან მუშაობდა) ბავშვის აღზრდა ბებია-ბაბუების ხელში აღმოჩნდა. ლია სწავლობდა,

მუშაობდა სახლში და გარეთ, მე კი პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ე.წ. სამსახურეობრივი კარიერის გზაზე. «აბსოლიტური” ნულიდან დავიწყეთ ოჯახის შენება. ბინის უქონლობა, მატერიალური შეზღვუდები, არც გავლენიანი ე.წ. «ბიძები” და «დეიდები”. ლიას მშობლები, ბებია, ბაბუა შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო საკმარისი ოჯახის მატერიალური არსებობისათვის. იყო დრო (1964-1967) როცა მე და ლია 2-3 სამსახურში ვმუშაობდით, რომ ოჯახი შეგვენახა, ფეხზე დაგვეყენებინა, (და ეს ყველაფერი მაშინ, როცა ჩვენც ახალგაზრდები ვიყავით, სიცოცხლით სავსე და არც ისე უარყოფითად ვიყავით განწყობილი დროსტარებისადმი). მაგრამ არ ვიცი, საიდან (რა თქმა უნდა ღვთის შემწეობით) შევიძინეთ მე და ლიამ ასეთი ენთუზიაზმი, პასუხისმგებლობა ოჯახის, შვილების, მშობლების მიმართ, რამაც ასე ერთად გვამყოფა აი უკვე 43 წელიწადი. ხელიხელჩაჭიდებულნი ვცხოვრობდით, ვაშენებდით ოდესღაც ბრწყინვალე, მდიდარ, მაგრამ 20-ე საუკუნის 20-ან წლებში უკვე წაქცეულს, შემდეგში გაპარტახებულ ფოცხვერიებისა, იაშვილების გაერთიანებულ ოჯახს. გია იყო ის პატარა მეგზური ჩვენი ცხოვრებისა, რომელმაც გვასწავლა მშობლობა და მეგობრობა. ერთად ვიზრდებოდით, ერთი სულით ვცხოვრობდით. შემდეგ გიას სკოლაში სწავლა, დაახლოებით 3-4 თბილისის სკოლა გამოიცვალა. არადამაკმაყოფილებელი ბინის გამო გვიხდებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. 1973 წლიდან (შეუღლების 10 წლის შემდეგ) როგორც იქნა დავსახლდით საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩაზე. სკოლაში თითქმის არავითარი პრობლემები არ შეუქმნია ჩვენთვის. გარვეულ პერიოდებში 6-7 კლასამდე ხუთებზე სწავლობდა, შემდეგ შეერია ოთხები. ძალიან მომთხოვნი აღმოჩნდა პედაგოგების მიმართ. ყველა იმ საგანს, რომლის მასწავლებელიც მოსწონდა, აუცილებლად კარგად სწავლობდა. განსაკუთრებულ ნიჭს იჩენდა მათემატიკაში. მერვე კლასიდან კონკურსის შემდეგ ჩაირიცხა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სპეცსკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს. მახსენდება ერთი დიალოგი ჩემსა და ჩემს შვილს შორის, როცა გია მეცხრე კლასში იყო: «...გია, თუ ცოტას მოინდომებ, თავისუფლად შეგიძლია ხუთოსანი იყო...” დაფიქრდა რამდენიმე წუთით და მიპასუხა: «მამა, ჩვენს სკოლაში ერთი ნამდვილი ხუთოსანია, ბუნებით მონიჭებული მათემატიკოსი, შეიძლება გენიოსიც არისო (გვარი არ მახსოვს), იმასთან ჭიდილი არ შემიძლია ჩემი გაქანებით ან ნიჭით. დანარჩენი 2 ხუთოსანი დედიკოების გავლენით არიან ხუთოსნები და მათ გვერდზე ყოფნა არ მსურსო...”. არ ვიცი რამდენად ძლიერი ბავშვური ლოგიკა იყო, მაგრამ ამ თემაზე მასთან საუბარი შევწყვიტე, რადგან შთამომავლობით გიას გვარში ბევრი ჰყავდა «ხუთოსანი”, და ე.წ. ხუთოსნობას თუ არ დააყოლე ცხოვრების გამოცდილება, წინააღმდეგობის გადალახვის ნებისყოფა, ისე ვერაფერს მიაღწევ ამ ცხოვრებაში (ეს ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი). გავიხსენებ ერთ ეპიზოდს გიას სკოლაში სწავლების პერიოდიდან. გია მეშვიდე კლასშია, ქუთაისის პირველ სკოლაში (ყოფილი გიმნაზია). შაბათი დღეა. მე სამსახურში ვიმყოფები. ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილში სკოლის დირექტორის ხმა ისმის (ხანში შესული, სიმპატიური, ინტელიგენტი ბრძანდებოდა, შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი). განწირული ხმით (შეიძლება მომეჩვენა) მატყობინებს: «თქვენმა შვილმა იჩხუბა ამხანაგებთან, ოტრავმა მიიღოო”. არ მახსოვს, როგორ გამოვიძახე მანქანა. რამდენ წუთში ან წამში ვიყავი სკოლაში. სკოლის ეზოში მხვდებიან დირექტორი, პედაგოგები (ამან სულ დამაბნია, ვერ აღვიქვამ რა მოხდა), გულს და გონებას მიღრღნის

ფიქრი: «რაიმე უბედურება ხომ არ არის ჩემს თავს”... შევდივარ დირექტორის კაბინეტში და რას ვხედავ. დირექტორის კაბინეტი საკმაოდ დიდი ფართობისაა, საწერი მაგიდიდან გამოუტანიათ დირექტორის სავარძელი (საკმაოდ გაცვეთილი, ოდესღაც მოოქროვილი), რომელიც დგას კაბინეტის შუაში და შიგ ზის გაყუჩებული, ცოტაოდენ ცხვირდაზიანებული ჩემი გია (შემდეგში ეს დაზიანება გაჰყვება მთელი ცხოვრება და მისცა ნამდვილი ბერძნულ-კავკასიური იერი). მომეჩვენა, რომ ყველა ერთად მიხსნიდა თუ რა მოხდა. მხოლოდ გიაა გაჩუმებული, შევეკითხე: «ლაპარაკი შეგიძლია-მეთქი”. «რა თქმა უნდაო.” მეტს არაფერს ამბობს და ვატყობ, არც არაფერს მეტყვის. ვთხოვე დირექტორს, პედაგოგებს მარტო დამტოვეთ ბავშვთან, დაველაპარაკები-მეთქი. არ უნდათ გასვლა, გრძნობენ პასუხისმგებლობას. თხოვნა გავიმეორე აუღელვებლად და კორექტულად. ყველანი გავიდნენ. ჩვენი დიალოგი დაახლოებით ასეთი იყო:

_ გია, რა მოგივიდა?

_ ვიჩხუბე.

_ გტკივა რამე?

_ არა, არაფერი არ მტკივა, რამდენიმემ შემომიტია...

_ აბა რას შესკუპულხარ მაგ სკამზე ბოგდოსანივით გაუნძრევლად?

_ რა ვიცი, როცა გაგვაშველეს, ბიჭები გაიქცნენ, ალბათ ეხლა სკოლაში არც არიან, მე კი იმ წუთშივე ფაქტიურად «დამატყვევეს” პედაგოგებმა, შემომიყვანეს აქ. დამსვეს სავარძელში, იოდი და სუნამო წამისვეს. მიბრძანეს არ გაინძრეო. მივხვდი შენ დაგირეკავდნენ.

_ გია ვინ გცემა, ვის ეჩხუბე?

_ მამა, ხომ იცი არ გეტყვი. დაკითხვა მომიწყვეს და არ ვუთხარი. არც შენ გეტყვი. ძალიან გთხოვ ნუ ჩაატარებ შენებურ გამოძიებას, მე თვითონ გავუსწორდები მათ. არავითარი ბოღმა არ მაწუხებს, მეც ვიყავი საკმაოდ დამნაშავე.

_ გია, სიარული თუ შეგიძლია?

_ რა თქმა უნდა, მამა. _ წამოხტა, შევატყვე არაფერი არ სტკივა. მხიარულად არის, იცინის...

_ გია, ჩადი, მანქანაში ჩაჯექი, სახლში წავიდეთ.

_ გთხოვ, მამა, არაფერი არ უთხრა დედას და ბებიას, ინერვიულებენ.

_ კარგი. გია.

გამოვედი, დავამშვიდე დირექტორი, პედაგოგები. ვუთხარი, რომ არავითარი პრეტენზიები მათ მიმართ არა მაქვს. ერთ ცხოვრებად ღირდა მათი შეხედვა ასეთი ფინალის შემდეგ. შემდეგ ჩემმა გიამ შესანიშნავად აღწერა ეს ეპიზოდი თავის ნოველაში «ვალერია”. როგორც გვან გავიგე ბიჭები შერიგებულან და კარგი მეგობრებიც იყვნენ წლების განმავლობაში.

რატომ მოვყევი ეს ეპიზოდი? იმე მგონია, იგი კარგად ახასიათებს გიას პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ასეთი მრავალი ეპიზოდის გახსენება შეიძლება... მხოლოდ ერთზე შევჩერდები. საკმაოდ დიდი კამათი მოგვივიდა ერთ თემაზე, გიას და მის კლასელებს (10-11 კლასი) მორიგეებად ნიშნავდნენ სკოლაში, რათა მიექციათ ყურადღება უმცროსკლასებისათვის. შემოვიდა საყვედური სკოლის დირექტორისგან, რომ გია არ იჩენდა საკმაო სიმკაცრეს უმცროსკლასელების მიმართ... ჩემს კითხვაზე თუ რატომ აკეთებდა ამას, მან დაახლოებით ასე მიპასუხა: «მამა ისინი ხომ თავისუფალი,

ლაღი ადამიანები არიან. გაიხარონ, აძვრნენ მერხებზე, ზომიერად უბათქუნონ ერთმანეთს და ა.შ. მათ ასაკში მეც ასე ვიქცეოდიო. მე ვერ შევზღუდავ მათ თავისუფლებას. ისე კი ყურადღებით ვარ, რომ ერთმანეთს არაფერი დაუშავონო". ვერაფერი ვუპასუხე, ბავშვის, უკვე ყმაწვილის, ლოგიკა ძალიან მომეწონა და თან გამაკვირვა, მაშინ, დაახლოებით 70-იანი წლების ბოლოს ასეთი რამის გაგონებას არ ველოდი. ერთს კი მივხვდი. ეს ბავშვები სხვანაირად აზროვნებენ, სხვანაირად უყურებენ ცხოვრებას. თანდათად ქრება მათში ფანატიზმი კომუნისტური აღმშენებლობის იდეისა.

ეხლა ალბათ სასაცილოა (შეიძლება სატირალიც), მაგრამ, როცა კომკავშირში მიღებდნენ, 1 წელი მოვიმატე. მთელი ღამე არ მეძინა, ვნერვიულობდი. კომკავშირის რაიკომში სამი საათით ადრე მივედი. აი რას ნიშნავდა სტალინური პროპაგანდული მანქანა.

საწყალ ბებიას, დედას, რომელთაც რეპრესირებული ჰყავდათ შვილი, ძმა, სიძე და ა.შ. არასოდეს არ უგინებიათ ჩემთან და ძმასთან საბჭოთა ხელისუფლება. არ უცდიათ. ჩვენს აღზრდას რა თქმა უნდა, ქრისტიანული წესებით ცდილობდნენ, მაგრამ თვით მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლების მცდელობა არ ყოფილა. რატომ?ე იმიტომ რომ ეშინოდათ, ეშინოდათ, რომ კომუნისტურ რეჟიმს ისევე არ ჩავეყლაპეთ მათი საყვარელი ხალხი. ლოცულობდნენ ჩუმად, თავისთვის, რამდენჯერ ვითომ «მძინარეს" მინახავს და მომისმენია როგორ ლოცულობდა ბებია, დედა. მათი სიტყვები «...ღმერთო, შენ მიეც სიცოცხლე, გახარება ჩემს ანზორს და ჯემალისო..." და შემდეგ პირჯვარს გადაგვწერდნენ ძილში და ჩუმად გვკოცნიდნენ.

ვერ ვიტყვი რომ, გიას დაახლოებით 10 წლამდე წიგნების კითხვა უყვარდა-მეთქი. ამაზე არა ერთი «ლექცია" წავუკითხე. წავაწყდი გარკვეულ წინააღმდეგობას. შემდეგ სხვა მეთოდს მივმართე. წიგნები, წიგნები _ მე მათ მთელი ცხოვრება ვაგროვებდი, მოსწავლეობის და სტუდენტობის დროს, შემდეგ კი ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო მათი შეგროვება პრობლემას არ წარმოადგენდა, მათ შორის ისეთი წიგნებისაც, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს აკრძალული იყო. მოვიტანდი წიგნებს, დავაწყობდი მაგიდაზე, ვთხოვდი ლიას, დედას, არ შეელაგებინათ კარადაში. საუზმის, სადილის ან სახლში დასვენების დროს ვუყვებოდი დედას, ლიას, რომლებიც ოჯახური საზრუნავის გამო შეიძლება არც მისმენდნენ, თუ რა წიგნები მოვიტანე, ვუყვებოდი მათ დაახლოებით შინაარს, ავტორების შესახებ, მათ ბიოგრაფიას და ა.შ. და ა.შ. ვცდილობდი მათ არ შეემჩნიათ, რომ ამას მიზანდასახულად ვაკეთებდი. გადის 1-2 დღე, ვატყობ, წიგნები მაგიდაზე გადაუშლიათ, შემდეგ უცდიათ წაეკითხათ, შემდეგ კი მივიღე ის, რაც მივიღე. ლიასთვის საინტერესო წიგნს (ისტორიული ლიტერატურა, დრამატურგია, პროზა, პოეზია და ა.შ.) ხელიდან ვერ გამოსტაცებდი და ხშირად ოჯახში რიგიც იყო რომელიმე წიგნის წაკითხვის თანამიმდევრობისა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ გიას შემდეგ.

გიამ დაამთავრა სწავლა სკოლაში, დადგა დრო არჩევანისა, სამწუხაროდ ჩვენს შორის შედგა ძალიან ზერელე საუბარი პროფესიის არჩევისა. გია უფრო მეტად მისმენდა. არ გაიხსნა, არ მითხრა სათქმელი და მე ე.წ. ოჯახური ტრადიციების დაცვის ფილოსოფიით ვურჩიე ინჟინერი გამხდარიყო. დამეთანხმა, ასე გახდა გია სტუდენტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმ დროს ალბათ ყველაზე «პრესტიჟული" ფაკულტეტისა _ «ავტომშენებლობის". რამდენი ახალგაზრდა ჩათვლიდა თავს

ბედნიერად ესწავლა ამ ფაკულტეტზე და შემდეგ ან ავტოინსპექტორი ან ავტო-პროფილაქტიკის თანამშრომელი გამხდარიყო და ეშოვა ფული, სიმდიდრე დაეგროვებინა...

მაგრამ ეს არჩევანი ჩვენი ოჯახისათვის და თვით გიასთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

დაახლოებით მე-3-ე კურსის დასაწყისში (როდესაც ჩვენი ოჯახით მოსკოვში გადავედით საცხოვრებლად), გია მარტო დავტოვეთ თბილისში ბებიასა და მეზობლების ანაბარა (ეს კი ჩემი და ლიას ალბათ ყველაზე გამოუსწორებელი სტრატეგიული შეცდომა იყო, რომ გია არ გადავიყვანეთ მოსკოვში). რატომ იყო ეს შეცდომა? თუნდაც იმიტომ, რომ გია მოსკოვში სხვა ატმოსფეროში, სხვა გარემოცვაში მოხვდებოდა და ა.შ. ალბათ სულ სხვა გზით წავიდოდა ამ ცხოვრებაში და აგვცილდებოდა ეს ტრაგედია, რაც დაგვემართა ჩვენ ტემზის ნაპირებზე.

ერთ-ერთ ჩვენს ჩასვლისას თბილისში, შევამჩნიე, რომ გია გამოიცვალა და მერე როგორ, ინსტიტუტში სწავლას უკლო, გახდა გულჩათხრობილი, მთელი დღეებით იკეტებოდა თავის ოთახში, უსმენდა მუსიკას. საღამოობით ცოტა ეძინა და წერდა, წერდა ლექსებს. როგორც იქნა, დედამ გაარკვია თუ რა ხდებოდა. როგორც დედამ აუღო ალღო შვილის განწყობას, მითხრეს, რომ გიას არ უნდა სწავლა, არ უნდა გახდეს ინჟინერი და ა.შ. უნდა რეჟისორობა და კინოს გადაღება და ბოგემური (ჩემი მაშინდელი აზრით) ცხოვრება. ჩემდა საუბედუროდ, წინააღმდეგობა გავუწიე, რამეთუ ვერ მივხვდი, ვერ გავაანალიზე შექმნილი მდგომარეობა. ვერ გავუგე შვილს, დედას, ვერ შევიგრძენი და ვერ აღვიქვი თვით გიას ფილოსოფიური სამყარო, მისი სული, მისი განწყობილება (რაც შემდეგ ძალიან ძვირი დამიჯდა). მივიღეთ ე.წ. კომპრომისული გადაწყვეტილება. დაამთავროს პოლიტექნიკური და შემდეგ თუ აზრს არ შეიცვლის, დავეხმარები მიზნის მიღწევაში. ჩემდა სამწუხაროს, ვერ მივხვდი, რომ გია არ იყო ის პიროვნება, რომელიც აზრს შეიცვლიდა, თუ რამეს გადაწყვეტდა, ფანატიკური მიზანდასახულობით შეუდგებოდა ამ გადაწყვეტილების შესრულებას. აქაც დავუშვი გამოუსწობებელი შეცდომა. მე დავკარგე 3 წელი გიას გაზრდაში და ვაიძულე შვილი 3 წელი ე.წ. ჩემი ხათრით და მორიდებით ეკეთებინა ის, რაც არ მოსწონდა და არ სურდა. ღმერთი რომ დამხმარებოდა და მიმეღო სწორი გიასთვის სასურველი (მართალია პრინციპული და არაორდინალური) გადაწყვეტილება, დღეს შეიძლება ჩემი შვილი ცოცხალი მყოლოდა, რამეთუ ისევ და ისევ ვიმეორებ, შეიცვლიდა თუ არა მკვეთრად ცხოვრების ატმოსფეროს და წესს, ალბათ (ჩემდა საუბედუროდ მხოლოდ ალბათ) სულ სხვა გზით წავიდოდა მისი ცხოვრება და შეიძლება (შეიძლება მხოლოდ) არ მივსულიყავით ამ ტრაგიკულ ფინალამდე.

უკვე სტუდენტობის პერიოდში გია გარკვეულ წილად ჩაება ე.წ. რეჟისურაში, თან სწავლობდა და თან ეხმარებოდა ერთ რეჟისორს ძველი ქართული არახმოვანი ფილმების აღდგენაში («ამოკი», «ელისო», «მატარებელი» და სხვა). მართალია, იმ რეჟისორს დაავიწყდა შემდეგ გიას აღნიშვნა ტიტრებში, როგორც ასისტენტისა, მაგრამ ეს ეპიზოდი მის სინდისზე იყოს.

დაამთავრა თუ არა სწავლა, გიას ერთი დღეც არ უმუშავია მიღებული სპეციალობით. მუშაობა დაიწყო (1984-85) ტელევიზიაში, ტელეფილმების სტუდიაში ე.წ. «ეკრანში". ჩქარა რეჟისორმა დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილმა დაიწყო მისი «შედევრის" ფილმ «ცარიელი ბინის" გადაღება და გია მისი ასისტენტი გახდა. არ ვიცი რა სარეჟისორო

სკოლა გაიარა გიამ ამ «სახელოვანი” რეჟისორის მეშვეობით, მთავარია გია კმაყოფილი იყო (რამეთუ რაიმე ცუდს მას ვერავისზე ვერ ათქმევინებდი).

გასახსენებელია ალბათ კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემი გიას ცხოვრებიდან, რომელსაც ალბათ შეეძლო თუ მთლიანად არა გარკვეულწილად შეეცვალა მისი ცხავრების გზა და რაც საბაბს მაძლევს ეხლა ვიფიქრო, რომ შეიძლება ეს ტრაგიკული ფინალი არ დამდგარიყო. 1989 წელს გიამ შეიტანა საბუთები მოსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო კურსებზე. გამოცდები აპრილ-მაისში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ გადაიტანეს ნოემბერში. ამ დროს გავიგეთ, რომ აგვისტოში თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ცნობილი რეჟისორი გიორგი შენგელაია ადგენდა სარეჟისორო ჯგუფს. გიამ გადაწყვიტა ისევ დაბრუნებულიყო თბილისში და ჩაებარებინა გამოცდები. მე მგონი, ეს შემთხვევა საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ოჯახისათვის და თვით გიასთვისაც. რადგან მას მოსკოვში რომ ჩაებარებინა, ეს მთლიანად შეცვლიდა მის გარემოცვას, ინტერესებს, მისწრაფებებს, მაგრამ ისევ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

შემდეგ სწავლა _ თბილისში, 9აპრილის ღამე თბილისში, ქვეყნის დანგრევა, სამოქალო ომი, ცხინვალი... აფხაზეთი... ყველაფერმა ამან გადაიარა ჩემი შვილის თავზე, შემდეგ უახლოესი მეგობრის (თანაჯგუფელი) კახა ჩანტლაძის ტრაგიკული სიკვდილი, იმ მეგობრისა რომელიც მან გადაიღო საკურსო ფილმში, რომლის სცენარითაც გმირი (კახა) კვდება. რა იყო ეს? გარკვეული წინასწარმეტყველება თუ ბედის ირონია. არა მგონია, რომელიმე ადამიანს, გარდა მშობლებისა და ახლობლებისა, ასე თუ განეცადა კახას სიკვდილი. დაუჯერებელია, მაგრამ ვიცი, რომ კახას ტრაგიკულ გარდაცვალებაში რატომღაც მასაც თავი დამნაშავედ მიაჩნდა...

დაახლოებით ამ პერიოდში შედგა ჩვენი არასასიამოვნო საუბარი. არ ვიცი, ეს განგება იყო თუ რა? ჩემდა საუბედუროდ, სახლში მოვიტანე ტერენტი გრანელის ლექსების კრებული. ძალიან მომეწონა, ვაქე რითმი, წყობა ლექსისა. ვუთანაგრძნე პოეტის ტრაგიკულ ბედს, მაგრამ გარკვეულწილად დავგმე მისი პესიმიზმი, ლტოლვა სიცოცხლიდან წასვლის, ოდა სიკვდილისა და ა.შ. გიამ წაიკითხა და არა მარტო წაიკითხა, გრანელი (ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში) გახდა მისი პირველი სათაყვანებელი პოეტი. ამას მოჰყვა არასასიამოვნო საუბარი, რომლის დროსაც გია ყოველგვარად იცავდა და ამართლებდა პოეტის მისტიციზმს, პესიმიზმს და ა.შ. ამან კი საკმაოდ დამაფიქრა. «გია, ტერენტის სულ სხვა ცხოვრება ჰქონდა, გაჭირვება, შიმშილი, მას ვერ გაუგეს. შენ რა გიჭირს, ჯანღონით სავსე პერსპექტიულ ახალგაზრდას. გაქვს მიზანი, ისწავლე, იშრომე და მიაღწევ დასახულ მიზანს-მეთქი, მაგრამ, ამოდ, საუბედუროდ, შევატყვე, რომ ჩვენს შორის რაღაც კედელი გაჩნდა. ამაში დავრწმუნდი, როცა (უნდა გავამხილო) მისი ნებართვის გარეშე წავიკითხე მისი ლექსები. ო, ღმერთო ჩემო 18-19-20-21 წლის ახალგაზრდა ამხელდა თავისი გაგებით და ფილოსოფიით ამ ცხოვრების ამაოებას, ხოტბას ასხამდა იმქვეყნიურ ცხოვრებას, სიკვდილს და ა.შ. ძალიან მტკივნეულად (მე ვიტყოდი გადამეტებულად) განიცდიდა ამხანაგების ღალატს, ორგულობას, მათი ამ ქვეყნიდან წასვლა კი ტრაგედიად წარმოედგინა, ჭარბად იყო მისტიკა, რელიგია და ა.შ. დიახ! შედგა საუბარი, რომელმაც არავითარი შედეგი არ გამოიღო. გიას გადარწმუნება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ამ საუბარმა მომიტანა მხოლოდ ის, რომ იგი, როგორც პოეტი, ჩაიკეტა და შემდეგ ისე კარგად ინახავდა

ნაწერებს, რომ მე ისინი აღარ მინახია და ამ ეპიზოდის შემდეგ არ უცდია წაეკითხა ჩემთვის რომელიმე მისი ლექსი. საუბედუროდ, ეხლა, როცა გია აღარ არის, და მე არამარტო შევკრიბე, სისტემაში მოვიყვანე და წავიკითხე მისი თითქმის ყველა ლექსი, ნოველა და რომანი, შემიძლია მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება... გია ფოცხვერიას დაწყებული ბავშვობის წლებიდან (ჩემდა საუბედუროდ) ჰქონდა მიდრეკილება მისტიცისადმი, როგორც ღვთისმოსავ ადამიანს, სჯეროდა და წავიდა ამ ცხოვრებიდან დაჯერებული. წავიდა იმ შეგნებით, რომ ყოველთვის იქნება ჩვენთან, რომ ილოცებს ჩვენთვის და ზეციდან დაგვეხმარება სწორად, ქრისტიანულად. მართალია, წინ ვუსწრებ მოვლენებს, მაგრამ არ შემიძლია არა ვთქვა შემდეგი: თითქმის მის ყველა ლექსში არის თხოვნა მაცხოვარის, ღმერთის მიმართ, რომ შეუნდოს მას ცოდვები, რომ ცოდვილია და ა.შ.

ჩემი ცხოვრების გადასახედიდან მე _ ერთ-ერთ მომაკვდავს _ შემიძლია ვთქვა: გიას, რომელმაც ასე (ჩემი გაგებით და შეგნებით) წმინდად იცხოვრა, რა ისეთი ცოდვები ჰქონდა, რას ინანიებდა ასე, რა იყო მისი აღსარებების მიზეზი? ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, ყველა ცოდვილი ვართ ამ ქვეყანაზე, მაგრამ ხომ არსებობს ცოდვილობაშიც განსხვავებები? თუ ჩემი გაგებისათვის ეს აღუქმელია... თუ გია ცოდვილია, მაშინ ვინ ვარ მე, ვინ არიან და რამდენად ცოდვილნი არიან მის გარშემო მყოფი ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნეებად თვლიან, დადიან ეკლესიაში, სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ... ლოცულობენ... ლოცულობენ... და შემდეგ გამოვლენ თუ არა ეკლესიიდან, გადაიწერენ პირჯვარს და ებმებიან მკაცრ ცხოვრების სინამდვილეში, იბრძვიან (ყველა მართალი თუ არამართალი ქმედებით) დასახული მიზნის მისაღწევად?

არ ვიცი, ვერ გამიგია, რა ისეთი ცოდვები აწუხებდა ჩემს გიას, რაც გავიგე მისი ჩანაწერებიდან, ლექსებიდან, მოთხრობებიდან? საუბედუროდ, ჩემი გია ყველა მისი ახლობლის, ამხანაგის, მეგობრის ცოდვების თანამოზიარე იყო, გულში ატარებდა ყველა მათ ცოდვას და ლოცულობდა, ღმერთს შესთხოვდა მათი სულის გადარჩენას, მათ ზნეობრივ სისუფთავეს, შესთხოვდა ღმერთს, რომ ისინი სწორ გზაზე დაეყენებინა.

ერთხელ ლონდონში სტუმრად ვიყავი გიასთან, შემთხვევით, აბაზანიდან გამოსულს მუხლებზე მაზოლები შევამჩნიე, ისეთი როგორიც ადრე კარგი მშრომელი კაცის ხელზე ან მეშახტის მუხლებზე მინახია. ვერ გავიგე რა ხდებოდა. ნუთუ პირადი გვემით, ლოცვით შეიძლებოდა მთელი მისი ახლობლების ცოდვების მონანიება? ვერ მივხდი და ეხლაც ვერ ვხდები რატომ და რისთვის იტვირთა ჩემმა შვილმა ეს მისია, ეს ხომ არავის დაუვალებია მისთვის, მაგრამ ამას რომ მიხვდე, მაშინ გია უნდა იყო... საუბედუროდ, გვიან, ძალიან გვიან მივხვდი, რომ ჩემი შვილი ამქვეყნიური ადამიანი, არ იყო და იმ ცხოვრების წესით და აღთქმით, რითაც ჩემი შვილი ცხოვრობდა, ის ფაქტიურად დიდ რისკზე მიდიოდა... საუბედუროდ ამას უკვე დიდი ხანია ვხვდებოდი, შიშნარევი განცდებით ვრეკავდით და ველოდებოდით მე და დედა მის ტელეფონის ზარს ლონდონიდან. «წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო” სულ გვქონდა იმედი, რომ რაღაც გამოსწორდებოდა და შეიცვლებოდა გიას ცხოვრებაში, შექმნიდა ოჯახს, გაუჩნდებოდა ბავშვები. მაგრამ ამაოდ...

ეს თემა გარკვეულ წილად პატარა ანალიზს მოითხოვს: არ მინახია და არ შემხვედრია ადამიანი _ ასეთი, «ბედშეკრული” სიყვარულში. ვისაც გია უყვარდა (შესანიშნავი კარგი ოჯახისშვილები, შემდეგ კარგი მეუღლეები, დედები), მათ გია

მეგობრობას სთავაზობდა. ჩემი გადასახედიდან, რომელიმე მათგანი მისი ცოლი რომ გამხდარიყო, ისინი უფრო მეტად გაუგებდნენ ჩემს შვილს... მაგრამ... ეს ასე არ მოხდა. საერთოდ მისი ყმაწვილკაცობიდან დაოჯახების თემა მასთან საუბარში აკრძალული თემა იყო. მახსოვს, ერთხელ მე და დედამ ვუქეთ მისი მეგობრის და. ისეთი დღე დაგვაყარა თქვენს მტერს: «როგორ გამიბედეთ და ჩე მი მეგობრის დაზე ასეთი რამე მითხარითო.»

მეგობრობის თემა _ ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტი ცხოვრებისა ჩვენს ოჯახში პირველადი იყო, გვიყვარდა მეგობრები, ვაღმერთებდით მათ და გიაც ამ ატმოსფეროში იზრდებოდა. ჩვენ, მე და დედამისმა, ცხოვრების გამოცდილებიდან გავიგეთ რა არის მეგობრის ღალატი, ორპირობა და ფლიდობა. გიასთვის ეს ცნებები გაუგებარი იყო, შინაგანად განიცდიდა და არასოდეს იტყოდა ამის შესახებ. მთელი თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი მიუძღვნა მეგობრებს, მათ სიყვარულს, სიხარულს და მათ გაჭირვების გაზიარებას, მათი ცოდვების თანამონაწილეობას, მაგრამ, საუბედუროდ, უკან ვერ მიიღო ერთი მეათედიც კი იმისა, რაც გასცა. არ ვამტყუნებ მათ და არც შეიძლება მათი გამტყუნება. ეს გია იყო ასეთი და ვერავის ვერ მოსთხოვ იმას, რომ ისინიც ასეთები ყოფილიყვნენ. ისინი გიას გარეშე თავის ცხოვრებით და საზრუნავით ცხოვრობდნენ. გიასთვის იცლიდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ სურდათ და ჰქონდათ ამის დრო და საშუალება. გიას შეეძლო მთელი დღე შეევსო მისი მეგობრების შესახებ საუბრით. ხანდახან გული მომდიოდა, მოდი, შვილო, გამოვცვალოთ თემა, ვილაპარაკოთ ისტორიაზე, პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე და ა.შ. მაგრამ გია გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო მეგობრულ ურთიერთობაში.

ღმერთმა შეუნდოთ მათ... ეხლა, როცა გია აღარ არის, კარგი იქნება თუ რომელიმე მათგანი, დაუფიქრდება იმას, თუ რა იყო გია მათთვის და რანი იყვნენ ისინი გიასთვის. დარწმუნებული ვარ ამ ხალხმა არა მარტო იმისათვის უნდა ილოცონ, რომ ღმერთმა შეუნდოს გიას მისი ცოდვები, არამედ უფრო მეტად უნდა ილოცონ იმაზე, რომ ღმერთმა შეუნდოთ მათ საკუთარი ცოდვები. სად იყვნენ მაშინ, როცა ტრაგედია ასე ახლოს იყო? ნუთუ არ ატყობდნენ, ვერ ხვდებოდნენ, რომ გია აპატიის, ნოსტალგიის და დეპრესიის სენით იყო შეპყრობილი? ვიცი... გია არ დაუჯერებდა მათ შენიშვნებს, შეიძლება გაეგდო კიდეც ისინი სახლიდან, მაგრამ ეხლა ეს ხალხი თავის სინდისის და თუნდაც ღმერთის წინაშე მართლები იქნებოდნენ.

რა არის ეს, თუ არა წაყრუება და გულგრილობა? არცერთმა ე.წ. მისმა “მეგობარმა”არ შეგვატყობინა მშობლებს გიას ასეთი კრიზისული მდგომარეობა. არ ვიცი როგორ მოვიქცეოდი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ლია ლამანშს გადაცურავდა და შვილთან წავიდოდა, რომ გადაერჩინა.

მაპატიე, ღმერთო, და შემინდე! არა, გიას სიკვდილში არავის არ ვამტყუნებთ მე და დედა. თვით გიაა დამნაშავე ამაში, რომ ვერ გავუგეთ, ვერ ვუშველეთ, ვერ ვანუგეშეთ და ვერ ვიპოვეთ გზა მისი გულისკენ. რას იზამ, ეხლა უკვე ვერაფერს ვერ გამოვასწორებთ.

*

1998 წლის ბოლოა, ახალი 1999 წელი დგება. კენტის უნივესიტეტმა მიგვიწვია, რათა დავესწროთ 1998-1999 სასწავლო წლის გამოშვების დღესასწაულს კენტინბერგის

ბრწყინვალე სააბატოს შენობაში. განუმეორებელი დღეა. ბრწყინვალეა თვით დღესასწაული... გია ინგლისური ენის სასწავლებლად ჩავიდა ლონდონში 3 თვით და 5 წელში ინგლისური ენის რვა საფეხური დასძლია. ეხლა კი ფილოსოფის (კინო და მედია) ოსტატია. ბანკეტზე ყველა გვილოცავს, გვეხვევა და ა.შ. გიამ მითხრა, ერთი-ორი წელიწადი მაცადე, მამა, და სადოქტოროს ჩაგაბარებო. მეტი რა სიხარული უნდა მიანიჭოს შვილმა მშობლებს და ჩვენც გახარებულები ვართ. განსაკუთრებით დიდ სიამაყეს იწვევს ჩემში იმის შეგრძნება, რომ რადიოგადამცემით აცხადებენ კურსდამთავრებულთა გვარებს და მათ შორის ჩემი შვილია, ქართველი _ საქართველოდან, იმ საქართველოდან, რომელიც 1999 წელს გაპარტა-ხებულია, დაჩოქილია, არშემდგარია _ როგორც სახელმწიფო. გონება მეუბნება, აი ჩვენი შველა, ქართველთა შველა, ამ ხალხს შეუძლია, ახალ თაობას, ჩემი შვილის თაობას, რომლებიც დაამთავრებენ კენტის, კემბრიჯის, ოქსფორდის, სორბონის, ბერლინის და სხვა უნივერსიტეტებს, ჩავლენ საქართველოში განსწავლულნი, განათლებულნი და შექმნიან, ააღორძინებენ ახალ საქართველოს, ისე როგორც 1918 წელს ჩავიდნენ საქართველოში ჯავახიშვილი, პეტრიაშვილი, მელიქიშვილი, ბერიტაშვილი და, სხვათაშორის, მისი დიდი ბაბუა (ლეონტი ფოცხვერია, პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული), მისი დიდი ბებია ალექსანდრა ჩხენკელი (პეტერბურგის სამასწავლებლო ინსტიტუტის ცნობილი «ბესტუჟევას” კურსდამთავრებული). მაგრამ მათ ეს არ დასცალდათ. განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს ის, რომ ეს ხდება კენტიბერგის საკათედრო ეკლესიაში, ინგლისური ეკლესიის საეკლესიო წინამძღვრის ტაძარში, სადაც არაერთი ინგლისელი მეფე უკურთხებიათ. აქაა საფლავები ბევრი ინგლისელი წარმატებული და არაწარმატებული მეფისა, საეკლესიო მამამთავრისა და სხვა წარჩინებულთა, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს ინგლისის ღირსეულ ისტორიაში. აქ, ამ ეკლესიის თაღებში ეხლა გაისმება პირველად ქართული სიტყვა, ქართული გვარი მისტერ Potskveria Givi და ეს მომენტი, ეს წამები ჩემსა და ლიას ცხოვრებაში ერთ სიცოცხლედ ღირდა... (მერე გიამ მიამბო, როგორ ავარჯიშებდა 10-15 წუთს ინგლისელ დიქტორს, რომ მას შედარებით უშეცდომოდ წარმოეთქვა ეს გვარი).

I I

წარმოშობით ფოცხვერიები (რაც მე ვიცი გადმოცემით წინაპრებისაგან) სოფელ ჭაკარში ახმეტის რაიონში, მე-18-ე საუკუნის 50 წლებში გადასახლდნენ ლეჩხუმიდან. ფოცხვერიების გვარის «მემატიანე” ბებია ბაბილინა გიორგობიანის გადმოცემით, ოქტომბრის რევოლუციამდე ფოცხვერიები წელიწადში რამდენჯერმე სალოცავად და შესაწირად ნიკორწმინდაში დადიოდნენ (რისი მომსწრე თვითონაც ყოფილა, როგორც ახალგაზრდა რძალი). ყმა გლეხები არ ყოფილან, თავისუფალი საეკლესიო გლეხები იყვნენ. დაახლოებით XIX საუკუნის 50-60 წლებში ბაბუაჩემის ბაბუას ლევანს დიდი ნავი შეუსყიდია და თურქეთში (ტრაპეზუნდში) დადიოდა სავაჭროდ, თამბაქო, ჩაი, შაქარი ჩამოჰქონდა. ბაბუაჩემის მამა ზაქარია უფრო ნიჭიერი ე.წ. მენეჯერი ყოფილა. შეგროვილი ფულით დუქნები ააშენა სამტრედიასა და ქუთაისს შორის და

წარმატებულად ხელმძღვანელობდა საქმეს. აუშენებიათ დიდი სახლი სამტრედიაში და ქუთაისში. ზაქარიამ ყველა მის შვილს (4 შვილი, 3 ვაჟი და 1 ქალიშვილი) გიმნაზია დაამთავრებინა. ბაბუაჩემი მათ შორის უფროსი იყო, 1882 წელს დაბადებული. შემდეგ ბაბუაჩემი ლეონტი, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით და წარჩინებით სწავლობდა «გაეპარა» მამამის ზაქარიას და გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც 1907 წეიდან 1914 წლამდე სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (დაამთავრა 2 კურსი), შემდეგ კი ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაუმთავრებია (დიპლომები ჩვენს ოჯახშია დაცული). ბაბუაჩემის მამა ზაქარია ისე განაწყენებულა შვილის წასვლით, ე.წ. ეკონომიური ბლოკადა გამოუცხადებია და არ ეხმარებოდა შვილს სწავლის პერიოდში. მისი ლოგიკა მარტივი იყო, წერილებში წერდა: «შვილო, მე შენ საკმაო განათლება მიგაღებინე, შენ უფროსი შვილი ხარ, მოვალე ხარ ამომიდგე მხარში და განავითარო ჩვენი სავაჭრო საქმენიო...”

ეჰ, ღმერთო ჩემო, ვერც ლეონტი ფოცხვერიას და გია ფოცხვერიას ვერ გააკეთებინებდი იმას, რაც მათ არ სურდათ.

ფული რომ ეშოვა, ბაბუაჩემი ზამთარ-ზაფხულ პეტერბურგის ბაზარში იჯდა და ე.წ. «прощение”-ბს უწერდა რუს გლეხებს კაპიკებად. ბებია ალექსანდა ჩხენკელი ბაბუა ლეონტის პეტერბურგში შეხვდა, წარმომიდგენია რა სიყვარულით ურდა ყვარებოდათ ერთმანეთი, რომ მატერიალურად ორი უმწეო სტუდენტი ჩქარა 1908 წელს დაქორწინდა. ბებიას მამა სიმონი ხონის ეკლესიის მღვდელი იყო. ბებიას ხუთებზე დაუმთავრებია ხონის პროგიმნაზია, შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია დაუმთავრებია. შემდეგ 2 წელი უმუშავია ხონის გიმნაზიაში პედაგოგად, დაუგროვებია ფული და მშობლების ლოცვა-კურთხევით სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გამგზავრებულა.

შემდეგ მიამბეს: ამაყ ჩხენკელებს ძალიან უარყოფითად აღუქვიათ ის ფაქტი, რომ მათი შვილი ვიღაც გლეხ ფოცხვერიას გაჰყვა ცოლად. ბებიაჩემის დას (აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დედას) სახლში შავი ფარდებიც კი ჩამოუკიდია და ისე წაუვიდეს თქვენს მტერს საქმე, როგორც ბებიას და ბაბუას. პირველი შვილი ერთი წლისა დაეღუპათ. 1918 წელს დაბრუნდნენ საქართველოში ი.ჯავახიშვილის და პ. მელიქიშვილის თხოვნით. რაც კი პეტერბურგში ცხოვრება შეიძინეს რევოლუციამ შთანთქა. ბებია 1924 წელს სრულიად ახალგაზრდა _ 39-40 წლისა გარდაიცვალა, პეტერბურგის ჰავამ ბებია დაავადმყოფა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დატოვა სამი შვილი _ 2 ძმა და 1 და. მამა მათ შორის უფროსი იყო. 1928 წელს გარდაიცვალა მამის ძმა _ სულ რაღაც 13-14 წლის ირაკლი. მამა და მამიდა (თინა) ან დეიდასთან ან ბიძასთან (ნოე ჩხენკელთან), სახელოვანი არქიტექტორის ვანო ჩხენკელის სახლში იზრდებოდნენ. მამა და ბიძა ვანო ჩხენკელი ერთ სასწავლო ჯგუფში ირიცხებოდნენ უნივერსიტეტის სამშენებლო-არქიტექტურულ ფაკულტეტზე.

ბაბუაჩემის მამას ზაქარიას სოფელ ჭაკანში თავისი სახსრებით ეკლესია და წისქვილი აუშენებია. ამ წისქვილში დღესასწაულებზე და კვირაში ორჯერ გლეხებს უფასოდ აფქვევინებდა სიმინდს.

1977 წელს ვიყავი ვრთი დღით ჭაკანში, მაშინ ეკლესია (გამოყენებული საწყობად) ჯერ კიდევ იდგა ფეხზე, წისქვილიც მუშაობდა და შევხვდი ფოცხვერიებს, რომლებსაც

ჯერ კიდევ ახსოვდათ ბაბუა ლეონტი, დიდი ბაბუა ზაქარია და მათი კეთილი საქმეები.

1892 წელს ბაბუაჩემის ბაბუას ლევანს მთელი მისი ოჯახი გამოუწყვია სათანადოდ და წაუყვანია ქუთაისში სურათის გადასაღებად. ფოტოზე გამოსახულია: გიას ბაბუის ბაბუა ლევანი, ბაბუის მამა ზაქარია, დიდი ბებია ხვახვალა, დიდი ბებია მზექალა, ბაბუა ლეონტი, მისი ძმები ალექსანდრე და ზაქრო, მათი და ლიზა. ამაზე ბრწყინვალე და შესანიშნავი რა უნდა გაეკეთებინა გიას ბაბუის ბაბუის მამას ლევანს?

კიდევ ერთ ღირშესანიშნავ პიროვნებაზე მოგახსენებთ, ბაბუაჩემის ბაბუის ბიძაზე მღვდელ ალექსანდრე ფოცხვეროვზე, რომელიც მოხსენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში (ტომი IV), როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეზე...“Участником бунта был священик Александр Поцхверов (Поцхверия) из Самтредского уезда. Осужден и сослан без лишения священного сана в г. Тамбов..”

დედაჩემი არიადნა, (გიას) ბებია მატერიალურად საკმაოდ ძლიერ ისააკ ჯაბუას ოჯახში დაიბადა. ჰყავდა ორი ძმა (კონსტანტინე, ვალოდია) და ერთი და ლიდია. დედაჩემის დედა მართა წარმოშობით ბრწყინვალე თავადების ჩიქოვანების გვარიდან გახლდათ. ჩემს დიდ ბაბუას პავლე ჩიქოვანს და მის მეუღლეს ლიზა აჩბას, ძალიან უარყოფითად მიუღიათ ჯაბუებთან დამოყვრების ამბავი და არ გაგიკვირდეს, მკითხველო, სახლში შავი ფარდები ჩამოუკიდიათ და თითქმის გამოუგლოვიათ ქალიშვილის გათხოვება. რამდენადაც ვიცი ბებიას მონაყოლიდან, მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ შერიგებიან ქალიშვილს და სიძეს. თუმცა ბაბუაჩემი ისააკი ძალიან წარმატებული სახელმწიფო მოხელე გახლდათ, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ზუგდიდში პრისტავად (დაახლოებით XIX 90 წლებში) დაუწყია მუშაობა და ბოლშევიკების მოსვლამდე ზუგდიდის მაზრის უფროსის მოადგილედ უმუშავია.

ბებიაჩემი მართა, მისი გადმოცემით, მაია დადიანის ნათლული გახლდათ. შეიძლება ითქვას, დაბადების დღიდან ერთადერთი ჩემი მეგობარი და აღმზრდელი მართა ბებია იყო. დაახლოებით 4-5 წლის ასაკში მასწავლა ნარდის, ბანქოს თამაში და ამით მართობდა მთელი დღე, ოღონდ არ მეთხოვა ქუჩაში გასვლა და არ მეთამაშა მისი თქმით ე.წ. «ჩაჩნების ბავშვებთან...” და თუ ამას, რა თქმა უნდა, მაინც ვახერხებდი, მკაცრად უნდა დამემალა სამალავში: კოჭები, ჩილკა ჯოხი და სხვა ჩვენი ომისდროინდელი თამაშების ატრიბუტები. საკმაოდ ხშირად მესმოდა: «...შვილო, შენ ისეთი წარმოშობისა ხარ, ისეთი დედმამის შვილი» და ა.შ. და ა.შ. შემდეგ, როცა წერა-კითხვა ვისწავლე, გამოვიდა დგებუაძე-ფულარიას რომანი «ოქროს ბეჭედი”. ბებიას ვუკითხავდი ამ რომანს, თითქმის რამდენიმე საათით ვერთობოდით და ბებია ხანდახან გამაჩერებდა და მეტყოდა: «...მთლად სწორად არ წერია წიგნში, მაია დადიანი სულ სხვანაირად მოიქცაო.” და მიყვებოდა მაიას ცხოვრებას, თავის ბავშვობას, ახალგაზრდობას და სხვადასხვა ისტორიებს. რამდენადაც მახსოვს, მე უკვე 11 წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა, არასოდეს გაჭირვებია ზღაპრების მოყოლა, ახალ და ახალ ზღაპრებს მიყვებოდა. მე მგონია ხშირად მოყოლის პერიოდში იგონებდა მათ, მაგრამ ისინი ისეთი საინტერესონი იყვნენ, რომ არასოდეს მომწყენია მათი მოსმენა. ცხოვრების პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ბიძაჩემი ვალოდია ВЧК-ას უფროსი იყო. დედაჩემის მოყოლით, ბიძა 1925 წელს მოწამლესო ვინ და რისთვის, ბავშვობაში არ მიმხელდნენ, შემდეგში დედა

მომიყვა, «არ აპატიეს ვალოდიას 1924 წლის ამბოხებულთა გაშვება აჭრიდანო”. ბაბუა ისააკი კი (ზუგდიდის მაზრის ყოფილი უფროსი) თავისი სიკვდილით გარდაიცვალა 1935 წელს.

მამაჩემი გივი ფოცხვერია 1933 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქ. ზუგდიდის მთავარ არქიტექტორად დაუნიშნავთ. იქ გაუცნია დედა და 1934 წელს შეუქმნიათ ოჯახი, ხოლო 1938 წელს თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად. მამა 1942 წელს მოხალისედ წავიდა ომში (იყო აგრეთვე ფინეთთან ომის მონაწილე). ჩამოვიდა 1946 წელს. საქართველოში მისი პროექტებით აშენებულია რამდენიმე სკოლა (ქუთასში, ზუგდიდში, თბილისში). 1947-1948 წლებში ხელმძღვანელობდა ე.წ. ფოილოს (წითელი ხიდი) მშენებლობას საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანთან და სომხეთთან. გარდაიცვალა 1951 წელს. დედამ, რომელიც 40 წლის დაქვრივდა, ძლივს გაგვზარდა თბილისში მე და ჩემი ძმა ანზორი. ძალიან მკაცრი და დისციპლინის მომთხოვნი იყო. შემდეგში, როცა ვუყურებდი თუ როგორ ბავშვივით უჯერებდა გიას და კახას, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მართლაც მაგიური ძალა ჰქონია ბებიობას...

ერთხელ გიას დავუწერე სახუმარო ლექსი პუშკინის პოემის “ევგენი ონეგინის” წაბაძვით “наш юный друг родился в семье крестянской изрядно смешанной с дворянской...”. და მართლაც ასე არის და იყო, თუ გავითვალისწინებთ მისი წინაპრების წარმოშობას და რად გვინდა წინაპრები, როცა ჩემი შვილების დედა არის ბრწყინვალე ქართული გვარის იაშვილების წარმომადგენელი. ამ გვარს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, საამაყოდ პაოლო იაშვილიც ეყოფოდა. რაჭის ერისთავთა მატიანეში მათი გვარიც არის და გენერალი იაშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის პარანოიკი იმპერატორის პავლე პირველის მოკვდინებაში... სასწაულია, მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს ჩაიდინა ზუსტად 2-3 კვირის შემდეგ, რაც პავლე პირველმა ხელი მოაწერა ე.წ. დეკრეტს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის და მისი რუსეთის იმპერიაში შესვლის შესახებ, თუმცა ამის შესახებ ქართველებმა არაფერი იცოდნენ, რამეთუ დეკრეტს იმპერატორმა ხელი მოაწერა 1801 წლის თებერვლის დასაწყისში, 11 თებერვალს კი იმპერატორი მოახშთეს, ხოლო ქართველებმა ამის შესახებ მხოლოდ ზაფხულში გაიგეს. ვერაფერს ვერ იტყვი, მე შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ გენერალ იაშვილს ეს ქმედება ქართულ პატრიოტიზმში ჩავუთვალო, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

აკი მოგახსენეთ, ლია პირველ კურსზე იყო, როცა გათხოვდა და შემდეგ რა? რა არის ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი მის ცხოვრებაში? ალბათ შრომა, შრომა და კიდევ ერთხელ შრომა, ბავშვების გაზრდა, შემდეგ მოხუცი მშობლების მოვლა, ჩემთან ერთად იმ ქალაქში ან სახელმწიფოში ცხოვრება, რასაც სამხედრო სამსახური განაპირობებდა. თავის ცხოვრებაში 8-10 ბინა მოაწყო და ამას მხოლოდ თვითონ აკეთებდა (მე დაკავებული ვიყავი ან სამსახურით ან მეგობრებით). იმ ე.წ. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, არ ასცდენია რიგებში დგომა, რომ გემოვნებით ჩაეცვა ქმარ-შვილისა და ახლობლებისათვის, და, რაც მთავარია, არასოდეს არ უწუწუნია ცხოვრების ხვედრზე. ამაყი იაშვილის ქალი მოვიდა რძლად ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ე.წ. თბილისურ კომუნალურ ბინის ერთ ოთახში (24 კვ.მ.), რომელიც მერე მე და ლიამ ჩვენი ხელით გადავტიხრეთ, რომ დედაჩემი ცალკე ყოფილიყო. ცივი, მხოლოდ წყლის ონკანი ჩვენი ბინიდან 20-25 მეტრში იყო, ერთადერთი საპირფარეშო კი 7-8 ოჯახზე იყო

გათვალისწინებული. ეხლანდელი გასათხოვარი ქალბატონისათვის ყოველივე ეს დაუჯერებელია, ასეთი თავგანწირვა მათთვის გაუგებარია და იმიტომაც იქმნება ოჯახები მხოლოდ ერთი-ორი თვით ან ერთი წლით. ყველა მისი მონაცემებით, გარეგნული თუ შინაგანი შინაარსით, ლიანა იაშვილი იმსახურებდა შეიძლება სხვა მატერიალურ პირობებს, მაგრამ ეხლა მის გამოხედვაში არსებობს დიდი სიამაყე: «...ეს მე შევქმენი, ეს მე გავაკეთე", და ამის შეგნება მე მგონი დიდი სულიერი სიძლიერის მანიშნებელია.

ჩვენი გიას ტრაგიკული ბედი რომ არა, ჩვენ აგერ უკვე 43 წელია თავს ბედნიერებად ვთვლიდით. როგორც მოგახსენეთ, ბავშვობაში გიორგი იზრდებოდა ბებიასთან (მარიამ ვარდოსანიძესთან) და ბაბუასთან (გრიგოლ იაშვილთან). ბაბუამისი გრიშა იაშვილის ბედი და ცხოვრება ალბათ გარკვეული ყურადღების ღირსია. მამა სიმონი არ ახსოვდა, რაჭაში მოუკლავთ, შვილი ჯერ დაბადებული არ ყოფილა, დაუტოვებია 14 წლის ქვრივი ბავშვით. შემდეგ თბილისში იზრდებოდა. 30-იან წლებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, როგორც ე.წ. «თბილისელი ახალგაზრდა" ზედმეტსახელად «ობოლა", რომელიც ტოლს არ უდებდა მაშინდელ ე.წ. «ძველ ბიჭებს." სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. მესამე კურსზე იყო, როცა გრიშამ და მისმა ძმამ ბონდომ რამდენიმე კილოგრამი შავი პურის ტალონი გადააკეთეს და ამისთვის დააპატიმრეს და 10-10 წლით მიუსაჯეს პატიმრობა. გასაკვირია, მაგრამ ძმები ერთად ერთ კოლონიაში გააციმბირეს. ბონდოს რამდენიმეჯერ უცდია გაპარვა, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს კი, როცა დააკავეს საჯაროდ პატიმრების და ძმის თვალწინ დახვრიტეს. მხოლოდ 10 წლის შემდეგ განთავისუფლდა გრიშა. შექმნა ოჯახი, შეეძინა შვილები და ა.შ. მაგრამ ამ ეპიზოდმა და პატიმრობამ, რა თქმა უნდა, ძალიან იმოქმედა მასზე. ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხზე საუბარს ერიდებოდა, ზრდიდა შვილებს, ჰყავდა დიდი მეგობრების წრე და ითვლებოდა ერთერთ საუკეთესო, კეთილშობილ, პატიოსან პიროვნებად ახლობლებში და ნათესავებში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გიას ბებიის (მარიამ ვარდოსანიძის) მამის ბიქტორ ვარდოსანიძის ცხოვრება. იცხოვრა თითქმის 90-95 წელი სოფელ ზორვეთში. თუ სადმე წავიდოდა, მხოლოდ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და აუცილებლად ცხენით. ზესტაფონში ყველა კომუნისტურ აღლუმებზე გამოაჭენებდა ცხენს და შემდეგ მთავრობის ტრიბუნაზე იდგა, რადგან ძალიან დიდხანს, თითქმის 10-15 წელი, ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა მისი დისშვილი, ფრიად განსწავლული, დინჯი, წყნარი სერგო საყვარელიძე (შემდეგში სოციალისტური შრომის გმირი და გამომცემლობა «მედიცინის" დირექტორი).

კეთილშობილი (აზნაურის შვილი) გახლდათ გიას ბაბუის გრიშა იაშვილის დედა ნინო (ნინუცა) გამყრელიძე, რომელიც გამოირჩეოდა რაღაც ზებუნებრივი ქალური სილამაზით, ახოვნებით, დარბაისული სიტყვა-პასუხით. უნიკალური (გინესის ნუსხაში შესატანი) ყოფილა მისი თმები 2-2,5 მეტრის სიგრძისა. შვილების დაპატიმრების შემდეგ საწყალ ნინუცას კაპიკებად გაუყიდია ეს თმები (ოჯახში დაცულია მისი ფოტოსურათი ამ უნიკალური თმებით). იცხოვრა 96-97 წელი.

ჩემი გიას წინაპრებიდან კიდევ და კიდევ არიან პიროვნებები, რომელთა გალერეა ძალიან მრავალფეროვანია: აქ არიან პედაგოგები, ექიმები, იურისტები, ინჟინრები, მეცნიერები და სხვადასხვა... მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა და

შეიძლება არც არის საჭირო. მე მინდოდა წარმომედგინა ჩემი შვილის წარმომავლობა, მისი ოჯახი და თუ რა წრეში, რა გარემოცვაში ყალიბდებოდა, როგორც პიროვნება, ჩემი გია.